საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი

გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები

II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული

II ნაწილი

თბილისი
2018

UDC 339.1

გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები

II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი:

ფრანგიშვილი არჩილი – თავმჯდომარე, რექტორი, აკადემიკოსი
კლიმიაშვილი ლევან – ვიცე-რექტორი, პროფესორი
გასიტაშვილი ზურაბ – რექტორის მოადგილე
ქოქრაშვილი ქეთევან – ადმინისტრაციის უფროსი
ქუთათელაძე რუსუდანი – ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი
ბარათაშვილი ევგენი – პროფესორი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
გრიგალაშვილი ლევან – პროფესორი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი

კონფერენციის სარედაქციო საბჭო:

ბარათაშვილი ევგენი – თავმჯდომარე, პროფესორი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
აბრალავა აწზორ – პროფესორი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
ბერიკაშვილი ლია – ასოც. პროფესორი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
გეჩბაია ბადრი – ასოც. პროფესორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი
გრიგალაშვილი ლევან – პროფესორი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
თაკალანძე ლარისა – პროფესორი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სპიკერი
იაშვილი გენადი – პროფესორი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
მეტრეველი მარინა – პროფესორი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
ქინქლაძე რუსუდან – ასოც. პროფესორი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
ყანდაშვილი თემურ – პროფესორი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
ყურაშვილი გუგული – ასოც. პროფესორი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
ჩეჩელაშვილი მაია – ასოც. პროფესორი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
ჩიკვილაძე ნინო – ასოც. პროფესორი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
ცაავა გიორგი – პროფესორი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
ხარხელაური ხათუნა – ასოც. პროფესორი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი

© საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2018
ISBN 978-9941-28-127-3 (ყველა ნაწილი)
ISBN 978-9941-28-128-0 (პირველი ნაწილი)
http://www.gtu.ge

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილის (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) გამოყენება არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური) არ შეიძლება გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.
საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.
წიგნში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი/ავტორები.
ავტორის/ავტორთა პოზიციას შეიძლება არ ემთხვეოდეს საგამომცემლო სახლის პოზიცია.

Verba volant, scripta manent

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY
FACULTY OF BUSINESS TECHNOLOGIES

GLOBALIZATION AND CURRENT CHALLENGES IN BUSINESS

II International Scientific Conference Proceedings
Part I

Tbilisi
2018

UDC 339.1

Globalization and Current Challenges in Business

II International Scientific Conference

Organisation Commitee of Conference

Prangishvili Archil – Chairman, Rector, Academian
klimiashvili Levan – Deputy Rector, Professor
Gasitashvili Zurab – Deputy Rector, Professor
Kokrashvili Ketevan – Head of administrative, Professor
Kutateladze Rusudan – Dean Faculty of Bisines Technologies, Professor
Baratashvili Evgeni – Professor of Faculty of Business Technologies
Grigalashvili Levan – Professor of Faculty of Business Technologies

Editorial board of Conference

Baratashvili Evgeni – Chairman, Professor of Faculty of Business Technologies
Abralava Anzor – Professor of Faculty of Business Technologies
Berikashvili Lia – Associate Professor of Faculty of Business Technologies
Gechbaia Badri – Associate Professor of Batumi Shota Rustaveli State University
Grigalashvili Levan – Professor of Faculty of Business Technologies
Takalandze Larisa – Professor, Speaker of Board Council of the Sokhumi State University
Iashvili Genadi – Professor of Faculty of Business Technologies
Metreveli Marina – Professor of Faculty of Business Technologies
Kinkladze Rusudan – Associate Professor of Faculty of Business Technologies
Kandashvili Temur – Professor of Faculty of Business Technologies
Kurashvili Guguli – Associate Professor of Faculty of Business Technologies
Chechelashvili Maia – Associate Professor of Faculty of Business Technologies
Cikviladze nino – Associate Professor of Faculty of Business Technologies
Tsaava Giorgi – Professor of Faculty of Business Technologies
Kharkhelauri Khatuna – Associate Professor of Faculty of Business Technologies

© Publishing House „Technical University“, 2018
ISBN 978-9941-28-127-3 (All part)
ISBN 978-9941-28-128-0 (First part)
http://www.gtu.ge

Verba volant, scripta manent

All rights reserved. No part of this publication may be reproduced (will this be a text, photo, illustration or otherwise) in any form or by any means (electronic or mechanical) without the prior written permission of publisher.

Piracy is punished according to the law.

Author(s) are responsible for the accuracy of all the facts provided in the book.

The position of author(s) might not be coinciding with the position of the Publishing House.

შინაარსი

სექცია II
ფინანსების, საბაკნო საქმის, საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის აქტუალური პრობლემები

აბლოთია ლიკა
საგადასახადო დავების გადაწყვეტის სამართლებრივი ასპექტები აშშ-ში,
დიდ ბრიტანეთსა და საქართველოში 13

ასვანუა ნიკა
შრომით ურთიერთობებში პერსონალური მონაცემების დაცვის პრობლემატიკა საქართველოში 17

ბარკალაია ბესიკ, გელაშვილი ნუგზარ
სავალუტო გაცვლითი კურსი და მოქმედი ფაქტორები 21

ბარკალაია ბესიკ, იაშაღაშვილი მარიამ
ვენჩურული კაპიტალის კომპანია და მისი განსაკუთრებული როლი თანამედროვე პირობებში 25

გრიგალაშვილი ლევან, ხარხელაური ხათუნა, გრიგალაშვილი ბიძინა
საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სისტემები და საქართველო 29

გრიგალაშვილი ლევან, ყანდაშვილი თეიმურაზ, გრიგალაშვილი ბიძინა
საქართველოს საგადასახადო სისტემის აქტუალური პრობლემები 35

გრძელიძე მაია, ვანიშვილი მერაბ
საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის პერსპექტივები თვითმმართველ ქალაქებში 41

დევიძე თამარი, შოშიტაშვილი დავითი
ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებიდან გამომდინარე ფინანსური გამოწვევები 46

თათეშვილი როინ, ვეფხვიაშვილი ეკატერინე
ფისკალური პოლიტიკის როლი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელზე 51

კაკულია ემზარ, კაკულია ლაშა, თოფჩიშვილი რამაზ
გლობალიზაცია და ფასიანი ქაღალდების ბაზარი 55

ნოზაძე მზევინარ, გაწერელია გიორგი
მიკროსაფინანსო ორგანიზაციები საქართველოში და მათი საქმიანობის სრულყოფის საკითხები 60

სულაშვილი გიორგი, სუჯაშვილი თამთა
კომერციული ბანკის საქმიანობის თავისებურებები და მათი როლი საბაზრო ეკონომიკაზე 63

სულაშვილი მალხაზ, მურვანიძე იაშა, ტარუაშვილი ნინო
ფინანსური კონტროლის ძირითადი ასპექტები ორგანიზაციების საქმიანობაში 67

ტოგონიძე სალომე
საბანკო ბრენდის სწორი პოზიციონირების მსოფლიო გამოცდილება მომხმარებელთან ურთიერთობების
საფუძველზე 71

ფილიუკი გალინა, კუზმენკო გალინა, ლოპუშნიაკი გალინა
ჰიპერკონკურენცია და მისი გავლენა ეროვნული ბიზნესის განვითარებაზე 75

ქოქიაური ლამარა, კაპანაძე მაია, ქოქიაური ნინო
ინოვაციური ეკონომიკის თეორიული ასპექტები 81

ქოჩიშვილი გიორგი
შიდა კონტროლი, როგორც საჯარო მმართველობის ეფექტიანობის ამაღლების საწინდარი 86
ქუთათელაძე ალეკო, ანყოსი მამუკა
გადაწყვეტილებების მიღების მხარდაჭერის სისტემა საბანკო სფეროში..... 91

ქურასბედიანი სალომე, ჭელიძე მედეა
კრიპტოვალუტა, როგორც ფულის გათეთრების საშუალება 96

ღურწკაია თათია, ღურწკაია კარლი
ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი მსოფლიო ეკონომიკაში..... 100

ცაავა გიორგი, ბურდიაშვილი რატი, მოსიაშვილი ვალერი
საწარმოს ფულადი ნაკადების მართვადა საგადახდო კალენდარის შემუშავება 104

ცაავა გიორგი, ბიბილური ანი
ქართული საბანკო სისტემის განვითარება გლობალიზაციის პირობებში 109

ხარხელაური ხათუნა, გრიგალაშვილი ლევან
კაპიტალდაბანდების შეფასება გრძელვადიან აქტივებში ბუღალტრული უკუგების განაკვეთით 113

ხუციშვილი მარინე
ინოვაციური პროდუქტების როლი სადაზღვევო ბაზრის განვითარებაში 117

სექცია III
ეკონომიკა, ეკონომეტრიკა, აგრობიზნესი და სტატისტიკა განვითარების თანამედროვე ეტაპზე

ბაღათურია გიორგი, ბაღათურია ოთარი
ანტიკრიზისული სტრატეგია გლობალური ეკონომიკური კრიზისის პირობებში 121

ბრანდტ ანდრეას
თანამედროვე საერთაშორისო ბიზნეს არბიტრაჟი როგორც გლობალიზაციის მნიშვნელობა..... 126

გეჩბაია ბადრი, ვდოვენკო ნატალია
მეთოდოლოგიური მიდგომები თევზის ფირმების მონაცემების შედგენის მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით..... **132**

გითოლენდია ბორის,
საქართველოს საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო სტანდარტებთან თავსებადობის მოკლე ანალიზი..... 138

თათეშვილი როინ, ჯვარიძე გიორგი
სოციალური მეწარმეობა, როგორც სოციალურად ორიენტირებული ბიზნესის მიმართულება 143

კობახიძე დიმიტრი
აგრარულ პროდუქციაზე ფასთა დინამიკის ყოველდღიური მონიტორინგისა და გასაჯაროების საჭიროება ... 147

კოღუაშვილი პაატა, გოიშვილი ზაზა
საქართველოს აგროსექტორის დაკრედიტების შესახებ 151

კოჭლამაზაშვილი ლელა, ყანდაშვილი თეიმურაზ, გრიგალაშვილი ლევან
ქართული პროდუქტები ევროპის ბაზარზე 156

ლობჯანიძე გელა
საქართველო საერთაშორისო რეიტინგებში: მიღწევები, პრობლემები და პერსპექტივები 161

მამფორია ნანი, ბერიშვილი ავთანდილი
„ბიზნესის" საწყისები და განვითარება საქართველოში 166

მიქელაძე თამარ
პოლიტიკური პროპაგანდა და ,,ყალბი ახალი ამბები (Fake News)'' 171

ფარცვანია არჩილ, ქავთარაძე ნინო
საქართველოს თევზსამეურნეო დარგის განვითარების ორგანიზაციულ – საინფორმაციო უზრუნველყოფა ... 175

ქინქლაძე რუსუდან, აბესაძე ნინო
რემიტანსები და მისი შემოსავლების უთანაბრობასა და სიღარიბეზე გავლენის შეფასება 180

ქოქიაური ნინო
სამეცნიერო – ტექნიკური განვითარების პროგნოზირება: შექმნის საფუხურები და სტრუქტურული მოდელები 186

ჩეჩელაშვილი მაია, ყურაშვილი გუგული, ბოლქვაძე ანა
ხელმომჭირნე წარმოება, როგორც პროდუქციის ხარისხისა და საწარმოო დანახარჯების ეფექტიანობის ამაღლების მექანიზმი 192

ჩაიკოვსკა ივანა
ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების შედარება: სასომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსია, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა..... **197**

სექცია IV
საჯარო და ელექტრონული მმართველობის თანამედროვე გამოწვევები

აბრალავა ანზორ, კერესელიძე ლევან
მუნიციპალური მართვის ხარისხის პოლიტიკის შემუშავებისა და რეალიზაციის გზები..... 201

ბაქანიძე მაგდა, ბაქანიძე თეონა
ელექტრონული კომერციის გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე..... 206

ბოცვაძე გიორგი
სამართლებრივი სახელმწიფო..... 210

გოგიაშვილი დავით
საქართველოს აგრომეურნეობების ფინანსური უზრუნველყოფის სისტემის ანალიზი 215

გორგოძე ვალერიან, დათაშვილი ვახტანგ
მუნიციპალური ეკონომიკური სისტემის განვითარების მეთოდური საფუძვლები 219

ზაზაშვილი ლია, ტაბატაძე მარინა
პროფესიული განვითარების მართვის რეგულაციები საჯარო სექტორში 222

იაშვილი გენადი, ებრალიძე გია
არასამთავრობო ორგანიზაციის სოციალური საქმიანობის სტრუქტურული ძვრები და ფორმები 226

იაშვილი გენადი, წვერავა ზაზა
მმართველობთი გადაწყვეტილების ძირითადი პრინციპები და კლასიფიკაცია 230

კახიანი რევაზ
საჯარო მოხელეების მობილობის ზოგიერთი თავისებურება 234

მეგრელიშვილი თამთა, იაშვილი თინათინი
„ქალები პოლიტიკაში კვოტირებით თუ მის გარეშე“ 239

CONTENTS

Section II
Actual problems of financial, bank business, accounting and audit

Ablotia Lika
Legal aspects of resolving tax disputes: In the United States, Great Britain and Georgia 13

Asvanua Nika
The problem of protection of personal data in labor relations in Georgia 17

Barkalaia Besic, Gelahsvili Nugzar
Currency exchange rate and operating factors 21

Barkalaia Besik, Iashagashvili Mariam
The Role Of Venture Capital Company 25

Grigalashvili Levan, Kharkhelauri Khatuna, Grigalashvili Bizina
International accounting systems and Georgia 29

Grigalashvili Levan, Kandashvili Teimuraz, Grigalashvili biZina
Topical Problems of Georgian Payment 35

Grzelidze Maia, Vanishvili Merab
The Outlook for Budgetary Revenue Growth in Self-Governing Cities 41

Devidze Tamar, Shoshitashvili davit
Financial implications of the Association Agreement with the European Union 46

Tateishvili Roin, Vefkhviashvili Ekaterine
Title: Role of fiscal politic on the sign of economy growth 51

Kakulia Emzar, Kakulia Lasha, Topchishvili Ramaz
Globalization and securities market 55

Nozadze Mzevinar, Gatserelia Giorgi
Microfinance organizations in georgia and the issues of improving their activities 60

Sulashvili Giorgi, Sujashvili Tamta
Peculiarities of commercial bank activity and their role in market economy 63

Sulashvili Malkhaz, Murvanidze Iasha, Taruashvili Nino
Main Aspects of Financial Control in Activities of Organizations 67

Togonidze Salome
The world experience of the correct positioning of the bank brand on the basis of proper relationship with the customer 71

Fyliuk Halyna, Kuzmenko Halyna, Lopushnyak Galyna
Hyperconcurcency and its liability on the development of national businesses 75

Qoqiauri Lamara, Kapanadze Maia, Qoqiauri Nino
Theoretical Aspects of Innovative Economics 81

Kochishvili Giorgi
Internal control as a prerequisite for effective public administration 86

Qutateladze Aleko, Ankosi Mamuka
Automatic information banking system 91

Qurasbediani Salome, Chelidze Medea
Cryptocurrency as a money laundering 96

Gurtskaia Tatia, Gurtskaia Karli
The role of transnational corporations in the world economy 100

Tsaava Girogi, Burdiashvili Rati, Mosiashvili Valeri
Cash management and the development of a payment calendar 104

Tsaava Girogi, Bibiluri Ani
Development of Georgian Banking System under Globalization 109

Kharkhelauri Khatuna, Grigalashvili Levan
Assessment of Capital Investment By The Accounting Rate of Return 113

Khutsishvili Marine
The role of innovative products in the development of insurance market 117

Section III
Modern Stage Development Statistics of at Economics, Econometrics and Agro Business

Bagaturia Giorgi, Bagaturia Otari
Anti-crisis strategy under the global economic crisis 121

Brandt Andreas
Modern International Business Arbitration as a means of Globalization 126

Gechbaia Badri, Vdovenko Natalia
Methodoloical approaches to ensuring the operation of the questionnaire for
data collection of fish farms **132**

Gitolendia Boris
Short Analysis of The Compatibility of Marine and Air Transport of Georgia with International Standards 138

Tateishvili Roin, Jvaridze Girogi
Social Entrepreneurship as the direction of social orientated Business 143

Kobakhidze Dimitri
Need for Daily price dynamics monitoring and publicity for agrarian products 147

Koguashvili Paata, Goishvili Zaza
On the lending of the agrarian sector of Georgia 151

Kochlamazashvili Lela, Kandashvili Teimuraz, Grigalashvili Levan
Georgian products on the European market 156

Lobjanidze Gela
Georgia in International Ratings: Achievements, Problems and Perspectives 161

Mamporia Nani, Berishvili Avtandil
Business origins and development in Georgia 166

Mikeladze Tamar
Political Propaganda and ,, Fake News” 171

Partsvania Archil, Kavtaradze Nino
The organizational and information support for the development of the Fishery sector in Georgia 175

Kinkladze Rusudan, Abesadze Nino
Remittance and its impact on the poverty and inequal income 180

Qoqiauri Nino
Prognosis of Scientific- Technological Development: Constructing Stages and Structural Models 186

Chechelashvili Maia, Kurashvili Guguli, Bolkvadze Ana
Lean Production as a Product Quality and Productivity Expenditure Mechanism 192

Chaikovska Ivana
A Comparison of Economic Development of The EU’s Eastern Partnership Countries:
Armenia, Azerbaijan, Belarus, Georgia, Moldova, and Ukraine **197**

Section IV
Modern Challenges in Public and Electrical Management

Abralava Anzor, Kereselidze Levan
Ways of elaborating and realizing municipal management quality policies.....201

Bakanidze Magda, Bakanidze Teona
Impact of Electronic commerce on the country's economic growth 206

Botsvadze Giorgi
Constitutional State.....210

Gogiashvili Davit
Analysis of the private security system of Georgian agriculture.....215

Gorgodze Valerian, Datashvili Vakhtang
Methodical fundaments of development of municipal economic system 219

Zazashvili Lia, Tabatadze Marina
Professional development management regulations in the public sector 222

Iashvili Genadi, Ebralidze Gia
Structural Changes in the Organization of Social Activities and Forms.....226

Iashvili Genadi, Tsverava Zaza
The basic principles of the managerial decisions and classification.....230

Kakhiani Revaz
Some Features of Mobility of Public Servants 234

Megrelishvili Tamta, Iashvili Tinatin
"Quota arrangement - positive discrimination or irreversible indispensability" 239

სექცია II
ფინანსების, საბანკო საქმის, საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის აქტუალური პრობლემები

საგადასახადო დავების გადაწყვეტის სამართლებრივი ასპექტები აშშ-ში, დიდ ბრიტანეთსა და საქართველოში

აბლოთია ლიკა
თსუ, სამართლის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი

აბსტრაქტი

სტატიაში ასახულია საგადასახადო ორგანოებსა და გადამხდელებს შორის წარმოშობილი სადავო საკითხების გადაწყვეტის მექანიზმები, თუ როგორ რეგულირდება პროცედურულად გადამხდელის პრეტენზიები, მათი მიღება, განხილვა, გადაწყვეტა. განხილულია აშშ-ის, ბრიტანეთისა და საქართველოს რეალობა.

საკვანძო სიტყვები: *საგადასახადო ორგანო; გადამხდელი; საგადასახადო დავა; შემოსავლების სამსახური; სარჩელი; კომისარი; ტრიბუნალი; ფინანსთა სამინისტრო; დავების განხილვის საბჭო; საერთო სასამართლო.*

ძირითადი ტექსტი:

საგადასახადო დავების გადაჭრის პრობლემა აქტუალურია მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის, მათ შორის აშშ-ისთვისაც.

საგადასახადო დავები წარმოადგენს გავრცელებულ და რთულ საქმეთა კატეგორიას. საგადასახადო დავების განხილვის ეფექტიანი მექანიზმი წარმოადგენს კომპლექსურ ამოცანას, რომლის გადაჭრაც გულისხმობს ადეკვატური სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმების დამუშავებას, რომლებმაც უნდა განსაზღვრონ გადამხდელის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების საიმედო დაცვის გარანტია საგადასახადო ორგანოებთან დავისას. საგადასახადო დავების პრობლემატიკა და მათი გადაწყვეტის მექანიზმები მით უფრო აქტუალურია სახელმწიფოსათვის, რამდენადაც სახელმწიფო ბიუჯეტის შევსება დამოკიდებულია გადასახადების შემოსულობებზე, ამიტომაც ეს საკითხი მოითხოვს ღრმა სამართლებრივ ანალიზსა და გამოკვლევას.

აშშ-ის საგადასახადო სისტემა ითვლება ერთ-ერთ საუკეთესოდ მსოფლიოში. ამ პირობებში აშშ-ის გამოცდილება ორგანიზაციისა და ფუნქციონირების საკითხში საგადასახადო დავებთან მიმართებაში ძალიან საინტერესოა. მსგავსი გამოცდილება ხელს შეუწყობდა რიგი პრობლემების გადაწყვეტას საქართველოშიც.

საგადასახადო დავა, როგორც სამართლებრივი დავის სახეობა შეიძლება განვიხილოთ მისი შინაარსისა და ფორმის მიხედვით. აქედან გამოდინარე, საგადასახადო დავები უნდა განვიხილოთ როგორც სამართლებრივი დავა საგადასახადო სამართალურთიერთობათა სუბიექტებს შორის სამართლებრივი რეალიზაციისა და შესრულების მოვალეობის ეგიდით, რომელიც გათვალისწინებულია საგადასახადო კანონმდებლობით. საგადასახადო დავების მექანიზმის განხილვისა და სხვადასხვა მიდგომის გათვალიწინებით, შეგვიძლია გამოვყოთ 3 ძირითადი ასპექტი: 1) ნორმათა სისტემა, რომელიც არეგულირებს საგადასახადო დავების მექანიზმის ფუნქციონირებას (ნორმატიულ-სამართლებრივი საფუძველი); 2) ორგანოთა სისტემა, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს საგადასახადო დავები; 3) საგადასახადო დავების გადაწყვეტის პროცედურული სისტემა (პროცედურულ-პროცესუალური სისტემა).

საგადასახადო დავების განხილვა ადმინისტრაციული წესით ხდება შიდა შემოსავლების სამ-სახურში. საგადასახადო დავების პროცედურული განხილვა შიდა შემოსავლების სამსახურისათვის წარმოადგენს საერთო პროცედურას, ისე როგორც ნებისმიერ სააგენტოში.

საგადასახადო დავების განხილვას აშშ-ში ახდენს 4 სამართლებრივი ორგანო, რომელთაც შესაბამისი კომპეტენციები აქვთ:ა) საოლქო სასამართლო, ბ) სასამართლო გაკოტრების საკითხებში გ) აშშ-ის საპრეტენზიო სასამართლო, დ) აშშ-ის საგადასახადო სასამართლო. აღნიშნული ორგანოები ფლობენ განსხვავებულ კომპეტენციებსა და სტატუსს. მომჩივანს აქვს უფლება აირჩიოს ნებისმიერი მათგანი. აშშ-ში სასამართლოს გადაწყვეტილებების გასაჩივრება წარმოადგენს გადამხდელთა ერთ-ერთ ძირითად უფლებას.

აშშ-ში ადმინისტრაციული წესით საგადასახადო დავების გადაწყვეტის პროცედურა რეგულირდება საგადასახადო ორგანოების აქტებით. პრაქტიკაში საგადასახადო ორგანოებზე დიდი გავლენა აქვს სასამართლო კონტროლს, მნიშვნელოვანი პრინციპი აშშ-ის საგადასახადო ორგანოების მოღვაწეობისა არის ღია წვდომა შიდა შემოსავლების სამსახურის სამართლებრივი აქტებისადმი. ასეთი წვდომა გარანტიაა, რომ არ მოხდეს საგადასახადო ორგანოების მიერ კანონის ბოროტად გამოყენება. საგადასახადო დავების წინასწარ პროცედურებზე გადამხდელმა შეიძლება უარი თქვას , ხოლო ძირითადი დავები განიხილება სტრუქტურულად დამოუკიდებელ ორგანოში - შიდა შემოსავლების სამსახურის გადამხდელთა საჩივრების განმხილველ სამმართველოში. ამ სამმართველოს დაფინანსება და ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს მაქსიმალურ დამოუკიდებლობას სხვა საგადასახადო ორგანოებისაგან. ამ ორგანოს ძირითადი ამოცანაა საგადასახადო დავების პროფესიონალური გადაჭრა და მაქსიმალური ეფექტიანი შედეგის მიღწევა გადამხდელისა და სახელმწიფოს რესურსების ეკონომიის მიზნით. დავების განხილვის პროცედურას არ აქვს მკაცრი ფორმალური სახე. საქმე შეიძლება განიხილებოდეს სამმართველოს თანამდებობის პირის მიერ სასამართლო დარბაზში გადამხდელის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის დასწრების თანხლებით. ჩვენების მიცემა ფიცის ქვეშ ყოველთვის სავალდებულო არ არის, მაგრამ ფაქტები, რომლებსაც გადამხდელი ეყრდნობა გადამხდელი, განმტკიცებული უნდა იყოს განცხადებით, რომელშიც ის პასუხისმგებელია მათ ნამდვილობაზე. შესაძლებელია, საქმის განხილვა სატელეფონო მოლაპარაკებების საშუალებით და საფოსტო მიმოწერით.

თავდაპირველად, გადამხდელი უფლებამოსილია შეადგინოს წინადადებები სადავო საგადასახადო საკითხების დარეგულირებისთვის, თუმცა თუ თანამდებობის პირი უარყოფს გადამხდელის წინადადებას, მაშინ ეს უარი უნდა იყოს არგუმენტირებული. ასევე, მას შეუძლია წარადგინოს კომპრომისული წინადადება. აღნიშნულ სამმართველოში, თუ დავა გარკვეულ შეთანხმებამდე არ მივიდა, მაშინ საქმის წარმოების პროცედურა ადმინისტრაციული წესით წყდება. ასეთ შემთხვევაში გადამხდელს წარუდგენენ შეტყობინებას გარკვეულ დავალიანებაზე და ჯარიმებზე.

აშშ-ის საგადასახადო ორგანოების თანამდებობის პირები და გადამხდელები ფართო უფლებამოსილებით არიან აღჭურვილნი, საგადასახადო დავების შემრიგებლური პროცედურების და მშვიდობიანი შეთანხმებების მეშვეობით, დარეგულირების საკითხში. საგადასახადო ორგანოები ესწრაფვიან წარადგინონ კომპრომისული გადაწყვეტა პრობლემისა, უზრუნველყოს ბალანსი სახელმწიფო ინტერესებისა და გადამხდელისა. პრაქტიკაში გამოიყენება გადამხდელის მიერ ,გარდა აღნიშნულისა, საგადასახადო დავების გადაწყვეტის ალტერნატიული გზები. ალტერნატიული საშუალება მიმართულია დაარეგულიროს ურთიერთობა გადამხდელსა და საგადასახადო ორგანოს შორის შუამავლის ანუ მედიატორის ან დამოუკიდებელი არბიტრის მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფს დავის სამართლიან და მიუკერძოებელ განხილვას.

ადმინისტრაციული წესით საგადასახადო დავების გადაწყვეტას დიდი პრაქტიკა აქვს აშშ-ში. მისი უპირატესობა აშკარაა სასამართლო გარჩევებთან მიმართებაში. ამ წესის ეფექტიანობაზე მიგვითითებს ისიც, რომ დაახლოებით 90% დავებისა გადამხდელებსა და საგადასახადო ორგანოებს შორის სწორედ ამ გზით წყდება. აშშ-ში ქვეუწყებების საგადასახადო დავები უმრავლეს შემთხვევაში დამოკიდებულია გადამხდელის გადაწყვეტილებაზე, თუ რა საშუალებით შეეცდება ის თავისი

უფლების დაცვას ამა თუ იმ სასამართლო ორგანოში.

აშშ-ში არსებობს დამოუკიდებელი ორგანო სამართლებრივი ხელისუფლებისა - საგადასახადო სასამართლო, რომელიც აღჭურვილია სპეციალური კომპეტენციით საგადასახადო დავების განსახილველად. საგადასახადო სასამართლო არის წამყვანი ინსტანცია საგადასახადო დავებისა აშშ-ში. თავისი კომპეტენციების ფარგლებში, საგადასახადო სასამართლო განიხილავს საგადასხადო დავების 90% აშშ-ში.

განსხვავებულადაა მოწესრიგებული საგადასახადო დავების გადაწყვეტის საკითხი დიდი ბრიტანეთში. დიდ ბრიტანეთში როდესაც გადამხდელი და სახელმწიფოს წარმომადგენელი(შემოსავლების შიდა სამსახურის ინსპექტორი) ვერ თანხმდებიან, საქმე გადაეცემა განსახილველად კომისარები ან საგადასახადო ტრიბუნალს, რომელიც რეალურად წარმოადგენს კვაზი-სასამართლო ორგანოს, რომელიც ცვლის ზოგადად საერთო იურისდიქციის სასამართლოს.

შიდა შემოსავლების სამსახურის კომისარები - ესაა ინსტიტუტი, რომელიც წყვეტს საგადასახადო დავებს დიდ ბრიტანეთში. ის 2 სახისაა 1) სპეციალური და 2) საერთო. ერთიც და მეორეც, როგორც ერთმანეთისგან, ისე შ.შ.ს-სგან სრულიად დამოუკიდებლები არიან.

„ტრიბუნალი“ ბრიტანულ კანონმდებლობაში განისაზღვრება საკმაოდ ვიწრო გაგებით და გამოიყენება ერთი ან რამდენიმე (მაქსიმუმ 5) კომისარის აღსანიშნავად, რომლებიც ისმენენ, განიხილავენ საქმეს. სპეციალური კომისიები წარმოადგენენ განსაკუთრებულ ტრიბუნალს, რომელთა წევრები მუშაობენ მუდმივ საფუძველზე და ინიშნებიან ლორდი-კანცლერის მიერ, ლორდ-ადვოკატთან კონსულტაციის შემდეგ.

საერთო კომისრები ინიშნებიან ლორდი-კანცლერის მიერ (შოტლანდიაში-მინისტრის მიერ). ისინი შესაძლოა სულაც არ იყვნენ იურისტები, მაგრამ არიან ძალიან კარგი რეპუტაციის მქონენი და გარკვეულ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულში მოქმედებენ, როგორც ადგილობრივი მოსამართლეები. რაც შეეხება სსპეციალურ კომისრებს, ისინი უფლებამოსილნი არიან იმ უფლებებით, რომლებიც გაწერილია შესაბამისი სამართლებრივი აქტებით. სტატუსით ისინი არიან, როგორც სააპელაციო ორგანო. მათ არ შეუძლიათ საქმის წარმართვა თუ გამოიკვეთა პირადი დაინტერესება... თუ გადამხდელი უკმაყოფილოა მიღებული გადაწყვეტილებით, მას აქვს უფლება მიმართოს ნებისმიერ პარლამენტარს თხოვნით, რომ საქმე გადაეცეს ომბუდსმენს. ბრიტანეთში საჩივრის ვადა განისაზღვრება 30 დღით.

აშშ-ს და ბრიტანეთის სისტემების განხილვის შემდეგ, აუცილებელია შევეხოთ საქართველოში საგადასახადო დავების გადაწყვეტის მექანიზმებს. საქართველოში დადგენილია საგადასახადო დავის გადაწყვეტის 2 ფორმა: 1) დავის გადაწყვეტა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში განხილვის წესით და 2) დავის გადაწყვეტა სასამართლოს მიერ. თავის მხრივ, დავის გადაწყვეტა ფინანათა სამინისტროში 2 ეტაპისგან შედგება: ა) საგასახადო დავების განხილვა ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში; ბ) დავის გადაწყვეტა ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ დავების განმხილველ საბჭოში.

საგადასხადო ორგანო გადამხდელს უგზავნის საგადასახადო შემოწმების აქტის პროექტს, რომელზეც გადამხდელს უფლება აქვს 5 სამუშაო დღის განმავლობაში აცნობოს აუდიტის სამსახურს. აუდიტის სამსახურში გადამხდელის პოზიციის განხილვის შედეგები შესაძლებელია 5 სამუშაო დღის განმავლობაში გასაჩივრდეს შემოსავლების სამსახურის მედიაციის საბჭოში. ამ ინსტანციაში გასაჩივრება უფასოა. გადამხდელის პოზიცია განიხილება მისი უშუალო მონაწილეობით, აუდიტის დეპარტამენტის და შემოსავლების სამსახურის ხელმძღვანელი პირების მონაწილეობით. აღნიშნული ეტაპის ბოლო საფეხურია დავის განხილვა შემოსავლების სამსახურის მედიაციის საბჭოში, რომლის მიერ გადაწყვეტილებების მიღების შემდეგ ხორციელდება საგადასახადო შემოწმების აქტის დამტკიცება.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში საჩივრის წარდგენა შეიძლება საგადასახადო კოდექსის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების მიღებიდან 20 კალენდარული დღის ვადაში. როგორც შემოსავლების სამსახურში, ისე დავების განხილვის საბჭოში გადასახადის

გადამხდელთა საჩივრის განხილვის ვადა არის 20 კალენდარული დღე. აღსანიშნავია, რომ მედიაციის საბჭოში საგადასახადო შემოწმების აქტის პროექტის განხილვის პროცედურისგან განსხვავებით, შემოსავლების სამსახურის ან/და დავების განხილვის საბჭოს მიერ საჩივრის განხილვის და გადაწყვეტილების მიღებისთვის დადგენილი ვადის დარღვევისას გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, აღნიშნული მიიჩნიოს საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმად და გასაჩივრების დადგენილი წესით.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროში დავა განიხილება დავების განხილვის საბჭოს მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობს ფინანსთა მინისტრი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ან ფინანსთა მინისტრის მიერ საბჭოს წევრთაგან დანიშნული პირი. დავების განხილვის საბჭო 14 წევრისგან შედგება. მისი წევრები შეიძლება იყვნენ როგორც ფინანსთა სამინისტროს თანამდებობის პირები, პარლამენტარები, დამოუკიდებელი ექსპერტები. საბჭოზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით და იგი შეიძლება გასაჩივრდეს, 10 კალენდარული დღის განმავლობაში გადაწყვეტილების მიღებიდან -სასამართლოში.

ფინანსთა სამინისტროს სისტემაში და სასამართლოში დავის პერიოდში გადამხდელი ვალდებულიასაგადასახადოდავალიანებისუზრუნველსაყოფადსაგადასახადოორგანოსწარუდგინოს თავდებობის ხელშეკრულება, საბანკო გარანტია... წინააღმდეგ შემთხვევაში, საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია დავის მთელ პერიოდში ყადაღა დაადოს გადამხდელის ქონებას ან საბანკო ანგარიშებს. თუ საქმე გადადეს რომელიმე მხარის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში საერთო სასამართლოში, მაშინ საქმე ჯერ განიხილება რაიონულ ან საქალაქო სასამართლოში, მეორე ინსტანცია სააპელაციო სასამართლოა და ბოლოს - უზენაესი სასამართლო. საქმე მიმდინარეობს სპეციფიკიდან გამომდინარე 2 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში.

სასამართლოს აქტი (გადაწყვეტილება, განჩინება), სასამართლოს მოთხოვნა და განკარგულება სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა პირისთვის(მათ შორის სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთათვის) და მისი შეუსრულებლობა იწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნადარაია ლ., როგავა ზ., რუხაძე კ., ბოლქვაძე ბ. - საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარები; თბ. 2012 წელი
2. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, სსმ, 54, 2010 წელი.
3. Duke V. GEC Reliance 1988
4. The Alternative Dispute Resolution Act of 1998//http// www.epa.gov/adr/adra 1998 pdf
5. The Federal Administrative Prosedura Act of 1946//http//biotech Jaw. Isu. Edu/ courses/studv aids/ adeav/500. htm
6. Бельсон Я. М. Ливанцев К. Е.- История государство и права США, Ленинград 1982 г.
7. Толстопятенко Г. П.- Европейская налоговое право М. норма 2001 г.

Legal aspects of resolving tax disputes: In the United States, Great Britain and Georgia

Ablotia Lika

Summary

The mechanisms for settlement of disputes between the tax authorities and the taxpayers are reflected in this article, how the taxpayer’s claims are regulated, their acceptance, review, and solution. Here is discussed the reality of the US, Britain and Georgia.

შრომით ურთიერთობებში პერსონალური მონაცემების დაცვის პრობლემატიკა საქართველოში

ასვანუა ნიკა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

შრომით ურთიერთობებში პერსონალური მონაცემების დაცვის პრობლემატიკის განხილვა მიზნად ისახავს დასაქმებისა და შრომითი ურთიერთობების პროცესში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მაღალი სტანდარტების დამკვიდრებას, მონაცემთა სუბიექტთა (დასაქმებულთა) უფლებების დაცვას, პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე მონაცემთა დამმუშავებლების (დამსაქმებლების) ცნობიერების ამაღლებასა და კანონის არაჯეროვანი ან/და არაერთგვაროვანი ინტერპრეტაციის პრევენციას.

ზემოაღნიშნული რეკომენდაციები მომზადებულია საქართველოს კანონმდებლობის, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის (89)2 რეკომენდაციის, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციების, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებისა და ევროპის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის საფუძველზე.

საკვანძო სიტყვები: პერსონალური მონაცემები; დასაქმებული; შრომითი ურთიერთობები; მონაცემთა კატეგორია.

ძირითადი ტექსტი

პერსონალურ მონაცემთა დაცვა ემსახურება ბალანსის უზრუნველყოფას დამსაქმებლის ლეგიტიმურ ინტერესსა და დასაქმებულის უფლებებს შორის. შრომით ურთიერთობებში პერსონალური მონაცემების დაცვა არ გულისხმობს დამსაქმებლის მიერ დასაქმების პროცესში საჭირო ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავების აკრძალვას. პერსონალურ მონაცემებს შეიცავს დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის შესახებ დამუშავებული ნებისმიერი სახის დოკუმენტი, მაგალითად, პირადობის მოწმობის ასლი, განათლების ან კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, ბიოგრაფია, სარეკომენდაციო წერილები, სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა, ტესტირების შედეგი, ფოტოსურათი, ელ-ფოსტა და ა.შ. დასაქმებისა და შრომითი ურთიერთობების პროცესში პერსონალური მონაცემები შესაძლებელია დამუშავდეს სხვადასხვა მიზნით, მაგალითად: კვალიფიციური კადრების შერჩევა, შრომითი ხელშეკრულების დადება, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება, ორგანიზაციის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვა, თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევა და სხვა. შრომითი ურთიერთობების პროცესში მონაცემთა დამმუშავებლის (დამსაქმებლის) მიერ მნიშვნელოვანია შემდეგი პრინციპების დაცვა:

- ადამიანის კონსტიტუციური უფლებების პატივისცემა
- პერსონალური მონაცემების დამუშავება სამართლიანად და კანონიერად
- დისკრიმინაციის დაუშვებლობა
- დასაქმებულთა ინფორმირებულობა
- ადეკვატურობა და პროპორციულობა

პერსონალური მონაცემების შეგროვება.

დასაქმებულის შესახებ პერსონალური მონაცემების შეგროვება უნდა ხდებოდეს უშუალოდ მისგან, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელია პერსონალური მონაცემების შეგროვება მესამე პირისგან, დასაქმებულს უნდა ეცნობოს ამის შესახებ - განემარტოს პერსონალური მონაცემების მესამე პირისგან მოპოვების მიზეზი და მიზანი, ინფორმაციის სავარაუდო წყარო და მისი მოპოვების საშუალება. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, მესამე პირისგან ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ დასაქმებულის წინასწარი და ინფორმირებული თანხმობით. პროპორციულობისა და ადეკვატურობის პრინციპიდან გამომდინარე, დამსაქმებელმა უნდა შეაგროვოს მხოლოდ ის პერსონალური მონაცემები, რომლებიც, სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით,

აუცილებელია კანდიდატის შესარჩევად და შრომითი ურთიერთობის წარმოშობისთვის. დასაქმების პროცესში უნდა შეგროვდეს მხოლოდ ის მონაცემები, რომლებიც აუცილებელია სასურველი კვალიფიკაციის მქონე კანდიდატის შესარჩევად. გასაუბრებისას დასმული შეკითხვები და მიღებული პირადი ხასიათის ინფორმაცია უნდა იყოს კონკრეტულ პოზიციაზე კვლიფიციური კადრის შერჩევის მიზნის ადეკვატური. დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისთვის იმ ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში, რომელიც არ არის საჭირო შრომითი ურთიერთობის მიზნებისთვის, დოკუმენტები უნდა დაუბრუნდეს მონაცემთა სუბიექტს ან განადგურდეს დადგენილი წესის შესაბამისად. თუ ვაკანსიაზე განმცხადებელს/კანდიდატს მოეთხოვება კითხვარის შევსება, სასურველია, კითხვარში აღინიშნოს, რომელი ველის შევსებაა სავალდებულო. არასავალდებულო ველების შეუვსებლობა არ უნდა გახდეს პირის შემდგომ ეტაპზე გადაყვანის შეზღუდვის საფუძველი. ტესტირების შედეგად მიღებული ინფორმაცია არის პერსონალური მონაცემი და მათი დამუშავება უნდა მოხდეს კანონით განსაზღვრული საფუძვლებით და პრინციპების დაცვით.

პერსონალური მონაცემების შენახვა.

პერსონალური მონაცემების შენახვისას, ისევე როგორც პერსონალური მონაცემების დამუშავების სხვა შემთხვევებში, აუცილებელია კანონით გათვალისწინებული პრინციპების დაცვა. დამსაქმებლის მიერ **შენახული უნდა იქნეს მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების კონკრეტული მიზნის მისაღწევად.** თანამშრომლის პირად საქმეში დამსაქმებელს გადააქვს მისი შერჩევისას დამუშავებული პერსონალური ინფორმაციის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც საჭიროა შრომითი ურთიერთობის დასამყარებლად. ინფორმაცია, რომლის შენახვის საჭიროებაც აღარ არსებობს, უნდა წაიშალოს ან განადგურდეს.

დასაქმებულის თანხმობა მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე

შრომითი ურთიერთობების პროცესში დასაქმებულის მიერ სხვადასხვა სახის პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტაციის წარდგენა დადგენილია კანონმდებლობით. გარკვეულ შემთხვევებში, მონაცემების დამუშავების საფუძველი არის მონაცემთა სუბიექტის (დასაქმებულის) თანხმობა, რომელიც მოპოვებული უნდა იქნეს კანონით დადგენილი ფორმით. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, თანხმობა არის **„მონაცემთა სუბიექტის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ მის შესახებ მონაცემთა განსაზღვრული მიზნით დამუშავებაზე ზეპირად, სატელეკომუნიკაციო ან სხვა შესაბამისი საშუალებით გამოხატული ნებაყოფლობითი თანხმობა, რომლითაც შესაძლებელია ნათლად დადგინდეს მონაცემთა სუბიექტის ნება.”** კანონის შესაბამისად, თანხმობად ვერ ჩაითვლება უმოქმედობა, თუმცა განმცხადებელის/ კანდიდატის მიერ დამსაქმებლისათვის პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის მიწოდება განიხილება მონაცემთა სუბიექტის თანხმობად. **თანხმობა გამოიხატება:** მონაცემთა კატეგორიაზე; მონაცემების დამუშავების მიზანზე; პირთა წრეზე, ვისაც შეიძლება გადაეცეს მონაცემები; მესამე პირისათვის მონაცემთა გადაცემის პირობებზე.

მონაცემთა დამუშავების მიზანი.

პერსონალური მონაცემები უნდა დამუშავდეს კანონიერი და მკაფიოდ განსაზღვრული მიზნით. „მონაცემთა დამუშავება“ თავად არ წარმოადგენს მიზანს, ისევე როგორც მიზანი არ შეიძლება იყოს აბსტრაქტული და ზოგადი ხასიათის. მიზანი უნდა იყოს კონკრეტული, მკაფიო და მარტივად გასაგები. პერსონალური მონაცემები გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ იმ მიზნით, რომლისთვისაც მოხდა მათი შეგროვება. თუ პერსონალური მონაცემების გამოყენება საჭირო გახდა სხვა მიზნით, ეს მიზანი წინააღმდეგობაში არ უნდა მოდიოდეს დამუშავების თავდაპირველ მიზანთან და მონაცემთა სუბიექტს უნდა ეცნობოს აღნიშნულის შესახებ._პერსონალური მონაცემები არ უნდა დამუშავდეს პირვანდელი მიზნისაგან განსხვავებული მიზნით, თუ დასაქმებულს არ გამოუხატავს აღნიშნულზე თანხმობა ან არ არსებობს განსხვავებული მიზნით მონაცემების დამუშავების სხვა საფუძველი. პერსონალური მონაცემები მესამე პირებს არ უნდა გადაეცეს დასაქმებულის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისა.

განსაკუთრებულიკატეგორიისმონაცემებისდამუშავებაშრომითურთიერთობებში„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს განეკუთვნება ინფორმაცია პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან, პოლიტიკურ შეხედულებებთან, რელიგიურ ან ფილოსოფიურ მრწამსთან, პროფესიული ორგანიზაციის წევრობასთან, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, სქესობრივ ცხოვრებასთან ან ნასამართლობასთან, ასევე ბიომეტრული მონაცემი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიცირება ზემოაღნიშნული ნიშნებით. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება აკრძალულია, გარდა კანონის მე-6 მუხლით განსაზღვრული გამონაკლისებისა. ერთ-ერთ გამონაკლისს წარმოადგენს მონაცემთა დამმუშავებლის მიერ შრომითი ვალდებულების შესრულებისათვის ან მასთან დაკავშირებული უფლების განხორციელებისათვის მონაცემთა დამუშავების აუცილებელობა. აღნიშნული საფუძველი არ უნდა განიმარტოს ფართოდ, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები უნდა დამუშავდეს მხოლოდ ლეგიტიმური მიზნის ადეკვატური მოცულობით. მაგალითი: დამსაქმებელი დასაქმებულებს სთხოვს სისხლის ჯგუფის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, რადგან ზოგიერთი მათგანი აყვანილია ჯანმრთელობის დაზიანების რისკის შემცველ სამუშაოზე. ამ შემთხვევაში სისხლის ჯგუფის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნა ლეგიტიმურია. თუმცა, სხვა თანამშრომლების მიმართ, რომლებიც მხოლოდ საოფისე სამუშაოს ასრულებენ, იგივე მოთხოვნის დაწესება შეიძლება ჩაითვალის არაადეკვატური მოცულობის ინფორმაციის მოთხოვნად.

საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ ითვალისწინებს საჯარო სამსახურში მუშაობის დამწყებთათვის სამედიცინო-ნარკოლოგიური ცნობის წარდგენის ვალდებულებას. ეს მოთხოვნა საჯარო დაწესებულებებისათვის წარმოადგენს მონაცემთა დამუშავების საფუძველს. კერძო სექტორში ანალოგიური მოთხოვნა შესაძლოა ეფუძნებოდეს ორგანიზაციის შინაგანაწესს ან სხვა რეგულაციას. ასევე გასათვალისწინებელია, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია დასაქმების პროცესში შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ შესასრულებელ სამუშაოსთან დასაქმებულის შესაბამისობის დადგენის, პრევენციული მედიცინის მოთხოვნების, შრომისუუნარობის დადგენის და სოციალური უზრუნველყოფის მიზნებისათვის. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავების შესაძლებლობა შრომითი ვალდებულების შესრულების მიზნებისათვის არ ნიშნავს, რომ ამ საფუძვლით უნდა გამართლდეს დასაქმებულის პირად ცხოვრებაში ჩარევა. მაგალითად, თუ პირი ექიმთან მიდის ვიზიტზე სამუშაო საათების განმავლობაში, დამსაქმებელს არ აქვს უფლება მოითხოვოს დიაგნოზი. ეს წესი მოქმედებს მაშინაც კი, როდესაც დამსაქმებელს აქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ პირმა სამუშაო საათები სხვა მიზნით გამოიყენა. გარკვეულ შემთხვევებში დამსაქმებელი უფლებამოსილია, დაამუშაოს პერსონალური მონაცემები, თუ აქვს ეჭვი რომ დასაქმებული სამუშაოზე გამოცხადდა ალკოჰოლის ან ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ. ასეთ დროს მნიშვნელოვანია ბალანსის დაცვა დამსაქმებლის ლეგიტიმურ ინტერესსა და დასაქმებულის უფლებას შორის. იმ შემთხვევაში, თუ დასაქმებულს სთხოვენ, ხელი მოაწეროს მისი განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავებაზე თანხმობას, თანხმობის ტექსტი შედგენილი უნდა იყოს მარტივ და გასაგებ ენაზე, ასევე მასში აღნიშნული უნდა იყოს, რა ფორმითა და ვადით დამუშავდება მონაცემები. დამსაქმებელმა არ უნდა შეაგროვოს პერსონალური მონაცემები, რომლებიც შეეხება პირის პოლიტიკურ შეხედულებას, რელიგიურ ან ფილოსოფიურ მრწამსს, სქესობრივ ცხოვრებას, აღნიშნული მონაცემების შეგროვება დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. კონკურსის საწყის ეტაპზე დამსაქმებელმა თავი უნდა შეიკავოს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების შეგროვებისაგან. კითხვები, რომლებიც უკავშირდება განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს, ამოღებული უნდა იქნეს სამუშაოზე განაცხადის ფორმიდან. საჭიროების შემთხვევაში, ამ კატეგორიის მონაცემები უნდა შეგროვდეს უკვე შერჩეული კანდიდატებისგან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუცია 59(1), 14 დეკემბერი, 1946. http://www.un.org/documents/ga/res/1/ares1.htm.
2. ადამაინის უფლებათა და ძირითად უფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია.
3. ევროკავშირის დირექტივა 95/46/EC.
4. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, როტარუ ვ. რომანია [GR], N. 28341/95, 4 მაისი 2000 წელი.
5. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, Amann v. Switzerland [GC], No. 27798/95, 16 თებერვალი 2000 წელი.
6. ევროპის საბჭო, მინისტრთა კომიტეტი (1990), რეკომენდაცია (90) 19 საგადახდო და სხვა დაკავშირებული ოპერაციების მიზნით გამოყენებულ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ. 13 სექტემბერი 1990 წელი.
7. კონვენცია პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ.
8. „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის დამატებითი ოქმი.
9. საქართველოს კანონი ,,პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“.
10. საქართველოს მთავრობის დადგენილება №180, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის საქმიანობისა და მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე.
11. Rec (89) 2 on the protection of personal data used for employment purposes – Committee of Ministers, Council of Europe, 18.01.1989.
12. Protection of workers personal data – International Labor Organization; Internationa Labor Office Geneva, 1997.

The problem of protection of personal data in labor relations in Georgia

Asvanua Nika

Summary

Labor relations, protection of personal data is aimed at discussing issues of employment and labor relations in the process of personal data protection with high standards of data subjects (workers') rights, the protection of personal data to a data processor (employers) awareness and K. Noni improper and / or prevention of multiple interpretations.

Recommendations are prepared on the basis of the Georgian legislation, Recommendation 2 of the Committee of Ministers of the Council of Europe (89), Recommendations of the International Labor Organization, the European Court of Human Rights and the best practices of European countries.

სავალუტო გაცვლითი კურსი და მოქმედი ფაქტორები

ბარკალაია ბესიკ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

გელაშვილი ნუგზარ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

სტატიის მიზანია საქართველოს მაგალითზე მიმოიხილოს გაცვლით კურსზე მოქმედი ფაქტორები. მკითხველს გააცნოს კავშირი ვალუტის რეალურ და ნომინალურ გაცვლით კურსებს შორის და განსაზღვროს მათზე მოქმედი ფაქტორები გრძელვადიან, საშუალო და მოკლევადიან პერიოდებში. ასევე, წარმოდგენილი თეორიული ჩარჩო გაცვლითი კურსის გრძელვადიანი დინამიკის პროგნოზირების საშუალებას იძლევა და ამავე დროს ხაზს უსვამს მის არაპროგნოზირებად ბუნებას მოკლევადიან პერიოდში.

საკვანძო სიტყვები: *ნომინალური, რეალური, მიკროეკონომიკა, მაკროეკონომიკა, მსყიდველობითი უნარის პარიტეტი, არბიტრაჟი, პროდუქტიულობა, მონეტარული, ფისკალური, ფუნდამენტური, ქაოტური, რისკ-პრემიუმი, დისბალანსი, ემპირული.*

ძირითადი ტექსტი

გაცვლითი კურსი ერთ-ერთ მნიშვნელოვან პარამეტრს წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკისთვის. გარდა ამისა, გაცვლითი კურსისადმი განსაკუთრებულ ინტერესს ეკონომიკური აგენტების მიერ სპეკულაციური ინტერესიც ქმნის. შესაბამისად, გაცვლითი კურსის პროგნოზი ყველასთვის დიდი ინტერესის საგანია, თუმცა მისი მოკლევადიანი დინამიკის პროგნოზირება ცდება, თუნდაც ყველაზე სრულყოფილი ეკონომიკური ანალიზის შესაძლებლობებს. გაცვლითი კურსი წარმოადგენს სხვადასხვა ქვეყნის ვალუტების ფარდობით ფასს, რაც კურსის თავისუფალი ცურვის რეჟიმის პირობებში ბაზარზე უცხოური ვალუტის მოთხოვნა-მიწოდებით განისაზღვრება. გარდა ფუნდამენტური ფაქტორებისა, მოკლევადიან პერიოდში ბაზრის მონაწილეთა მოლოდინები და სხვა მოკლევადიანი ფაქტორები ახდენს მნიშვნელოვან გავლენას და იწვევს მის მერყეობას. მეორე მხრივ, თვით მოლოდინები და კურსის პროგნოზი, გავლენას ახდენს ვალუტის მიმდინარე ფასზე, ანუ კურსზე მოქმედი ყველა ინფორმაცია მყისიერად აისახება მიმდინარე ფასში. შესაბამისად, რომ იყოს შესაძლებელი ფუნდამენტური ფაქტორებით სწორად განისაზღვროს კურსის პროგნოზი, მოკლევადიან პერიოდში ის ვერ გამართლდება.

მნიშვნელოვანია გავაცნობიეროთ, რომ მოკლევადიან პერიოდში მოქმედი ფაქტორები დიდად განსხვავდება საშუალო და გრძელვადიან პერიოდში მოქმედი ფაქტორებისგან. თუკი გაცვლით კურსზე გრძელვადიან პერიოდში სტრუქტურული ფაქტორების გავლენა დომინირებს, საშუალოვადიან პერიოდში ციკლური, ხოლო მოკლევადიან პერიოდში ბაზრის მონაწილეთა მოლოდინები და ვალუტის მიმდინარე ტრანზაქციებისთვის საჭიროება ახდენს გავლენას.

მნიშვნელოვანია ვახსენოთ ნომინალურ და რეალურ გაცვლით კურსებს შორის განსხვავება. თუკი ნომინალური გაცვლითი კურსი გამოსახავს უცხოური ვალუტის ფასს ადგილობრივი ვალუტით , რეალური გაცვლითი კურსი მხედველობაში ორივე ქვეყანაში ფასების დონეთა შორის განსხვავებასაც იღებს. შესაბამისად, რეალური კურსი წარმოადგენს უცხოური საქონლის ფასს გამოხატულს ადგილობრივი საქონლით (ან პირიქით). საშუალო და გრძელვადიან პერიოდში მაკროეკონომიკური ფაქტორების ანალიზს სწორედ რეალური გაცვლითი კურსისთვის განვიხილავთ, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ინფლაცია პროგნოზირებადი და სტაბილურია, რეალური გაცვლითი კურსის დინამიკა საკმაოდ მაღალი კორელაციით აისახება ნომინალური გაცვლითი კურსის დინამიკაზე.

გრძელვადიან პერიოდში გაცვლითი კურსის ანალიზისას მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ გაცვლითი კურსის დინამიკის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი გრძელვადიანი წონასწორული მნიშვნელობა და მისი ტრენდია. შესაბამისად, გრძელვადიანი წონასწორული მაჩვენებლის

შეფასება საშუალებას იძლევა დადგინდეს გაცვლითი კურსის სავარაუდო დინამიკა გრძელვადიან პერსპექტივაში. რამდენადაც არ არსებობს ერთი შეთანხმებული მეთოდი, რომელიც ყველა ქვეყნისთვის ზუსტად შეაფასებდა გაცვლითი კურსის გრძელვადიან წონასწორულ დონეს, ეკონომისტები ამ მიზნით სხვადასხვა მეთოდებსა და მოდელებს იყენებენ, რათა შეიქმნან კონკრეტული წარმოდგენა კურსის სამომავლო დინამიკაზე.

გრძელვადიანი წონასწორობის შეფასების ერთ-ერთი ყველაზე ტრადიციული მეთოდია მსყიდველობითი უნარის პარიტეტი (PPP). ამ მეთოდის მიხედვით, რეალური გაცვლითი კურსის გრძელვადიანი წონასწორული მნიშვნელობა ადგილობრივი და უცხოური ფასების/ინფლაციების თანაფარდობით განისაზღვრება, რასაც საფუძვლად უდევს ვაჭრობად საქონელსა და მომსახურებაზე არბიტრაჟის შესაძლებლობა. ეს უკანასკნელი გულისხმობს, რომ ვაჭრობად საქონელზე ყველა ქვეყანაში თანაბარი ფასი უნდა იყოს. ანუ PPP-ის აბსოლუტური ფორმა გულისხმობს ადგილობრივი და უცხოური საქონლის ღირებულების ტოლობას. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ სატრანსპორტო და საოპერაციო ხარჯების, საერთაშორისო ვაჭრობაში ტარიფებისა და ბარიერების არსებობა და ასევე ის, რომ ადგილობრივი და უცხოური საქონელი სრულიად იდენტური არაა, აღნიშნული PPP აბსოლუტური ფორმიდან გადახრას განაპირობებს.

გრძელვადიან პერიოდში ხელფასების ზრდა საბოლოოდ ქვეყანაში ადგილობრივ ინფლაციას და რეალური კურსის გამყარებას განაპირობებს. უფრო კონკრეტულად, თუკი ადგილობრივი ქვეყნის ვაჭრობად სექტორში პროდუქტიულობის ზრდა უფრო მაღალია ვიდრე უცხოური ქვეყნის შესაბამის სექტორში, მაშინ ადგილობრივი ქვეყნის არავაჭრობადი საქონელის ფასები უფრო სწრაფად გაიზრდება ვიდრე ვაჭრობადი, რაც რეალური გაცვლითი კურსის გამყარებას განაპირობებს. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ პროდუქტიულობის ზრდის ტემპებს შორის სხვაობა ადგილობრივ და უცხოურ ქვეყანას შორის, გრძელვადიანად რეალური გაცვლითი კურსის დინამიკას განაპირობებს.

საქართველოს მაგალითზე რომ გადმოვინაცვლოთ, საჭიროა დავაკვირდეთ ბოლო ათწლეულის ისტორიულ მონაცემებს და შემდგომ პერიოდთან დაკავშირებით შევაფასოთ მოსალოდნელი დინამიკა, რა თქმა უნდა, გარკვეული დაშვებების პირობით. კერძოდ, ცხრილი 1-ში მოყვანილია საქართველოს და მისი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებისთვის წარმოების ფაქტორთა პროდუქტიულობის ზრდის მაჩვენებლები ისტორიულად. როგორც მონაცემებიდან ჩანს, ბოლო 15 წლის მანძილზე საშუალოდ საქართველო უფრო მაღალი პროდუქტიულობის ზრდით ხასიათდებოდა ვიდრე მისი განვითარებული პარტნიორები და ასევე თურქეთი. აღნიშნული სავსებით ლოგიკურია, რადგან კონვერგენციის ჰიპოთეზის თანახმად, დაბალი განვითარების ეტაპზე მყოფი ქვეყნებისთვის უფრო მაღალი ტემპით ზრდა არის დამახასიათებელი და დროთა განმავლობაში, როდესაც ისინი აღწევენ განვითარებული ქვეყნების დონეს, ზრდის ტემპიც მცირდება .

ცხრილი №1.

პროდუქტიულობის საშუალო წლიური ზრდის ტემპი

ქვეყანა	1999-2013 წწ.	სხვაობა
საქართველო	5,1	
აშშ	0,7	4,4
ევროპა	0,5	4,6
თურქეთი	1,2	3,9

პროდუქტიულობის ზრდებს შორის სხვაობა განსაზღვრავს რეალური გაცვლითი კურსის დინამიკას. ცხრილი 2-ში მოყვანილია ლარის რეალური გაცვლითი კურსის გამყარების ტემპი სხვადასხვა ვალუტებთან მიმართებით, რომელიც შესაბამისობაშია და დიდწილად პროდუქტიულობის ზრდების სხვაობით არის განპირობებული. აღნიშნული მიდგომით, რეალური კურსის გრძელვადიანი პროგნოზირება რომ განვიზრახოთ, საჭიროა შევაფასოთ პროდუქტიულობის შემდგომი ზრდის ტემპები ჩვენსა და სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს შორის. რეალური გაცვლითი კურსი კი თავის მხრივ ნომინალურ კურსს განსაზღვრავს ინფლაციის გათვალისწინებით. შესაბამისად, ნომინალური კურსის გრძელვადიან დინამიკაზე რომ ვიმსჯელოთ, უნდა გავითვალისწინოთ ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლები საქართველოსა და მის სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს შორის.

ცხრილი №2.

ლარის რეალური გაცვლითი კურსის გამყარება ძირითადი პარტნიორი ქვეყნების ვალუტებთან მიმართებით

ქვეყანა	2000-2013წწ
აშშ დოლარი	4,8
ევრო	5,5
ლირა	2,1
რეალური ეფექტური კურსი	1,5

საშუალოვადიან პერიოდში გაცვლითი კურსის დინამიკას, ძირითადად ადგილობრივი და უცხოური ქვეყნის ბიზნეს ციკლი, მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა განსაზღვრავს. ციკლური ძალები ხშირად იწვევს გაცვლითი კურსის წონასწორობიდან გადახრას, რომელიც შესაძლოა საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდით შენარჩუნდეს. თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში საშუალოვადიანი ციკლური ფაქტორები პრაქტიკულად უჩინარდება და მათი გავლენა მინიმალურია. უფრო კონკრეტულად, გაცვლითი კურსის საშუალოვადიან განმსაზღვრელ ძირითად ფაქტორებს მიეკუთვნება საპროცენტო განაკვეთებს შორის სხვაობა ადგილობრივ და უცხოურ ბაზრებზე, საგარეო ვაჭრობის, მიმდინარე და კაპიტალის ანგარიშების ტენდენციები, მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა და სხვა. კვლევების მიხედვით, აღნიშნული ცვლადები კურსის საშუალოვადიანი ტენდენციას ყველაზე კარგად ხსნის. თუმცა, ზოგჯერ გარკვეული მიზეზებით არსებული კორელაციები ირღვევა და ამ ცვლადების გამოყენებაც არ კმარა პროგნოზირებისთვის.

უცხოური კაპიტალის მოძრაობა ბოლო ათწლეულებში უფრო თავისუფალი გახდა, რასაც ქვეყნების მხრიდან ბარიერების მოხსნამ და ფინანსურმა ინტეგრაციამ შეუწყო ხელი. უცხოური კაპიტალის ნაკადების ზრდასთან ერთად, ქვეყნებს შორის საპროცენტო განაკვეთების სხვაობის როლი გაცვლითი კურსის განსაზღვრაში გაიზარდა. დაუზღვეველი საპროცენტო განაკვეთების პარიტეტის (UIP) მოდელი დაფუძნებულია ჰიპოთეზაზე, რომ მსგავსი რისკიანობის მქონე ინვესტიცია ერთსა და იმავე მოსალოდნელ ამონაგებს უნდა იძლეოდეს ადგილობრივი და უცხოური ვალუტით ინვესტირებისას. უფრო ფორმალურად რომ ჩავწეროთ: Zt =Zt e + rt − rt სადაც Zt e მოსალოდნელი რეალური გაცვლითი კურსი, ხოლო r − r* ადგილობრივი და უცხოური რეალურ საპროცენტო განაკვეთებს შორის სხვაობაა, თანაბარი რისკის პირობებში. ამ მოდელის მიხედვით, ადგილობრივი ვალუტის რეალური ღირებულება გაიზრდება თუ ადგილობრივ და უცხოურ საპროცენტო განაკვეთებს შორის სხვაობა გაიზრდება. აღნიშნული მოდელის რეალობასთან ადაპტირების მიზნით საჭიროა გათვალისწინებულ იქნას ადგილობრივ და უცხოურ აქტივებზე არსებული რისკ პრემიუმები. კერძოდ, ადგილობრივი ვალუტის საინვესტიციო აქტივებზე რისკის ზრდა ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების ზეწოლას შექმნის, ხოლო უცხოურ აქტივებზე რისკ პრემიუმის ზრდა პირიქით, ადგილობრივი ვალუტის გამყარებას განაპირობებს. საშუალოვადიან პერიოდში გაცვლით კურსზე მოქმედ ფაქტორებს შორის ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მიმდინარე ანგარიშს. კერძოდ, ამ უკანასკნელის დისბალანსმა რამდენიმე არხით შეიძლება მოახდინოს გავლენა გაცვლით კურსზე. პირველი, დიდი საგარეო დისბალანსის არსებობამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს ადგილობრივი ვალუტის მოთხოვნა-მიწოდებაზე და შესაბამისად, პირდაპირი გავლენა იქონიოს გაცვლითი კურსის დინამიკაზე. მეორე, ზოგადი მოსაზრების მიხედვით, არსებობს ქვეყნის შესაძლებლობის გარკვეული ზღვარი, ანუ არ შეიძლება მიმდინარე ანგარიშის დიდი დეფიციტი მუდმივად შენარჩუნდეს, რადგან მაღალმა დეფიციტმა უნდა გამოიწვიოს ქვეყნის უცხოელი ინვესტორების მიმართ ვალის დაუსრულებელი ზრდა. ხოლო, თუ უცხოელი ინვესტორების შეფასებით საგარეო ვალი არამდგრადი გახდა, ეს გამოიწვევს ადგილობრივი ვალუტის გაუფასურებას, რათა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი შემცირდეს და საგარეო ვალის მდგრად დონეზე სტაბილიზაცია მოხდეს.

ემპირიული კვლევები მიუთითებს, რომ მოკლევადიან პერიოდში გაცვლითი კურსის მოსალოდნელი დინამიკის პროგნოზირებისთვის ზემოაღნიშნულ ფუნდამენტურ ფაქტორებზე დაფუძნებული მოდელები უსარგებლოა. მიუხედავად იმისა, რომ საშუალო და გრძელვადიან პერიოდში ფუნდამენტური ფაქტორების ანალიზი მეტ-ნაკლები წარმატებით გამოიყენება გაცვლითი

კურსის პროგნოზირებისათვის, შემთხვევითი სვლა (random walk) ყველაზე კარგად ახასიათებს გაცვლითი კურსის მოძრაობას მოკლევადიან პერიოდში.

ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც მოკლევადიანი პერიოდისთვის ვერ ხდება სტაბილური კავშირების გამოვლენა მაკროეკონომიკურ ცვლადებსა და გაცვლითი კურსს შორის არის ის, რომ გაცვლითი კურსის მოკლევადიანი მერყეობა ხშირად ქაოტურია და ბევრად უფრო მერყევი, ვიდრე მაკროეკონომიკური ცვლადები. გაცვლითი კურსის ქაოსური ქცევა ისეთ ხმაურს (noise) წარმოქმნის, რომ ბუნდოვანი ხდება მაკროეკონომიკურ დროით მწკრივებსა და გაცვლითი კურსის მოძრაობას შორის არსებული ნებისმიერი კავშირი მოკლევადიან პერიოდში.

თავის მხრივ, კურსის ხშირად ქაოტურ მოკლევადიან მერყეობას, ბაზრის მონაწილეთა მიერ უწყვეტად განახლებად ინფორმაციაზე და შესაბამისად მოსალოდნელ კურსზე რეაგირება ქმნის. თუკი რაიმე ახალი ინფორმაცია კურსის მოსალოდნელ მნიშვნელობაზე მოახდენს გავლენას, იგი მყისიერად აისახება მიმდინარე კურსზე. მაგალითად, თუკი წარმოვიდგენთ, რომ ბაზარზე ხელმისაწვდომი გახდა ინფორმაცია, რომელიც მოსალოდნელი კურსის გამყარებას მიუთითებს, იგი ინვესტორთა მხრიდან მოთხოვნას გაზრდის მოცემულ ვალუტაზე (ისევე როგორც სხვა ნებისმიერ გაძვირებად აქტივზე მოხდებოდა) და მიმდინარე კურსზეც მყისიერად აისახება. შეიძლება ითქვას, რომ მიმდინარე საბაზრო კურსი თავისთავად უკვე მოიცავს ბაზარზე არსებულ ყველა ინფორმაციას და შესაბამისად არავითარი დამატებითი ღირებულება მოკლევადიანი კურსის პროგნოზირებას არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით არ გააჩნია. მოკლევადიან პერიოდში გაცვლითი კურსისთვის შემთხვევითი სვლის მოდელი გულისხმობს, რომ ყოველი შემდგომი პერიოდისთვის კურსის მოცემული დოზით გამყარება ან გაუფასურება ერთნაირად მოსალოდნელია, რაც ნიშნავს, რომ შემდგომი მნიშვნელობა სიმეტრიულად არის განაწილებული საშუალოს მიმართ. ამ უკანასკნელს კი მიმდინარე მნიშვნელობა წარმოადგენს. შესაბამისად, ითვლება, რომ თავისუფლად მცურავი კურსის პირობებში და როდესაც ტრანზაქციები შეუზღუდავია, გაცვლითი კურსის საუკეთესო მოკლევადიანი პროგნოზი მისი მიმდინარე განაკვეთია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. N.GREGORY MANKIW – Principles of Economics ;
2. Rogoff, Kenneth. “The purchasing power parity puzzle.” Journal of Economic literature (1996):
3. Aukrust, Odd. Inflation in the open economy: A Norwegian model. 1977
4. WWW.NBG.GOV.GE
5. WWW.LARI.GE
6. WWW.MOF.GE

Currency exchange rate and operating factors

Barkalaia Besik
Gelashvili Nugzar

Summery

The article discusses the factors affecting foreign exchange rate on different horizons of time and with the information-specific interaction between real and nominal exchange rates. The article also includes a long-term prediction framework for real and nominal exchange rates. According to the above mentioned framework, the real and nominal exchange rates of lari against dollar, euro and lira is expected it will have an average tendency of appreciation in the long-term. The article also analyzes fundamental factors affecting exchange rate in the medium-term and emphasizes the chaotic nature of the exchange rate in the short-term. Consequently, it’s current value is the best forecast for the exchange rate in the short-term.

ვენჩურული კაპიტალის კომპანია და მისი განსაკუთრებული როლი თანამედროვე პირობებში

ბარკალაია ბესიკ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

იაშაღაშვილი მარიამ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია დაფინანსების (Funding) ალტერნატიული საშუალება, რომელიც ცნობილია, როგოც ვენჩურული კაპიტალი და აღწერილია მისი საქმიანობა. ვენჩურული კაპიტალი ციკლური ბიზნესია, რომელისთვისაც მნისვნელოვანია არა მარტო შიდა დინამიკა, არამედ გარე ეკონომიკური წყაროების გავლენა და რყევები ფინანსურ ბაზრებზე. ვენჩურული კაპიტალის ფირმები პროფესიონალი, ინსტიტუციური მენეჯერები არიან, რისკიანი კაპიტალის ,რომლებიც მხარდაჭერას უცხადებენ ყველაზე ინოვაციურ და პერსპექტიული ბიზნესებს. ეს ფული ახალი იდეების დაფინანსებას ემსახურება, რასაც პრაქტიკულად ტრადიციული საბანკო დაფინანსებით ვერ მოიპოვებს დამწყები კომპანია. ეს ისეთი ტიპის კომპანიებია, რომლებსაც საერთოდ არ აქვთ ზომა, აქტივები და ოპერაციების ისტორიები. 21-ე საუკუნეში მსოფლიო ეკონომიკა წარმოჩნდა, როგორც ტექნოლოგიური განვითარების სწრაფი პროგრესი სადაც, წინაპლანზეა წარმოჩენილი დიდი მოცულობითი ინფორმაციის სწრაფი გავრცელების შეუზღუდავი შესაძლებლობები. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მისი შესაძლებლობები ამოწურული არ არის და მას ძალუძს დროთა განმავლობაში კიდევ უფრო განვითარდეს. ამავე დროს, ახალი შესაძლებლობების და მეთოდების გამოყენების უნარი რჩება გარკვეულწილად შეზღუდული და არათანაბრად განაწილებული. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კვლევა და განვითარება მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული ადამიანური კაპიტალის განვითარების ხარისხობრივ დონეზე. ამათთან კავშირში, აუცილებელია ინოვაციური კველევები მიმდინარეობდეს კონკურენტუნარიან გარემოში .

საკვანძო სიტყვები: *ეკონიმიკა, კაპიტალი, ქვეყნები, ტექნოლოგია, ვენჩურული, ფონდები, კონკურენტუნარიანობა, გლობალური, ინოვაცია, ბაზრები, პოლიტიკა, კომპანიები, ინვესტიცია, მოსახლეობა, რისკები, განვითარება.*

ძირითადი ტექსტი

მსოფლიოში, დღეს არსებული მსხვილი კომპანიები რომლებიც კვლავ აგრძელებენ ტექნოლოგიებთან დაკავშირებით კვლევებს, წამოიზარდნენ და განვითარდნენ კონკურენტუნარიან გარემოში და საბოლოოდ ჩამოყალიბდნენ გლობალურ ორგანიზაციებად. ასეთი კომპანიების (კორპორაციების) სიმრავლით მსოფლიოს ქვეყნებიდან გამოირჩევა აშშ, ჩინეთი და სხვ. ასევე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დროის ცვლილებასთან ერთად აუცილებელი ხდება ამ ორგანიზაციებში აუცილებელი სიახლეების დანერგვა-განვითარებაც და რაც საშუალებას აძლევს კიდევ უფრო გაძლიერდნენ. ბუნებრივია, აღნიშნული დამოკიდებულებები მიმდინარეობს გარკვეული რისკ ფაქტორების გათვალისწინებითაც მაგრამ, მათ მფლობელობაში არსებული კაპიტალი საშუალებას აძლევს გარკვეულწილად, უმტკივნეულოდ გაართვან თავი წარმოქმნილ პრობლემებს.

საერთოდ, მრავალ ქვეყანაში სადაც ასეთი სახის ორგანიზაციები წარმოიშვებიან, საწყის ეტაპზე საჭიროა მეტი ძალისხმევა, რათა თავიდან იქნას აცილებული ან მინიმუმამდე დაყვანილი რისკებთან დაკავშირებული პრობლემები ამ მხრივ კი, საგულისხმოა ბიზნეს ფორმირების ადრეულ ეტაპებზე ახალ ტექნოლოგიებში ინვესტირების განხორციელება ვენჩურული კაპიტალის სახით. ასეთ მიდგომას, დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური ზრდის კუთხით და მნიშვნელოვან როლს ასრულებს კომპანიების განვითარების ადრეულ ეტაპებზე. ამ მიზნით, ბოლო პერიოდში მსოფლიოს სხვადასხვა

ქვეყნებმა შეიმუშავეს ახალი პოლიტიკა ვენჩურული კაპიტალის გამოყენებით ახალი კომპანიების დასაარსებლად. ასეთ მიდგომას ფართოდ აქვს გზა გახსნილი აშშ-ში სადაც, გარკვეულ წარმატებასა და სტაბილურ ფუნქციონირებას ქვეყნის ძლიერი და დინამიური ინდუსტრია უზრუნველყოფს და რომელსაც ასევე, დიდი გავლენა აქვს მსოფლიო პოლიტიკის განსაზღვრა-ჩამოყალიბებაში. ამ დამოკიდებულების შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელია შესწავლილ და გაანალიზებულ იქნას კაპიტალის ბაზრის სფეროში განვითარებული სპეციფიური მოვლენები, შემდგომ კი, შემუშავდეს - სტრატეგიები. აღნიშნულთან დაკავშირებით, საერთაშორისო ორგანიზაციამ (IKED) მოამზადა ანგარიში, რომელმაც უნდა უზრუნველყოს დამატებითი ღონისძიებათა ციკლის შემუშავება-გატარება, რომელიც ეხება კაპიტალის ბაზრის განვითარებას. აღნიშნული ანგარიში რეკომენდაციის სახით წარმოადგენს შემდეგს, კერძოდ, ჩატარებული კვლევები ძირითადად ოთხი მიმართულებით არის მისაღები. პირველი - განიხილავს ვენჩურული კაპიტალის ინდუსტრიას გლობალური პერსპექტივით და შეისწავლის, ადარებს ბაზრის ტენდენციების პოლიტიკას მთელი წლის განმავლობაში. მეორე - ხაზს უსვამს ვენჩურული კაპიტალის უნიკალურ როლს, რომელიც უკავშირდება ბაზარზე არსებულ სხვა ,,მოთამაშეებს", რომლებიც ძალიან მნიშვნელოვანია ინოვაციის შემდგომი განვითარებისათვის და ხაზს უსვამს პოლიტიკის ინიციატივების როლს ამ სფეროში ჯანსაღი ურთიერთქმედების უზრუნველსაყოფად. მესამე - კრიტიკულად განიხილავს ინტერვენციების როლს და საჯარო სექტორის მიერ ტექნოლოგიური განვითარების ხელშეწყობის რისკის გატარების გზებს. მეოთხე - ვენჩერული კაპიტალის მიმართულებით, მნიშვნელოვანია სკანდინავიური მოდელი, რომლის მიერ გატარებულმა პოლიტიკამ, დიდად შეუწყო ხელი ვენჩურული კაპიტალის ბაზრების განვითარებას.

1980 წლამდე ვენჩურული კაპიტალის ინდუსტრია თეორიულად განიხილებოდა, როგორც პოტენციური მდგრადი პარტნიორი და მნიშვნელოვანი კაპიტალის მიმწოდებელი ახალი და სწრაფად განვითარებადი კომპანიებისათვის. 1980 წლის დასაწყისში პირველი ვენჩურული კაპიტალის ინვესტიციებიდან დაწყებული აღნიშნული სექტორის ზრდა შეიმჩნეოდა დანიაში. თუმცა, ვენჩურული კაპიტალის ბაზრები მგძნობიარენი არიან ეკონომიკური არასტაბილურობის მიმართ და არამყარი ეკონომიკური მდგომარეობის გამო მნიშვნელოვნად შემცირდა ვენჩურული კაპიტალის ინდუსტრიის ფინანსირება წლის ბოლოს.

კლასიკური ტიპის ვენჩურული კაპიტალი წარმოიქმნება სხვა ტიპის ინვესტორისგან. ვენჩურული კაპიტალის მფლობელები ხშირად არიან წამყვანი მოთამაშეები შრომის განაწილების კუთხით უნივერსიტეტებსა და სხვადასხვა კომპანიებს შორის, რომლებიც ახორციელებენ თავიანთ საქმიანობას ახალი ტექნოლოგიების შექმნის მიმართულებით.

ვენჩურული კაპიტალის კომპანიები მოქმედებენ, როგორც შუამავლები ინვესტორებსა და სხვა კომპანიებს შორის (სადაც იდება კონკრეტული ინვესტიცია) და ინვესტორები შესაძლოა იყვნენ - ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, ფიზიკური პირები და საპენსიო ფონდები. საერთოდ, ვენჩურული კაპიტალის კომპანიების მთავარი მიზანი არის მიიღონ მაქსიმალური მოგება 5-10 წლიანი ინვესტირების გზით. მოგების მიღება (ანაზღაურება) იქნება იმ ფორმით, რაც გულისხმობს კომპანიის წილის დათმობას (გაყიდვას) ან პირველადი საჯარო შეთავაზებას (Initial Public Offering)-ს ამ ვადის გასვლის შემდგომ.

ვენჩურული კაპიტალის კომპანია, ეს არის იგივე ინსტიტუციური ინვესტორი სადაც, მის გარდა, კომპანიაში თავისი სტრუქტურიდან გამომდინარე ჩართული არიან შეზღუდული რაოდენობის პერტნიორები. ვენჩურული კაპიტალის კომპანიაში მონაწილეობს ორი ძირითადი რგოლი - ძირითადი და შეზღუდული პარტნიორები. ძირითადი პარტნიორები არიან საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებაზე პასუხისმგებელი პირები (მოიძიონ სტარტაპები და აწარმოონ მოლაპარაკებები) მეორეს მხრივ, არსებობენ შეზღუდული პარტნიორები (მოსახლეობა და ორგანიზაციები), რომლებიც უზრუნველყოფენ საჭირო ინვესტიციების მოცულობებს. სხვა სიტყვებით, ძირითადი პარტნიორები ახორციელებენ ინვესტიციებს და შეზღუდული პარტნიორები აწვდიან ფონდებს. ეს არის ერთ-ერთი ძირითადი განსხვავება ვენჩურული კაპიტალის ფონდების სხვა საინვესტიციო ფონდებისგან.

ვენჩურული კაპიტალის ფონდები არ იყენებენ საკუთარი პარტნიორის ფონდებს ინვესტირებისათვის, როგორებიცაა საპენსიო ფონდები, საჯარო საწარმოს ფონდები, საქველმოქმედო ფონდები, ჰეჯირების ფონდები და სხვ. ზოგად პარტნიორებს შეუძლიათ გარკვეული თანხის ინვესტიცია განახორციელონ ფონდებში, მაგრამ ეს არ უნდა აღემატებოდეს ფონდის მთლიანი მოცულობის 1%-ს.

ვენჩურული კაპიტალის კომპანია განსხვავდება ,,ანგელოზი" ინვესტორისგან იმით, რომ პირველი თავის საკუთარ თანხებს დებს ინვესტიციებში, მას სხვა ტიპის წახალისებები გააჩნია და ინვესტიციას ყოველთვის ადრეულ სტადიაზე ახორციელებს განსხვავებით, ინსტიტუციონალური ინვესტორისგან. ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ინდუსტრიის, კომპანიების ვენჩერული კაპიტალი უნდა განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან, დიფერენციაცია მნიშვნელოვანია შეზღუდული პარტნიორების მოზიდვის კუთხით, ისევე როგორც საუკეთესო მეწარმეების მოზიდვა.

ვინაიდან დამწყებ კომპანიებს სჭირდებათ კაპიტალი, ამისათვის მათ უნდა შეძლონ და დაარწმუნონ ვენჩურული კაპიტალის ფონდები და სხვადასხვა ინვესტორები რათა მოიზიდონ თანხები თავიანთი წილების სანაცვლოდ. ანალოგიურად ვენჩურული კაპიტალის ძირითადმა პარტნიორებმა უნდა დაარწმუნონ სხვადასხვა ორგანიზაციები ჩადონ ინვესტიცია ფონდში მნიშვნელოვანი უკუგების მიღების სანაცვლოდ გარკვეული ვადის განმავლობაში (დაახლოებით 10 წლით). ვენჩურული კაპიტალის ფირმებმა უნდა განახორციელონ გონივრული ინვესტიციები, ვინაიდან მათ შეძლონ შეზღუდული პარტნიორებისთვის ძირითადი თანხის და მოგების დაბრუნება. ვენჩურული კაპიტალის კომპანიამ დიფერენციაცია კონკრეტული ინდუსტრის მიხედვით თავად უნდა მოახდინოს ინვესტირების მიხედვით. ანუ, ვენჩურული კაპიტალის კომპანიები როგორც წესი, სპეციალიზდებიან კონკრეტულ ეტაპებზე, ბიზნეს მოდელებში და ,,ვერტიკალურ" კომპანიებში.

ეტაპების მიხედვით დიფერენციაცია არსებობს მრავალი, იმისდა მიხედვით თუ რომელ ეტაპზე და რა ტიპის საწყისი (Startups) დაფინანსება ხდება შესაბამისი ლიმიტირებული ფონდებით. საწყისი დაფინანსება შეიძლება დაიყოს სხვადასხვა ვერტიკალში და ბიზნეს მოდელებში, როგორცაა მაგალითად, სამომხმარებლო, პროგრამული უზრუნველყოფა, ფინანსური ტექნოლოგია (Fintech), E-Commerce, უძრავი ქონების ტექნოლოგია, განათლების ტექნოლოგია (EdTech) და ა.შ. რომელიც საშუალებას აძლევს ამ მიმართულებით მიიღონ ცოდნა, ინდუსტრიას დაეხმარონ კონკრეტული, საწყისი კაპიტალის მოზიდვაში.

ვენჩურული კაპიტალი ზოგჯერ ახორციელებს ინვესტიციებს კომპანიებში, რომელთაც მომავალი შემოსავლები ადრეულ ეტაპზე არ ექნებათ, სამაგიეროდ ისინი აშენებენ და ქმნიან ერთიან ბაზას ან აუდიტორიას, რომლებიც მოგვიანებით ფულად ,,გარდაიქმანებიან". ასეთი ტიპის ინვესტიცია განსაკუთრებით დამახასიათებელია სამომხმარებლო ტექნოლოგიების დამწყებთათვის, როგორიცაა Facebook, Twitter და Snapchat, რომელთაც შემოსავლის მოტანა მოგვიანებით დაიწყეს. თუმცა არსებობს ისეთი ტიპის ინვესტირება, რომელიც ადრეულ სტადიაზეც მოიტანს გარკვეულ შემოსავალს, უკვე მომგებიან პროექტში. ძირითადად, საერთო რაც უნდა ჰქონდეთ ვენჩურული კაპიტალიის მხარდამჭერ კომპანიებს ეს არის გარკვეული პოტენციალი ექსპონენციალური ზრდისა და მასიური შემოსავლის მიღების კუთხით ბიზნესში.

ვენჩურული კაპიტალის საქმიანობა გულისხმობს რეგიონული ბაზრების რესტრუქტურირების შესაძლებლობებს და რეაგირებას ტრანსნაციონალური მოთხოვნების მიმართ. მექანიზმები და საშუალებებით ასეთი ადაპტაცია ხშირად დაბალია. დღევანდელ ბაზრებზე გლობალური დაახლოების ტენდენციის მიუხედავად, ინტეგრირებული მრეწველობის განვითარება ხელს უშლის ეროვნული სამართლებრივი სისტემების, საზოგადოებრივი მხარდაჭერის სისტემებსა და საინვესტიციო კულტურებში არსებულ შეუსაბამობებს. შედარებით პატარა შიდა ბაზრებზე ქვეყნებს შეუძლიათ უფრო მეტად მიდრეკილნი იყვნენ საზღვრების გასწვრივ თანამშრომლობაზე და შეიძლება მეტი უპირატესობის მიღება იმ ინიციატივებისა და რეფორმების გამარტივების კუთხით, რომლებიც ხელს უწყობენ ,,ღია პრინციპების განვითარებას" და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას.

ვენჩურული კაპიტალის ბაზრის განვითარება საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვ-ანია. ერთადერთი საშუალებაა დიდი ოდენობით ინვესტიციების მოზიდვის კუთხით ქვეყნის

ეკონომიკაში, წარმატებული ბიზნეს წამოწყებები კი თავსი მხრივ გაზრდის ქვეყნის ცნობადობას საზღვრებს გარეთ და ამით, კიდევ დამატებით ახალი ინვესტიციების მოზიდვის საშუალებას აძლებს ქვეყენას.

პროექტების დაფინანსება თავის მხრივ გამოიწვევს საწარმოს გაფართოებას, რაც აისახება დასაქმების ზრდით. შედეგად კი მივიღებთ პირდაპირ, თუ არაპირდაპირ მომწოდებლებისა თუ საშუამავლო მომსახურე რგოლის შემოსავლების ზრდას, რაც ფართო გავლენას მოახდენს დასაქმების დონეზეც. იზრდება შეკვეთები და შემოსავლები საბროკერო-საშუამავლო, აუდიტორული, იურიდიული, კვლევითი თუ სხვა დამხმარე კომპანიებისათვის. განვითარებული კაპიტალის ბაზრები ხელს კონკურენტუნარიანობის წარმოქმნას, ბიზნესის გამჭვირვალობას, სტაბილურ ეკონომიკურ ზრდას და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას. ვენჩურული კაპიტალის ფონდების საქმიანობა შემოიფარგლება განვითარებული რეგიონების ქვეყნებში, როგორიცაა ჩრდილოეთ ამერიკა, ევროპა ხოლო ნაკლებად, აზიის რეგიონში. მსოფლიოს სხვა ნაწილებმა, როგორიცაა ახლო აღმოსავლეთი, აფრიკა და ცენტრალური და სამხრეთ ამერიკა, მოახერეს მოეზიდათ მხოლოდ მცირე რაოდენობის ინვესტიციები, იმ ქვეყნებში, სადაც ცოტაა ვენჩურული კაპიტალის მოზიდვის შესაძლებლობები , უამრავი რეფორმაა საჭირო, რათა მიღწეულ იქნეს მნიშვნელოვანი ცვლილება აღნიშნული ბაზრის განვითარების.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. The Role of Venture Capital, Global Trends and Issues from a Nordic Perspective ,Thomas Andersson, Glenda Napier
2. https://startupxplore.com/en
3. ttps://www.quora.com/How-does-venture-capital-work-What's-the-minimum-ROI-they-are-looking-for-How-long-are-they-willing-to-wait-to-se e-ROI-Can-everyone-pitch-to-them-What-business-models-are-they-typically-investing-in-How-long-is-the-process-until-funding
4. Hall, B. (2002), "The Financing of Research and Development", NBER Working Paper 8773.
5. Venture Impact , The Economic Importance of Venture Capital Backed Companies To the U.S. Economy,Third Edition
6. Venture Impact 2004,Venture capital benefits to the U.S. Economy, Global Insight.

The Role Of Venture Capital Company

Barkalaia Bescik

Iashagashvili Mariam

Summary

Venture capital firms are professional , institutional managers of risk capital that enables and supports the most innovative and promising companies. This money funds new ideas that could not be financed with traditional bank financing. As the world economy enters the 21st century, the merits of technical progress and the instant diffusion of an enormous amount of information offer incredible opportunities. At the same time, the ability to exploit and make use of the new tools remains in part limited, and also unevenly divided. Information and communication technology, research and development, skills upgrading and the accumulation of human capital are all recognized to matter for economic and societal performances. And It is important that for the success of innovation in these spheres in an ever more competitive environment.

საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სისტემები და საქართველო

გრიგალაშვილი ლევან
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ხარხელაური ხათუნა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

გრიგალაშვილი ბიძინა
შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის მთავარი ოფიცერი

აბსტრაქტი

ეკონომიკის გლობალიზაციისა და სახელმწიფოთა შორის ეკონომიკური ინტეგრაციის პირობებში სააღრიცხვო სისტემების დაახლოების მიმართულებით გამოიკვეთა ორი ტენდენცია – აღრიცხვის სისტემების "ჰარმონიზაცია" და "სტანდარტიზაცია". ეს პროცესები განსაკუთრებით გააქტიურდა გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში და დღესაც არ კარგავს თავის აქტუალურობას ეკონომიკურ ლიტერატურასა თუ სამეცნიერო წრეებში.

სააღრიცხვო სისტემებში არსებული განსხვავება გავლენას ახდენს სხვადასხვა ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. ამის თაობაზე საერთაშორისო ექსპერტები ხშირად აღნიშნავენ, რომ აღრიცხვა-ანგარიშგების სისტემებში არსებულმა განსხვავებებმა შეიძლება სერიოზული წინააღმდეგობა გამოიწვიოს საერთაშორისო ინვესტიციური პოლიტიკის განხორციელებაში, რამეთუ ეს განსხვავება აფერხებს თავისუფალი კაპიტალის მიმოქცევას და სხვადასხვა პირობებში აყენებს ინვესტორებს. ა ღ რ ი ც ხ ვ ი ს სისტემა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ არის ამ სისტემით მიღებული ინფორმაციის ძირითადი მომხმარებელი. ხშირად აღრიცხვის სისტემაზე, გავლენას ახდენს საგადასახადო პოლიტიკა. სხვა სახელმწიფოთა გავლენა სერიოზული მიზეზი შეიძლება გახდეს ამა თუ იმ ქვეყნის სააღრიცხვო სისტემის ჩამოყალიბება-განვითარებაში; მიუხედავად საბუღალტრო აღრიცხვის სისტემებში არსებული ეროვნული თავისებურებებისა, შეიძლება მოვახდინოთ ქვეყნების კლასიფიკაცია საბუღალტრო აღრიცხვის მოდელების მიხედვით. ასე ჩამოყალიბდა „ანგლო-ამერიკული" და „ევროპული (კონტინენტური)" მოდელები. რაც შეეხება საბუღალტრო აღრიცხვის რეგულირების საკითხს, აქაც შეიძლება გამოვყოთ ქვეყნების ორი ჯგუფი, რომლებისთვისაც დამახასიათებელია „ეროვნული სააღრიცხვო სისტემის მკაცრი რეგულირება" და „ რეგულირების ზომიერი სისტემა".

საკვანძო სიტყვები: *სააღრიცხვო სისტემა, ინფორმაციის მომხმარებელი, საბუღალტრო აღრიცხვის მოდელები, რეგულირება, საერთაშორისო სტანდარტები, ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურული საფუძვლები, აღრიცხვა-ანგარიშგების ეროვნული სისტემა, ევროდირექტივები.*

ძირითადი ტექსტი

საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების სისტემების კვლევას მრავალი ნაშრომი მიუძღვნეს მეცნიერ-მკვლევარებმა, რომლებმაც გააკეთეს სხვადასხვა ქვეყნების აღრიცხვის სისტემების ანალიზი და მივიდნენ დასკვნამდე, რომ საჭიროა ამ სისტემების დაახლოება. მაგალითად, ინგლისელმა ეკონომისტმა ა. სიმონდსმა გაიანგარიშა თანაბარ პირობებში ერთ აქციაზე გაცემული დივიდენდების სიდიდეებს შორის სხვაობა დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ნიდერლანდებისა და ბელგიის სააღრიცხვო სისტემების მიხედვით. მარტო გუდვილის გაანგარიშებაში არსებული სხვადასხვა მიდგომების გამო აბსოლუტურად განსხვავებული ფინანსური შედეგი იქნა მიღებული[1].

ზემოაღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით საინტერესოა პროფ. ლ. შნეიდმანის მიერ გაკეთებული შედარება რუსეთის ერთ-ერთი მსხვილი ენერგოკომპანიის მაჩვენებლებს შორის, რომელიც გაანგარიშებულ იქნა საერთაშორისო სტანდარტებისა და რუსეთის სტანდარტების შესაბამისად. "ძირითადი საშუალებებისა და მოგების სიდიდეთა შორის სხვაობამ შეადგინა

[1] Блейк Д. Амат О. Еврорейский Бухгалтерский учёт. М.: "Филинь", 1997, с.14.

შესაბამისად 1 ტრლნ. მანეთი და 100 მლნ. მანეთი”[1].

მეცნიერ-მკვლევარები სხვადასხვანაირად აფასებენ და სხვადასხვა მნიშვნელობას ანიჭებენ სახელმწიფოთა შორის აღრიცხვის სისტემებში არსებულ განსხვავებას; მაგალითად, ჯ. კერი აღნიშნავს, - “სანამ ინვესტორები არ მიიღებენ სარწმუნო ინფორმაციას თუ რა ელის მათ ფულს, კერძო კაპიტალს არ შეუძლია თავისუფლად გადაკვეთოს სახელმწიფოთა საზღვრები”. ჯ. სამუელსი გამოთქვამს საწინააღმდეგო მოსაზრებას: “კერძო კაპიტალი უკვე თავისუფლად შევიდა სხვა ქვეყნებში, ინვესტორები დაინტერესებული არიან რათა მათი რისკი და შემოსავლები დაბალანსებული იყოს; თუ მოსალოდნელი შემოსავალი დიდია, ინვესტორები ყოველთვის გამოჩნდებიან”[2].

აღრიცხვის სისტემებს შორის განსხვავებამ შესაძლებელია გარკვეულწილად მაინც შეაფერხოს კაპიტალის მოძრაობა, მაგრამ ეს არც ისე დიდ პრობლემებს ქმნის ინვესტირებისათვის. აღრიცხვის სისტემების მკვლევარები მიუთითებენ, რომ ამ საკითხში დომინირებენ ამერიკის შეერთებული შტატები. მაგალითად, ზემოაღნიშნულ ნაშრომში მოცემულია ე. მესონის მოსაზრება, რომ სპეციალისტებს მიაჩნიათ, შესაძლებელია კიდეც ეშინიათ იმისა, რომ თუ საერთაშორისო სტანდარტები არ იქნება შემუშავებული, ამერიკის ბუღალტერიის ზოგადი პრინციპები შეავსებს ამ ვაკუუმს, რომლებიც გამოყენებული იქნებიან საერთაშორისო ბუღალტრული აღრიცხვის ენად. ანალოგიურ აზრს გამოთქვამს ე. ხოპვუდი, „თუ სტანდარტები არ იქნება ჰარმონიული, ერთ-ერთი ქვეყნის ბუღალტრული აღრიცხვის სისტემა აუცილებლად დაიწყებს დომინირებას და ეს ქვეყანა იქნება ამერიკის შეერთებული შტატები”[3].

ზემოაღნიშნული მოსაზრებები შეიძლება არ იქნეს გაზიარებული. მაგალითად, დსთ ქვეყნებში ამერიკის შეერთებული შტატები პირიქით დიდ პროპაგანდას უწევს საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას და არა ამერიკულისას. ეს იმ დროს, როცა ამერიკული სტანდარტები გაცილებით დახვეწილი და კონკრეტულია საერთაშორისო სტანდარტებთან შედარებით.

აღრიცხვის სისტემების ჰარმონიზაციისა და სტანდარტიზაციის მიღწევის შესაძლებლობათა შესახებ ზოგიერთი მეცნიერი აშკარა უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავს. მაგალითად, ლ. ბერსტაინი აღრიცხვის ჰარმონიზაციის შესახებ წერს, რომ “ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო პრაქტიკის ჰარმონიზაცია არის ძნელი და ილუზიური ამოცანა”[4]. აღრიცხვის სისტემებს შორის განსხვავებები სხვადასხვა ფაქტორებით შეიძლება იყოს გამოწვეული, მაგალითად, როგორიცაა სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებები, საერთო პოლიტიკური ურთიერთობები, საკანონმდებლო სისტემებში არსებული განსხვავებები, განათლების საერთო დონე ქვეყანაში და ა.შ. სოციალურ-ეკონომიკურ თავისებურებებს თავის მხრივ განსაზღვრავს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა წარმოების წესი, ეკონომიკის მართვის ცენტრალიზაციის დონე, კაპიტალის ბაზრის განვითარების დონე და ხასიათი, ინფლაციის დონე, საწარმოთა სიდიდე, სტრუქტურა და ა.შ. ეს ფაქტორები შეიძლება შემდეგნაირად დავახასიათოთ:

აღრიცხვის სისტემა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ არის ამ სისტემით მიღებული ინფორმაციის ძირითადი მომხმარებელი. გეგმიანი ეკონომიკის პირობებში აღრიცხვის სისტემა აგებული იყო სახელმწიფოს ინტერესებზე, რადგან იგი გეგმის შესრულებისათვის კონტროლის მთავარ იარაღად გამოიყენებოდა. აღრიცხვის სისტემას არეგულირებდნენ სახელმწიფო ორგანოები, რომელთა ძირითადი ინტერესი სახელმწიფო რესურსებზე კონტროლის განხორციელებასა და გადასახადების აკრეფაში გამოიხატებოდა. ყოველივე ეს კი განაპირობებდა სახელმწიფო აპარატის, როგორც მარეგულირებელი ორგანოს გავლენას აღრიცხვა-ანგარიშგების სისტემაზე. ამის დასადასტურებლად ნათელი მაგალითია საქართველოში აღრიცხვა-ანგარიშგების რეგულირების დღევანდელი მდგომარეობა; კერძოდ, თვითრეგულირებაზე გადასვლის შემდეგ აშკარად იკლო მარეგულირებელი ნორმატიული აქტების რაოდენობამ.

ხშირად აღრიცხვის სისტემაზე, გავლენას ახდენს საგადასახადო პოლიტიკა. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა მოითხოვს, რომ ბუღალტრული ანგარიშგება შედგეს საგადასახადო კანონ-

[1] Шнейдман Л.З. На пути к международным стартам. Бухгалтерский учёт. 1998. № 1, с. 1.
[2] Блейк Д. Амат О. Еврорейский Бухгалтерский учёт. М.: “Филинь”, 1997, с.14.
[3] Блейк Д. Амат О. Еврорейский Бухгалтерский учёт. Справочник: Пер. с англ. М.: “Филинь”, 1997, с. 19.
[4] Берстаин Л. Анализ финансовой отчётности. М.: “Финансы и Статистика”, 2006, с.232.

მდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად (მაგალითად, გერმანია). ზოგიერთ ქვეყანაში კი მეწარმეს უფლება აქვს აირჩიოს სხვადასხვა სისტემებიდან ერთ-ერთი, ამავე დროს საგადასახადო შეღავათების მიღება დამოკიდებულია არჩეულ მეთოდზე.

ქვეყნის ეკონომიკაზე მოქმედი ცალკეული ფაქტორი ხშირად გავლენას ახდენს აღრიცხვის სისტემაზე. მაგალითად, ლათინური ამერიკის ქვეყნების ეკონომიკისათვის დამახასიათებელმა ინფლაციურმა პროცესებმა, ამ ქვეყნებში ჩამოაყალიბეს ინფლაციური ბუღალტრული სისტემა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პარალელის გავლება შეიძლება საქართველოსთანაც.

სხვა სახელმწიფოთა გავლენა სერიოზული მიზეზი შეიძლება გახდეს ამა თუ იმ ქვეყნის სააღრიცხვო სისტემის ჩამოყალიბება-განვითარებაში; მაგალითად, დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობაში შემავალი ქვეყნები განიცდიან მის გავლენას. საფრანგეთმა განიცადა გერმანიის გავლენა. პოსტსაბჭოთა ქვეყნები განიცდიან აშშ-ს, გერმანიის, საფრანგეთის, რუსეთის აღრიცხვის სისტემების გავლენას. აღსანიშნავია, რომ თავის დროზე სსრკ აღრიცხვის სისტემა გავლენას ახდენდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების სააღრიცხვო სისტემებზე. გარდა ამისა სერიოზული ფაქტორები შეიძლება გახდეს ქვეყნის ენა, კულტურა, იურიდიული გარემო, ინფორმაციის მომხმარებელთა მიზნები, თვითონ საერთაშორისო სტანდარტებში ხშირი ცვლილებები და სხვ. ცნობილი ფაქტია, რომ ნაკლებგანვითარებულ ქვეყნებში როგორიცაა ზიმბაბვე, მალაიზია, კვიპროსი, მალავი უშუალოდ მოხდა საერთაშორისო სტანდარტების შეტანა, რადგან მათ არ ჰქონდათ საკუთარი განვითარებული სისტემა. ისეთ ქვეყნებში როგორიცაა კუვეიტი და კენია, სტანდარტები გამოყენებულ იქნა ეროვნული სტანდარტების შესამუშავებლად. ისეთ მაღალგანვითარებულ ქვეყნებს როგორიცაა აშშ, კანადა, საფრანგეთი, დანია, დიდი ბრიტანეთი, შვედეთი, ნორვეგია და სხვა, შემუშავებული აქვთ ეროვნული სტანდარტები, რომლებიც ძირითადად შეესაბამება საერთაშორისოს. ისეთ ქვეყნებში როგორიცაა ესპანეთი, ინდოეთი, ისლანდია, იაპონია ეროვნული სტანდარტები შემუშავებული არ არის, მაგრამ პრაქტიკა შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია გერმანია, სადაც სტანდარტები შემუშავებულია დამოუკიდებლად, მაგრამ ისინი განსხვავდებიან საერთაშორისო სტანდარტებისაგან.

მიუხედავად საბუღალტრო აღრიცხვის სისტემების განვითარებაში არსებული ეროვნული თავისებურებებისა, შეიძლება მოვახდინოთ ქვეყნების კლასიფიკაცია საბუღალტრო აღრიცხვის მოდელების მიხედვით. ეს მოდელი ყალიბდება იმის შესაბამისად, თუ რა კრიტერიუმებს ავიღებთ საფუძვლად. მაგალითად, ერთ-ერთი კრიტერიუმი შეიძლება იყოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების დონე. ასე მაგალითად, აშშ -სა და ინგლისში ფასიანი ქაღალდების ბაზარმა მიიღო ფართო გაქანება, რის გამოც ფინანსური სახსრების მოზიდვის ძირითად წყაროს წარმოადგენს მრავალრიცხოვან აქციონერთა სახსრები. ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა მაგალითად გერმანია და იაპონია, სადაც რამდენიმე მსხვილი ბანკი პრაქტიკულად აკმაყოფილებს კომპანიების მოთხოვნას ფინანსურ რესურსებზე და შეინიშნება კაპიტალის კონცენტრაციის მაღალი დონე, ბუღალტრული ანგარიშგება მიმართულია უპირველეს ყოვლისა ამ კრედიტორთა ინტერესების დასაკმაყოფილებლად. საფრანგეთსა და შვედეთში, სადაც ეკონომიკის მართვაში დიდ როლს ასრულებს სახელმწიფო ორგანოები, ანგარიშგებაც უნიფიცირებულია. თუ აღრიცხვა-ანგარიშგების სისტემების კრიტერიუმად იურიდიულ მხარეს ავიღებთ, აქ შეიძლება გამოვყოთ ქვეყნების ორი ჯგუფი. ისეთ ქვეყნებში მაგალითად, როგორიცაა საფრანგეთი და გერმანია, საბუღალტრო აღრიცხვის ძირითადი პრინციპები განსაზღვრულია საკანონმდებლო აქტებით. ეს პრინციპი შეიძლება ასე დავახასიათოთ: „შეიძლება მხოლოდ იმის გაკეთება, რაც ნებადართულია კანონით". სხვა ქვეყნებში, მაგალითად აშშ-სა და ინგლისში აღრიცხვის სისტემა აგებულია პრინციპებზე, „შეიძლება გავაკეთოთ ყველაფერი, რაც აკრძალული არ არის კანონით".

საბუღალტრო აღრიცხვის რეგულირების საკითხში შეიძლება გამოვყოთ ქვეყნების ორი ჯგუფი: 1) ეროვნული სააღრიცხვო სისტემის მკაცრი რეგულირება და 2) რეგულირების ზომიერი სისტემა.

იბადება კითხვა, აღრიცხვის რომელი მოდელით მუშაობდა საქართველო და რომელ მოდელზე უნდა ავიღოთ ორიენტაცია? ამ კითხვაზე რომ პასუხი გავცეთ, ახლო წარსულს უნდა გადავხედოთ და დღევანდელი მდგომარეობაც გავაანალიზოთ. საბუღალტრო აღრიცხვის მკაცრი სახელმწიფო რეგლა-

მენტაციის პირობებში ჩამოყალიბდა ბუღალტრის, როგორც კანონებსა და ინსტრუქციებში მოცემული ნორმების დამცველის მენტალიტეტი. მაშასადამე ინსტრუქციიდან გადახვევა დაუშვებელი იყო და ბუღალტერიას უნდა ეკეთებინა მხოლოდ ისე რაც განსაზღვრული იყო კანონით და ინსტრუქციით. თუ ამჟამად მოქმედ პრაქტიკას გადავხედავთ საკითხისადმი ასეთი ტენდენციური მიდგომა გრძელდება დღესაც, თუმცა იგი გადასინჯვას საჭიროებს. გარდა ამისა, ფასიანი ქაღალდების ბაზარი საქართველოში მაინცდამაინც ვერ განვითარდა. კაპიტალის თავმოყრა ძირითადად მსხვილ ბანკებში ხდება. აქედან გამომდინარე, ბანკები გახდა ინვესტიციების ძირითადი წყარო. ყოველივე ამის გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს საღრიცხვო სისტემა ტრადიციულად უფრო ახლოსაა „კონტინენტალურ მოდელთან". აქედან გამომდინარე მიგვაჩნა, რომ საქართველოში უნდა ჩამოყალიბდეს აღრიცხვა-ანგარიშგების „ზომიერი სახელმწიფო რეგულირებადი სისტემა".

აღრიცხვა-ანგარიშგების საერთაშორისო კოორდინაციას საფუძველი ჩაეყარა ჯერ-კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში, როდესაც ქ. სანტ-ლუისში (1904წ.) ჩატარდა ბუღალტერთა პირველი საერთაშორისო კონგრესი. 1972 წელს ქ. სიდნეის კონგრესზე ჩამოყალიბდა "ბუღალტრული პროფესიის განვითარების საერთაშორისო საკოორდინაციო კომიტეტი", რომელიც 1977 წელს მიუნხენის საერთაშორისო კონგრესზე გარდაიქმნა "ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციად". ფედერაციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შემუშავება. ამჟამად იგი აერთიანებს 114 ქვეყნის 156 ბუღალტერთა პროფესიონალურ ორგანიზაციას.

„აღრიცხვა-ანგარიშგების ჰარმონიზაციის" მისაღწევად დიდძალ სამუშაოს ასრულებს 1973 წელს ჩამოყალიბებული ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტი, რომელშიც გაერთიანდა ათი ქვეყანა და 100-ზე მეტი ქვეყნის პროფესიონალური ორგანიზაციები. ამ ორგანიზაციის ძირითადი მიზანია საერთაშორისო სტანდარტების შემუშავება და პროპაგანდა სხვადასხვა ქვეყნებში დასანერგად აღრიცხვის უნიფიკაციის საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1982 წელს ისეთი კონცეპტუალური დოკუმენტის გამოცემას, როგორიცაა "ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სტრუქტურული საფუძვლები". ამჟამად შემუშავებულია 41 სტანდარტი.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო რეგულირების საქმეში აქტიურად მონაწილეობს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რომელმაც გარკვეული გამოკვლევები ჩაატარა აღრიცხვის სისტემების დაახლოების მიმართულებით.

საბუღალტრო აღრიცხვის სისტემების დაახლოების საქმეში გარკვეულ როლს ასრულებს „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია". მისი წევრები არიან მაღალგანვითარებული ქვეყნების მსხვილი კომპანიები. მათი აქტიურობა განსაკუთრებით შესამჩნევია პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, რომელთა ხელშეწყობითაც ჩამოყალიბდა მრავალი პროფესიული ორგანიზაცია.

ცალკეული ქვეყნების ეკონომიკათა ინტეგრაციული პროცესების შედეგად შეიქმნა მსხვილი გაერთიანებები და თანამეგობრობები. ერთ-ერთი ასეთი გაერთანებაა ევროკავშირი. მან დიდი ზეგავლენა მოახდინა ევროპის სახელმწიფოთა ნორმატიულ აქტებზე, რომლებიც არეგულირებენ სამოქალაქო, სავაჭრო, საბუღალტრო და სხვა კანონმდებლობას. ამ ხელშეკრულებებისა და აქტების მიზანი იყო სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობათა დაახლოება, საბაჟო დაბრკოლებათა ლიკვიდაცია, დისკრიმინაციისა და უთანაბრობის აღმოფხვრის დაბეგვრაში, სოციალურ და სხვა სფეროებში.

გარკვეულ ინტერესს იწვევს საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ევროკავშირის დირექტივების თავსებადობის საკითხი. ამასთან დაკავშირებით, საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის ექსპერტი პ. კლარკი აღნიშნავს – "მრავალი ქვეყანა გრძნობს, რომ მათ ბუღალტრული აღრიცხვის საკითხში უნდა გააკეთონ არჩევანი ევროკავშირის დირექტივებსა და საერთაშორისო სტანდარტებს შორის. გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ შესაძლებელია ორივე სისტემის ერთდროულიად გამოყენება, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ქვეყნებს შეუძლიათ ევროდირექტივებიდან დაისესხონ ყველაფერი, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე"; მაგალითად, გასათვალისწინებელია ისეთი განსხვავება როგორიცაა დირექტივებსა და სტანდარტებს შორის დანახარჯების კაპიტალიზაციის, რეზერვების შექმნის, გუდვილის ამორტიზაციის საკითხი და სხვ. ჩვენ მიგვაჩნია,

რომ ქვეყანამ, რომელიც ერთ-ერთ ამ სისტემათაგანს აირჩევს, უნდა მოახდინოს მათი შეჯერება თავის კანონმდებლობასთან. საქართველოს შემთხვევაში ვითარება ასეთია - ქვეყანაში აღიარებულია საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები, იმავდროულად ქვეყანა მიისწრაფვის ევროკავშირთან ინტეგრაციისაკენ.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში აღრიცხვის სისტემების სრულყოფის საკითხებზე გარკვეულ მუშაობას ეწევა „გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება". მისი ხელშეწყობით შემუშავდა "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, გარკვეული სამუშაოები სრულდება აუდიტის სისტემის ტრანსფორმაციის მიმართულებით და სხვ.

ზემოაღნიშნული საკითხების განხილვიდან შეიძლება გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნა:

- სხვადასხვა ქვეყნების საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების სისტემებში არსებობს მსგავსება და არსებითი განსხვავება. შესაძლებელია ქვეყნების დაჯგუფება აღრიცხვის სისტემების მიხედვით, ამავე დროს ყველა ქვეყნის სისტემა სუვერენულია;
- არსებობს სერიოზული მიზეზები, რომლებიც იწვევევს განსხვავებას. (ეკონომიკის განვითარების დონე, სხვა ქვეყნების გავლენა, დამკვიდრებული ტრადიციები, ენა, კულტურის დონე, საერთო პოლიტიკური მდგომარეობა და სხვ.). აბსოლუტური იდენტურობის მიღწევა პრაქტიკულად არ ხერხდება;
- არსებობს ობიექტური მოთხოვნილება და მცდელობა აღრიცხვის სისტემების დაახლოებისა მსოფლიო მასშტაბით, რომელიც დიდი ხნის წინათ დაიწყო და დღესაც აქტუალურია;
- არსებითი ეკონომიკური წინააღმდეგობებისა და ობიექტურ ეროვნულ განსხვავებათა გამო, ხანგრძლივი და მრავალგზის შეთანხმების შედეგად წარმოიქმნა საერთაშორისო სტანდარტები, რომლებიც ახლოსაა ამერიკულ და ევროპულ სტანდარტებთან. ეს სტანდარტები ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს;
- საქართველომ უნდა შექმნას აღრიცხვა-ანგარიშგების ეროვნული სისტემა, ევროკავშირის დირექტივებისა და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები, ნაწ. 1-2, 2009წ.
2. 2. ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები 2010წ.
3. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სტრუქტურული საფუძვლები; 2009წ.
4. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი ფასს მცირე და საშუალო საწარმოებისათვის; 2015წ
5. ძაძამია რ. - ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება, თბ., 2015წ.
6. ძაძამია რ. - ბუღალტრული აღრიცხვის რეფორმის მიმდინარეობა და მისი განხორციელების პრობლემები. ჟურნ. "ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება", 1998, #6.
7. გრიგალაშვილი ლ. - ფინანსური აღრიცხვა, თბ., 2014წ.
8. გრიგალაშვილი ლ. - "ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების რეგულირების სრულყოფისათვის", ჟურნალი "სოციალური ეკონომიკა", 2003წ. N6.
9. 9. L. Grigalashvili – On the Problems of Accounting Reform in Transition Period. Bulletin of the Georgian Academy of Sciences. Tbilisi, Volume 165, N2.
10. Международные стандарты финансовой отчетности. М.:, 2013 г.
11. Модель финансовой отчетности по международным стандартом. Прайс Уотерхаус, Пер. с англ. США, 1995г.
12. Димова И. А. Международные стандарты бухгалтерского учета. М.: 2000 г.
13. Блейк Д. Амат О. Еврорейский Бухгалтерский учёт. М.: `Филинь", 1997 г.
14. Висотская А. Н Трансформация бухгалтерских систем в информационной экономике. Бухгалтерский учёт. 2013. # 12
15. Международные стандарты аудита/Под ред. Ж.А. Кеворковой. – М.: Юрайт, 2014.

International accounting systems and Georgia

Grigalashvili Levan
Kharkhelauri Khatuna
Grigalashvili Bidzina

Summary

In the view of economic globalization and the economic integration of the states, the trends of harmonization and standardization of accounting systems have been determined. The discrepancy in the accounting systems affects the various economic indicators. Despite the national peculiarity in the development of accounting systems, we may classify the countries according the accounting models. This model is shaped according to the criteria we use as a based; For example, one of the criteria may be the level of development of the securities market or free capital concentration in the banking system. We may conclude, that there is an objective need and an attempt to approximate the accounting systems globally, which has started a long time ago and is still relevant; As a result of long and long bargain, international accounting standards were established, that are close to the American and European standards. These standards have recommendatory character; Georgia should elaborate national accounting system, according to the EU directives and International standards.

საქართველოს საგადასახადო სისტემის აქტუალური პრობლემები

გრიგალაშვილი ლევან
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ყანდაშვილი თეიმურაზ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

გრიგალაშვილი ბიძინა
შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის მთავარი ოფიცერი

აბსტრაქტი

საქართველოში დამოუკიდებელი საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბება გასული საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო. ამ პერიოდიდან საგადასახადო სისტემის კვლევამ განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა. მთავარი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ შეიქმნას ისეთი საგადასახადო გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს ბიზნესის თავისუფალ წარმოებას და ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემული ნაშრომის მიზანს წარმოადგენს წარმოვაჩინოთ საქართველოს საგადასახადო სისტემის ფუნქციონირებასა და ადმინისტრირებაში არსებული ზოგადი პრობლემები და შევიმუშაოთ მისი სრულყოფის წინადადებები.

საკვანძო სიტყვები: *საგადასახადო სისტემა, რეფორმა, დარიცხვის მეთოდი, რეგიონული საგადასახადო პოლიტიკა, საგადასახადო შემოწმებები, ინვესტიციები, საგადასახადო შეღავათები, ქრონომეტრაჟი, ეკონომიკური ეფექტიანობა, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები, ესტონური მოდელი.*

ძირითადი ტექსტი

საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების შემდეგ გადასახადებთან დაკავშირებული პირველი ნორმატიული აქტი იყო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული კანონი „საქართველოს რესპუბლიკის საგადასახადო სისტემის ზოგადი საფუძვლების შესახებ“, რომელიც სამოქმედოდ იქნა შემოღებული 1992 წლის 1 იანვრიდან. ამ კანონით განისაზღვრა ქვეყანაში საგადასახადო სისტემის მოწყობის ზოგადი პრინციპები. უარყოფილი იქნა გეგმიანი ეკომომიკისათვის დამახასიათებელი ბრუნვის გადასახადი, შეიცვალა მოგების გადასახადის ხასიათი და მისი განაწილების წესი, დაწესდა გადასახადები მიწაზე, ქონების სხვადასხვა სახეებზე და სხვ.

1992-1998 წლებში გადასახადები ცალ-ცალკე კანონების სახით იყო მიღებული. 1998 წლიდან ეს კანონები გაერთიანდა კანონთა კრებულში და სამოქმედოდ იქნა შემოღებული საგადასახადო კოდექსი. ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის რეფორმა ორჯერ განხორციელდა. პირველი რეფორმა 2005 წელს გატარდა, როდესაც იმ პერიოდში არსებული 12 გადასახადიდან მხოლოდ 6 შენარჩუნდა. მომდევნო ცვლილება საგადასახადო კოდექსში 2011 წლის იანვარში შევიდა, თუმცა, გადასახადების განაკვეთების ცვლილება ამ პერიოდში არ მომხდარა. 2014 წელს მსოფლიო ბანკის გადასახადების სიმარტივის ინდექსის მიხედვით, საქართველო 189 ქვეყნიდან 38-ე ადგილს იკავებდა. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ გადასახადების ადმინისტრირების მექანიზმის სირთულით ჩვენი ქვეყანა, ალბათ მოწინავეთა რიგებში იქნება. თუმცა ეს საკითხი საერთაშორისო ორგანიზაციების ინტერესის სფერო თითქმის არასდროს ყოფილა. ამჟამად საქართველოში მოქმედებს საერთო სახელმწიფოებრივი (საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი, აქციზი, იმპორტის გადასახადი) და ადგილობრივი გადასახადები (ქონების გადასახადი, მიწის გადასახადი).

გადასახადების ხვედრითი წილი მთლიან საგადასახადო შემოსავლებში

დასახელება	2015 წ. ფაქტი	2016 წ. ფაქტი	2017 წ. გეგმა	ხვ. წილი %
გადასახადები (სულ ათ. ლარი)	7,549,608	7,986,750	8,980,000	100
საშემოსავლო გადასახადი	2,052,388	1,978,136	2,570,000	28.6
მოგების გადასახადი	1,025,228	1,055,936	740,000	8.2
დამატებული ღირებულების გადასახადი	3,505,454	3,286,393	4,020,000	45.0
აქციზი	870,731	1,069,658	1,435,000	16.0
იმპორტის გადასახადი	69,294.	70,040	65,000	0.6
სხვა გადასახადები	26,511	526,585	150,000	1.6

როგორც ვხედავთ მთლიან საგადასახადო შემოსავლებში ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი - 45% დამატებული ღირებულების გადასახადს უჭირავს, საშემოსავლო გადასახადი 28,6% - ია, აქციზი - 16%. დღგ და აქციზი არაპირდაპირი გადასახადებია, რომლის გადამხდელი საბოლოო ჯამში ქვეყნის მოსახლეობაა. როგორია დღგ გამოანგარიშების მექანიზმი? საწარმო ბიუჯეტში იხდის მყიდველებისგან მღებულ და მიმწოდებლებზე გადახდილ დღგ თანხებს შორის სხვაობას, რა თქმა უნდა ცალკეული ნიუანსების გათვალისწინები. მაგალითად, „A“ საწარმომ „B“ საწარმოს მიაწოდა ნედლეული, რომელიც მოიცავდა დღგ თანხას, ანუ „B“ - სგან მიიღო ეს თანხა. „B“ საწარმომ „C“-ს მიაწოდა თავისი პროდუქცია, რომელიც აგრეთვე მოიცავდა დღგ თანხას, შესაბამისად „C“ - სგან მიიღო კუთვნილი დღგ-ს თანხა. „C“ საწარმომ კი თავისი პროდუქცია საბოლოო მომხმარებელს, მოსახლეობას მიჰყიდა და გადაახდევინა დღგ. ცხადია, რომ არც ერთი საწარმო ბიუჯეტში თავის კუთვნილ სახსრებს არ იხდის, ხოლო საბოლოო მომხმარებელს, ანუ მოსახლეობას მის მიერ გადახდილ დღგ-ს არავინ არ აუნაზღაურებს. ამიტომ, არ არის სასურველი, რომ ქვეყნის ბიუჯეტის დიდი ნაწილი არაპირდაპირი გადასახადებით ივსებოდეს. პირიქით, პირდაპირი გადასახადების ხვედრითი წილი უნდა იყოს მაღალი, რაც იმის ნიშანი იქნება, რომ მოსახლეობასაც და სამეწარმეო სუბიექტებსაც მაღალი შემოსავლები გააჩნიათ.

თუ ჩვენს საგადასახადო სისტემას განვითარებული ქვეყნებისას შევადარებთ, შემდეგი სურათი იკვეთება, გადასახადის ძირითად სახეებს წარმოადგენს: ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი, იურიდიულ პირთა საშემოსავლო (მოგების) გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი, გაყიდვიდან გადასახადი, სოციალური დაზღვევის გადასახადი, მოხმარებაზე განსაკუთრებული სახის გადასახადები, გადასახადები, რომელთა დაბეგვრის ბაზაა დაგროვილი სიმდიდრე. საგადასახადო სისტემის კრიტერიუმებია: ეკონომიკური ეფექტიანობა, ადმინისტრაციული სიმარტივე, მოქნილობა, პოლიტიკური პასუხისმგებლობა, სამართლიანობა.

1993 წლიდან საქართველოში დაიწყო რეფორმები სამეწარმეო, საგადასახადო და საბუღალტრო აღრიცხვის სფეროებში. პირველი სერიოზული ცვლილება საგადასახადო და საბუღალტრო აღრიცხვის გაიმიჯვნა იყო, რომლის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ გამიჯვნის შემდეგ ორი სხვადასხვა მოგება მიიღება - „საბუღალტრო მოგება“და „საგადასახადო მოგება“. საქმე იმაშია, რომ ხარჯების გარკვეული კატეგორიები საწარმოს ხარჯად არ ეთვლება და შეიძლება ადგილი ჰქონდეს შემთხვევებს, როდესაც ზარალიანი საწარმო მოგების გადასახადით იბეგრება. ეს პრობლემა 2017 წლის 1 იანვრიდან ნაწილობრივ გამოსწორდა მოგების გადასახადის ესტონური მოდელის შემოღებასთან დაკავშირებით, თუმცა ბანკების, სადაზღვევო კომპანიების, საჯარო სამართლისა და არაკომერციული იურიდიული პირებისათვის იგივე დარჩა. მიგვაჩნია, რომ ეს გამიჯვნა მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი, ისე, როგორც ეს განვითარებულ ქვეყნებშია, რომლის მეშვეობითაც წარმატებით განხორციელდა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება.

მეორე პრობლემა - „დარიცხვის მეთოდის“ გამოყენებაში მდგომარეობს. საბჭოთა ბუღალტრულ აღრიცხვაში ასეთი მეთოდი ცნობილი არ იყო. დარიცხვის მეთოდი აღიარებული იქნა საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შემოღების შემდეგ, რაც იმას ნიშნავს, რომ შემოსავლებად

აღიარებული უნდა იქნეს პროდუქციის მიწოდება, მიუხედავად იმისა თანხა შემოსულია თუ არა მყიდველისაგან. ეს განსაკუთრებით მტკივნეული იყო საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირველ წლებში, როდესაც ასე თუ ისე საწარმოები პროდუქციას აწარმოებდნენ და აწვდიდნენ, მაგრამ მისი განაღდება თვეობით არ ხდებოდა. მიმწოდებელ საწარმოს კი საგადასახადო ვალდებულება წარმოექმნებოდა და სწორედ მაშინ, როდესაც საწარმოებს სასტარტო მდგომარეობა შედარებით მსუბუქი უნდა ჰქონოდათ, საგადასახადო წნეხი ერთი-ორად დააწვა და კიდევ უარეს დღეში ჩავარდნენ. ეს ტრადიცია, ანუ ჯერ კიდევ მიუღებელი თანხების დაბეგვრა დღესაც გრძელდება და მიუღებელი თანხებიდან გადასახადის გადახდა საწარმოებს მძიმე ტვირთად აწვებათ. საქმეს ისიც ართულებს, რომ მიუღებელი თანხები ჯარიმებითა და საურავებით იბეგრება. ამ არასწორ მიდგომას 2017 წლის 1 იანვრიდან ისიც დაემატა, რომ დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრას დაექვემდებარა ავანსად მიღებული თანხები, რითაც კიდევ უფრო დავცილდით საერთაშორისო სტანდარტებს. ბასს-ების მიხედვით შემოსავლებად ითვლება საქონლის მიწოდება, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ თანხის მიღების გარეშე, მაგრამ მიღებული ავანსი შემოსავლად არ ითვლება. იგი ვალდებულების სახით აისახება ბალანსში.

აღნიშნული პრობლემის მოგვარებისათვის საჭიროდ მიგვაჩნია, რომ „შემოსავლები საბუღალტრო აღრიცხვის მიზნებისათვის აღიარებული იქნეს პროდუქციის მიწოდებისთანავე, როგორც ამას საერთაშორისო სტანდარტები მოითხოვს, მაგრამ საგადასახადო მიზნით აღიარდეს - თანხის მიღების შემდეგ“. რაც შეეხება ავანსად მიღებულ თანხებს, ისინი საგადასახადო მიზნით შემოსავლად უნდა აღიარდეს პროდუქციის მიწოდების შემდეგ.

მესამე პრობლემა ვირტუალურ დაბეგვრაში მდგომარეობს. საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს ჩაატაროს შემდეგი პროცედურები: ქრონომეტრაჟი, მონიტორინგი და საკონტროლო შესყიდვა. ამ ღონისძიებების მიზანია დადგინდეს გადასახადის გადამხდელის შემოსავლები არა მარტო მიმდინარე, არამედ გასული პერიოდებისთვისაც ანუ მიიჩნევა, რომ გადასახადის გადამხდელის შემოსავლები ისეთივე მოცულობისა იყო მაგალითად გასული ორი წლის განმავლობაში, როგორიც დღეს არის. ცხადია ამ შემთხვევაში სავსებით შესაძლებელია, რომ მასზე გავცელდეს სანქციები გადასახადის დამალვისათვის, რაც ზოგჯერ, საწარმოს უმძიმეს ფინანსურ მდგომარეობაში აყენებს.

გადახედვას საჭიროებს გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებებიც. საგადასახადო კოდექსით დღეისათვის დადგენილია გადახდევინების უზრუნველყოფის შემდეგი ღონისძიებები: საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა, ქონებაზე ყადაღის დადება, დაყადაღებული ქონების გაყიდვა სახელმწიფოს მიერ, საბანკო ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრა, გადასახადის გადამხდელის სალაროდან ნაღდი ფულის ამოღება, მესამე პირზე გადახდევინების მიქცევა; ამ ღონისძიებებში მეტად არამართებულად მიგვაჩნია მესამე პირზე გადახდევინების მიქცევა, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ საწარმო გადასახადს ვერ იხდის, ეს თანხას მისი მევალისგან შეიძლება იქნეს ამოღებული. გარდა ამისა საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, მოსამართლის ბრძანების გარეშე განახორციელოს საწარმოს ან სხვა ვალდებული პირის სალაროდან ნაღდი ფულის ამოღება. სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, რომლებიც ბიზნესსაქმიანობას გარკვეული შემწყნარებლობით უდგებიან რადგან ბიზნესის ციკლურ ხასიათს აცნობიერებენ, საქართველოში საგადასახადო ვალდებულების შეუსრულებლობა საბანკო ანგარიშების გაყინვით და მათი აქტივების დაყადაღებით მთავრდება. ანუ ის სიმკაცრე, რაც საგადასახადო კანონმდებლობაში ჩაიდო 2004 წლიდან, დღემდე არ შეცვლილა. საჩივრების დაკმაყოფილების კოეფიციენტი სადავო თანხების მიხედვით 2016 წელს შემდეგ სურათს იძლევა: სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 31%, არ დაკმაყოფილდა 46%, განუხილველი დარჩა 23%. იმ კომპანიებიდან, რომელშიც რაიმე სახის შემოწმება ჩატარდა, თითქმის ნახევარს (47%) საგადახდო ვალდებულება დაეკისრა. თუმცა ვერ დავეთანხმებით გამოკვლევის შედეგებს იმ საკითხში, თითქოს შემოწმებული საწარმოების მხოლოდ ნახევარს დაეკისრა ჯარიმა-საურავები. დღევანდელი რთული და ორაზროვანი საგადასახადო კანონმდებლობის პირობებში ჯარიმა-საურავების დაკისრება ნებისმიერი შემოწმების დროს თითქმის გარდაუვალია.

აპელაციისა და გასაჩივრების საკითხებში გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები: შემოწმების

ხანგრძლივი პერიოდი და ცალკეულ შემთხვევებში საქმიანობის შეჩერება, არაობიექტური შემოწმებები, რამაც დავა გამოიწვია, მომჩივანსა და საგადასახადო ორგანოს არათანაბარი სამართლებრივი გარემო, მაგალითად ის, რომ საგადასახადო ორგანოები გათავისუფლებული არიან სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან და შეუძლიათ, დავა აწარმოონ ყოველგვარი საფასურის გადახდის გარეშე, ისეთი მიდგომების გამოუყენებლობა, როგორიცაა მაგალითად, შეცდომის დაშვება, როცა გადასახადის გადამხდელი გადასახადის დამალვას არ აპირებდა, მაგრამ შეცდომა მოუვიდა, თამაშის წესების წინასწარი შეთანხმების შეუძლებლობა, როცა გადასახადის გადამხდელს უფლება არა აქვს ოფიციალურად შეუთანხმდეს საგადასახადო ორგანოს თავისი ფინანსური პრობლემების შესახებ, იმ პირობით, რომ კუთვნილ გადასახადს აუცილებლად გადაიხდის გარკვეული პერიოდის ან სამეურნეო ოპერაციის განხორციელების შემდეგ; იმის შეუძლებლობა, როცა საგადასახადო კონტროლის ზოგიერთი ღონისძიება საგადასახადო ორგანოს მაგივრად, შეიძლება განახორციელოს კერძო სამართლის სუბიექტმა. ეს ღონისძიება ამართლებს, მაგალითად, როდესაც სახელმწიფომ ალტერნატიული საგადასახადო აუდიტი დაუშვა, ბიუჯეტში უამრავი თანხები იქნა მობილიზებული, მაშინ როდესაც სახელმწიფოს საგადასახადო ადმინისტრირების ღონისძიებებზე არანაირი თანხები არ დაუხარჯავს. სამწუხაროდ ალტერნატიული აუდიტი გააუქმდა, რაც ჩვენი აზრით არამართებული გადაწყვეტილება იყო.

რეგიონული საგადასახადო პოლიტიკის უქონლობა ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა. ცნობილია, რომ ქვეყნის რეგიონები თავიანთი ეკონომიკური განვითარების დონით ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავდებიან. ამისათვის სახელმწიფო მათ სხვადასხვა დონის ტრანსფერებს უწესებს. დღეისათვის გამოიყენება 4 სახის ტრანსფერი, კერძოდ, გამოთანაბრებითი ტრანსფერი, მიზნობრივი ტრანსფერი, სპეციალური ტრანსფერი და კაპიტალური ტრანსფერი.

ყველა ეს ტრანსფერი სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაიცემა მუნიციპალურ ბიუჯეტებზე, მაგრამ უნდა ითქვას, რომ იმავდროულად ეკონომიკური და სოციალური განვითარების კუთხით არსებული განხვავებების აღმოსაფხვრელად სათანადო ღონისძიებები ნაკლებად ხორციელდება. საგადასახადო პოლიტიკის პრობლემაზე მეტველებს ის გარემოება, რომ მთელი გადასახადები სახელმწიფო ბიუჯეტში შემოდის, გარდა ქონების გადასახადისა, რაც სრულიად არ არის საკმარისი რეგიონის განვითარებისათვის. მუნიციპალიტეტების მთლიან საბიუჯეტო შემოსავლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერების ხვედრითი წილი 70-80%-ს აღწევს. იმავდროულად მოუქნელი მმართველობითი სისტემის გამო, მუნიციპალიტეტებს წლის ბოლოს მილიონობით თანხები აუთვისებელი რჩებათ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ავღნიშნოთ, რომ მმართველობის დეცენტრალიზაცია არა მარტო ტერიტორიულ დეცენტრალიზაციას უნდა გულისხმობდეს, არამედ ფინანსურ დეცენტრალიზაციასაც, რაც გადასახადების გადანაწილებით უნდა იქნეს მიღწეული. მიგვაჩნია, რომ მოგების გადასახადი უნდა მიეკუთვნოს ადგილობრივ გადასახადებს და მთლიანად დარჩეს მუნიციპალურ ბიუჯეტში.

პრობლემა - უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად წამახალისებელი საგადასახადო ღონისძიებების არ არსებობა. როგორც ჩანს, უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად მარტო მთავრობის კეთილგანწყობა არ არის საკმარისი. საჭიროა მათი ხელშეწყობა სხვადასხვა სახის საგადასახადო შეღავათებით, ისე როგორც ამას აკეთებენ განვითარებული ქვეყნების მთავრობები. საჭიროა საგადასახადო შეღავათების დაწესება ახლად წამოწყებულ ბიზნესზე, მრეწველობის მნიშვნელოვან დარგებში განხორციელებულ ინვესტიციებზე, სამეცნიერო კვლევებზე მიმართულ თანხებზე და სხვ. ამასთან ერთად უნდა ვაღიაროთ, რომ მცირე ზომის წამახალისებელი ღონისძიებები საქართველოშიც ხორციელდება, მაგრამ მათი შედეგები იმდენად უმნიშვნელოა, რომ წარმოების წინსვლას და ინვესტიციების მოზიდვას სათანადოდ ვერ უწყობს ხელს ისე, როგორც ეს განვითარებულ ქვეყნებშია.

ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული ხშირი ცვლილებები. ზოგჯერ ეს ცვლილებები სათანადოდ დასაბუთებული არ არის. ამას ემატება კანონმდებლობაში არსებული ორაზროვანი დებულებები, რასაც თავისთავად მოჰყვება

უნებლიე დარღვევები, ეს კი სამეწარმეო სუბიექტებს დიდი ფინანსური სანქციების ფასად უჯდებათ. ამით საბოლოო ჯამში ქვეყანაში არსებული ბიზნესგარემო ზიანდება.

მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა ნებისმიერ სახელმწიფოში პრიორიტეტული მიმართულებაა. ასე ითვლება საქართველოშიც, თუმცა დღემდე განხორციელემულ ღონისძიებებს რაიმე მნიშვნელოვანი შედეგები არ მოუტანია. უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯი იყო ამ რამდენიმე წლის წინ სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შემოღება მიკრო და მცირე ბიზნესისათვის. გარდა ამისა ამ მიმართულებით საკმაო მოცულობის გრანტები იყო გათვალისწინებული. მაგალითად, 2016 წელს დახარჯულია 16.7 მლნ. ლარის გრანტი, 2017 წელს დაახლოებით 12.7 მლნ. ლარი, ხოლო 2018 წელს გათვალისწინებულია 33.7 მლნ. ლარის გრანტი. ზოგადად მეწარმეობის განვითარებაზე 2018 წელს 41.7 მლნ. ლარია გამოყოფილი. თუმცა ეს საკმარისი არ არის. რაც შეეხება იმ ძირითად გამოწვევებს, რომელიც დაკავშირებულია მცირე და საშუალო ბიზნესთან, EBRD-ის პრეზიდენტი კავკასიაში, მოლდოვასა და ბელორუსიაში ბ. ბალვანერა არნიშნავს, რომ „...განსაკუთრებით დაუცველია მცირე და საშუალო საწარმოები, ამიტომ ამ მიმართულებით მათი განათლება და შესაბამისად მომზადება მნიშვნელოვანია" (9). საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებიდან, აღსანიშნავია მცირე ბიზნესის დაბეგვრის განაკვეთის 1%-მდე შემცირება, რაც მნიშვნელოვნად წაადგება ქვეყანაში მცირე ბიზნესის განვითარებას, მოსახლეობის დასაქმებას და მათი შემოსავლების გაზრდას. მოსაგვარებელია ისეთი პრობლემები, როგორიცაა საგადასახადო კანონმდებლობის სირთულე, განმარტებების ზოგადი და სარეკომენდაციო ხასიათი, შეუსაბამობა ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდოლოგიასთან, სასამართლო დავის პროცედურებში საგადასახადო ორგანოების უპირატესობა სახელმწიფო ბაჟისა და სხვა საკითხებში, საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებაში სპეციალისტების ჩაურთველობა. და სხვ.

საბიუჯეტო შემოსავლების გაზრდის მიზნით ცალკეულ შემთხვევებში ახალი ტიპის გადასახადების შემოიღებაც გამართლებულია. მაგალითად, საქართველოში არ არსებობს ისეთი სახის გადასახადები, როგორიცაა გადასახადი მემკვიდრეობაზე, კაპიტალის ზრდაზე და ზოგადად სიმდიდრეზე. ამ შემთხვევაში სახელმწიფომ თავისი საგადასახადო ბერკეტები უნდა გამოიყენოს. ქვეყანა ევროპული სივრცისკენ მიისწრაფის და ეკონომიკურადაც გვინდა ევროზონაში შეღწევა, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ევროპული საგადასახადო სისტემის ფარგლებში მდიდრებს სიმდიდრეზე გადასახადი ეკისრებათ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოშიც იქნას შემოღებული ისეთი ტიპის გადასახადები როგორიცაა მაგალითად: სოციალური უსაფრთხოების გადასახადი, კაპიტალის ზრდაზე გადასახადი, სიმდიდრის გადასახადი.

მიგვაჩნია, რომ ზემოაღნიშნული პრობლემების აღმოფხვრა ხელს შეუწყობს საგადასახადო სისტემის სრულყოფას და დადებით გავლენას იქონიებს ქვეყანაში ბიზნესის განვითარებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი (https:/matsne.gov.ge/ka/document/view/1043717)
2. ლ. ნადარაია, ზ. როგავა, კ. რუხაძე, ბ. ბოლქვაძე - „საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარები", თბ., 2014 წ.
3. ლ. გრიგალაშვილი - „ფინანსური აღრიცხვა", თბ., 2014წ.
4. ბახტაძე ლ., კაკულია რ., ჩიკვილაძე მ. –„საგადასახადო საქმე", თბ., 2007წ.
5. მესხია ი., ბასილია რ. -,,საქართველოს საგადასახადო სისტემის სრულყოფის საკითხები", თბ., 2011წ.
6. ვანიშვილი მ., ვანიშვილი ნ., - ,,ფინანსების თეორია", თბ., 2012წ.
7. ყამარაული ს., ჩოკოლაშვილი მ. - ,,გადასახადები და დაბეგვრა." თბ., 2010წ.
8. https://commersant.ge/?view=post&id=140255&lang_id=ge
9. http://www.doingbusiness.org/data/exploretopics/paying-taxes
10. http://geostat.ge/?action=page&p_id=211&lang=geo

Topical Problems of Georgian Payment System

Grigalashvili Levan
Kandashvili Teimuraz
Grigalashvili Bidzina

Summary

Along with the transfer to market economy researching the payment system has become especially topical for Georgia. The main task is to create the payment environment that will assist free business development and the country's economic progress. As a result of conducted research the following problems existing in the system have emerged: nonexistence of encouraging payment activities for attracting foreign investments, difficult mechanism of payment administration system, frequent legislative changes, nonexistence of regional payment policy, the high proportion of indirect payments, inflexible system of forced payments, taking time to check payments and in curtain cases cease of operation, biased inspection that caused a dispute, unequal legal environment of the plaintiff and the payments agency and etc. Also they are not enough to develop this field, activities to support business development revealed in reduction of payments rate are worth mentioning. Eliminating abovementioned problems will contribute to the payment system improvement and a positive impact on business development in the country.

საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის პერსპექტივები თვითმმართველ ქალაქებში

გრძელიძე მაია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

ვანიშვილი მერაბ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია თვითმმართველი ქალაქების ბიუჯეტის შემოსავლები, სადაც ნათლად სჩანს, რომ თვითმმართველი ქალაქები ფინანსურ საკითხებში დამოკიდებულნი არიან ცენტრალურ ხელისუფლებაზე. მიგვაჩნია, რომ თვითმმართველმა ერთეულებმა ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლების ზრდის მიზნით უნდა იმუშაონ ახალი სახის შემოსავლების შემოღებაზე, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის თვითმმართველი ქალაქების ბიუჯეტების შემოსავლებს, და თავის მხრივ, საშუალებას მისცემს ადგილობრივ ხელისუფლებებს განახორციელონ ქალაქისთვის საჭირო მნიშვნელოვანი პროექტები.

საკვანძო სიტყვები: *საბიუჯეტო შემოსავლები, ტრანსფერები, გრანტები, გადასახადები, მოსაკრებლები*

ძირითადი ტექსტი

საქართველოში, ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე სახელმწიფო ხელისუფლების მცდელობის მიუხედავად, ვერ გახდა შესაძლებელი ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების საპროგნოზო მაჩვენებლების გაანგარიშების მექანიზმის სრულყოფა, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა თვითმმართველ ერთეულებში საბიუჯეტო პროცესის ორგანიზაციას. შესაბამისად თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის ფორმირების პროცესში ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების პროგნოზირება წარმოადგენს.

უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შედგენისათვის უპირველესი ამოცანა მისი პოტენციური შემოსულობების სახეობების განსაზღვრაა, ხოლო შემოსულობების განსაზღვრის შემდეგ, მნიშვნელოვანია შემოსავლების პროგნოზირება, რაც ადგილობრივი ათვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შედგენის უმთავრესი საფუძველია, შემოსავლების პროგნოზირებასთან არის დაკავშირებული ბიუჯეტის შემოსავლების ოპტიმალური მოცულობის დადგენა, ხოლო ოპტიმალური შემოსავლების მოცულობიდან გამომდინარე, თვითმმართველობას შეუძლია რაციონალურად გაანაწილოს შემოსავლები სხვადასხვა სახის ხარჯზე.

შემოსავლების პროგნოზირებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საგადასახადო შემოსავ-ლების, გათანაბრებითი ტრანსფერისა და ადგილობრივი მოსაკრებლების პროგნოზირებას. რაც შეეხება საგადასახადო შემოსავლების და გათანაბრებითი ტრანსფერის პროგნოზირებას, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არა უგვიანეს 5 ოქტომბრისა აცნობებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით შესაბამისი ბიუჯეტისათვის გადასაცემი ფინანსური დახმარებისა და გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს [1, მუხლი 77], ხოლო სხვა შემოსულობების დაგეგმვა მთლიანად დამოკიდებულია თვითმმართველ ერთე-ულის მიერ მის პროგნოზირებაზე, ძირითადად სტატისტიკური და დინამიკური მონაცემების, საკანონმდებლო ცვლილებებისა და არსებული სიტუაციის გაანალიზების საფუძველზე.

როდესაც ვიხილავთ ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს აუცილებელია შემოსავლის ერთ-ერთ წყაროდ მოვიაზროთ ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული წინა წლებში გამოუყენებელი ნაშთები, რომელიც შეგვიძლია მივმართოთ მომავალი წლის ბიუჯეტის გადასახდელების დასაფინანსებლად. ნაშთების გამოყენებისას განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო, რამდენადაც მიმდინარე წლის ბიუჯეტში დაგეგმილი შემოსავლების შეუსრულებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთის გამოყენება, შედეგად დაგეგმილი ნაშთი სულაც არ აღმოჩნდეს,

ამიტომ მიზანშეწონილია ნაშთის გამოყენება დამტკიცებული ბიუჯეტის პირველივე დაზუსტებისას.

ასევე, შემოსავლების დაგეგმვისას უნდა გავითვალისწინოთ გრანტის ან სესხის აღების შესაძლებლობა თვითმმართველი ერთეულებისათვის, თუმცა ამ შემთხვევაში თვითმმართველი ერთეულის თავისუფლება დამატებითი დაფინანსების წყაროების მოზიდვის შესაძლებლობების მხრივ შეზღუდულია. თვითმმართველ ერთეულს შეუძლია აიღოს სესხი მხოლოდ საქართველოს მთავრობისგან ან საქართველოს მთავრობის ნებართვით მხოლოდ არაფინანსური აქტივების ზრდისათვის კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით. [2, მუხლი 100]

გარდა ამისა, ბიუჯეტის შემოსულობების ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს არაფინანსური აქტივების კლებიდან (პრივატიზების პროცესიდან) მიღებული სახსრები. აქ კი აღსანიშნავია, რომ გასული წლების მსგავსად, 2018 წელსაც თვითმმართველობებში დაგეგმილი არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსულობების დაახლოებით 90% თვითმმართველ ქალაქებზე მოდის.

საინტერესოდ მიგვაჩნია განვიხილოთ თვითმმართველი ქალაქების ფინანსების შედარება ბოლო 3 წლის განმავლობაში, აგრეთვე, მნიშვნელოვანია დავადგინოთ ფინანსური რესურსების თვალსაზრისით, თუ რა განსხვავებაა თვითმმართველ ქალაქებს შორის. მოქმედი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, შემოსავლები შედგება სამი კატეგორიისაგან: გადასახადები, გრანტები და სხვა შემოსავლები. ამ მაჩვენებლების მიხედვით, თვითმმართველ ქალაქებს შორის მონაცემები შემდეგნაირად არის განაწილებული:

ცხრილი 1

თვითმმართველი ქალაქების 2018 წლის ბიუჯეტების გადასახადები, გრანტები და სხვა შემოსავლები (ათასი ლარი)

თვითმმართველი ქალაქი	გადასახადი	გრანტები	სხვა შემოსავლები
თბილისი	250 000,0	389 906,0	170 779,7
ბათუმი	29 900,0	73 575,8	40 417,2
ქუთაისი	12 600,0	33 893,2	9 312,0
რუსთავი	13 600,0	24 437,5	5 344,6
ფოთი	10 500,0	5 952,7	3 460,2

თვითმმართველი ქალაქების მიერ მისაღები შემოსავლების ანალიზი გვიჩვენებს, რომ გასული წლების მსგავსად, ძირითადი შემოსავალი ქალაქ თბილისზე მოდის 75% (მაგ. 2015წ.-73%%, 2016წ.-70%, 2017წ.-64%). ასევე, აღსანიშნავია, რომ 2018 წელს, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის გათანაბრებითი ტრანსფერის სახით სულ გათვალისწინებულია 705 080,0 ათასი ლარი, რაც, წინა წლის მონაცემებთან შედარებით 50 317,7 ათასი ლარით მეტია (8 %-იანი ზრდა), ხოლო 2016 წლის მონაცემებთან შედარებით 105 748,0 ათასი ლარით მეტია (18%-იანი ზრდა). გამოყოფილი გათანაბრებითი ტრანსფერის უდიდესი ნაწილი 61% ნაწილდება 5 თვითმმართველ ქალაქზე - 427 840,4 ათასი ლარი, ხოლო დარჩენილი 39% დანარჩენ 64 მუნიციპალიტეტზე - 277 239,6 ათასი ლარი (მაგ. 2015წ.-67%%, 2016წ.-58%, 2017წ.-67%). მიუხედავად იმისა, რომ თვითმმართველი ქალაქებისათვის 2018 წელს გათანაბრებითი ტრანსფერის მოცულობა მთლიანობაში შემცირდა 3%-ით, 2018 წლისათვის შეინიშნება გათანაბრებითი ტრანსფერის ზრდა თვითმმართველ ქალაქებში, რაც გამოწვეულია გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების ფორმულის ცვლილებითა და ტრანსფერის გაანგარიშებისას გამოანგარიშებული გათანაბრებითი ტრანსფერისა და საგადასახადო შემოსავლის ჯამური საპროგნოზო მაჩვენებლის 2017 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე ნაკლებობით. [3, მუხლი 16]

გრანტებს თვითმმართველი ქალაქების 2015-2018 წლების ბიუჯეტების შემოსულობის 30-60% უკავია, რაც შეიძლება ითქვას მაღალი მაჩვენებელია და ადგილობრივი ბიუჯეტების სახელმწიფო ბიუჯეტზე დამოკიდებულების ხარისხზე მეტყველებს. თვითმმართველობების მიერ მიღებული გრანტების უდიდესი ნაწილი სხვა დონის ხელისუფლებიდან მიღებული გრანტებისაგან შედგება.



გრაფიკი 1: თვითმმართველი ქალაქების ბიჯეტების გრანტების მოცულობა და მისი წილი მთლიან შემოსულობებთან 2015-2018 წლების მიხედვით (ათასი ლარი)

როგორც გრაფიკიდან ჩანს, 2016 წელს მნიშვნელოვნად შემცირდა თვითმმართველი ქალაქებისთვის გამოყოფილი გრანტების მოცულობა, რაც გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ 2016 წლიდან საშემოსავლო გადასახადის გარკვეული კატეგორიები შედის თვითმმართველობის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში, ხოლო 2017 წლისათვის შემოსულობების ზრდა ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ 2017 წლიდან „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმად შეიცვალა დადგენილი მოსაკრებლის ოდენობა, რამაც გამოიწვია დამატებით შემოსავლების მიღება. ასევე, გრანტების ნაწილში ზრდა გამოწვეულია თვითმმართველი ქალაქებისათვის დამატებით სპეციალური და კაპიტალური ტრანსფერის გამოყოფით. რაც შეეხება 2018 წელს, კლება გამოწვეულია იმით, რომ თვითმმართველი ქალაქების რაოდენობა შემცირდა 12-დან 5-მდე.

მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი შემოსულობების დიდ ნაწილს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული გათანაბრებითი ტრანსფერი, მაინც მნიშვნელოვანია საკუთარი შემოსავლების სხვა წყაროების (საგადასახადო შემოსავლები, სხვა შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება) რეალისტურად დაგეგმვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ თვითმმართველმა ერთეულებმა ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლების ზრდის მიზნით უნდა იმუშაონ ახალი სახის შემოსავლების შემოღებაზე, რაც დღევანდელ პირობებში სავსებით შესაძლებელია. ჩატარებული კვლევებიდან და ანალიზიდან გამომდინარე, თვითმმართველი ქალაქებისათვის შეთავაზებულია ისეთი მოსაკრებლების დაწესება, როგორიცაა ტურისტული და ტაქსების მოსაკრებლები. მიგვაჩნია, რომ ეს მოსაკრებლები მნიშვნელოვნად გაზრდის თვითმმართველი ქალაქების ბიუჯეტების შემოსავლებს, რაც, თავის მხრივ, საშუალებას მისცემს ადგილობრივ ხელისუფლებებს განახორციელონ მნიშვნელოვანი პროექტები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თვითმმართველ ქალაქებში შემოსავლების ზრდისათვის შეთავაზებულია შემდეგი სახის რეკომენდაციები:

1. საკანონმდებლო სახის ინიციატივა, რომელიც შეეხება საქართველოს კანონებში - მოსაკრებელების სისტემის საფუძვლების შესახებ, ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში, მოსაკრებლების სახეების დამატებას, კერძოდ:

- ტაქსების მოსაკრებელი დაწესდეს პირველ ეტაპზე თვითმმართველი ქალაქების დონეზე, ხოლო შემდგომ - მუნიციპალიტეტებში. საჭიროა განისაზღვროს ტაქსების მოსაკრებლიდან მისაღები შემოსავალი თითოეულ მანქანაზე თვეში მინიმუმ 10 ლარი ან მაქსიმუმ 30 ლარი. თუ ვივარაუდებთ, დაახლოებით 10 000 მანქანას თვეში, რაც სავსებით რეალურია. წლიურად დამატებით მინიმუმ 1,2 მლნ ლარი და მაქსიმუმ 3,6 მლნ ლარის შემოსავლის მიღება იქნება

შესაძლებელი. მართალია, აღნიშნულით თბილისი უპირატეს სიტუაციაში აღმოჩნდება, მაგრამ სხვა თვითმმართველი ქალაქებიც მიიღებენ დამატებით შემოსავლებს და გადაჭრიან მათთვის მნიშვნელოვან პრობლემებს.

- ტურისტული მოსაკრებელი - რომელსაც იყენებს ევროპის 12 ქვეყანა, მათ შორის: ესპანეთი, ხორვატია, ბელგია და სხვა საშუალოდ 0,15-7,5 ევრო დღეში. დუბაიში ტურისტული გადასახადი 2 დოლარიდან 6 დოლარამდეა. ასევე, რომში ჩასულ ტურისტებს სასტუმროში ღამის თევისათვის ტურისტული გადასახადის სახით 1 ევროდან 7 ევრომდე გადახდა უწევთ, რაც დამოკიდებულია სასტუმროს ტიპზე. ტურიზმის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, საქართველოში ყოველწლიურად 3,5 მლნ-მდე ტურისტი შემოდის (საქართველოში დაჰყო 24 საათი და მეტი), თუ ავიღებთ მინიმალურ ტარიფს 1 ლარს ერთ ტურისტზე (მიუხედავად დღეების რაოდენობისა), დამატებით 3,5 მლნ-მდე შემოსავალს გულისხმობს, ხოლო საშუალოდ 4 ლარის დაწესების შემთხვევაში დამატებით 14 მლნ ლარია, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს თვითმმართველობებს უფრო მეტად დააკმაყოფილონ საზოგადოებრივი საჭიროებები, განახორციელონ ინფრასტრუქტურული და სხვა პროექტები.

2 . თვითმმართველი ქალაქების ნორმატიულ აქტებში ცვლილებები - რომელიც ეხება 100 000 ლარზე მეტი შემოსავლების მქონე ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადის განაკვეთებს. დღეს არსებული კანონმდებლობით, თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოები განსაზღვრავენ ქონების გადასახადის განაკვეთებს საგადასახადო კოდექსით დამტკიცებული მოცულობის ფარგლებში. თვითმმართველი ქალაქების წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ მიღებული შესაბამისი აქტების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ ქონების გადასახადის განაკვეთი დადგენილია 100 000 ლარზე მეტი შემოსავლის მქონე ფიზიკური პირებისათვის 0,8 % (საგადასახადო კოდექსით კი მაქსიმალური განაკვეთი შეადგენს 1%-ს). თუ თვითმმართველი ქალაქების მიხედვით არსებულ განაკვეთს გავზრდით 0,2 %-ით (ფიზიკურ პირთა ქონება დაიბეგრება მაქსიმალური განაკვეთით 1%), დამატებითი შემოსავლების მიღებაც იქნება შესაძლებელი. მაგ: სახელმწიფო ხაზინის მონაცემებით, 2017 წელს თვითმმართველ ერთეულებში ფიზიკური პირების მიერ გადახდილმა ქონების გადასახადმა შეადგინა 45,8 მლნ ლარი (მათ შორის 5 თვითმმართველ ქალაქში 22,8 მლნ ლარი). თუ ვივარაუდებთ, რომ 100 000 ლარზე მეტი შემოსავლის მქონე ფიზიკური პირების მიერ გადახდილი თანხა საშუალოდ 20% - 30% იქნება, ეს დამატებით 0,9 მლნ ლარიდან - 1,4 მლნ ლარამდე იქნება მხოლოდ თვითმმართველი ქალაქების შემთხვევაში, ხოლო მთლიანად მუნიციპალიტეტებისათვის მინიმუმ 1,8 მლნ ლარი და მაქსიმუმ 2,7 მლნ ლარის შემოსავალს მოიტანს, რაც თვითმმართველობების მიხედვით ბუნებრივია განსხვავებული იქნება. რა თქმა უნდა უპირატეს მდგომარეობაში თბილისი (43%) იქნება, რამდენადაც ქონების გადასახადის დიდი ნაწილი აქ არის თავმოყრილი. [4]

3. მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების ინსტრუქციას. დღეს არსებული კანონმდებლობით, ფინანსთა მინისტრს აქვს მინიჭებული ერთპიროვნული უფლებამოსილება დაამტკიცოს გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების ინსტრუქცია.[5] ეს ნიშნავს, რომ ფინანსთა მინისტრს შეუძლია მის მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის ფარგლებში, ფორმულაში გამოსაყენებელი სხვადასხვა კოეფიციენტების შემოღებითა და მათი მოცულობების ცვლილებით, მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს გათანაბრებითი ტრანსფერების მოცულობაზე. შესაბამისად, გათანაბრებითი ტრანსფერის სამართლიანი განაწილების ერთ-ერთ მთავარ პრობლემად კვლავ რჩება მისი გაანგარიშების წესის შეზღუდული საკანონმდებლო რეგლამენტაცია.

მიგვაჩნია, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას ქვეყანაში ეფექტიანი სატრანსფერო პოლიტიკის გატარება წარმოადგენდეს, რამაც უნდა უზრუნველყოს ცალკეულ რეგიონებს შორის ფინანსური რესურსების სამართლიანი გადანაწილება, კონკურენცია და შეჯიბრებითობა.

გათანაბრებითი ტრანსფერის სამართლიან გაანგარიშებასთან ერთად, სერიოზულ პრობლემად

რჩება სხვა შემოსავლების მობილიზებაც, მიუხედავად იმისა, რომ 2017 წელს, 2016 წელთან შედარებით სხვა შემოსავლები (საკანონმდებლო ცვლილების შედეგად) 48,3 მილიონი ლარით (25%) გაიზარდა, 2016 წელს დაწყებული სხვა შემოსავლების კლების ტენდენცია არსებითად არ შეცვლილა. 2017 წელთან შედარებით, სხვა შემოსავლებმა 2018 წელს 6%-ით იკლო (13.6 მილიონი ლარი). გამომდინარე აქედან, ადგილობრივმა მთავრობამ კარგად უნდა გაანალიზოს სხვა შემოსავლების შემცირების ტენდენციის გაგრძელების მიზეზები და დასახოს კონკრეტული გზები მათ გასაზრდელად.

დასკვნა

კვლევის შედეგად გაანალიზებულია საქართველოში თვითმმართველი ქალაქების ბიუჯეტის შემოსავლების დღევანდელი მოდელი და მოცემულია მითითებები შემოსავლების დაგეგმვის კუთხით გასატარებელი ღონისძიებების სწორად და ეფექტიანად წარმართვისათვის. შედეგად გამოიკვეთა, რომ თვითმმართველი ქალაქების ბიუჯეტებისთვის მეტი ფინანსური რესურსების მოსაძიებლად აუცილებელია შემოსავლების დამატებითი წყაროების გაჩენა, რაც უზრუნველყოფს მათ წინაშე დასმული ამოცანების სრულყოფილად განხორციელებას. ასევე, რეგულარულად გადაისინჯოს გათანაბრებითი ტრანსფერის ფორმულა, ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე ტრანსფერის გამოსაანგარიშებლად, რათა უზრუნველყოფილ იქნეს გათანაბრების სამართლიანი სისტემის შექმნა.

გამოყენებული ლიტერატურის სია

1. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“, საქართველოს კანონი, 2010 წ.
2. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საქართველოს ორგანული კანონი, 2014 წ.
3. „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი“ საქართველოს კანონი, 2017 წ.
4. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ხაზინა//www.treasury.gov.ge.
5. “გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე”, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 30 დეკემბრის №904 ბრძანება.
6. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე//www.matsne.gov.ge.
7. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო//www.mof.ge.

The Outlook for Budgetary Revenue Growth in Self-Governing Cities

Grdzelidze Maia, STU doctoral student
Vanishvili Merab, STU Professor

Summary

The research considers issues of budgetary revenues in self-governing cities of Georgia and reveals the fact of their financial dependence on central government. The author shows the need to find new sources of budgetary revenues, which enable them to fund crucially needed projects for their municipalities.

Key Words: Budgetary Revenue, Subventions, Grants, Taxes, Fees

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებიდან გამომდინარე ფინანსური გამოწვევები

დევიძე თამარ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

შოშიტაშვილი დავით
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა აღმოსავლეთ და სამხრეთ მეზობლებთან მიზნად ისახავს მაქსიმალური პოლიტიკური ასოცირების და მაღალი ეკონომიკური ინტეგრაციის მიღწევას. ევროპული სამეზობლო პოლიტიკის მიღებით დაიწყო ახალი, უფრო მჭიდრო თანამშრომლობის ეტაპი საქართველოსა და ევროკავშირს შორის.

საკვანძო სიტყვები: *ევროკავშირი, ასოცირების შეთანხმება, ფინანსური მხარდაჭერა.*

ძირითადი ტექსტი:

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველო აღმოჩნდა მეტად არასახარბიელო და არასტაბილურ ვითარებაში, რასაც კიდევ უფრო მეტად ამძიმებდა ქვეყანაში არსებული სოციალური და პოლიტიკური ვითარება, საერთაშორისო პოლიტიკური საზოგადოება 90-იან წლებში საქართველოს მიიჩნევდა წარუმატებელ და არშემდგარ სახელმწიფოდ. მიუხედავად ამისა, 2004 წლის იანვარში ქვეყანა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისთვის დაჩქარებულ დღის წესრიგში გადავიდა. ამავდროულად, ევროკავშირის ინტერესი გაიზარდა აღმოსავლეთ მეზობლების მიმართ უსაფრთხოების კუთხით პრობლემების საპასუხოდ. ამავე წელს განხორციელებული ყველაზე დიდი გაფართოების შემდეგ, ევროკავშირის გეოპოლიტიკურმა ცვლილებებმა ხელი შეუწყო ევროპული სამეზობლო პოლიტიკის შემუშავებას, რათა გაეღრმავებინა პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირი ევროკავშირის სამხრეთით და აღმოსავლეთით მდებარე მეზობელ ქვეყნებთან, მათ შორის საქართველოსთან[1].

საქართველოსთვის აღნიშნული თანამშრომლობის პერსპექტივა ითვალისწინებდა შემდეგი სახის ღონისძიებებს: უფრო მჭიდრო თანამშრომლობას და ინტეგრაციას ვაჭრობის და ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავების კუთხით; საქართვლოს კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან მაქსიმალურად დაახლოებას; არასატარიფო ბარიერების შემცირების პროცესის გაგრძელებას ვაჭრობის, ინვესტიციების მოზიდვის, და, ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისათვის.[2]

ევროკავშირთან პარტნიორობის ახალი ფორმატის ფარგლებში შემუშავებული ეკონომიკური პირობები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საქართველოსთვის და ქვეყნის განვითარებადი ბაზრისთვის.

საქართველოს მიერ ევროპისკენ აღებული გეზი 2008 წლის აგვისტოს რუსეთთან ხუთ დღიანმა ომმა მნიშვნელოვნად შეაფერხა. ამ ომს წინ უძღვოდა რუსეთის მხრიდან ემბარგოს დაწესება საქართველოში წარმოებულ მთელ რიგ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე, მათ შორის ღვინოზე. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომს, ძალიან ცუდად დაემთხვა გლობალური ეკონომიკური და ფინანსური კრიზისი. ამ ორმა მოვლენამ კიდევ უფრო შეაფერხა ქვეყნის ეკონომიკური განვითარება. საქართველოსთვის ძალიან რთული იყო ეკონომიკური პარტნიორების და პოლიტიკური მხარდაჭერის შენარუნება.

2009 წლის მაისში მიღებულ იქნა ევროკავშირის მხრიდან შემუშავებული თანამშრომლობის ახალი ფორმატი - „აღმოსავლეთ პარტნიორობა"(EaP), რომელმაც კიდევ უფრო გააძლიერა თანამშრომლობა მხარეებს შორის.

[1] EuropeanUnionExternalAction,TheBenefitsoftheEuropeanNeighbourhoodPolicy(ENP).ხელმისაწვდომია: http://eeas.europa.eu/enp/which-are-the-benefits/index_en.htm.

[2] EuropeanUnionExternalAction,EU-GeorgiaActionPlan.ხელმისაწვდომია: http://eeas.europa.eu/enp/pdf/pdf/action_plans/georgia_enp_ap_final_en.pdf.

2014 წელს შესაძლებელი გახდა ასოცირების შესახებ შეთანხმების გაფორმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის (შემდგომში ასოცირების შეთანხმება), რომლის განუყოფელი ნაწილია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთახმება. ასოცირების შეთანხმება მიზნად ისახავს ,,საქართველოსა და ევროკავშირს შორის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას და ეტაპობრივ ინტეგრირებას ევროკავშირის შიდა ბაზარზე - რაც მსოფლიოში ყველაზე დიდ ბაზარს წარმოადგენს."[1]

2014 წლის ივნისში ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერით საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაღრმავდა თანამშრომლობა, ხოლო ღრმა და ყოვლის მომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების ნაწილი მიზნად ისახავს საქართველოს ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობას და ევროკავშირის ბაზარზე ეტაპობრივ დაშვებას. საქართველოსთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი არის ევროკავშირის კანდიდატი წევრობის ქვეყნის სტატუსის მოპოვება და, რა თქმა უნდა, პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობა.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებამ(AA)[2], რომელიც გაფორმდა 2014 წლის 27 ივნისს და სრულად შევიდა ძალაში 2016 წლის 1 ივლისს, დააწესა ახალი პრეფერენციული ვაჭრობის რეჟიმი - ღრმა და ყოვლის მომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ სივრცე(DCFTA)[3].

DCFTA წარმოადგენს შედარებით ახალ ინსტრუმენტს, რომელიც ევროკავშირმა გამოიყენა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვენნებიდან[4] სამ ქვეყანასთან: საქართველო; მოლდოვა; უკრაინა. შეთანხმების ძირითადი ამოცანაა, სტიმულირება მოახდინოს ევროკავშირის ისეთი ღირებულებების, როგორიცაა დემოკრატია და ადამიანის უფლებები, კანონის უზენაესობა, კარგი მმართველობა, საბაზრო ეკონომიკის პრინციპები და მდგრადი განვითარება, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნებთან უფრო მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა.

საქართველოს მიერ გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის სხვა შეთანხმებებისაგან განსხვავებით, DCFTA გულისხმობს როგორც საქონლით, ისე მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაციას. გარდა ამისა, DCFTA მოიცავს ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო არეალს(სურსათის უვნებლობა, კონკურენციის პოლიტიკა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, ფინანსური მომსახურება და სხვ.) და აგრეთვე ითვალისწინებს ვაჭრობის საკითხებთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

DCFTA საშუალებას აძლევს საქართველოს ეტაპობრივად მიიღოს ევროკავშირის შიდა ბაზრის ოთხი თავისუფლებიდან სამი: საქონლის გადაადგილება; მომსახურების გადაადგილება; კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება. მეოთხე თავისუფლებას, რომელიც გულისხმობს ადამიანების თავისუფალ გადაადგილებას, ხელს უწყობს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პროცესი.

DCFTA(AA) არის ერთ-ერთი ყველაზე ამბიციური და დეტალურად გაწერილი, რომელიც ევროკავშირს მესამე ქვეყნებთან გაუფორმებია. DCFTA მოიცავს თანამშრომლობის ფართო სპექტრს: საქონლით ვაჭრობა; ვაჭრობაში დაცვითი ზომები; ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში, სტანდარტიზაცია, მეტროლოგია, აკრედიტაცია და შესაბამისობის შეფასება; სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები; საბაჟოსა და ვაჭრობის ხელშეწყობა; დაფუძნება, მომსახურებით ვაჭრობა და ელექტრონული კომერცია; მიმდინარე გადახდები და კაპიტალის მოძრაობა; საჯარო შესყიდვები; ინტელექტუალური საკუთრების უფლებები; კონკურენცია; ვაჭრობასთან დაკავშირებული დებულებები ენერგეტიკის სფეროში; გამჭვირვალობა; ვაჭრობა და მდგრადი განვითარება; დავების მოგვარება; დაახლოების ზოგადი დებულებები.

---

[1] EuropeanUnionExternalAction,EUGeorgiaAssociationAgreement.WhatdoestheAgreementOffer? ხელმისაწვდომია:http://eeas.europa.eu/georgia/pdf/quick_guide_eu_ge_aa_en.pdf

[2] Association Agreement between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part. ხელმისაწვდომია:http://eur-lex.europa.eu/legal-content/ga/TXT/?uri=CELEX:52014PC0149

[3] European Commission,ხელმისაწვდომია:http://ec.europa.eu/trade/policy/countries-and-regions/countries/georgia/

[4] აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები არიან: სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსი, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა.

გარდა იმისა, რომ ასოცირების შესახებ შეთანხმება არის ახალი ჩარჩო დოკუმენტი საქართველოსა და ევროკავშირს შორის პოლიტიკური თანამშრომლობისთვის, მას აგრეთვე ახლავს დანართი, რომელშიც მოცემულია ევროკავშირის კონკრეტული სამართლებრივი აქტები და მათთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების ვადები. აგრეთვე, შემუშავების და დამტკიცების პროცესშია აქტების ნუსხა, რომელიც ურთიერთშეთანხმების გზით განისაზღვრება და დაწესდება შესრულების ვადებიც. შესაბამისად, საქართველოს ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება მოხდება ეტაპობრივად და შეთანხმებული ვადების მიხედვით.

ევროკავშირი ხაზს უსვამს, რომ ასოცირების შეთანხმების მიზანია მხარეებს შორის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობის გაღრმავება და ქვეყნის ეტაპობრივი ინტეგრაცია ევროკავშირის შიდა ბაზართან, რომელიც მსოფლიოში ყველაზე დიდ ბაზარს წარმოადგენს.[1]

2014 წლიდან ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტი(ENI) წარმოადგენს აღმოსავლეთ პარტნიორობასთან თანამშრომლობის მთავარ ფინანსურ ინსტრუმენტს 2014-2020 წლებისთვის და ითვალისწინებს საქართველოსთვის 610 -746 მილიონი ევროს გამოყოფას სხვადასხვა ინსტრუმენტების მეშვეობით.[2]

მხარეებს შორის შეთანხმების პრიორიტეტული სექტორები 2017-2020 წლებისთვის არის შემდეგი: ეკონომიკური განვითარება და საბაზრო შესაძლებლობები; დემოკრატია, ადამიანის უფლებები, კარგი მმართველობა და ინსტიტუციების გაძლიერება; ენერგოეფექტიანობა და გარემოს დაცვა; მობილობა და ხალხთა შორის კავშირი; ინსტიტუციების გაძლიერება და შესაძლებლობების ზრდა; სამოქალაქო საზოგადოების განვითარება; სტრატეგიული კომუნიკაცია.

ENI-ის წლიური პროგრამა ხორციელდება შემდეგი ინსტრუმენტების მეშვეობით: საბიუჯეტო მხარდაჭერა, პროგრამები და პროექტები(გრანტები და სერვის კონტრაქტები), ტექნიკური დახმარება (Twinning, TAIEX, SIGMA) და სხვ.(მაგ. NIF).

საბიუჯეტო მხარდაჭერა: ევროკავშირის მიერ აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონის დახმარების ძირითად ფორმას წარმოადგენს. იგი დამოკიდებულია პოლიტიკურ დიალოგზე, პარტნიორობასა და ორმხრივ პასუხისმგებლობაზე ევროკავშირსა და მის პარტნიორ ქვეყნებს შორის.

ევროკავშირის მხარდაჭერით ამჟამად მიმდინარეობს შემდეგი საბიუჯეტო მხარდამჭერი პროგრამები:

პროგრამის დასახელება	ხელმოწერის თარიღი	მთლიანი ბიუჯეტი	საბიუჯეტო დახმარება	დამატებითი დახმარება
სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერის პროგრამა (ENPARD III)	4დეკემბერი, 2017	77.5 მლნ. ევრო	44.5 მლნ. ევრო	33 მლნ. ევრო
საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში	4ოქტომბერი, 2016	30 მლნ. ევრო	20 მლნ. ევრო	10 მლნ. ევრო
სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერის პროგრამა (ENPARD II)	26მაისი, 2016	55.5 მლნ. ევრო	27 მლნ. ევრო	23 მლნ. ევრო + 5.5 მლნ. ევრო თანადაფინანსება გრანტებით
საქართველოში მართლმსაჯულების სექტორის რეფორმის მხარდაჭერა	14მაისი, 2015	50 მლნ. ევრო	30 მლნ. ევრო	20 მლნ. ევრო
DCFTA-სგანხორციელების და მცირე დასაშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა	13იანვარი, 2015	44,5 მლნ. ევრო	25 მლნ. ევრო	19,5მლნ. ევრო

სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერის პროგრამა ENPARD III: პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულებების მხარდაჭერა, როგორიცაა: სოფლის მეურნეობის პოლიტიკის გატარებაში სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერა. ასევე, ბუნებრივი რესურსებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განმტკიცება.

საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში: პროგრამის მიზანია საქართველოში საჯარო მმართველობის ეფექტიანობის, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის გაუმჯობესება.

[1] EuropeanUnionExternalAction,EUGeorgiaAssociationAgreement.WhatdoestheAgreementOffer? ხელმისაწვდომია:http://eeas.europa.eu/georgia/pdf/quick_guide_eu_ge_aa_en.pdf

[2] Programming of the European Neighbourhood Instrument (ENI) - 2014-2020, Single Support Framework for EU support to Georgia (2014-2017). ხელმისაწვდომია: http://eeas.europa.eu/enp/pdf/financing-the-enp/georgia_2014_2017_programming_document_en.pdf

სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერის პროგრამა ENPARD II: პროგრამის მეორე ფაზა აერთიანებს მხარდაჭერას სოფლის მეურნეობის, სურსათის უსაფრთხოების, სანიტარული და ფიტოსანიტარული მიმართულებით. ძირითადი ყურადღება ეთმობა დასაქმებას და სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას.

საქართველოში მართლმსაჯულების სექტორის რეფორმის მხარდაჭერა: პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ღონისძიებები, რომელიც განკუთვნილია მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებასა და ბავშვებისთვის შესაფერისი ინსტიტუტებისა და პროცესების მხარდაჭერის გააქტიურებაზე.

DCFTA-ს განხორციელების და მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა: პროგრამის მიზანია ევროკავშირთან გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების განხორციელების მხარდაჭერა და ქართული ბიზნესებისთვის ევროკავშირთან ვაჭრობის პოტენციალის ათვისების ხელშეწყობა.

სამივე პროგრამის გაფორმება დაგეგმილია 2018 წლის ბოლომდე და აღნიშნული პროგრამები მიმართული იქნება განახორციელოს ქვეყანაში ეკონომიკური გარდაქმნები, დაეხმაროს ხელისუფლებას ასოცირებით აღებული ვალდებულებების შესრულებაში და ამით მეტად დაუახლოვდეს ევროკავშირის სტანდარტებს და რეგულაციებს.

სექტორული რეფორმების განხორციელებისთვის საბიუჯეტო დახმარების ინსტრუმენტის გარდა, საქართველო აქტიურად იყენებს ევროკავშირის მიერ შემოთავაზებულ ტექნიკურ/საექსპერტო დახმარებას სახელმწიფო უწყებების ინსტიტუციურ განვითარებაზე ორიენტირებული ოთხი ძირითადი მიმართულების ფარგლებში: **კლასიკური ტექნიკური დახმარების პროექტები(TA); საჯარო სამსახურების დაძმობილების პროგრამა(TWINNING); პროგრამა SIGMA; ტექნიკური დახმარების პროგრამა ინფორმაციის გაცვლისთვის TAIEX.**

ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი ფინანსური მხარდაჭერის ოდენობის სტატისტიკას თუ გადავხედავთ, ნათლად იკვეთება ბოლო პერიოდში გამოყოფილი ფინანსური მხარდაჭერის მოცულობის ზრდა: 1992-2006 -- 500 მლნ ევრო; 2007 – 2013 -- 452 მლნ ევრო; 2014 -2020 - 746 მლნ ევრომდე. ასოცირების შესახებ შეთანხმებით, საქართველომ აიღო შესაბამის სფეროებში კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან პროგრესული დაახლოების ვალდებულება და მათი იმპლემენტაცია; უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის მიერ გამოყოფილი ფინანსური დახმარება გამოიყოფა გრანტის სახით და საშუალოდ 2014 წლიდან წლიურად 100 მლნ ევროს შეადგენს.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ საქართველოსთვის ხელმისაწვდომია ევროკავშირის საფინანსო ინსტიტუტების პროდუქტები. ცალსახად აღნიშნიშნება გააქტიურებული თანამშრომლობა ევროკავშირის ფინანსურ ინსტიტუტებთან, როგორიცაა: ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), ევრო საბჭოს განვითარების ბანკი (CEB), გერმანიის განვითარების ბანკი (KfW) და სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან.

აღსანიშნავია რომ, ევროკავშირის მიერ ფინანსური მხარდაჭერა ასოცირების შეთანხმების გაფორმების შემდეგ მკვეთრად გაიზარდა და წლიურად საშუალოდ 100 მლნ ევროს შეადგენს. ევროკავშირი განსაკუთრებულ როლს თანამშობს ამჟამად საქართველოში მიმდინარე პროგრამებით („DCFTA-ს განხორციელების და მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა“ და „სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერა“ ნაწილი II, III). საქართველოს ეკონომიკური განვითარება პროორიტეტულ მიმართულებად არის განსაზღვრული საქართველო-ევროკავშირის ჩარჩო დოკუმენტით 2017-2020 წლებისთვის და ამას ადასტურებს 2018 წელს გათვალისწინებული ევროკავშირსა და საქართველოს შორის გასაფორმებელი პროგრამები - ეკონომიკური მმართველობა და ანგარიშვალდებულება (Economic Governance and Accountability); ეკონომიკის და ბიზნესის განვითარება საქართველოში (Economic and Business Development in Georgia, 47 მლნ ევრო)[1]; უნარების განვითარება და დასაქმების ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობა (Skills Development and Matching for Labor Market Needs, 50 მლნ ევრო)[2] და სხვ.

[1] https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/sites/near/files/eni_2017_040318_economic_and_business_development.pdf

[2] https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/sites/near/files/eni_2017_040319_skills_development_and_matching_labour_market_needs.pdf

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ევროპის სამეზობლო პოლიტიკა:https://ec.europa.eu/neighbourhood-nlargement/node_en
2. საინფორმაციო ცენტრი - ევროკავშირის მეზობლები:http://www.euneighbours.eu/en
3. ინფორმაცია ევროკავშირის დაფინანსების შესახებ: https://ec.europa.eu/europeaid/about-funding_en
4. ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში: https://eeas.europa.eu/delegations/georgia_ka
5. ინფორმაცია საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის შესახებ: https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/neighbourhood/countries/georgia_en
6. ევროკავშირის დაფინანსების შესახებ სახელმძღვანელო „European Union fundingfor the Neighbourhood and Russia“:
7. http://www.enpi-info.eu/files/publications/EU%20funding%20Handbook%20-%20Final%2026Feb.pdf
8. თავისუფალი ვაჭრობა ევროკავშირთან: http://www.dcfta.gov.ge
9. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის: http://mfa.gov.ge/ევროპული-და-ევრო-ატლანტიკური-ინტეგრაცია/Association-Agreement.aspx

Financial implications of the Association Agreement with the European Union

Devidze Tamar
Associate Professor of Technical University of Georgia
Shoshitashvili David
PhD student of Technical University of Georgia

Summary

The new format of cooperation - “Eastern Partnership” (EaP) was adopted by the EU in May 2009, and in 2014 it was possible to sign the Association Agreement between EU and Georgia, and the DCFTA which is an integral part of it. The AA includes a wide range of cooperation and at the same time it has many financial implications. The EU is actively involved in the implementation of commitments under the Association Agreement by Georgia both financially and by expert support.

ფისკალური პოლიტიკის როლი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელზე

თათეშვილი როინ
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ვეფხვიაშვილი ეკატერინე
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს სახით არსებობისა და განვითარებისათვის აუცილებელია ქვეყნის გეგმიური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე ეტაპობრივი გადასვლა. ახალი ეკონომიკური კურსის გასატარებლად აუცილებელია სწრაფი და შედეგზე ორიენტირებული ეკონომიკური რეფორმების განხორციელება.

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების უმთავრესი საყრდენია საგადასახადო კანონმდებლობა, რომელიც ეკონომიკური ზრდის პარალელურად განიცდის ცვლილებებს და არეგულირებს სახელმწიფოსა და გადასახადის გადამხდელს შორის ყოველდღიურ ურთიერთობას.

საქართველოს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა დაფუძნებულია საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ ნორმებზე, საყოველთაოდ აღიარებულ დემოკრატიულ ღირებულებებზე და დაცულია სახელმწიფოსა და გადასახადის გადამხდელს შორის უფლებრივი თანასწორობა და სამართლიანი თანამშრომლობის პრინციპები. აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო ცდილობს შეამციროს საგადასახადო წნეხი ადმინისტრირების ლიბერალიზაციის და საგადასახადო განაკვეთების შემცირების გზით და ხელი შეუწყოს ქვეყანაში სამეწარმეო სექტორის გაძლიერებას. რა თქმა უნდა, სამეწარმეო სექტორის გაძლიერება არ გულისხმობს მხოლოდ მეწარმე სუბიექტთა ეკონომიკური მდგომარეობის ზრდას და მეტი გადასახადების მობილიზებას - იგი უნდა პასუხობდეს საქართველოს შიდა და საგარეო ინტერესთა სრულ სპექტრს.

მოცემულმა ფაქტმა შესაძლებელია გააჩინოს რიტორიკული კითხვა - როგორ შეიძლება წაადგეს ქვეყნის ეკონომიკას გადასახადების შემცირება?

პასუხი მარტივია: გადასახადების ადმინისტრირების ლიბერალიზაცია, სახელმწიფოსა და გადასახადის გადამხდელს შორის ყოველდღიურ კომუნიკაციის გამარტივება და საგადასახადო განაკვეთების შემცირება გამოიწვევს მეწარმე სუბიექტთა ეკონომიკურ გაძლიერებას და სამეწარმეო საქმიანობის სეგმენტის გაფართოებას, გაიზრდება ბაზრის მოთამაშეთა კონკურენტუნარიანობა, შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები, გაიზრდება მოსახლეობის მსყიდველთუნარიანობა და ა.შ. აქედან გამომდინარე, თითოეული მეწარმის და დასაქმებულის მეტი შემოსავალი ნიშნავს მეტი გადასახადების მობილიზებას.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ განვიხილავთ მოგების გადასახადის ,,ესტონური მოდელის" რეგულაციებს, მის დადებით და უარყოფით მხარეებს და იმ შედეგებს, რაც მის პრაქტიკულ განხორციელებას მოჰყვება. ამასთან ერთად განვიხილავთ მთავრობის მიერ დაანონსებულ მცირე ბიზნესის წახალისების საკანონმდებლო ინიციატივას.

სწორედ ამიტომ, სახელმწიფოს ეკონომიკისა და საგადასახადო პოლიტიკის, თეორიული და პრაქტიკული ასპექტების კვლევა მუდმივად აქტუალური და პრობლემატური საკითხია, რაც განაპირობებს წინამდებარე თემის აქტუალურობას.

საკვანძო სიტყვები: ***საგადასახადო წნეხი, ესტონური მოდელი, ფისკალური სტიმულირება, მშპ-ს ზრდის ტემპი, განაწილებული მოგება, დივიდენდი, რეინვესტირება.***

ძირითადი ტექსტი

ქვეყნის ეკონომიკის განვითარების სტიმულირება მნიშვნელოვნად საგადასახადო კანონმდებ-ლობაზე გადის. ამდენად გადასახადების შემცირება ზემოთ აღნიშნული ამოცანების განხორციელების ერთ-ერთი წინაპირობაა.

საქართველომ ბოლო პერიოდში მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმები გაატარა

ეკონომიკის ფისკალური სტიმულირების და განვითარების კუთხით. ახალი საგადასახადო კოდექსით დარეგულირებული გადასახადების ადმინისტრირების მექანიზმების დახვეწის შედეგად საგადასახადო ორგანოების წარმომადგენელთა მიდგომა გადასახადების გადამხდელთა მიმართ გახდა უფრო ლოიალური, და გადასახადის გადამხდელი ,,პოტენციურად გადასახადებისაგან თავის ამრიდებლიდან" თანამიმდევრულად იქცა სახელისუფლებო ორგანოების ,,პარტნიორად", თავის მხრივ გაიზარდა საგადასახადო დავის ორგანოთა თავისუფლების დონე, თუმცა, ჯერ კიდევ არ შეცვლილა არასწორი დამოკიდებულება, როდესაც საგადასახადო ორგანოს შეუძლია გადასახადის გადამხდელს დააკისროს საგადასახადო ვალდებულება იმ შემთხვევაშიც კი, თუ დარიცხვის კანონიერება საეჭვოა და გადამხდელს უწევს თავის მართლების და მტკიცებულებების ძიების რეჟიმში გადასვლა.

საქართველომ აღნიშნული რეფორმების შედეგად, შეძლო მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდის მიღწევა და ლიბერალური საგადასახადო იმიჯი შეიქმნა ინვესტორების თვალში.

წარმატებით დაინერგა და ფუნქციონირებს სახელმწიფოსა და გადასახადის გადამხდელების საურთიერთობო ერთიანი ელექტრონული ბაზა - შემოსავლების სამსახურის ელექტრონული გვერდი (რს.გე).

საქართველოში ბიზნესის დაწყება ძალიან მარტივია, რასაც მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების ინდექსში, საქართველოს მოწინავე პოზიციები მოწმობს ბოლო ათწლეულში, თუმცა ეკონომიკური ზრდა საქართველოში არც ისეთი სწრაფია, როგორი მარტივიც ბიზნესის დაწყებაა.

2015 წელს მთავრობის წარმომადგენლებმა დაანონსეს მნიშვნელოვანი ცვლილება საგადასახადო კოდექსში - მოგების გადასახადის ესტონური მოდელის შემოღება (შემდგომში - "ესტონური მოდელი"). საგადასახადო კოდექსში 2016 წელს შესული ცვლილებით, 2017 წლის იანვრიდან, ესტონური მოდელი ძალაში შევიდა.

ქვეყანაში ეკონომიკური წინსვლისა და მდგრადი განვითარების ყველაზე სანდო ინდიკატორად მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდის ტემპმი განიხილება და სწორედ საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო სიახლის გაცხადებული მიზანია ეკონომიკური ზრდის დაჩქარება და ბიზნესის დაწყებისა და განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა.

საგადასახადო კოდექსში შეტანილ ცვლილებას, თან სდევს რამდენიმე მნიშვნელოვანი კითხვა, მათ შორის, მოახდენს თუ არა მოგების გადასახადის დაბეგვრის ახალი მოდელი მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის წახალისებას და რა ახალი გამოწვევების წინაშე შეიძლება დადგეს ქვეყანა.

ამ კითხვებზე საპასუხოდ, პირველ რიგში, გავაანალიზოთ თუ რა შეიცვალა საგადასახადო კოდექსში.

მოგების გადასახადს სტაბილური წილი ეჭირა ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლებში, და მისი პროცენტული წილი, ბოლო წლების მონაცემებით საშუალოდ 11-13 %-ს შეადგენდა.

რეფორმამდელი მოგების გადასახადის მოდელი ითვალისწინებდა დაბეგვრის მარტივ მოდელს: შემოსავლებს - ხარჯები = დასაბეგრი მოგება * 15% = გადასახდელ მოგების გადასახადს.

ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია, განაწილებული მოგება, რომელიც საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით, ფულადი ან არაფულადი ფორმით ნაწილდება.

განაწილებული მოგება იყოფა 4 ნაწილად:

1. განაწილებული მოგება
2. გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის.
3. უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; მათ შორის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ან/და ძირითადი საშუალების დანაკლისი
4. საგადასახადო კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

საგადასახადო რეფორმის პოზიტიური არსი მდგომარეობს იმაში, რომ თუ კომპანია არ გაინაწილებს წმინდა მოგებას დივიდენდის სახით - არ დაიბეგრება, ე.ი. მეწარმეები არ გადაიხდიან მოგების გადასახადს, თუ კომპანიის შემოსავლების რეინვესტირებას მოახდენენ ბიზნესში, არ დახარჯავენ ფულს სამეწარმეო საქმიანობის მიღმა და არ გაწევენ სამეწარმეო საქმიანობისთვის

დადგენილ წარმომადგენლობით ხარჯებს ნორმაზე მეტად, არ განახორციელებენ უსაბუთოდ საქონელის ან მომსახურების შესყიდვას.

რეფორმა არ შეეხო ინდმეწარმეებს და ორგანიზაციებს (სსიპ, ააიპ) და საფინანსო სექტორს ისეთებს, როგორიცაა: კომერციული ბანკები, მიკრო საფინანსო ორგანიზაციები, სადაზღვეო კომპანიები, ლომბარდები.

ვფიქრობთ, არ იყო მიზანშეწონილი სსიპ, და ააიპ -ების მიკუთვნება საფინანსო სექტორთან, განსაკუთრებით სსიპ უმაღლესი საგანმანათლებო დაწესებულებები, რომელთა ,,მოგება" შემდეგი წლის ფაქტიური ხარჯია. ასევე, დაფუძნებულია სახელმწიფოს მიერ და გასანაწილებელი დივიდენდი არ გააჩნიათ.

ჩვენი აზრით, აღნიშნული მოდელი ნაკლებად უზრუნველყოფს მასტიმულირებელ ფუნქციის განხორციელებას და არღვევს სამართლიანობის პრინციპს.

ამერიკაში გავრცელებულია გამონათქვამი, რომლის მიხედვითაც „ამერიკული ეკონომიკის ხერხემალს დიდი კორპორაციები წარმოადგენენ, მის კუნთებს კი, მცირე ფირმები ქმნიან". ნიშანდობლივია, რომ უკანასკნელ წლებში აშშ-ში მცირე ბიზნესს ამერიკული ეკონომიკის ტვინსაც კი ადარებენ. ეს იმიტომ, რომ მრავალი ახალი მეცნიერებატევადი საწარმო, რომელშიც ქვეყნის სამეცნიერო და ტექნიკური პოტენციალის დიდი ნაწილია ჩართული, მცირე ბიზნესის სახით არის წარმოდგენილი.

ფაქტია, რომ მსოფლიოში მცხოვრები უმდიდრესი ადამიანების პირველი წარმატებები სწორედ მცირე ბიზნესიდან იწყებოდა.

მცირე ბიზნესის დამწყებს სურს პირველი ნაბიჯები გადადგას და თავისი საქმიანობა წარმართოს ბიზნესში, რაც არის რთულად გასავლელი გზა იდეის გაჩენიდან მის პრაქტიკულ რეალიზაციამდე.

მცირე ბიზნესისათვის დამახასიათებელია რამდენიმე განსაკუთრებული თავისებურება. მათ შორის:

1. ეკონომიკური რესურსების მართვის დროს გადაწყვეტილების მიღების თავისუფლება - იგი განისაზღვრება საკუთარი და მოზიდული სახსრების თანაფარდობით და სამეწარმეო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სისტემით.
2. ახალი იდეები - საზოგადოების ეკონომიკური რესურსების ახალი კომბინაციების ძიებისა და მიღებული შედეგების რეალიზაება.

მეწარმის ნოვატორული საქმიანობის შემდეგი მიმართულებები გამოიყოფა: ახალი პროდუქციის დამზადება და არსებულის სრულყოფა; წარმოების ახალი მეთოდების დამუშავება და დანერგვა; გასაღების ახალი ბაზრების ათვისება; რესურსების ახალი წყაროების მიღება; წარმოების რეორგანიზაციის გატარება.

უნდა აღვნიშნოთ, რომ თანამედროვე ეკონომიკაში, როდესაც კონკურენტულმა ბრძოლამ ინტენსიური ხასიათი მიიღო, ახალ კომპანიებს მხოლოდ მაშინ შეუძლიათ შეიჭრნენ ათვისებული ბაზრის სეგმენტში (ხოლო მოქმედ კომპანიებს - შეინარჩუნონ კონკურენტული პოზიციები) და წარმატებით გაუწიონ კონკურენცია, თუ ისინი უზრუნველყოფენ თავიანთი ბიზნესის ინოვაციურ განვითარებას.

3) საბოლოო შედეგების მიღწევაში განუსაზღვრელობის არსებობა, ანუ სამეწარმეო რისკი - სამეწარმეო რისკი დაკავშირებულია ცნებასთან - „პასუხისმგებლობა" და გულისხმობს მეწარმის პასუხისმგებლობას საზოგადოებრივი რესურსების, მათ შორის საკუთარი და მოზიდული რესურსების ეფექტიან გამოყენებას. სამეწარმეო რისკის სიდიდე განისაზღვრება მეწარმის მიერ არასწორად მიღებულ გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობის ზომით, ხოლო სამეწარმეო რისკის ხარისხი კი - მეწარმის მართვის უნარის დონით, ქვეყანაში ეკონომიკური სიტუაციის სტაბილურობით, მეწარმის სამართლებრივი დაცულობის დონით და ა.შ.

ამრიგად, სამეწარმეო საქმიანობა (ბიზნესი) აერთიანებს მეწარმის, მესაკუთრის, ნოვატორის და მენეჯერის ფუნქციებს.

აღნიშნული მსჯელობა ადასტურებს, რომ სახელმწიფოს მიერ დაანონსებული საკანონმდებლო ინიციატივა საქართველოს ეკონომიკური განვითარების რთულ გზაზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია და ხელს შეუწყობს, როგორც ქვეყნის გარე, აგრეთვე შიდა ბაზარზე ეკონომიკური აქტივობის

ზრდას, კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მოსახლეობის საშუალო ფენის ფორმირებას, სიღატაკის დაძლევას და სოციალური პოლარიზაციის აღმოფხვრას.

ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილია საკანონმდებლო ინიციატივა, რომლის მიზანია საქართველოში მაქსიმალურად განვავითარდეს მცირე და საშუალო მეწარმეობა და მიღწეული იქნას ისეთი ეკონომიკური ზრდა, რომელიც თითოეულ მოქალაქეს შეეხება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის აუცილებელი წინაპირობაა საგადასახადო საკანონმდებლო მხარდაჭერა, ამასთან ერთად მნიშვნელოვანი სტიმული იქნება უფრო მეტად ჰქონდეთ წვდომა ფინანსურ რესურსებზე.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ჩვენს მიერ განსახილველი საკანონმდებლო ინიციატივის განხილვაში აქტიურად არის ჩართული კერძო სექტორიც, რომ მივიღოთ საგადასახადო კანონმდებლობის ისეთი ცვლილება, რაც მაქსიმალურად იქნება მორგებული ქვეყანაში ჩამოყალიბებულ ეკონომიკურ გარემოს.

ახალი საკანონმდებლო ინიციატივის შესაბამისად მცირე ბიზნესის სტატუსი მიენიჭებათ მეწარმეებს, რომელთა ერთობლივი შემოსავალი წლის განმავლობაში იქნება 500000,00 ლარამდე, ნაცვლად დღემდე არსებული 100000,00 ლარიანი ზედა ზღვრისა. მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი დაიბეგრება 1,00%-იანი განაკვეთით, ნაცვლად 5,00 (3,00)%-ისა. მცირე ბიზნესისათვის შენარჩუნდება მარტივი ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების შესაძლებლობა არავითარი სხვა სახის აღრიცხვის ვალდებულება მცირე ბიზნესს არ ექნება.

გადასახადის დეკლარირება/გადახდა მოხდება ყოველთვიურად და მცირე მეწარმეებისათვის გაუქმდება მიმდინარე (ე.წ. საავანსო) გადასახდელების გადახდის ვალდებულება.

მცირე მეწარმეებს შესაძლებლობა ექნებათ შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის პარალელურად, დარეგისტრირდნენ დღგ-ს გადამხდელებად და შესაბამისად, ჩაითვალონ დღგ ან უკან დაიბრუნონ ავტომატურად სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ახალი საგადასახადო ინიციატივა ერთი მხრივ, აწესებს მინიმალურ საგადასახადო ტვირთს (1%) მცირე ბიზნესისათვის, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოფს მეწარმეებისათვის გამარტივებული საგადასახადო აღრიცხვის მეშვეობით მინიმუმამდე შემცირდეს საგადასახადო ადმინისტრირების დანახარჯები. ვფიქრობთ აღნიშნული რეფორმის შედეგად, მთლიან შიდა პროდუქტში მნიშვნელოვნად გაიზრდება მცირე ბიზნესის ხვედრითი წილი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თათეშვილი. რ. ,,გადასახადები და საბიუჯეტო სისტემა“ გამომცემლობა ,,ახალციხის უნივერსიტეტი“ 2014 წ.

ინფორმაცია გლობალური ქსელიდან:

2. http://www. **forbes.ge.news**
3. http://www **eugeorgia.info/ka/**
4. საქართველოს საგადასახადო კოდექსი

Title: Role of fiscal politic on the sign of economy growth

Tateshvili Roin
Vefkhviashvili Ekaterine

Summery

World’s global crisis and process are showed totally badly on the economy of Georgia., which is on the transitional stage. From all of them, research of practical and theoretical aspects in the government economy, liberation and completing, simplify of tax laws are the subject of caring constantly. It is so important not only for government also for the specialists in the country.

In this paper you can read about evaluation of all changes and innovations which were written in the new law of taxes in Georgia. We totally hope that government should be responsible for make the new laws which will be oriented on the results, all of them should provide creation of strong and sustainable economy.

გლობალიზაცია და ფასიანი ქაღალდების ბაზარი

კაკულია ემზარ
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

კაკულია ლაშა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

თოფჩიშვილი რამაზ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრი

აბსტრაქტი

საქართველო მსოფლიო ცივილიზაციის ნაწილია და იგი გვერდს ვერ აუვლის დღეს მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესებს. ჩვენმა ქვეყანამ რაც შეიძლება მალე უნდა გაითავისოს ეს პროცესები, რაც ხელს შეუწყობს მის გაძლიერებას ეკონომიკურად, ფინანსურად და პოლიტიკურად.

ნებისმიერი ქვეყნის ფინანსური სტაბილურობა და ეკონომიკური აღორძინება დამოკიდებულია ორ უმნიშვნელოვანეს ფაქტორზე - ფასიანი ქაღალდები და საბანკო სექტორი. საქართველოში დღეს ფასიანი ქაღალდების ბაზარი, საბანკო სექტორისაგან განსხვავებით, კრიზისულ მდგომარეობაშია, რაც, ცხადია, იწვევს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შეფერხებას.

ფასიანი ქაღალდი არის დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს საკუთრების უფლებას ან სასესხო დამოკიდებულებას დოკუმენტის გამომშვებ პირსა და მის მფლობელს შორის.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფორმირების დაჩქარების ხელშეწყობა სახელმწიფოს პრეროგატივაა.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2014 წლის 27 ივნისს გაფორმდა ასოცირების შესახებ შეთანხმება. ასოცირების ძირითადი ნაწილი საქართველოს ეკონომიკური განვითარების გრძელვადიან საკითხებს ეხება. ამით საქართველოს შესაძლებლობა ეძლევა, დაუახლოვდეს ტექნოლოგიურად მოწინავე ქვეყნებს და გაიზიაროს ინოვაციები და მოახდინოს თავისი ეკონომიკის სწრაფი ტემპით მოდერნიზაცია.

საკვანძო სიტყვები: *გლობალიზაცია, საბაზრო ეკონომიკა, ფასიანი ქაღალდები, საფონდო ბირჟა, ასოცირების შესახებ შეთანხმება.*

ძირითადი ტექსტი

ჩვენ ვცხოვრობთ გლობალიზაციის ეპოქაში. ქვეყნის გლობალიზაციის დონე გვიჩვენებს, რამდენად არის ქვეყანა ინტეგრირებული მსოფლიოში ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური კუთხით. გლობალიზაციის მაღალი დონე ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ხელშემწყობი ფაქტორია.

დღეს უკვე ყველა თანხმდება იმაზე, რომ გლობალიზაცია შეუქცევადი პროცესია და იქნება მანამ, სანამ კაცობრიობის პროგრესი გაგრძელდება.

საქართველო მსოფლიო ცივილიზაციის ნაწილია და იგი გვერდს ვერ აუვლის დღეს იქ მიმდინარე პროცესებს. დასავლეთის დემოკრატიულ სივრცესთან თანდათანობით დაახლოებით და მასში დიდი საერთაშორისო პროექტების განხორციელებაში მონაწილეობით თავისთავად ებმება საქართველოც. საჭიროა, რომ ჩვენმა ქვეყანამ რაც შეიძლება მალე გაითავისოს გლობალიზაციის პროცესები, რაც ხელს შეუწყობს მის გაძლიერებას ეკონომიკურად, ფინანსურად და პოლიტიკურად. ძლიერი ეკონომიკა ძლიერი ქვეყნის საწინდარია.

გლობალიზაციაში იგულისხმება მსოფლიო მასშტაბით წარმოების ინტერნაციონალიზაცია. კაპიტალის თავისუფალი ბრუნვა, საერთო ბაზრის ჩამოყალიბება, ინფორმაციის, იდეებისა და გამოცდილებების სწრაფი გაცვლა. ეს ყველაფერი პოლიტიკურად, ეკონომიკურად, იდეოლოგიურად მოწესრიგებული სამყაროს ჩამოყალიბების გარანტია.

გლობალიზაციის მაღალი დონე ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ხელშემწყობ ფაქტორადაა მიჩნეულია.

გლობალიზაცია დაეხმარება ქვეყნების, საერთოდ კაცობრიობის აღმასვლით განვითარებას, მსოფლიო მასშტაბით თავისუფალი, დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებას. ის დიდ სიკეთეს მოუტანს საქართველოსაც, ხელს შეუწყობს იმ ჩაკეტილი სივრციდან გასვლაში, რომელშიც ასწლეულების განმავლობაში იმყოფებოდა და მას აშორებდა ცივილიზებულ სამყაროს.

გლობალიზაციას ჩვენნაირი პატარა ქვეყნისთვის, დადებითი ზემოქმედების გარდა, უარყოფითი შედეგების მოტანაც შეუძლია. ამიტომ ჩვენ ყველანაირად უნდა შევეცადოთ ისე წარვმართოთ საქმე, რომ გლობალიზაციის უპირატესობები გამოვიყენოთ ჩვენდა სასიკეთოდ და ამასთან ერთად მაქსიმალურად ავიცილოთ მისი უარყოფითი გავლენა.

გლობალიზაციის ინდექსს ციურიხის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი ყოველწლიურად აქვეყნებს. ინდექსის მაჩვენებლები 3 ძირითად კატეგორიადაა დაყოფილი, რომლებიც მოიცავენ შეფასების სხვადასხვა კრიტერიუმებს. ეკონომიკური გლობალიზაციის დონე საერთაშორისო ვაჭრობის და უცხოური კაპიტალის მოძრაობის სხვადასხვა კრიტერიუმებით განისაზღვრება.

2017 წლის რეიტინგში საქართველომ მე-16 ადგილი დაიკავა 82,6 ქულით, რაც განაპირობა საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალურმა პოლიტიკამ და უცხოური კაპიტალის თავისუფლად შემოსვლის შესაძლებლობამ. საქართველოს მაღალი პოზიცია უფრო ეკონომიკური განვითარების პერსპექტივის ამსახველია, ვიდრე მიღწეული განვითარების დონის.[7]

2018 წლის 22 იანვარს გამოქვეყნდა ქვეყნების გლობალიზაციის რეიტინგის ახალი კვლევა, რომლის თანახმად, საქართველო ეკონომიკური გლობალიზაციის მიხედვით მსოფლიოში მე-18 ადგილს იკავებს 79.5 ქულით, ხოლო ზოგადად გლობალიზაციის დონით 45-ე ადგილზეა. [7]

თანამედროვე პერიოდში მსოფლიოს მცირე ქვეყნების ეკონომიკური გარდაქმნები საკმაოდ რთულად მიმდინარეობს, მათ შორის ჩვენს ქვეყანაშიც. საქართველოს საგარეო ეკონომიკური და პოლიტიკური კურსი ძირითადად მიმართულია ევროპული სივრცისაკენ, იგი მჭიდროდ თანამშრომლობს ევროკავშირის სტრუქტურებთან და ქვეყნის მთავარ საგარეო ვექტორად არჩეული აქვს ევროკავშირში და ნატოში ინტეგრაცია.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, XX საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება საქართველოში. 1999 წლის 12 იანვარს წამყვანი საბროკერო კომპანიების, კომერციული ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და საინვესტიციო ფონდების ინიციატივით და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დახმარებით შეიქმნა საქართველოს საფონდო ბირჟა. 2000 წლის 23 მარტიდან საქართველოს საფონდო ბირჟაზე მიმდინარეობს რეგულარული საბირჟო ვაჭრობები. ფასიან ქაღალდებზე დადებული გარიგებების კლირინგსა და ანგარიშსწორებას ახორციელებს სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი". თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას საქართველოს საფონდო ბირჟის ფორმირება ქაოსურად მიმდინარეობდა, რამაც მასზე უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა. ასევე, უარყოფითად იმოქმედა ქვეყანაში დაძაბულმა პოლიტიკურმა ვითარებამ, კანონმდებლობაში შეტანილმა ცვლილებებმა, გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა. აღსანიშნავია, რომ საფონდო ბირჟა წარმოადგენს სახელმწიფოს ეკონომიკური დონის განმსაზღვრელ ინდიკატორს.

2017 წლის 3 იანვრის მდგომარეობით საფონდო ბირჟაზე 122 კომპანიის ფასიანი ქაღალდია დაშვებული, რომელთა სრულმა საბაზრო კაპიტალიზაციამ მიაღწია 0.758 მილიარდ დოლარს, ხოლო დღიურმა ბრუნვამ 16854.72 ლარს. ბირჟის წლიური ბრუნვა დაახლოებით 50 მილიონი ლარია.

არსებული მდგომარეობით ბირჟაზე რამდენიმე საბროკერო კომპანიაა წარმოდგენილი, ესენია - გალთ ენდ თაგართი, თიბისი კაპიტალი, საბროკერო კომპანია კავკაზუს კაპიტალ ჯგუფი, ქართუ ბროკერი და ლიბერთი სიქიურითიზ.

2017 წლის 13 იანვარს ეროვნულმა ბანკმა და საფონდო ბირჟამ ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობისა და ანგარიშსწორების სისტემის რეფორმა დაიწყეს. პროექტი ითვალისწინებს ეროვნული ბანკის ფასიანი ქაღალდების სისტემის განახლებას და მასში საფონდო ბირჟის შვილობილი კომპანიის - საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის ჩართვას.

რეფორმის ფარგლებში საქართველოში გამოშვებული ნებისმიერი ტიპის ფასიანი ქაღალდით ანგარიშსწორება ერთიანი სისტემის ფარგლებში იქნება შესაძლებელი. ამავდროულად, საფონდო ბირჟა შეისყიდის ერთ-ერთ ყველაზე თანამედროვე სავაჭრო პალტფორმას კომპანია Montran Corporation-ისგან, რომელმაც ადრე უზრუნველყო საქართველოს ეროვნულ ბანკში არსებული ანგარიშსწორების სისტემის დანერგვა. პროექტის შედეგად საქართველოს საფონდო ბირჟას მომავალი ზრდის შესაძლებლობა ექნება.[8]

2018 წლის 2 აპრილის მდგომარეობით საქართველოს საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემაში დაშვებულია 106 კომპანიის ფასიანი ქაღალდი, რომელთა საერთო საბაზრო კაპიტალიზაციამ შეადგინა 1.442 მილიარდი აშშ დოლარი, ხოლო საშუალო დღიურმა ბრუნვამ 2018 წლის მარტის თვეში - 6 924 ლარი.[9]

მიმდინარე წლის 6 მარტიდან 7 აპრიალამდე საფონდო ბირჟაზე განხორციელდა შემდეგი გარიგებები: [9]

1. გარიგებები ლარებში

ფ/ქ	ემიტენტი	გარიგება	გახსნის ფასი	მინ. ფასი	მაქს. ფასი	დახურვის ფასი	მოცულობა	ღირებულება	საშუალო შეწონილი	თარიღი
MAM	სს "მამული"	1	3.333	3.333	3.333	3.333	48	159.98	3.333	05.04.2018 13:10
GEB	სს "საქ. ბანკი"	1	92	92	92	92	100	9,200.00	92	04.04.2018 13:12
BANK	სს "ლიბერთი ბანკი"	2	0.036	0.035	0.036	0.035	20,801	738.88	0.03552156146	26.03.2018 13:53
BANK	სს. "ლიბერთი ბანკი"	1	0.036	0.036	0.036	0.036	4,03	145.08	0.036	23.03.2018 13:35
BANK	სს "ლიბერთი ბანკი"	1	0.037	0.037	0.037	0.037	26,487	980.02	0.037	21.03.2018 13:18
GEB	სს "საქ. ბანკი"	1	100	100	100	100	50	5,000.00	100	19.03.2018 13:13
GEB	სს "საქ. ბანკი"	1	98	98	98	98	260	25,480.00	98	14.03.2018 13:18
BANK	სს "ლიბერთი ბანკი"	2	0.04	0.036	0.04	0.036	8,3	299.60	0.03609638554	07.03.2018 13:33

2. გარიგებები დოლარებში

ფ/ქ	ემიტენტი	გარიგ	გახს,ფასი	მინ.ფასი	მაქს.ფასი	დახურ.ფასი	მოცულ	ღირებ.	საშ.შეწონ	თარიღი
SGLC02K	შპს"საქ.სალიზ.კომპ.	2	1,028.37	1,028.37	1,028.37	1,028.37	100	102,837.00	1,028.37	03.04.2018
SGLC02K	შპს"საქ.სალიზ.კომპ.	1	1,025.38	1,025.38	1,025.38	1,025.38	45	46,142.10	1,025.38	16.03.2018

ნებისმიერი ქვეყნის ფინანსური სტაბილურობა და ეკონომიკური აღორძინება დამოკიდებულია ორ უმნიშვნელოვანეს ფაქტორზე - ფასიანი ქაღალდები და საბანკო სექტორი. საქართველოში დღეს ფასიანი ქაღალდების ბაზარი, საბანკო სექტორისაგან განსხვავებით, კრიზისულ მდგომარეობაშია, რაც, ცხადია, იწვევს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შეფერხებას.

1998 წელს მიღებული იქნა საქართველოს კანონი ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ. ამ კანონის მიზანია საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება, ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ინვესტორთა ინტერესების დაცვა, ემიტენტთა მიერ ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებისას მათი ინფორმაციის, აგრეთვე ფასიანი ქაღალდებით საჯარო ვაჭრობის ღიაობის უზრუნველყოფა, ფასიანი ქაღალდებით საჯარო ვაჭრობაში სამართლიანი წესებისა და თავისუფალი კონკურენციის

დამკვიდრება.[2]

ფასიანი ქაღალდი არის დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს საკუთრების უფლებას ან სასესხო დამოკიდებულებას დოკუმენტის გამომშვებ პირსა და მის მფლობელს შორის. ფასიანი ქაღალდის მიმოქცევაში გაშვებას ემისია, ხოლო ფასიანი ქაღალდის გამომშვებ ორგანოს თუ ორგანიზაციას ემიტენტი ჰქვია.

ფასიანი ქაღალდი არის ბიზნესის და მთლიანად ეკონომიკის დაფინანსების ერთ-ერთი ალტერნატიული გზა. ფასიანი ქაღალდებია: კორპორაციის აქციები, კორპორაციის ობლიგაციები, სახელმწიფო სასესხო ვალდებულებები, დეპოზიტური სერტიფიკატები, თამასუქები, ჩეკები და ფასიანი ქაღალდების წარმოებულები.

ფასიანი ქაღალდების ბაზარი წარმოადგენს ბაზარს, სადაც ფასიანი ქაღალდების მი მოქცევის შედეგად ხდება ფულადი რესურსების გადაწყვეტილება მის მომწოდებელსა (ინვესტორებს) და მომხმარებლებს (ემიტენტებს) შორის.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის ძირითადი ამოცანაა დანაზოგების რაც შეიძლება სრულად და სწრაფად განთავსება ინვესტიციებში ისეთ ფასებში, რომლებიც ორივე მხრისათვის იქნება მისაღები.

ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხელშემწყობ ფაქტორებს შორის ერთ–ერთი მნიშვნელოვანია ფასიანი ქაღალდების ბაზრის სრულყოფილი ფუნქციონირება. მისი მეშვეობით უნდა მოხდეს მოსახლეობის, საწარმოების და სახელმწიფოს თავისუფალი ფულადი სახსრების მობილიზება და კრედიტის სახით განთავსება წარმოების განვითარებისა და სახელმწიფოს სტრატეგიული ღონისძიებების დასაფინანსებლად.[3, 142]

ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფორმირების დაჩქარების ხელშეწყობა სახელმწიფოს პრეროგატივაა. მისი ფორმირებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს გადასახადებისა და მოსაკრებლების გაუქმებას ან შემცირებას მათ ემისიასთან და მიმოქცევასთან დაკავშირებით

საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2014 წლის 27 ივნისს გაფორმდა ასოცირების შესახებ შეთანხმება, რომელიც ყოვლისმომცველია, და, რომლითაც საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობები რეგულირდება. იგი არის საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების სამოქმედო გეგმა, რომელიც ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს მოიცავს და ქმნის სამართლებრივ ჩარჩოს სამომავლო თანამშრომლობისათვის.

ასოცირების ძირითადი ნაწილი საქართველოს ეკონომიკური განვითარების გრძელვადიან საკითხებს ეხება.

შეთანხმება შექმნის მხარეებს შორის ეკონომიკური ურთიერთობებისა და, უპირველეს ყოვლისა, ვაჭრობისა და ინვესტიციების განვითარებისათვის ახალ გარემოს და წაახალისებს კონკურენციას, რაც წარმოადგენს ეკონომიკური რესტრუქტურიზაციისა და მოდერნიზაციისთვის უმნიშვნელოვანეს ფაქტორებს.[1]

საქართველო სამხრეთ კავკასიის რეგიონში მოწინავე ქვეყანაა, რაც მას ახალ შესაძლებლობას აძლევს წარმოადგენდეს ღრმა ინტერესის ობიექტს თანამედროვე განვითარებული სამყაროსთვის. ამავე დროს, საქართველოს შესაძლებლობა ეძლევა, დაუახლოვდეს ტექნოლოგიურად მოწინავე ქვეყნებს და გაიზიაროს ინოვაციები და მოახდინოს თავისი ეკონომიკის სწრაფი ტემპით მოდერნიზაცია.

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში, საქართველოს დაეკისრა მომავალი 5-7 წლის განმავლობაში კანონი ფასიანი ქაღალდების შესახებ და მომიჯნავე კანონები ევროკავშირის დირექტივებთან ჰარმონიზებაში მოიყვანოს. 14 დირექტივის ძირითადი მოთხოვნები სწორედ ვაჭრობამდე და ვაჭრობის შემდეგ გარიგებებისა და ფასის გამჭვირვალობის ზრდას, ემიტენტების ფინანსურ ანგარიშგებასა და ინფორმაციის ღიაობას, ინვესტორთა თანაბარ პირობებში მოქცევას უზრუნველყოფს.

საქართველოს საფონდო ბირჟით დაინტერესება ჩვენი ქვეყნისთვის ხელსაყრელია., რადგან უცხოური ინვესტიციების შემოსვლა ხელს შეუწყობს საფონდო ბირჟის ნორმალურ ფუნქციონირებას და განვითარებას. ამით დაინტერესებულია როგორც უმსხვილესი ინვესტორი, ასევე ადგილობრივი მეწარმე, რომელსაც სურს თანხის საიმედოდ დაბანდება. ამით ასევე დაინტერესებული უნდა იყოს

როგორც სახელმწიფო, ისე მოსახლეობა. თუმცა დაინტერესების ნიშნები საქართველოში ნაკლებად შეიმჩნევა.[6, 311]

ამრიგად, გლობალიზაცია გულისხმობს მსოფლიო მასშტაბით წარმოების ინტერნაციონალიზაციას. იგი ეხმარება ქვეყნებს ეკონომიკურ აღმავლობასა და თავისუფალი, დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებაში. განვითარებული და წარმატებული ფასიანი ქაღალდები და საფონდო ბირჟა კი აუცილებელი პირობაა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის. ამაში სახელმწიფოს ხელშეწყობა მეტად მნიშვნელოვანია, რაც, პირველ რიგში, კანონმდებლობის სრულყოფით არის შესაძლებელი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის.
2. საქართველოს კანონი ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ
3. გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში, თბ., 2017
4. დათაშვილი ვ. ხინიკაძე თ. შონია ქ. საქართველოს საფონდო ბაზრის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი // მენეჯმენტი და მარკეტინგი, 2014, №2
5. ჩაჩანიძე, თ. საქართველოს ფასიანი ქარალდების ბაზარი გარდამავალ პერიოდში //ბიზნეს-ინჟინერინგი, 2016, №3
6. ხუციშვილი, ვ. ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბების თავისებურებანი საქართველოში // გლობალიზაცია და ბიზნესი, 2016, №1
7. http://forbes.ge/news/3407/ekonomikuri-globalizaciis-reitingi
8. .http://www.tabula.ge/ge/story/120504-saqartvelos-safondo-birzham-mravaltsliani-pauzis-shem-deg-vebgverdi-ganaaxla
9. http://gse.ge/about-gse

Globalization and securities market

Kakulia Emzar
Kakulia Lasha
Topchishvili Ramaz

Summary

One of the key factors in promoting economic and social development of the country is the perfect functioning of the securities market. By means of it, mobilization of the population, enterprises and state-free funds should be made and credited to the development of production and financing state strategic measures.

Globalization implies internationalization of production worldwide. It helps the countries to develop economic growth and establish a free, democratic society. Developed and successful securities and stock exchange are essential for the development of the country’s economy. The promotion of the state is very important, first of all, it is possible to improve the legislation.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციები საქართველოში და მათი საქმიანობის სრულყოფის საკითხები

ნოზაძე მზევინარ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

გაწერელია გიორგი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ქვეყნის საკრედიტო სისტემის შემადგენელ - არასაბანკო ორგანიზაციებს მიეკუთვნება, რომელიც კომერციული ბანკების ალტერნატივას წარმოადგენს.

მიკროსაფინანსო დაწესებულებების საქმიანობა თითქმის იდენტურია მთელს მსოფლიოში, თუმცა გარკვეული განმასხვავებელი ნიშნები არსებობს ქართული და უცხოური მიკროსაფინანსო ორგანიზაციების პრაქტიკაში, რაც გამოწვეულია სხვადასხვა ფაქტორებით, მათ შორის: ეკონომიკური განვითარების დონე, სასესხო კაპიტალზე საპროცენტო განაკვეთების სიდიდე; ეკონომიკური ზრდის პოტენციალი; ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა და სხვა.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციები სესხს ყოველთვის უფრო მაღალ პროცენტში გასცემენ, ვიდრე კომერციული ბანკები. ასევე მათ ერთმანეთისგან ის განასხვავებს, რომ მომხმარებელი პროცენტის სახით მხოლოდ ფიქსირებულ პროცენტს იხდის და არა კლებადს. მაღალი საპროცენო განაკვეთი კი პრობლემების წარმოქმნის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის სრულყოფის მიზნით, მიგვაჩნია რომ მათი საკრედიტო პოლიტიკა საჭიროებს სრულყოფას, მათ მიერ გაცემულ სესხებზე უნდა დაწესდეს საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალური ზღვარი.

საკვანძო სიტყვები: *მიკროსაფინანსო ორგანიზაცია; მიკროსაფინანსო სექტორი; მიკროკრედიტი; მსესხებელი; საპროცენტო განაკვეთი; საწესდებო კაპიტალი; სააქციო საზოგადოება.*

ძირითადი ტექსტი

საქართველოში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობა რეგულირდება საქართველოს კანონით „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“. აღნიშნული კანონის მე-3 მუხლის თანახმად - მიკროსაფინანსო ორგანიზაცია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით დაფუძნებული იურიდიული პირი, რომელიც მისი განაცხადის საფუძველზე რეგისტრირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ და ახორციელებს ამ კანონით გათვალისწინებულ საქმიანობას საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობით. იგი შეიძლება დაფუძნდეს როგორც შპს ან სააქციო საზოგადოება.

საქართველოში მოქმედი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია უფლებამოსილია განახორციელოს მხოლოდ შემდეგი საქმიანობა: იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის მიკროსესხების, მათ შორის, სამომხმარებლო, სალომბარდო, იპოთეკური, არაუზრუნველყოფილი, ჯგუფური და სხვა სესხების (კრედიტების) გაცემა; ამ მიზნით საკრედიტო საგადახდო ბარათის გამოშვება; ინვესტირება სახელმწიფო და საჯარო ფასიან ქაღალდებში; ფულადი გზავნილების განხორციელება; დ) სადაზღვევო აგენტის ფუნქციის შესრულება; მიკროდაკრედიტებასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურების გაწევა; სესხების (კრედიტების) მიღება რეზიდენტი და არარეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირებისაგან; იურიდიული პირების საწესდებო კაპიტალის წილების ფლობა, რომელთა ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საწესდებო კაპიტალის 15%-ს.

მიკროსაფინანსო სექტორი საკმაოდ სწრაფი ტემპით ვითარდება, 1999 წლისთვის ქვეყანაში მხოლოდ 2 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფუნქციონირებდა, დღესდღეისობით კი მათი რაოდენობა 73- მდეა, მათგან 70%-ზე მეტი თბილისშია რეგისტრირებული. კანონის მიხედვით, მიკროსაფინანსო

ორგანიზაცია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით დაფუძნებული იურიდიული პირი, რომელიც მისი განაცხადის საფუძველზე რეგისტრირებულია ეროვნულ ბანკში.

დღეისათვის საქართველოს მიკროსაფინანსო სექტორი აერთიანებს 73 მიკროსაფინანსო ორგანიზაციას, აქედან 13 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია დაფუძნდა და ფუნქციონირებს როგორც სააქციო საზოგადოება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მისო-ებს შეუძლიათ ფასიანი ქაღალდების გამოშვება და ამ გზით კაპიტალის მოზიდვა, თუმცა, მისო-ებს არა აქვთ ფასიანი ქაღალდების საჯარო განთავსების უფლება. ამიტომაც, მათ ისევ სასესხო კაპიტალის მოზიდვის გზით შეუძლიათ მათ განკარგულებაში არსებული რესურსების მოზიდვა.

მისო-ების ნაწილს მიაჩნია, რომ დეპოზიტების მოზიდვის უფლება მნიშვნელოვანია, რადგან ის დაფინანსების დამატებითი წყაროა და ასევე მნიშვნელოვანია სადეპოზიტო ანგარიშების შეთავაზებით დაბალშემოსავლიან მომხმარებლებში დაზოგვის კულტურის სტიმულირება. მაგრამ, ამავე დროს აშკარაა რეგულირების დამატებითი ტვირთი, რომელსაც მისო მიიღებს სებ-ისგან დეპოზიტების მოზიდვის უფლების სანაცვლოდ. ამიტომ ჯერჯერობით დეპოზიტების მიღების უფლება არ ასახულა მიკროსაფინანსო ასოციაციის მიერ მოთხოვნილი საკანონმდებლო ცვლილებების სიაში.

2013 წლიდან საქართველოს საკრედიტო ბაზარზე შეინიშნება მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კომერციულ ბანკად გარდაქმნის ტენდენცია. (მათ შორისაა მიკროსაფინანსო ორგანიზაციები -„ფინკა“, „კონსტანტა“, „კრედო“).

ამასთან, საქართველოს ეროვნული ბანკის უკანასკნელი ინიციატივების თანახმად, კომერციული ბანკის სტატუსის მაძიებელ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს გაეზრდებათ საკუთარი კაპიტალის ზღვრული მაჩვენებელი, რომელიც, ინიციატივის თანახმად, ჯერ გაორმაგდა, ხოლო შემდგომში გაოთხმაგდა, ანუ 2 მილიონი ლარი გახდა.

დღეისათვის საქართველოში 73 მიკროსაფინანსო ორგანიზაციაა რეგისტრირებული. მრავალი ექსპერტის აზრით, საკუთარი კაპიტალის ნორმის გაზრდა (საკანონმდებლო ცვლილების შესაბამიად საწესდებო კაპიტალი იზრდება 1 მლნ. ლარამდე) გამოიწვევს ბაზრის მონაწილეთა უმრავლესობის ჩამოშორებას, და ისინი, ისევე როგორც წლების წინ, გადაინაცვლებენ სხვა საფინანსო-საკრედიტო სივრცეში, სადაც მათ მიმართ არ იქნება ასეთი მკაცრი რეგულირების ნორმები.

აქედან გამომდინარე, ამ ბაზრისთვის დამატებითი რეგულაციების დაწესება გაფილტრავს არაკვალიფიციურ მონაწილეებს, რომელთათვის, უკვე გაზრდილი მოთხოვნების პირობებში, სექ-ტორში ყოფნა შეუძლებელი გახდება, ხოლო ბაზრის კვალიფიციური სუბიექტები ალბათ ისევ გარ-დაიქმნებიან (ან მათ გარდაქმნიან) კომერციულ ბანკებად, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს საბანკო ბიზნესში მოქმედი ბანკების რიცხოვნობის ზრდას. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ გაცემული მიკროკრედიტის მაქსიმალური ჯამური ოდენობა ერთ მსესხებელზე არ უნდა აღემატებოდეს 50000 (ორმოცდაათი ათას) ლარს. (საქართველოს კანონი „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“, 2006 წლის 18 ივლისი, მუხლი 5.1)

მიკროსაფინანსოები სესხს ყოველთვის უფრო მაღალ პროცენტში გასცემენ, ვიდრე კომერციული ბანკები. ასევე მათ ერთმანეთისგან ის განასხვავებს, რომ მომხმარებელი პროცენტის სახით მხოლოდ ფიქსირებულ პროცენტს იხდის და არა კლებადს. მაღალი საპროცენო განაკვეთი კი გაპრობლემების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ფაქტია, რომ მიკროსაფინანსოები, ერთი მხრივ ბიზნესის განვითარებისთვის კარგია, მაგრამ ისინი ძირითადად სესხებს დაბალშემოსავლიან ადამიანებზე გასცემენ და ამიტომ მაღალია გაპრობლემების შემთხვევები. სესხის მიღების შანსი აქვთ მათაც, ვინც ბანკისგან სესხის გაცემაზე უარი მიიღო, ან უფრო მეტიც, „შავ სიაში'' არიან და ერთგვარად „ურჩ გადამხდელებსაც“ მიეკუთვნებიან.

უმეტესი მიროსაფინანსო ორგანიზაციიდან გამოტანილი სესხის დროს იფარება მხოლოდ დარიცხული პროცენტი და საწყისი თანხა ამ შემთხვევაში არ იფარება. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ ბაზარზე ახალი შეთავაზებაც გამოიტანა, რომლის თანახმად საწყისი

თანხაც იფარება, თუმცა ასეთ შემთხვევაში საპროცენტო განაკვეთი გაცილებით უფრო მაღალია.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სრულყოფის მიზნით, მიგვაჩნია რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ გაცემულ სესხებზე უნდა დაწესდეს საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალური ზღვარი.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ გაცემულ სესხებზე სავალდებულო წესით დაწესდეს ე.წ ანუიტეტური გადახდის გრაფიკი, სადაც ყოველთვიურ შენატანში გათვალისწინებული იქნება როგორც სესხის ძირითადი თანხა, ასევე საპროცენტო განაკვეთი. რაც სასესხო პირობებს შედარებით გაუმჯობესებს.

მოხდეს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ სესხების გაცემის დროს რისკების შეფასების სისტემის სრულყოფა და გამკაცრება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ. (2006 წლის 18 ივლისი).
2. „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (2017 წლის 3 ოქტომბერი).
3. დებულება მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის გადაცემის წესის შესახებ. (2015 წელი. 1 აგვისტო).
4. კოვზანაძე ი., კონტრიძე გ., თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა, თბ. 2014.
5. ცაავა გ; ბურდიაშვილი რ; მოსიაშვილი ვ. ფული, ფულის მიმოქცევა და კრედიტი. თბ; გამომც. „დანი“. 2017.

ინტერნეტ რესურსები

6. www.mikrofinance.ge (საქართველოს მიკროსაფინანსო ასოციაცია)
7. www.nbg.gov.ge(საქართველოს ეროვნული ბანკი)
8. www.interpressnews.ge(საინფორმაციო სააგენტო)
9. www.forbes.ge
10. www.bpn.ge
11. www.google.ge

Microfinance organizations in georgia and the issues of improving their activities

Nozadze Mzevinar
Associate professor at the faculty of business technologies at GTU
Gatserelia Giorgi
Doctorate at the faculty of business technologies at GTU

Summary

Microfinance organizations constitute an important part of the market infrastructure and market economy. Microfinance organizations (MFOs) are a kind of financial mediator that are an alternative of commercial banks.Activities of microfinance organisations in Georgia are regulated by the Law of Georgia On Microfinance Organizations. Nowadays the microfinance sector of Georgia unites 73 microfinance organizations, out of which 13 were founded and function as joint-stock company while others are limited liability companies. Microfinance organizations issue loans with higher rate of interest compared to commercial banks. We consider that in order to improve the activities of microfinance organisations, maximum limit should be established on the loans issued by microfinance organisations and annuity payment schedule of a loan should be introducedwhere monthly payment would include both the principal amount and the rate of interest of the loan. Also, the risk assessment system at the moment of loan issuance by microfinance organizations should be improved and tightened.

კომერციული ბანკის საქმიანობის თავისებურებები და მათი როლი საბაზრო ეკონომიკაზე

სულაშვილი გიორგი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

სუჯაშვილი თამთა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრანტი

აბსტრაქტი

საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ ცხადყო თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება კომერციული ბანკების საქმიანობას თანამედროვე ეტაპზე. კერძოდ, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საკრედიტო სისტემის ფუნქციონირებას. ამიტომ საქართველოში აქტიუ-რად მიმდინარეობს მუშაობა საბანკო საქმიანობის კონცეფციაზე, მის დახვეწასა და შემუშავებაზე საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებით. საქართველოში თანამედროვე ფორმით კომერციული ბანკების სისტემის ჩამოყალიბება წარმოადგენს ახალ ეკონომიკურ დარგს, რომელიც ჩვენს ქვეყანაში დაიწყო 1988 წლიდან და შესაბამისად ბოლომდე არ არის დახვეწილი საკითხები და საკანონმდებლო ნორმები, რომელიც დაკავშირებულია ამ სფეროსთან.

ფართო გადმოსახედიდან საბანკო სისტემის პრაქტიკული როლი განისაზღვრება იმით, რომ იგი წარმართავს ქვეყნის გადახდებისა და ანგარიშსწორებათა სისტემას და (სხვა ფინანსურ შუამავლებთან ერთად) ახდენს მოსახლეობის დანაზოგების, როგორც დროებით თავისუფალი კაპიტალის, გადანაწილებას სხვა ეკონომიკურ სუბიექტებზე. საბანკო სისტემა თამაშობს წამყვან როლს ქვეყნის ეკონომიკის სტაბილურ და ეფექტიან განვითარებაში.

საკვანძო სიტყვები: *ბანკი, საკრედიტო დაწესებულება, საბანკო ლიცენზიები, საოპერაციო საქმიანობა.*

ძირითადი ტექსტი

„კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, კომერციული ბანკი არის საკრედიტო დაწესებულება, რომელიც მოგების მიზნით ეწევა საბანკო საქმიანობას[1]. საქართველოში კომერციული ბანკის სამართლებრივი სტატუსი არის სააქციო საზოგადოება, ამიტომ კომერციული ბანკების საქმიანობა რეგულირდება “მეწარმეთა შესახებ”, “უცხოური ინვესტიციების შესახებ”, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ კანონებითა და სხვა საკანონმდებლო და ნორმატიული აქტებით. “საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ” კანონით განსაზღვრულია საბანკო საქმიანობა.

კომერციული ბანკის, როგორც მოგების მიღებაზე ორიენტირებული კომპანიის, ამოცანები არაფრით განსხვავდება ეკონომიკის სხვა სუბიექტების ამოცანებისაგან: იგი აკმაყოფილებს საზოგადოებრივ მოთხოვნებს თავისი პროდუქტებითა და მომსახურებით და მიღებული შემოსავლებით უზრუნველყოფს თავისი აქციონერებისა და თანამშრომლების სოციალური და ეკონომიკური ინტერესების დაცვას. ნიშანდობლივია, რომ თავისი საქმიანობის განსახორციელებლად ბანკს სჭირდება სპეციალური ნებართვა, რომელიც საბანკო პრაქტიკაში ლიცენზიად იწოდება.

საკუთარი მიზნების მისაღწევად ბანკი „ყიდის“ თავის პროდუქტსა და მომსახურებას, მისი ოპერაციები ფასიანია. საბანკო მომსახურების მიღების სანაცვლოდ ბანკის კლიენტები იხდიან შესაბამის საფასურს პროცენტების (აღებულ კრედიტებზე) და საკომისიოების სახით (საანგარიშსწორებო, საკასო და საშუამავლო ოპერაციებზე). რა თქმა უნდა, ბანკი მოღვაწეობს გაცვლის და არა სამრეწველო სფეროში, რაც ბევრ მეცნიერს აძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ბანკი სავაჭრო დაწესებულებაა, ვინაიდან ყიდულობს და ყიდის ფულად რესურსებს.

ბანკებისა და სხვა საკრედიტო დაწესებულებების მართვა და მათი საოპერაციო საქმიანობა

[1] 1996 წლის 23 თებერვალი. „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი

ხორციელდება კანონმდებლობის დასაბუთებული ადმინისტრაციული და სააღრიცხვო პროცედურების, საბანკო ლიცენზიებზე თანდართული პირობებისა და შეზღუდვების, წესების და ინსტრუქციების შესაბამისად. როდესაც არ არსებობს ამა თუ იმ მიმართულების საბანკო საქმიანობის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესი, ბანკები მოქმედებენ საერთაშორისო საბანკო ნორმებისა და ჩვევების შესაბამისად.

ბანკები და სხვა საკრედიტო დაწესებულებები ინარჩუნებენ კაპიტალისა და ლიკვიდური რესურსების სათანადო დონეს და ახდენენ თავიანთი აქტივების დივერსიფიკაციას დანაკარგების რისკის გათვალისწინებით საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნათა შესაბამისად.

ბანკებისათვის ნებადართულია საქმიანობის მხოლოდ ქვემოთ ჩამოთვლილი სახეობანი[1]:

ა) როგორც პროცენტიანი ისე უპროცენტო ფულადი ანაბრების (ვადიანი ანაბრები, ანაბრები მოთხოვნამდე ან სხვა სახის) ან გადახდის სხვა საბუთების მოზიდვა;

ბ) კრედიტების გაცემა, სამომხმარებლო, საიპოთეკო, საბლანკო და სხვა კრედიტების ჩათვლით; ფაქტორინგული ოპერაციები რეგრესის უფლებით და ამ უფლების გარეშე; კომერციული გარიგებათა დაფინანსება, ფორფეტირების ჩათვლით;

გ) ყიდვა - გაყიდვა თავიანთ ხარჯზე ან კლიენტთა ხარჯზე (მათ შორის როგორც გარანტისა): ფულადი საბუთების (ჩეკების, გადასაყვანი თამასუქებისა და სადეპოზიტო სერთიფიკატების ჩათვლით); ფიუჩერსებისა და ოპციონების სავალუტო ინსტრუმენტებით ან საპროცენტო განაკვეთებით; სავალუტო და საპროცენტო ინსტრუმენტებისა, სავალო საბუთებისა;

დ) ფულადი გადარიცხვებისა და სალაროს ოპერაციების განხორციელება;

ე) უცხოური ვალუტის ყიდვა - გაყიდვა, მათ შორის ფიუჩერსული კონტრაქტების ფარგლებში, ამასთან მხოლოდ ეროვნული ბანკის ლიცენზიებით;

ვ) გადახდის საშუალებების გამოშვება და მათი მიმოქცევის ორგანიზება (საგადახდო ბარათების, ჩეკებისა და საბანკო ტრასტების ჩათვლით);

ზ) საშუამავლო მომსახურება ფულად ბაზარზე;

თ) კლიენტების დავალებით ნდობითი (სატრასო) და ფიდუციარული ოპერაციების განხორციელება, სახსრების მოზიდვა და განთავსება, ფასიანი ქაღალდების მართვა;

ი) ფასეულობის შენახვა და აღრიცხვა, (ფასიანი ქაღალდების ჩათვლით);

კ) ინვესტორთა ფასიანი ქაღალდების, პორტფელის მართვა, მომსახურება, როგორც მრჩევლის, საფინანსო აგენტის ან კონსულტანტისა;

ლ) საკრედიტო საცნობარო მომსახურება;

მ) ზემოთ ჩამოთვლილ თითოეულ საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურეობა.

კომერციული ბანკების მიერ განხორციელებული ოპერაციების უმრავლესობის შესრულება საფინანსო ბაზრის სხვა მონაწილეებსაც შეუძლიათ, მაგრამ, როგორც წესი, მათ შორის საქართველოშიც, ბანკის განსაკუთრებული უფლებაა იურიდიული და ფიზიკური პირების ანაბრების მოზიდვა და მათი განთავსება კრედიტების სახით საკუთარი სახელით და საკუთარი რისკის ფასად[3].

კომერციული ბანკის საქმიანობის თავისებურებების არსის უკეთ გასაგებად იხილავენ კომერციული ბანკის საქმიანობა სხვადასხვა კუთხიდან, რომელთა შორის განსაკუთრებით ყურადღება მისაქცევია და აღსანიშნავია:

1. ბანკი, როგორც ორგანიზაცია,თავისი სამართლებრივი სტატუსით, თანამშრომლებით, იერარქიით, ფუნქციებისა და უფლება-მოვალეობების განაწილებით და ა.შ. ამიტომაც ხშირად ბანკი მოიხსენიება, როგორც „საბანკო ორგანიზაცია“, „საბანკო დაწესებულება“[1].

2. ბანკი, როგორც კომერციული საწარმო. ბანკის საქმიანობის მთავარი მიზანი მოგების მიღებაა. ამით იგი ანგარიშვალდებულია აქციონერების წინაშე, რომლებიც დაინტერესებულნი არიან დივიდენდების მიღებით. ბანკი ანგარიშვალდებულია სახელმწიფოს წინაშეც.

---

[1] ირაკლი კოვზანაძე, გოგი კონტრიძე - თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა, თბილისი, 2014წ. 548გვ.

3. ბანკი, როგორც ფინანსური სისტემის ღერძი. საბანკო სისტემა, ზოგადად, წარმოადგენს ქვეყნის ფინანსური სისტემის ხერხემალს, რომელშიც კონცენტრირდება საკრედიტო და საფინანსო ოპერაციების ძირითადი ნაწილი. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბანკებს უკავიათ ცენტრალური ადგილი ქვეყნის საგადამხდელო სისტემაში.

4. ბანკი, როგორც შუამავალი. ბანკი არის ის შუამავალი რგოლი, რომელიც ახდენს ეკონომიკის სუბიექტების დროებით თავისუფალი რესურსების (ფულადი სახსრები) მოზიდვას და მათ მიწოდებას ეკონომიკის იმ სუბიექტებისათვის, რომლებიც ამ რესურსების დროებით დეფიციტს განიცდიან. ეკონომიკის აღნიშნული სუბიექტების, კრედიტორებისა და მსესხებლების შეხვედრა და შეთანხმება ბაზარზე მეტად რთული საქმეა ბევრი მიზეზის გამო. დროებით თავისუფალი სახსრების თავმოყრით ბანკს შესაძლებლობა ეძლევა, დააკმაყო- ფილოს ნებისმიერი ტიპის მსესხებლების ნებისმიერი მოთხოვნა რესურსების მიღებაზე. გარდა იმისა, რომ ბანკი უზრუნველყოფს ფულის სესხად აღების რეალური მსურველების პოვნას, იგი ახდენს ამ რესურსების დროულად დაბრუნების შესაძლებლობების შესწავლას, ანუ ბანკი რესურსების დაუბრუნებლობის რისკს საკუთარ თავზე იღებს.

5. ბანკი, როგორც საკრედიტო დაწესებულება. მიუხედავად იმისა, რომ ბანკები მეტად მრავალფეროვანი მომსახურებით არიან წარმოდგენილი, მათი მთავარი საქმიანობა მაინც კრედიტების გაცემაა. როგორც წესი, ბანკების აქტივების დაახლოებით ორი მესამედი გაცემულ კრედიტებზე, ხოლო შემოსავლების უდიდესი ნაწილი კრედიტებიდან მიღებულ შემოსავლებზე მოდის.

6. ბანკი, როგორც საბირჟო ოპერაციების მონაწილე. ბანკები ბირჟაზე საქმიანობით XX საუკუნის 20-იანი წლებიდან დაკავდნენ, რაც განპირობებული იყო ახალი, პერსპექტიული ბაზრის ათვისებისა და დამატებითი შემოსავლების მიღების სურვილით. თანამედროვე ბანკებს შესაძლებლობა აქვთ, დამოუკიდებლად გაუწიონ ორგანიზება საბირჟო საქმიანობას და ჩაატარონ ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული ოპერაციები. თუმცა, არც თავის მასშტაბებით და არც მნიშვნელობით ბანკები არ არიან საბირჟო ორგანიზაციები, ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა მათი საქმიანობის მხოლოდ ნაწილია.

ამ ჩამონათვალიდან ნათლად ჩანს კომერციული ბანკის საქმიანობის არსისა და თავისებურე-ბების თუნდაც მოკლე დახასიათება, რომელიც წარმოაჩენს მას, როგორც მეტად რთულ მექანიზმს, რომლის გარკვევაც წარმოადგენს ნაშრომის მიზანს. უპირველეს ყოვლისა, საბანკო საქმიანობის არსის გასარკვევად აუცილებელია კომერციული ბანკის პრინციპების, ფუნქციებისა და ოპერაციების დახასიათება, ასევე თანამედროვე საბანკო საქმიანობის განვითარების ტენდენციების გაანალიზება.

დღეისათვის საქართველოში კომერციული ბანკების საკრედიტო პოლიტიკა ნაკლებად უწყობს ხელს ეკონომიკის განვითარებას. ეს განპირობებულია იმით, რომ ძირითადად გაიცემა მოკლევადიანი კრედიტები სავაჭრო - საშუამავლო ოპერაციებისათვის. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ბანკების კრედიტების საერთო მოცულობაში ძალიან მცირე ხვედრითი წილი უკავია გრძელვადიან სესხებს ინვესტიციებზე, საწარმოთა დაკრედიტებაზე. სამწუხაროდ, ბანკები სუსტად უჭერენ მხარს მცირე ბიზნესს.

საქართველოს კომერციული ბანკებისათვის ოპერაციების შედარებით ახალ სახეობას წარმოად-გენს სალიზინგო ოპერაციები. აღსანიშნავია, რომ სალიზინგო ოპერაციებმა ფართო განვითარება ჰპოვა განვითარებულ ქვეყნებში, რომელთა გამოცდილება მეტად სასარგებლოა ჩვენი ქვეყნისათვის. ამასთან, მათ საქართველოში აქვთ შეზღუდული ხასიათი, რაც განპირობებულია ინფლაციით, ბანკები-სათვის მსხვილი საკრედიტო რესურსების არარსებობით, სალიზინგო ოპერაციების სამართლებრივი ბაზის არასაკმარისი დამუშავებით.

საბანკო სექტორის განვითარება საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე დაყრდნობით საჭიროებს მისი ფინანსური მდგომარეობის შეფასებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, რომლებიც უზრუნველყოფს ბანკის მოგებისა და ფინანსური მდგრადობის დინამიურ ზრდას.

საბანკო საქმიანობის დახასიათება არც ისე მარტივი საქმეა. რიგითი მოქალაქეებისათვის ბანკი

ესაა დაწესებულება, სადაც ინახავენ ფულს და გასცემენ კრედიტებს. ეს განმარტება, რა თქმა უნდა, საფუძველს მოკლებული არაა, მაგრამ ვერ იძლევა ბანკის სრულ დახასიათებას.

თანამედროვე კომერციული ბანკის საქმიანობა იმდენად რთულია, რომ რიგითი მოქალაქისათვის შეუძლებელია მისი სრულად დახასიათება. თანამედროვე საბანკო სისტემა ესაა მრავალფეროვანი მომსახურების ფართო სპექტრი, დაწყებული ტრადიციული საშემნახველო-სასესხო და საანგარიშსწორებო-საკასო ოპერაციებიდან, დამთავრებული თანამედროვე ფულად - საკრედიტო და ფინანსური ინსტრუმენტებით თუ ტექნოლოგიური მიღწევებით. თანამედროვე საზოგადებაში კომერციული ბანკები დაკავებულნი არიან მეტად მრავალფეროვანი ოპერაციებით. ისინი არა მარტო ორგანიზებას უწევენ ფულად მიმოქცევას, არამედ მათი მეშვეობით ხდება ეკონომიკისა და მისი სუბიექტების დაკრედიტება, ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა, ნდობითი ოპერაციები, საკონსულტაციო მომსახურება, სადაზღვევო მომსახურება და ა.შ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“, 1996 წლის 23 თებერვალი.;
2. საქართველო ორგანული კანონი “საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ” -1995წ.;
3. ირაკლი კოვზანაძე, გოგი კონტრიძე - თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა, თბილისი, 2014წ. 548გვ.;
4. ქოქიაური ლ., საბანკო საქმიანობის საფუძვლები: სახელმძღვანელო, თბ., 2010.
5. ღამაძე პ., „საკრედიტო ბაზრის ტენდენციები საქართველოში“, №17, თბ., 2013.
6. ღუდუშაური ლ., საბანკო და საკრედიტო ორგანიზაციების რეინჟინერინგი: თეორია და პრაქტიკა, თბ., 2012.
7. ფიჩხაია ი., კომერციული ბანკის ოპერაციები და მომსახურება, თბ., 2013.

Peculiarities of commercial bank activity and their role in market economy

Giorgi Sulashvili,
Tamta Sujashvili

Summary

In Georgia the transition to market economy showed, how important is commercial banking activity in the modern stage. In particular , the function of credit system is an important thing. That is why in Georgia goes on working, on the banking activity conception, on it’s development and smarten.

The formation of a system of commercial banks in a modern form is a new economic field, that started in our country since 1988 and that is the reason why some kind of issues and legislative norms , which are connected to this sphere, aren’t improved. From a broader pont of view , the banking system’s role is defined by the fact that, it operates the country’s payment and settlement system (with other financial intermediaries). It distributes the savings , as temporary free capital, to other economic subjects. The banking system plays a leading role in the stable and efficient development of the country’s economy.

ფინანსური კონტროლის ძირითადი ასპექტები ორგანიზაციების საქმიანობაში

სულაშვილი მალხაზ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ინჟინერიის აკადემიური დოქტორი

მურვანიძე იაშა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

ტარუაშვილი ნინო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქორანტი

აბსტრაქტი

ორგანიზაციებში მმართვის ეფექტიანობის ამაღლების საჭიროებამ განაპირობა საკანონმდებლო / ნორმატიული ბაზის სრულყოფის და კონტროლის ახალი მექანიზმების შემოღების აუცილებლობა.

ფინანსურ კონტროლს განვიხილავთ არა როგორც შემოწმებას, არამედ როგორც ანალიზს, თუ რატომ შეიქმნა პრობლემა ასეთის არსებობის შემთხვევაში. ნაშრომში ვიხილავთ ფინანსური კონტროლის სტრატეგიის შემუშავებას, რათა გაუმჯობესდეს ფინანსური სუბიექტის მართვა, რაც გამოიწვევს სუბიექტის გეგმაზომიერ განვითარებას. ფინანსური კონტროლი არის განსაკუთრებული ფინანსური ხერხი საზოგადოებრივი საკუთრების დასაცავად.

ფინანსური კონტროლი ეფექტური არის, როცა მკაცრად და მკაფიოდ ორგანიზებულია სისტემა ფუნქციების გამიჯვნით დასახული მიზნების მისაღწევად, აგრეთვე საუკეთესო მეთოდების შემუშავება დარღვევების აღმოსაფხვრელად და გამოსავლენად. ეფექტური ფინანსური მართვის და კონტროლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი რეგულარული და მუდმივი ღონისძიებების გატარებაა, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ობიექტის ფუნქციონირების პროცესისა და მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების შესაბამისობის შემოწმება.

ბუღალტრული აღრიცხვისა და კონტროლის სისტემის შესაძლებლობების გაძლიერებისათვის აუცილებელია საქართველოს ნორმატიული აქტების დახვეწა, ორგანიზაციების საქმიანობის ფინანსურ მდგომარეობაზე და შედეგებზე სრულყოფილი ინფორმაციის არსებობა, რაც შესაძლებელია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებით.

საკვანძო სიტყვები: *აუდიტი, სააღრიცხვო პოლიტიკა, ფინანსური კონტროლი, ფინანსური მართვა, შიდა აუდიტი.*

ძირითადი ტექსტი

განვითარებულ ქვეყნებში კონტროლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმად ჩამოყალიბდა აუდიტი და სახელმწიფო აუდიტის სამსახურები. ამ წარმატებულმა პრაქტიკამ განაპირობა საქართველოშიც აუდიტის განვითარების ხელის შეწყობა. მიღებულ იქნა კანონი აუდიტის შესახებ, რომელმაც განასხვავა აუდიტის ჩატარების სავალდებულო და ნებაყოფლობითი სახეობები[1].

კონტროლი, ეს არის გადაწყვეტილების მიღების აუცილებელი და დასკვნითი ეტაპი. იგი წარმოადგენს მეთოდს, რომელიც უზრუნველყოფს მართვის სტრუქტურების მიერ დასახული მიზნების განხორციელებას, ეკონომიკური რესურსების გამოყენების გაუმჯობესების მიმართულების დადგენას, ნაკლოვანებებისა და დარღვევების გამოვლენას და მათი შედეგების ანალიზს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მისი როლი ორგანიზაციის წარმატებით ფუნქციონირებაში.

კონტროლი ხორციელდება ერთიანი პრინციპის საფუძველზე, რომელიც მისაღებია კონტროლის ყველა სუბიექტისათვის, მათი ინტერესებისა და საქმიანობის მასშტაბების მიუხედავად. კონტროლის ღონისძიებები არის ჩამოყალიბებული პროცედურები, რომელიც ხორციელდება მართვის ყველა დონეზე. კონტროლის ღონისძიებები უნდა იყოს ეფექტიანი და ამასთან ერთად მიმართული რისკების მინიმუმამდე დაყვანისაკენ. კონტროლის ღონისძიებები ეფექტიანიად ჩაითვლება იმ

შემთხვევაში, თუ იგი არის: შესაბამისი, თანმიმდევრულად განხორციელებადი, სრულყოფილი, დანახარჯების თვალსაზრისით ეფექტიანი და კონტროლის მიზნებთან უშუალოდ დაკავშირებული. აუდიტი წარმოადგენს საწარმოს ეკონომიკური რესურსებისა და მათი ფორმირების წყაროების, სამეურნეო ფაქტების ცვლილებების შესახებ ინფორმაციის სანდოობის და სიზუსტის დადგენას. აუდიტი გვაძლევს საშუალებას განისაზღვროს სამეურნეო სუბიექტის ქონება, მთლიანი კაპიტალი, შემოსავლები, ხარჯები და საბოლოო ფინანსური შედეგის უტყუარობა. ფინანსურმა კონტროლმა აუდიტისგან განსხვავებით სხვა ფუნქცია შეიძინა და ვითარდება აუდიტისგან განსხვავებული მიმართულებით. ფინანსური კონტროლი ხშირ შემთხვევაში წარმოდგენილია სახელმწიფო კონტროლის სახით. აუდიტს შეგვიძლია მივცეთ განსაზღვრება, როგორც ბიზნესის ექსპერტიზა, ხოლო ფინანსურ კონტროლს ახასიათებს რევიზიის ელემენტები, როგორც შემოწმების ეტაპზე, ასევე საბოლოო შედეგების და გადაწყვეტილებების მიღების ეტაპზე.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საწყისი ეტაპიდანვე აქტიურად იყო ჩართული ქვეყანაში სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის დანერგვასა და განვითარებაში. დასახული მიზნების მისაღწევად, რომელიც ასევე წარმოადგენდა საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს, რომ ქვეყანაში ჩამოყალიბებულიყო შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა, 2009 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტროში შეიქმნა და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა „სახელმწიფო სექტორში შიდა ფინანსური კონტროლის განვითარების სტრატეგია" („Public Internal Financial Control" (PIFC)), რომელიც საკმაოდ დეტალურად აღწერდა საჯარო სექტორში შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარების გეგმას[1]. სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის, ფინანსური მართვისა და კონტროლის და შიდა აუდიტის სისტემის შემუშავებისათვის, ჩამოყალიბებისა და დანერგვისათვის აუცილებელი იყო შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის არსებობა. შესაბამისად, 2010 წლის 26 მარტს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა საქართველოს კანონი, სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ",[2] რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების მთავარ საფუძველს.

2011 წელს განხორციელდა „სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინპექტირების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანა და მისი სრულად ჰარმონიზება საერთაშორისო სტანდარტებთან, INTOSAI (The International Organization of Supreme Audit Institutions)-თან და IIA (The Institute of Internal Auditors)-თან[2]. ამ კუთხით, საქართველოს პარლამენტმა 2011 წლის 9 დეკემბერს მიიღო შესაბამისი ცვლილებები „სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინპექტირების შესახებ" საქართველოს კანონში და გარდა ფუნდამენტური ცვლილებებისა და დამატებებისა, აღნიშნული კანონის სათაურიც შეიცვალა და ეწოდა „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონი[3]. ამ კანონის თანახმად, ფინანსური მართვა და კონტროლი არის შიდა აუდიტთან ერთად შიდა კონტროლის სისტემა, რომელიც ინერგება და ხორციელდება დაწესებულების ხელმძღვანელების მიერ, რაც უზრუნველყოფს დაწესებულების მიზნების მიღწევისას საბიუჯეტო სახსრების კანონიერ, გამჭვირვალე, ეკონომიურ, ეფექტიან და პროდუქტიულ გამოყენებას[3]; ხოლო ფინანსური აუდიტი არის შიდა აუდიტის ობიექტის ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შემოწმება საქართველოს კანონმდებლობასთან და სტანდარტებთან მათი შესაბამისობის დადგენის მიზნით.

არ არსებობს ერთიანი აზრი იმის შესახებ, თუ რას მოიცავს ფინანსური კონტროლი. უმრავლესობა მკვლევარების აღიარებს, რომ ფინანსური კონტროლი არის საერთო განზოგადოებული დისციპლინა, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ვიწრო სპეციალიზაციებს. ფინანსური კონტროლის ელემენტად შეგვიძლია გამოვყოთ საბიუჯეტო კონტროლი, საგადასახადო, სავალუტო, საბანკო ზედამხედველობა და აუდიტი. აუდიტი არის ერთ-ერთი რგოლი შემავალი ფინანსურ კონტროლში.

კანონმდებლობაში ფინანსური კონტროლი გაიგივებულია სახელმწიფო აუდიტთან. საქართველოში სახელმწიფო აუდიტის სამსახური ჩამოყალიბდა ცალკე მიმართულებად, რომელიც აკონტროლებს ადგილობრივ და ცენტრალურ ბიუჯეტს. აუცილებელია განვსაზღვროთ რომ სახელმწიფო კონტროლი გულისხმობს საბიუჯეტო კონტროლს, ვინაიდან დანარჩენ ფუნქციებს

[1] https://mof.ge/4178

[2] სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ-თბილისი, 2010 წლის 26 ოქტომბერი

შეიძლება ითავსებდეს სხვა ზედამხედველობის ორგანოები.

საფინანსო კონტროლის ძირითადი ასპექტები შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ შემდეგი სახით:

- მიზანმიმართული საქმიანობა, რომელიც ანხორციელებს კონტროლის ფუნქციას.
- შიდა კონტროლის მექანიზმი კონტროლის გარემოს და კონტროლის პროცედურების ერთობლიობა. იგი მოიცავს იმ პოლიტიკას და პროცედურებს, რომლიც დადგენილია სამეურნეო სუბიექტის ხელმძღვანელობის მიერ თავის მიზნების მისაღწევად შესაძლებლობების ფარგლებში, საქმიანობის მოწესრიგებული და ეფექტური წარმართვის მიზნით. რათა უზრუნველყონ დასაბუთებული რწმუნება იმისა, რომ მიღწეულია სამეურნეო სუბიექტი ს მიზნები, რომელიც ეხება სააღრიცხო ჩანაწერების სიზუსტესა და საიმედო ფინანსური ინფორმაციის დროულად მომზადებას;
- „კონტროლის გარემო" აღნიშნავს ხელმძღვანელობის საერთო პოზიციას, ინფორმირებულობასა და ქმედებებს, რომლებიც ეხება შიდა კონტროლის სისტემასა და სამეურნეო სუბიექტისათვის მის მნიშვნელობას. აქ იგულისხმება ხელმძღვანელობის საქმიანობის სტილი, ზნეობრივი ფასეულობები, საკადრო პოლიტიკა, პროცედურები.
- კონტროლის პროცედურები წარმოადგენს სამეურნეო სუბიექტების კონკრეტული მიზნების მისაღწევად დადგენილ პროცედურებს. პრაქტიკაში კონტროლის პროცედურების შერჩევა შესაძლოა დამოკიდებული იყოს ცალკეულ კონტროლის პროცედურების დანერგვისთვის საჭირო დანახარჯების და იმ სარგებლის თანაფარდობაზე, რომლის მიღებაც ივარაუდება მათი გამოყენებით.

ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვა წარმოადგენს სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის ნაწილს და მისი მიზანია დაწესებულების მიერ მიზნების ეფექტიანად და პროდუქტიულად მიღწევა[4]. 2016 წლის 14 სექტემბერს დამტკიცდა ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის დებულება"[5]. სამსახურის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის ეფექტიანი განხორციელების მიზნით თანამშრომლობა საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან, აუდიტორებთან/აუდიტორულ ფირმებთან, პროფესიულ ორგანიზაციებთან, სპეციალიზებული გამოცდების განმახორციელებელ ორგანოებთან. სამსახური კანონით გათვალისწინებული სტანდარტებისა და წესების შემუშავებისათვის, პროფესიული ორგანიზაციების, პრაქტიკოსებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით, ქმნის სამუშაო ჯგუფებს.

აუდიტმა და ფინანსურმა კონტროლმა საქართველოს ეკონომიკაში მნიშვნელოვანი როლი დაიკავა, ბოლო პერიოდში აქტიურად დაიწყო ამ სფეროს პოპულარიზაცია და საკანონმდებლო აქტების დახვეწა. აუდიტი განსხვავდება ფინანსური კონტროლისაგან მეთოდოლოგიით და შედეგებით. აუდიტის შედეგები წარმოადგენენ სარეკომენდაციო ხასიათს. აუდიტს ახასიათებს დადასტურებითი ფუნქცია, ფინანსური ანგარიშგების უტყუარობის და შესაბამისობის საერთაშორისო სტანდარტებთან და ადგილობრივ კანონმდებლობასთან[6]. კონტროლს ახასითებს დარღვევების გამოვლენის და აღმოფხვრის აუცილებლობა. კონტროლს ძირითადად ანხორციელებს სახელმწიფო სტრუქტურები, დანაშაულებრივი ქმედებების აღკვეთის მიზნით, ან ასეთი სახის ქმედებების დასასჯელად.

დაწესებულებაში შიდა აუდიტის ფაქტობრივად არ არსებობა, განსაკუთრებით მაღალი რისკის ქვეშ აყენებს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნობრიობას და კანონიერებას. სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სრულ მოშლას ადასტურებს შიდა აუდიტორულ ანგარიშებსა და დასკვნებში აუდიტის, ინსპექტირების, ან უბრალოდ ზედაპირული შემოწმების შედეგად რაიმე პროცესის თუ პრაქტიკის გაუმჯობესების შესახებ რეკომენდაციის არ არსებობა. შიდა აუდიტის სუბიექტს უნდა ჰქონდეს ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით თუ რა სააღრიცხვო პოლიტიკას იყენებს დაწესებულება.

კვლევის შედეგი შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის მდგომარეობის და გამოწვევების და მისი განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორების ანალიზს წარმოადგენს. კვლევის ძირითადი პრობლემა მხარჯავი დაწესებულებების მიერ ბიუჯეტის ზოგადი ფორმულირებებით დაგეგ-

მვა პირდაპირ განაპირობებს შიდა აუდიტის არაეფექტურობას: როცა დაწესებულებამ არ იცის რა ღო ნისძიებებით და საშუალებებით აპირებს მიზნების მიღწევას, ან როგორ გაზომავს შუალედურ და საბ ოლოო შედეგებს, ვერც შიდა აუდიტის სამსახური დაინახავს და შეაფასებს რისკებს, რაც მისი ძირი თადი ფუნქციაა.

როდესაც სამუშაო კარგად არის სტრუქტურირებული, ამოცანები ნათლადაა დასმუ-ლი, სტანდარტიზებული, ჩამოყალიბებული, ასეთ შემთხვევაში ამგვარი სტრუქტურირებუ-ლი ინფორმაცია საფუძველია მონაცემთა თანამედროვე ბაზის ფორმირებისათვის, რაც შესაძლებელს ხდის ინფორმაცია უფრო აბსტრაქტულად იყოს სტრუქტურირებული მნიშვნელობის შესაბამისად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი №5386 ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ”- 08.06.2016წ.;
2. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ“ -#2839, 26.03.2010წ.;
3. საქართველო კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, #5447; 09.12.2011წ.
4. საქართველოს მთავრობის დადგენილება №133. ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების წესისა და პროცედურების შესახებ ინსტრუქცია; 21.03.2017წ.;
5. საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე. 14.09. 2016წ.;
6. Международные стандарты аудита/Под ред. Ж.А. Кеворковой. – М.: Юрайт, 2014. – 464 с. – ISBN 978-5-9916-3086-3.

Main Aspects of Financial Control in Activities of Organizations

Sulashvili Malkhaz
Murvanidze Iasha
Taruashvili Nino

Summary

The need to increase the effectiveness of the management in organizations determined the necessity to improve legislative / normative base and introduce new control mechanisms.

We consider the financial control not as the process of checking, but as an analysis, aiming at determining if any problem exists, and what led to this problem. The paper will discuss the strategy of financial control in order to improve the management of a financial entity that will lead to a sustainable development of an entity. Financial control is a special financial means to protect public property.

კონტროლის ნებისმიერ ორგანიზაციაში მართვის შემადგენელი ნაწილია და მისი საჭიროება და მნიშვნელობა ეჭვს აღარ იწვევს. საკამათოა მხოლოდ კონტროლის არსის და მისი ჩატარების პროცესის დაგეგმვა.

საჯარო მმართველობის დაწესებულებებში კონტროლისა და გაწეული საქმიანობის შეფასებების ფორმებს შორის უნმნიშვნელოვანესია შიდა კონტროლი, როგორც მას სამართლიანად უწოდებენ - შიდა აუდიტი. საქართველოსთვის კონტროლის ეს ფორმა ტრადიციული არ არის, ის თანმიმდევრულად ყალიბდება და იხვეწება.

შიდა აუდიტის დამკვიდრებას საჯარო ორგანიზაციებში გარკვეულწილად ხელს უწყობს საქართველოს კანონს „სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ" ცხოვრებაში გატარება. აღნიშნული კანონის შესაბამისად სახელმწიფო სექტორში იქმნება შიდა აუდიტის სუბიექტები, რომლებიც კონტროლს განახორციელებენ შიდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ცნობილია, რომ სახელმწიფო შიდა კონტროლი მოიცავს სულ მცირე 5 ურთიერთდაკავშირებულ კომპონენტს: კონტროლის გარემოს, რისკის მართვას, კონტროლის ღონისძიებებს, ინფორმაცია - კომუნიკაციას, სისტემის მონიტორინგსა და შედეგების შეფასებას.

ამ მიმართულებით განსაკუთრებული მნიშვნელობისაა კონტროლის გარემო, რამდენადაც ის ქმნია ორგანიზაციის მიზნის განხორციელების საფუძველს. კონტროლის გარემო ეფუძნება ზუსტად ფორმულირებულ მიზნებს, რაც თავის მხრივ ეფექტური შიდა კონტროლის პროცესების განხორციელების წინაპირობაა.

კონტროლის გარემო მოიცავს ორგანიზაციის სათანადო ორგანიზაციულ სტრუქტურას, დისციპლინას, ორგანიზაციულ კლიმატს. კონტროლის გარემო ზეგავლენას ახდენს სტრატეგიებისა და მიზნების ჩამოყალიბების პროცესსა და შიდა კონტროლის საქმიანობის სტრუქტურირებაზე.

თუ ორგანიზაციას მკაფიოდ აქვს განსაზღვრული მიზნები და შექმნილი აქვს ეფექტური კონტროლის გარემო, შეფასებული აქვს რისკები, შექმნილია შესაბამისი რისკის საპასუხო ღონისძიებების შემუშავების ეფექტურ საფუძველი შედეგიც გარანტირებულად სასურველი იქნება.

რისკების შემცირების მთავარი სტრატეგია კონტროლის სწორი და მიზანმიმართული ღონისძიებებია. კონტროლის ღონისძიებები შეიძლება იყოს პრევენციული და მიმდინარე, ე.წ. „აღმომჩენი" ხასიათის. ეფექტიანმა კონტროლმა, მის საფუძველზე განხორციელებულმა კორექტირებებმა და ხარვეზის აღმოსაფხვრელად განხორციელებულმა ქმედებებმა უნდა უზრუნველყოს გაწეული ხარჯისა და ხარისხის ურთიერთწონასწორობა. საქმიანობის ეფექტიანობის ერთერთი მაჩვენებელი ხომ სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ გაწეული ხარჯი არ უნდა აღემატებოდეს მიღებულ სარგებელს.

დრეს საყოველთაო ჭეშმარიტებად თვლიან იმას, რომ ხელმძღვანელის ხელში ინფორმაცია ყველაზე დიდ კაპიტალად ითვლება. თანამედროვე ორგანიზაციაში ინფორმაციათა გაცვლასა და კომუნიკაციას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ორგანიზაციისა ქმედითუნარიანობისა და მასში მიმდინარე პროცესების კონტროლისთვის. დაწესებულების ხელმძღვანელობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს დროული, სრული, საიმედო და ზუსტი ინფორმაციით, რაც მხოლოდ კარგად აგებული კომუნიკაციური არხების მეშვეობით არის შესაძლებელი. იმდენად, რამდენადაც კონტროლი დინამიკური პროცესია, რომლის ფორმაც რისკთან და დაწესებულებაში მიმდინარე ცვლილებებთან მიმართებაში მუდმივად შეიძლება შეიცვალოს, შიდა კონტროლის სისტემის მონიტორინგი საჭიროა იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს შეცვლილ მიზნებთან, გარემოსთან, რესურსებსა და რისკებთან მიმართებაში შიდა კონტროლის სრულყოფილი ფორმის მდგრადობა.

ეს კომპონენტები განსაზღვრავს სახელმწიფო სტრუქტურაში არსებულ შიდა კონტროლთან რეკომენდებულ მიდგომას და ქმნან საფუძვლებს, რომელთა საშუალებითაც შეიძლება შეფასებულ იქნეს შიდა კონტროლი. აღნიშნული კომპონენტები გამოიყენება ორგანიზაციის ნებისმიერ პროცესთან დაკავშირებით. აღნიშნული ელემენტები ქმნის ძირითად ჩარჩოს. მათი იმპლემენტაციის შემთხვევაში ხელმძღვანელობას უნარი შესწევს პასუხისმგებელი იყოს დაწესებულების პოლიტიკაზე, მასში მიმდინარე პროცესებსა და ყოველდღიურ საქმიანობაზე.

ამგვარი პირობების არსებობის ვიტარებაშია სესაძლებელი დადებითი პასუხი გაეცეს შეკითხვებს: უნარი შესწევს უ არა ორგანიზაციას (მის თანამშრომლებს) მოახდინონ გარემომცველ გარემოში მომხდარ ცვლილებებზე დროული რეაგირება? შესაძლებელია თუ არა მიღწეულ იქნეს ორგანიზაციის შიგნით ქვედანაყოფების შეთანხმებული და კოორდინირებული მუშაობა? რამდენად ახერხებენ ორგანიზაციის თანამშრომლები სამუშაოს დადგენილი წესების მიხედვით შესრულებას? მიიღწევა თუ არა დასახული მიზანი.

ზუსტი და სრულყოფილი ინფორმაციის არსებობა უკიდურესად საჭიროა კონტროლის განხორციელებისთვის. ხელმძღვანელობამ ზუსტად უნდა განსაზღვრონ მონიტორინგის და კონტროლისთვის როგორი სტანდარტები და შეფასების როგორი ხერხები უნდა გამოიყენონ. მათ უნდა შეძლონ ორგანიზაციაში დანერგონ ინფორმაციის მოძიების და შეგროვების ეფექტიანი სისტემა. სამწუხაროდ ეს საკმაოდ რთულია პრაქტიკული განხორციელების თვალსაზრისით, თუმცა აუცილებელი და გარდუვალი.

ნებისმიერ ორგანიზაციაში, განსაკუთრებით საჯარო დაწესებულებასა და ორგანიზაციაში ხელმძღვანელობის ყურადღება კონცენტრირებულ უნდა იქნეს ორგანიზაციის საქმიანობის წინასწარ, ძირითად ან დასკვნით კონტროლის ეტაპებზე. ეს ორგანიზაციის ხელმძღვანელობის პრინციპულ გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული, თუმცა ყველა შემთხვევაში მათთვის უმთავრესია ორგანიზაციის მიზნის სრული რეალიზაცია.

არსებობს პირდაპირი ურთიერთკავშირი მთავარ მიზნებსა და შიდა კონტროლის კომპონენტებს შორის, რომელიც მიუთითებს, თუ რა უნდა უზრუნველყოს ორგანიზაციამ დასახული მიზნების მისაღწევად. ეს არის 1.ანგარიშვალდებულება (და ანგარიშგება); 2. შესაბამისობა (მოქმედ კანონმდებლობასთან და მარეგულირებელ წესებთან); 3. ოპერაციები (ეთიკური, ეკონომიკური, ეფექტური და ეფექტიანი); 4. რესურსები;

მიუხედავად იმისა, რომ შიდა კონტროლის სტრუქტურა მნიშვნელოვანია და მოიცავს

აბსოლუტურად ყველა დაწესებულების (ორგანიზაციის) სტრუქტურულ ქვედანაყოფს (ერთეულს), ხელმძღვანელობის მიდგომა ამ ბერკეტის გამოყენებისას, საკმაოდ განსხვავდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში და დამოკიდებულია სტრუქტურული ქვედანაყოფების (ერთეულების) ბუნებასა და სპეციფიკურ – ორგანიზაციულ ფაქტორებზე. ეს ფაქტორები სხვა ფაქტორებთან ერთად მოიცავს ორგანიზაციულ სტრუქტურას, რისკის მახასიათებლებს, სამოქმედო გარემოს, საქმიანობის მოცულობას, სირთულეს და საქმიანობაში ზედამხედველთა ჩარევის ხარისხს. იმ შემთხვევაში, თუ გამოიკვეთა დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფის (ერთეულის) სპეციფიკური ფაქტორები, ხელმძღვანელმა არჩევანი უნდა გააკეთოს სხვადასხვა მეთოდს შორის, რაც, თავის მხრივ, დამოკიდებულია პროცესების სირთულესა და მეთოდოლოგიაზე, რომლებიც გამომდინარეობს შიდა კონტროლის სტრუქტურის კომპონენტებიდან.

ორგანიზაციის კონტროლის გარემო გავლენას ახდენს თანამშრომელთა ცნობიერებაზე კონტროლთან მიმართებაში, რაც, თავის მხრივ, ბევრად განაპირობებს ორგანიზაციაში არსებულ ზოგად გარემოს. ის შეიძლება კარგ, ან არასასურველ საფუძველს ქმნიდეს შიდა კონტროლის სხვა კომპონენტების, დისციპლინისა და დაწესებულების ეფექტური სტრუქტურის უზრუნველყოფისათვის.

ორგანიზაციების ხელმძღვანელობისა და თანამშრომელთა პირადი და პროფესიული ერთიანობა და ეთიკური ღირებულებები ბევრად განაპირობებენ მათ პრიორიტეტებსა და სუბიექტურ შეფასებებს, რომლებიც აისახება ქცევის სტანდარტებში. ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ და თანამშრომლებმა შიდა კონტროლის მიმართ ნებისმიერ დროს უნდა გამოამჟღავნონ დადებითი დამოკიდებულება, რამდენადაც ეს ქმნის ორგანიზაციის ეფექტიანობის მნიშვნელოვან საფუძველს.

ბევრი მეცნიერი თვლის და ჩვენც ვიზიარებთ რომ კარგად ორგანიზებული შიდა კონტროლის გარემოს ელემენტებია:

ა) დაწესებულების ხელმძღვანელებისა და თანამშრომელთა პირადი და პროფესიული, ეთიკური ღირებულებები და ფასეულობები, დადებითი დამოკიდებულება შიდა კონტროლის მიმართ;

ბ) კომპეტენტურობის მიღწევისკენ სწრაფვა;

დ) გამართული ორგანიზაციული სტრუქტურა;

ე) შრომითი რესურსების მართვის ჯანსაღი პოლიტიკა და პრაქტიკა;

ვ) კორპორაციული სული ორგანიზაციაში და მის ყველა ქვედანაყოფში.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულია საჯარო დაწესებულებების პასუხისმგებლობა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ერთიანობისა და ეთიკური ღირებულების სათანადო ფორმით დემონსტრირება. ორგანიზაციების ხელმძღვანელებისა და თანამშრომლების საქმიანობა უნდა იყოს აკმაყოფილებდეს მაღალ ნორმებსა და სტანდარტებს ეთიკური, ორგანიზებული, ეკონომიური, ეფექტური და ეფექტიანი საქმიანობა უზრუნველსაყოფად, ამავდროულად პასუხობდეს საზოგადოების მოთხოვნებსა და საზოგადოებრივ ინტერესებს.

ორგანიზაციის ხელმძღვანელები და თანამშრომლები უნდა იჩენდნენ სათანადო კომპეტენციას რათა გააცნობიერონ ეფექტური შიდა კონტროლის განვითარების, იმპლემენტაციისა და შენარჩუნების მნიშვნელობა, განახორციელონ თავიანთი მოვალეობანი ისე, რომ მიღწეულ იქნეს შიდა კონტროლის საერთო მიზნები და, შესაბამისად, დაწესებულების ძირითადი მიზნები. თითოეული თანამშრომელი თავისი პირადი პასუხისმგებლობით ჩართული უნდა იყოს შიდა კონტროლის სისტემის გამართულ საქმიანობაში.

უნარიანად ორგანიზებული შიდა კონტროლის სისტემა საჯარო დაწესებულებებში დამოკიდებულია ორგანიზაციის (დაწესებულების) გამართულ ორგანიზაციულ სტრუქტურაზე, პასუხისმგებლობის უნარიანად გადანაწილებაზე, უფლებამოსილებებისა და ანგარიშვალდებულებების ზუსტ განსაზღვრაზე, ადამიანური რესურსების მართვის სწორ პოლიტიკასა და პრაქტიკაზე, რისკების (საფრთხის) პრაგმატულ შეფასებაზე.

საჯარო სამსახურში, ისევე, როგორც ნებისმიერ ორგანიზაციაში მნიშვნელოვანია საბიუჯეტო სახსრების ყაირათიანი და მომჭირნე ხარჯვა, ასევე გამოყოფილი საფინანსო რესურსების მიზნობრიობის უზრუნველყოფა. ამ თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია კონტროლის ის სახე, რომელსაც ფინანსურ კონტროლს ვუწოდებთ. ამ მიმართებით კონტროლის ძირითადი საშუალება ბიუჯეტია. ბიუჯეტი, ჩვეულებრივ, გვიჩვენებს საგეგმო მაჩვენებლებიდან ფაქტიური მაჩვენებლების

გადახრას ცალკეული მუხლების მიხედვით. შიდა კონტროლი ამ თვალსაზრისით ზუსტი და არსებითი დასკვნების საშუალებას უნდა იძლეოდეს. ფაქტობრივად ეს დიდ სირთულეს არ წარმოადგენს, რამდენადაც კანონმდებლობა ამ თვალსაზრისით ბევრ შეკითხვაზე იძლევა არაორაზროვან პასუხს, თუმცა, ცხოვრება არ დგას ერთ ადგილას და კონტროლის პროცესში ეს გათვალისწინებული უნდა იქნეს.

თანამედროვე ორგანიზაციებში მმართველობითი რგოლის დამოკიდებულება კონტროლისადმი სრულიად განსხვავებულია. იმის გამო, რომ გაიზარდა მუშაკთა მონაწილეობის დონე მართვის პროცესში, ხელმძღვანელები კონტროლის ბიუროკრატიული სისტემიდან გადავიდნენ კონტროლის ე.წ. „დეცენტრალიზაციის“ სისტემაზე. ძალიან ბევრ ორგანიზაციაში გამოიყენებენ როგორც ერთ, ისე მეორე სისტემის ასპექტებს, თუმცა ხელმძღვანელთა დიდი ნაწილი აქცენტს აკეთებს უმთავრესად ერთ რომელიმე სისტემაზე.

კონტროლის სისტემაში მთავარი ელემენტი ადამიანია. ამიტომ კონტროლის სისტემის შერჩევისას გასათვალისწინებელია ადამიანთა ქცევა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ხელმძღვანელები ხშირად ისე წარმართავენ კონტროლის პროცესს, რომ აიძულებენ მუშაკებს იმოქმედონ ორგანიზაციის მიზნების მიღწევის მიმართულებით.

„დეცენტრალიზებული“ სისტემის პირობებში ნორმების ნაცვლად ხელმძღვანელები აქცენტს აკეთებენ ორგანიზაციის მიზანსა და საერთო ფასეულობებზე. კერძოდ, დიდი ყურადღება ექცევა მუშაკთა შერჩევას და სპეციალიზაციას. თავის საქმიანობაში მუშაკები ხელმძღვანელობენ ფასეულობებით, რომლებიც საჭიროა ორგანიზაციის მიზნის მისაღწევად. არც ერთ ორგანიზაციას არ შეუძლია და არ გააჩნია საშუალება მუდმივად აკონტროლოს მუშაკები. ამიტომ ეს სისტემა ემყარება უმთავრესად თვითდისციპლინას და თვითკონტროლს. ეს ორი ასპექტია რაც აიძულებს მუშაკებს იმუშაონ ისე როგორც საჭიროა. უფლებამოსილებათა დელეგირება, ეფექტიანი სპეციალიზაცია, სწავლება - ეს არის ის მთავარი, რაც უზრუნველყოფს შინაგანი სტანდარტების განვითარებას და რაც თვითკონტროლის საფუძველია.

კონტროლის ეფექტიანი სისტემის არსებობა აიძულებს მუშაკებს, შეგნებულად იმოქმედონ და თავიდან აიცილონ შეცდომები. თავის მხრივ ასეთი მიდგომა ზრდის კონტროლის შესაძლებლობებს რეალური შედეგების დადგენილ სტანდარტებთან მიახლოების თავლსაზრისით.

საქმიანობის ეფექტიან განხორციელებაში კონტროლის სისტემის შერჩევასთან ერთად მნიშვნელოვანია საინფორმაციო ტექნიოლოგიების ეფექტიანი გამოყენებაც. თანამედროვე მართვაში დიდი გამოყენება აქვს უახლეს ინფორმაციულ ტექნოლოგიებს, რაც გულისხმობს მართვის პროცესის პროგრამულ უზრუნველყოფას, ტელეკომუნიკაციის საშუალებების გამოყენებას, მონაცემთა ბაზების მართვის სისტემების, მონაცემთა შენახვისა და დამუშავების ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებას. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა საჯარო სივრცეშიც. ეს სისტემები ერთის მხრივ ხელს უწყობს მმართველობით რგოლს ეფექტიანობის გაზრდაში, მეორეს მხრივ საშუალებას აძლევს საზოგადოებას მუდმივად აკონტროლოს საჯარო სამსახურის დაწესებულებები და სახელისუფლო ორგანოები.

საჯარო მმართველობის სისტემის კონტროლისა და ეფექტიანობის ამაღლების მიმართულებით საგულისხმოა ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა განვითარებული ქვეყნების გამოცდილება, რომელთა შესწავლა და ადგილობრივი პირობების შესაბამისად გამოყენება უნდა იყოს ჩვენი მუდმივი ზრუნვის საგანი.

ამავდროულად აუცილებელია საკანონმდებლო დონეზე მნიშვნელოვანი სამუსაოს განხორციელება. კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ სამწუხაროდ ვერ იძლევა პასუხს ყველა საჭირო კითხვაზე. ბევრი საკითხი საკანონმდებლო დონეზე ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ დარეგულირებული. თუმცა ისიც უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ შიდა კონტროლის ეფექტიანი განხორციელებისთვის აუცილებელი პირობაა ყველა საჯარო დაწესებულებამ ძირფესვიანად გადაამუშაოს დრეის მდგომარეობით არსებული დებულებები და ინსტრუქციები, რომლებიც უმრავლეს შემთხვევაში ზოგადი და არაფრისმთქმელია, მეტიც ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებს,

როდესაც სხვადასხვა დონისა და სპეციფიკის დასესებულების დებულება პირდაპირ კოპირებულია სხვა ორგანიზაციის დებულებიდან და არ შეიცავს აუცილებელ დაზუსტებებსაც კი.

ორგანიზაციების შიდა კონტროლი მხოლოდ მაშინ იქნება ეფექტიანი, როდესაც მისი განხორციელება არ იქნება ფორმალური და ზერელე, როდესაც მასში მონაწილეობას მიირებს ორგანიზაციის თანამშრომელთა აბსოლუტური უმრავლესობა, როდესაც დაწესებულებების თანამშრომლები გაისიგრძეგანებენ, რომ მათი საქმიანობის ეფექტიანობა, მათი დაწესებულების წარმატება და საზოგადოების მხრიდან მათი დაწესებულების მხარდაჭერა დამოკიდებულია არა მოჩვენებით, ფასადურ ეფექტებზე, არამედ ტანმინდევრულ საქმიანობაზე, ზუსტ და ღია კონტროლზე და კონტროლის შედეგად აღმოჩენილი გადახრებზე დროულ რეაგირებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია , თბილისი, 1995
2. საქართველოს კანონი „ საჯარო სამსახურის შესახებ“ , ქუთაისი, 2015,
3. დოღონაძე შ., რევაზიშვილი თ., ქოიავა ზ., ორგანიზაციის თეორიის საფუძვლები, თბილისი, ცის ნამი, 2012, გვ.56-57
4. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ“ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №17, 06.04.2010
5. საქართველოს კანონი „ს?ლმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“
6. 2011 წლის 9 დეკემბრის კანონი №5447
7. „სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, თბილისი, 2011 წლის 9 დეკემბერი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1534276 (უკანასკნელად შემოწმებულია 2018 წლის 10 თებერვალს)
8. შიდა აუდიტის სახელმძღვანელო, თბილისი, 2015 გვ. 32; გვ. 39-40; გვ. 92.
9. სისტემური აუდიტის სახელმძღვანელო, თბილისი, 2015, 106 გვ.
10. Government Performance Results Act of 1993 // <http://www.whitehouse.gov/omb/mgmt-gpra/gplaw2m#h1>.
11. Peter F. Drucker, Management: Tasks, Responsibilities, Practices (New York: Harper & Row, 1973).
12. Бурцев А.В. организация системы внутреннего контроля коммерческой организации. – М.: «Экзамен», 2000 . – 320;

Internal control as a prerequisite for effective public administration

Kochishvili Giorgi
PhD student of Georgian Technical University.

Summary

Control have special role in public administration. There exists different variety of government and social control, winch must be relevant with human demands and Improves effectiveness of activities of public government.

The article discusses modern mechanisms of control and inspection as an important factor in increasing efficiency. It is highlighted that decentralized mechanisms of control are important for public institutions, which is designed to have overall responsibility and control. Hereby, the principal views on the necessity of legislative regulation are expressed to improving control and supervision in the public service of Georgia.

Tagged words: Internal control, public administration, legislative regulation, decentralization, effective, performance checking.

გადაწყვეტილებების მიღების მხარდაჭერის სისტემა საბანკო სფეროში

ქუთათელაძე ალეკო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისპროფესორი

ანყოსი მამუკა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

გადაწყვეტილებებისმიღებისმხარდამჭერისისტემა(გმმს)-ესარისპროცედურებისერთობლიობა, რომელებიც ეხმარება ხელმძღვანელს გადაწყვეტილებების მიღებაში. იგი დაფუძნებულია მონაცემთა და მსჯელობათა დამუშავების მოდელის გამოყენებაზე. ნაშრომებში გადაწყვეტილებების მიღების მხარდამჭერი სისტემა აღიქმება როგორც ინტერაქტიური ავტომატიზებული სისტემა, რომელიც ეხმარება გადაწყვეტილების მიმღებ პირებს (გმპ) გამოიყენონ მონაცემები და მოდელები, რომ გადაწყვიტონ არასტრუქტურირებული და სუსტად სტრუქტურირებული პრობლემები. გმმს განისაზღვრება, როგორც ინტერაქტიული კომპიუტერული სისტემა, რომლის დანიშნულებაა დაეხმაროს გმპ-ს კავშირების, მონაცემების, დოკუმენტების, ცოდნის და იდენტიფიკაციისთვის, პრობლემის გადაწყვეტისთვის და გადაწყვეტილების ფორმირებისთვის საჭირო მოდელების გამოყენებაში. არსებობს ამოცანები, რომლებშიც საჭიროა სუბიექტური, ექსპერტული მოდელების გამოყენება (გაყიდვების პროგნოზირება, კონკურენტის რეაქციები და სხვ.) და გადაწყვეტილებების მიღების დროს ჩნდება საჭიროება ექსპერტების ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინების. ამიტომ გმმს-ს სტრუქტურაში ჩნდება ბლოკი „ცოდნის ბაზა“, ხოლო სისტემები იძენენ „ინტელექტუალობის“ თვისებებს. მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს თანამედროვე მეთოდების გამოყენება გმმს-ში და მეგობრული „ადამიანურ-მანქანური“ ინტერფეისის შექმნა.

საკვანძო სიტყვები: *გადაწყვეტილებების მიღების მხარდამჭერი სისტემა - (გმმს), გადაწყვეტილების მიმღები პირი - (გმპ), საბანკო სისტემა, ავტომატიზებული, საინფორმაციო ავტომატიზებული საბანკო სისტემა - (სასს), საბანკო ინფორმაციული სისტემა- (სის).*

ძირითადი ტექსტი

გადაწყვეტილებების მიღების მხარდამჭერი საინფორმაციო სისტემები (გმმს) სულ უფრო ფართო გამოყენებას იძენენ საბანკო სფეროში, რომელიც ბოლო წლებში მასშტაბურად და დინამიურად ვითარდება.

ბანკის ხელმძღვანელობის მიერ მიღებული საკვანძო გადაწყვეტილებები, რომლებიც მის მართვას უკავშირდება, ხორციელდება პერიოდულად ან საჭიროებისამებრ და ეხება დროის ან მიმდინარე მომენტის პერსპექტივის პრობლემებს. ჩვეულებრივ, გადაწყვეტის პროცესი მიმდინარეობს მნიშვნელოვანი გაურკვევლობის პირობებში, რაც განპირობებულიაგარემოს ინტეგრალური გავლენით. ამ უკანასკნელის მდგომარეობა, დროის ყველა მომენტში, დამოკიდებულია ძნელად-გასათვალისწინებელი ფაქტორების სიმრავლეზე და ძირითადად, განისაზღვრება ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაციებით მთლიანად ქვეყანაში, კერძოდ, რეგიონში, ხოლო უკანასკნელ დროს პირდაპირ კავშირშია მსოფლიო ეკონომიკური სისტემის კრიზისთან. გადაწყვეტილების მიმღები პირი (გმპ) მუშაობის დროს, როგორც წესი, იყენებს საინფორმაციო ავტომატიზებული საბანკო სისტემის (სასს) შესაძლებლობებს.

სასს შეიცავს მოდულების ფართო სპექტრს, რომლებიც ავტომატიზებულს ხდის საბანკო საქმიანობის განსაზღვრულ მიმართულებას, რომლის ინტერფეისები და ალგორითმები გაანგარიშებულია ძირითადად, ტიპიურ ოპერაციებზე, როგორებიცაა კლიენტების მომსახურება და ბექ-საოფისე ოპერაციების გატარება. მაგრამ ამ მოდულებს შორის არ არის ისეთი, რომელიც გადაჭრიდა მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების ამოცანას, დაკავშირებულს ბანკის კომერციულ საქმიანობასთან (შემდგომში საქმიანობასთან), ანუ ისეთი გადაწყვეტილების, რომლებიც გარკვეულწილად განსაზღვრავდა მის მომგებიანობას და სტაბილურობას.

მნიშვნელოვანი გაურკვევლობის პირობებში გადაწყვეტილების მიმღებმა პირმა (გმპ) დროის განსახილველი ინტერვალისთვის უნდა შეარჩიოს გადაწყვეტილებების ერთობლიობის მართვის ისეთი სტრატეგიები, რომლებიც არიან ოპტიმალურები. გმპ-ს ძალა არ შესწევს ამის გასაკეთებლად, და შესაბამისად მას უნდა გააჩნდეს ინსტრუმენტი, რომელიც შეაძლებინებდა მას ასეთი გადაწყვეტილების მიღებას. ამასთან, გმპ-ს კვლავ რჩება რისკები გადაწყვეტილებების მისაღებად, მართალია მნიშვნელოვნად მცირე, ვიდრე ადრე, რომლებიც დაკავშირებულია არსებული გაურკვევლობის სრული აღრიცხვის შეუძლებლობასთან.

ცხადია, რომ გმმს-ის მიერ შემუშავებული ამოცანა, რომელიც დროის გარკვეულ ინტერვალში აუმჯობესებს ბანკის ხელმძღვანელობის მიერ მართვის გადაწყვეტილებების ხარისხსა და ეფექტიანობას, არის აქტუალური. ამასთან, აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ ინფორმაცია მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ მიეკუთვნება კონფიდენციალური ინფორმაციის კლასს, რაც ნიშნავს, რომ საიმედოდ უნდა იყოს დაცული.

პუბლიკაციის საშუალებით შეგვიძლია გავიგოთ ინფორმაცია ცალკეული პროგრამული და აპარატული პლატფორმების ბანკებში გავრცელების შესახებ, ასევე საინფორმაციო სისტემების მომწოდებლების შესახებაც. განხილულია საბანკო ინფორმაციული სისტემების (სის) არსი, შემადგენლობა და დანიშნულება; შინაგანი და გარე ურთიეთქმედებების ორგანიზაცია. სის-ის ფარგლებში ნაჩვენებია ზოგიერთი გადაწყვეტილების მიღების მხარდაჭერი ინსტრუმენტის შესაძლებლობები.

ნაშრომი შეიცავს ინფორმაციას იმ აპარატული საშუალებების არქიტექტურისადმი წაყენებულ მოთხოვნებზე, რომლებზეც დამყარებულია საბანკო ტექნოლოგიების ტექნიკური უზრუნველყოფა. საუბარია ასევე გამოყენებული ტექნიკური საშუალებების შემადგენლობასა და რაოდენობაზე. ძირითადი ყურადღება ეთმობა თანამედროვე საბანკო საინფორმაციო ტექნოლოგიების დამყარების საფუძვლებს, როგორიც არის მაგალითად არქიტექტურა „კლიენტი-სერვერი“.

ხდება ასს-ისა და საბაზო პროგრამული საშუალებებისადმი წაყენებული მოთხოვნების ანალიზი, განხილულია მონაცემების უსაფრთხოების უზუნველყოფის პრობლემა, ხდება საბანკო სისტემების შეფასება და მათი შედარებითი ანალიზი.

სარეკლამოხასიათისწყაროებზედაყრდნობითჩატარებულმაავტომატიზებულიინფორმაციული საბანკო სისტემების ბაზრის ანალიზმა აჩვენა რომ არსებობს დიდი რაოდენობით პროგრამული პროდუქტები, რომლებიც განკუთვნილია საბანკო სფეროში საქმიანობის ავტომატიზაციისთვის.

ამ პროგრამული პროდუქტების შედარებითი ანალიზის შემდეგ შესაძლებელი ხდება ვისაუბროთ მათი არქიტექტურისა და ფუნქციების მსგავსებაზე. ეს საშუალებას გვაძლევს თანამედროვე საბანკო ინფორმაციულ სისტემებში გამოვყოთ 3 ქვესისტემა: ფრონტ-ოფისი, ბექ-ოფისი და ანგარიშგების ფორმირების კომპლექსური სისტემა, რომელიც ხორციელდება ერთ საინფორმაციო სივრცეში შემავალი სხვადასხვა პროგრამული კომპონენტების სახით.

ფრონტ ოფისი - ეს არის გარე ინტერფეისი, ანუ ასს-ის მომხმარებლებთან ურთიერქმედების წესები და საშუალებები. ბანკის ამ დანაყოფებში უშუალოდ ხდება კლიენტების მომსახურება და მოგების მომტანი ხელშეკრულებების დადება.

ბექ ოფისი - შიდა ინტერფეისი, ანუ ურთიერთქმედების წესები და საშუალებები ასს-ში, რომლის ამოცანებსაც უშუალო შემოსავალი არ მოაქვთ, მაგრამ უზრუნველყოფენ ფრონტ ოფისიდან მოწოდებული ინფორმაციის დამუშავებას, ხელშეკრულებების გაფორმებას და აღრიცხვას, სხვადასხვა პარამეტრების გადამოწმებას და დადასტურებას, ფასიანი ქაღალდებისა და ფულადი ნაკადების და მათთან დაკავშირებული ოპერაციების კონტროლს, ვადაგასული გადასახადების მონიტორინგს, კლიენტის საშუალებების აღრიცხვის უზრუნველყოფას და მისთვის ანგარიშის ჩაბარებას.

ანგარიშგების ფორმირების სისტემები აწყობილია მონაცემთა საცავების ბაზაზე, რომლებიც დაფუძნებულია წამყვანი მსოფლიო მომწოდებლების ტექნოლოგიებსა და კომპონენტებზე და ასევე საკუთარი მონაცემების ვიტრინაზე, რომელიც დაკავშირებულია ანგარიშგების სხვადასხვა სახეობებთან: სავალდებულო, მმართველობითი, საერთაშორისო და ა.შ. ამ სისტემის მთავარი მიზანია:

- მაკონტროლებელ ორგანოებში საჭირო ინფორმაციის მიწოდების ავტომატიზაცია;
- ფინანსური ხელმძღვანელების და ყველა რგოლის მენეჯერის ბიზნესის მართვის საუკეთესო

ტექნოლოგიებითა და მეთოდოლოგიით უზრუნველყოფა;

- ბიუჯეტირების მთლიანი პროცესის ავტომატიზაცია.
- ასს-ს ფრონტ ოფისში ხორციელდება მონაცემების ოპერაციული დამუშავება, რისთვისაც გამოიყენება მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები(მბმს) . ანგარიშგების სისტემების რეალიზაციისა და შენახვისთვის კი იყენებენ როგორც მონაცემთა ბაზებს ისე მონაცემთა საცავის კონცეპციებს. საქმიანობის პროცესში მონაცემთა საცავი განისაზღვრება როგორც საგანზე ორიენტირებული, არაცვალებადი, ქრონოლოგიური მონაცემთა ნაკრები, რომელიც ორგანიზებულია გადაწყვეტილების მიღების მხარდაჭერისთვის. მას საფუძვლად უდევს იდეა მონაცემების გაყოფისა, რომლებიც გამოიყენება ოპერატიული დამუშავებისთვის და ანალიზის ამოცანების ამოხსნისთვის.

გადაწყვეტილებების მიღების მხარდამჭერი სისტემებისადმი (გმმს) ინტერესი მუდმივად იზრდება. ამჟამად გამოცემულია წიგნების დიდი რაოდენობა, მაგალითად, ყოველწლიურად ქვეყნდება უამრავი მეცნიერული პუბლიკაცია პერიოდულ და სხვა გამოცემებში, ტარდება სხვადასხვა ხასიათის მეცნიერულ-ტექნიკური კონფერენციები. ნათელი გახდა, რომ გადაწყვეტილების მიმღები პირის (გმპ) შესაძლებლობები გადაწყვეტილების მიღებაში მნიშვნელოვნად შეზღუდულია და ამიტომ მას სპეციალურად უნდა დავეხმაროთ ინფორმაციის მიღებისა და გადაწყვეტილებების შემუშავების პროცესის ორგანიზებაში.

გმმს-ები საზღვარგარეთ პირველად გამოჩნდნენ ბიზნესის სფეროში, რომლებისთვისაც დამახასიათებელი იყო შემუშავებული მათემატიკური მოდელების არსებობა (საქონლის გასაღების ბაზრები, მარაგების მართვა, გადაზიდვები და ა.შ.), რომლებიც საშუალებას აძლევდნენ გმპ-ს შეეფასებინა თავისი საქმიანობის შედეგები. ბუნებრივია, რომ გაჩნდა ისეთი სისტემის შექმნის აუცილებლობა, რომელიც შეიცავდა მონაცემთა მასივებს, მოდელების სისტემას და მომხმარებელთან ურთიერთობის საშუალებებს. გმმს ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ მიეცა გმპ-სთვის ამა თუ იმ პრობლემის სხვადასხვა ვარიანტების გადაჭრის ანალიზის შესაძლებლობა და დახმარებოდა ასეთი ვარიანტების ფორმირებაში. შემდგომში, გმმს-მ თავისი გამოყენება ჰპოვა პროექტირების ავტომატიზაციაში, ტექნოლოგიების შეფასებაში, სამხედრო საქმეში და ა.შ. ამჟამად გმმს-ს გამოყენების სფერო სწრაფად ვითარდება.

როცა ვსაუბრობთ გმმს-ს ცნების განსაზღვრაზე, საჭიროა შევნიშნოთ, რომ არ არსებობს ერთიანი, ყველასათვის დამაკმაყოფილებელი ფორმულირება, ამიტომ მოვიყვანთ ამ განსაზღვრებებიდან ყველაზე გავრცელებულებს.

გადაწყვეტილებების მიღების მხარდამჭერი სისტემა - ეს არის პროცედურების ერთობლიობა, რომელებიც ეხმარება ხელმძღვანელს გადაწყვეტილებების მიღებაში. იგი დაფუძნებულია მონაცემთა და მსჯელობათა დამუშავების მოდელის გამოყენებაზე. ნაშრომებში გმმს აღიქმება როგორც ინტერაქტიური ავტომატიზებული სისტემა, რომელიც ეხმარება გმპ-ს გამოიყენოს მონაცემები და მოდელები, რომ გადაწყვიტონ არასტრუქტურირებული და სუსტად სტრუქტურირებული პრობლემები. გმმს განისაზღვრება, როგორც ინტერაქტიული კომპიუტერული სისტემა, რომლის დანიშნულებაა დაეხმაროს გმპ-ს კავშირების, მონაცემების, დოკუმენტების, ცოდნის და იდენტიფიკაციისთვის, პრობლემის გადაწყვეტისთვის და გადაწყვეტილების ფორმირებისთვის საჭირო მოდელების გამოყენებაში. აღსანიშნავია, რომ გმმს ეხმარება გმპ-ს მონაცემთა მანიპულირებაში, შემოწმებებისა და ევრისტიკის გამოყენებაში, და აგრეთვე მათემატიკური მოდელების აგებასა და გამოყენებაში. გმმს - კომპიუტერული საინფორმაციო სისტემაა, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა სახის საქმიანობის მხარდასაჭერად გადაწყვეტილებების მიღების დროს ისეთ სიტუაციებში, სადაც შეუძლებელია ავტომატიზებული სისტემის ქონა.

გმმს-ს მნიშვნელოვანი რაოდენობა გვეხმარება არსებული ობიექტური მოდელების მეშვეობით მონაცემთა მასივების დამუშავებასა და გაანალიზებაში (ფინანსები, გასაღება, მარაგების მართვა და ა.შ.). მაგრამ არსებობს ამოცანები, რომლებშიც საჭიროა სუბიექტური, ექსპერტული მოდელების გამოყენება (გაყიდვების პროგნოზები, კონკურენტის რეაქციები და სხვ.) და გადაწყვეტილებების მიღების დროს ჩნდება საჭიროება ექსპერტების ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინებისა. ამიტომ გმმს-ს სტრუქტურაში ჩნდება ბლოკი „ცოდნის ბაზა“, ხოლო სისტემები იძენენ

„ინტელექტუალობის“ თვისებებს. მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს თანამედროვე მეთოდების გამოყენება გადაწყვეტილებების მიღების გმმს-ში და მეგობრული „ადამიანურ-მანქანური“ ინტერფეისის შექმნა.

ამგვარად, საერთო საფუძველზე გმმს-ში ერთიანდებიან მიდგომები, რომლებიც დამახასიათებელია კვლევების შემდეგი მიმართულებებისთვის:

- ცოდნის მოძიება და წარმოდგენა;
- გადაწყვეტილებების მიღება;
- „ადამიანურ-მანქანური“ (დიალოგური) სისტემების აგება. გმმს წარმოადგენენ ადამიანურ-მანქანურ სისტემებს, რომლებიც საშუალებას აძლევენ გმპ-ს გამოიყენონ მონაცემები, ცოდნა, მოდელები ანალიზისთვის და სუსტად სტრუქტურიზებული პრობლემების გადასაწყვეტად.

კონცეპტუალური მოდელი, რომელიც შეესაბამება მოცემულ განსაზღვრებას, წარმოადგენს შემდეგს. ინტერფეისი „გამომყენებელი-სისტემა“ შედგება გენერაციისა და დიალოგის მართვის საშუალებებისგან. პრობლემების მართვისა და გადაწყვეტილებების მიღების ბლოკი შეიცავს პროცედურებსა და მეთოდებს, რომელებიც გვეხმარება არსებული პრობლემის ფორმულირებაში მონაცემთა ბაზის(მბ), მოდელების ბაზის (მბ) და ცოდნის ბაზის (ცბ) მეშვეობით გავაანალიზოთ მისი გადაჭრის შესაძლებლობები და მივიღოთ შედეგი.

გმმს-ს კლასიფიკაცია ჩავატაროთ შემდეგი ნიშანთვისებებით:

- კონცეპტუალური მოდელები;
- სისტემის მომხმარებლები;
- გადასაწყვეტი ამოცანები;
- გამოყენების სფეროები.

გმმს-ის მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს მათი უნარი ჩამოაყალიბოს მოდელები გადაწყვეტილებების მისაღებად. მონაცემთა ბაზაში თავსდება არა ლოკალური მოდელები, არამედ მოდელები რომლებიც მბ-სთან არიან გაერთიანებული, ამის წყალობით, მოდელირების პროცედურები უზრუნველყოფენ მოდელების აგების მოქნილობას (კერძოდ, მზა ბლოკებიდან, ქვეპროგრამებიდან) და მათი მართვის სიმსუბუქეს. გმმს მართვის სისტემა იძლევა კატალოგიზირების და მოდელების ფართო სპექტრის მომსახურების საშუალებას სწრაფად და ადვილად შევქმნათ ახალი მოდელები, დავაკავშიროთ ეს მოდელები შესაბამის მონაცემთა ბაზებთან.

გმმს-ს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს სისტემაში ცოდნის წარმოდგენა. გმმს ცოდნაზე დაფუძნებული მოდელი შედგება სამი ნაწილისგან:

- ენობრივი სისტემები;
- ცოდნის სისტემები;
- პრობლემების დამუშავების სისტემები.
- შევნიშნავთ, რომ გმმს და ექსპერტული სისტემის (ინტელექტუალური სისტემების ნაირსახეობა) სტრუქტურა, როგორც კონკრეტული პროგრამული პროდუქტები, ხანდახან შეიძლება გამოიყურებოდნენ ერთნაირად, სისტემებს გააჩნიათ არსებითი განსხვავება. გმმს ეხმარება გმპ-ს ამოცანის ამოხსნაში, ხოლო ექსპერტული სისტემა ანაცვლებს ადამიანს ამოხსნის დროს.

შეიძლება გამოვყოთ გმმს-ს გამოყენების შემდეგი სფეროები: მიკრო და მაკროეკონომიკა, საოფისე საქმიანობის ავტომატიზაცია, ტექნოლოგიების შეფასება და გავრცელება, იურისპრუდენცია, მედიცინა და სხვა. თითოეულ ამ დარგში არსებობს პროფესიული საქმიანობის სფეროები, რომელთაგან რამდენიმეს დავახასიათებთ: საორგანიზაციო გადაწყვეტილებები, რომელსაც იღებს ადამიანი; სტრატეგიული დაგეგმვა და ხელმძღვანელობა, სადაც ხშირად ჩნდება აუცილებლობა გადაიჭრას სუსტად სტრუქტურირებული პრობლემები. ოპერატიული მართვისთვის, სადაც კარგად სტრუქტურირებული ამოცანების წილი დიდია, მიზანშეწონილია ინფორმაციის დამუშავების ავტომატიზებული სისტემები. სხვადასხვაგვარი საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობაში დაგეგმვა და პროგნოზირება წარმოადგენს გმმს-ს გამოყენების განსაკუთრებით ფართო სფეროს. მათ შემადგენლობაში არის მეთოდებისა და მოდელების დიდი ნაკრები (მათემატიკური პროგრამირება, სტატისტიკური ანალიზი, სტატისტიკური გადაწყვეტილებების მიღების თეორია, ევრისტიული

მეთოდები, რომლებიც შეიცავენ ადაპტიურობას და სწავლებას სუსტად სტრუქტურირებული ამოცანების გადაწყვეტის დროს, ხელოვნური ინტელექტის მეთოდები, თამაშების მეთოდების თეორია და სხვა). რეალური პრობლემები, რომლებიც წამოიჭრება ხელმძღვანელობის წინაშე, დაკავშირებულია საქმიანობის გრძელვადიან დაგეგმვასთან (საბაზრო სიტუაციის შეფასება, გრძელვადიანი დაკრედიტება, საშუალებების განაწილება და ა.შ). კონცეპტუალური მოთოდის გამოყენება საკონტროლო შრომის ავტომატიზაციის სფეროში მიმართულია ეფექტიანობის ამაღლებაზე შესაქმნელი ინფორმაციის ხარისხის ამაღლების გზითა და საკომუნიკაციო კავშირების ამაღლების გზით. თანამედროვე გმმს-ები ერთიანდებიან საინფორმაციო ავტომატიზებულ სისტემებთან, რომლებიც გამოიყენებიან საქმიანობის საორგანიზაციო მართვის სხვადასხვა სფეროში, მათში ჩნდება ინტელექტუალური შემადგენლები, რომელთა წყალობითაც ისინი იძენენ ექსპერტული სისტემების თვისებებს, მაგრამ არ წარმოადგენენ მათ ანალოგებს. ხაზგასასმელია, რომ გმმს არის პრობლემების გადაწყვეტის მძლავრი საშუალება. ისინი აღვიძებენ სამეურნეო ხელმძღვანელების ინტერესს, ინტუიციას, საქმიან აქტივობას, მათში აკუმულირდება, როგორც ხელმძღვანელის საკუთარი გამოცდილება, ასევე მრავალი სხვა მმართველის გამოცდილება, მაგრამ ის მხოლოდ ეხმარება ადამიანს მიიღოს უკეთესი გადაწყვეტილებები და სულაც არ ცვლის, და არც შეუძლია შეცვალოს იგი იქ სადაც საჭიროა ხელმძღვანელის შემოქმედება გადაწყვეტილებების მიღების დროს.

აღვნიშნავთ, რომ გმმს ძირითადად განკუთვნილია ადმინისტრაციული იერარქიის იმ ხელმძღვანელებისთვის, ვისი საქმიანობაც უშუალოდ დაკავშირებულია გადაწყვეტილებების მიღებასთან, ანუ მათთვის, ვინც მიეკუთვნება მის მაღალ და საშუალო რგოლებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მოსიაშვილი ვ., ლომიძე ფ., ქოქოსაძე ფ. საბანკო საქმე. თბილისი. 2009. 295გვ.
2. მაღრაძე მ. საბანკო საინფორმაციო სისტემები. თბილისი. თსუ. 2016. 268 გვ.
3. კოვზანაძე ი., კონტრიძე გ. თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა. თბილისი. 2014.

Automatic information banking system

Qutateladze Aleko
Professor of Georgian Technical Univesity
Ankosi Mamuka
Doctoral candidate of Georgian Technical Univesity

Summary

The system supporting decision making process (DMSS) – This is the unity of procedures which support the manager to make particular decision. It is based on the usage of data and judgement processing model. In this thesis, the system supporting decision making process is perceived as interactive automatic system, which helps the decision maker to use data and models for efficient resolution of non-structural and semi-structural issues. DMSS is defined as interactive computer system, and its main purpose is to support the management to identify the connections, data, documents, as well as solve the problems and formulate efficient decisions. There are tasks, for which should be implemented subjective, expert models (sales forecasting, competitors' reactions and etc.) and while making decisions, it is vital to envisage the knowledge and experience of experts. This is the reason why in the system of ''DMSS'' appears a block – ''base of knowledge'', and the systems gain ''intellectual'' abilities. It is significant aspect to use modern methods in the DMSS and to create friendly ''human-machine'' interface.

კრიპტოვალუტა, როგორც ფულის გათეთრების საშუალება

ქურასბედიანი სალომე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

ჭელიძე მედეა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

ტექნოლოგიების და კომპიუტერული სისტემების განვითარების კვალდაკვალ ვითარდება გადახდის და ანგარიშწორების სისტემებიც, რაც გარდაუვალი პროცესია, ისევე როგორც თავისდროზე გარდაუვალი იყო საბანკო სისტემის და საბაზრო ეკონომიკის პირობებში საერთაშორისო ინვესტირების საკითხი.

ბუნებრივია რომ ადამიანები მოთხოვნის გაჩენის პარალელურად ქმნიან მოთხოვნაზე მორგებულ სისტემებს. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ამა თუ იმ ფინანსური პროდუქტის შექმნის პარალელურად უნდა ხდებოდეს სახელმწიფოების მხრიდან შესაბამისი კონტროლის მექანიზმების დანერგვა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, კრიპტოვალუტასთან მიმართებაში მხოლოდ ხისტი მიდგომა და საქმიანობის აკრძალვა ვერ მოგვცემს სასურველ შედეგს.

ვირტუალური ვალუტით ანგარიშსწორება მიმზიდველია ნარკოტიკებით მოვაჭრეთათვის და ფულის გათეთრების, არალეგალური შემოსავლების დაკანონების ერთ-ერთ ახალ და დაცულ საშუალებადაა მიჩნეული, რასაც განაპირობებს კრიპტოვალუტით ვაჭრობის სისტემა, რომელიც მონაწილეთა სრულ ანონიმურობას უზრუნველყოფს.

ფულის გათეთრების წინააღმდეგ მებრძოლი ორგანიზაციები აქტიურად ჩართული არიან გამოსავლის ძიებაში და სახელმწიფოებთან ერთად, სხვადასხვა ფინანსური ინსტიტუტების დახმარებით საზოგადოებას აფრთხილებენ მოსალოდნელი რისკების და ფინანსური ზარალის შესახებ.

საკვანძო სიტყვები: *კრიპტოვალუტა, ფულის გათეთრება, ფინანსური რისკები, ვირტუალური ფული, ფინანსური მონიტორინგი.*

ძირითადი ტესტი:

კრიპტოვალუტა, ეს არის მომავლის ფული, რომელიც ვირტუალური ფულის სახეობაა, თავისი არსით ტრადიციულ ფულთან შედარებით მეტი უსაფრთხოების და ანონიმურობის შექმნის გარანტიას იძლევა. კრიპტოვალუტა ფინანსური სამყაროს ყველაზე სენსაცურ და პოპულარულ საშუალებად ითვლება.

ერთის მხრივ ვირტუალური ფული უზრუნველყოფს ტრანზაქციების სიმარტივეს და ნაკლებ დანახარჯებს, მეორეს მხრივ კი მაღალი რისკის მატარებელია სახელმწიფო სტაბილურობის და რეალური ეკონომიკური მაჩვენებლების განსაზღვრისთვის.

კრიპტოვალუტა ელექტრონული ფულის სახეობაა, რომელიც მატერიალურად არ არსებობს. კრიპტოვალუტას აწარმოებს ე.წ. „ბლოკჩეინების სისტემა“. ეს არის კომპიუტერული სისტემის ჯაჭვი, რომელიც უზრუნველყოფს ამ სისტემაში შემავალი მონაწილეების მიერ შესრულებული ფინანსური ტრანზაქციების შენახვას სპეციალური დაშიფრული ალგორითმების საშუალებით, რაც გამორიცხავს ტრანზაქციებს დუბლირებას, ანუ თუ ერთი მომხმარებელი მეორეს ურიცხავს თანხას და ხდება ერთი „საფულიდან“ მეორეში ვალუტის გადატანა, სისტემა უზრუნველყოფს ამ ტრანზაქციის მონაცემების შენახვას და იგივე მონაცემებით ტრანზაქციის შესრულება პრაქტიკულად შეუძლებელია.

მნიშვნელოვანია ასევე გაიმიჯნოს ერთმანეთისგან ვირტუალური ვალუტის და საბანკო ანგარიშებზე არსებული ელექტრონული თანხების ცნება. ბევრი აიგივებს ერთმანეთთან და პარალელებს ავლებენ. აღსანიშნავია, რომ საბანკო ანგარიშზე არსებული თანხები მომხმარებლისთვის

ციფრულ ვალუტად აღიქმება, მაგრამ ეს თანხები უზრუნველყოფილია მატერიალური რესურსით, საბანკო რეზერვების საშუალებით, რომელიც კონტროლდება სახელმწიფოების და ცენტრალური ბანკების ნორმატივებით და აქტებით. კრიპტოვალუტას მატერიალური სახე არ გააჩნია, ეს არის დეცენტრალიზებული და დენომინირებული ანგარიშსწორების საშუალება. მომხმარებლისთვის, რომელიც თავს არიდებს დამატებითი ინფორმაციის მიწოდებას ფინანსური ინსტიტუტებისთვის შესრულებულ ტრანზაქციებზე, ვირტუალური ვალუტით გადარიცხვები და ანგარიშსწორება მეტად კომფორტული და მოხერხებულია, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ უკონტროლოა და რისკის მატარებელი, როგორც თვითონ მომხმარებლისთვის, ასევე სახელმწიფოებისთვის სხვადასხვა არალეგალური საქმიანობის დასაფინანსებლად და ფულის გათეთრებისთვის.

კრიპტოვალუტის შექმნის მოთხოვნა გამოწვეულია ფულის ემისიის მონოპოლიური ხასიათით და ბიზნეს გარემოს, ფინანსური ტრანზაქციების მკაცრი ზედამხედველობით.

ვირტუალური ფულის ბაზარი, შეიძლება ითქვას, ამ ეტაპზე უკონტროლოა, რადგან მას ფინანსური ინსტიტუტის სახე არ აქვს და არცერთ ქვეყანაში, გარდა იაპონიისა, არ არის მიჩნეული ანგარიშსწორების ოფიციალურ საშუალებად. შესაბამისად, მომხმარებლის დაცვის ბერკეტი სახელმწიფოებს არ აქვთ. მთელი პასუხისმგებლობა ფინანსური რისკების შესახებ ეკისრება მომხმარებელს.

კრიპტოვალუტის სისტემა არის XXI საუკუნის კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარების შედეგი და თუ ვიმსჯელებთ მისი განვითარების მასშტაბებიდან, მოთხოვნა ამ პროდუქტზე, თუ შეიძლება მას პროდუქტი ეწოდოს, ყოველთვის იქნება.

ცხრილი 1.

კრიპტოვალუტის ბაზრის მიმოხილვა (2017 წლის მონაცემებით)

#	დასახელება	კაპიტალიზაცია (მილიარდი დოლარი)	ღირებულება	ვაჭრობის მოცულობა (მილიარდი დოლარი)	პროცენტული ცვლილება 24 საათში
1	ბიტკოინი	318	19087	14.9	0.17
2	ეთერიუმი	79	835	3.6	16.4
3	ბიტკოინ ქეში	37	2196	2.6	19
4	რიპლი	33	0.86	1.67	19.3
5	ლაითკოინი	20	370	2.3	18.2
6	კარდანო	15	0.57	0.3	19.2
7	იოტა	11.7	4.2	0.35	10.5
8	დეში	9.5	1229	0.3	12.9
9	ნემი	9	1	0.2	39
10	მონერო	5.9	384	0.23	11.3

შეთანხმება, თუ რა არის კრიპტოვალუტა - საქონელი თუ ვალუტა, ჯერჯერობით არ არსებობს, რადგან მას ორივე ელემენტის თვისებები ახასითებს. ექსპერტების ნაწილია მას არარსებულ აქტივად თვლის, ნაწილი კი ვალუტად.

კრიპტოვალუტის შემენა შესაძლებელია სპეციალურ ონლაინ პლატფორმაზე, ე.წ. ბირჟაზე, სადაც რეგისტრაცია მხოლოდ სახელით და ელექტრონული ფოსტის საშუალებით ხდება, რაც რეალურად მაღალრისკიანი ინვესტირების წინაპირობაა. ფაქტიურად შეუძლებელია ფინანსური ტრანზაქციების კონტროლი. ამის გამო ვირტუალური გადახდის სისტემა მიმზიდველია კრიმინალური სამყაროსათვის, რაც მსოფლიოს სერიოზული გამოწვევების წინაშე აყენებს და რეალურად ფინანსური კატასტროფების რისკის საფრთხეს უქმნის.

მხოლოდ ის ფაქტი, რომ კრიპტოვალუტის შემქმნელების ვინაობა დღემდე ანონიმურია, მეტყველებს იმაზე, რომ ამ სისტემაში შემავალი სუბიექტების შესახებ ინფორმაციის მოპოვება ფულის გათეთრების წინააღმდეგ მოქმედი ორგანიზაციების და ფინანსური მონიტორინგის სამსახურებისთვისაც თითქმის შეუძლებელია.

მსოფლიო ეკონომიკის და ტექნოლოგიების განვითარება არ გამორიცხავს იმ ფაქტს, რომ ადრე

თუ გვიან, მსგავსი ტიპის პროდუქტი, როგორიცაა კრიპტოვალუტა, აუცილებელი გახდებოდა. თუმცა საყურადღებოა ისიც, რომ ანონიმურობის და უკონტროლობის მსგავსი სისტემა კრიმინალის და კორუფციული გარიგებების ეპოქის დასაწყისია.



დიაგრამა 1. ბიტკოინით გადარიცხვების ლოგარითმული შკალა 2009-2017 წწ. პერიოდში

კრიპტოვალუტით ვაჭრობის და ანგარიშწორებისდროს ტრანზაქციები მაქსიმალურად დაცულია დუბლირებისგან და პროგრამულად აწყობილი სისტემაა, თუმცა საყურადღებოა ის ფაქტი რომ ეს არის ე.წ. „რობოტული“ სისტემა, სადაც მცირედი პროგრამული ხარვეზის, მაგალითად ინტერნეტის გათიშვის ან კოდის დავიწყების შემთხვევაში შეუძლებელი ხდება მომხმარებლის საფულეში არსებული თანხის უკან დაბრუნება.

მონაცემების ფაქტიურად არ არსებობის გამო თაღლითობის შემთხვევაში საკმაოდ რთულია მომხმარებელთა უფლებების დაცვა, რადგან პრაქტიკულად შეუძლებელია დამნაშავის პოვნა. თუ მომხმარებელი არ დარწმუნდა საიტის ან ტრეიდერის რეპუტაციის ხარისხიანობაში, მარტივად შეიძლება გახდეს თაღლითობის მსხვერპლი.

მაღალთანხიანი ტრანზაქციების ინტენსიური განხორციელებისას კრიპტოვალუტის სისტემასაც აქვს გარკვეული მოთხოვნები ინფორმაციის მიწოდებაზე, რაც რისკს ამცირებს, თუმცა სრულად დაცული მაინც არ არის. ამის პასუხად ბოლო პერიოდის მონაცემებით, სხვადასხვა ქვეყანაში მოხშირდა კონტროლის შემცირების მიზნით, მცირეთანხიანი ოპერირების შემთხვევები. თაღლითები ლიმიტის ფარგლებში ოპერაციებს ახორციელებენ სხვადასხვა ანგარიშის და საფულის მეშვეობით.

ბიზნეს სამყაროს წარმომადგენლების და ეკონომიკის ექსპერტების აზრი კრიპტოვალუტის შესახებ ორად იყოფა. ნაწილი საზოგადოებას კრიპტოვალუტის განვითარების გარდაუალობაში და დადებით მხარებში არწმუნებს, ნაწილი კი ეწინააღმდეგება მის სარგებლიანობას.

არსებობს ეჭვი, რომ კრიპტოვალუტით ანგარიშსწორების დიდი წილი ძირითადად ნარკოდანაშაულის დასაფინანსებლად და ტერორისტული აქტების მოსაწყობადაა მიმართული. მაგალითად, Microsoft-ის დამფუძნებელი ბილ გეითსი მიიჩნევს, რომ კრიპტოვალუტა საშიშია: „ამჟამად, კრიპტოვალუტა იმისთვის გამოიყენება, რომ ნარკოტიკული საშუალება ფენტალინი შეიძინონ, მისი შეძენა ონლაინ კონტროლის გარეშე შეიძლება, ამიტომ კრიპტოვალუტა პირდაპირ ჩართულია ადამიანის სიკვდილში“.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Shin L. (2017). “How Crypto And Blockchain Technology Should Be Regulated”. [Electronic resource]. URL: https://www.forbes.com/sites/laurashin/2017/12/12/how-crypto-and-blockchain-technology-should-be-regulated/#1fef9f9e67ba (date of access: 29.01.2018).
2. Rapoza K. (2018). “The Easiest Way To Invest In Blockchain Technologies [Electronic resource]. URL: https://www.forbes.com/sites/kenrapoza/2018/02/01/the-easiest-way-to-invest-in-blockchain-technologies/#66e7a11d3b3d (date of access: 27.02.2018).

3. "International Standards on Combating Money Laundering and the Financing of Terrorism & Proliferation". The FATF Recommendations, February, 2012. [Electronic resource]. URL: https://www.fms.gov.ge/Uploads/files/fatf_40.pdf (date of access: 20.12.2017).
4. Kaufman K. (2017). "Cryptocurrency: The Dark Side of Investing". [Electronic resource]. URL: https://www.forbes.com/sites/karlkaufman/2017/12/20/cryptocurrency-the-dark-side-of-investing/#4a30c0f9191a (date of access: 23.02.2018).

Cryptocurrency as a money laundering

Kurasbediani Salome
Georgian Technical University
Faculty of Business-Technologies
Doctoral student
Chelidze Medea
Georgian Technical University
Faculty of Business-Technologies
Associate Professor

Summary

As the development of technology and computer systems, payment and settlement systems are also developing, which is an imminent process as well as in the forefront of the banking system and the market economy of international investment.

It is natural that people create parallel to the requested systems. However, it should be noted that in parallel to the creation of this product, the implementation of appropriate control mechanisms by the States. In this particular case, only a rigid approach and prohibition of activity in relation to cryptocurrency can not give us the desired outcome.

The over-limitation of the business ultimately leads to unwilling or voluntary fraud.

Keywords: Cryptocurrency, Money laundering, Financial risks, Virtual money, Financial monitoring.

ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი მსოფლიო ეკონომიკაში

ღურწკაია თათია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ღურწკაია კარლი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

ტრანსნაციონალური კორპორაციები ეკონომიკის გლობალიზაციის მამოძრავებელი ძალაა. ისინი მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მსოფლიო საწარმოო პოტენციალის განაწილების პროცესში. საკუთარი ტრანსნაციონალური საქმიანობის გაფართოებით, ტნკ-ები ქმნიან ეკონომიკურ საფუძვლებს საერთაშორისო წარმოების ორგანიზებისთვის ერთიან საბაზრო და საინფორმაციო სივრცეში და კაპიტალის, სამუშაო ძალის, სამეცნიერო-ტექნიკური, საკონსულტაციო და სხვა ტიპის მომსახურების საერთაშორისო ბაზარს. გასაღების ბაზრებისთვის ბრძოლაში გლობალური მასშტაბით, ტნკ-ები ზრდიან კონკურენციის დონეს, რაც იწვევს მუდმივი ინოვაციების, ტექნოლოგიების ცვლილების და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საჭიროებას.

საკვანძო სიტყვები: *ტრანსნაციონალური კორპორაციები, გლობალიზაცია, სტრატეგიული იმპერატივები, საბაზისო ქვეყანა, მიმღები ქვეყანა.*

ძირითადი ტექსტი

ტრანსნაციონალური კორპორაციები ეკონომიკის გლობალიზაციის მამოძრავებელი ძალაა. ისინი განსაზღვრავენ საქონლის და მომსახურების დინამიკას, კონკურენტუნარიანობის დონეს მსოფლიო ბაზარზე, აკონტროლებენ კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობას და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს. საკუთარი საწარმოო და ფინანსური შესაძლებლობების წყალობით მათ ხელში თავმოყრილია ყველაზე მეცნიერებატევადი წარმოება. ტნკ-ები ხელს უწყობენ შრომის საერთაშორისო ბაზრის შექმნას, პროფესიონალური ცოდნის გავრცელებას და სხვადასხვა ქვეყნის კორპორაციის თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარებას.

ტრანსნაციონალური კორპორაცია -კორპორაცია, რომლის აქტივების საერთო მოცულობის არანაკლებ 25-30% მოდის საზღვარგარეთის აქტივებზე და რომელსაც გააჩნია ფილიალები ორზე მეტ ქვეყანაში. ამასთან, საერთაშორისო კორპორაციათა რიცხვს მიეკუთვნება რეალურად მსხვილი კომპანიები, რომელთა გაყიდვების წლიური მოცულობა არანაკლენ 1 მლრდ. დოლარია.

გამოყოფენ ტრანსნაციონალური კორპორაციების საბაზისო ქვეყანას და მიმღებ ქვეყნებს. პირველს მიეკუთვნება ქვეყანა, რომელშიც განთავსებულია ტნკ-ს ცენტრალური ოფისი ანუ ე.წ. კორპორაციის შტაბ-ბინა. მეორეს კი მიეკუთვნება ის ქვეყნები, რომლებშიც განთავსებულია ტნკ-ს აქტივები.

არსებობს რიგი მიზეზები, რომლებიც აიძულებს კომპანიებს გახდნენ უფრო გლობალურები. ასეთი სტრატეგიული იმპერატივების რიცხვს მიეკუთვნება კომპანიის საკვანძო კომპეტენციების გამოყენება, რესურსების შემენა უფრო დაბალ ფასად, კომპანიების შეღწევა ახალ ბაზრებზე და საკუთარ დარგში კონკურენციის აუცილებლობა.

გლობალიზაციის უმნიშვნელოვანესი საფუძველი საკვანძო კომპეტენციების უფრო ფართო გამოყენებაა, რომლის განვითარება კომპანიამ შიდა ბაზარზე შეძლო. საკვანძო კომპეტენცია განმასხვავებელი ძლიერი მხარე ან უპირატესობაა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია კომპანიის წარმატებული საქმიანობისთვის. საკვანძო კომპეტენციის გამოყენებით ახალ ბაზრებზე, კომპანიას საკუთარი შემოსავლების და მოგების გაზრდა შეუძლია. მაგალითად, თავის დროზე კომპანია Nokia-მ ფიჭური ტელეფონების წარმოების უახლესი ტექნოლოგია შეიმუშავა, რაც დიდი სიამოვნებით მიიღეს ფინეთის მომხმარებლებმა. Nokia-ს მენეჯერებმა მალევე გააცნობიერეს, რომ კომპანიას შეეძლო საკუთარი შემოსავლების და მოგების გაზრდა, წარმოების და გაყიდვების გაფართოებით სხვა ქვეყნებში.

საერთაშორისო მასშტაბით ბიზნესის წარმოების კიდევ ერთი საფუძველი ისეთი რესურსების შეძენაა საზღვარგარეთ, როგორიცაა ხე-ტყის მასალები, სამუშაო ძალა, კაპიტალი ან ტექნოლოგიები. ზოგიერთ შემთხვევაში კომპანიები განიცდიან ისეთი რესურსების გამოყენების საჭიროებას, რომლებიც ადგილობრივ ბაზარზე ან საერთოდ არ არსებობს ან არ არის საკმარისი კომპანიის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. მაგალითად, ჩრდილოეთ ამერიკის კომპანიები, რომლებიც საკვები პროდუქტების საბითუმო ვაჭრობით არიან დაკავებული, ყავას და ბანანს იძენენ სამხრეთ ამერიკაში. იაპონური ფირმები ხე-ტყის მასალას ყიდულობენ კანადაში. ყველაზე პოპულარულ ადგილს სარეკლამო რგოლების გადასაღებად წარმოადგენს სამხრეთ აფრიკის ქალაქი კეიპტაუნი, რადგან ამ ქალაქში მწყობილობის იჯარა და გადამღები ჯგუფის შრომის ანაზღაურება 40%-ით იაფი ღირს, ვიდრე ლოს-ანჟელესში.

ახალი ბაზრების მოძიების აუცილებლობა-საერთაშორისო ბაზარზე კომპანიის გასვლის კიდევ ერთი გავრცელებული მიზეზია. ახალი ბაზრების ათვისების პროცესს ორი უპირატესობა გააჩნია. პირველი, კომპანიას შეუძლია ეკონომიის მიღება მასშტაბიდან წარმოების მოცულობის ზრდასთან ერთად ერთეულ პროდუქციაზე წარმოების საშუალო ხარჯების შემცირებით. მეორე, ახალი ბაზრების ათვისება კომპანიას შემოსავლების დივერსიფიცირების საშუალებას აძლევს. ასეთ შემთხვევაში კომპანია, რომელიც ბევრ ქვეყანაში საქმიანობს, ნაკლებად არის დამოკიდებული საკუთარი პროდუქციის გაყიდვაზე ცალკე აღებულ ქვეყანაში, რაც კომპანიას ამ ქვეყანაში ეკონომიკური რყევებისგან დაცვის საშუალებას აძლევს.

საზღვარგარეთის ბაზრებზე კომპანიების გასვლის კიდევ ერთი მიზეზი საკუთარ დარგში კონკურენტული ბრძოლის ეფექტურობის ამაღლებისკენ სწრაფვაა, სადაც საქმიანობს კომპანია. მაგალითად, კომპანია Coca-Cola აქტიურად ითვისებს მსოფლიო ბაზარს, შესაბამისად კომპანია Pepsi-Cola-ს არ დარჩენია სხვა არაფერი, გარდა იმისა, რომ გააკეთოს იგივე, რათა არ ჩამორჩეს თავის მთავარ კონკურენტს.

კომპანიები, რომლებიც ხსნიან საწარმოებს საკუთარი ქვეყნის ფარგლებს გარეთ, გავლენას ახდენენ იმ ქვეყნების პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ გარემოზე, რომელშიც ისინი საქმიანობენ. ამასთან, აღნიშნული კომპანიები იმავე გარემოს გავლენას განიცდიან. მიმღები ქვეყნის ბაზრებზე წარმატებული კონკურენციისთვის, ასევე ეფექტური ურთიერთობების შესანარჩუნებლად ამავე ქვეყნების მთავრობებთან, ტნკ-ს მენეჯერებმა უნდა შეარჩიონ საკუთარი კომპანიების ოპტიმალური ურთიერთქმედების მეთოდები ბიზნესის წარმოების ეროვნულ გარემოსთან.

ტნკ-ები გავლენას ახდენენ თითოეული ქვეყნის ეკონომიკაზე, რომელშიც ისინი საქმიანობენ. ასეთი ზეგავლენის მრავალ ასპექტს დადებითი ხასიათი გაჩნია. ტნკ-ები ახორციელებენ ინვესტიციებს მიმღები ქვეყნების ფაბრიკებსა და ქარხნებში, რითაც ქმნიან სამუშაო ადგილებს. ასეთი ინვესტიციები უზრუნველყოფს სამუშაო ადგილებით მშენებლებს, მიმწოდებლებს. ისინი იხდიან გადასახადებს, რაც აძლიერებს ადგილობრივ ეკონომიკას და ხელს უწყობს საგანმანათლებლო, სატრანსპორტო და სხვა მუნიციპალური სამსახურების მუშაობის გაუმჯობესებას.

ამასთან, ტნკ-ების საქმიანობა შეიძლება უარყოფითად აისახოს მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე, თუ მათი კონკურენცია ადგილობრივ კომპანიებთან გამოიწვევს სამუშაო ადგილების დაკარგვას ამ კომპანიებში. გარდა ამისა, ადგილობრივი ეკონომიკა სულ უფრო დამოკიდებული ხდება ტნკ-ებზე, რომელთა ფინანსური წარმატება სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ადგილობრივი მაცხოვრებლების კეთილდღეობაზე. ზოგიერთ შემთხვევაში ტნკ-ში აუცილებელია საქმიანობის სფეროების შემცირება, რასაც თან სდევს მომუშავეთა შემცირება, ტნკ-ების მიერ საქმიანობის შეზღუდვა ან მთლიანად შეწყვეტა მიმღებ ქვეყანაში. მოვლენათა ასეთი განვითარება შეიძლება დამანგრეველი აღმოჩნდეს ადგილობრივი ეკონომიკისთვის.

გარდა ამისა ტნკ-ებს დიდი პოლიტიკური გავლენები აქვთ, იქნება ეს საერთაშორისო დონეზე თუ მიმღები ქვეყნის დონეზე. საკუთარი მასშტაბებიდან გამომდინარე ისინი დიდ ძალაუფლებას ფლობენ იმ ქვეყნებში, რომელთა ტერიტორიაზეც საქმიანობენ. სამწუხაროდ, ყოველთვის არსებობს საშიშროება ამ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების. იმ შემთხვევაშიც კი თუ ეს არ მოხდება, ტნკ-

ებს მაინც აქვთ შესაძლებლობა წინააღმდგობა გაუწიონ ადგილობრივი ხელისუფლების ქმედებებს, რომლებიც მიმართულია მათი საქმიანობის შეზღუდვისკენ. ასეთ შემთხვევებში ტნკ-ები იმუქრებიან საკუთარი წარმოების და სამუშაო ადგილების გადატანით სხვა რეგიონებში. მაგალითად, 90-იან წწ. დასაწყისში ესპანეთის მთავრობამ მიიღო ახალი კანონები, რომლებსაც უნდა გამოეწვიათ სამუშაო ძალაზე დანახარჯების ზრდა. ამის საპასუხოდ ისეთმა კორპორაციებმა, როგორიცაა Colgate-Palmolive, S.C.Johnson&Son, Kubota და Volkswagen-მა დახურეს ესპანეთში განთავსებული ზოგიერთი საწარმო, ასევე შამცირეს სახელფასო ფონდი. შედეგად ქვეყანაში მკვეთრად დაიწყო უმუშევრობის ზრდა და 90-იანი წლების შუახანებში 24,5%-ს მიაღწია.

ასევე ტნკ-ები დიდ გავლენს ახდენენ იმ ქვეყნის კულტურაზე, რომლის ტერიტორიაზეც აწარმოებენ ბიზნესს. მათი საქმიანობა იწვევს ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას, ადგილობრივ ბაზარზე ახალი საქონლის და მომსახურების შეთავაზებას, რომლებიც მანამდე არ იყო ხელმისაწვდომი ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის. ზოგიერთ ცვლილებას დადებითი ხასიათი გააჩნია. ასეთი ცვლილებების რიცხვს მიეკუთვნება უფრო საიმედო დანადგარების და ინსტრუმენტების გამოყენება ადგილობრივ საწარმოებში, ადგილობრივ ბაზარზე უფრო ხარისხიანი ფარმაცევტული პრეპარატების და ავადმყოფების მოვლის საშუალებების, ასევე ხარისხიანი საკვები პროდუქტების გამოჩენა, რომლებიც აკმაყოფილებენ სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს. სხვა ცვლილებებს, რომლებსაც იწვევს ტნკ-ების საქმიანობა, არ შეიძლება ვუწოდოთ დადებითი. მაგალითად, კომპანია Nestle-ს საქმიანობას განვითარებად ქვეყნებში, ჩვილ ბავშვთა ფაფების წინწაწევასთან დაკავშირებით, ბევრი უარყოფითი გამოხმაურება მოყვა. კრიტიკოსების აზრით, დედებს ამ ქვეყნებში არ ასწავლეს ფაფების სათანადო წესით მომზადება. დედები ზედმეტად აზავებდნენ ფაფებს, პროდუქტის რაოდენობის გასაზრდელად. ამასთან, ფაფის მომზადების პროცესში არ იყო დაცული სანიტარული ნორმები. შედეგად, როგორც კრიტიკოსები ამტკიცებენ, ამ ქვეყნებში გაიზარდა ბავშვთა სიკვდილიანობის დონე.

ტნკ-ები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მსოფლიო სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებში. მათ წილად მოდის დარეგისტრირებული პატენტების დაახლოებით 80%, ამასთან ისინი აფინანსებენ სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების დაახლოებით 80%.

მთლიანობაში ტნკ-ები მსოფლიო სამრეწველო წარმოების დაახლოებით 50%-ს უზრუნველ-ყოფენ, მათზე მოდის მსოფლიო ვაჭრობის 70%-ზე მეტი. ტნკ და ტრანსნაციონალური ბანკები სასაქონლო და ფინანსური ნაკადების ძირითადი გამტარები არიან, განსაზღვრავენ რა მსოფლიო მეურნეობის განვითარებას.

ტნკ-ები თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის მნიშვნელოვანი საკვანძო პროცესების მამოძრავებელი ძალაა. ისინი განსაზღვრავენ საქონლის და მომსახურების დინამიკას, სტრუქტურას, კონკურენტუნარიანობის დონეს მსოფლიო ბაზარზე, აკონტროლებენ კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობას და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს. საკუთარი საწარმოო და ფინანსური შესაძლებლობების წყალობით მათ ხელში თავმოყრილია ყველაზე მეცნიერებატევადი წარმოება, ხელს უწყობენ რა წარმოების ტექნოლოგიურ განვითარებას. ტნკ-ები ხელს უწყობენ შრომის საერთაშორისო ბაზრის შექმნას, პროფესიონალური ცოდნის გავრცელებას და სხვადასხვა ქვეყნის კორპორაციის თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კ. ღურწკაია, რ.ქუთათელაძე, თ.ღურწკაია, კ.ღურწკაია, საერთაშორისო ბიზნესის აქტუალური საკითხები-2018წ.
2. P.Krugman Obstfeld, International Economics 8th edition-2015;
3. კ.ღურწკაია, თ. ღურწკაია, საერთაშორისო ბიზნესი-2011 წ;
4. Международная Экономика, Томас А.Пугель, Питер Х.Линдерт, 2003 г.

The role of transnational corporations in the world economy

Ghurtskaia Tatia
Ghurtskaia Karli

Summary

Transnational corporations are the moving force of economic globalization. They play an important role in the distribution of the world's industrial potential. By expanding transnational activities, they create an economic basis for the organization of international production in a single market and information space and international market of capital, labor, scientific and technical, consulting and other type of services. In order to compete for markets, transnational company are increasing competition, which requires constant innovation, technological changes and accelerating scientific and technological progress.

საწარმოს ფულადი ნაკადების მართვადა საგადახდო კალენდარის შემუშავება

ცაავა გიორგი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ბურდიაშვილი რატი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

მოსიაშვილი ვალერი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

სტატიაში აღნიშნულია რომ საწარმოს **ფულადი ნაკადი** თავისთავად მისი სამეურნეო საქმიანობის გენერირებადი ფულადი სახსრების დრიში განაწილებული შემოსულობებისა და გადახდების ერთობლიობას წარმოადგენს. საწარმოში ფულადი სახსრების შემოსულობებისა და გახარჯვის გეგმა შემდეგი თანმიმდევრობით მუშავდევა: თავიდან პროგნოზირდება ფულადი ნაკადები საოპერაციო, შემდეგ საინვესტიციო, მერე ფინანსური საქმიანობის და ბოლოს მთლიანი და სუფთა ფულადი ნაკადების მიხედვით. ხაზგასმულია, რომ ფულადი სახსრების შემოსულობებისა და გახასჯვის გეგმა დგება წლის მიხედვით, კვარტალებად და თვეებად დაყიფით. ამასთან ერთად აღნიშნული ნაკადების მაღალი დინამიზმი, ასევე მოკლევადიანი მოქმედების მრავალ ფაქტორებზე დამოკიდებულება ყოველდღიური მართვის უზრუნველყოფის გეგმიური ფინანსური დოკუმენტის - **საგადახდო კალენდარის** შემუშავების აუცილებლობას განაპირობებენ. იგი საწარმოს ფულადი ნაკადების ოპერატიული მართვის ყველაზე ეფექტურ და საიმედო ინსტრუმენტს წარმოადგენს და საგადახდო კალენდარის მის სხვადასხვა ვარიანტებში შემუშავება უკვე თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებითაც არის შესაძლებელი.

საკვანძო სიტყვები: *მთლიანი ფულადი ნაკადი, სუფთა აქტივები, მთლიანი მოგება, ფულის სამომავლო ღირებულება, მთლიანი შემოსაცალი, ფულადი ბაზრის ინსტრუმენტები.*

ძირითადი ტექსტი

ფულადი ნაკადის ცნება და მისი სახეობების დახასიათება: საწარმოში ყველა სახეობის ფინანსური ოპერაციების განხორციელება პრაქტიკულად ფულადი სახსრების, მათი შემოსულობების ან გახარჯვის ფორმით, გარკვეული მოძრაობის გენერირებას ახდენს. ფუნქციონირებადი საწარმოს ფულადი სახსრების აღნიშნული მოძრაობა დროში თავისთავად უწყვეტ პტოცესს წარმოადგენს და „ფულადი ნაკადის“ ცნებით განისაზღვრება (1, გვ. 129 – 169; 2, გვ. 494 - 514).

საწარმოს ფულადი ნაკადი - თავისთავად მისი სამეურნეო საქმიანობის გენერირებადი ფულადი სახსრების დრიში განაწილებული შემოსულობებისა და გადახდების ერთობლიობას წარმოადგენს.

საწარმოს ფულადი ნაკადები მათ ყველა ფორმებში და სახეობებში, აქედან გამომდინარე მისი ერთობლივი ფულადი ნაკადიც, უეჭველად ფინანსური მენეჯმენტის უმნიშვნელოვანეს დამოუკიდებელ ობიექტს წარმოადგენს, რომელიც თეორიული საფუძვლების გაღრმავებას და პრაქტიკული რეკომენდაციების გაფართოებას მოითხოვს.

საწარმოს ფულადი ნაკადების ეფექტური მართვის მაღალი როლი განისაზღვრება შემდეგი ძირითადი დებულებებით:

1. **ფულადი ნაკადები საწარმოს სამეურნეო საქმიანობის განხორციელებას პრაქტიკულად ყველა მის ასპექტებში განაპირობებენ.**
2. **ფულადი ნაკადების ეფექტური მართვა საწარმოს მისი სტრატეგიული განვითარების პროცესში ფინანსურ წონასწორობას უზრუნველყოფს.**
3. **ფულადი ნაკადების რაციონალური ფორმირება საწარმოს საოპერაციო პროცესის განხორციელების რითნ=მიულობის ამაღლებას უწყობს ხელს.**

4. **ფულადი ნაკადების ეფექტური მართვა საწარმოსათვის ნასესხები კაპიტალში მოთხოვნილების შემცირევბის შესაძლებლობას იძლევა.**
5. **ფულადი ნაკადებით მართვა საწარმოს კაპიტალის ბრუნვის დაჩქარების უზრუნველყოფის მნიშვნელოვან ფინანსურ ბერკეტს წარმოადგენს.**
6. **ფულადი ნაკადების ეფექტური მართვა საწარმოს გადახდისუუნარობის რისკის შემცირებას უზრუნველყოფს.**
7. **ფულადი ნაკადების მართვის აქტიური ფორმები საწარმოს უშუალოდ მისი ფულადი ნაკადებით გენერირებადი დამატებითი მოგების მიღების შესაძლებლობას ძლევს.**

განხილული ასპექტები საწარმოს ფულადი ნაკადების ფინანსური მართვის დამოუკიდებელ ობიექტად, აღნიშნული მართვის შესაბამისი სტრუქტურული და საკადო უზრუნველყოფით, გამოყოფის აუცილებლობის შესახებ თეზისს ადასტურებენ.

„საწარმოს ფულადი ნაკადის“ ცნება აგრეგირებულს წარმოადგენს, რომელიც თავის შენადგენლობაში სამეურნეო საქმიანობის უზრუნველმყოფელი აღნიშნული ნაკადების მრავალრიცხოვანი სახეობების ჩართვას ითვალისწინებს. ფულადი ნაკადების ეფექტური მიზანმიმართული მართვის უზრუნველყოფის მიზნით ისინი გარკვეულ კლასიფიცერაბას მოითხოვენ. ფულადი ნაკადების ასეთი კლასიფიკაცია შეთავაზებულია განხორციელდეს შედეგი ძირითადი ნიშნების მიხედვით (ნახ.. 1,1.):

საწარმოს ფულადი ნაკადების კლასიფიკაცია:
1. **სამეურნეო პროცესის მომსახურების მასშტაბების მიხედვით:** ➢ ფულადი ნაკადები მთლიანობაში საწარმოს მიხედვით; ➢ ფულადი ნაკადი საწარმოს სამეურნეო საქმიანობის ცალკეული სახეობების მიხედვით; ➢ ფულადი ნაკადი საწარმოს ცალკეული სტრუქტურული ქვედანაყოფების მიხედვით; ➢ ფულადი ნაკადი ცალკეული სამეურნეო ოპერაციების მიხედვით.
2. **სამეურნეო საქმიანობის სახეობების მიხედვით:** ➢ ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობის მიხედვით; ➢ ფულადი ნაკადი საინვესტიციო საქმიანობის მიხედვით; ➢ ფულადი ნაკადი ფინანსური საქმიანობის მიხედვით.
3. **ფულადი სახსრების მოძრაობის მიმართულებადობის მიხედვით:** ➢ დადებითი ფულადი ნაკადი; ➢ უარყოფითი ფულადი ნაკადი.
4. **მოცულობის გაანგარიშების მეთოდის მიხედვით:** ➢ მთლიანი ფულადი ნაკადი; ➢ სუფთა ფულადი ნაკადი.
5. **მოცულობის საკმარისობის დონის მიხედვით:** ➢ ჭარბი ფულადი ნაკადი; ➢ დეფიციტური ფულადი ნაკადი.
6. **დროში შეფასების მეთოდის მიხერვით:** ➢ დღევანდელი ფულადი ნაკადი; ➢ მომავალი ფულადი ნაკადი.
7. **განხილვად პერიოდში ფორმირების უწყვეტადობის მიხედვით:** ➢ რეგულარული ფულადი ნაკადი; ➢ დისკრეტული ფულადი ნაკადი.
8. **ფორმირების დროითი ინტერვალების სტაბილურობის მიხედვით:** ➢ რეგულარული ფულადი ნაკადი თანაბარი დროითი ინტერვალით; ➢ რეგულარული ფულადი ნაკადი არათანაბარი დროითი ინტერვალით.

ნახაზი 1.1. საწარმოს ფულადი ნაკადების კლასიფიკაცია ძირითადი ნიშანთვისებების მიხედვით

საწარმოს ფულადი ნაკადების მართვის პრინციპები და ეტაპები:

საწარმოს ფულადი ნაკადების მართვის პროცესი გარკვეულ პრინციპებზეა დაფუძნებული, რომელთაგან ძირითადებს წარმოადგენენ:

1. **ინფორმაციული უტყუარობის პრინციპი.**

2. **დაბალანსებულობის უზრუნველყოფის პრინციპი.**
3. **ეფექტიანობის უზრუნველყოფის პრინციპი.**
4. **ლიკვიდობის უზრუნველყოფის პრინციპი.**

ფულადი ნაკადების მართვის ძირითად მიზანს, საწარმოს განვითარების პროცესში ფულადი სახსრების შემოსულობებისა და გახარჯვების დაბალანსებისა და მათი დროში სინხრონიზაციის გზით, ფინანსური განვითარების უზრუნველყოფა წარმოადგენს.

საწარმოს ფულადი ნაკადების მართვის პროცესი თანმიმდევრულად მოიცავს შემდეგ ძირითად ეტაპებს:

1. **საწარმოს ფულადი ნაკადების სრული და უტყუარი უზრუნველყოფისა და საჭირო ანგარიშგების ფორმირების ეტაპს;**
2. **წინა პერიოდში საწარმოს ფულადი ნაკადების ანალიზის ეტაპს;**
3. **საწარმოს ფულადი ნაკადების ოპტიმიზაციის ეტაპს;**
4. **საწარმოს ფულადი ნაკადების მათი სხვადასხვა სახეობების ჭრილში დაგეგმვის ეტაპს;**
5. **საწარმოს ფულადი ნაკადების ეფექტური კონტროლის უზრუნველყოფის ეტაპს.**

საწარმოს ფულადი ნაკადების ოპტიმიზაციის მეთოდები:

საწარმოს ფულადი ნაკადების მართვის ერთ-ერთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან და რთულ ეტაპს მათი ოპტიმიზაცია წარმოადგენს.

ფულადი ნაკადების ოპტიმიზაცია თავისთავად საწარმოში მსამეურნეო საქმიანობის განხორციელების პირობებისა და თავისებურებების გათვალისწინებით მათი ორგანიზაციის საუკეთესო ფორმების შეჩევის პროცესს წარმოადგენს.

საწარმოს ფულადი ნაკადების ფორმირებაზე ზემომქმედი ძირითადი ფაქტორების სისტემა ორი ფაქტორებისაგან შედგება: **შიდა ფაქტორებს და გარე ფაქტორებს.**

გარე ფაქტორების სისტემაში ძირითად როლს ასრულებემ შემდეგიფაქტორები:

1. **სასაქონლო ბაზრის კონიუნქტურა;**
2. **საფონდო ბაზრის კონიუნქტურა;**
3. **საწარმოს გადასახადით დაბეგვრის სისტემა;**
4. **პროდუქციის მიმწოდებლებისა და მყიდველების დაკრედიტების ჩამოყალიბებული პრაქტიკა;**
5. **მეურნე სუბიექტების საანგარიშსწორებო ოპერაციების განხორციელების სისტემა;**
6. **ფინანსური კრედიტის მიღწევადობა;**
7. **დაუბრუნებადი მიზნობრივი დაფინანსების სახსრების მოზიდვის შესაძლებლობა.**

შიდა ფაქტორების სისტემაში ძირითად როლს ასრულებემ შემდეგიფაქტორები:

1. **საწარმოს სასიცოცხლო ციკლი;**
2. **საოპერაციო ციკლის ხანგრძლივობა;**
3. **პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის სეზონურობა;**
4. **საინვესტიციო პროგრამების გადაუდებლობა;**
5. **საწარმოს საამორტიზაციო პოლიტიკა;**
6. **საოპერაციო ლევერიჯის კოეფიციენტი;**
7. **საწარმოს მფლობელებისა და მენეჯერების ფინანსური მენტალიტეტი.**

ფულადი ნაკადების დაგეგმვა - ფულადი სახსრების შემოსულობებისა და გახარჯვების გეგმის შემუშავება:

საწარმოს მიმდინარე ფინანსური გეგმების არცერთი სახეობა, არც ერთი მისი მსხვილი ოპერაცია არ შიძლება მათი მიხედვით დაგეგმილ ფულად ნაკადებთან კავშირის გარეშე იქნას შემუშავებული. საწარმოს დაგეგმილი ყველა სახეობის ფულადი ნაკადები თავის ასახვას პოულობს სპეციალურ გეგმიურ დოკუმენტში - ფულადი სახსრების შემოსულობებისა და გახარჯვის გეგმაში (დგება მომვალი წლისათვის ყოველთვიური დაყოფით), რომელიც მიმდინარე ფინანსური გეგმის ერთ-ერთ ძირითად ფორმას წარმოადგენს.

ფულადი სახსრების შემოსულობებისა და გახარჯვის გეგმის შემუშავების ძირითად მიზანს საწარმოს მთლიანი და სუფთა ფულადი ნაკადების დროში მისი სამეურნეო საქმიანობის ცალკეული სახეობებისა და გეგმიური პერიოდის ყველა ეტაპზე მუდმივი გადახდისუნარიანობის უზრუნველყოფის ჭრილში პროგნოზირება წარმოადგენს.

საწარმოში ფულადი სახსრების შემოსულობებისა და გახარჯვის გეგმა მუშავდება შემდეგ ოთხ თანმიმდევრულ ეტაპად:

პირველ ეტაპზე საწარმოს საოპერაციო საქმიანობის მიხედვით ფულადი სახსრების შემოსულობები და გახარჯვები პროგნოზირდება, რადგანაც აღნიშნული გეგმის რიგი შდეგობრივი მაჩვენებლები მისი სხვა შემადგენელი ნაწილების შმუშავების საწყის წინაპირობას ემსახურება.

მეორე ეტაპზე საწარმოს საინვესტიციო საქმიანობის მიხედვით ფულადი სახსრების შემოსულობებისა და გახარჯვების გეგმიური მაჩვენებლები მუშვდება (მისი საოპრაციო საქმიანობის მიხეედვით სუფთა ფინანსური ნაკადების გათვალისწინებით).

მესამეეტაპზე საწარმოს ფინანსური საქმიანობის მიხედვით ფულადი სახსრების შემოსულობებისა და გახარჯვების გეგმიური მაჩვენებლები გაიანგარიშება, რომელიც მომავალ პერიოდში მისი საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობის გარე დაფინანსების წყაროების უზრუნველყოფაზეა მოწოდებული.

მეოთხე ეტაპზე მთლიანობაში საწარმოს მიხესდვით მთლიანი და სუფთა ფულადი ნაკადები, ასევე ფულადი სახსრების ნაშთების დინამიკის პროგნოზირება ხორციელდება.

საგადახდო კალენდარის მისი სხვადასხვა ვარიანტებში შემუშავება თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებისას მნიშვნელოვნად გაადვილდება. ფულადი ნაკადების მიმდინარე და ოპერტიული დაგეგმვის პროცესში, შესაბამისი კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება საწარმოს სამეურნეო საქმიანობის დივერსიფიკაციით განსაზღვრადი აღნიშნული ნაკადების მოცულობებითა და სახეობებით უნდა იყოს დაკავშირებული.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე შემდეგი სახის მოკლე დასკვნის გაკეთება არის შესაძლებელი:

1. აღნიშნულია, რომ საწარმოს ფულადი ნაკადი თავისთავად მისი სამეურნეო საქმიანობის გენერირებადი ფულადი სახსრების დრიში განაწილებული შემოსულობებისა და გადახდების ერთობლიობაა. „საწარმოს ფულადი ნაკადის“ ცნება აგრეგირებულს წარმოადგენს, რომელიც თავის შენადგენლობაში სამეურნეო საქმიანობის უზრუნველმყოფელი აღნიშნული ნაკადების მრავალრიცხოვანი სახეობების ჩართვას ითვალისწინებს. ფულადი ნაკადების ეფექტური მიზანმიმართული მართვის უზრუნველყოფის მიზნით ისინი გარკვეულ კლასიფიცერაბას მოითხოვენ.
2. მითითებულია, რომ ფულადი ნაკადების მართვის ძირითად მიზანს, საწარმოს განვითარების პროცესში ფულადი სახსრების შემოსულობებისა და გახარჯვების დაბალანსებისა და მათი დროში სინხრონიზაციის გზით, ფინანსური განვითარების უზრუნველყოფა წარმოადგენს. ფულადი ნაკადების ოპტიმიზაცია თავისთავად საწარმოში სამეურნეო საქმიანობის განხორციელების პირობებისა და თავისებურებების გათვალისწინებით მათი ორგანიზაციის საუკეთესო ფორმების შეჩევის პროცესია.
3. ხაზგასმულია, რომ ფულადი სახსრების შემოსულობებისა და გახარჯვის გეგმის შემუშავების ძირითად მიზანს საწარმოს მთლიანი და სუფთა ფულადი ნაკადების დროში მისი სამეურნეო საქმიანობის ცალკეული სახეობებისა და გეგმიური პერიოდის ყველა ეტაპზე მუდმივი გადახდისუნარიანობის უზრუნველყოფის ჭრილში პროგნოზირებაა. ამასთან ერთად, აღნიშნული ნაკადების მაღალი დინამიზმი, მათი მოკლევადიანი მოქმედებების მრავალ ფაქტორზე დამოკიდებულება გეგმიური ფინანსური დოკუმენტის შემუშავების აუცილებლობად განსაზღვრავენ, რომელიც საწარმოს ფულადი სახსრების შემოსულობებისა და გახარჯვების ყოველდღიურ მართვის უზრუნველყოფს. ასეთ გეგმიურ დოკუმენტს საგადახდო კალენდარი წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Бланк И.А. – Основы финансового менеджмента. Т.2. – Киев: Ника-Центр. 1999. – 512 с.
2. ინგოროყვა ა., ცაავა გ. - ფინანსური მენეჯმენტი. ტ.2. - თბილისი, გამომცემლიბა: „გრაალი“, 2011. – 702 გვ.

Cash management and the development of a payment calendar

Prof. G. Tsaava
Prof. R. Burdiashvili
Prof. V. Mosiashvili

Summary

1. It is noted that the enterprise's cash flow is a collection of time-allocated receipts and payments of cash generated by its economic activities. The concept of "enterprise cash flow" is aggregated, including in its composition numerous types of these flows that serve economic activity. In order to ensure the effective and purposeful management of cash flows, they require certain classifications.

2. It is stated that the main purpose of cash flow management is to ensure the financial balance of the enterprise in the process of its development by balancing the volumes of receipt and expenditure of money resources and their synchronization in time. Optimization of cash flows is the process of choosing the best forms of their organization in the enterprise, taking into account the conditions and features of the implementation of its economic activities.

3. It is emphasized that the main purpose of developing a plan for the receipt and expenditure of funds is to forecast in time the gross and net cash flows of an enterprise in the context of certain types of its economic activities and ensure constant solvency at all stages of the planning period. At the same time, the high dynamism of these flows, their dependence on many short-term factors determine the need to develop a planned financial document that provides daily management of the receipt and expenditure of the company's cash.

Key words: Gross cash flow, net assets value, gross profit, future value, gross income, money market instruments.

ქართული საბანკო სისტემის განვითარება გლობალიზაციის პირობებში

ცაავა გიორგი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ბიბილური ანი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

მოცემული კვლევის მიზანი ქართული საბანკო სისტემის ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპების განხილვაა გლობალიზაციის პირობებში. ნაშრომში საუბარია ქართული საბანკო სექტორის ისტორიასა და პერსპექტივებზე, ასახულია საბჭოთა პერიოდის შემდგომი წლები, ბანკების საქმიანობის საკითხები და ის მნიშვნელოვანი ასპექტები, რაც ხელს უწყობს საბანკო სისტემის სტაბილურობას. განხილულია საბანკო სექტორი 90-იანი პერიოდის განმავლობაში, თუ როგორ იცვლებოდა და იცვლება საბანკო აქტივები, საპროცენტო განაკვეთები და რა როლი უკავია დეპოზიტებს საბანკო საქმიანობაში. მოყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკური მონაცემები, რომელიც ასახავს ბოლო წლების მკვეთრ განვითარებას საბანკო სექტორში, სადაც კონკურენციის დონე გაზრდილია მიუხედავად ბანკების მცირე რაოდენობისა. მნიშვნელოვანია ასევე იმ ფაქტორის გამოყოფა, რაც ხელს უწყობს მოსახლეობის ნდობის ამაღლებას ბანკებისადმი. გლობალიზაციის როლი კი ქართული საბანკო სისტემის განვითარებაში მნიშვნელოვანია, რადგან ბანკები ვალდებულებას იღებენ მიიღონ თანამედროვე ბაზრის გამოწვევები და ფეხი აუწყონ მსოფლიოში არსებულ ტენდენციებს, რადგან სწორედ გლობალიზაციაა დღეისათვის ის მამოძრავებელი ძალა, რომელიც მართავს მსოფლიოს.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, საბანკო სისტემა, საბანკო სექტორი.

ძირითადი ტექსტი

დღეისათვის სრულიად ახალი მსოფლიო ვითარება ყალიბდება, რაც გულისხმობს გლობალური განცალკევებულობისადაჩაკეტილობისგაქრობასდაერთიანი,მთლიანიგლობალურითანამეგობრობის ჩამოყალიბების დაჩქარებას. მიუხედავად, სიმდიდრისა და სიღარიბის დაპირისპირების, პროგრესისა და ამავდროულად ჩამორჩენილობის პირობებში, თანამედროვე მსოფლიოს განვითარების წამყვან ტენდენციას მაინც ინტეგრაცია, თანამშრომლობა და გლობალიზაცია წარმოადგენს. მეცნიერები, ანალიტიკოსები და ექსპერტების უმრავლესობა ერთხმად აღიარებენ, რომ ახლო მომავალში მთელი მსოფლიო თანამეგობრობის განვითარების განმსაზღვრელი ტენდენცია სწორედ რომ გლობალიზაცია იქნება სახელმწიფოთა, სხვადასხვა ტიპის საერთაშორისო ორგანიზაციათა მჭიდრო თანამშრომლობის, მწვავე პრობლემების მოგვარების საქმეში.

გლობალიზაცია - მსოფლიო ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ინტეგრაციისა და უნიფიკაციის პროცესია. გლობალიზაცია თანამედროვე ტერმინია და ასახავს ცვლილებებს საზოგადოებასა და მსოფლიო ეკონომიკაში, რომელიც გამოწვეულია საერთაშორისო ვაჭრობისა და კულტურული გაცვლის ზრდით. გამოყოფენ გლობალიზაციის სხვადასხვა ასპექტს. თითოეული მათგანის გაშუქება უმნიშვნელოვანესია იმდენად, რამდენადაც დღევანდელ მსოფლიოში ადგილი აქვს უპრეცედენტო ინტეგრაციას, რასაც, რა თქმა უნდა, მოჰყვება თავისი თანმხლები შედეგები და წინააღმდეგობები. ტრადიციულად საუბრობენ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ გლობალიზაციაზე.

ჩვენი ქვეყანა მდებარეობს აზიისა და ევროპის გასაყარზე რის გამოც ის მუდამ ბრძოლებში იყო ჩართული, დღეს ის წარმოადგენს განვითარებად დემოკრატიულ სახელმწიფოს, რომელიც მიილტვის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისკენ და ეკონომიკურად გაძლიერებისკენ, ამისათვის მას სჭირდება ევროსივრცეში ინტეგრაცია და გლობალიზაციის გამოწვევებისადმი მდგრადობის შენარჩუნება, მითუმეტეს რომ გლობალიზაცია საქართველოსთვის დადებითი შედეგების მომტანია ვინაიდან საქართველოს სულ უფრო მეტი ბაზრის ათვისება შეუძლია სხვადასხვა ქვეყანაში.

საქართველოში კომერციული საბანკო საქმიანობის ისტორია მე-19 საუკუნის პირველი

ნახევარიდან იღებს სათავეს. თუმცა საბანკო მოდელის თანამედროვე მოდელთან ყველაზე ახლოს მდგომი ილია ჭავჭავაძის მიერ 1875 წელს დაარსებული „თბილისის საადგილმამულო ბანკი“ იყო, რომლის მუშაობის პრინციპი გულისხმობდა დიდგვარონების მიერ მიწების დაგირავებას, ხოლო გლეხებს ამ მიწების გამოსყიდვა შეეძლოთ, თუნდაც ამავე ბანკიდან აღებული სესხით. მოცემული ბანკი 1909 წლამდე არსებობდა. შემდგომი იყო საბჭოთა მმართველობის 70 წელი, სადაც არა მარტო ქართული ბანკები არ არსებობდა, არამედ ზოგადად კერძო საბანკო სისტემა არ იყო დაშვებული, ცნება „კომერციული“ ამ პერიოდისთვის ყველასთვის უცხოს წარმოადგენდა, რადგან არსებობდა მხოლოდ სახელმწიფო ბანკები, რომელთა ძირითად როლს ფულის შემანახველი სალაროს ფუნქცია წარმოადგენდა.

დღევანდელი თანამედროვე ქართული საბანკო სისტემა 1991 წელს თავიდან აღმოცენდა, კომერციული ბანკების დაარსება და განვითარება ქაოსურად დაიწყო, საბანკო ლიცენზიის მიღება პრობლემას არ წარმოადგენდა, არ რეგულირდებოდა საბანკო სისტება რაიმე კანონით, რის შედეგადაც ასობით ბანკი იხნებოდა და მალევე იხურებოდა, ბანკები წარმოადგენდნენ არასტაბილურ ორგანოს, რომლებიც მოსახლეობისგან იღებდნენ ფულს, შემდგომ წყვეტდნენ არსებობას და ბანკის მფლობელები ქვეყნიდან გარბოდნენ. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ კერძო საბანკო სისტემაში დაინერგა მოსახლეობასა და ბანკს შორის უნდობლობა, რასაც ამძაფრებდა საბჭოთა დროს შემნახველ სალაროებში შეტანილი ფულის დაკარგვა, რომელის დაბრუნებასაც მოსახლეობა დღემდე ითხოვს თუმცა ამაოდ.

მიუხედავად საბანკო სისტემაში მსგავსი სიტუაციისა, 90-იანი წლების კრიზისს რამდენიმე ბანკმა გაუძლო და თანამედროვე ბაზარზე არსებობენ როგორც დიდი და სანდო ბანკები. საბანკო სისტემის სერიოზული ჩამოყალიბება 1995 წლიდან იწყება როდესაც ეროვნულმა ბანკმა როგორც იქნა აიღო ბანკების რეგულირების ბერკეტები საკუთარ ხელში, გამოიცა „ორგანული კანონი ეროვნული ბანკის შესახებ“, რითაც სათავე დაედო გამართული ქართული საბანკო სისტემის ჩამოყალიბებას. ამას შედეგად მოჰყვა 1996 წელს საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“.

საქართველოს ეროვნული ბანკი არის უმაღლესი ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს ფასების სტაბილურობას, არეგულირებს საფინანსო სექტორს და გვევლინება, როგორც ბანკთა ბანკი. მას წლების მიხედვით აქვს გამოქვეყნებული ინფორმაცია საქართველოში მოქმედი ბანკების რაოდენობის შესახებ, ინფორმაცია საჯაროა და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია გადახედოს საბანკო სტატისტიკას. 1995 წელს საქართველოში მოქმედი 102 ბანკი, რაც იმ პერიოდისთვის ძალიან ბევრი იყო, თუმცა დროთა განმავლობაში მათ რიცხვი სწრაფად შემცირდა და დღეისთვის 2018 წელს ყველაზე მინიმუმს 16 ბანკს მიაღწია. ამის ფონზე იზრდება ბანკების ფილიალებისა და სერვისცენტრების რაოდენობა, უამრავი მომხმარებელი ინტერნეტბანკს, თვითმომსახურების ტერმინალებს და ბანკომატებს იყენებს, რის შედეგადაც სალაროები ჩარიცხვის აპარატებმა ჩაანაცვლა.

ქართული საბანკო სექტორის განვითარების შესაფასებლად ერთ-ერთი ყველაზე კარგი ინდიკატორი საბანკო აქტივების ცვლილების ტენდენციაა, ინფორმაციას 2004 წლიდან თუ გადავხედავთ, აღსანიშნავია რომ ბოლო 14 წლის განმავლობაში ძალიან დიდი პროგრესია მიღწეული, რაც გარკვეულწილად იმანაც განაპირობა, რომ 2004 წელს ბანკების ჯამური აქტივები 1,7 მილიარდი იყო, ხოლო 2018 წლის 1-ლი იანვრისთვის 34,6 მილიარდ ლარს ანუ 13,35 მილიარდ დოლარს მიაღწია. საქართველოში მოქმედი 16 ბანკიდან 15-ში უცხოური საწესდებო კაპიტალია ჩადებული. თუმცა საგულისხმოა რომ ბანკის მთლიანი აქტივების რაოდენობით ყველაზე დიდი წილით სს საქართველოს ბანკი და სს თიბისი ბანკი გამოირჩევა. მოცემული მონაცემები გვაძლევს საფუძველს რომ დავასკვნათ, ბანკების რაოდენობის კლების მიუხედავად საქართველოს საბანკო სექტორი იზრდება და მეტ როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკაში.

საბანკო სექტორის განვითარების აუცილებელი პირობა დეპოზიტების ზრდაა. ამ მხრივ ბოლო 22 წელიწადში მნიშვნელოვანი პროგრესი შეინიშნება. 1996 წელს ყველა ბანკში არსებული დეპოზიტი ერთად 56 მილიონი ლარი (მშპ-ის 1,5%) იყო, 2018 წლის თებერვლის მდგომარეობით კი 20 მილიარდი ლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ პირველად ისტორიაში 2018 წლის 1 იანვრიდან საქართველოს ეროვნული ბანკის ბრძანებით დაინერგა დეპოზიტების სავალდებულო დაზღვევა, რაც კიდევ ერთი

წინ გადადგმული ნაბიჯია. დეპოზიტების და საკრედიტო პორტფელის მსგავსად ჯამური აქტივების 60%-ზე მეტი წილი 2 კომერციულ ბანკზე მოდის.

ლოგიკურია, რომ დეპოზიტების ზრდას თან ახლავს ბანკების მიერ გაცემული სესხების ზრდა. 2003 წელს 746 მილიონი ლარის სესხი იყო გაცემული, 2018 წლის თებერვლისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის საკრედიტო დაბანდების მოცულობამ 22 მილიარდ ლარს მიაღწია, გაიზარდა ლარში დაკრედიტების მოცულობა გალარების პროგრამის ფარგლებში და შესაბამისად შემცირდა უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების წილი.

საბანკო აქტივების, დეპოზიტებისა და სესხების ზრდასთან ერთად იკლებს სესხის სარგებლის განაკვეთი. 1996 წელს კომერციული ბანკების სესხებზე საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი 61% იყო, 2018 წელს კი ეს მაჩვენებელი 9%-მდეა დასული. საპროცენტო განაკვეთი განსაკუთრებით სწრაფად 2006 წლამდე იკლებდა, 2007 წელს შეაფერხა მაღალმა ინფლაციამ, ხოლო 2008-2009 წლებში - მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა. 2012 წლიდან განაკვეთები ისევ კლების ტენდენციას დაუბრუნდა, რაც 2015 წლიდან ლარის საგრძნობი გაუფასურებით წარმოქმნილმა ფინანსური არასტაბილურობის რისკმა შეაჩერა. 2015 წლიდან მონეტარული პოლიტიკა მნიშნელოვნად გამკაცრდა, რაც პირდაპირ აისახება ლარში გაცემულ-გასაცემ სესხების საპროცენტო განაკვეთებზე. ბანკებს საკრედიტო რესურსი ძირითადად უცხოურ ვალუტაში აქვთ, რადგან უცხოური ვალუტა უფრო მყარია და ბევრად ურჩევნიათ დიდი მოცულობის სესხები ხუთი და მეტი წლის ვადით გასცენ.

ზოგადად ზემოთ აღნიშული საკითხებიდან შეგვიძლია შემდეგი დასკვნის გაკეთება: ბანკების რაოდენობის შემცირება, დეპოზიტებისა და სესხების ზრდა, რაც მთავარია საპროცენტო განაკვეთის შემცირება გვიჩვენებს, რომ საბანკო სექტორში კონკურენციისთვის გადამწყვეტი არა ბანკების რაოდენობა, არამედ არსებული ბანკების განვითარების დონე და მომსახურების ხარისხია, რაც მეტი კომერციული ბანკი იქნება საქართველოში უკეთესია, მაგრამ უნდა შენარჩუნდეს ის დიდი მიღწევა, რასაც საბანკო სექტორის სტაბილურობა ჰქვია. იყო და არის შემთხვევები რომ ზოგიერთი ბანკი გაიყიდა, ზოგიერთი უფრო დიდ ბანკს შეუერთდა, ზოგის ლიკვიდაცია მოხდა, მაგრამ ეს პროცესები ისე წარიმართა, რომ მეანაბრეები არ დაზარალებულან. სწორედ ეს არის მნიშვნელოვანი საბანკო სექტორისადმი ნდობის შენარჩუნებისა და კიდევ უფრო მეტი განვითარებისთვის.

ბოლო 20 წელზე მეტია აშკარა პროგრესი იკვეთება. ბანკები ერთის მხრივ, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას უწყობენ ხელს, მეორეს მხრივ, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი და ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობა უნდა იყოს ისეთი, რომ ბანკების გამსხვილებას, რაოდენობრივ ზრდასა და საპროცენტო განაკვეთების კლებას შეუწყოს ხელი. გლობალიზაციის პირობებში ბანკებისადმი მრავალი მოთხოვნაა, საჭიროა მათი თანამედროვე მსოფლიო ტენდენციებთან მიახლოება, რასაც ქართული საბანკო სისტემა წარმატებით ახორციელებს, ამას მოწმობს ის ფაქტიც რომ საქართველო რეგიონში გამოირჩევა მომსახურების მაღალი დონის საბანკო სისტემით. გლობალიზაციის მნიშვნელოვანი მაგალითია ქართული ბანკების მსოფლიო ბირჟაზე გასვლა, 2006 წლის 24 ნოემბერს „ბლუმბერგის“ სიაში პირველად გამოჩნდა სს საქართველოს ბანკი, რითაც საბანკო სექტორის ახალი უკვე ამჯერად მსოფლიო ისტორია დაიწყო.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. ცაავა, გ. ხანთაძე - «საბანკო საქმე» 2013წ.
2. გ. ცაავა საბანკო საქმე - ლექციების კურსი, თბილისი, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 2005წ.-663გვ.
3. გ. ცაავა გ. ხანთაძე – საბანკო საქმე (სახელმძღვანელო) თბილისი, გამომცემლობა ,,დანი” 2014, 600 გვ.
4. ანზორ აბრალავა - „ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია“, თბილისი, გამომცემლობა ინოვაცია, 2005წ-380გვ.
5. საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ გვერდი: www.nbg.gov.ge

Development of Georgian Banking System under Globalization

Tsaava Giorgi
Doctor of Economics
Professor of GTU

Bibiluri Ani
PhD of GTU

Summary

The goal of this study is to discuss the development and development of Georgian banking system in the conditions of globalization. The work deals with the history and perspectives of the Georgian banking sector, reflects the years of the Soviet period, issues of banks and important aspects that stimulate the banking system's stability. The banking sector deals with how the banking assets, changing rates, and the role of deposits in banking activities are changing and changing in the 90s period. The statistical data of the National Bank of Georgia reflects the sharp development of the last years in the banking sector where the level of competition has increased, despite the small number of banks. It is also important to allocate the factor that contributes to increasing the trust of the population towards banks. The role of globalization is important in the development of the Georgian banking system, since banks are obliged to take on the challenges of the modern market and develop trends in the world, as globalization is the driving force currently managed by the world.

Keywords: Globalization, Banking System, Banking Sector.

კაპიტალდაბანდების შეფასება გრძელვადიან აქტივებში ბუღალტრული უკუგების განაკვეთით

ხარხელაური ხათუნა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცურებული პროფესორი

გრიგალაშვილი ლევან
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

სტატიში განხილულია გრძელვადიან აქტივებში ინვესტიციის შეფასების ერთერთი ძირითადი მეთოდი. კონკრეტული მაგალითის განხილვით ნაჩვენებია, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ ბუღალტრული უკუგების განაკვეთი განსხვავებულ შემთხვევევებში. კერძოდ როდესაც ინვესტირების შედეგად მოსალოდნელია (1) ერთიდაიგივე წლიური წმინდა ფულადი ნაკადის შემოსვლა, (2) არაერთგვაროვანი წლიური წმინდა ფულადი ნაკადის შემოსვლა, (3) როდესაც კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს და (4) როდესაც კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის გაორმაგებულიკლებადი ნაშთის მეთოდს.

საკვანძო სიტყვები: *ARR; წმინდა ფულადი ნაკადი; საშუალო ინვესტიცია; საშუალო წმინდა წლიური ფულადი ნაკადი.*

ძირითადი ტექსტი

ბუღალტრული უკუგების განაკვეთი (Accounting Rate of Return ARR) ინვესტიციების ფინანსური ანალიზის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტატიკურ მაჩვენებელს წარმოადგნს ბუღალტრული უკუგების განაკვეთი. ეს მაჩვენებელი ასევე ცნობილია, როგორც „უკუგება საშუალო ინვესტიციაზე“ (Return on Average Investment).[1] ამ მაჩვენებლის გამოსათვლელად ვიყენებთ საშუალო წლიურ მოგებას დაბგვრის შემდეგ მოგება/ზარალის უწყისიდან ან ყოველწლიურ საშუალო წმინდა ფულად ნაკადს (ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისიდან) გამოკლებული ყოველწლიური ამორტიზაციის თანხა. ასევე ვიყენებთ საშუალო წლიურ ინვესტიციას.

$$ARR = \frac{\overline{(NP)_n}}{\frac{1}{2}(I_o + I_{end})}, \qquad \text{სადაც}$$

$\overline{(NP)_n}$ - არის მოცემულ პროექტიდან მიღებული საშუალო წლიური წმინდა მოგება (დაბეგვრის შემდეგ);

I_0 - ინვესტიციის საწყისი ღირებულება;

I_{end} - ინვესტიციის სალიკვიდაციო ღირებულება.

დავუშვათ კომპანია აპირებს შეიძინოს მანქანა-დანადგარი, რომელიც ღირს 95 000 ლარი, მისი ექსპლუატაციის ვადაა 10 წელი, ხოლო სალიკვიდაციო ღირებულებაა 15 000 ლარი. მანქანა-დანადგარის წარმოების სიმძლავრისა და გაყიდვების ბიუჯეტის მიხედვით მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ მანქანა-დანადგარზე წლიურად იწარმოება 1500 ერთეული პროდუქცია და გაიყიდება თთო 50 ლარად. საპროგნოზო მოგება/ზარალისა და ფულის მოძრაობის უწყისების (Cash Flows) ანალიზური ცხრილის მონაცემები შემდეგია:

[1] J. Wild “Managerial Accounting” p. 405

ცხრილი 1

სამრეწველო კომპანიის ფულადი ნაკადების მოძრაობის ანალიზური ცხრილი მანქანა დანადგარში ინვესტირების მოსალოდნელი შედეგები		
	მოსალოდნელი დარიცხული მაჩვენებლები	მოსალოდნელი წმინდა ფულადი ნაკადი
ახალი პროდუქციის წლიური გაყიდვები	75 000	75 000
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება (მასალების, შრომის, ზედნადები, გარდა ცვეთის ხარჯის)	(40 000)	(40 000)
მაანქანა-დანადგარის ცვეთა	(8 000)	
მარკეტინგისა და ადმინისტრაციის ხაჯები	(9 000)	(9 000)
მოგება დაბეგვრამდე	18 000	
მოგების გადასახადი 15%	(2 700)	(2 700)
წლიური წმინდა მოგება	15 300	
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადი		23 300

განსხვავება წლიურ წმინდა მოგებასა და საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულად ნაკადს შორის არის არაფულადი - ცვეთის ხარჯი, 8000 ლარი. როდესაც კომპანია მანქანა - დანადგარზე იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს, მაშინ ჩვენ მარტივად შეგვიძლია გამოვთვალოთ ARR. პირველ რიგში გამოვთვალოთ ინვესტიციის საშუალო ოდენობა, შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$\textit{საშუალო ინვესტიციისს ოდენობა}^{2} = \frac{\textit{საწყისი საბალანსო ღირებულება} + \textit{საბოლო საბალანსო ღირებულება}}{2} =$$

$$= \frac{95\,000 + 15\,000}{2} = 55\,000$$

ბუღალტრული უკუგების დასათვლელად ვიყენებთ ზემოთ მოყვანილი ცხრილებში ჩვენს მიერ გამოთვლილ მაჩვენებლებს. პირველი ცხრილიდან შეგვიძლია გამოვიყენოთ როგორც წლიური წმინდა მოგების მაჩვენებელი, ასევე საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული წმინდა ფულად ნაკადს - გამოკლებული ამორტიზაციის თანხა რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთი და იგივე სიდიდეა. მიღებულ სხვაობას შევაფარდებთ საშუალო ინვესტიციციასთან.

$$ARR = \frac{23\,300 - (95\,000 - 15\,000) \div 10}{55\,000} = \frac{15\,300}{55\,000} = 0{,}278$$

თუ, კომპანია ინვესტირების განხორციელების შედეგად, წლიურად არაერთგვაროვან წმინდა ფულადი ნაკადების მიღებას მოელის, მაშინ შეგვიძლია ბუღალტრული უკუგების გამოთვლისათვის გამოვიყენეოთ ამ მაჩვენებლების მარტივი საშუალო არითმეტიკული:

წლები	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
წლიური წმინდა ფულადი ნაკადი	15000	18000	18000	23502	23502	24000	24500	25000	23000	23000

$$ARR = \left[\frac{\sum_{1}^{10} CF}{10} - 8000 \right] \div 55000 = 0.25$$

როგორც უკვე ავღნიშნეთ, ბუღალტრული უკუგების განაკვეთის გამოთვლისას მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, კომპანია ცვეთის დარიცხვის რომელ მეთოდს იყენებს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრულ ერთ-ერთ მეთოდს

წარმოადგენს სწრაფი, ე.წ გაორმაგებული-კლებადი ნაშთის მეთოდით ცვეთის დარიცხვა. ამ მეთოდის გამოყენების შემთხვევაში კომპანიები ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის პირველ წლებში უფრო მეტ ცვეთის ხარჯების დარიცხვას ახდენენ, ვიდრე ექსპლუატაციის ვადის ბოლო წლებში. ამიტომ კომპანია თუ იყენებს ცვეთის დარიცხვის ამ მეთოდს, ARR-ის გამოთვლისას, ჩვენ ვერ შევძლებთ ზემოთ მოყვანილი სქემის გამოყენებას, კერძოდ საშუალო ინვესტიციის გამოთვლისას. ამ სიტუაციის საილუსტრაციოდ შეგვიძლია ჩვენს მიერ განხილულ მაგალითში შევცვალოთ ცვეთის დარიცხვის პირობა და ახლად შეძენილ მანქანა-დანადგარს ცვეთა დავარიცხოთ გაორმაგებული-კლებადი ნაშთის მეთოდით. წრფივი მეთოდით დარიცხული ცვეთა 8 000 ლარი, იყო ცვეთადი ღირებულების 10% (80 000 ლარის), ამიტომ გაორმაგებული ცვეთა იქნება 20%-იანი. ამ პირობის გათვალისწინებით პირველ რიგში უნდა გამოვთვალოთ მანქანა-დანადგარის წლიური საშუალო საბალანსო ღირებულება (1) და ინვესტიციის საშუალო ოდენობა.

ცხრილი 2

	საწყისი საბალანსო ღირებულება	წლიური ცვეთა	საბოლოო საბალანსო ღირებულება	საშუალო საბალანსო ღირებულება
1 წელი	95 000	95 000*20% =19 000	76 000	85 500
2 წელი	76 000	76 000*20% =15 200	60 800	68 400
3 წელი	60 800	60 800*20% =12 160	48 640	54 720
4 წელი	48 640	48 640*20% =9 728	38 912	43 776
5 წელი	38 912	38 912*20% =7 782	31 130	35 021
6 წელი	31 130	31 130*20% =6 226	24 904	28 017
7 წელი	24 904	24 904*20% =4 981	19 923	22 413
8 წელი	19 923	19 923*20% =3 985	15 938	17 931
9 წელი	15 938	938	15 000	7 734,6
10 წელი	15 000	0	15 000	7 500
ყველა წლისთვის				38 625

როგორც ცხრილშია ნაჩვენები ჯერ ვითვლით თითოეული წლისათვის საშუალო საბალანსო თირებულებას. მანქანა-დანადგარის საბალანსო ღირებულებას წლის დასაწყისში ვუმატებთ მანქანა დანადგარის საბალანსო ღირებულებას წლის ბოლოს და ვყოფთ ორზე. შემდეგ კი ამ მაჩვენებლების მიხედვით ვითვლით ამ **აქტივის საშუალო საბალანსო ღირებულებას მთელი საექსპლუატაციო ვადის განმავლობაში.** ჩვენ შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 38625 ლარია (386 250:10).

შემდეგ ეტაპზე უნდა დავთვალოთ მოსალოდნელი საშუალო წლიური წმინა მოგება, როდესაც მანქანა-დანადგარის ექსპლუატაციის წლებში სხვადასხვა ოდენობის წმინდა ფლადი ნაკადია მოსალოდნელი:

ცხრილი 3: საშუალო წლიური წმინდა შემოსავლის გამოთვლა დაბეგვრის შემდეგ

წლები	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
წლიური წმინდა ფულადი ნაკადი	15000	18000	18000	23502	23502	24000	24500	25000	23000	23000
ამორტიზაცია (წრფივი მეთოდით)	19000	15200	12160	9728	7782	6226	4981	3985	938	0
წლიური წმინდა მოგება დაბეგვრის შემდგ	-4000	2800	5840	13774	15720	17774	19519	21015	22062	23000

საშუალო წლიური წმინდა შემოსავალი დაბეგვრის შემდეგ არის:

$\overline{(NP)_n} = 13750,4$. ამრიგად, ბუღალტრული უკუგების განაკვეთი იქნება:

$$ARR = \frac{13\,750{,}4}{38\,625} = 0{,}355997 \text{ ანუ } \approx 35{,}6\%$$

ეს თანაფარდობა არსებითად წარმოადგენს ავანსირებული კაპიტალის რენტაბელობის კოეფიციენტის კერძო შემთხვევას. ინვესტიციების შეფასების სტატიკური მაჩვენებლების უპირატესობას წარმოადგენს გაანგარიშების სიმარტივე. იგი გასაგებია ყველა დონის მენეჯერისთვის და უზრუნველყოფს მნიშვნელოვან ჯამობრივ მაჩვენებელს - რამდენად სწრაფად იქნება ანაზღაურებული საწყისი დანახარჯები. მაგრამ ამ მაჩვენებლებში არ არის გათვალისწინებული ფულის ღირებულება დროში, ანუ დინამიკაში. მიტომ უწოდებენ ამ მეთოდებს სტატიკურს. ეს მათ ერთერთ ძირითად ხარვეზად ითვლება. ამ მეთოდის შეზღუდვაა ისიც, რომ იგი ეფუძნება საბალანსო ღირებულებას და არა საბაზრო ღირებულებას მომავალში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჭილაძე ი. - «ფინასური ანალიზი» თბ. 2011
2. ჯეიმს ს. ვან ჰორნი - «ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები» თბ. 2008
3. ენტონი ა. ატკინსონი და სხვ. -«მმართველობითი აღრიცხვა» თბ. 2009
4. «Cost Accounting: a Managerial Emohasis» - Charles T. Horngren., Srikant M. Datar., Madhav V. Rajan. 14th ed. Prentice Hall 2012.
5. «Manajerial Accounting» - John j. Wild., Kan W.SHaw. 3rd ed. McGraw-hill, Irwin 2012

Assessment of Capital Investment By The Accounting Rate of Return

Kharkhelauri Khatuna
Grigalashvili Levan

Summary

The article reviews one of the main evaluation methods of investment in long-term assets. Considering a particular example, we will show how to use the accounting rate of return in different cases. In particular, when the investment is expected (1) entering the same annual net cash flow, (2) aueven cash net flow, (3) when the company uses the straight-line depreciation method and (4) when the company uses the Accelerated depreciation method.

Key Words: ARR; Net cash flow, Average investment; Average net annual cash flow.

ინოვაციური პროდუქტების როლი სადაზღვევო ბაზრის განვითარებაში

ხუციშვილი მარინე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში წარმოებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური სისტემის გარდაქმნა. გარკვეული რეფორმები ტარდება აგრეთვე სახელმწიფო სადაზღვევო სისტემაშიც, რომელიც მიმართულია ჩვენი ქვეყნის სადაზღვევო საქმიანობის სოციალური მხარის გაფართოებაზე. დღეს საქართველოში მიმდინარეობს სადაზღვევო ბაზრის ფორმირება, მისი ჩამოყალიბება მყარ საკანონმდებლო საფუძველზე სადაზღვევო მომსახურების სფეროს გაფართოებისა და მისი ხარისხის ამაღლებისათვის, სათანადო პირობების შექმნა იმისათვის, რომ სადაზღვევო საქმიანობაში სწორად ჩატარდეს რეფორმები. ნაშრომის კვლევის მიზანია სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის პროდუქტის აუცილებლობის დადგენა, ქვეყნის სადაზღვევო ბაზრის და მოსახლეობის დაზღვევისადმი პასუხისმგებლობის განვითარებისათვის.

ნაშრომში შესწავლილ იქნა ორი ინოვაციური პროდუქტი ქართულ სადაზღვევო ბაზარზე, ესენია ავტომფლობელის მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობის (MTPL) სავალდებულო დაზღვევა; საქართველოს ტერიტორიაზე მოძრავი უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა და მესამე პირის მიმართ სამოქალაქო პასუხისმგებლობის (GTPL) სავალდებულო დაზღვევა; გაანალიზებულ იქნა აღნიშნული პროდუქტების მნიშვნელობა ქვეყნისა და მოსახლეობისათვის და ზოგადად საქართველოს სადაზღვევო ბაზრის განვითარებისათვის.

საკითხების გაანალიზებამ და ახალი ინოვაციური პროდუქტების დანერგვამ შესაძლებლობა მოგვცა გაგვეანალიზებინა საქართველოს სადაზღვევო ბაზრის პრობლემები და სახელმწიფოს ჩართულობის მნიშვნელობა.

ამგვარად, სავალდებულო დაზღვევის დანერგვა სახელმწიფოს მხრიდან მომავალში უზრუნველყოფს მოსახლეობის მიერ დაზღვევის აუცილებლობის და სარგებლიანობის აღიარებას, რაც თავის მხრივ გამოიწვევს ქვეყნის სადაზღვევო ბაზრის ზრდას და შესაბამისად უცხოური სადაზღვევო კომპანიების შემოსვლას საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე და ინვესტიეციების ზრდას.

საკვანძო სიტყვები: *სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა, სავალდებულო დაზღვევა, ინოვაციური პროდუქტი, სადაზღვევო ბაზარი, სახელმწიფოს ჩართულობა.*

ძირითადი ტექსტი

წარსულში, როდესაც საბჭოთა ხალხი ცხოვრობდა თავისი ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური არსებით საერთო - სახალხო საკუთრების ფორმისწარმოებითი ურთიერთობების საზოგადოებაში, დარჩა სადაზღვევო კულტურის გარეშე. რაკი სახელმწიფო თავისთავზე იღებდა ყველაფერზე პასუხისმგებლობას, დაზღვევას ადამიანთა ცხოვრებაში უმნიშვნელო ადგილი ეკავა. ამჟამად, როცა დაიშალა და დაინგრა უზარმაზარი ეკონომიკური პოტენციალის მქონე სახელმწიფო და მისი ნანგრევების ბაზაზე შეიქმნა დამოუკიდებელი სახელმწიფოები, რომლებიც ეკონომიკის მშენებლობის სულ სხვა ურთიერთობებს ახორციელებენ, მწვავედ იჩინა თავი ყველა იმ პროცესმა, რომელიც იგნორირებული, ან სუსტად განვითარებული იყო სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში. ერთ - ერთი ასეთი მწვავე პრობლემა არის დაზღვევის საქმის ორგანიზაცია, რთული სადაზღვევო ეკონომიკის განვითარების აუცილებლობა, რომლის გარეშე წარმოუდგენელია საბაზრო ურთიერთობის განვითარება.

როგორც ვიცით, დაზღვევა ეკონომიკური დაცვის მნიშვნელოვანი ღონისძიებაა, იგი მიზან-მიმართული ზრუნვაა ადამიანთა სოციალურ დაცვაზე, ეკონომიკურ უზრუნველყოფაზე.

თანამედროვე პირობებში და შემდგომ პერსპექტივაშიც საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირება წარმოუდგენელია დაზღვევის გარეშე. დაზღვევა არის ეკონომიკის ის სფერო, რომელიც დღევანდელ კატაკლიზმებით სავსე ცხოვრებაში დაგვიცავს მრავალი მოულედნელობისაგან.

საქართველოში მიმდინარე სადაზღვევო რეფორმის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ქვეყანაში სოციალური გარანტიების ალტერნატიული და ქმედითი მექანიზმების ჩამოყალიბება. შესაბამისად, სავალდებულო დაზღვევის სახეობა, როგორც ალტერნატიული სოციალურ-ეკონომიკური ბერკეტი, ქვეყნის სოციალურ პოლიტიკას მნიშვნელოვნად აძლიერებს, საზოგადოებისთვის კი ალტერნატიული გარანტიებისა და სოციალური უზრუნველყოფის მოქნილ სისტემას ქმნის.

გამომდინარე იქედან, რომ საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების მიხედვით, საფინანსო სფეროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად დაზღვევა განისაზღვრა, მნიშვნელოვანი გახდა სახელმწიფოს ჩართულობა დაზღვევის სფეროს განვითარებაში, მათ შორის სავალდებულო დაზღვევის მექანიზმების შემუშავებაში.

საერთაშორისო პრაქტიკაში, სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა, სავალდებულო დაზღვევის ერთ-ერთი წამყვანი სახეობაა, შესაბამისად ევროდირექტივების მოთხოვნებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის სტანდარტების შემუშავება და ამოქმედება, რომელმაც ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის მიერ, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად დაზარალებული ანუ მესამე პირის წინაშე წარმოშობილი ვალდებულებები უნდა დაარეგულიროს.

ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა ეკონომიკის და სადაზღვევო სფეროს განვითარების ერთ-ერთი სეროზული კომპონენტია, რაც ხელს უწყობს საზოგადოებაში სოციალურ-ეკონომიკურ სტაბილურობას, ცივილურად აგვარებს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევით წარმოწმნილ დავებსა და პრობლემებს. სწორედ სავალდებულო დაზღვევა, ერთი მხრივ, ქმნის მატერიალურ გარანტიას მძღოლისთვის, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოფს ზიანის ანაზღაურების გარანტიას დაზარალებულისათვის.

2018 წლის 1 მარტიდან სავალდებულო გახდა **საქართველოს ტერიტორიაზე მოძრავი უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზღვევა.** აღნიშნული კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა, ხოლო ავტორი სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური“.

ზემოხსენებული კანონპროექტის თანახმად, უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისას, ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელი/მძღოლი ვალდებულია დააზღვიოს თავისი სამოქალაქო პასუხისმგებლობა მის მფლობელობაში არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე საქართველოს ტერიტორიაზე მისი ყოფნის სრული პერიოდით.

სავალდებულო დაზღვევით ანაზღაურდება ამ ავტოსატრანსპორტო საშუალების მონაწილეობით და მისგან გამომდინარე დამდგარი სადაზღვევო შემთხვევის შედეგად გამოწვეული ზიანი.

უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისას ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელს/მძღოლს სასაზღვრო გამტარ პუნქტში განემარტება სავალდებულო დაზღვევის შეძენის ვალდებულება, რადგანაც აღნიშნული დაზღვევის გარეშე საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილების შემთხვევაში, აღნიშნული პირი პასუხს აგებს ადმინისტრაციული წესით.

აღნიშნული დაზღვევის სახეობის ფარგლებში ანაზღაურდება მესამე პირის ქონებაზე და ჯანმრთელობაზე მიყენებული ზიანი, მათ შორის:

1. დაზარალებულის სიცოცხლეზე და ჯანმრთელობაზე მიყენებული ზიანი;
2. დაზარალებულის ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზიანება ან განადგურება;
3. გზის საფარის, გზის კონსტრუქციული ელემენტის, შენობის ან/და ნაგებობის დაზიანება ან განადგურება;
4. დაზარალებულის პირადი ნივთისა და სხვა უძრავი ან მოძრავი ქონების დაზიანება ან განადგურება.

ამავე დროს, 2018 წლის ბოლოსთვის სავალდებულო გახდება, საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული ყველა ტიპის ავტომობილებისათვის, **MTPL-ის (Motor Third Party Liability Insurance) - ავტომფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა.** ამ კანონპროექტის მიზანია, დააზღვიოს საქართველოს მოქალაქეების სიცოცხლე, ჯანმრთელობა და ქონება ზიანისგან, რომლიც შესაძლოა, მათ მიაყენოს საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული ავტომობილის მძღოლმა.

დაზღვევა სავალდებულო უნდა გახდეს საქართველოში რეგისტრირებული ავტომფლობელებისთვისაც, რასაც ასოცირების ხელშეკრულება გვავალდებულებს. იმ ფონზე, რომ საქართველოში დაზღვევა ზოგადად არ არის პოპულარული, და ავტომფლობელთა მხოლოდ მცირე ნაწილს (5%-მდე) აქვს პასუხისმგებლობა დაზღვეული, დაზღვევის "სავალდებულობა" ერთის მხრივ, სადაზღვევო ბაზარს უფრო მიმზიდველს გახდის ინვესტორებისთვის, ხოლო მეორე მხრივ, საქართველოს მოქალაქეები უფრო დაცულები იქნებიან.

ასოცირების შეთანხმება გვავალდებულებს 2009 წლის 16 სექტემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009/103/EC) დირექტივის შესრულებას. იგი ეხება ავტოსატრანსპორტო საშუალების გამოყენებისას სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევას. შეთანხმებაში აღნიშნულია, რომ კონცეფცია, საქართველოში ადგილობრივი, შიდა ბაზრის განვითარების გათვალისწინებით უნდა შემუშავდეს და ასოცირების საბჭოს წარედგინოს 2019 წელს. ასოცირების შეთანხმებაში აღნიშნულია, რომ მეორე 2009/138/EC დირექტივის დებულებები, "სადაზღვევო ბიზნესის დაწყებისა და ფუნქციონირების შესახებ" ასოცირების შეთანხმების ძალაში შესვლიდან ექვსი წლის ვადაში უნდა შესრულდეს.

რაც შეეხება ზემოხსენებულ მეორე დირექტივას, რომელიც Solvency II-ის სახელით არის ცნობილი, სულამანიძის განმარტებით Solvency I (Solvency II-ის წინა დირექტივა, რომელიც ევროკავშირში მოქმედებდა 2016 წლის 1 იანვრამდე) უკვე დანერგილია და სადაზღვევო კომპანიები უკვე გადავიდნენ ახალ სტანდარტზე, ისინი ანგარიშსწორებასა და რეპორტინგს ახორციელებენ ამ დირექტივის შესაბამისად. 2016 წლის 1 იანვრიდან ევროკავშირი გადავიდა Solvency II-ზე, რომელიც საქართველოს კანონმდებლობაში 2020 წელს უნდა აისახოს. მისი მთავარი მოთხოვნაა სადაზღვევო კომპანიებს ჰქონდეთ საკმარისი ფინანსური რესურსები და მყარი გარანტიები. იგი ასევე ადგენს მართვისა და ზედამხედველობის წესებს.

"სადაზღვევოკომპანიებმაუნდაშემოიტანონადეკვატურიდაგამჭირვალემმართველობისსისტემა პასუხისმგებლობების ზუსტი განაწილებით. მათ უნდა ჰქონდეთ შესაბამისი ადმინისტრაციული რესურსები იმისათვის, რომ უზრუნველყონ რისკების მართვა, კანონმდებლობასთან თავსებადობა და შიდა აუდიტი"- აღნიშნულია დირექტივაში.

ასევე, 2018 წლის 1 მარტიდან ბაზარზე სავალდებულო გახდა **მესამე პირის მიმართ სამოქალაქო პასუხისმგებლობის (GTPL) სავალდებულო დაზღვევა.** ამის შესახებ პრემიერმინისტრმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა. გიორგი კვირიკაშვილის თქმით, მთავრობას ამ ნაბიჯის გადადგმისკენ ბოლო პერიოდში მომხდარმა ხანძრის შემთხვევებმა უბიძგა. სახელმწიფო შეადგენს ამ ობიექტების ნუსხას, რის შემდეგაც მათ დაზღვევის ვალდებულება გაუჩნდებათ.

მესამე პირის მიმართ სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის ფარგლებში სადაზღვევო კომპანია აუნაზღაურებს დამზღვევს ყველა იმ მართლზომიერ ხარჯს, რომელიც მას სამართლებრივად დაეკისრება მესამე პირთა სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქონებისათვის მიყენებული ზიანისათვის და რომელიც დადგება დაზღვევის პერიოდის განმავლობაში, დამზღვევის საქმიანობის განხორციელებისას, დაზღვევის ტერიტორიაზე.

2017 წლის 28 დეკემბერს ძალაში შევიდა მთავრობის დადგენილება მასობრივი თავშეყრის ობიექტების განსაზღვრისა და მათი მფლობელების მიერ მესამე პირის წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის წესისა და პირობების დადგენის შესახებ.

აღნიშნული კანონის თანახმად, მასობრივი თავშეყრის ობიექტებებად განისაზღვრება:

- სავაჭრო ცენტრი;
- ბაზრობა;
- ავტოგასამართი ან/და აირგასამართი სადგური;
- სასტუმრო.

პასუხისმგებლობის დაზღვევა აქტუალურია გამომდინარე იქედან, რომ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ან სავალდებულოა ამ ტიპის დაზღვევა ან მოსახლეობის მოცვა იმდენად მაღალია, რომ არ საჭიროებს სავალდებულობას. განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში სადაც სადაზღვევო კულტურა მაღალია შესაძლოა აღნიშნული პროდუქტი არ იყოს კანონით სავალდებულო. მაგალითად ავსტრალიაში არ არის კანონით სავალდებულო თუმცა, ავტომფლობელთა 90%-ზე მეტს აქვს MT-PL-ის დაზღვევა შეძენილი.

ამგვარად, პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შემოღება სახელმწიფოს მხრიდან მნიშვნელოვანია როგორც სოციალური მიზნებისთვის, ისე სადაზღვევო ბაზრის განვითარებისათვის. ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები იქნებიან უფრო დაცულები და აღმოიფხვრება მთელი რიგი პრობლემები, რაც ზარალის ანაზღაურებასთან არის დაკავშირებული. აქ მნიშვნელოვანია, რომ ანაზღაურების ლიმიტები იყოს სწორად შერჩეული და განსაზღვრული თითოეული რისკის (ჯანმრთელობის, სიცოცხლის და ქონების დაზიანება) შემთხვევაში. გარდა ამისა, გაიზრდება სადაზღვევო მოცვა და გაზრდილი ბაზრით უცხოური სადაზღვევო კომპანიები მეტად დაინტერესდებიან. ბუნებრივია, სადაზღვევო ბაზრის განვითარების კვალდაკვალ გაიზრდება მინიმალური კაპიტალის მოთხოვნები, რისი შესრულებაც აგრეთვე ასოცირების შეთანხმების ნაწილია და შესაბამისად გულისხმობს სადაზღვევო სექტორის მეტ სტაბილურობასა და მყარ გარანტიებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს მთავრობის დადგენილება №579 მასობრივი თავშეყრის ობიექტების განსაზღვრისა და მათი მფლობელების მიერ მესამე პირის წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის წესისა და პირობების დადგენის შესახებ;
2. საქართველოს კანონი საქართველოს ტერიტორიაზე მოძრავი უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ;
3. www.insurance.gov.ge;
4. European Insurance in Figures. Complete Data, 1998, - 2001;
5. Шахов В.В. Страхование: Учебник для вузов. М.: Юнити, 2003;
6. Юлдашев Р.Т. Страховой бизнес. Словарь-справочник. М.: Анкил, 2005;
7. INSURANCE IN DEVELOPING COUNTRIES: EXPLORING OPPORTUNITIES IN MICROINSURANCE, microinsurance centre, “LLOYD’S” 2007.

The role of innovative products in the development of insurance market

khutsishvili Mariam

Summary

6.1.1 Male	*6.1.2 Female*	*6.2.1 Male*	*6.2.2 Female*	*6.3.1 Male*	*6.3.2 Female*	*6.3.1 Male*	*6.3.2 Female*
4	2	1	2	10	0		

This section is to record the total number of male and female persons employed by the fish farm full time (6.1), part time (6.2), seasonally (6.3) or/and casually/occasionally (6.4).

7th Section: Fish produced and sold. This is the section in which produced and sold fish and aquaculture products are recorded. In five subsections the different groups of fish species are listed while in the last sixth sub-section (7.6) the total quantity of produced crayfishes, shrimps, mollusks and mussels can be recoded.

Please note that there are two different types of headers in this section, which are shown below.

		Production sold fish								
FAO code	Fish species	Advanced fry	One summer and one year old fish		Two summer and two year old fish		Table fish		Brood fish	
		In l'000	In l'000	kg	In l'000	kg	In l'000	kg	No.	kg

The above type of header reflects the steps (1st year and 2nd year) of most widely followed fish production technology while the below one showstwo options; either "Fingerling" or "Grower", which two

categories fits well to those fish species listed below this header.

		Production sold fish								
FAO code	Fish species	Advanced fry	Fingerling		Grower		Table fish		Brood fish	
		In 1'000	In 1'000	kg	In 1'000	kg	In 1'000	kg	No.	

7.1 Cyprinids

In this table the number and total weight of the different age groups of below listed species and groups of fishes marked with NEI (Not Elsewhere Indicated) should be noted. English name: Common carp, Silver carp, Bighead carp, Hybrid of bighead/s. carps, Grass carp, Black carp, Tench, Crucian carp, Carassius NEI, Freshwater breams NEI, Cyprinids NEI.

7.2 Predators. In this table the number and total weight of the different age groups of below listed species and groups of fishes marked with NEI should be noted. English name: Northern pike, Pike-perch, European catfish, Largemouth black bass, Buffalo fishes NEI, Channel catfish, North African catfish, European seabass, Gilthead seabream.

7.3 Salmonids. In this table the number and total weight of the different age groups of below listed species and groups of fishes marked with NEI should be noted. English name: Whitefishes NEI, Rainbow trout, Trout NEI, Huchen, Brook trout, Chars NEI.

7.4 Acipenseriformes. In this table the number and total weight of the different age groups of below listed species and groups of fishes marked with NEI should be noted. English name: Siberian sturgeon, Danube sturgeon, Starry sturgeon, Beluga, Sturgeons NEI, Mississippi paddlefish, Hybrid of sturgeons.

7.5 Other fish species. In this table the number and total weight of the different age groups of below listed species and groups of fishes marked with NEI should be noted. English name: Flatfishes NEI, Mullets NEI, Turbots NEI, Tilapias NEI, Grayling, Eels NEI.

7.6 Crayfishes, shrimps, mollusks and mussels. In this table the total weight of the four below listed groups of species marked with NEI should be noted. English name: Crayfish NEI, Caridina shrimps NEI, Mollusks NEI, Mussels NEI.

8th Section: Fish hatchery. This section is for recording the main physical and production parameters of the fish hatchery.

8.1 Hatchery area and devices. In the tables of this section the different physical parameters of the hatchery and its devices can be recorded.

8.1 Hatchery area and devices	No.	Total area (m^2)		No.	Total volume (m^3)		No.	Total volume (m^3)
8.1.1 Hatchery area(covered):		130	*8.1.5 Zuger jars 8 – 10 l:*	20	160	*8.1.9 Tanks below 0.25 m^3:*		
8.1.2 Hatchery area (open):		110	*8.1.6 Larvae jar 50 – 100 l:*	4	200	*8.1.10 Tanks 0.25 – 0.5 m^3:*		
8.1.3 Hatchery trays:			*8.1.7 Jars above 100 l:*	8	1 280	*8.1.11 Tanks 0.5 – 1 m^3:*		
8.1.4 Hatchery troughs:	10	1 200	*8.1.8 Jars above 200 l:*			*8.1.12Tanks larger than 1 m^3:*	4	10

8.2Produced eggs and feeding larvae. In the table of this section the total production of sold eggs or/and feeding larvae should be recorded.

Thereby the main imperfection is the absence of one coordinating department or sector in The State Agency of Fisheries of Ukraine. Today statistics is collected by 5 structural divisions. There aren't central working and generalization data. But we do not have one statistical institutional governmental department in the State Agency of Fisheries of Ukraine. There is no state financial support for collection of that data.

Proposal: To consider establishment of the central coordinating department (sector) of fisheries statistics based on the State Agency of Fisheries of Ukraine.

At that time some data does not come to the State Statistics Service of Ukraine and to the State Agency of Fisheries of Ukraine.

No reporting by natural individuals/entrepreneurs (fishery and aquaculture enterprises) does not

have any negative consequences for the business of producers (fines, subtraction of permissions, licenses, etc.).

Proposal:

A) First of all, to consider the introduction of licenses in the fisheries sector of Ukraine. For example, analysis of aquaculture practices in the countries (top ten of leading aquaculture producers, including Brazil, Chile, Greece, Norway, India, Thailand and Turkey), shows that the majority of countries have a valid licensing system for aquaculture. When Ukraine will use the licensing system for granting rights, regulation and management of activities, as well as for the exclusive right to use the water bodies and land located below it, then the process of obtaining and processing of statistical data will be directly improved.

B) To work out the responsibility of business entities for not submitting statistics, falsifying data, etc., and to introduce relevant provisions in the legislation. It needs editing to Article 14 of the Law of Ukraine «On Aquaculture» of September 18, 2012 № 5293-VI.

Article 14. Features of the conditions of aquaculture and the provision of a fishery water bodies (its part), the fishing technological reservoir, the aquatoria (water area) of inland sea waters, the territorial sea, as well as the aquatoria (water area) of the exclusive (marine) economic zone of Ukraine for using on lease for aquaculture purposes. Article 14 must be updated with the Paragraph 10 of the following content: "10. The ground for termination of the lease agreement of the fishery water bodies (its part), the fishery technological water body, aquatoria (water area) of inland sea waters, territorial sea, as well as the aquatoria (water area) of the exclusive (marine) economic zone of Ukraine is the non-submission by the subject aquaculture of reporting information on volumes of production of aquaculture products in accordance with this law".

References:

1. Gechbaia B. N., Xaraishvili E. D., Vdovenko N. M. Methodological approaches in organization of national system of fishery statistics in Estonia. Економіка, фінанси і управління в XXI столітті: аналіз тенденцій та перспективи розвитку: матеріали III міжнародної науково-практичної конференції (Київ- Буковель, 19–22 березня 2018 р.). 2018. 174 с.
2. Bohach L. V., Vdovenko N. M. Scientific substantiation of the reduction of import dependence in the markets of agricultural products. Науковий вісник Полісся. 2017. № 2 (10). С. 13-17.
3. Vdovenko N. M., Korobova N. M. Methods of state regulation of agricultural sector in terms of the orientation of the economy to safety and quality standards. Wspolraca Europejska. 2015. № 3 (3). Vol. 3. С. 68–80.
4. Vdovenko N. M., Sokol L. M. Applied basis of fish policy effect to public food providing. Науковий Вісник Полісся. 2017. № 1 (9). Ч. 2. С. 202–207.
5. Vdovenko N. M. Mechanisms of regulatory policy application in agriculture. Economic Annals-XXI. 2015. № 5–6. С. 53–56.
6. Guido Turnip (2017). Identification of Small Open Economy SVARs via Markov-Switching Heteroskedasticity. Economic record. Version of Record online: 14 JUN 2017 DOI: 10.1111/1475-4932.12345.
7. Brendan Guy (2014). Re-conceptualising Commitments to Sustainable Development in the 21st Century – Nurturing Action and Accountability in the Networked World. Natural Resources Defense Council, New York. The Economic and Social Review, Vol. 45, No. 2, Summer, pp. 223–244.

საქართველოს საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო სტანდარტებთან თავსებადობის მოკლე ანალიზი

გითოლენდია ბორის
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

ნაშრომში **განხილულია საქართველოს საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტისა და მასთან დაკავშირებული ძირითადი ინფრასტრუქტურის ევროპულ (საერთაშორისო) სტანდარტებთან შესაბამისობის პრობლემური საკითხები და გამოწვევები;** წარმოდგენილია ინფორმაცია **ამ მიმართულებით საქართველოში** არსებული მდგომარეობის შესახებ; გაანალიზებულია ძირითადი დირექტივები და რეკომენდაციები, რომლებიც გათვალისწინებულია **საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების ტრანსპორტის საკითხებთან დაკავშირებულ** მე-6 ქვეთავში და ეხება **საავტომობილო ტრანსპორტს**. სტატია მომზადებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ახალგაზრდა მეცნიერთა გრანტის (N YS-2016-41 - საქართველოს სატრანსპორტო სექტორის, ევროპულ სისტემებთან ურთიერთთავსებადობის და ინტერმოდალურობის პრობლემის ანალიზი) საფუძველზე.

საკვანძო სიტყვები: *საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტი, საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, პორტები, აეროპორტები, ტრანსპორტის ევროპული სტანდარტები.*

ძირითადი ტექსტი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პოსტსოციალისტური ქვეყნების ტრანსფორმაცია განსხვავებული ტრაექტორიით წარიმართა. მსგავსი სასტარტო პირობებიდან ამ ქვეყნებმა, სხვადასხვა გარე და შიდა ფაქტორის ზეგავლენით, განვითარების განსხვავებულ დონეს მიაღწიეს. საქართველოში ეკონომიკური განვითარება დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან საკმაოდ რთული გზით წარიმართა. საქართველოსთვის 1990-იანი წლები იყო ყველაზე რთული პერიოდი. იგი დაიწყო ეთნოკონფლიქტებითა და სამოქალაქო დაპირისპირებით. საბჭოთა კავშირის დაშლის პირველ წლებში, სხვადასხვა ეკონომიკური და პოლიტიკური მიზეზების გამო, ქართული ეკონომიკა მკვეთრად დაეცა. ეკონომიკური ვითარება და ზოგადი ფონი მნიშვნელოვნად გაუარესედა ბევრ პოსტსოციალისტურ და პოსტსაბჭოთა სახელმწიფოსთან შედარებით. საერთოდ პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებიდან საქართველოში, ფაქტობრივად, ყველაზე გვიან – 1995 წლიდან დაიწყო მშვიდობიანი სახელმწიფოებრივი მშენებლობა და ეკონომიკის ტრანსფორმაცია. 1994-1998 წლებში გატარდა რიგი რეფორმები ეკონომიკის სტაბილიზაციისა და ლიბერალიზაციის მიმართულებით, თუმცა, მიუხედავად ამისა, საქართველოს განვითარების დონე არასაკმარისი აღმოჩნდა სოციალური და ეკონომიკური წინსვლისათვის. საქართველოს ჰქონდა ის ფუნდამენტური პრობლემები, რაც ახასიათებს ტიპურ დაბალგანვითარებულ ეკონომიკას.

სიტუაცია მნიშვნელოვნად შეიცვალა მას შემდეგ, როცა ქვეყანამ საბოლოოდ აირჩია პროდასავლური, საბაზრო ეკონომიკასა და დემოკრატიულ ფასეულობებზე ორიენტებული განვითარების გზა. მაშინდელმა ხელისუფლებამ გააკეთა გარკვეული აქცენტები, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკურ, ინსტიტუციურ, სოციალურ და პოლიტიკურ განვითარებას მოიცავდა. 2004 წლიდან გარკვეული ეფექტური ცვლილებები განხორციელდა საჯარო ადმინისტრაციულ სტრუქტურებში. ეს იყო სტრუქტურული, საკადრო, ორგანიზაციული და ტექნოლოგიური ხასიათის ცვლილებები. შესაბამისად, დაიძლია ქაოტურობა ამ სტრუქტურებში, გაიზარდა ორგანიზაციული მდგრადობის და ქმედითობის ხარისხი, მკვეთრად შემცირდა კორუფციის მასშტაბი, დამყარდა ფისკალური დისციპლინა, გაუმჯობესდა საჯარო სერვისების მიწოდების ხარისხი და მექანიზმები, მოხდა კრიმინალის მკვეთრი შემცირება, ყურადღება გამახვილდა სტრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზეც, ხელისუფლებამ დაიწყო ცალკეული სექტორული რეფორმები და ა.შ. მიუხედავად აშკარა პროგრესისა და თვალშისაცემი ეკონომიკური ზრდისა, საბოლოოდ, მთლიანობაში ვერ

იქნა მიღწეული გარდატეხა ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით. ეკონომიკური ზრდა გადამწყვეტი დოზით ვერ აისახა დასაქმებაზე, ეკონომიკის ახალი სექტორ(ებ)ის წარმოჩენაზე და ტრადიციული სექტორების განვითარებაზე.

2012 წლის ბოლოს, საპარლამენტო არჩევნების შედეგად, ახალი ხელისუფლების არჩევას მოჰყვა სახელმწიფო პოლიტიკის მნიშვნელოვანი კორექტირება საერთო და კონკრეტულ სექტორებთან მიმართებით; დაიწყო ახალი პოლიტიკის შემუშავება როგორც რეგიონული და ადგილობრივი განვითარების, ასევე ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ახალი ეროვნული პლატფორმის შემუშავების თვალსაზრისით. სამწუხაროდ, მთავრობის შეცვლის შემდეგაც, ჯერჯერობით ვერ ხერხდება ძირეული ეკონომიკური ცვლილებები. ამჟამინდელი მთავრობის ეკონომიკური ზრდის უკანასკნელი პროგნოზების გათვალისწინებით, 2018 წლის მშპ–ს მოსალოდნელი რეალური ზრდა დაახლოებით 4,5% იქნება.[1]

საქართველოს სატრანზიტო პოტენციალი რჩება ახალი ხელისუფლების პრიორიტეტად და გამოცხადებულია, როგორც ეკონომიკური ზრდისა და დასაქმების ძირითადი საფუძველი. პრიორიტეტულობა გულისხმობს, რომ საქართველოს მთავრობა, ევროპული ინტეგრაციის და ქვეყანაში ცხოვრების დონის გაუმჯობესების მიზნით, ხელს შეუწყობს საკვანძო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის, მრავალფუნქციური დერეფნისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებას და გაზრდის მასზე ხელმისაწვდომობის შესაძლებლობებს, მათ შორის ტრანსპორტის საზღვაო და საჰაერო მიმართულებებით.

საქართველოს საზღვაო პორტების სისტემა დღეისათვის წარმოდგენილი ორი მსხვილი - ბათუმის და ფოთის პორტებით, აგრეთვე სუფსისა და ყულევის შედარებით მცირე ნავთობტერმინალებით, ისინი ძირითადად აკმაყოფილებს საქართველოს სატრანზიტო და ადგილობრივი ტვირთების მიღებისა და გადამუშავების ამოცანებს (ანაკლიის პორტის პროექტი ამ ნაშრომში განხილული არაა).

დღეისათვის საქართველოს ნავსადგურები წარმოადგენენ ერთგვარ შემაერთებელ სატრანსპორტო ხაზებს, რომელიც აერთებს ევროპას აზიასთან და პირიქით. ისინი უკავშირდებიან ილჩევსკის (უკრაინა), ვარნის (ბულგარეთი) და კავკასიის (რუსეთი) პორტებს პირდაპირი საბორნე სარკინიგზო ხაზით და ნოვოსიბირსკის (რუსეთი), ბურგასის (ბულგარეთი) და რიზეს (თურქეთი) პორტებს პირდაპირი საავტომობილო საბორნე გადასასვლელებით, ნავსადგურები უკავშირდება კავკასიის, ცენტრალური აზიის, რუსეთისა და თურქეთის ქვეყნებს საავტომობილო და სარკინიგზო გზებით და აგრეთვე გამოიყენება როგორც მთავარი სატრანზიტო ნავსადგურები ყაზახეთისა და აზერბაიჯანის ნავთობის გადასამუშავებლად.

დღეს ნავსადგურები აღჭურვილია ყოველგვარი თანამედროვე ტექნიკით და შეესაბამება ევროპის სტანდარტებს. ფუნქციონირებს ღია და დახურული სასაწყობე მეურნეობები, საავტომობილო და სარკინიგზო მიმოსვლის გზები, გამანაწილებელი ქვესადგური და სხვა ინფრასტრუქტურული დამხმარე ნაგებობები. ნავსადგურებს გააჩნია შესაძლებლობა დააკმაყოფილოს კლიენტების მოთხოვნები სხვადასხვა გემებთან (თუმცა არა ღრმა წყალწვის), ტვირთებთან და მგზავრებთან მიმართებაში. ნავსადგურებს გააჩნია ნავთობის, მშრალი ტვირთის, საკონტეინერო, და სამგზავრო ტერმინალები, სარკინიგზო-საბორნე გადასასვლელები. ტერმინალები აღჭურვილია სათანადო ტქნიკითა და სიმძლავრეებით.

პორტები ფლობენ სხვადასხვა საერთაშორისო სტანდარტებისა და ნორმების შესაბამისად გაცემულ სერთიფიკატებსა და ლიცენზიებს, მაგალითად: BUREAU VERITAS QUALITY INTERNATION-AL (ლონდონი) ISO 9002-1994 და ISO 9001-2000 საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისობის ხარისხის სერტიფიკატი; ახალი ვერსიის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისობის „ხარისხის მართვის სერტიფიკატი ISO 9001:2000“; საქართველოს საზღვაო კოდექსის შესაბამისი სერტიფიკატი №06.438026 და სხვა. სტანდარტებს გააჩნია მნიშვნელოვანი ფაქტორები როგორიცაა, მომხმარებლის მოთხოვნათა დაკმაყოფილება, ევროკავშირის ბაზარზე გასვლა, პრესტიჟის, იმიჯის და კომპანიის ღირებულების ამაღლება; კონკურენტუნარიანობა შიდა და გარე ბაზრებზე; ყოველივე ზემოთაღნიშნული ამაღლებს

[1] https://commersant.ge/?view=post&id=132760&lang_id=ge

ნავსადგურების კონკურენტუნარიანობას და განამტკიცებს მის მდგომარეობას საერთაშორისო ბაზარზე. ნავსადგურები ყოველ ექვს თვეში, გარე საინსპექციო შემოწმების დროს, ადასტურებენ სერთიფიკატის მოთხოვნების შესაბამისობას.

ნავსადგურების მოდერნიზაციის პროექტში აქტიურადაა ჩართული ევროკავშირი და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნები. მათ აქვთ გაცნობიერებული თავიანთი როგორც ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული ნავსადგურების სამომავლო როლი საერთაშორისო ტვირთგადაზიდვებში. ამ კონტექსტში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სარკინიგზო-საბორნე კომპლექსს, ფოთი-ილიჩოვსკი-ვარნა, რომელიც ფოთის ნავსადგურს აკავშირებს უკრაინისა და ბულგარეთის ნავსადგურებთან და უზრუნველყოფს დიდი მოცულობის ტვირთბრუნვას.

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ საქართველოს მთავრობამ, საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოების მიზნით, საზღვაო ტრანსპორტის სფეროში ძირეული რეფორმა უნდა გაატაროს. ევროკავშირი უფრო მეტად აკეთებს აქცენტს მეზღვაურთა სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის დაცვაზე, ვინაიდან ყველაზე მეტი პრობლემა მეზღვაურთა სამუშაო პირობებსა და შრომითი ანაზღაურების მიმართულებით ფიქსირდება. ევროკავშირის ერთ-ერთი მოთხოვნაა, რომ მეზღვაურთა უფლებები დაცული იყოს და მათი უფლებების დასაცავად პრევენციის მექანიზმი ამოქმედდეს.

საზღვაო ტრანსპორტის სფეროში საქართველოს ევროკავშირის 23 დირექტივა აქვს შესასრულებელი. დირექტივების დიდი ნაწილი ტექნიკურია. მეზღვაურთა სოციალურ–ეკონომიკური უფლებების გარდა, საქართველოს მთავრობამ ნავსადგურის უსაფრთხოებასა და გარემოს დაცვაზეც უნდა გაამახვილოს ყურადღება. გათვალისწინებულია საზღვაო ინფრასტრუქტურის მენეჯმენტის სტანდარტების დანერგვა საერთაშორისო წესებისა და კონვენციების შესაბამისად. ამასთან, მენეჯმენტის წარმართვა, როგორც ინფორმაციული უზრუნველყოფით, ასევე ტექნიკური საშუალებებით, მეთოდებითა და ხერხებით საჭიროა შეესაბამებოდეს მსოფლიოს წამყვანი პორტების მენეჯმენტებს.

რაც შეეხება საქართველოს საჰაერო ტრანსპორტს, დღესდღეობით, საქართველოში მოქმედებს სამი საერთაშორისო დანიშნულების აეროპორტი: თბილისის, ბათუმის და ქუთაისის, და ორი - ადგილობრივი დანიშნულების - მესტიის და ამბროლაურის აეროპორტები. რაც შეეხება დატვირთვას, ყველა მათგანი ფუნქციონირებს დანიშნულებისა და საქმიანობის მასშტაბის მიხედვით და უსაფრთხოების მოქმედი სტანდარტის და კანონმდებლობის დაცვით.

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს საავიაციო სფეროში უმნიშვნელოვანესი ცვლილებები განხორციელდა. ცვლილებები შეეხო უსაფრთხოების ნორმებს და ინფრასტრუქტურულ მიმართულებებს, რამაც გავლენა იქონია მგზავრობის ღირებულებაზე, თანამშრომელთა კვალიფიკაციასა და მგზავრთა კმაყოფილებაზე.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება 2005 წელს იქნა მიღებული, რის მიხედვითაც, ქართული ავიაბაზარი ლიბერალური გახდა და შეიქმნა კონკურენტული გარემო. ამის შედეგად, ავიაკომპანიებს თავისუფლად შეუძლიათ შემოვიდნენ საქართველოს ავიაბაზარზე, მგზავრებმა კი აირჩიონ სასურველი ავიაკომპანია. რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ან მთლიანად თავიდან აშენდა მოქმედი ყველა ძირითადი აეროპორტი და ასაფრენ-დასაფრენი ბილიკები და სხვა დამხმარე შენობა-ნაგებობები. ასევე სამოქალაქო ავიაციაში გამკაცრდა უსაფრთხოების ნორმები. კონკრეტულად კი, საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, დადგინდა ის ნორმები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდნენ ავიაკომპანიები. ამის გამო, რიგ ქართულ ავიაკომპანიებს შეუჩერდათ ფრენის ლიცენზია, თუმცა საერთაშორისო საავიაციო ორგანიზაციების მოთხოვნებს თითქმის დაუახლოვდა ფრენის უსაფრთხოების ნორმები.

უსაფრთხოების ნორმების გამკაცრება უშუალოდ დაკავშირებულია „საქართველოსა და ევროკავშირსა და მის წევრ სახემლწიფოებს შორის ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ“ (ECAA) შეთანხმებასთან, რომელსაც 2010 წლის 2 დეკემბერს მოეწერა ხელი. „ერთიანი ევროპის ცა“ გულისხმობს საჰაერო სივრცის ფუნქციურ ბლოკებად მოწყობას, უფრო ნაკადების, ვიდრე ეროვნული საზღვრების

მიხედვით. პროექტი ითვალისწინებს ევროპის მასშტაბით ერთიანი წესების, მოთხოვნებისა და პროცედურების დანერგვას.

„ევროპის ერთიანი საჰაერო სივრცის“ (ECAA) შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, ცვლილებები შევიდა საქართველოს საავიაციო სფეროში მოქმედ 20-ზე მეტ ტექნიკურ რეგლამენტში. მიღებულია 5 ახალი ნორმატიული აქტი.

2012 წელს საქართველო ევროპის საჰაერო ნავიგაციის უსაფრთხოების ორგანიზაციის (EUROCONTROL) წევრი გახდა. 2011 წლის ნოემბრიდან, ორგანიზაცია სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დახმარებას უწევს ევროპის ერთიანი საჰაერო სივრცის სტანდარტებით გათვალისწინებული ზედამხედველობის ეროვნული ორგანოს ჩამოყალიბების პროცესში, სპეციალისტების მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში. საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, როგორიცაა ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტო (EASA). როგორც ბენეფიციარი ორგანიზაცია, სამოქალაქო ავიაციის სააგენტო აგრეთვე ჩართულია საჯარო სამსახურების დამმობილების პროგრამაში (TWINNING), რომელიც მიზნად ისახავს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ადმინისტრაციებსა და ბენეფიციარი ქვეყნის ადმინისტრაციას შორის თანამშრომლობას ინსტიტუციონალური განვითარების ხელშეწყობისა და ევროკავშირის სამართლებრივ ნორმებსა და სტანდარტებთან დაახლოების თვალსაზრისით.

საქართველოს სამოქლაქო ავიაციის სისტემამ გაიარა ევროპის უსაფრთხოების სააგენტოს ორი სტანდარტიზაციის ინსპექცია, რომელთაგან ერთი ორიენტირებული იყო უცხო ქვეყნის საჰაერო ხომალდების აუდიტის პროგრამაზე (EASA SAFA STANDARTIZATION INSPECTION), ხოლო მეორე წარმოადგენდა კომბინირებულ, ყოვლისმომცველ ინსპექციას (EASA COMBINED STANDARTIZATION INSPECTION). ორივე შემთხვევაში აუდიტის შედეგებმა აჩვენა, რომ სამოქალაქო ავიაციის განვითარება განსაკუთრებით ფრენების უსაფრთხოების სფეროში სწორი მიმართულებით მიმდინარეობს. სტანდარტიზაციის ინსპექტირების დროს აღმოჩენელი ნაკლოვანებების აღმოფხვრის გეგმები ოფიციალურად იქნა შეთამხბებული ევროპულ სტრუქტურასთან და აღნიშნული რეკომენდაციების შესრულების მიმართულებით საქმიანობა დღესაც გრძელდება.

რაც შეეხება ავიაციის მიმართულებით გასატარებელ ღონისძიებებებს, ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშრკრულების დანართში აღნიშნულია, რომ საჰაერო ტრანსპორტის სექტორში საქართველოს ეტაპობრივი დაახლოება ევროპულ სტანდარტებთან ექცევა „ერთის მხრივ, ევროკავშირსა და მის წევრ ქვეყნებს შორის და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ” შეთანხმებაში, რომელსაც ხელი მოეწერა 2010 წლის 2 დეკემბერს ბრიუსელში და რომლის დანართში მოცემულია ავიაციის სფეროში ევროკავშირის შესაბამისი კანონმდებლობის სია და ვადები იმპლემენტაციისთვის.

საქართველო მსოფლიოს იმ ქვეყნების რიგს განეკუთვნება, სადაც ფუნქციონირებს ყველა ძირითადი სახეობის ტრანსპორტი, შესაბამისად, ტრანსპორტი და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა უდიდეს სტრატეგიულ როლს ასრულებს ქვეყნის ეროვნულ მეურნეობაში. ამიტომ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება აუცილებელი წინაპირობაა ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვის.

ძალისხმევა იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ მაქსიმალურად იქნას ხელშეწყობილი საქართველოსა და მისი სტრატეგიული პარტნიორებისათვის პრიორიტეტული სექტორები - ამ შემთხვევაში საქართველოს მთლიანი სატრანსპორტო სისტემის კონტექსტში ვგულისხმობთ საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტს და მის ინტეგრაციას რეგიონულ და ევროპულ ბაზრებში.

დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოში ტრანსპორტის დარგობრივი სახეობების განვითარების დონის მაჩვენებლები განსხვავებულია. ცალკეული შემთხვევების გარდა, იგი, უმეტესწილად, ვერ აკმაყოფილებს განვითარებული ქვეყნებისა და მათ შორის, ევროკავშირის სტანდარტულ ნორმებს და მოითხოვს სისტემურ მოდერნიზაციას. ცალკეულ შემთხვევებად შესწავლილი მასალების საფუძვლეზე შეიძლება ითქვას, რომ საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტი და მისი ინფრასტრუქტურა სხვა სახეგეობებისაგან განსხვავებით უფრო დაახლეობულია საერთაშორისო

სტანდარტებს და ხშირ შემთხვევაში აკმაყოფილებს საკმაოდ მაღალი დონის მოთხოვნებს. დარგები ფუნქციონირებს დანიშნულებისა და საქმიანობის მასშტაბის მიხედვით და უსაფრთხოების მოქმედი სტანდარტისა და კანონმდებლობის დაცვით.

ამრიგად, საქართველო ბოლო პერიოდში დგამს მნიშვნელოვან ნაბიჯებს ეროვნული სტანდარტების საერთაშორისო სტანდარტებთან დასაახლოებლად, თუმცა როგორც ზემოთაა ნაჩვენები, ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრია გასაკეთებელი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. European Commission, Directorate-General for Communication Citizens information - THE EUROPEAN UNION EXPLAINED - „Transport“ - 2014;
2. ASSOCIATION AGREEMENT between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part - Official Journal of the European Union - 2014;
3. ბ. გითოლენდია - საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტისა და მასთან დაკავშირებული ძირითადი ინფრასტრუქტურის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე ანალიზი - 2016;

ვებ-გვერდები:

4. www.economy.ge
5. www.batumiport.com
6. www.gcaa.ge
7. www.mta.gov.ge
8. www.commersant.ge

Short Analysis of The Compatibility of Marine and Air Transport of Georgia with International Standards

Gitolendia Boris
Georgian Technical University Associate Professor

Summary

Article covers problematic issues and challenges of accordance of Marine and Air transports and main infrastructure of Georgia with European standards; information about an existing situation in Georgia is presented in the subject of an article. Main directives and recommendations are analyzed and are considered within the 6th sub-chapter of the EU-Georgia Association Agreement on transport issues. Work is prepared in virtue of young scientist scholarship of Shota Rustaveli National Scientific Fund (N YS – 2016-41 – Case Analysis of the Georgian Transport Sector, Interoperability and Intermodality with the European Systems).

სოციალური მეწარმეობა, როგორც სოციალურად ორიენტირებული ბიზნესის მიმართულება

თათეშვილი როინ
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ჯვარიძე გიორგი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

სოციალური მეწარმეობა ისეთივე
მნიშვნელოვანია საზოგადოების
განვითარებისათვის, როგორც
მეწარმეობა ეკონომიკის განვითარებისათვის.
როჯერ მარტინი/სალი ოსბურგი

აბსტრაქტი

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ტერმინი `სოციალური მეწარმეობა~ თანდათან ფეხს იკიდებს საზოგადოებრივ ცნობიერებაში და 90-იანი წლებიდან ფართო გაქანებას პოულობს პრაქტიკულ საქმიანობაში. იგი გვევლინება ახალი ტიპის ბიზნესის ფორმად, რომელსაც სოციალურად ორიენტირებული მიმართულება გააჩნია.

რამ გამოიწვია მსგავსი ტიპის საწარმოების შექმნა?

პასუხი ერთმნიშვნელოვანია და იგი უნდა ვეძებოთ რიგ ქვეყნებში სახელმწიფოს მხრიდან სოციალური პრობლემების არაჯეროვნად მოუგვარებლობაში. ადამიანებში იღვიძებს ინსტიქტი თვითგადარჩენისა, რომელიც ვლინდება მოსახლეობის თვითორგანიზაციის ტრადიციულ მიდგომაში, როგორც საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარების ეფექტური საშუალებისა. გამოსავალი ამ ვაკუმის ამოვსებისა არის სოციალურად ორიენტირებული ბიზნესი, რომელიც მიმართულია მოგების მიღებაზე და მიიმართება სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად. არსებობს სხვადასხვა სახის სოციალური დახმარების პროგრამა, მაგრამ იგი უმეტეს შემთხვევაში სპონტანურ ხასიათს ატარებს. იგი შეძლებისდაგვარად მუდმივად უნდა უზრუნველყოფდეს მოსახლეობის სოციალურად გაჭირვებული ფენის კეთილდღეობას. სწორედ სოციალური მეწარმეობა არის `ფენომენი~, რომელიც ბევრად მეტია, ვიდრე `აქციის~ ფორმატში ერთჯერადი ფინანსური დახმარებები და შემწეობები.

გარკვეულ ადამიანებში არსებობს უნარი მეწარმეობისა და მართვის ხელოვნებისა, რომელსაც სოციალური მეწარმეობა აძლევს საშუალებას გამოავლინოს შემოქმედებითი შესაძლებლობები მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. ეძლევა დასაქმების უფლება და შემოსავლის მიღების საშუალება, საზოგადოებაში ინტეგრაციის შესაძლებლობა, და რაც მთავარია თვითონ ხდება სწორედ ის პიროვნება, რომელიც საკუთარ თავზე იღებს პასუხისმგებლობას, რომელიც მიმართულია არამარტო საკუთარი სოციალური პრობლემების მოგვარებისაკენ, არამედ სხვა ადამიანების ყოფითი პრობლემების დაძლევისაკენ.

საკვანძო სიტყვები: *სოციალური საწარმო, ინვესტიციები, გრანტები, მოგების რეინვესტირება, სოციალური სიკეთე.*

ძირითადი ტექსტი

სოციალური მეწარმეობის მიმართ პირველი მცდელობა საკითხის აკადემიურ დონეზე შესწავლისა იწყება ჰარვარდის ბიზნეს სკოლის ინიციატივით 1993 წლიდან, რომელიც მალე სხვადასხვა უნივერსიტეტებმაც გაიზიარეს, მაგრამ დღემდე მისი მეცნიერული განმარტების შესახებ ერთიანი აზრი არ არსებობს, თუმცა შინაარსობრივად ყველა ქვეყანაში ერთ მიზანს ემსახურება, მოსახლეობის დაუცველი ფენის მიმართ სოციალური უზრუნველყოფის მისიის შესრულებას.

სოციალურ მეწარმეობას მნიშვნელოვანი როლი უჭირავს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ

განვითარებაში. სოციალური საწარმო მოგებას ღებულობს ეკონომიკური საქმიანობიდან, რომელიც გულისხმობს საქონლის წარმოებას და მომსახურების გაწევას, რაც ქვეყანაში წარმოებულ მთლიან შიდა პროდუქტში აისახება და საბოლოო ჯამში ქვეყნის ეკონომიკურ სიძლიერეზე გარკვეულ ზეგავლენას ახდენს. ამის ნათელი მაგლითია ესპანეთი, სადაც ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 7% სოციალურ საწარმოებზე მოდის.

თანამედროვე მსოფლიოში ერთ-ერთ გლობალურ პრობლემად მიიჩნევა უმუშევრობა, რომელიც მტკივნეულად მოქმედებს მოსახლეობის ცხოვრების დონეზე. სწორედ სოციალური საწარმოები ახდენენ მოსახლეობის იმ კატეგორიის დასაქმებას, რომლებსაც ჩვეულებრივ პირობებში უჭირთ სამუშაოს მოძებნა სხვავდასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო.

ამრიგად, წარმოდგენილი არგუმენტები ნათელი დასტურია იმისა, რომ რაოდენ მნიშვნელოვანი როლი შეიძლება შეასრულოს სოციალურმა მეწარმეობამ როგორც ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლაში, ასევე სოციალური ფონის გაუმჯობესებაში.

ინგლისში სოციალური მეწარმეობის ისტორია მე-19 საუკუნის დასაწყისიდან იღებს სათავეს. იგი არის ერთერთი ქვეყანა, სადაც სოციალური მეწარმეობას განსაკუთრებული მხარდაჭერა გააჩნია. სოციალური მეწარმეობა განმარტებულია შემდეგნაირად: „სოციალური მეწარმეობა არის ბიზნესი, რომელიც პირველ რიგში ემსახურება სოციალურ მიზნებს და ახდენს მოგების რეინვესტირებას ბიზნესში ან თემში სოციალური მიზნების მისაღწევად და არა დაინტერესებული მხარეებისა და მფლობელების სარგებლის გასაზრდელად~.

ამერიკის შეერთებულ შტატებში სოციალური მეწარმეობის მიმართულებით საკანონმდებლო ბაზა ჯერ კიდევ შორსაა სრულყოფილებისაგან, თუმცა კანონმდებლობა გამიჯვნას ახდენს მომგებიან და არა მომგებიან საწარმოების მიხედვით.

მომგებიანი სოციალური საწარმოები იბეგრებიან მსგავსად ჩვეულებრივი მომგებიანი საწარმოებისა.

არამომგებიანად ითვლება საწარმო, თუ მათი უპირველესი მიზანია სოციალური პრიორიტეტები და დამფუძნებლებზე არ ხდება მოგების განაწილება. მათზე ვრცელდება გარკვეული საგადასახადო შეღავათები.

ესპანეთს სოციალური მეწარმეობის განვითარების კუთხით საკმაოდ დიდი და წარმატებული გამოცდილება გააჩნია. ესპანეთის ხელისუფლებამ საკანონმდებლო ბაზაში მოახდინა გარკვეული ცვლილებების შეტანა, აქცენტი ძირითადად გაკეთებული იყო ადმინისტრაციული ბარიერების და ბიუროკრატიული დანახარჯების შემცირებაზე.

იტალიაში სოციალური საწარმოების ჩამოყალიბების ისტორია დაკავშირებულია ქვეყანაში მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობებთან. ხანგრძლივი პოლიტიკური და აკადემიური დისკუსიებისა და დებატების შემდეგ მიღებული იქნა 2006 წლის 24 მარტის #155 კანონი სოციალური საწარმოს შესახებ, რომლის მიხედვითაც: `სოციალური საწარმო არის იურიდიული კატეგორია, რომელსაც შესაძლოა მიეკუთვნოს ყველა უფლებამოსილი ორგანიზაცია, რომლის მიზანიცაა სოციალური სიკეთე, საქონელი და სერვისი, ორიენტირებული საერთო ინტერესებზე და არა მოგებაზე~.

ფინანსური მხარდაჭერისათვის გათვალისწინებულია დაბალპროცენტიანი სესხები, ასევე შემოწირულობებზე, გრანტებზე და გადასახადებზე გათვალისწინებულია მთელ რიგი შეღავათები.

საქართველოში 1995 წლიდან აქტიურდება თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საფინანსო ინსტიტუტებთან და ხდება მათი რეკომენდაციების გათვალისწინება.

ქმედითი ნაბიჯები გადაიდგა მესამე სექტორის განვითარების საქმეში, რაც ვლინდება დიდ მხარდაჭერაში სოციალურად ორიენტირებული ინიციატივების მიმართულებით.

2004 წლიდან ქვეყანაში სახელმწიფოს მხრიდან გატარდა მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმები ბიზნესის დაწყების და კეთების მიმართულებით. კერძოდ ადმინისტრაციული ბარიერების მოხსნის კუთხით, საგადასახადო ტვირთის შემცირების და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით. მიღებული გრანტები, რომლებიც პოლიტიკურ ხასიათს არ ატარებდა, დაბეგვრისაგან თავისუფლდებოდა. ეს იყო პოზიტიური მესიჯი საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისთვის.

შემაფერხებელი ფაქტორი სოციალური მეწარმეობის განვითარებაში იყო 2008 წლის საქართველო-რუსეთის ომი, საერთაშორისო საფინანსო და ეკონომიკური კრიზისი, რომელმაც მნიშვნელოვანი

ზიანი მიაყენა საქართველოს ეკონომიკას, სოციალური საწარმოებიდან უმეტესობა უსახსრობის გამო დაიხურა.

საქართველოში ახალი ტალღა სოციალური მეწარმეობის განვითარებაში დაიწყო 2011 წლიდან. ამ პერიოდისათვის ფუნქციონირება დაიწყო სოციალური მეწარმეობის ცენტრმა, რომლის მთავარ ორიენტირს წარმოადგენს ქვეყანაში სოციალური მეწარმეობის განვითარება და საკანონმდებლო დონეზე აყვანა. საქართველოს სტრატეგიული განვითარებისა და კვლევების ცენტრი ყოველწლიურად ატარებს ფორუმებს პარტნიორ ორგანიზაციებთან და სოციალურ მეწარმეებთან. პოზიტიურ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს 2016 წლის 8 ნოემბერს `სოციალურ საწარმოთა ალიანსის~ დაფუძნება, რომელიც მოწოდებულია ქვეყანაში სოციალური მეწარმეობის ხელშემწყობი გარემოს შექმნისაკენ,

ევროკავშირის დაფინანსებით დღესდღეობით მოქმედებს პროექტი `სოციალური მეწარმეობა-ინოვაციური მიდგომა ეკონომიკური და სოციალური ცვლილებებისათვის 2016-2018~, რომელსაც ახორციელებს საქართველოს სტრატეგიული განვითარებისა და კვლევების ცენტრი პარტნიორებთან ერთად.

საქართველოში საკანონმდებლო დონეზე ცნებები `სოციალური მეწარმეობა~ და `სოციალური საწარმოს~ განმარტება არ არსებობს და შესაბამისად საკანონმდებლო რეგულაციებიც. კანონმდებლობა იძლევა მხოლოდ გარკვეულ შესაძლებლობას დაინტერესების შემთხვევაში დაფუძნდეს ისეთი სუბიექტები, რომლებიც თავისი მიზნებითა და შინაარსით ჯდებოდეს სოციალურ საწარმოსთვის დამახასიათებელ ჩარჩოებში.

სტრატეგიული განვითარებისა და კვლევის ცენტრის მიერ მომზადებული იქნა კანონპროექტი სოციალურ მეწარმეობის შესახებ და წარედგინა პარლამენტს დასამტკიცებლად, რამაც ვერ პოვა საკანონმდებლო ორგანოს მხრიდან ადექვატური რეაქცია და არ იქნა მიღებული. მოხდა ამ კანონპროექტის ე.წ. `ჩავარდნა~. სამწუხაროდ არც მთავრობის მხრიდან იყო მზაობა ამ მიმართულებით.

არ შეიძლება არ აღინიშნოს მთავრობის მხრიდან ზოგადად მეწარმეობის და ბიზნესის წარმატებულად განვითარების მიმართულებით გადადგმული პოზიტიური ნაბიჯი მოგების გადასახადდთან მიმართებაში, ე.წ. `ესტონური მოდელის~ შემოღებაში, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. იგი ითვალისწინებს იმ მიღებული მოგების დაბეგვრისაგან გათავისუფლებას, რომელიც რეინვესტირების სახით უბრუნდება საწარმოს. აღნიშნული რეფორმა ვერაფერი ნუგეშია სოციალური საწარმოებისათვის, რადგან სოციალური ორიენტაციის საწარმოებში არ ხდება პარტნიორებს შორის მოგების განაწილება, იგი ისედაც რეინვესტირების სახით უბრუნდება საწარმოს თავისი მიზნებიდან გამომდინარე.

ჩატარებული კვლევიდან და მოძიებული მასალებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რამდენად აქტუალურია და დიდ მხარდაჭერას უცხადებენ სოციალური მეწარმეობას განვითარებულ ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის ცხოვრების დონე ბევრად მაღალია, ვიდრე საქრთველოში.

ეს საკითხი საქართველოში ფაქტობრივად იგნორირებულია როგორც სახელისუფლებო, ასევე საკანონმდებლო დონეზე, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ წადგენილ კანონპროექტს სოციალური მეწარმეობის შესახებ უარი ეთქვა ყოველგვარი დამატებითი მოთხოვნების და განხილვების გარეშე.

რჩება შთაბეჭდილება იმისა, რომ საქართველოში არ ხდება განვითარებული ქვეყნების გამოცდილებების გაზიარება სოციალური მეწარმეობის განსაკუთრებული როლის შესახებ, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია მოსახლეობის სოციალური პრობლემების მოგვარებაში და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. საჭიროა მოხდეს ქვეყანაში გადაფასება იმ აზრის, რომ `უმჯობესია მისცე ანკესი და თევზაობა ასწავლო, ვიდრე ერთჯერადად მისცე თევზი ~, ანუ უმჯობესია ხელი შეუწყო და ასწავლო ადამიანებს ფულის კეთება, ვიდრე ერჯერადად დაეხმარო.

სხვადასხვა ქვეყნების სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებენ, რომ სოციალური მეწარმეობა არის რგოლი, რომელიც ავსებს იმ ვაკუმს რომელიც არის სახელმწიფოს მხრიდან მოსახლეობის დასაქმების მიმართულებით. ამ მხრივ საქართველოში მხოლოდ მასობრივი შემცირებები მიმდინარეობს სახელმწიფო სტრუქტურებიდან, მისი კომპენსირების მიზნით კი ჯერჯერობით ქმედით არაფერი არ კეთდება.

საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებიდან ჩანს, რომ სოციალური საწარმეობის დაფუძნება და ჩამოყალიბება ძირითადად ხდება სახლმწიფოსა და დონორი ორგანიზაციების ხელშეწყობით

ლიბერალური კანონმდებლობის პირობებში. საქართველოს პრაქტიკაში ამ მხრივ ძალიან სავალალო სიტუაციაა, როგოც ფინანსური მხარდაჭერის კუთხით, ასევე საკანონმდებლო და ფისკალური მიმართულებით. ფინანსური მხარდაჭერა მხოლოდ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხრიდან იგრძნობა, რომელიც არასაკმარისია სოციალური მეწარმეობის წარმატებული განვითარებისათვის.

მიუხედავად ამ სირთულეებისა სოციალური მეწარმეობა საქართველოში პროგრესირებადი ტენდენციით ვითარდება. ამაზე მეტყველებს სტრატეგიული განვითარებისა და კვლევების ცენტრის მიერ გამოქვეყნებული მონაცემები, რომლის მიხედვითაც ამჟამად ფუნქციონირებს დაახლოებით 70-მდე სოციალური ორიენტაციის საწარმო.

მიგვაჩნია, რომ სახელმწიფო აქტიურად უნდა ჩაერთოს სოციალური მეწარმეობის გავითარების პროცესებში, რადგან მოწინავე განვითარებული ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე სოციალურ მეწარმეობის წარმატებულ განვითარებაშია ის გასაღები რომელიც უზრუნველყოფს ქვეყანაში სოციალური ფონის გაუმჯობესებას, სამუშაო ადგილების შექმნას და დასაქმებას, რაც მნიშვნელოვანია ქვეყნის წარმატებული განვითარებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლ. ფანიაშვილი, შ. მურღულია. სოციალური მეწარმეობის რეგულირება საქართველოს კანონმდებლობაში, თბილისი, 2010.
2. სოციალური მეწარმეობა. საერთაშორისო გამოცდილება 10 ქვეყნის მაგალითზე. სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. თბილისი 2010.
3. ზ. მოდებაძე, შ. მურღულია. სოციალური მეწარმეობის სახელმძღვანელო, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი თბილისი, 2013.
4. გ. ერქომაიშვილი, ნ. ფარესაშვილი, სოციალური მეწარმეობა საქართველოში: პრობლემები, პერსპექტივები. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული, თბილისი 2016.
5. რ. გველესიანი, გ. ერქომაიშვილი, ი. გოგორიშვილი, ე. ლეკაშვილი, ნ. ფარესაშვილი, ლ. ხურცია. სოციალური მეწარმეობის განვითარების ტენდენციები საქართველოში, თბილისი 2017.
6. www. csrdg.ge –საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი.
7. http://cse.newsgator.ge/info.php?ID=10
8. http://forbes.ge/blog/237/socialuri-mewarmeobis-indikatorebi

Social Entrepreneurship as the direction of social orientated Business

Tateshvili Roin
Jvaridze Giorgi

Summery

Social Entrepreneurship is so actual and supported in highly developed countries where the living level is on the high level than in Georgia.

Social Entrepreneurship is getting developed with the progressive tendency. It is proved by bases of strategy development and research center. According to this we can carry out that there are approximately 70 functioned enterprise in Georgia.

We consider that the government should be involved in the development process of Social entrepreneurship deeply, because we found out and share the developed countries examples they pay much more attention of social Entrepreneurship. It provides to improve social development, working places and employment issues as well. All of them are so important for successful country.

აგრარულ პროდუქციაზე ფასთა დინამიკის ყოველდღიური მონიტორინგისა და გასაჯაროების საჭიროება

კობახიძე დიმიტრი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

როგორც აგრარული სფეროს წარმომადგენელთა შორის მათი წარმატებისათვის აუცილებელი საჭიროებების გამოსარკვევად ჩატარებულმა კვლევებმა გვიჩვენა, საქართველოს აგრარული სფეროს პროგრესს, სხვა ძვირადღირებულ, ძნელად განხორციელებად თუ დროში გაწელილ, სამუშაოების პარალელურად, ისეთი დაბალი დანახარჯებისა და შედარებით იოლად მოპოვებად სერვისის დეფიციტიც აფერხებს, როგორიც იქნებოდა მოცემულ მომენტში, ბაზარზე სარეალიზაციოდ წარმოდგენილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასების, სახეობების, ხარისხის, და ბაზარზე მათი მოცულობებისა შესახებ ინფორმაციული უზრუნველყოფა.

ჩვენი კვლევის ობიექტები, შერჩეულნი იყვნენ, სოფლის მეურნეობისა და ადგილობრივი წარმოების მოწინავე დარგების წარმომადგენელთა შორის.

წინამდებარე ნაშრომში განიხილება:

- ამ არსებული კვლევების საზოგადოებისათვის წარდგენა;
- მათი საშუალებით საკვლევი თემის აქტუალურობისა და პრობლემის გადაჭრის მნიშვნელობის გამოკვეთა;
- საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის ფორმის, მინიმალური აუცილებელი მოცულობის, ძიებათა განმეორებადობის სიხშირის დადგენა;
- საზოგადოების მასებთან მისი მიწვდენის ფორმების შერჩევა.

საკვანძო სიტყვები: *აგრარული ბაზარი, საერთაშორისო ვაჭრობა, ინდუსტრიული წარმოება, ინტერნეტ-მაარკეტინგი, ფასთა დინამიკა, ინვესტორი,მომხმარებელი.*

ძირითადი ტექსტი

საქართველო, მისი საერთაშორისო ვაჭრობისადმი გახსნილობითა და ექსპორტირებულ პროდუქციასთან მიმართებაში წარმოებული ლოიალური პოლიტიკით, სულ უფრო და უფრო მეტ საერთაშორისო მეწარმეს იზიდავს, როგორც მათი საექსპორტო ბიზნესის გავრცობისათვის ხელსაყრელი სამიზნე. ეს ტენდენცია, თუ ერთის მხრივ საქართველოს ბაზარს არა ენდემური წარმოების პროდუქციით ამდიდრებს და ამრავალფეროვნებს - მეორეს მხრივ, სამამულო წარმოშობის მცირე და საშუალო ზომის ბიზნესების მიერ წარმოებულ აგრარულ პროდუქციას ინდუსტრიული მწარმოებლების მიერ ქვეყანაში იმპორტირებული, მაღალი კონკურენტული უპირატესობისა და შედარებით დაბალი ღირებულების პროდუქციის პირისპირ ახვედრებს. თუ აქვე გავიხსენებდით იმ ფაქტორსაც, რომ ნაციონალურ აგრარულ ბაზარზე წარმოდგენილი პროდუქცია მათზე მოთხოვნის სიმცირის გამო, დახლებზე გამოტანილი საქონლის მომცრო მარაგებითაა წარმოდგენილი - იოლად შეგვექმნებოდა სურათი იმისა თუ იმპორტირებული პროდუქციის თბილისამდე თუნდაც ერთი დღის დაგვიანებით ჩამოსვლას რამხელა საბაზრო ფასთა ცვალებადობის გამოწვევა შეუძლია. ასეთი ცვლილებები თუმცა კი ინდუსტრიული წარმოების იმპორტული პროდუქტისათვის არსებით საფრთხეს ვერ წარმოადგენს - მომცრო ზომის სამამულო აგრარულ წარმოებებისა თუ საოჯახო მეურნეობებისათვის, ძალიან იოლად შეიძლება რომ დამღუპველი აღმოჩნდეს.

ზემოთ ხსენებულის ფონზე, ნათლად ისახება ქვეყნის შიდა აგრარული ბაზრების ირგვლივ წარმოებული კვლევების, მიმდინარე ინფორმაციის სისტემიზირებისა და საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი ფორმით წვრილმან მეწარმემდე მისი დროული მიწოდების აუცილებლობა. ამ აუცილებლობას კი ინფორმაციის გავრცელების ახალი, მარტივი, იაფი და სწრაფი მეთოდი ინტერნეტ-მარკეტინგი ითავებდა, რასაც ქვეყანაში, ინტერნეტით დაფარვის ზონისა და მისდამი საზოგადოებრივი ინტერესის სწრაფი ზრდა მარტივად განაპირობებდა.

წარმოგიდგენთ კვლევის ფარგლებში ჩატარებულ ინტერვიუებს, აგრარული წარმოების

განსხვავებული დარგების მოწინავე წარმომადგენლებთან, რომლებშიც მოყვანილია ამ უშუალოდ საქმის კურსში მყოფ პროფესიონალთა ინდივიდუალური შეხედულებები, მათი მოქმედების სფეროში, ბიზნესის ირგვლივ წარმოჩენილი ზოგადი პრობლემებისა და ჩვენი კვლევის ობიექტებთან მიმართებაში ამ პრობლემათა დამოკიდებულების შესახებ. რესპოდენტები გაერთიანებული არიან ექვს ჯგუფში, მათი სამეწარმეო საქმიანობის აგრარული წარმოების სხვადასხვა დარგებისადმი კუთვნილების მიხედვით.

ფერმერული მეურნეობა საქართველოში, ისევე როგორც სხვა განვითარებად ქვეყნებში, მოსახლეობის მთავარ და ყველაზე განვრცობილ საქმიანობას წარმოადგენს. თუმცა მიუხედავად ამ ფაქტისა და იმისა, რომ სასოფლო სამეურნეო აქტივობისათვის ძალიან ხელსაყრელი კლიმატური, წყლის თუ ნიადაგური რესურსები გაგვაჩნია - დღესდღეობით აგრარულ სექტორს საქართველოში საკმაოდ რთულ პირობებში უწევს მოქმედება. ამ ნაშრომში ჩვენ ზოგადსა და ყოფით პრობლემებზე ყურადღებას არ გავამახვილებთ, რადგან ისინი ჩვენი საუბრის თემას ამჟამად არ წარმოადგენენ და პირდაპირ მთავარ პრობლემაზე - ინფორმაციის დეფიციტსა და საქართველოს აგრარული მრეწველობისათვის მის მიერ მიყენებულ ზიანზე გადავიდეთ. მოგვიანებით კი, სტატიის მსვლელობისას, თავადვე დარწმუნდებით, რომ სწორედ ინფორმაციის უქონლობა არის ის ყველაზე დიდი და მთავარი დაბრკოლება, რაც აფერხებს ყოველგვარ პროგრესს ამ ქვეყნისათვის მეტად მნიშვნელოვანი დარგისა.

მაგალითად, პირადი ინტერვიუებისას ხსენდა არაერთი შემთხვევა, როცა ფერმერებს უწარმოებიათ ის საქონელი, რომლითაც ჭირნახულის აღების მერე გაჯერებული დახვდათ ბაზარი, მაშინ როცა მსგავსი, სხვა კულტურა დეფიციტში იყო და რომ თავიდანვე სცოდნოდათ, ახლა ზარალის მაგიერ შეიძლებოდა რომ საკმაოდ წარმატებული წელიც ქონოდათ. ყოფილა სხვა სახის შემთხვევებიც, როცა ფერმერს აზოტი არ შეუტანია სასუქად, იმ ვარაუდით, რომ ნატურალური გზით მოყვანილ ნედლეულზე უფრო მაღალი საბაზრო მოთხოვნა იქნებოდა, ბაზარზე გამოსულს კი სავსე დახვედრია იქაურობა, თურქეთიდან შემოტანილი, ქიმიური სასუქებით მოყვანილი საქონლით, რომლებიც მის პროდუქციაზე უკეთესადაც გამოიყურებოდა და უფრო იაფიც ღირდა.

ეს და სხვა მრავალი ასეთი მაგალითი მათი წვრილ და საოჯახო მრეწველობებზე მოხდენილი დამღუპველი გავლენით, საკმაოდ მარტივი ასაცილებელი იქნებო და ქვეყანაში ბაზრის კვლევების წარმოებისა და მომავალი ტენდენციების შესახებ საზოგადოების ინფორმირების რაიმე ინტელექტუალური ბაზისი რომ არსებულიყო.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმო, ფერმერული მრეწველობის მსგავსად, საკმაოდ მგრძნობიარეა მიმდინარე ფასებისა და ბაზარზე გამოტანილი პროდუქციის მოცულობებისადმი, შესაბამისად საკმაოდ მაღალი რისკის პირობებში უწევს ფუნქციონირება. მაგალითისთვის შეგვიძლია განვიხილოთ სარესტორნო ბიზნესის შემთხვევა, რომლის მეპატრონეც გამუდმებით საქმის კურსში ვერ იქნება საბაზრო ფასების ცვლილებებთან დაკავშირებით, ამიტომ უწევს შესყიდვის სამსახურის "კეთილსინდისიერებაზე" აპელირება, რაც გაცილებით უფრო დიდი დანაკარგების აკუმულირების მიზეზი ხდება, ვიდრე ეს გვერდიდან შემხედვარემ შეიძლება რომ წარმოვიდგინოთ. ამ თვალსაზრისით გამოსავალი იქნებოდა აგრარული ფასების ყოველდღიური მონიტორინგი და აღრიცხვა, რისი დახმარებითაც გადამამუშავებელი საწარმოს მეპატრონე პერმანენტულად შეძლებდა მიმდინარე ფასების საქმის კურსში ყოფნას.

ერთიანი საინფორმაციო ბაზის არსებობა საერთაშორისო ბიზნესმენისათვის არანაკლებ აუცილებელია, რადგან ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილებიდან დაწყებული მისი ყოველი შემდგომი მოქმედება მოითხოვს, რომ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესი ზუსტად გამიზნული კვლევებისა და ანალიზის საფუძველზე იყოს დაფუძნებული, რაც ერთიანი საინფორმაციო ბაზისა და სტატისტიკური ტენდენციების სანდო წყაროს საჭიროებს, რომელიც მისი სიმცირით კვლევათა სიზუსტესა და გადაწყვეტილებათა მართებულობას ადაბლებს.

საქართველო ინვესტორისთვის აუცილებელი ინფორმაციის თვალსაზრისითაც ასეთივე მწვავე გამოწვევების წინაშე დგას. როგორც ერთ-ერთმა მსხვილმა საერთაშორისო ღორის ხორცის მწარ-მოებელი კომპანიის წარმომადგენელმა პირადი ინტერვიუს დროს განგვიცხადა: „მსხვილი ბიზნესის წარმოებას ასეთივე მსხვილი ბიზნეს პარტნიორები და დამხმარე ბიზნესების ქსელიც ჭირდება.

მაგალითად, დავუშვათ შემოვედით საქართველოში და ვაწარმოეთ იმ მოცულობით, რომლითაც ჩვენს კომპანიას სჩვევია: არის კი ქვეყანაში იმდენი და იმ ზომის სასაკლაოები, ამხელა პროდუქციის დამუშავებას რომ აუვიდეს? არის კი თქვენს სასაკლაოებში მომსახურების ის დონე, რომ დაცული იქნას სტანდარტები, რომლითაც ჩვენ გვინდა ჩვენი პროდუქციის ბაზრისათვის მიწოდება. არის კი აქ ისეთი დილერი, რომელიც ამ მოცულობის საქონლის დისტრიბუციას შეძლებდა, სტანდარტებით გათვალისწინებულ ხანმოკლე პერიოდში? და თუ ამ ყოველივე კითხვაზე გამოჩნდებოდნენ შესაბამისი ერთეულები, რომლებიც თავიანთ თავზე აიღებდნენ ამ მოვალეობებს, არის კი ქვეყანაში იმ სტანდარტის დაწესებულება, რომელიც თავდები იქნებოდა მათი სიტყვების უტყუარობაში? ეს ყოველივე, ინფორმაციის ის მინიმუმია რომლის ცოდნაც აუცილებლობას წარმოადგენს და შემდგომი გადაწყვეტილებების მათზე დაფუძნების საშუალებას მოგვცემდა“.

მომხმარებლისათვის აუცილებელი ინფორმაცია მომხმარებელს აქვს უფლება, რომ იცოდეს თუ რა პროდუქტს მიირთმევს, როგორია მისი შემცველობა, როგორია მისი მოყვანის მეთოდები, როგორია მისი კვებითი ღირებულება თუ ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველობის დონე. სამწუხაროდ ქართველი მომხმარებლის უმეტესობა ამ ინფორმაციის არსებობის შემთხვევაშიც თავადვე უგულებელყოფს მას.

არა და როგორც ფ. კოტლერი წერს: “დღევანდელ წარმატებულ კომპანიებს ერთი რამ აერთიანებს: ისინი კლიენტებზე ორიენტირებულები არიან და დიდ ყურადღებას აქცევენ მარკეტინგს. ცდილობენ ბაზრის საჭიროებათა დადგენას და მის დაკმაყოფილებას. კლიენტებთან გრძელვადიანი ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად”. რაც მასეც იქნებოდა მიუხედავად იმისა გაცნობილი იქნებოდა პროდუქციის მეწარმე კოტლერის “მარკეტინგის საფუძვლებს” თუ არა, რადგან მათი წარმოების უპირველესი გასაღების სივრცე ქვეყნის შიდა ბაზარია, და თუ შეიცვლებოდა მოთხოვნა მის შესაბამისობაში მალევე შეიცვლებოდა წარმოებაც.

უკეთესი ხარისხის მიმართულებით შეცვლილი წარმოების კულტურა კი ადრე თუ გვიან დაექვემდებარებოდა იმ მოთხოვნებს რომლის საფუძველზეც ექსპორტსაც განავითარებდა და ბიზნესსაც გააფართოებდა.

სახელმწიფოსთვის აუცილებელი ინფორმაციის უკმარობა ყველაზე მეტად საზიანოა და დამ-ღუპველიც, რადგან ის კრებითად, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორის განმაპირობებელი და გარანტი უნდა იყოს. მისი პირდაპირი მოვალეობაა, რომ სათავეში ჩაუდგეს და მაქსიმალურად გა-ნაპირობოს წარმატების მიღწევა არა მარტო ქვეყნის აგრარული მრეწველობის დარგში, არამედ ასევე:

- გასაღებისაც - რომ მეწარმე არ დაზარალდეს;
- უსაფრთხოებისაც - რომ მომხმარებლები არ დაზარალდნენ
- უშიშროებისაც - რომელიც ქვეყნის “თვითკმაყოფილების”, ანუ საკუთარი მოთხოვნის - მისივე წარმოებით მომარაგების უნარის კოეფიციენტია.
- ადგილობრივი მუშა ხელის დასაქმების პრობლემასაც;
- ინვესტორების მოზიდვისაც.

ეს უკანასკნელი კი, უკვე თავის მხრივ გახდებოდა გამოსავალი ძალიან ბევრი მანამდე ჩა-მოთვლილი პრობლემის გადასაწყვეტად, ვინაიდან, ლოკალური ინდუსტრიული საწარმოების მატების ფონზე, მყისიერად დაიწყებოდა სამუშაო ადგილების მატებაც, რომლებიც მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრებ ოჯახებს საარსებო პირობებს გაუუმჯობესებდა. წარმოებისა და დამუშავების თანამედროვე სტანდარტების დანერგვითა და გატარებით, ამაღლდებოდა სასურსათო უსაფრთხოებაც; შემსუბუქდებოდა სასურსათო უშიშროების მდგომარეობაც, რადგან ადგილობრივი მრეწველობის წილი ეროვნული მოთხოვნის დაკმაყოფილებაში მოიმატებდა; მოიმატებდა გლეხური, ფერმერული მეურნეობისაგან ნედლეულის შესყიდვაც და გაიოლდებოდა საერთაშორისო ვაჭრობაც, რადგან ახლებური სტანდარტებისა და თანამედროვე მოთხოვნებით ნაწარმოები პროდუქციისადმი საერთაშორისო ინტერესი რაღა თქმა უნდა გაიზრდებოდა.

დასკვნები

ყოველივე ზემოთხსენებულის კვლევისა და ანალიზის შედეგად, რაციონალური იქნებოდა დაგვესკვნა, რომ:

- საქართველოს აგრარულ სექტორში მომუშავე კომპანიებისათვის, აგრარული ბაზრების მდგომარეობისა და მიმდინარე საბაზრო ფასების შესახებ, სწორი და მართებული ინფორმაციის უქონლობა, მათი პროგრესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემაფერხებელი ფაქტორია.
- აგრარულ ბაზრებთან დაკავშირებული ინფორმაციის უქონლობა არანაკლებ შემაფერხებელია საქართველოში ბიზნესის განვითარებით დაინტერესებულ პოტენციურ ინვესტორთა მოზიდვის თვალსაზრისითაც. რადგან ერთიანი საინფორმაციო სისტემის უქონლობა, საქართველოში წარმოებულ ნებისმიერ კვლევას ერთდროულად ართულებს კიდევაც და ღირებულებასა და სანდოობასაც უდაბლებს.
- აგრარული ბაზრების მიმდინარე ფასების არქონა მნიშვნელოვნად აფერხებს სასოფლო სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოებისა და ჰორეკას სექტორის ეფექტურ მუშაობას.

ყოველივე აქ განხილულ გამოწვევებზე საერთო პასუხი არსებობს და ეს არის აგრარული ბაზრების ინტერნეტ - მარკეტინგის წარმოებით ერთიანი საინფორმაციო სისტემის დაარსება და მისი ყოველდღიური ოპტიმიზაცია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ფილიპ კოტლერი, გარი არმსტრონგი „მარკეტინგის საფუძვლები“ მე-14 გამოცემა, 2012 წ. გამოცემული pearson education inc-ის მიერ. ქართულად თარგმნილი გამოცემა შპს. „ჯიტრონიკი“ 2013 წ.
2. http://www.fao.org/docrep/field/009/aq673ka/aq673ka.pdf
3. http://agronews.ge/sophlis-meurneoba-da-qveqhnis-ganvithareba/
4. საქართველოს მთავრობის განკარგულება №566 „საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2012-2022 წლების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისი. 28.03.2012 https://matsne.gov.ge/ka/document/view/2280820
5. ჯორჯ ი. ბელჩი და მაიკლ ე. ბელჩი „რეკლამა და პრომოცია - ინტეგრირებულ მარკეტინგული კომუნიკაციების ხედვა“ მე-9 გამოცემა (სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი 2013) გვ. 327
6. Hague,P.N., Hague, N. and Morgan, C-A., Market Research in Practice: How to Get Greater Insight From Your Market, London, Kogan-Page, 2013, pp 19-20;
7. http://lexicon.ft.com/Term?term=digital-marketing “Definition of digital marketing”. Financial Times. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 22/03/2018.

Need for Daily price dynamics monitoring and publicity for agrarian products

Kobakhidze Dimitri

PhD student of Georgian Technical University

Summery

As has been shown by the researches for necessities to success among the representatives of Georgian agrarian sector. In parallel with other expensive, hard-run or time-consuming works the progress of the agricultural sector of Georgia is being hindered by shortage of such low cost and easily accessible service as it would be information about current prices, species, quality, and amounts of agricultural products presented for sale on the market.

The objects of our research were selected, among the leading fields of local agricultural production.

This article presents you:

- Submitting these current studies to the public;
- Identifying the significance of the topic of study and the importance of solving the problem;
- Determining the form, frequency and the minimum required volume of researches for obtaining the information needed;
- Selecting the forms of its reach to the masses of the public.

Key words: Agricultural Market, International trade, Industrial production, Internet-marketing, Price Dynamics, Investir, Consumer.

საქართველოს აგროსექტორის დაკრედიტების შესახებ

კოღუაშვილი პაატა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

გოიშვილი ზაზა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ფერმერებს, მათ გაერთიანებებს ესაჭიროებათ სპეციალიზებული აგროსაკრედიტო სისტემის შექმნა, რადგან ფინანსების (კრედიტების) ხელმისაწვდომობის გარეშე მეურნეობა ვერ განვითარდება. მსოფლიო გამოცდილებამ და საქართველოს ბოლო 25 წლის პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ აგროკრედიტის სისტემის შექმნის გარეშე, მხოლოდ კომერციული ბანკები ვერ უზრუნველყოფენ აგრარული სექტორის ნორმალური ფუნქციონირებას.

სპეციალიზებული აგროსაკრედიტო სისტემის ფორმირების შემდეგ შეიქმნება რეალური პირობა ქვეყნის აგროსასურსათო სექტორის დაფინანსება-დაკრედიტების მწყობრი სისტემის არსებობისათვის.

აღნიშნული საკითხის სისტემური გადაწყვეტა და სახელმწიფო რეგულირება ხელს შეუწყობს ამ სექტორში მეურნეობრიობისათვის საჭირო პირობების შექმნას, აღწარმოების მასშტაბების გადიდებას და კონკურენტული გარემოს ფორმირებას, რაც, საბოლოო ანგარიშით, მყარ გარანტიებს შექმნის ქვეყანაში კოოპერატიული გაერთიანებების ჩამოყალიბებისა და სასურსათო უშიშროების პრობლემის გადაჭრისათვის.

საკვანძო სიტყვები: *აგრარული სექტორი, აგროკრედიტი, საბანკო სისტემა, კრედიტის მიზნობრიობა, კრედიტზე ხელმისაწვდომობა, ფერმერული მეურნეობა.*

ძირითადი ტექსტი

დღეს საქართველოში თანამედროვე ტექნოლოგიების დეფიციტია. ხალხს არ შეუძლია ამ ტექნოლოგიების შეძენა ფინანსური პრობლემების გამო. ქართველი ფერმერებისთვის არ არსებობს, აგრეთვე, სასოფლო-სამეურნეო მოსავლისა და პირუტყვის დაზღვევა, რის შედეგადაც ბუნებრივ კატასტროფებსა და არახელსაყრელ გარემო პირობებს ასევე შეუძლია კოოპერატივების დანგრევა. გარდა სადაზღვევო შემთხვევებისა, ზოგჯერ, დიდი დანაკარგის დროს, ფერმერების წახალისების მიზნით უნდა ხდებოდეს მთავრობის მხრიდან მათი სუბსიდირება, სუბვენცირება. ამასთან ერთად, როგორც წესი, სასოფლო სამეურნეო საქმიანობა საჭიროებს მთავრობისგან ფინანსურ და ტექნიკურ თანადგომას, მხარდაჭერას, მაგრამ სახელმწიფომ ეს ვერ შეძლო. ეს სიტუაცია იყო სწორედ საბანკო სისტემის მიერ აგროსექტორის დაკრედიტების ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი. კომერციული ბანკები არ ენდობოდნენ სოფლის მეურნეობას (მაღალი რისკი, გარანტიების არარსებობა და სხვ.), რომელიც საჭიროებდა გრძელვადიან იაფ კრედიტებს. ისინი არ იყვნენ დარწმუნებლნი, რომ გაცემული თანხა გაზრდილი პროცენტით დაუბრუნდებოდათ. ასე რომ კრედიტი სოფლის მეურნეობისთვის არ არსებობდა. დღესაც კი ბანკების მცირე რაოდენობა გასცემს კრედიტს ფერმერებზე (მასზე მოდის გაცემული კრედიტების მხოლოდ 1%), რაც ხშირ შემთხვევაში არის მოკლევადიანი, მაღალი საპროცენტო განაკვეთით. ფერმერთა უმრავლესობა თავს იკავებს კრედიტის აღებაზე არასასურველი პირობების გამო. რაც ასევე კოოპერატივების წარუმატებლობის (გაკოტრების) მიზეზი ხდება. კოოპერატივების მარცხის მიზეზი, გარდა აღნიშნულისა შეიძლება ბევრი სხვა ფაქტორიც იყოს.

ილია ჭავჭავაძემ ასე განმარტა აგროკრედიტის მნშვნელობა: `დანიშნულება საადგილმამულო კრედიტისა განკარგებაა მამულ-დედულისა, გაძლიერება მიწათმოქმედთა ღონისა და მომცემლობისა.~ ამაზე ლოგიკური განმარტება ალბათ ძნელი წარმოსადგენია.

ფერმერებს, მათ გაერთიანებებს აუცილებლად ესაჭიროებათ სპეციალიზებული აგროსაკ-რედიტო სისტემის შექმნა, რადგან ფინანსების (კრედიტების) ხელმისაწვდომობის გარეშე მეურნეობა ვერ განვითარდება. მსოფლიო გამოცდილებამ და საქართველოს ბოლო 25 წლის პრაქტიკამ გვიჩვენა,

რომ აგროკრედიტის სისტემის (თანამედროვე აგროკრედიტების სისტემა წარმატებით მოქმედებს საფრანგეთში – ურთიერთდახმარების აგროკრედიტი, აშშ-ში – ფერმერთა საკრედიტო სისტემა, გერმანიაში, ავსტრიასა და შვეიცარიაში – რაიფენზენის კრედიტი, ბელგიაში – ბრენდენბონდი, ჰოლანდიაში – რაბობანკი და ა.შ.) შექმნის გარეშე, მხოლოდ კომერციული ბანკები ვერ უზრუნველყოფენ აგრარული სექტორის ნორმალური ფუნქციონირებას და შემდგომ განვითარებას, რადგან ისინი თვლიან, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოება მათი წარმატებული საქმიანობისათვის არახელსაყრელია. კომეციული ბანკები გამოდიან იმ ფაქტიდან, რომ აგრარული რეფორმა ჯერ არ დამთავრებულა და არ შექმნილა მიწის თავისფალი ბაზარი, შესაბამისად არ არსებობს გაცემული კრედიტიდან მოგების ან კომპენსაციის მიღების გარანტია. ამას ემატება ისეთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური ბერკეტის უქონლობა, როგორიცაა გამართული სადაზღვეო სისტემა და ა.შ.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ კომერციული ბანკები და ამ ტიპის სხვა სტრუქტურები, თავიანთი სპეციფიკიდან გამომდინარე, საბაზრო პრინციპებისა და მუდმივი კონკურენციის პირობებში საქმიანობას აგებენ მაღალ მოგებაზე და, რაც მთავარია, შემცირებული რისკის პირობებზე. ამიტომაა, რომ ყოველთვის და ყველგან ისინი არ წარმოადგენენ საიმედო პარტნიორებს. ეს ნიშნავს, რომ აგრომწარმოებლები კრედიტს მიიღებენ მხოლოდ მაშინ, როცა მათ ეს ნაკლებად სჭირდებათ, ანუ იმ შემთხვევაში, როდესაც მათი ფინანსური შესაძლებლობანი, საბაზრო ინფრასტრუქტურისა და ფასების გამო, შედარებით დამაკმაყოფილებელია. ასეთი სიტუაცია განსაკუთრებით მტკივნეულია, როდესაც საქმე ეხება ე.წ. ნაკლებ- განვითრებულ ქვეყნებს. როგორც წესი, ამ დროს კომერციული საბანკო სისტემა ჯერ კიდევ სუსტია, აქტივები მწირი, ხოლო გაკოტრების შანსი მაღალი. ასეთ სიტუაციებში მათი საქმიანობის პრიორიტეტი მიმართულია მხოლოდ გარანტირებული უკუგების მქონე სფეროებზე. ამიტომ ისინი თავს იკავებენ უშუალოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში კაპიტალის დაბანდებისაგან. სწორედ ასეთ სიტუაციაში იმყოფება დღეს საქართველოს სოფლის მეურნეობა, რაც აუცილებლად გასათვალისწინებელია.

სოფლის მეურნეობის სექტორი ნაკლებ მიმზიდველი იყო საბანკო სექციისათვის. (იხ. ცხრილი 1). შემდგომ არსებული მდგომარეობა თანდათან გამოსწორდა და 2016 წელს სოფლის მეურნეობის სექტორზე გაცემული კრედიტების წილმა მთლიანი საკრედიტო პორტფელის სტრუქტურაში 4,0% შეადგინა.

ცხრილი 1

კრედიტების განაწილება დარგების მიხედვით (მთლიანი სესხების პროცენტი)

	2005	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
სოფლის მეურნეობა სატყეო სექტორი, თევზჭერა	0,49	0,6	1,01	3,0	3,8	4,6	4,6	4,0

გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტების მართვის სააგენტოს მონაცემებით, რომელსაც ეყრდნობა წარმოდგენილი კვლევა შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის დაწყებიდან 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში ყველა კრედიტის (მცირე, საშუალო და მსხვილ) ფერმერებზე გაცემულია 25313 სესხი ლარში და 2260 სესხი აშშ. დოლარში, რომელთა ჯამური მოცულობა შეადგენს 760800,3 ათას ლარს და 240067,5 ათას აშშ დოლარს. პროექტის ბენეფიციართა რაოდენობამ შეადგინა 17746 აქედან 13849 მცირე ფერმერია. ორივე ვალუტაში გაცემული სესხების გავალებით 2016 წლის 31 დეკემბერს არსებულ-კურსის (2,6468 ლარი/აშშ დოლარი) მიხედვით, ჯამში გაცემული თანხის მოცულობა შეადგენს 1,4 მილიარდამდე ლარს.

საკრედიტო რესურსით აგროსექტორის გარანტირებული უზრუნველყოფა, მხოლოდ კომერციული დაწესებულებების გამოყენებით, პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან კერძო

სტრუქტურა ქვეყნის აგრარული პოლიტიკის პრიორიტეტების განაწილებისას ვერ შეძლებს ნეიტრალიტეტისა და ობიექტურობის დაცვას.

დასახელებული ფაქტორებისა და საქართველოს ბიუჯეტის მწირი შესაძლებლობების გათვალისწინებით, კრიზისიდან გამოსავალი იმ გამოცდილების გათვალისწინება და ადგილობრივი პირობების მისადაგებაა, რომელიც განვითარებული ქვეყნების აგრარული კრედიტის სფეროშია დაგროვილი. აქ კარგადაა შერწყმული სახელმწიფო რეგულირებისა და კერძო ინსტიტუტების მუშაობის სპეციფიკა. სახელმწიფო რეგულირებასა და კონტროლზე აგროსასურსათო სექტორის გადაყვანა მათი გამოცდიელბის მთავარი მონაპოვარია.

საქართველოში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობა ნათლად გვიჩვენებს, რომ პრობლემის რეალურად გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ სპეციალიზებული აგროსაკრედიტო სისტემის ფორმირებით. იგი შემდეგი ობიექტური ფაქტორებითა და სპეციფიკური თავისებურებებითაა განპირობებული:

- წარმოების პროცესის სეზონური ხასიათი;
- წარმოების რენტაბელობის შედარებით დაბალი დონე;
- სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკური მახასიათებლების დაბალი საიმედობა (არამდგრადობა);
- სოფლად საქონელმწარმოებლისთვის მოკლევადიან კრედიტებზე ხელმისაწვდომობის ციკლური ხასიათი;
- შესაბამისი სტიმულირების არქონის გამო, სოფლად დაგროვილი ისედაც მწირი ფინანსური კაპიტალის გადინება დიდ ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში;
- სოფლის მეურნეობაში გამოსაყენებელი საკრედიტო რესურსების აუცილებელი სიიაფე;
- ეკონომიკის აგრარულ სექტორში, სასაქონლო და მომსახურების ბაზრისაგან განსხვავებით, ფულადი კაპიტალისა და საკრედიტო ბაზრის არასრულყოფილი ხასიათი (წარმოების სეზონურობისა და ხანგრძლივობასთან დაკავშირებული);
- წარმოების შედეგების, ბუნებრივ-კილმატურ პირობებზე მნიშვნელოვანი დამოკიდებულობის გამო, კომერციული ბანკების მხრიდან ობიექტური უნდობლობის ფაქტორის არსებობა;
- გლეხების (ფერმერების) მხრიდან კრედიტის ასაღებად საჭირო გირაოს უქონლობა, საბანკო სისტემაში არსებული რიგი ხარვეზები, ნაკლოვანებები და სხვ.

აგრარული საკრედიტო სისტემის საერთო დამახასიათებელი ნიშნებია:

პირველი, სახელმწიფო მხარდაჭერისა და რეგულირების პოლიტიკის არსებობა;

მეორე. აგრარული საკრედიტო სისტემის პრინციპული განსხვავება ჩვეულებრივი საბანკო-საკრედიტო სისტემისაგან (რაც ძირითადად მის მიზნობრივ ხასიათში ანუ დარგობრივ პრინციპში პოულობს ასახვას);

მესამე. აგრარულ სექტორთან დამოკიდებულებასა და ურთიერთობაში ამ სისტემებს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირი;

მეოთხე. აგრარული საკრედიტო სისტემის გავრცობა ადგილობრივ, რეგიონულ და ცენტრალურ დონეზე;

მეხუთე. თითოეული დონის ფუნქციების მკაფიოდ განსაზღვრა და მკვეთრად გამიჯნსა;

მეექვსე. მუშაობის პროცესში ურთიერთსოლიდარობის პრინციპის არსებობა (თუმცა სხვადსხვა სისტემაში ეს განსხვავებული ხარისხით ვლინდება).

აგროსაკრედიტო სისტემა არ მუშაობს დივიდენდების განაწილებაზე. იგი მიღებულ მოგებას საკუთარ საბრუნავ კაპიტალში აბრუნებს და პერმანენტულად ზრდის სესხის გაცემის მასშტაბებს. სესხის მიღებისათვის არც მატერიალური გარანტიებია საჭირო და არც წინასწარ შედგენილი ბიზნეს-გეგმა. აქ მთავარია ურთიერთობა, სოლიდარობა, ნდონა, პასუხისმგებლობა, რომელსაც კოოპერატიული გაერთიანების, როგორც ერთი ოჯახის წევრობა წარმოშობს.

სპეციალიზებული აგროსაკრედიტო სისტემის ფორმირების შემდეგ შეიქმნება რეალური პირობა ქვეყნის აგროსასურსათო სექტორის დაფინანსება-დაკრედიტების მწყობრი სისტემის არსებობისათვის. ასეთ სიტუაციაში, სპეციალურ საკრედიტო სისტემასთან ერთად, წარმოიქმნება

მყარი პირობები ამ სექტორის დაკრედიტებაში სხვადასხვა ორგანიზაციული სტრუქტურების მონაწილეობისათვის. მათ შორის მნიშვნელოვანი იქნება: სახელმწიფო ბიუჯეტის, კომერციული ბანკების, სადაზღვევო კომპანიების, ინდივიდუალური კრედიტორების, ურთიერთდახმარების ადგილობრივი სალაროების და სხვა ალტერნატიული წყაროების მონაწილეობა.

სპეციალიზებული აგროსაკრედიტო სისტემის შექმნა საჭიროებს აუცილებელ რეგულირებასა და კოორდინაციას, განსაკუთრებით საწყის ეტაპზე. მსოფლიო პრაქტიკამ დაადასტურა, რომ აგრარულ სფეროში, პერიოდული ხელოვნური ჩარევის გარეშე, შესაძლებელია გამოუსწორებელი უკუეფექტის მიღება. ამიტომ აგროსასურსათო სექტორის დაკრედიტების სისტემის შექმნისა და პროცესების რეგულირების საკითხში სახელწიფოს მონაწილეობა აუცილებელ ღონისძიებად გვესახება.

აგროკრედიტის სისტემის ფუნქციონირების მთავრი მიზანი უნდა იყოს აგროსასურსათო სექტორის საწარმოო და არასაწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის ხელშეწყობა; საინვესტიციო პროცესების რეგულირება; შიდა ბაზარზე სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე მოთხოვნილების რეგულირება; საექსპორტო პროდუქციის სტიმულირება და სხვ.

ამდენად, საქართველოში მეწარმეობისა და აგრობიზნესის განვითარებისთვის მიმდინარე ეტაპზე გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენს ეფექტური საკრედიტო-საფინანსო მექანიზმის ჩამოყალიბება. პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია სპეციალიზებული აგრარული საკრედიტო (ურთიერთდახმარების, კოოპერატიული ტიპის) სისტემის (სასს) ფორმირებით, რომელიც, ერთი მხრივ, დაეფუძნება მსოფლიო აგროსაკრედიტო სისტემის პრაქტიკას და გამოცდილებას, ხოლო, მეორე მხრივ, შეჯერებული იქნება ქართული სოფლის სპეციფიკასთან.

სპეციალიზებული აგროსაკრედიტო სისტემის შემოთავაზებული ვარიანტი წარმოადგენს აგრარული სექტორის ძირითადი ფონდების რეკაპიტალიზაციის აქტიური პოლიტიკის გატარების ინსტრუმენტს. იგი ძირითადად დაფუძნებულია მისი წევრების კოოპერირებული სახსრების უფრო ეფექტიან გამოყენებაზე, რომელიც სესხის მიღების შედარებით გაიოლებული პირობებით, დაბალი საპროცენტო განაკვეთით, ურთიერთნდობით, სოლიდარული პასუხისმგებლობითა და კორუფციის გამორიცხვით მიიღწევა.

აღნიშნული საკითხის სისტემური გადაწყვეტა და სახელმწიფო რეგულირება ხელს შეუწყობს ამ სექტორში მეურნეობრიობისათვის საჭირო პირობების შექმნას, აღწარმოების მასშტაბების გადიდებას და კონკურენტული გარემოს ფორმირებას, რაც, საბოლოო ანგარიშით, მყარ გარანტიებს შექმნის ქვეყანაში კოოპერატიული გაერთიანებების ჩამოყალიბებისა და სასურსათო უშიშროების პრობლემის გადაჭრისათვის.

დასკვნა

შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ფერმერული მეურნეობებისა და მათი გაერთიანებების (კოოპერატივები) განვითარების ხელშემწყობი (წარმოების, ნედლეულის გადამუშავების, ფასების სწორად განსაზღვრისა და პროდუქციის რეალიზაციის) სამი ძირითადი პირობა:

- ბაზრებთან კავშირი და კონკურენცია (ბაზრების განვითარების ტენდეციების ცოდნა, რათა საშუალოვადიან პერიოდში ფერმერებმა სწორად განსაზღვრონ პროდუქციის ფასი);
- განვითარებული მომსახურების საჯარო აგრარული (მელიორაციული, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, ზოოვეტერინალური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფის) სტრუქტურები;
- კრედიტის ხელმისაწვდომობა (სპეციალიზებული აგროსაკრედიტო სისტემის ფორმირება, სოფლად ურთიერთდახმარების სალაროებისა და საკრედიტო კავშირების შექმნა).

საქართველოში ყველა საჭირო წინაპირობა არსებობს კოოპერატივების განვითარებისა სოფლად და სპეციალიზებული აგროსაკრედიტო სისტემის შექმნისათვის. რაც უპირველესყოვლისა, აისახება ფრემერთა წარმატებულ საქმიანობაზე, ხოლო შემდგომ ქვეყნის ეკონომიკის, კერძოდ, კი აგრარული სექტორის აღორძინებაზე.

ლიტერატურა:

1. პ.კოღუაშვილი, რონალდ რეიგანის აგრარული პოლიტიკა, თბ. 2012 წ.
2. პ.კოღუაშვილი პ. ზიბზიბაძე გ. _ სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, თსუ, თბ., 2006
3. შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამის შეფასება, თბ. 2017 წ.www. Geostat.ge
4. www.radiotavisupleba.ge
5. http://www.leadercredit.ge

On the lending of the agrarian sector of Georgia

Koguashvili Paata
Goishvili Zaza

Summary

Farmers, their associations needs creating a specialized agro-credit system, Because without access to credits The farm can not be developed. The world experience and the last 25 years Practice of Georgia have shown us, that Without agro-credit system, Only commercial banks can not provide normal functioning of the agrarian sectors. specialized agro-credit system-Thet is The real condition of the country's agricultural sector lending process. The solution of this issue and the state regulation will facilitate the creation of the necessary conditions for the farmers in this sector, increase the scale of the play and create a competitive environment. Its Creats solid guarantees in the country of cooperative unions and Solving the food safety problem.

ქართული პროდუქტები ევროპის ბაზარზე

კოჭლამაზაშვილი ლელა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ყანდაშვილი თეიმურაზ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

გრიგალაშვილი ლევან
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

საქართველო ოდითგანვე ითვლებოდა აგრარულ ქვეყნად. სწორი სახელმწიფო პოლიტიკით ჩვენი მეწარმეები, ფერმერები, გლეხები შეძლებენ უპასუხონ იმ ახალ გამოწვევებს, რომელიც ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე ხელმოწერის შედეგად დადგა. მათ უნდა აწარმოონ ევროპული სტანდარტის, ეკოლოგიურად სუფთა, კონკურენტუნარიანი პროდუქცია და საერთაშორისო ბაზარზე ღირსეული ადგილი დაიმკვიდრონ. ეს კიდევ უფრო გაზრდის სოფლის მეურნეობის დარგის მიმზიდველობას, როგორც ჩვენი ბიზნესმენებისათვის, ისე უცხოელი ინვესტორებისათვის,

ნაშრომში განხილულია ლურჯი მოცვის და ღვინის საექსპორტო პოტენციალი. საქართველო ერთ-ერთი უძველესი მევენახეობის ქვეყანაა. მეღვინეობა ერთ-ერთი უძველესი ტრადიციაა, რომელიც ქართველებმა დღემდე შემოინახეს. განხილულია ასევე ქვევრის ღვინის საექსპორტო პოტენციალი. საქართველოში ქვევრში ღვინის დაყენება 8 ათასი წლის წინ დაიწყეს და ამ ტრადიციას დღემდე ინარჩუნებენ. ქვევრის ღვინის დაყენების ქართულ ტრადიციულ მეთოდს 2013 წელს იუნესკოს (UNESCO) არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა. ეს მეთოდის უნიკალურობაზე მიუთითებს და გზავნილია მთელი მსოფლიოსათვის, რომ ღვინო უძველესი ქართული კულტურის შემადგენელი ნაწილია. ეს აღიარება მნიშვნელოვანია ქვევრის ღვინის ცნობადობის ამაღლებისთვის და ხელს შეუწყობს ქართული ღვინის პოპულარიზაციას. ამ პროდუქტებზე იზრდება მოთხოვნა, როგორც მეზობელი ქვეყნების ბაზრებზე, ასევე ევროკავშირის ბაზარზე. სტრატეგიული მარკეტინგული ღონისძიებების გატარება კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს ამ პროდუქტების ექსპორტის ზრდას.

საკვანძო სიტყვები: *აგრარული სექტორი, ლურჯი მოცვის წარმოება, ღვინის ექსპორტი.*

ძირითადი ტექსტი

ჩვენს ქვეყანას გააჩნია საკმაოდ მნიშვნელოვანი ეკონომიკური, საწარმოო–ტექნიკური და შრომითი პოტენციალი, რომელიც უზრუნველყოფს საკმაოდ მაღალი მასშტაბებისა და დონის საექსპორტო პოტენციალს. სათანადო მუშაობით, მეცნიერთა და პრაქტიკოსთა ერთობლივი ძალისხმევით შეიძლება სერიოზული პროგრესის მიღწევა საექსპორტო პოლიტიკაში. მით უმეტეს, რომ მსოფლიო მასშტაბით, თითოეული ქვეყანა, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით, ბუნებრივ–კლიმატური პირობებით, ისტორიულად ჩამოყალიბებული სამეურნეო საქმიანობის კულტურით, ადათ–წესებით, ზნეობრივი ნორმებით, საქონლის წარმოების, გაცვლა–განაწილებისა და მოხმარების თავისებურებებით განსხვავებულ ადგილს იკავებს საერთაშორისო ბიზნესის სივრცეში. ამ თვალსაზრისით, უნიკალური და სპეციფიკური ნიშნებით გამოირჩევა საქართველო, რომელიც ევროპისა და აზიის გზარჯვარედინზე მდებარეობს და უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და ეკონომიკური დერეფნის როლს ასრულებს. ეს გარემოება საქართველოს მსოფლიო ბიზნესის განვითარების თვალსაზრისით სახარბიელო ქვეყანად წარმოაჩენს, რომლის მთელი პოტენციური შესაძლებლობები სრულად არ არის გამოყენებული.

საქართველო ოდითგანვე ითვლებოდა აგრარულ ქვეყნად, ამიტომ სოფლის მეურნეობას ყოველთვის განსაკუღტებული ყურადღება ეთმობოდა. 2013 წლიდან კი იგი მთავრობისათვის ერთ-

ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს. სწორი სახელმწიფო პოლიტიკით, ჩვენი მეწარმეები, ფერმერები, გლეხები შეძლებენ უპასუხონ იმ ახალ გამოწვევებს, რომელიც ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე ხელმოწერის შედეგად დადგა. მათ უნდა აწარმოონ ევროპული სტანდარტის, ეკოლოგიურად სუფთა, კონკურენტუნარიანი პროდუქცია და საერთაშორისო ბაზარზე ღირსეული ადგილი დაიმკვიდრონ. ეს კიდევ უფრო გაზრდის სოფლის მეურნეობის დარგის მიმზიდველობას, როგორც ჩვენი ბიზნესმენებისათვის, ისე უცხოელი ინვესტორებისათვის.

2016 წელს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში ევროკავშირსა და ევროპის სხვა ქვეყნებთან ვაჭრობის განვითარების სამსახური შეიქმნა. მისი ძირითადი საქმიანობა ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ასათვისებლად ევროპის ქვეყნების ბაზრების შესწავლა, მათთან სავაჭრო ბრუნვის ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადებაა. სამსახური დაინტერესებულ მეწარმეებს სავაჭრო შეღავათების შესახებ ინფორმაციას მიაწვდის და დაეხმარება მათ ევროპის ქვეყნებთან, მარკეტინგულ კომპანიებთან და ბიზნესოპერატორებთან კონტაქტის დამყარებაში.

ბოლო 5 წლის განმავლობაში ევროკავშირში ნედლი კენკრის იმპორტი გაორმაგდა.მხოლოდ 2014 წელს არაწევრი ქვეყნებიდან იმპორტმა დაახლოებით 400 მილიონ ევროს მიაღწია, აქედან 72% განვითარებადი ქვეყნების პროდუქციამ დაიკავა. მოთხოვნა ყოველწლიურად იზრდება, რასაც ადგილობრივი წარმოება ვერ აკმაყოფილებს. მაისის ბოლო-ივლისის შუა რიცხვები ის პერიოდია, როდესაც ქართველ მეწარმეებს შეუძლიათ საკუთარი პროდუქტი ევროპელ მომხმარებლებს შესთავაზონ - ამ დროს ევროპაში კენკროვანი კულტურების კრეფის სეზონი ჯერ არ არის დაწყებული და ფასიც შესაბამისად მაღალია.

ამერიკული ლურჯი მოცვი, რომელიც გურიისა და აჭარის მაღალმთიანეთის კლიმატურ პირობებს კარგად შეეგუა, უნიკალური თვისებების გამო მსოფლიო ბაზარზე დიდი მოთხოვნით სარგებლობს. საქართველოში მოყვანილი 12 ტონა ლურჯი მოცვი დიდი ბრიტანეთის ბაზარზე წელს პირველად შევიდა. ამჟამად მისი ექსპორტი რუსეთშიც ხორციელდება. თუ რუსეთში 1 კგ ლურჯი მოცვი 3,5 ევრო ღირს, ევროკავშირის ბაზარზე მისი ფასი 4-დან 10 ევრომდე მერყეობს.

კომპანია «Vanrik Agro Group»-მა ლურჯი მოცვის გაშენება ოზურგეთის რაიონის სოფელ ლაითურში 2012 წლის ბოლოს დაიწყო. პროექტში 5 მლნ დოლარის ინვესტიცია ჩაიდო. ლურჯი მოცვის პლანტაცია ამჟამად 50 ჰექტარზეა გაშენებული. კომპანიის მენეჯმენტი უახლოეს მომავალში მეურნეობის 400 ჰა-მდე გაფართოებას აპირებს.

ქართველი ფერმერები ლურჯი მოცვის მოყვანით USAID-ის კვლევის გაცნობის შემდეგ დაინტერესდნენ. პირველ ეტაპზე 147 ათასი ნერგი დაირგო. გაშენებულია 16 ჯიშის მოცვი და მოსავალი იკრიფება 15 აგვისტომდე. **ყველა ჯიში სხვადასხვა დროს იძლევა ნაყოფს. როგორც Vanrik Agro Group”-ის წარმომადგენელმა აღნიშნა, საქართველოში მოყვანილი ლურჯი მოცვი განსაკუთრებული გემოთი გამოირჩევა და ევროპის ბაზარზეც დიდი მოწონებით სარგებლობს. 12 ტონა ლურჯი მოცვი ბრიტანეთის ბაზარზე იქნა შეტანილი, ხოლო რუსეთის ბაზარზე 25 ტონა.** «Vanrik Agro Group»-ი ლურჯ მოცვს 200-გრამიან და 4-კილოგრამიან პაკეტებში აფასოებს. ქართულ მიწაზე ადაპტირებული ამერიკული კენკრა ადგილობრივ ბაზარზეც იყიდება. საქართველოში 1კგ ლურჯი მოცვის ფასი 3-დან 9 ლარამდე მერყეობს. «Vanrik Agro Group»-ი ლურჯი მოცვის გადამამუშავებელ საწარმოს აშენებასაც გეგმავს. გადამამუშავებელი ხაზის მოწყობა უკვე დაწყებულია. მსოფლიოში ლურჯ მოცვზე მოთხოვნა ყოველწლიურად იზრდება და მისი მოყვანა მომგებიანია. 2016 წლიდან «Vanrik Agro Group»-ი დაახლოებით 50 ტონამდე მოსავალს ელოდება. პროდუქცია ექსპორტზე ძირითადად ევროკავშირში გავა. ამ მიზნით პოლონურ კომპანიასთან მემორანდუმი უკვე გაფორმდა - საქართველოში მოყვანილი ლურჯი მოცვის ევროპის ქვეყნებში შეტანაზე სწორედ ეს პოლონური კომპანია იზრუნებს.

საქართველო ერთ-ერთი უძველესი მევენახეობის ქვეყანაა. მეღვინეობა ერთ-ერთი უძველესი ტრადიციაა, რომელიც ქართველებმა დღემდე შემოინახეს. ტრადიცია კვლავ ცოცხალია - დღეს ღვინო, ღვინის ქარხნების გარდა, სახლშიც მზადდება განსაკუთრებით სოფლად, საკუთარ ვენახში მოყვანილი ყურძნით.

ღვინო, ქართული სუფრის უმნიშვნელოვანესი და უმთავრესი ნაწილია. განსაკუთრებით კი,

გამორჩეულია კახური ღვინო, რომელიც თვალსაჩინოა ქართული მეღვინეობისათვის. კახური ღვინო ყველგან და ყველა დროში მოსწონდათ. ქართული მეღვინეობის დიდი ისტორია საერთაშორისო მასშტაბითაა აღიარებული. 2012 წლის ივლისიდან, საქართველოს აქვს ექსკლუზიური უფლება, ქართული წარმოების ღვინოს ევროკავშირში პოპულარიზაცია გაუწიოს სიტყვებით ,,საქართველო-ღვინის აკვანი". საქართველოში არც ისე ბევრი ექსკლუზიური და განსაკუთრებული პროდუქტი მზადდება, რომელიც ბაზრის მდიდარ სეგმენტზე იქნება კოკურენტული. ქართველი და უცხოელი ექსპერტების შეფასებით, ქართული ღვინის კულტურა მსოფლიოში უნიკალურია. საქართველოში ხარობს 500 ენდოგენურ ჯიშზე მეტი, რაც მსოფლიოში არსებული ყურძნის ჯიშები 20%-ია.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ქართული ღვინო ექსპერტების მაღალ შეფასებას იმსახურებს. კერძოდ, გაერთიანებულ სამეფოში, ღვინის იმპორტიორის ვებგვერდზე წერია, რომ კონდოლის რქაწითელს აქვს ,,კომპლექსური, თაფლის და მწიფე ვაშლის არომატი, არის დახვეწილი და სასიამოვნოდ დასალევი". 2007 წელს კი ქვევრის ღვინოზე წერია -,,ღვინოს აქვს მდიდარი ოქროსფერი ფერი, ვაშლის, მსხლის და კომშის კომპლექსური არომატი, რომელსაც თან სდევს ვანილის მსუბუქი გემო. აქვს თეთრი ღვინისთვის უჩვეულო სტრუქტურა, რომელიც მას ელეგანტურად დაძველების საშუალებას მისცემს. ის ტოვებს ხილის ინტენსიურ გემოს, ტრადიციის დამაინტრიგებელი ნიშანი. არ მიირთვათ ძალიან ცივი-ოდნავ გრილი".

საქართველო ქვევრის ღვინის სამშობლოა. ქვევრი არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობაა. ექსპერტებს მიაჩნიათ. რომ ქვევრის ღვინო თანამედროვე ბაზარს გაამრავალფეროვნებს. ქვევრი მრავალი ქვეყნის მეცნიერთა შესწავლის საგანია, რომლებიც დებენ დასკვნებს ქვევრის ღვინის საუკეთესო თვისებების შესახებ. თუ ქვევრის კახურ ღვინოს დაუმეგობრდებით და ეცდებით ამოხსნათ მისი ფენომენი, თქვენ აღმოაჩენთ, რომ ეს დაუვიწყარი გემოსა და არომატის ღვინო თქვენ ბევრი დაავადებისაგან დაგიცავთ, სხეულს გაგიჯანმრთელებთ, უფრო ენერგიულები და ხალისიანები გახდებით. გაუსინჯეთ ჭაშნიკი ქვევრის კახურ ღვინოს. მწარმოებლები საქართველოდან ქვევრის ნატურალური ღვინოების ექსპორტს ზრდიან, ხოლო უცხოელი მეღვინეები თავიანთ მარანში ქვევრს თანდათან საპატიო ადგილს უთმობენ.

ქვევრის I საერთაშორისო სიმპოზიუმზე უცხოელი სპეციალისტები საუბრობენ ქვევრის ღვინის უპირატესობაზე და ქართველ მეღვინეებს პირდაპირ მიანიშნებდნენ, რომ ახლანდელ პრეტენზიულ მსოფლიო ბაზარზე ქართულ ღვინოს წარმატებას ქვევრი მოუტანს.

საქართველოში ქვევრში ღვინის დაყენება 8 ათასი წლის წინ დაიწყეს და ამ ტრადიციას დღემდე ინარჩუნებენ. ქვევრის ღვინის დაყენების ქართულ ტრადიციულ მეთოდს 2013 წელს იუნესკოს (UN-ESCO) არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა, რაც ამ მეთოდის უნიკალურობაზე მიუთითებს და გზავნილია მთელი მსოფლიოსათვის, რომ ღვინო უძველესი ქართული კულტურის შემადგენელი ნაწილია. ეს აღიარება მნიშვნელოვანია ქვევრის ღვინის ცნობადობის ამაღლებისთვის და ხელს შეუწყობს ქართული ღვინის პოპულარიზაციას.

საქართველოში ქვევრის ღვინოს ბევრი ღვინის კომპანია აწარმოებს. ქვევრის ღვინის წარმოებით, საქრთველოს გარდა, ბოლო დროს ღვინის მწარმოებელი სხვა ქვეყნებიც დაინტერესდნენ. უკანასკნელ წლებში ექსპორტზე სულ უფრო მეტი ქართული ქვევრის ღვინო გადის, და მათ შორის ისეთ ტრადიციულ ღვინის ქვეყნებში, როგორიცაა იტალია და საფრანგეთი. ქვევრის ღვინის ექსპორტს ამ ქვეყნებში შეაქვს ინფორმაცია საქართველოს შესახებ. ეს კი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა მარკეტინგულ სტრატეგიაში.

2014 წელს საქართველომ ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) გააფორმა, აღნიშნული დოკუმენტი ქართული პროდუქციის ევროპის ბაზარზე მარტივად მოხვედრას უწყობს ხელს. ამისათვის კი საჭირო გახდა რიგი კანონმდებლობისა დაპროცედურების ევროპულ სტანდარტებზე მორგება. აღსანიშნავია რომ უკანასკნელ წლებში ღვინის ექსპორტი იზრდება. 2017 წლის იანვარ-სექტემბერში საქართველოდან ღვინის ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში გაიზარდა. ექსპორტირებული ქვეყნების პირველ ხუთეულში ევროკავშირის წევრი ქვეყანა-პოლონეთია. ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით,

2017წლის იანვარ-სექტემბერში პოლონეთში გავიდა 1 869 852 ბოთლი ღვინო.

ღვინის ექსპორტი საგრძნობლად გაიზარდა საფრანგეთსა და გერმანიაში. სტატისტიკა შემდეგნაირად გამოიყურება:

	ქვეყანა	ზრდა %	ბოთლის რაოდენობა
1	გერმანია	28%	28 61 56
2	საფრანგეთი	321%	96 790
3	უკრაინა	54%	5 322 683
4	პოლონეთი	14%	1 869 852
5	ლატვია	36%(	1 141 778

წყარო: http://eugeorgia.info

2017წლის იანვარ-სექტემბერში საქართველოდან მსოფლიოს 45 ქვეყანაში ექსპორტირებულია 52,7 მლნ ბოთლი(0,75ლ.) ღვინო, რაც 63% აღემატება გასული წლის ანალოგიურ მონაცემებს. საანგარიშო პერიოდში ექსპორტირებულია 116 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ღვინო, რაც 55%-ით აღემატება გასული წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს.

მსოფლიოს 22 ქვეყანაში ექსპორტირებულია 11354403 ბოთლი (0,5ლ) ბრენდი რაც 89%-ით აღემატება 2016 წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს. სულ ექსპორტირებულია 25მლნ აშშ დოლარის ღირებულების ბრენდი. მატება გასული წლის ანალოგიურ პერიოდდთან შედარებით 84%-ს აღწევს.

ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ღვინომასალისა და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებული შემოსავლები საანგარიშო პერიოდში 194 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. ზრდამ 2016წლის ამავე პერიოდთან შედარბით 54% შეადგინა.

სოფლად განსაკუთრებით კახეთში, მევენახეობა შემოსავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ღვინის კომპანია თავად ფლობს ვენახებს, ხშირად ყურძენს საოჯახო მეურნეობებიდან ყიდულობენ. ქვეყნის მასშტაბით დაახლოებით 2-3-ჯერ მეტი ღვინო იწარმოება ოჯახებში, ვიდრე ღვინის ქარხნებში მზადდება. თუ ქართული ღვინის მოთხოვნა გაიზრდება, ფასიც გაიზრდება. ღვინის ქარხნებს შორის კონკურენცია გაზრდის ყურძნის ფასსაც, ხოლო მსოფლიო ბაზრებზე ქართული ღვინის პოპულარიზაცია პირდაპირ აისახება ქართველი მევენახე გლეხების შემოსავალზე. ექსპორტის გაზრდა ასევე გამოიწვევს ვენახების იმ ტერიტორიაზე გაშენებას, სადაც ისინი გაიჩეხა.

ჩვენი აზრით, ქართულ ღვინოზე მოთხოვნა რომ გაიზარდოს, საჭიროა შესაბამისი სარეკლამო კამპანიის განხორციელება. უნდა გაიმიჯნოს საკითხები, რა შეიძლება გააკეთოს სახელმწიფომ და რა - კერძო სექტორმა, როდის შეიძლება სახელმწიფოსა და კერძო სექტორის ერთობლივი თანამშრომლობა.

სხვადასხვა ქვეყნების ბაზარზე შესვლისათვის მიგვაჩნია რომ, საჭიროა ახალი ღვინის ბრენდების შექმნა. გასათვალისწინებელია ამა თუ იმ ქვეყნის მომხმარებლის გემოვნება, რასაც ბევრი ქართული ღვინის კომპანია წარმატებით ახერხებს. თუმცა ღვინის კომპანიებისათვის ახალი ბრენდის შექმნა და მისი პოპულარიზაცია დიდ დანახარჯებთან იქნება დაკავშირებული, არადა ახალი ბრენდების შექმნის თვალსაზრისით დიდი პოტენციალი გაგვაჩნია.

2012 წლიდან დღემდე საქართველოს მთავრობისა და კერძო სექტორის მონაწილეობით, აქტიურად ხორციელდება სტრატეგიული მარკეტინგული ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს ღვინის ექსპორტის ზრდას.

ექსპორტის ტრადიციული და ალტერნატიული ბაზრების გარდა, ღვინის ეროვნული სააგენტო ადგილობრივ ბაზარზეც მნიშვნელოვან ღონისძიებებს ატარებს („ქართული ღვინის დღე“, „ქართული ღვინის კვირეული“), რომლის დროსაც ქვეყნის სტუმრები და ტურისტები ღვინის კულტურასა და ტრადიციებს ადგილზე ეცნობიან.

მართალია ღვინის ექსპორტი იზრდება, მაგრამ კიდევ უფრო მეტი ძალისხმევაა საჭირო იმისათვის, რომ ქვეყანაში არსებული რესურსები მაქსიმალურად ეფექტიანად იქნეს გამოყენებული.

ამის ერთ-ერთ საშუალებად კი მიგვაჩნია წვრილი გლეხური მეურნეობების კოოპერაცია.

და ბოლოს სასიამოვნო პოზიტივი - ახალგაზრდა ამერიკელი რეჟისორის და სომელიეს საქართველოში ხუთთვიანი მოგზაურობის შემდეგ შეიქმნა სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი, რომელიც ბერლინის კინოფესტივალის შემდეგ ამერიკის არაერთ კინოთეატრში უკვე ბევრმა მაყურებელმა ნახა. „ჩვენი სისხლი ღვინოა"-ქართული მეღვინეობის კვალდაკვალ. ამ ფილმის ავტორები ქართული ღვინის 8000-წლოვანი ისტორიის ნაკვალევზე ცდილობენ უცხოელ მაყურებელს ყურძნის და ღვინის მიმართ ქართველების დამოკიდებულება და მათი უნიკალური კავშირი აჩვენონ. მათ არ სურდათ მხოლოდ ბიზნესზე, ღვინის წარმოებაზე ან კონკრეტულ ჯიშებზე მოეყოლათ, უნდოდათ ეჩვენებინათ ღვინის დაყენების ტრადიცია, როგორც ოჯახური რიტუალი და, ის ადამიანები რომლებიც ყურძენს თავის ოჯახისათვის წურავენ, სტუმრის გამასპინძლება ბედნიერად მიაჩნიათ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლ. კოჭლამაზაშვილი, თ. ყანდაშვილი. „დასავლეთ საქართველოს აგრარული სექტორის საექსპორტო პოტენციალი" (თანაავტორობით). ჟურნ. „ინოვაციური ეკონომიკა და მართვა", ტომი - IV, 2017.
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
3. ჟურნალი „ჩვენი სოფელი"
4. http://georgien.ahk.de/georgien/newsletter/agro-food-news-georgia/
5. http://eugeorgia.info/ka/
6. https://www.amerikiskhma.com

Georgian products on the European market

Kochlamazashvili Lela
Georgian Technical University, Professor
Kandashvili Teimuraz
Georgian Technical University, Professor
Grigalashvili Levan
Georgian Technical University, Professor

Summary

Georgia was once considered an agricultural country. With the right state policy, our entrepreneurs, farmers and peasants will be able to respond to the new challenges posed by signing the Association Agreement with the EU. They need to produce European standards, ecologically pure, competitive products and to have a decent place in the international market. This will further increase the attractiveness of agriculture for our businessmen as well as foreign investors.

The work discusses blueberry and wine export potential. Georgia is one of the oldest viticulture countries. Winemaking is one of the oldest traditions that Georgians have preserved. The export potential of "Kvevri's" wine is also considered. The "Kvevri's" wine was first discovered in Georgia 8 thousand years ago and this tradition is still maintained. The Georgian traditional method of Kvevri's" wine was awarded to UNESCO in 2013 as the intangible cultural heritage monument. The uniqueness of this method indicates the message that the wine is a part of ancient Georgian culture. This recognition is important for raising awareness of Kvevri's" wine and promoting Georgian wine. These products are increasing demand in neighboring countries markets as well as on the EU market. Strategic marketing policies will further assist the growth of these products.

საქართველო საერთაშორისო რეიტინგებში: მიღწევები, პრობლემები და პერსპექტივები

ლობჯანიძე გელა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი:

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დღევანდელი მდგომარეობის ანალიზი და შეფასება, ქვეყნის ტრანფორმაციისა და საერთაშორისო ურთი-ერთობებში აქტიური ჩართულობის თვალსაზრისით განსაკუთრებით აქტუალური და მნიშვ-ნელოვანია, რათა ობიექტურად გამოვლინდეს მსოფლიო და საერთაშორისო ურთიერთობებში საქართველოს ინტეგრაციის მიღწევები, პრობლემები და სწორად განისაზღვროს მათი გადაჭრის გზებთან ერთად გლობალურ პროცესებში ქვეყნის ეფექტიანი ჩართვის შესაძლებლობები.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, მდგრადი განვითარება, საერთაშორისო რეიტინგები, მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, ეკონომიკური პოლიტიკა და სტრატეგია.

ძირითადი ტექსტი: XX საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველომ, როგორც დამოუკი-დებელმა სახელმწიფომ, აქტიური თანამშრომლობა დაიწყო სხვადასხვა ავტორიტეტულ ეკონომიკურ ორგანიზაციებთან, სახელდობრ: მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია და სხვ. ამასთან, საქართველო, რეგიონული პროექტების ფარგლებში, ჩართულია ისეთი ტიპის სახელმწიფოებრივ გაერთიანებებში, როგორიცაა შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ორგანიზაცია, სუამი და სხვა. ცხადია, ყოველგვარ ასეთ თანამშრომლობას თან სდევს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. მაგალითად, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკთან ურთიერთობით საქართველომ საბაზრო ეკონომიკის განვითარება დაიწყო, გატარდა რეფორმები, ქვეყანამ მიიღო ასეული მილიონობით შეღავათიანი კრედიტი, მაგრამ ამავე ორგანიზაციის წევრობით ჩვენ გარკვეული ვალდებულებები და, შესაბამისად, შემდგომ შედეგებზე პასუხისმგებლობაც საქართველომ აიღო, რომელთა შესრულება აუცილებელია.

როგორც ცნობილია, გლობალიზაციის პერიოდასა და პირობებში ახალი წესრიგისა და შესაძლებლობების ჩამოყალიბება-წარმოშობამ, საქართველო ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა, რომელთაც ქვეყანა არასათანადოდ მომზადებელი შეხვდა. XX საუკუნის 90-იან წლებში გლობალური პროცესების დაწყებას დაემთხვა გარდამავალი პერიოდის ეკონომიკური კრიზისი, რამაც ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების 60-70 %-ით შემცირება გამოიწვია. შედეგად, საქართველო გლობალიზაციას შეხვდა, როგორც განვითარებადი ქვეყანა. დღეს საქართველოს წილი მსოფლიო მშპ-ს დაახლოებით 0,02 %-ს შეადგენს.

საქართველოს ეკონომიკა და მოსახლეობის კეთილდღეობა სულ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული საგარეო-ეკონომიკურ კავშირებსა და ინვესტიციებზე. დღეს საქართველოს საგარეო-ეკონომიკური კავშირები აქვს მსოფლიოს 160-ზე მეტ ქვეყანასთან. ჩვენი ქვეყნის სამომხმარებლო ბაზრის დაახლოებით 65 % იმპორტული საქონლის წილად მოდის [1,2,3,4].

XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე გლობალური პროცესების გაღრმავებამ დღის წესრიგში დააყენა გლობალიზაციის კომპლექსური მაჩვენებლის შემუშავება. 2002 წელს შეიქმნა გლობა-ლიზაციის KOF-ინდექსი, რომელიც არის აგრეგირებული მაჩვენებელი და მოიცავს სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ასპექტებს, ხოლო ამ სამი ინდექსის შეწონვის შედეგად გამოანგარი-შებულია ერთიანი გლობალიზაციის ინდექსი, რომელსაც **ციურიხის ტექნოლოგიური უნივერსი-ტეტი ყოველწლიურად აქვეყნებს და**, რომელიც 207 ქვეყანას მოიცავს. ეკონომიკური გლობა-ლიზაციის ინდექსს ერთიან ინდექსში აქვს 36 %-ული წილი, სოციალური გლობალიზაციის ინდექსს – 39 %-ული წილი, ხოლო პოლიტიკური გლობალიზაციის ინდექსს 25 %-ული წილი [5].

ქვეყნის გლობალიზაციის დონე გვიჩვენებს, თუ რამდენად არის ქვეყანა ინტეგრირებული

მსოფლიოში ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური კუთხით. გლობალიზაციის მაღალი დონე ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ხელშემწყობ ფაქტორადაა მიჩნეულია. ეკონომიკური გლობალიზაციის დონის განსაზღვრა საერთაშრისო ვაჭრობის და უცხოური კაპიტალის მოძრაობის სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით ხდება.

საქართველო ეკონომიკური გლობალიზაციის მიხედვით, 2017 წლის მონაცემებით მსოფლიოში მე-19 ადგილს იკავებს 64.13 ინდექსის მნიშვნელობით, ხოლო ზოგადად გლობალიზაციის დონით 65-ე ადგილზეა 83.01 ინდექსის მნიშვნელობით, სოციალური და პოლიტიკური გლობალიზაციის მიხედვით, კი – 70-ე და 146-ე ადგილზეა 57.44 და 48.79 ინდექსის მნიშვნელობებით (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1

საქართველო გლობალიზაციის KOF-ის ინდექსის სიაში, 2017 წელი [6]

ერთიანი გლობალიზაციის ინდექსი		ეკონომიკური გლობალიზაცია		სოციალური გლობალიზაცია		პოლიტიკური გლობალიზაცია	
ადგილი რეიტინგში	ინდექსის მნიშვნელობა	ადგილი რეიტინგში	ინდექსის მნიშვნელობა	ადგილი რეიტინგში	ინდექსის მნიშვნელობა	ადგილი რეიტინგში	ინდექსის მნიშვნელობა
65	64.13	19	83.01	70	57.44	146	48.79

საქართველო მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2017-2018 წლების გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში (GCI – Global Competitiveness Index) 137 ქვეყანას შორის 67-ე ადგილზეა 4.3 სარეიტინგო ქულით და წინა წელთან შედარებით 8 ადგილით ჩამოქვეითდა. აღსანიშნავია, რომ სარეიტინგო ქულის (4.3) უცვლელობის პირობებში ადგილების დაკარგვა უკავშირდება იმას, რომ სხვა ქვეყნებმა გატარებული რეფორმების შედეგად ადგილის გაუმჯო-ბესება შეძლეს. საქართველოში რიგი მიმართულებით კი, პოზიციების გაუარესება შეიმჩნევა, მაგალითად, ახალ ინდექსში საქართველო სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობით 87-ე ადგილზეა, წინა წლის ინდექსში კი, ის 63-ე ადგილს იკავებდა. ამავე ინდექსის მიხედვით, საქა-რთველოს ყველაზე რთული მდგომარეობა ინოვაციების მიმართულებით აქვს. ამ მაჩვენებლის მიხედვით, ის რეიტინგში 118-ე ადგილზე იმყოფება (2016-2017 წელს 116-ზე იყო). დაბალი ინოვაციების დონე კომპანიების მხრიდან საკმაოდ დაბალ კვლევის მაჩვენებელს (R&D), უნივერსიტეტების მხრიდან კვლევაზე დახარჯულ მცირე თანხებსა და ქვეყანაში კვალიფიციურ ინჟინერთა და მეცნიერთა მცირე რაოდენობას უკავშირდება. ინოვაციების მიმართულებით საქართველოს სარეიტინგო ქულა არის 2.8 [7].

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის (GCI) მიხედვით ბიზნესის ძირითად პრობლემებად რჩება არაკვალიფიციური სამუშაო ძალა, ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, ინფლაცია, სუსტი სამუშაო ეთიკა ეროვნულ სამუშაო ძალაში, ინოვაციების არასაკმარისი შესაძლებლობები, არაეფექტური სამთავრობო ბიუროკრატია, გაუმართავი ინფრასტრუქტურა, პოლიტიკური და სამთავრობო არასტაბილურობა, საგადასახადო განაკვეთები, მათი და უცხო-ური ვალუტის რეგულაციები, კორუფცია, სუსტი ჯანდაცვა, შემზღუდავი სამუშაო რეგულა-ციები, სამართალდარღვევები და ქურდობა. ხოლო, კონკურენტუნარიანობის ამაღლების კუთხით საქართველოს მთავარ გამოწვევად ისევ რჩება ინსიტუტების გაძლიერება, განათლების ხარისხის გაუმჯობესება და შრომითი ბაზრის ეფექტიანობის გაზრდა.

ქვეყნის ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების (ეეუ) შეფასებისას მნიშვნელოვანია საქართველოს რეიტინგები ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში, რომელიც შეიქმნა 1995 წელს აშშ-ს ერთ-ერთი ყველაზე დიდი კვლევითი ორგანიზაციის - The Heritage Foundation-ის მიერ და ამ ინდექსში 2018 წლის მონაცემებით საქართველო მე-16 პოზიციაზეა 180 ქვეყანას შორის 76.2 ქულით (წინა წელთან შედარებით 0.2 პუნქტიანი გაუმჯობესება და პოზიციის 3 ერთეულით გაუარესება) და რჩება უმეტესად თავისუფალ ჯგუფში; იმავე 2018 წელს საქართველომ მე-9 ადგილი დაიკავა ევროპის

რეგიონში 44 ქვეყანას შორის და ქვეყნის საშუალო ქულა (76.2) 7.4 ქულით აღემატება ევროპის რეგიონის საშუალო ქულას (68.8), ხოლო მსოფლიოს საშუალო ქულას - 15.1 ქულით [8].

მსოფლიო ბანკის Doing Business 2018 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველოს რეიტინგი 7 ადგილით გაუმჯობესდა. 2018 წელს საქართველოს ქულა 2.12 პუნქტით გაუმჯობესდა (82.04 ქულამდე) და 190 ქვეყანას შორის მე-16 ადგილიდან მე-9 ადგილზე გადაინაცვლა [9].

„საერთაშორისო გამჭვირვალობის" ბერლინის სამდივნოს მიერ გამოქვეყნებულ „კორუფციის აღქმის ინდექსის" 2017 წლის კვლევაში საქართველოს 56 ქულა აქვს და 46-ე ადგილზეა 180 ქვეყანას შორის და საუკეთესო მაჩვენებელია აღმოსავლეთ ევროპის (ევროკავშირის წევრი ქვეყნების გამოკლებით) და ცენტრალური აზიის რეგიონში [10].

მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის შესახებ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანგარიშში, დაცულობისა და უსაფრთხოების კომპონენტში, საქართველო მაქსიმალური 7 ქულიდან 6.01 ქულით არის შეფასებული და მსოფლიოს 136 ქვეყანას შორის 29-ე ადგილს იკავებს. 2015 წელს ეს უკანასკნელი 5.96-ს შეადგენდა და ქვეყანა რეიტინგში 32-ე ადგილს იკავებდა [11].

2017 წლის გლობალური მშვიდობის ინდექსში, საქართველო 163 ქვეყანას შორის 94-ე ადგილს იკავებს და უსაფრთხოების საშუალო დონის ქვეყნების ჯგუფს განეკუთვნება. ამ მხრივ, საქართველოს პოზიცია 2016 წელთან შედარებით 2 საფეხურით გაუმჯობესდა და ქვეყნის სარეიტინგო ქულა 2.084-ია [12].

ცხადია, 2018 წლის რეიტინგებში საქართველოს მნიშვნელოვანი წარმატება და საერთაშორისო აღიარება საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული რეფორმების შედეგია, რომელთაგან ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენის გამოყოფა შეიძლება, სახელდობრ აღსანიშნავია თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმი, რამაც უნდა განამტკიცოს საქართველოს როლი გეოპოლიტიკურ რუკაზე, როგორც დამაკავშირებელი ხიდი ევროპისა და აზიის ბაზრებს შორის, მნიშვნელოვანია ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის გახსნა, რაც სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიას ევროპასთან დააკავშირებს და გაზრდის საქართველოს სატრანზიტო მნიშვნელობას, რის გამოც პროექტი უდავოდ წინგადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევა, აქვე განსაკუთრებულია თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება გაფორმება ჩინეთთან, რამაც საქართველოში წარმოებულ პროდუქტებსა და მომსახურებას, მსოფლიოს უდიდეს ბაზარზე გაუხსნა გზა, რომელიც დაახლოებით 1,4 მილიარდ მომხმარებელს აერთიანებს. ცხადია, ეს წინგადადგმული ნაბიჯია და ექსპორტზე ორიენტირებულ მეწარმეს, მეტ სტიმულს უჩენს გავიდეს უმსხვილეს ბაზარზე; საგადასახადო ადმინისტრირების კუთხით აღსანიშნავია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის დანერგვა, რამაც ბიზნესს მოგების რეინვესტირების სტიმული მისცა. 2017 წლის სამი კვარტლის მონაცემებით, რეფორმის ფარგლებში უცხოელმა ინვესტორებმა რეინვესტირების სახით 600 მილიონი აშშ დოლარი ჩააბრუნეს განვითარებისთვის, რაც თავისთავად მეტ წარმოებას და მეტ სამუშაო ადგილს ნიშნავს. რეფორმის ნაკლოვანებას რაც შეეხება, ეს მეტწილად დაკავშრებულია იმ რეალობასთან, როდესაც საქართველოში პროდუქციის ძირითადი გამომშვები მსხვილი ბიზნესია და შესაბამისად ის მეტად სარგებლობს რეფორმით, გამომდინარე იქიდან, რომ მას აქვს შესაძლებლობა მოგება არ წაიღოს და გაფართოვების მიზნით ბიზნესის განვითარებას მოახმაროს, ხოლო მცირე და საშუალო ბიზნესში, მცირეა იმგვარი კატეგორია, რომელიც ამ რეფორმით ისარგებლებს, ვინაიდან მათი შემოსავლები ძირითადად მიმდინარე საჭიროებების დაკმაყოფილებას ხმარდება [13].

მნიშვნელოვანია საქართველოს ჩამორჩენა განვითარებული საბაზრო ეკონომიკის წევრი ქვეყნებისაგან განათლებაზე, ჯანდაცვასა და სოციალურ დაცვაზე გაღებული ხარჯებით. ევროკავშირის ქვეყნებთან შედარებით საქართველოში განათლების წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში 2–ჯერ, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტში – თითქმის 1.5–ჯერ ნაკლებია, ჯანდაცვაზე გაღებულ ხარჯებში, შესაბამისად, 3.3–ჯერ და 2.3–ჯერ, ხოლო სოციალურ დაცვაზე გაღებული ხარჯების მიხედვით – 1.9–ჯერ და 2.1–ჯერ [14].

ამასთან ერთად, საყურადღებოა საქართველოს ის ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებ-ლები, რომლებიც ქვეყნის მდგრადობას და უსაფრთხოებას მნიშვნელოვნად განაპირობებს და, რომლებიც

ჯერ კიდევ არასაკმარისია, კერძოდ მშპ-ის ზრდის დაბალი ტემპი (2017 წელი 4.5 %) და ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის დაბალი მაჩვენებელი (2017 წელი PPP-ს მიხედვით 10 644 აშშ $, უმუშევრობის 2016 წელი 11.8 %), სახელმწიფოს მთლიანი საგარეო ვალის (2017 წელი 17 203.5 მლნ აშშ $ და მშპ-ს 113.5 %), ფარდობითი და აბსოლუტური სიღარიბის მაღალი მაჩვენებელი (20.6 % და 21.3 %), საგარეო ვაჭრობის მკვეთრი უარყოფითი სალდო (2017 წელი -5 253.3 და ა. შ. [15].

ბუნებრივია, განხილული საკითხები სრულებითაც ვერ ამოწურავენ იმ რისკებისა და გამოწვევების ჩამონათვალს, რომლებსაც აწყდება ქართული სახელმწიფოებრიობა თავის განვითარებაში. სერიოზულ რისკ-ფაქტორების შემცველია ისეთი გარემოებებიც, როგორიცაა ქვეყნის ეკოლოგიური მდგომარეობა, სიღარიბის პრობლემა, ფასების დონე, მცირე და საშუალო ბიზნესის შედარებით მოკრძალებული როლი ეკონომიკაში, ჩამორჩენა მსოფლიო დონესა და განვითარებულ ქვეყნებთან, დემოგრაფიული მდგომარეობის სიმძიმე და მოსახლეობის დაბე-რება, მზარდი სხვაობა საქართველოს რეიტინგებში ადამიანური განვითარების ინდექსისა (2016 წლის შედეგების მიხედვით, მსოფლიოს 188 ქვეყანას შორის საქართველომ 70-ე ადგილი დაიკავა 0.769 ინდექსით) [16] და ეკონომიკური განვითარების დონეებს შორის, ეკონომიკის რეალური სექტორის დაბალი წილი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების არაეფექტურობა, მზარდი საგარეო ვალები, სოფლის მეურნეობის მძიმე მდგომარეობა, უმუშევრობის პრობლემა, სოციალური ხარჯების დაბალი წილი მთლიან შიდა პროდუქტსა და სახელმწიფო ბიუჯეტში და ა.შ. ამასთან, საქართველო სათანადოდ ვერ იყენებს გეოპოლიტიკური შედარებითი უპირატე-სობის შესაძლებლობას, რაც სახელმწიფოში შესაბამისი სატრანსპორტო-ლოჯისტიკური პოლი-ტიკის არ არსებობასთან არის დაკავშირებული. არსებული გამოწვევებიდან მნიშვნელობის თვალსაზრისით ლარის კურსის მკვეთრი მერყეობაა. დოლარიზაციის ჯერ კიდევ მაღალი მაჩვ-ენებელი, ლარის გაუფასურების დროს მნიშვნელოვან პრობლემებს იწვევს მსესხებლებისთვის დოლარში ვალდებულებების ზრდის კუთხით, რაც უარყოფითად მოქმედებს მათ მსყიდველუ-ნარიანობაზე და შესაბამისად უარესდება სოციალური ფონი. არსებულ გამოწვევად ნარჩუნდება ბიზნესისთვის ფინანსურ რესურსებზე ხელმიუწვდომლობა და არადივერსიფიცირებული ფინანსური ბაზრები, განუვითარებელი საფონდო ბირჟა და ძვირი საკრედიტო რესურსი, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს კერძო ინიციატივების დაფინანსებასთან ერთად მრავალ პოტენცი-ურად წარმატებულ ბიზნესს.

საქართველოს საერთაშორისო რეიტინგებში დაწინაურება და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებაზე და ისეთი საკითხების დაძლევაზე, როგორიცაა: კანონის უზენაესობის ამაღლება-განმტკიცება, ბიუჯეტის ხარჯების შემცირება-ოპტიმიზაცია და ინფლაციის დონის შემცირება. კანონის უზენაესობის მხრივ გაცილებით დიდი პრობლემაა კერძო საკუთრების დაცვაში, რაც პირდაპირ მიბმულია სასამართლო სისტემაში არსებულ პრობლემებზე. შესაბამისად, აღნიშნული პრობლემა მოგვარდება მაშინ, როცა გვექნება უფრო ეფექტიანი, დამოუკიდებელი და კომპეტენტური სასამართლო. ინფლაციის დონის შესამცირებლად, ასევე მნიშვნელოვანია ეკონომიკური ზრდის ტემპის ამაღლება და ლარის კურსის დასტაბილურება. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სწრაფი, საშუალო - თუ გრძელვადიანი ეკონომიკური კიდევ უფრო მეტი რეფორმის ეფექტიანი განხორციელება უსაფრთხოების, ინსტიტუციების საიმედოობის, მართლმსაჯულების, პოლიტიკური და მმართველობითი ეფექტიანობის მიმართულებით.

საქართველოს რეალური სექტორის განვითარება და მეცნიერებატევადი და ტექნოლოგიატევადი პროდუქციის წარმოების მასშტაბების ზრდა, როგორც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტად აღიარება, მოითხოვს ამ სფეროს კომპლექსური განვითარების სტრატეგიის შემუშავებას და ეფექტიან რეალიზაციას, რომელმაც იაფი ფინანსური რესურსის შემოდინების გზით ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკური ზრდის და დასაქმების წახალისებას ქვეყანაში და შესაბამისად, კიდევ უფრო გააძლიეროს ქვეყნის ეკონომიკის დაცულობა უარყოფითი გლობალური ეკონომიკური ფაქტორებისგან.

ამრიგად, წინამდებარე ნაშრომში განხილული საკითხების არსებითი გადაჭრა ხელს შეუწყობს

საქართველოს წინაშე მდგარი გამოწვევებისადმი ადექვატურ და ეეფექტიან რეაგირებასთან ერთად, სახელმწიფოს უფრო მდგრად განვითარებას და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას.

ლიტერატურა:

1. ა. აბრალავა. ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია. თბილისი, ,,ინოვაცია", 2005. 380 გვ.
2. რ. ასათიანი. საქართველოს ეკონომიკა. თბილისი, 2012, 308 გვ.
3. რ. ოთინაშვილი. საქართველოს ეკონომიკა. თბილისი, 2011, 556 გვ.
4. http://www.geostat.ge/
5. https://www.hse.ru/org/hse/4432173/mathbase/databases/db_35
6. https://www.ethz.ch/content/dam/ethz/special-interest/dual/kof-dam/documents/Globalization/rankings_2017.pdf
7. http://www.economy.ge/uploads/files/2017/reitingebi/gci_2017_2018_geo_.pdf
8. http://www.economy.ge/uploads/files/2017/reitingebi/heritage_2018_geo.pdf
9. http://www.economy.ge/uploads/files/2017/reitingebi/doing_business_2018_geo.pdf
10. http://www.economy.ge/uploads/ek_ciprebshi/reitingebi/reitingebi_geo/CPI_2016_GEO.pdf
11. http://factcheck.ge/article/saqarthvelo-dghes-usaphrthkho-qveqhnebis-siashi-motsinave-adgilasaa-usaphrthkhoebis-komponentshi-qhvela-saerthashoriso-reitingshi-davtsinaurdith/
12. https://bpn.ge/ekonomika/35292-globaluri-mshvidobis-indeqsis-thanakhmad-saqarthveloshi-mshvidobis-done-qsashualo-shkalithq-shefasda.html?lang=ka-GE
13. https://bpn.ge/ekonomika/41179-2017-tslis-mnishvnelovani-ekonomikuri-movlenebi-da-gamotsvevebi.html?lang=ka-GE
14. https://idfi.ge/ge/health-care-expenditure-who-recommendations-georgia
15. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ეროვნული ბანკის და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები.
16. http://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/presscenter/pressreleases/2017/04/11/undp-presents-global-and-regional-human-development-reports-.html

Georgia in International Ratings: Achievements, Problems and Perspectives

Lobjanidze Gela

Summary

The paper deals with the international ratings of the various socio-economic characteristics, which are based on data from various international organizations, major problems have been identified in the country's competitiveness, based on the analysis of contemporary challenges Georgia assessed the business environment, analyzing of basic macroeconomic indicators and suggestions for improving the socio-economic and international rankings in terms of the increase.

Key words: Globalization, sustainable development, international ratings, macroeconomic indicators, economic policy and strategy.

„ბიზნესის” საწყისები და განვითარება საქართველოში

მამფორია ნანი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ბერიშვილი ავთანდილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრანტი

აბსტრაქტი

სიტყვა “ბიზნესის” სამეურნეო და სამეცნიერო გაგება საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან ერთად შემოვიდა და ამავე პერიოდიდან დაიწყო მისი თავდაპირველი თეორიული გააზრება. თუმცა ბიზნესის მხოლოდ საბაზრო ეკონომიკურ მოვლენად აღიარებით, მნიშვნელოვანწილად ღარიბდება მისი შინაარსი და ხელოვნურად იზღუდება როგორც მისი მოქმედების ისტორიული არეალი, ასევე ეკონომიკური არსი, რაც მეცნიერული თვალსაზრისით მიუღებელია. ამ თვალსაზრისით ბიზნესის წარმოშობა საქონელგაცვლის წარმოშობას უკავშირდება და შეიძლება ჩაითვალოს კაცობრიობის მთელი ისტორიის თანმდევად, ყველა ეკონომიკური სისტემისათვის დამახასიათებელ მოვლენად. მას ვხვდებით იმ ეპოქიდან, როცა გვარებსა და ტომებს შორის დაიწყო ურთიერთხელსაყრელი ბარტერული გაცვლები და ვაჭრობა. ბიზნესის განვითარებას კიდევ უფრო შეუწყო ხელი ხელოსნობისა და ვაჭრობის ცალკე დარგად ჩამოყალიბებამ.

საკვანძო სიტყვები: *კაცობრიობა, პროფესიები, პროდუქცია, სავაჭრო, მეწარმეობა, სახელოსნოები.*

ძირითადი ტექსტი

ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ საქართველოში მეწარმეობა სათავეს მონათმფლობელური წყობილებიდან იღებს და ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, აქაც ვაჭრობით იწყება. ფეოდალური წყობის დროს მამულებში იქმნებოდა მიწათმოქმედების დამატებითი პროდუქცია, რაც ვაჭრობის განვითარებასთან ერთად ხელს უწყობდა ხელოსნობის განვითარებას. ხელოსნური წარმოების პირველი და უძველესი ფორმა იყო ოჯახური მრეწველობა, რომლისგანაც შემდეგ სხვა ფორმებიც განვითარდა. ამზადებდნენ სხვადასხვა სახის ხელოსნურ პროდუქტს, ქსოვილებსა და ტანისამოსს, ნედლეულად კი იყენებდნენ გლეხებისაგან გადასახადების სახით მიღებულ მატყლს, ბამბას, სელს, კანაფს, აბრეშუმს. განვითარებული იყო რკინის, სპილენძის, ვერცხლის, ოქროს მჭედლობა. საქონელს, ხელოსნობისა და საოჯახო მეურნეობის ნაწარმს ყიდდნენ დუქნებსა და სახელოსნოებში. მათ გვერდით გლეხობასაც გამოჰქონდა გასაყიდად თავისი ჭარბი პროდუქცია.

შრომის დანაწილების გაღრმავებასთან ერთად სულ უფრო მეტი შინამეურნეობა ფართოვდებოდა და ერთვებოდა სავაჭრო ბრუნვაში. საუკეთესო საქონელი საზღვარგარეთაც გადიოდა. XII-XIII საუკუნეებში საქართველო ითვლებოდა ევროპა-აზიის უდიდეს სახელმწიფოდ, რომელსაც გააჩნდა სავაჭრო ურთიერთობები ბიზანტიასთან, ეგვიპტესთან, ერაყთან, სირიასთან, ირანთან, ინდოეთთან, რუსეთთან და ა. შ. საექსპორტო საქონელს შეადგენდა მაშინდელი საყოფაცხოვრებო ნივთები, აგრეთვე ბამბა, აბრეშუმი, ძვირფასი სამოსელი, ღვინო, თაფლი და ა.შ. XIII საუკუნის დასაწყისში ეკონომიკური ურთიერთობები იმდენად განვითარებული იყო, რომ შეიქმნა პირობები საბაზრო ურთიერთობებისა და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების ჩასახვისათვის, მაშინ როდესაც დასავლეთ ევროპაში აღნიშნული ურთიერთობები მკვიდრდდება ოთხი საუკუნის შემდეგ, XVII ს-დან. სამწუხაროდ, საქართველოში საბაზრო ურთიერთობების ფორმირებას ხელი შეუშალა მონღოლების შემოსევებმა. მტრების შემოსევები ანადგურებდა კულტურულ მემკვიდრეობას, ასუსტებდა ქვეყანას ეკონომიურად და ამცირებდა მოსახლეობის რაოდენობას. მიუხედავად აღნიშნულისა, მოსახლეობაში მაინც ხდებოდა იმ უნარ-ჩვევების შენარჩუნება, რასაც მეურნეობრიობისა და საქონელწარმოების ქართული ტრადიციები ჰქვია.

მეწარმეობის განვითარების ახალი ეტაპი საქართველოში XIX ს-ის 30-იანი წლების შემდგომი პერიოდიდან იწყება. ამ პროცესში დიდი როლი შეასრულა 1821 წელს სამხრეთ კავკასიაში შეღავათიანი

საგარეო-სავაჭრო ტარიფების დაწესებამ, ამით სრული თავისუფლება მიენიჭა ევროპული კაპიტალის შემოსვლას რეგიონში. დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის საქართველო იქცა სატრანზიტო გზად. მნიშვნელოვანი ოდენობით საქონელი გადიოდა ირანიდან და შუა აზიის ქვეყნებიდან საქართველოს გავლით ევროპულ სახელმწიფოებში. სავაჭრო ურთიერთობებში ბუნებრივია, მონაწილეობდა ქართული მხარეც – კერძოდ, თბილისელი, გორელი და ქუთაისელი ვაჭრები. სახელმწიფოთა შორის სავაჭრო ურთიერთობებში საქართველოს ჩართვა და კაპიტალის შემოდინება ხელს უწყობდა საშინაო ვაჭრობის ტვირთბრუნვის გაფართოებას და ამზადებდა ნიადაგს სავაჭრო კაპიტალის წარმოებაში დაბანდებისათვის, განსაკუთრებით ისეთ დარგებში, რომლებიც დამყარებულნი იყვნენ ადგილობრივი ნედლეულის, კერძოდ სასოფლო სამეურნეო ნედლეულის გადამუშავებაზე და ამზადებდნენ ისეთ პროდუქტებს, რომელთაც დიდი გასავალი ჰქონდათ რუსეთის ბაზრებზე.

საქონლის ექსპორტ-იმპორტის ხელშეწყობის მიზნით: 1831 წელს ჩამოყალიბდა `კავკასიის სავაჭრო დეპო~; 1833 წელს `სოფლის მეურნეობის მანუფაქტურული მრეწველობისა და ვაჭრობის წახალისების საზოგადოება~; 1836 წელს დაარსდა `ქართული ღვინის კომპანია~, 1847 წელს შეიქმნა `ამიერკავკასიის საბითუმო ვაჭრობის საზოგადოება~, მანუფაქტურული საქონლის მაღაზია. XIX საუკუნის 30-იან წლებში საქართველოში შექმნილმა გარკვეულმა პოლიტიკურმა სტაბილურობამ ხელი შეუწყო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მთელი რიგი დარგების განვითარებას. ამ პროცესებს ხელს უწყობდა უცხოეთიდან შემოტანილი გაუმჯობესებული მანქანა-იარაღები, უცხოელი სპეციალისტების დაქირავება და მათ მიერ ადგილობრივი კადრების მომზადება. ყალიბდებოდა კაპიტალისტურ ყაიდაზე მოწყობილი მანუფაქტურული ტიპის საწარმოები. ცვლილებათა კვალდაკვალ აღინიშნებოდა ცვლილებები შინამრეწველობაშიც. შინამრეწველობა ანუ საოჯახო მრეწველობა წარმოადგენდა გადამამუშავებელი მრეწველობის ერთ-ერთ ფორმას. ამ დროს ხდებოდა ნედლი მასალის გადამუშავება იმავე მეურნეობაში, რომელიც მას მოიპოვებს. წარმატებული მეწარმეობის განვითარების შემთხვევაში შინამრეწველი მალე გადიოდა ბაზარზე, მუშაობდა ბაზრისათვის და ყალიბდებოდა კაპიტალისტური შინამრეწველობა. შინამრეწველებს შორის იყვნენ როგორც უცხოეთიდან მოწვეული თუ საკუთარი სურვილით გადმოსახლებული წვრილი ხელოსნები, ისე ქართველი შინამრეწველები.

საქართველოში XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისში აქტიურად შემოდიოდა უცხოური ინვესტიციები. სამეწარმეო საქმიანობას ეწეოდნენ სომხები, რუსები, ბერძნები, თურქები, ებრაელები, გერმანელები, ინგლისელები და სხვა ეროვნების წარმომადგენლები.

უნდა აღინიშნოს, რომ მე-19 საუკუნის საქართველოშიც ესმოდათ ინოვაციის მნიშვნელობა მაღალი შემოსავლის მიღების საქმეში. მაგალითად რეალური ინოვაციის მაგალითია ქართულ მეღვინეობაში ყიფიანის მიერ სამი ჯიშის ყურძნისაგან ახალი ღვინის დამზადება, რომელიც დღეს `ხვანჭკარას~ სახელწოდებითაა ცნობილი. პროგრესულად მიგვაჩნია იმ დროისათვის მცირე მეწარმეების მხარდამჭერი სახელმწიფო ინსტიტუტის `კუსტართა კომიტეტის~ არსებობა, რომელსაც გააჩნდა ფილიალური ქსელი და ნერგავდა იმ დროისათვის მოწინავე სამეურნეო გამოცდილებას. მისი მთავარი სახელმწიფო ფუნქცია იყო ადგილებზე გამოევლინა ახალი პროდუქციის წარმოების პირობები, მოემზადებინა კადრები და მოეწყო წარმოება-რეალიზაციის მექანიზმი.

ამრიგად, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში წინააღმდეგობრივად, მაგრამ თანდათანობით ფეხს იკიდებს საბაზრო ურთიერთობები. ამას ხელი შეუწყო 60-იან წლებში ბატონყმობის გაუქმებამ და საგლეხო რეფორმამ. კაპიტალიზმის აღმოცენებამ ფეოდალური ცხოვრებით დაბეჩავებული გლეხი ცხოვრების ახალ სარბიელზე გამოიყვანა. ამას ხელი მნიშვნელოვნად შეუწყო რკინიგზის განვითარებამ. აღმოსავლეთ საქართველოს დაკავშირებამ დასავლეთ საქართველოსთან დინამიური გახადა სავაჭრო-სამრეწველო პროცესები და იაფი ნედლეულითა და სასარგებლო წიაღისეულით მდიდარ მხარეში აღორძინება დაიწყო წარმოებამ. შეიცვალა ქვეყნის ეკონომიკური სტრუქტურა, რომლის მიზეზიც იყო საქართველოს ეკონომიკაში გაბატონებული საზღვარგარეთული კაპიტალი. მაგალითად, თბილისში ქართული კაპიტალის წილი წარმოებასა და ვაჭრობაში მხოლოდ

13,5%-ს შეადგენდა. არსებული ეკონომიკური პოლიტიკა არ პასუხობდა საკუთარი რესურსების ხარჯზე ეროვნული ეკონომიკის შექმნასა და განვითარებას. თუმცა შეუძლებელია მხედველობიდან გამოგვრჩეს ისეთი წარმატებული ქართველი მეწარმეები, რომელთა თითზე ჩამოთვლა შეიძლება, მაგრამ რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით საქართველოს ეკონომიკურ და საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების განვითარებაში. ესენი არიან: დავით ბაქრაძე, დავით სარაჯიშვილი, ძმები ზუბალაშვილები, გიორგი ქართველიშვილი, მიტროფანე ლაღიძე, აკაკი ხოშტარია და სხვები.

მიუხედავად იმისა რომ, მეწარმეობა გარკვეულ დონეზე განვითარებული იყო, საქართველო მაინც ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყანა გახლდათ, რომელსაც ცალმხრივად განვითარებული მრეწველობა და ნაკლებ პროდუქტიული, წვრილგლეხური სოფლის მეურნეობა ჰქონდა. ის თანდათან ერთვებოდა მსოფლიო საქონელმიმოქცევაში, თუმცა ამ პროცესს ხელი შეუშალა მბრაძანებლურ-საბჭოური ეკონომიკური სისტემის დამყარებამ, რომლის დროსაც არათუ მცირე ბიზნესის წინსვლა-განვითარებაზე, არამედ საერთოდ `კერძო მეწარმეობაზე~ ნეგატიური წარმოდგენა დამკვიდრდდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ მცირე ბიზნესის ფორმირებას განსაკუთრებით შეუწყო ხელი იმ გარემოებამ, რომ განსახელმწიფოებრიობისა და პრივატიზაციის პროცესი პირველად საბჭოური მცირე საწარმოებით დაიწყო. მხოლოდ 1993 წელს პრივატიზებული საწარმოების საერთო რაოდენობიდან მცირე იყო 98,4%, სულ 1993-2000 წლებში პრივატიზებულ საწარმოთა საერთო რიცხვში მცირე საწარმოების ხვედრითმა წილმა შეადგინა 92,7%. (წელიდწლეული 2001). მიუხედავად რაოდენობრივი სიდიდისა მათი მნიშვნელოვანი ნაწილი (15-17%) უმოქმედოდ იყო, ხოლო 40-45% უმნიშვნელო დატვირთვით მუშაობდა. ამის მიზეზი იყო ძველი კავშირურთიერთობების მოშლა, ურთიერთ დაპირისპირებება, ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლა, ასევე ეკონომიკური ხასიათის ისეთი პრობლემები, როგორიცაა ფინანსური სახსრების უკმარისობა, კონკურენციულ ბრძოლაში ჩართვის უუნარობა, საბანკო სფეროს განუვითარებლობა, სასურველი საინვესტიციო გარემოს უქონლობა, საწარმოთა მართვის საქმეში გამოუცდელობა და სხვა. ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო მოსახლეობა იძულებული გახდა კვლავ მიბრუნებოდა მისთვის ძველ საქმიანობას: ოჯახურ წარმოებას, ხელოსნობას, ვაჭრობას. მათმა დიდმა ნაწილმა თავი მოიყარა ცენტრალურ ქალაქებში, სადაც ხალხმრავალ ადგილებში მომრავლდა სავაჭრო ჯიხურები, დახლები, ჰიგიენური სალონები, წვრილი სავაჭრო მაღაზიები, სახელოსნო წარმოებები და ა.შ. ამდენად, ლეგალური თუ არალეგალური ფორმით, მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ხელი მოჰკიდა ,,სიცოცხლის უზრუნველმყოფ" მცირე ბიზნესს. სწორედ ამ წლებში ვლინდება მცირე ბიზნესის უნარი, ეკონომიკური კრიზისის დროს ხელი შეუწყოს სოციალური და პოლიტიკური სტაბილიზაციის დამყარებას, მოსახლეობის დასაქმებას.

1993 წელს მიღებულ იქნა სახელმწიფო მეთაურის ბრძანებულება ,,საქართველოში კერძო მეწარმეობის განვითარების გადაუდებელი ღონისძიებების შესახებ". 1993 წლის 6 აგვისტოს მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით ,,საქართველოს რესპუბლიკაში მცირე საწარმოების საქმიანობის განვითარებისა და ხელშეწყობის ღონისძიებათა შესახებ". მცირე საწარმოებს მიეკუთვნებოდა ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელსაც გაბატონებული მდგომარეობა არ ეჭირა დარგში, ხოლო მომუშავეთა საშუალო სიობრივი რიცხოვნობა ცალკეული დარგების მიხედვით არ აღემატებოდა: მრეწველობასა და მშენებლობაში – 50 კაცს, ტრანსპორტზე _ 40 კაცს, მეცნიერებაში, სამეცნიერო და სამედიცინო მომსახურებაში – 30 კაცს, სხვა დარგებში – 20 კაცს. 1993 წელსვე ეკონომიკის სამინისტროს სისტემაში შეიქმნა ,,მცირე ბიზნესის განვითარების ფონდი". 1994 წლის 28 ოქტომბერს ,,მეწარმეთა შესახებ" კანონის მიღებით ზემოთ აღნიშნული დებულებები და კანონები გაუქმდა. ამ კანონის მოთხოვნების შესაბამისად, კერძო სამართლებრივი წესით შექმნილი საწარმოები დაექვემდებარა ხელახალ რეგისტრაციას 1996 წლის 1 იანვრამდე. მცირედ ჩაითვალა ის საწარმოები, რომელსაც შტატში ჰყავდა არაუმეტეს 20 თანამშრომელი. 1994 წლიდან დაიწყო მცირე საწარმოთა რაოდენობის ზრდა. 1994 წელს – რეგისტრირებული იყო 12 ათასი საწარმო, 1995 წელს _ 17 ათასი, 2005 წელს – 31136 ერთეული. (ნ. ჭითანავა). წვრილი მეწარმეობის მასშტაბების განსაზღვრაში მნიშვნელოვანი ცვლილებები იქნა შეტანილი 1999 წლის 23 ივლისს

საქართველოს კანონით ,,მცირე საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ", რომლის მიხედვით, მცირე საწარმოების შეფასების კრიტერიუმად დასაქმებულთა რიცხოვნობასთან ერთად, აღიარებულ იქნა საწარმოს წლიური ბრუნვის მაჩვენებელი, რომელთა სტატისტიკური სიდიდე დარგობრივ ჭრილში არ აღემატებოდა შემდეგ ზღვრულ ოდენობას: მრეწველობაში _ 40 დასაქმებულსა და 500 ათას ლარს, მშენებლობაში _ 20 დასაქმებულსა და 300 ათას ლარს, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში _ 20 დასაქმებულსა და 150 ათას ლარს, განათლებაში, ჯანმრთელობის დაცვასა და კულტურაში _ 25 დასაქმბულსა და 60 ათას ლარს; სხვა სახის ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისას _ 15 დასაქმებულსა და 100 ათას ლარს. აღნიშნულ კანონში ცვლილებების შეტანის შემდეგ 2002 წლის 4 ივლისიდან დასაქმებულთა რაოდენობა განისაზღვრა 20 კაცით, ბრუნვის მაჩვენებელი კი _ შეადგენდა 500 ათას ლარს. მცირე საწარმოებს მოცემული კანონი უფლებას აძლევდა კერძო მეწარმეობისათვის სახელმწიფო მხარდაჭერასა და განვითარებასთან დაკავშირებული ერთობლივი ამოცანების გადაწყვეტის მიზნით შეექმნათ კავშირები და ფონდები. სახელმწიფოს მხრიდან შეღავათები მცირე მეწარმეებს ეძლეოდათ ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების გამარტივებული სისტემის გამოყენებაში. ამასთან, სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობისას სარგებლობდნენ კანონით გათვალისწინებული შეღავათებით. მცირე საწარმოებს შეეძლოთ ბალანსისა და მოგება-ზარალის ანგარიშის ნაცვლად ინვენტარიზაციის საფუძველზე შეედგინათ ქონებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი და შემოსავლების ანგარიში საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. 2006 წლის 22 ივლისს ამ კანონის გაუქმებასთან ერთად, აღნიშნული შეღავათები გაუქმდა. შესაბამისად აღარ არსებობდა მცირე ბიზნესის მხარდამჭერი არც საკანონმდებლო ბაზა და არც სხვა რომელიმე სტრუქტურა. მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესი თანაბარ პირობებში მოექცა, რამაც ხელი შეუშალა მცირე ბიზნესის გაფართოებას და მშპ-ში მისი წილის ზრდას. მეწარმეობის მასშტაბების განსაზღვრას დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მათ მიმართ დიფერენცირებული სახელმწიფო მხარდაჭერისა და რეგულირების მიზნით საკანონმდებლო ბაზის განმტკიცების, აგრეთვე სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ხასიათის ღონისძიებათა შესამუშავებლად.

2011 წლის 1 იანვრიდან მთავრობამ მცირე ბიზნესის მხარდაჭერის მოტივით საგადასახადო კოდექსში მიკრო და მცირე ბიზნესის ცნებები განსაზღვრა. მიკრო ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს, რომელიც არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას და დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, რომლის მიხედვითაც მის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მისაღები ჯამური შემოსავალი არ აღემატება 30 000 ლარს. ასეთ შემთხვევაში ის მთლიანად თავისუფლდება გადასახადებისაგან. მიკრო ბიზნესის წარმომადგენლებს არ ევალებათ ასევე სალაროს აპარატის გამოყენება და საბუღალტრო საქმიანობის წარმოება. ახალი კანონით მცირე ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს მეწარმე ფიზიკურ პირს, რომლის ჯამური შემოსავალი არ აღემატება 100 000 ლარს. მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 5%-ით.

საქართველოში მცირე მეწარმეობის განვითარების ეტაპები და მათი ძირითადი თავისებურებები ქრონოლოგიურად შეიძლება ასე დავყოთ:

1. მონათმფლობელური ეკონომიკური ფორმაციიდან დაწყებული XIX საუკუნემდე, როდესაც დასაბამი მიეცა წვრილ ხელოსნობას, ვაჭრობას, მევახშეობას და სხვა;

2. XIX ს-დან XX ს-ის 20-იან წლებამდე, როდესაც განვითარდა კაპიტალისტური მეწარმეობა, გაღრმავდა სპეციალიზაცია და მანუფაქტურები შეიცვალა ფაბრიკა-ქარხნებით; რასაც მოჰყვა შრომის დანაწილება, საერთაშორისო ურთიერთობებში ჩართვა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება;

3. 1921-1991 წწ, როცა საბჭოთა ეკონომიკური სისტემის პირობებში კერძო მეწარმეობა აკრძალული იყო, თუმცა ზოგიერთ დარგებში "ჩრდილოვანი" ფორმით არსებობას მაინც არ წყვეტდა; მე-20 ს-ის 80-იანი წლების მეორე ნახევარში საბჭოთა კავშირში მიღებულმა კანონებმა, რომლებიც შეეხებოდა მცირე მეწარმეობის (კოოპერატივებისა და სხვა) განვითარებას, იჯარის პრინციპების გამოყენებას, დააჩქარა მცირე საწარმოების სტიქიურად შექმნის პროცესი;

4. 1991 - 1995 წწ. გარდამავალი პერიოდი, როცა პრივატიზაციისა და შოკური პოლიტიკურ-ეკონომიკური რეფორმების ფონზე მცირე ბიზნესი წინააღმდეგობრივად ვითარდებოდა. მიუხედავად

ამისა ის სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით მაინც უმნიშვნელოვანესი დატვირთვის მატარებელი იყო. შეიცვალა საქართველოს განვითარების კურსი არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური და იდეოლოგიური თვალსაზრისით;

5. 1996-2003 წწ. როცა მოხდა საკუთრების დარეგულირება; გაჩნდა მესაკუთრეთა ფართო წრე; დაიწყო საქართველოს ეკონომიკის ზრდა; დაფიქსირდა ინფლაციის ზომიერი დონე; შეიცვალა ფულად-საკრედიტო სისტემა; გაიზარდა დამოკიდებულება მსოფლიო საფინანსო ორგანიზაციებზე; აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში უმოქმედო საწარმოთა რიცხვმა მიაღწია 80%-ს. არ არსებობდა სათანადო რესურსები ძირითადი კაპიტალის განახლებისათვის, შეიქმნა საკმაოდ მძიმე საინვესტიციო გარემო. ინვესტიციების წილი ძირითად კაპიტალში 9,6%-ს შეადგენდა. ამავდროულად შეიქმნა რიგი კანონები, რომლებსაც ამ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება უნდა უზრუნველეყო;

6. 2003 წლიდან დღემდე პერიოდი, როცა შესამჩნევია ეკონომიკური სტაბილურობა, შეიქმნა ერთობლივი საწარმოები; ღრმავდება ტექნოლოგიური კავშირები. ამასთან მცირე მეწარმეობის მნიშვნელოვანი პოტენციალი კვლავ გამოუყენებელია. ის მშპ-ში წარმოდგენილია დაბალი ხვედრითი წილით და წლების განმავლობაში 10%-ს ვერ გადააჭარბა.

ამგვარად, მეურნეობრიობის მცირე ფორმები ამა თუ იმ სახით ყოველთვის ასრულებდნენ შესამჩნევ როლს ქვეყნის ეკონომიკაში, მათი ეფექტიანობა იყო მაღალი, ხოლო რაოდენობა იცვლებოდა ქვეყნის პოლიტიკაში გატარებული ნაციონალიზაციის ან დენაციონალიზაციის, მეურნეობის გამსხვილების ან დეკონცენტრაციის პოლიტიკის მიხედვით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბრალავა ა. ,,გზა მაღალტექნოლოგიური ეკონომიკისაკენ", თბ. 2008
2. გუგუშვილი პ. ,,საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. მონოგრაფია, გამომც. "მაცნე", თბ.
3. ჭითანავა ნ. ,,გარდამავალი პერიოდის სოციალურეკონომიკური პრობლემები", გამომცემლობა "იუნიტი-დანა" თბ. 2001
4. საქართველოს საგადასახადო კოდექსი 2011 წ.
5. www. economy.gov.ge
6. www. Geostat.ge

Business origins and development in Georgia

Mamporia Nani - Associate Professor of GTU
Beerishvili Avtandil – Master of GTU

Summary

Business ,,words" economic and scientific understanding of the market economy and entered with the same period in his initial theoretical understanding. However, only the business market economic development by recognizing the largely impoverished and artificially restricted in its content, its action as a historic area, The essence of the economic, scientific point of view it is unacceptable. In terms of business for clues The exchange of goods and may be considered as the origin of all human history related, All economic systems endemic in. He reflected the epoch, when the names of the tribes, and between the mutually beneficial exchanges and barter trade. Business development will be further facilitated by the establishment of a separate branch of the craft and trade.

Key words: Mankind, Professions, Production, Trade, Entrepreneurship, Shops.

პოლიტიკური პროპაგანდა და ,,ყალბი ახალი ამბები (Fake News)''

მიქელაძე თამარ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

სტატიაში ,, პოლიტიკური პროპაგანდა და ყალბი ახალი ამბები (Fake News)'' , განხილულია ის ძირითადი ასპექტები, რაც აქტუალური და მნიშვნელოვანი გახდა ახალი მედიის საუკუნეში. სამწუხარო რეალობაა, რომ მედიამ დაკარგა თავისი ღირებულებები და პროპაგანდის იარაღად იქცა. ხშირ შემთხვევაში მედიის წარმომადგენლები თავს უფლებას აძლევენ იყვნენ ძალაუფლების ნაწილი.

სტატიაში მიმოხილულია თანამედროვე მსოფლიოს გლობალური გამოწვევები და საფრთხეები, რასაც საინფორმაციო ქაოსი და გადაუმოწმებელი ,,ყალბი ახალი ამბები'' (Fake News) ქმნის. სოციალური მედია სივრცე ინფორმაციის მიღების ახალ წყაროებს და პერსპექტივებს გვთავაზობს, თუმცა სოციალურ მედიაში ხშირად ფაქტები ნახევრად სიმართლესთან ან ტყუილთან არის აღრეული. ინტერნეტ მედიაში ყალბი სიახლეებიის და დეზინფორმაციის ინდუსტრიაც არსებობს, რაც სოციალურ ტროლებს ეფუძნება. სტატიაში ხაზგასმულია თუ რა გავლენის მოხდენა შეუძლია (როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი თვალსაზრისით), ,,ფეიკ ნიუსებს '' პოლიტიკურ პროცესებზე.

საკვანძო სიტყვები: *პოლიტიკური პროპაგანდა, მედია, სოციალური მედია, ,,ყალბი ახალი ამბები(Fake News)'', თანამედროვე მსოფლიო, გლობალური გამოწვევები.*

ძირითადი ტექსტი

აგიტაცია და პროპაგანდა ინფორმაციის მომხმარებელს თავს ახვევს კომუნიკატორის იდეებსა და განწყობას. მას თან სდევს მასობრივი ცნობიერების და მოქალაქეთა ქცევის მანიპულირება, დეზინფორმაცია, მოვლენათა ტენდენციური კომენტირება და საზოგადოებრივი აზრის იგნორირება.

უცხო სიტყვათა ლექსიკონი პროპაგანდას შემდეგნაირად განმარტავს: ,,პროპაგანდა (ლათ. propaganda გასავრცელებელი < propagandare გავრცელება) პოლიტიკური, ფილოსოფიური, სამეცნიერო, მხატვრული და სხვ. იდეების გავრცელება საზოგადოებაში; პოლიტიკური ან იდეოლოგიური პროპაგანდა ხორციელდება მოსახლეობის ფართო მასებში გარკვეული შეხედულებების ჩამოსაყალიბებლად.''[1]

საინტერესო და მრავალმხრივია ,,პროპაგანდის მოდელის'' სხვა რაკურსით წარმოჩენა ჰარტმანისა და ნოამ ჩომსკის ნაშრომში: ,,მასმედიის პოლიტიკური ეკონომიკა''. მართალია ნაშრომი 1988 წელს გამოიცა პირველად,მაგრამ დღეს უფრო პოპულარული და მოთხოვნადი გახდა მათი მოსაზრებები. რა მოთხოვნებს უყენებენ ავტორები ამერიკულ (და ზოგადად დასავლურ) მედიას?!

,,ჩვენ ვფიქრობთ, რომ სხვა ფუნქციებთან ერთად მედია ასრულებს პროპაგანდის ფუნქციასაც და ემსახურება იმ მძლავრ სოციალურ ინტერესებს, საიდანაც იღებს დაფინანსებას. ამ ინტერესების უკან კი დგანან ჯგუფები, რომლებსაც სურთ დაამკვიდრონ საკუთარი პრინციპები და დღის წესრიგი''[2] - აღნიშნულია ნაშრომის პირველივე გვერდზე.

ავტორთა მოსაზრებით, მედია, უფრო სწორად - ფინანსური ელიტები მედიის საშუალებით, ამკვიდრებენ საკუთარი დღის წესრიგს და აყალიბებენ საზოგადოებრივ ცნობიერებას. ჰარტმანი და ჩომსკი აღწერენ კონკრეტულ მექანიზმს, თუ როგორ დაიმორჩილა ელიტამ დასავლური მედია და როგორ აქცია ის საკუთარი ინტერესების და იდეოლოგიის პროპაგანდის საშუალებად. ამის მაგალითია 2016 წლის აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნები და ტრამპის დამოკიდებულება მედიასთან. სამწუხარო რეალობაა, რომ მედიამ დაკარგა თავისი ღირებულებები და ,,ელიტარული პროფესიის'' წარმომადგენლები, ჟურნალისტები ცდილობენ იყვნენ ძალაუფლების ნაწილი, ასევე მედია ხშირ შემთხვევაში მართულია პოლიტიკური თუ ფინანსური ელიტისაგან.

---

[1] თეზელიშვილი ს. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ.2005 . გვ.663

[2] https://1tv.ge/analytics/ratom-damarckhda-amerikuli-masmedia-donald-tramptan-brdzolashi-nawili-ii/

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე აჩქარებული ცხოვრების რიტმი, ახალი ამბების მიღებისა და ასევე ნიუსებზე მუდმივი და სწრაფი წვდომის სურვილი (რის შესაძლებლობასაც გვაძლევს სოციალური მედიის სივრცე), გვამყოფებს ისევ საინფორმაციო ქაოსის გარემოცვაში, სადაც ვერ გავრკვეულვართ რა არის რეალური და რა სიცრუე. ყალბ ინფორმაციას ე.წ. ფეიკ ნიუსებს საკმაოდ დიდი გავლენის (როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მნიშვნელობით) მოხდენა შეუძლიათ პოლიტიკურ პროცესებზე. ყალბი ამბების ,,გაშვება'' სოციალურ მედიაში უმეტესწილად წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში ხდება.

ყალბი ახალი ამბები პროპაგანდის შემადგენელი ნაწილია. არ არსებობს ყალბი ახალი ამბების (Fake News) საყოველთაოდ აღიარებული დეფინიცია. გავრცელებული მოსაზრებით, იგი წარმოადგენს მასობრივი საინფორმაციო საშუალებით, ძირითადად სოციალური მედიით გავრცელებულ მიზანმიმართულ დეზინფორმაციას, ტყუილს (თუმცა ტყუილთან ერთად შესაძლოა ნაწილობრივ სიმართლესაც მოიცავდეს), რომელიც ინფორმაციის წყაროს პოპულარიზაციას ან გარკვეული ჯგუფის პოლიტიკური ინტერესების გატარებას ემსახურება. ყალბი ამბების გავრცელებას ადგილი ქონდა ჯერ კიდევ რომის იმპერიაში, მოგვიანებით ნაცისტურ გერმანიასა და საბჭოთა კავშირში. განსაკუთრებით აქტუალური მეორე მსოფლიო ომის დროს იყო პროპაგანდა და ყალბი ამბების გავრცელება. 1930 იან წლებში რასობრივი სტერეოტიპების გავრცელებამ გერმანიაში ხელი შეუწყო ებრაელი ხალხის მასობრივ დისკრიმინაციას.

აღსანიშნავია, რომ სოციალურმა მედიამ დააჩქარა ინფორმაციის მიღების ციკლი. ის ინფორმაციის ახალ წყაროებს, ახალ პერსპექტივებს ხდის ხელმისაწვდომს. თუმცა სოციალური მედიაში ხშირად ფაქტები ნახევრად სიმართლესთან ან ტყუილთან არის აღრეული. სოციალურ მედიას არა ქვს პროფესიული რედაქტირების და გადამოწმების ფუნქცია, რის გამოც პროპაგანდა და ყალბი ინფორმაცია საზოგადოებრივ აზრზე გავლენას ახდენს. ხშირ შემთხვევაში ყალბი ინფორმაცია ისეა შელამაზებული, რომ გვიჭირს მისი გარჩევა სინამდვილისგან, ამასთან, სოციალური მედია გვაწვდის ინფორმაციას იმ სახით, რაც ჩვენს ინტერესებს და მოსაზრებებებს კარგად პასუხობს. სოციალური ქსელის მომხმარებლები ვენდობით ხშირ შემთხვევაში სოციალურ მედიას და განსხვავებული მოსაზრებაც არ გაგვაჩნია რიგ საკითხებთან დაკავშირებით. ამას საინფორმაციო ბუშტი ეწოდება. საინფორმაციო ბუშტში ყოფნით უფრო ადვილად ვიჯერებთ გადაუმოწმებელ ყალბ ნიუსს.

სოციალურ მედიაში განსხვავებული ტიპის ყალბი სიახლეები ვრცელდება. არსებობენ ე.წ. ,,ჰიპერ პარტიზანული'' პლატფორმები, რომლებიც ჭორებს და ყალბ ინფორმაციას გამიზნულად, საზოგადოებრივ აზრზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით ავრცელებენ. ამ ტიპის პლატფორმები ფაქტებს ამახინჯებენ და პოლიტიკური ოპონენეტების ან განსხვავებული ჯგუფების წინააღმდეგ იყენებენ. ზოგიერთი ანალიტიკოსის მტკიცებით, სოციალურ მედიაში ყალბი სიახლეების და დეზინფორმაციის ინდუსტრიაც კი არსებობს, რაც სოციალურ ტროლებს ეფუძნება. ტროლები სოციალური მედიის ყალბი პროფილებია, რომლებიც კომპიუტერული პროგრამებით იმართება.

დონალდ ტრამპის მთავარი სტრატეგი სტივ ბენონი აღნიშნავს, რომ 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ მათ ჰქონდათ შექმნილი ამერიკის 220 მილიონი ამომრჩევლის სრული ფსიქო-ფიზიოლოგიური პორტრეტი და სოციალური პროფილი და ამის გათვალისწინებით აწარმოებდნენ საარჩევნო კამპანიას, რამაც გარკვეულწილად ტრამპის მოგება განაპირობა. ტრამპმა მოქმედ პოლიტიკოსთა შორის ყველაზე სრულად შეიგრძნო და გამოიყენა სოციალური მედიის ძალა, რომელსაც საზოგადოების მანიპულირების გაცილებით უფრო დიდი შესაძლებლობები აქვს, ვიდრე ტრადიციულ მედიას. თუმცა, ტრამპამდე ამომრჩევლის ამგვარი "ზომბირება" განხორციელდა დიდ ბრიტანეთში ჩატარებული ბრექსიტის რეფერენდუმისას, რომელიც დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გამოყოფით დამთავრდა.

გადაცემა ,,იმედის კვირა'' (28.01.2018) გამოეხმაურა პრემიერ მინინსტრის დავოსში წარმოთქმული სიტყვების გაყალბების მცდელობას. უკრაინულმა ონლაინ პორტალმა ,,Зеркало недели''-მ (23.01.2018) ინფორმაცია გამოაქვეყნა სათაურით: ,,საქართველოს პრემიერ-მინისტრი დავოსში: ჩვენ არ გვჭირდება ნატოს დაცვა''.

ZN.UA- ს მიერ გაყალბებული მასალა: ,,ჩვენი სტაბილურობა, რომელიც დღეს გაგვაჩნია, ესაა ჩვენი მეხუთე მუხლი. ჩვენ არ გვჭირდება ნატო. ჩვენი უსაფრთხოების გარანტია უნდა გახდეს ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობები ყველა მეზობელთან და მოთამაშესთან. ჩვენ გვსურს ევროკავშირთან და დასავლეთთან ინტეგრირება,ჩვენ გვსურს კარგი ურთიერთობის დამყარება რუსეთთან და დანარჩენ მხარეებთან'' (გ.კვირიკაშვილი).

რეალურად კვირიკაშვილის პასუხი დისკუსიაზე: ,,სტრატეგიული პერსპექტივა:ევრაზია'', ხაზს უსვამს ნატოს წვლილსა ევროატლანტიკური კავშირის როლს: ,,რას ნიშნავს სტაბილურობა საქართველოსთვის? სტაბილურობა საქართველოსთვის ნიშნავს ქვეყნის პოზიციონირებას იქ, სადაც ჩვენ ვართ - აქ საუბარია ღირებულებებზე. საქართველოსთვის კი ჩვენ დავისახეთ ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცრაცია ... ეს არის ჩვენი მე-5 მუხლი. ჩვენ არ გვაქვს ნატოს მფარველობა…'' განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა. პრემიერის სიტყვების გაყალბება წარმოადგენს მიზანმიმართულ არაჯანსაღ პროპაგანდას და შეტევას დასავლურ ღირებულებებზე.

რა რეგულაციები არსებობს ყალბი ნიუსების გავრცელების თავიდან ასაცილებლად?! აღსანიშნავია, რომ ასეთი ნიუსების რაოდენობა ბევრია. ძნელია მათი იდენტიფიცირება და კონტროლი. ჯერჯერობით არ არსებობს რაიმე სახის მექანიზმი, რომელიც ამ მოვლენას დაარეგულირებს. არსებობს სხვადასხვა პრაქტიკა, უჩივლო ნიუსის გამავრცელებელს, მაგრამ საწყისი წყაროს მიგნება რთულია, ამასთან ონლაინ მედიის შემთხვევაში დამნაშავე შესაძლოა იყოს არა კონკრეტული პირი, არამედ ხშირად ყალბი ამბების გამავრცელებელი არის ხელოვნური ინტელექტი. კომპანიებმა Google-მა და Facebook-მა განაცხადეს, რომ უახლოეს მომავალში მნიშვნელოვნად გააფართოებენ დეზინფორმაციასთან ბრძოლის დეპარტამენტებს.2018 წლის 1 იანვრიდან გერმანიაში ამოქმედდა კანონი, რომელიც სოცქსელისგან მოითხოვს უმალ წაშალოს ყალბი ცნობები, ძალადობისკენ მოწოდებები და არალეგალური მასალები, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ 50 მილიონი ევროს ჯარიმით ემუქრება. Fake News-თან ბრძოლისთვის სპეციალური უწყების შექმნის შესახებ 2018 წლის იანვრის ბოლოს ბრიტანეთის მთავრობამაც განაცხადა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, თანამედროვე მსოფლიო დგას ისეთი გლობალური გამოწვევის წინაშე, როგორიცაა საინფორმაციო ქაოსი, სადაც რთულია ამოიცნო ის თუ რა არის ნამდვილი და რა ყალბი. ,,ფეიკ ნიუსები'' პროპაგანდის შემადგენელი ნაწილია და მას საკმაოდ დიდი ფსიქოლოგიური ზემოქმედების მოხდენა შეუძლია მასობრივ ცნობიერებაზე. ამასთან, სოციალურ მედიაში (ტრადიციული მედიისაგან განსხვავებით) უფრო სწრაფად და ადვილად ვრცელდება ყალბი ახალი ამბები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თეზელიშვილი ს. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ.2005
2. მაცაბერიძე მ. პოლიტიკური კომუნიკაცია: პოპულიზმი, მანიპულირება, სპინდოქტორი, თბ.,2014
3. მედიაწიგნიერების გზამკვლევი. როგორ ვებრძოლოთ მანიპულაციას და ყალბ ინფორმაციას. http://mythdetector.ge/sites/default/files/Guidelines-web.pdf
4. მონაცემთა ჟურნალისტიკისა და ფაქტების გადამოწმების (Fact-Checking) სახელმძღვანელოhttp://grass.org.ge/wp-content/uploads/2017/10/Guideline-Final.pdf
5. მედიასაშუალებათა ზოგადი პრინციპების და ეთიკური ნორმების საკანონმდებლო რეგულირება.http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/32377/mediaprincipebi_daeTika
6. https://1tv.ge/analytics/ratom-damarckhda-amerikuli-masmedia-donald-tramptan-brdzolashi-nawili-ii/ ნოამ ჩომსკი 1 არხის არქივი
7. რატომ არის საშიში ფეიკ ნიუსი Krieg ohne Blut Seite 4/5: Warum Fake-News so gefährlich sind http://www.zeit.de/2017/09/bundestagswahl-fake-news-manipulation-russland-hacker-cyberkrieg/seite-4 (გერმ.)

8. დავოსის ეკონომიკურ ფორუმზე გ.კვირიკაშვილის სიტყვები გაყალბდა უკრაინულ სოც. მედიაში 1) https://zn.ua/WORLD/premer-ministr-gruzii-v-davose-nam-ne-nuzhna-zaschita-na-to-272960_.html ,,Премьер-министр Грузии в Давосе: мы не пользуемся защитой НАТО'' 24 января; 2) http://www.mythdetector.ge/ka/myth/zerkalo-nedeli-m-sakartvelos-premier-ministris-davosshi-gamosvla-gaaqalba
9. როგორ გაჩნდა Fake News-ი. ყალბი ახალი ამბების ისტორია 06.02.2018 https://imedinews.ge/ge/theme/193/rogor-gachnda-fake-newsi-kalbi-akhali-ambebis-istoria

Political Propaganda and „ Fake News"

Mikeladze Tamar
PhD student, Georgian Technical Univesity

Summary

In the article "Political propaganda and "Fake News", the main aspects of the new media century have become very important. The sad reality is that the media has lost its values and has become a propaganda tool. In many cases, the media representatives are allowed to be part of power. The article reviews the global challenges and threats of the modern world, which creates news chaos and unspecified "Fake News". Social media space offers new sources of information and prospects, but in social media often the facts are confused with half-truths or lies. There are also fake novelties and misinformation industries in internet media, that are based on social trolls. The article emphasizes how can "Fake News" influence (as positive as well as negative) on political processes.

keywords: Political propaganda, media, social media, "Fake News", Modern World, Global Challenges.

საქართველოს თევზსამეურნეო დარგის განვითარების ორგანიზაციულ – საინფორმაციო უზრუნველყოფა

ფარცვანია არჩილ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

ქავთარაძე ნინო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

საქართველოში, მისი გეოგრაფიულ - კლიმატური პირობებიდან და საბაზისო ბუნებრივი რესურსების სიუხვიდან გამომდინარე არსებობს ძალზედ ხელსაყრელი პირობები თევზის მეურ-ნეობის დარგის განვითარებისათვის. მოსახლეობაში არსებობს მოთხოვნილება თევზზე და თევზის პროდუქტებზე, მაგრამ ამის მიუხედავად დღემდე თევზისა და თევზის პროდუტის უდიდესი ნა-წილი ქვეყანაში შემოდის იმპორტირებული საქონლის სახით.

ქვეყნის წყალსატევებზე თევზის მეურნეობის განვითარების საკითხები ატარებენ დარგთა-შორის ხასიათს და ქვეყანაში მკვეთრად დგას წყლის ბიოლოგიური რესურსების გამოყენების საერთო სახელმწიფოებრივი სტრატეგიის განსაზღვრის პრობლემა.

ასეთ ვითარებაში მნიშვნელოვნი ხდება ქვეყნის ბუნებრივი თევზის რესურსების, წყალსატევე-ბის და შესაბამისად თევზის მეურნეობის დარგის განვითარების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის ფორმირება.

ამ მიმართულებით მიზანშეწონილად ჩაითვლებოდა განახლებადი მრავალენოვანი ელექტრონული რესურსის შექმნა.

იმ ვითარებაში, როდესაც ქვეყანაში მოხდა თევზის მეურნეობის დარგის სახელმწიფო მართვის ცენტრალიზებული სისტემის დეცენტრალიზაცია, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დარგის სახელმწიფო მართვის თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბება. ამ მიმართულებით მიზანშეწონილად ჩაითვლება სახელმწიფო - კერძო პარტნიორობის საფუძველზე დაფუძნებული კლასტერული სისტემების განვითარება.

საკვანძო სიტყვები: *თევზის მეურნეობა, თევზის პროდუქტები, წყალსატევები, ელექტრონული რესურსი, კლასტერული სისტემები, სასურსათო უსაფრთხოება.*

ძირითადი ტექსტი:

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში თევზის მეურნეობა ჩამოყალიბდა მსოფლიოში სურსათის წარმოების დინამიურად განვითარებად სექტორად და მრავალმა სახელმწიფომ მიზნად დაისახა სუვერენული სანაპირო ზონის და მტკნარი წყლების შიდა წყალსატევების რესურსების გამოყენება და თევზზე და მის პროდუქტებზე მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილების საპასუხოდ მხარი დაეჭირა და ხელი შეეწყო ეროვნული თევზის მეურნეობის დარგში ინვესტიციების განხორციელებას.

ქვეყნებმა, რომლებმაც სახელმწიფო დონეზე დაუჭირეს მხარი ეროვნული თევზის მეურნეობის დარგის განვითარებას, არსებითად გაამლიერეს საკუთარი სასურსათო უსაფრთხოება და წინ მიიწევენ სასურსათო პროდუქციის მწარმოებელთა მსოფლიო რეიტინგში. ასეთი ქვეყნები თევზის მეურნეობის დარგს განიხილავენ როგორც საკუთარი ეკონომიკური წინსვლის სტრატეგიული მნიშვნელობის კომპონენტს, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებას და ცალკეული ტერიტორიების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

ამგვარად, თევზის მეურნეობას მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მნიშვნელოვან როლს ანიჭებენ სასურსათო უზრუნველყოფის და მოსახლეობაში სიღარიბის შემცირების თვალსაზრისით.

ეს ასევე მართებულია საქართველოსთვის, სადაც გეოგრაფიულ -კლიმატური პირობებიდან გამომდინარე არსებობს ძალზედ ხელსაყრელი პირობები თევზის მეურნეობის დარგის განვითარებისათვის. მოსახლეობაში არსებობს მოთხოვნილება თევზე და თევზის პროდუქტებზე,

მაგრამ ამის მიუხედავად დღემდე თევზისა და თევზის პროდუტის უდიდესი ნაწილი ქვეყანაში შემოდის იმპორტირებული საქონლის სახით.

საქართველოში უხვად არის წარმოდგენილი ზღვის და მტკნარი წყლების რესურსები, მაგრამ ქვეყნის მოსახლეობა ჯერ კიდევ არ არის სრულფასოვნად ჩართული თევზსამეურნეო საქმიანობაში, რომელიც მას გაუჩენდა შემოსავლის წყაროს. სახელმწიფოს, სათანადო მიდგომების გამოყენებით, შეუძლია მოსახლეობის მოტივირება, რათა ქვეყანაში სრულფასოვნად განვითარდეს პოტენციურად მომგებიანი საქმიანობა თევზის რეწვის, თევზმოშენების და თევზგადამუშავების სექტორში.

ქვეყნის წყალსატევებზე თევზის მეურნეობის განვითარების საკითხები ატარებენ დარგთაშორის ხასიათს და ქვეყანაში მკვეთრად დგას წყლის ბიოლოგიური რესურსების გამოყენების საერთო სახელმწიფოებრივი სტრატეგიის განსაზღვრის პრობლემა. სახელმწიფოს წინაშე მდგარი ამოცანები ძნელად განსახორციელებელი იქნება თუ კი:

- არ იქნა შემუშავებული განვითარების ერთიანი სახელმწიფო სტრატეგია და პროგრამა;
- არ მოხდა შიდა წყალსატევებზე თევზის მეურნეობის განვითარების სამეცნიერო-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემის შექმნა;
- არ მოხდა განვითარების პროგრამის რეალიზაციის ხერხების და ფინანსირების წყაროების განსაზღვრა;

ცვლილებები, რომელიც განხორციელდა უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ქვეყნის თევზის მეურნეობის დარგის მართვის სისტემაში, იძულებულს გვხდის ჩავატაროთ არსებული მდგომარეობის ანალიზი და მის საფუძველზე დავსახოთ დარგის შემდგომი განვითარების პერსპექტივები.

ასეთ ვითარებაში მნიშვნელოვნი ხდება ქვეყნის ბუნებრივი თევზის რესურსების, წყალსატევების და შესაბამისად თევზის მეურნეობის დარგის განვითარების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის ფორმირება.

ამ მიმართულებით მიზანშეწონილად ჩაითვლებოდა განახლებადი მრავალენოვანი ელექტრონული რესურსის შექმნა.

აღნიშნული რესურსი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას შემდეგი მიმართულებებით:

- თევზის მეურნეობის დარგის მიმდინარე სტატუსი საქართველოში
- საქართველოში თევზის მეურნეობის განვითარების შესაძლებლობების შეფასებითი აღწერა, მათ შორის რეგიონების მიხედვით, რაც უნდა მოიცავდეს:
    - ✓ თევზის მეურნეობის განვითარების შესაძლებლობების აღწერას შავი ზღვის სანაპირო ზონაში;
    - ✓ თევზის მეურნეობის განვითარების შესაძლებლობების აღწერას შავი ზღვის ტერიტორიულ წყლებში;
    - ✓ თევზის მეურნეობის განვითარების შესაძლებლობების აღწერას შიდა წყალსატევებზე, მათ შორის:
        - თევზსამეურნეო მნიშვნელობის შიდა წყალსატევების დახასიათებას
        - თევზის მეურნეობის განვითარების შესაძლებლობების აღწერას მიწისქვეშა წყლის რესურსების გამოყენებით;
        - თევზის მეურნეობის განვითარების შესაძლებლობების აღწერას გეოთერმული წყლების რესურსების გამოყენებით;
    - ✓ ორგანული აკვაკულტურის განვითარების შესაძლებლობების შეფასებას;
    - ✓ სხვადასხვა კომერციულად ფასეული წყლის ორგანიზმების სახეობების/ჯიშების საქართველოში კულტივირების პერსპექტივის შეფასებას;
    - ✓ აკვაკულტურის მდგრადი განვითარების შესაძლებლობების თვალსაზრისით არსებული ინფრასტრუქტურის შეფასებას;
    - ✓ საქართველოს თევზის მეურნეობაში ინვესტირებისათვის ზოგადი სამართლებრივ-ნორმატიული ბაზის აღწერას;

- ✓ სამართლებრივი დეტალების აღწერას, რომელიც შეეხება თევზის მეურნეობისათვის წინასწარ გამოყოფილ საპროექტო ტერიტორიებს და მიწის კანონმდებლობას;
- ✓ მოთხოვნებს საინვესტიციო წინადადების წარდგენის პროცესის მიმართ;
- ✓ თევზის მეურნეობის სექტორში ინვესტიციების მიმართ საქართველოს მთავრობის ხელშემწყობი ღონისძიებების აღწერას;
- ✓ თევზის მეურნეობის დარგში სამეწარმეო საქმიანობისათვის აუცილებელი ლიცენზიების მიღების პროცესის აღწერას და სამეწარმეო საქმიანობის წარმართვისათვის საჭირო ლიცენზიების ღირებულებას;

დაგეგმვის, გადაწყვეტილებების მიღების, რესურსების განაწილების და თევზის მეურნეობის საქმიანობისათვის აუცილებელი ნორმებისა და წესების დადგენის მიზნით აუცილებელი ხდება ხსენებულ საინფორმაციო რესურსზე ეკონომიკური სახის ინფორმაციის თავმოყრა და მისი ანალიზი.

ამ ამოცანის გადასაჭრელად საჭიროდ მიგვაჩნია ამოქმედეს ავტომატიზირებული საინფორმაციო სისტემა „სახელმწიფო თევზსამეურნეო რეესტრი“

აღნიშნული რესურსის არსებობამ უნდა გადაჭრას შემდეგი ამოცანები:

- ❖ შემოსული დოკუმენტირებული ინფორმაციის აღრიცხვა;
- ❖ ავტომატიზირებულ საინფორმაციო სისტემაში შეყვანილი დოკუმენტირებული ინფორმაციის აღრიცხვა;
- ❖ ავტომატიზირებული საინფორმაციო სისტემის მონაცემთა ბაზაში დოკუმენტირებული ინფორმაციის შენახვა;
- ❖ ავტომატიზირებულ საინფორმაციო სისტემის მონაცემთა ბაზაში ინფორმაციის მოძიება და ანგარიშგების ფორმირება;
- ❖ ავტომატიზირებულ საინფორმაციო სისტემიდან ინფორმაციის მიწოდებაზე შემოსული მოთხოვნების და მათზე პასუხების აღრიცხვა;

ავტომატიზირებული საინფორმაციო სისტემის ბაზაში უნდა აისახოს შემდეგი შინაარსის ინფორმაცია:

- ❖ წყლის ბიორესურსების რაოდენობრივი, ხარისხობრივი და ეკონომიკური მახასიათებლები;
- ❖ თევზსამეურნეო მნიშვნელობის წყლის ობიექტების ძირითადი მახასიათებლები;
- ❖ ღია მონაცემები თევზსამეურნეო საქმიანობის განმახორციელებელი იურიდიული და ფიზიკური პირების შესახებ;
- ❖ ინფორმაცია თევზსარეწი ფლოტის შესახებ, მათ შორის საკუთრების უფლებები, სხვა უფლებები, გემების (ნაოსნობის სხვა საშუალებების) ტიპი (სიმძლავრე) და კლასი;
- ❖ ინფორმაცია წყლის ბიორესურსების რეწვის იარაღების შესახებ;
- ❖ სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებები და დადებული ხელშეკრულებები, რომელთა საფუძველზე იქმნება უფლებები წყლის ბიორესურსების მოპოვებაზე (ჭერაზე, კულტივირებაზე);
- ❖ ინფორმაცია წყლის ბიორესურსების ყოველწლიური მოპოვების (ჭერის, კულტივირების) მოცულობის შესახებ;
- ❖ სხვა დოკუმენტირებული ინფორმაცია წყლის ბიორესურსების გამოყენების და დაცვის შესახებ;
- ❖ დოკუმენტირებული ინფორმაცია რეწვის ობიექტებად აღიარებული წყლის ბიორესურსების სარეწი მარაგების რაოდენობრივი მაჩვენებლების შესახებ;
- ❖ წყლის ბიორესურსებით სარგებლობის მოსაკრებლების განაკვეთები;
- ❖ დოკუმენტირებული ინფორმაცია წყლის ბიორესურსებით სარგებლობის მოსაკრებლების განაკვეთის დადგენის ცალკეული პირობების შესახებ;
- ❖ ინფორმაცია წყლის ბიოლოგიური რესურსებისაგან საქართველოში წარმოებული სასაქონლო პროდუქციის მოცულობის შესახებ (მათ შორის საქართველოს სუბიექტების და რეგიონების მიხედვით) ;

- დოკუმენტირებული ინფორმაცია თევზის პროდუქციის მწარმოებელი იურიდიული პირების და ინდივიდუალური მეწარმეების მიერ წყლის ბიოლოგიური რესურსებისაგან წარმოებული სასაქონლო პროდუქციის მოცულობის შესახებ;
- ინფორმაცია წყლის ბიოლოგიური რესურსებისაგან წარმოებული პროდუქციით ვაჭრობის შესახებ;
- დოკუმენტირებული ინფორმაცია წყლის ბიოლოგიური რესურსებისაგან წარმოებული სასაქონლო პროდუქციის (წყლის ბიოლოგიური რესურსის სახეობის და სასაქონლო პროდუქციის ფორმის მითითებით) ექსპორტის მოცულობის შესახებ;
- დოკუმენტირებული ინფორმაცია წყლის ბიოლოგიური რესურსებისაგან წარმოებული სასაქონლო პროდუქციის (წყლის ბიოლოგიური რესურსის სახეობის და სასაქონლო პროდუქციის ფორმის მითითებით) იმპორტის მოცულობის შესახებ;
- ერთ სულ მოსახლეზე წყლის ბიოლოგიური რესურსებისაგან წარმოებული სასურსათო სასაქონლო პროდუქციის წლიური მოხმარების შესახებ;
- ინფორმაცია თევზსამეურნეო მნიშვნელობის წყლის ობიექტებში დამაბინძურებელი ნივთიერებების ჩაშვების შესახებ;
- დოკუმენტირებული ინფორმაცია თევზსამეურნეო მნიშვნელობის წყლის ობიექტებში გავრცელებული წყლის ბიოლოგიური ობიექტების დაავადებების შესახებ;
- დოკუმენტირებული ინფორმაცია კარანტინზე მყოფი თევზის ფერმების შესახებ;
- დოკუმენტირებული ინფორმაცია თევზსამეურნეო სფეროში სამართალდარღვევების შესახებ;
- თევზსამეურნეო მნიშვნელობის წყალსატევების სარგებლობის, რეწვის ობიექტებს მიკუთვნებული წყლის ბიორესურსების მოპოვების (რეწვის) უფლებების შესახებ;
- დოკუმენტირებული ინფორმაცია წყლის ბიოლოგიური რესურსების ხელოვნურ აღწარმოების დადებული ხელშეკრულებების შესახებ;

აღწერილი საინფორმაციო სისტემის ფორმირება და მისი გამართული ფუნქციონირება მოითხოვს დაინტერესებული მხარეების მხრიდან მჭიდრო ურთიერთობას. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ ვითარებაში, როდესაც ქვეყანაში მოხდა თევზის მეურნეობის დარგის სახელმწიფო მართვის ცენტრალიზებული სისტემის სრული დეცენტრალიზაცია, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დარგის სახელმწიფო მართვის თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბება და ამ მიმართულებით მიზანშეწონილად ჩაითვლება სახელმწიფო - კერძო პარტნიორობის საფუძველზე დაფუძნებული კლასტერული სისტემების განვითარება. ასეთი სისტემები უნდა ფარავდნენ თევზსამეურნეო დარგის ექვს საკვანძო ბლოკს (მიმართულებას):

რესურსები - საქართველოს მტკნარი წყლების თევზის რესურსების ინვენტარიზაცია, პერსპექტიული თევზის სახეობების და წყლის ეკოსისტემების ფონდის განსაზღვრა, თევზის რესურსების მდგომარეობის ეკოლოგიური და ეკონომიკური შეფასება, მდგომარეობის პროგნოზირება;

რეწვა - თევზის რესურსების სტაბილური გამოყენების მეთოდების შემუშავება, მიმართული წყლის ეკოსისტემების ძირითადი ფუნქციონალური თავისებურებების შენარჩუნებით რესურსების გაფართოებული აღწარმოებისაკენ;

თევზმოშენება - სამრეწველო თევზმოშენების ეკოლოგიურად მიზანშეწონილი ტექნოლოგიების შექმნა, იხტიოფაუნის რეკონსტრუქციის ხერხების და სანასუქე აკვაკულტურის წყალსატევების პროდუქციული პროცესების მართვის მეთოდების შექმნა;

სელექცია - სელექციის, გენური და უჯრედული ინჟინერიის ეფექტური მეთოდების შემუშავება, თევზების მაღალპროდუქტიული ჯიშების შექმნა;

ტექნიკური აღჭურვა - ეფექტური ტექნიკის, თევზმოშენებისა და თევზჭერისათვის მანქანების სისტემების შემუშავება, საწარმოო პროცესების მართვის ავტომატური სისტემების შექმნა;

ეკონომიკა - თევზის მეურნეობის წარმართვის რაციონალური სისტემების შემუშავება, ქვეყნის თევზის მეურნეობის ტერიტორიალურ - საწარმოო სტრუქტურის ოპტიმიზაცია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Improving The Collection, Management, and Use of Marine Fisheries Data -Ocean Studies Board Commission on Geosciences, Environment, and Resources, National Research Council National Academy Press • 2101 Constitution Ave., N.W. • Washington, DC 20418
2. Omar F. El-Gayar (2008) The use of information technology in aquaculture management, Journal Aquaculture Economics & Management Volume 1, 1997 - Issue 1-2
3. Meaden, G.J. and J. M. Kapetsky. 1991. Geographical information systems and remote sensing in inland fisheries and aquaculture. FAO Fisheries Technical Paper. N. 318. Rome, FAO. 262p.
4. Aquaculture farmer organizations and cluster management: Concepts and Experiences. FAO Fisheries and Aquaculture Technical Paper No. 563. Rome, FAO. 104 p.

The organizational and information support for the development of the Fishery sector in Georgia

Partsvania Archil
Kavtaradze Nino

Summary

The issues of fisheries development in the country's water bodies are of an intersectoral nature and the problem of determining the overall state strategy for the use of aquatic biological resources is acute in the country.

In this situation, formating information about water and fish resources of the country and therefore formating information on the possibilities for the development of the fisheries industry acquire of particular importance.

In this direction, it may be considered expedient to creating a multilingual electronic resource that will in its database store information on the country's water and fish resources and on key issues of development in the country of fisheries industry.

After decentralization of former centralized system of state management of the fish industry in the country, it is of particular importance that the modern state system of fishery sector management is established. Development of cluster systems based on the Public-private partnerships was offered considered as appropriate in this regard.

Such systems should cover six key blocks (directions) of the fishery sector. These blocks are -Resource, Fishing, Fish breeding and Selection, Technical foundation and Economics.

რემიტანსები და მისი შემოსავლების უთანაბრობასა და სიღარიბეზე გავლენის შეფასება

ქინქლაძე რუსუდან
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფსორი

აბესაძე ნინო
ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფოუნივერსიტეტის
ასოცირებული პროფეორი

აბსტრაქტი

ნაშრომი ეძღვნება საერთაშორისო მიგრაციის ერთ-ერთი ძირითადი შედეგი მიგრანტებისგან ნაღდი ფულის ან მატერიალური საფასურის გზავნილების, ე.წ. რემიტანსების თავის ქვეყანაში „გენერირების“ პრობლემის განხილვას და მათი მოსახლეობის შემოსავლების უთანაბრობაზე გავლენის შეფასებას. აღნიშნულია, რომ რემიტანსების მნიშვნელოვანი უპირატესობა კაპიტალისგან განსხვავებით, იმაშია, რომ ნაკლებად ექვემდებარება რყევებს. პირიქით, მათი სიდიდე დონორ-ქვეყნებში იზრდება ეკონომიკური კრიზისის გაღრმავების დროს. მიგრანტთა ფულადი ტრანსფერები პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემდეგ მეორე მნიშვნელოვან დაფინანსების წყაროდ ითვლება განვითარებად ქვეყნებში და მათ შორის საქართველოშიც. მიგრანტების მიერ სამშობლოში მათი ოჯახებისათვის რემიტანსები განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის შემოსავლებისა და ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი წყაროა. მისი პირდაპირი ეფექტი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი იწვევენ შინამეურნეობების შემოსავლების გაზრდას, ამაღლებენ მათ რანგს იმ შინამეურნეობებთან შედარებით, რომლებიც გარე რემიტანსებს არ იღებენ ანუ შემოსავლების უთანაბრობაზე გავლენა.

ნაშრომში განხილულია რემიტანსების მოსახლეობის შემოსავლების უთანაბრობასა და სიღარიბეზე გავლენის შეფასების მეთოდები: ლორენცის მრუდი, ჯინის კოეფიციენტი, ტეილისა და ატკინსონის ინდექსები. მოცემულ ნაშრომში უთანაბრობის ანალიზისათვის უპირატესობა მინიჭებული აქვს ჯინის კოეფიციენტს და მისი შემოსავლების წყაროების მიხედვით დეკომპოზიციის რ. ლერმანისა და შ. იუჯკის მიერ შემოთავაზებული მეთოდიკას, რაც იმითაა განპირობებული, რომ იგი მკვლევარებისთვის უთანაბრობის არა მარტო პოპულარული მაჩვენებელია, არამედ იმითაც, რომ იგი მაღალი სიზუსტით იძლევა მონაცემებს მოსახლეობის შორის შემოსავლების განაწილების უთანაბრობის შესახებ.

საკვანძო სიტყვები: *რემიტანსები, შემოსავლების უთანაბრობა, შინამეურნეობა, მიგრაცია, საერთაშორისო მიგრაცია.*

ძირითადი ტექსტი

საერთაშორისო მიგრაციის ერთ-ერთი ძირითადი შედეგი მიგრანტებისგან ნაღდი ფულის ან მატერიალური საფასურის გზავნილების, ე.წ. რემიტანსების „გენერირება“ თავის ქვეყანაში. მიგრანტთა გზავნილების ოფიციალური მონაცემის ძირითადი წყარო არის ქვეყნების გადარიცხვების ყოველწლიური ბალანსი. საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ) აქვეყნებს გადარიცხვების ბალანსს. გლობალური შეფასების ოფიციალური რემიტანსების ნაკადების საფუძველზე საგადასახდელო ბალანსის სტატისტიკა აჩვენებს, რომ 2005 წელს (ოქტომბრის ჩათვლით), განვითარებად ქვეყნებში შრომითი მიგრანტების გადაგზავნილი თანხები საკუთარ ოჯახებში 167 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც საერთაშორისო დახმარების მოცულობაზე 2-ჯერ მეტია.[1] 2014 წელის მსოფლიო ბანკის მონაცემებით გადარიცხვებმა 527,849 მილიარდ ამერიკულ დოლარს მიაღწია[2]. მას შემდეგ, რაც ორი წლის განმავლობაში ვარდნა (2,6 და 4,1% 2015 და 2016), მსოფლიო ბანკის მონაცემებით, საერთაშორისო გზავნილების დაბალი და საშუალო შემოსავლების ქვეყნებში 8.5% გაიზარდა 2017 წელს 466 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. (Ratha et al., 2018). შეფასების მიხედვით, 2018 წელს იგი გაიზრდება 4.1 პროცენტით და 485 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწევს. ამდენად, ეს თანხები ბევრად აღემატება ოფიციალური განვითარების დახმარებას (ODA). საერთო ჯამში, მიგრანტ მუშაკთა და სხვა

პირების ფულადი გზავნილები ყველა ქვეყანაში, მათ შორის, მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში 2017 წელს გაიზარდა 573 მილიარდი. აშშ დოლარი და 2016 წლიდან 613 მილიარდი აშშ დოლარი. 2017 წელს ყველაზე მეტი ფულადი გზავნილებია აზიაში: ინდოეთი (69 მლრდ. აშშ დოლარი), ჩინეთი (64 მლრდ. აშშ დოლარი) და ფილიპინები (33 მლრდ. აშშ დოლარი). უმაღლესი შემოდინება მოხდა მექსიკაში (31 მლრდ. აშშ დოლარი), ნიგერია (22 მლრდ. აშშ დოლარი) და ეგვიპტეში (20 მლრდ. აშშ დოლარი). მთლიანი შიდა პროდუქტში ფულადი გზავნილების წილის მიხედვით 2017 მაღალია - ყირგიზეთის რესპუბლიკაში (35%), ტონგაში (33%), ტაჯიკეთში (31%), ჰაიტიში (29% მეტი), ნეპალში (29%) და ლიბერიაში (27%) [3].

მიგრანტთა ფულადი ტრანსფერები პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემდეგ მეორე მნიშვნელოვან დაფინანსების წყაროდ ითვლება განვითარებად ქვეყნებში. ეს მონაცემები არ იძლევა სრულ სურათს რემიტანსების რეალურ მოცულობაზე, რადგანაც გადაცემა ხდება ძირითადად არაოფიციალური არხებით. ამის გათვალისწინებით გადარიცხვების მოცულობა შეიძლება მინიმუმ გაორმაგდეს. გაეროს მონაცემების მიხედვით, მსოფლიოში მიგრანტთა 40%-ზე მეტი გზავნილები არაოფიციალური გზებით ხორციელდება.

რემიტანსები, როგორც წესი, იწვევს უცხოურ ბაზარზე წარმოშობის ქვეყნის ეროვნული ვალუტის ღირებულების ზრდას (მისი გაცვლითი კურსი), რადგან მცირდება ქვეყნის ექსპორტის კონკურენტუნარიანობა და უარესდება მრეწველობის დარგებში ინვესტიციების მოზიდვის პირობები, რომელიც ცვლის იმპორტს, რაც განსაზღვრავს სხვადასხვა სახის „ჰოლანდიურ დაავადებათა“ წარმოქმნას. თუმცა, მიგრანტთა წარმოშობის ქვეყნების საჯარო ხელისუფლების უმრავლესობა დარწმუნებულები არიან რემიტანსების პოზიტიურ გავლენაში, განსაკუთრებით სავაჭრო დეფიციტის დაფარვის პოზიციითა და ქვეყნის საგარეო ვალის მომსახურების თვალსაზრისით. გარდა ამისა, მსოფლიო ბანკის მონაცემებით ფულადი გზავნილები გამოიყენება სესხების დამატებითი უზრუნველყოფისთვის, რაც საშუალებას აძლევს საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ ქვეყნებს, როგორიცაა საქართველო, კაპიტალის საერთაშორისო ბაზარზე უფრო ხელსაყრელ პირობებში მიიღონ სესხები [4].

მიგრაციული ნაკადების ზრდა, როგორც ვარაუდობენ, მაღალი შემოსავლების ქვეყნებში, განაპირობებს 2025 წლისთვის მუშახელის რაოდენობის 3%-ით ზრდას. თავის მხრივ, ეს გამოიწვევს მოსახლეობის რეალური შემოსავლების ზრდას 0,6%-ით, ან 356 მილიარდი აშშ-ს დოლარით.[1]

ეს სარგებელი შეიძლება შევადაროთ პოტენციურ მოგებას, რომელიც მიიღება საქონლის ვაჭრობით გლობალური რეფორმირების დროს. ამავე დროს მიგრანტთა ფულადი გზავნილების მნიშვნელოვანი უპირატესობა იმაშია, რომ კაპიტალისგან განსხვავებით, ნაკლებად ექვემდებარება რყევებს. პირიქით, მათი სიდიდე დონორ-ქვეყნებში იზრდება ეკონომიკური კრიზისის გაღრმავების დროს. ამის დასაბუთებას იძლევა საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემები (ნახ 1).

ძირითადი ფულადი გზავნილების მსხვილი მიმღებები (მშპ-თან პროცენტული შეფარდებით) შედარებით პატარა ქვეყნები არიან, როგორიცაა ტონგა, მოლდოვა, ლესოტო და ა.შ.. ფულადი გზავნილების გამო ღარიბი მოსახლეობის ხვედრითი წილი ლესოტოში შემცირდა 11%-ით, განაში - 5%-ით, ბანგლადეშში - 6%-ით [1].

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოსათვის ერთერთი მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა და შიდა საფრთხე სიღარიბე გახდა, რომლის დონე, სიღრმე და სიმწვავე ოჯახში კმაყოფაზე მყოფ პირთა რაოდენობის ზრდის პარალელურად იზრდება. მუდმივად მზარდი მიგრანტთა გზავნილები კი სიღარიბის დაძლევის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მსოფლიოში.



ნახაზი 1. საქართველოში რემიტანსების მოცულობა 2006-2017 წლების მიხედვით, მლნ აშშ. დოლარი

წყარო. საქართველოს ეროვნული ბანკი

მოსახლეობის შემოსავლების დიფერენციაციის შესწავლისათვის ხშირად საკმარისად ცენტრალური ტენდენციის მხოლოდ სამი საზომის: საშუალო არითმეტიკული, მოდა და მედიანა, ანუ შინამეურნეობათა საშუალო შემოსავლის დადგენა და შინამეურნეობათა შემოსავლებსა და საშუალო შემოსავლებს შორის განსხვავებათა (გადახრათა) გაანგარიშების გამოყენება ითვლება. თუმცა, მხოლოდ ეს მაჩვენებლები არ არის საკამარისი სხვადასხვა სოციალურ ჯგუფების, დასახლებული პუნქტის, რეგიონის მოსახლეობის შემოსავლების უთანაბრობის დონისა და საგარეო რემიტანსების საერთო უთანაბრობაზე გავლენის დახასიათებისათვის.

შინამეურნეობათა შემოსვლების უთანაბრობის ღრმა და დეტალური ანალიზის პირველ ეტაპს წრმოადგენს ქვეყნის შინამეურნეობათა რიცხვის 10 ტოლ ნაწილად - დეცილებად დაყოფა. შემდეგ კი საჭიროა სერთო შემოსავლებში თითოეული ნაწილის წილის განსაზღვრა. სხვადასხვა დეცილებში მიღებული წილი საშულებას იძლევა აგებულ იქნას მოსახლეობის რიცხოვნობისა და შემოსავლების კუმულატიურ განაწილებას შორის შესადარისობის ამსახველი ლორენცოს მრუდი. ეს მრუდი გვიჩვენებს სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ხელში კონცენტრირებულ შემოსავალთა ხვედრით წილს და საშუალებას იძლევა განისაზღვროს შემოსავლების თანაბარი განაწილებიდან დაშორება[1] [5].

ლორენცოს მრუდის ძირითადი უპირტესობა სხვა ანალიტიკურ მაჩვენებლებთან შედარებით იმაში მდგომარეობს, რომ იგი საშუალებას იძლევა უფრო თვალსაჩინოთ წარმოვადგინოთ მათ თვისებებს შორის არსებული განსხვავება. შედარებითობის თვისების გამოყენებით შესაძლებელი ხდება ჩატარებულ იქნას როგორც სხვადასხვა ქვეყანაში, ისე სხვადასხვა დროის პერიოდში მოსახლეობის შემოსავლების უთანაბრობათა შედარებითი ანალიზი. ლორენცოს მრუდი საშუალებას იძლევა ასევე შეუდარონ ერთმანეთს დასაკვირვებადი ჯგუფების შემოსავლებს შორის განსხვავებები, თვალსაჩინოდ წარმოვადგინოთ მოსახლეობის შემოსავლების განაწილების უთნაბრობა, მაგრამ შეუძლებელია მისი როდენობრივი გაზომვა. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოიყენება უთანაბრობის სამი ძირითადი რაოდენობრივი საზომი: ჯინის კოეფიციენტი, ტეილისა და ატკინსონის ინდექსები. მოცემულ ნაშრომში უთანაბრობის ანალიზისათვის უპირატესობა მინიჭებული აქვს ჯინის კოეფიციენტს, რაც იმითაა განპირობებული, რომ იგი მკვლევარებისთვის უთანაბრობის არა მარტო პოპულარული მაჩვენებელია, არამედ იმითაც, რომ იგი მაღალი სიზუსტით იძლევა მონაცემებს

[1] აქ არ იქნება დეტლურად განხილული ლორენცოს ტიპიური მრუდის აგებისა და სტრუქტურის ანალიზი. უბრალოდ აღვნიშნავთ, რომ რაც უფრო დიდია განხვავება ლორენცოს მრუდისა და თანაბარი განაწილების წრფეს შორის, მით დიდია მოსახლეობის შემოსავლების უთანაბრობა.

მოსახლეობის შორის შემოსავლების განაწილების უთანაბრობის შესახებ. იმისათვის რომ მაჩვენებელი ჩაითვალოს რეპრზენტატულად და მიეკუთვნება თუ არა იგი უთანაბრობის საზომ შეფარდებით მაჩვენებელთა კლასს, საჭიროა დაკმაყოფილდეს შემდეგი მოთხოვნები [6,7,8]:

1. პიგუ-დალტონის ტრანსფერტულობის პრინციპი (Principle of Transfer), რომლის თანახმადაც, შედარებით დაბალი შემოსავლების მქონე შინამეურნეობებიდან შედარებით მაღალი შემოსავლების მქონე შინამეურ-ნებებისაკენ მიმართული ტრანსფერტი იწვევს მოსახლეობის შემოსავლების უთანაბრობის ზრდას, და პირიქით, მდიდრებიდან ღარიბებისაკენ მიმარ-თული ტრანსფერტი - ამცირებს მოსახლეობის შემოსავლების უთანაბრობის შემცირებას. ჯინის კოეფიციენტისათვის შემოსავლების ცვლილების შედეგად მიღებული უთანაბრობის ცვლილების სიდიდე დამოკიდებულია საერთო განაწილებასა და შერჩევის ზომაში შინამეურნეობის პოზიციაზე ან რანგზე. რაც მაღალია შინამეურნეობათა რანგებს შორის დისტანცია, მით ძლიერია შემოსავლების გავლენა მოსახლეობის შემოსავლების უთანაბრიბაზე და, პირიქით, რაც უფრო ახლოსაა მათი პოზიციები განაწილებაში, მით უფრო სუსტია მისი გავლენა უთანაბრობაზე.
2. შემოსავლების საზომის უცვლელობა (Scale Invariant). მოცემული აქსიომის ძირითადი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ შემოსავლების უთანაბრობის მაჩვენებელი უნდა იყოს მუდმივი ერთნაირად პროპორციულად ცვლილებაზე, ანუ, თუ ყველა შინამეურნეობის შემოსავლებს გავამრავლებთ ან გავყოფთ რაიმე სიდიდეზე, მაშინ საერთო უთანაბრობა არ უნდა შეიცვალოს. ყველა შემოსავლის ერთი და იგივე სიდიდით ცვლილება არ შეცვლის შემოსავლების კუმულატიურ განაწილებას, რადგან თითოეული შინამეურნების შემოსავლის წილი საერთო შემოსავლებში არ შეიცვლება. მაგალითად, ლარის დოლარზე კონვერტაციისას მოსახლეობის შემოსვლების უთანაბრობა არ უნდა შეიცვალოს.
3. პოპულაციის პრინციპი (Principle of population ანუ population size independence). უთანაბრობის მაჩვენებლები დამოუკიდებლები უნდა იყვნენ. ორი იდენტური განაწილების გაერთიანებამ უთანაბრობაზე არანაირი გავლენა არ უნდა მოახდინოს.
4. სიმეტრიულობის პრინციპი (symmetry). უთანაბრობის მაჩვენებელი უნდა იყოს შინამეურნეობის მახასიათებელი ყველა მაჩვენებლისაგან, შემოსავლების გარდა (ან კეთილდღეობის ინდიკატორის).

არსებობს კიდევ ორი არაუცილებელი პირობა:

1. სტატისტიკური შემოწმება - აუცილებელია დროთა განმავლობაში მაჩვენებლის სტატისტიკური მნიშვნელობის შემოწმება;
2. დეკომპოზიციის უნარი - მოცემულ თვისებას გააჩნია განსკუთრებული მნიშვნელობა მოსახლეობის შემოსვლების უთანაბრობაზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორების შემდგომი შესწავლისათვის. ასევე, ცალკეულ სოციალურ ჯგუფებზე სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამების ზეგავლენის ანლიზისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯინის კოეფიციენტი აკმაყოფილებს ყველა ზემოთაღნიშნულ აქსიომებს. ჯინის კოეფიციენტს, ამასთან ერთად, გააჩნია რიგი უპირატესობები უთანაბრობის სხვა ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით. კერძოდ:

- ჯინის კოეფიციენტს შეუძლია ასახოს ნეგატიური შემოსავლები. ზო-გიერთი შინამეურნეობის შემოსავლები შეიძლება იყოს ნულის ტოლი თუ მათ გარკვეული გასავლები ექნებათ. მოცემული თვისება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამებსა და შემოსავლების უთანაბრობაზე ზემოქმედების შესწვლისათვის. უთანაბრობის ზოგიერთ მაჩვენებელით ვერ ხერხდება უაყოფითი შემოსავლების ასახვა.
- ჯინის ინდექსი იყენებს კოეფიციენტების (შეფარდებითი მაჩვენებლები) და არა ცვლადების ანალიზს. მაგალითად, ქვეყანაში შემოსვლები ან მშპ ერთ სულ მოსახლეზე.
- ჯინის კოეფიციენტს გააჩნია ფუნდამენტური თეორიული ბაზა. მისი სხვადასხვა თეორიული საფუძველი წარმოადგენს კოეფიციენტის სხვადასხვა მხარეს. მათგან ყველაზე პოპულარულია

- სოციალური სამართლიანობის აქსიომა, რომელიც ჯინის ინდექსს წარმოაჩენს როგორც მოსახლეობას შორის უთანაბრობის მაჩვენებელს და შეფარდებითი დეპრივაციის თეორია, რომელიც წარმოადგენს ნორმატიული მაჩვენებლის საფუძველს. უნდა აღინიშნოს, რომ უთანაბრობის სხვა მაჩვენებლებს არ გააჩნიათ ასეთი ძლიერი თეორიული ბაზა [9, 10].

როგორც აღნიშნული იყო საქართველოში შემოსავლების მნიშვნელოვან წილს სწორედ რემიტანსები წარმოადგენენ. შესბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია მაღალი სიზუსტით იქნას შეფასებული მათი გავლენა მოსახლეობის კეთილდღეობაზე.

რემიტანსების მოსახლეობის შემოსავლების განაწილების უთანაბრობაზე გავლენის სიღრმისეული ანალიზისათვის უნდა დავანაწილოთ უთანაბრობა შემადგენელ ნაწილბად, ანუ ჩავატაროთ შემოსავლების წყაროების მიხედვით, საერთო უთანაბრობის დეკომპოზიცია და გამოვყოთ რემიტნსების წვლილი საერთო უთანაბრობაში. ქვეყნის შინამეურნეობათა შემოსავლების სოციალ-ეკონომიკური უთანაბრობის შესასწავლად, ინსტრუმენტარების სახით, ჩვენი მოსაზრებით, გამოყენებულ უნდა იქნას ჯინის კოეფიციენტი და მისი შემოსავლების წყაროების მიხედვით დეკომპოზიციის რ. ლერმანისა და შ. იუჯკის მიერ შემოთავაზებული მეთოდიკა [11].

მოსახლეობის შემოსავლების განაწილების უთანაბრობის შესწავლისას გამოყენებულ იქნა დეკომპოზიციის სამი სახე:

- ჯინი კოეფიციენტის დანაწილება შემოსავლების წყაროების ან კომპონენტების მიხედვით;
- სოციალური ჯგუფების (ღარიბები და არაღარიბები) მიხედვით უთანაბრობის დანაწილება;
- უთნაბრობის დანაწილება სტრატების (სოფლის დასხლება, ქალაქის პერიფერიები, დედაქალაქი და ქვეყანა მთლიანად) მიხედვით.

ლერმანისა და იუჯაკის მეთოდიკა არა მარტო ჯინის კოეფიციენტის შემოსავლების წყაროების მიხედვით განაწილების, არამედ მოსახლეობის შემოსვლების უთანაბრობაზე რემიტანსებისა და სხვა წყაროების გავლენის გაანალიზების საშუალებას იძლევა. უნდა აღინიშნოს, რომ თუ რემიტანსების წილი საერთო შემოსავლებში დიდია, მაშინ რემიტანსებს შეუძლია უთანაბრობაზე ძლიერი გავლენის მოხდენა. ხოლო თუ რემიტანსები შინამეურნეობათა შორის თანაბრადაა განაწილებული, მაშინაც კი, როცა საერთო დანახარჯებში მაღალი წილი უკავია შემოსავლების ამ წყაროს გავლენა უთანაბრობაზე იქნებ ნულის ტოლი. მეორე მხრივ, თუ საერთო შემოსავლებში რემიტნსების წილი დიდია და იგი ათანაბროდაა განაწილებული მოსახლეობას შორის, მაშინ იმისდა მიხედვით თუ რომელი შინამეურნეობა (საერთო განაწილებაში შინამეურნეობის რანგი) ღებულობს საგარეო რემიტანსებს, უთანაბრობა იზრდება ან მცირდება. თუ რემიტანსები არათანაბრადაა განაწილებული და საერთო შემოსავლების განაწილების ზედა ნაწილის არაპროპორციულია (დადებითი და დიდია), მაშინ რემიტანსების მონაწილეობა უთანაბრობაში დადებითი იქნება. ამსთან ერთად, თუ რემიტანსები არათანაბრადაა განაწილებული და კონცენტრირებულია ღარიბ შინამეურნეობათა ხელში, მაშინ რემიტანსებმა შეიძლება გამათანაბრებელი გავლენა მოახდინოს შემოსავლების განაწილების უთნაბრობაზე. თუ რემიტანსებიდან (y_r) შინამეურნეობათა შემოსავლები რაიმე სიდიდით გაიზრდება, მაშინ გაიზრდება შინამეურნეობათა ახალი შემოსავლებისა და ჯინის კოეფიციენტი. რემიტანსების ცვლილების შედეგად შინამეურნეობა-თა შემოსავლების უთანაბრობის ცვლილების ზღვრული ეფექტის დასად-გენად საჭიროა საერთო შემოსავლებში საერთო უთანაბრობის წილში რემი-ტანსების წილიდან უნდა გამოირიცხოს მისი ცვლილება. ამ შემთხვევში გამოიყენება არა ჯინის კოეფიციენტი, არამედ ჯინის „ფსევდოკოეფიციენტი“. ამასთან, ამ კოეფიციენტთა შეფარდებით (ფსევდოკოეფიციენტის შეფარდება ჯინის კოეფიციენტთან) მივიღებთ ჯინის შემოსავლებით ელასტიურობას ანუ რემიტანსებთან მიმართებაში ჯინის ელასტიურობის ინდექსს. თუ ჯინის ელასტიურობა ერთზე მეტია, რემიტანსების ნაკადის გადიდების დროს შემოსავლების უთანაბრობა იზრდება, ხოლო როცა ჯინის ელასტიურობა ერთზე ნაკლებია, რემიტანსების ნაკადის გადიდების დროს შემოსავლების უთანაბრობა მცირდება. რაც უფრო მცირეა ელასტიურობა მით მეტია რემიტანსების ეფექტი. თუ ჯინის ელასტიურობის 100-ზე გავამრალებთ, მივიღებთ მაჩვენებელს, რომელიც პროცენტულად გვიჩვენებს შინამეურნეობათა შემოსავლებში რემიტანსების მოცულობის ცვლილებით გამოწვეული ჯინის კოეფიციენტის ერთი პირობითი ერთეულით ცვლილებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Global Economic Prospects 2006: Economic Implications of Remittances and Migration. The International Bank for Reconstruction and Development / The World Bank. Juri Dadush.16 November, 2005.
2. http://data.worldbank.org/indicator/BX.TRF.PWKR.CD.DT
3. Migration data portal. The bigger picture. https://migrationdataportal.org/themes/remittances
4. შრომითი მიგრანტებისადმი სამართლიანი მიდგომა გლობალური ეკონომიკის პირობებში, მოხსენება VI, 92–ე სესია, მეექვსე დღის წესრიგი, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, ჟენევა, 2004, გვ. 24.
5. Кремер, Н. Ш. Эконометрика [Текст] : учебник для вузов /Н. Ш. Кремер, Б. А. Путко ; под ред. проф. Н. Ш. Кремера. - М. : ЮНИТИ-ДАНА, 2003.-311 с
6. Оксфордская иллюстрированная энциклопедия: в 9 т. Т. 7. Народы и культуры [Текст] / Пер. с англ. М., 2002, 416 с.
7. Каламанов, В. А. Управление миграционными процессами [Текст] : учеб. пособие / В. А. Каламанов, В. М. Моисеенко. - М.: ГУУ, 2003. - 223 с.
8. Stuart, R., Gregory, P. A model of Soviet rural-urban migration //ѧEconomic Development and Cultural Change. - 1975. - № 12.
9. Why do people migrate? // Statistics in Focus. - 2001. — № 1. (http ://w ww. europa. eu. int)
10. Greenwood, M. Research on internal migration in the United StatesA A urvey//Journ, of Economic Literature. - 1975. - № 13 (June).
11. Соболева, С. В. Демографические процессы в региональном социально-экономическом развитии [Текст] / С. В. Соболева. Новосибирск, 1988.-208 с.

Remittance and its impact on the poverty and inequal income

Kinkladze Rusudan
Georgin Technical University, Associate Professor
Abesadze Nino
Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Associate Professor

Summary

The thesis is dedicated to the discussion of the problem of generating Remittance, a transfer of money by a foreign worker to an individual in their home country, one of the main results of international migration, and of the impact Remittance makes on the inequality of income for citizens. It is said, that the main advantage of Remittance, in comparison to the equity, is that it rarely is a subject to a change of rate. On the contrary, its size increases in the donor countries during an economic crisis. Money transfers, made by migrants, are considered to be second highest financial source after foreign investments for developing countries, including Georgia. Remittances, sent by migrants to their home countries, are an important source of income and economic growth for the citizens of developing countries. It directly affects the income of the households, that receive Remittance, helping them stand on a higher level than the households not receiving them, hence the impact on the inequality of income.

Discussed in the thesis are methods that assess the impact of Remittance on income and poverty: Lorenz curve, Gini coefficient, Tail and Atkinson indexes. To analyze the inequality, given thesis shows a preference towards the Gini coefficient and R. Lehrman's and S. Iujki's methods of decomposition of the income by its sources, because it's not only a popular indicator among the researchers, but also it also represents the data of the inequal distribution of income among the citizens with a high accuracy.

სამეცნიერო – ტექნიკური განვითარების პროგნოზირება: შექმნის საფუხურები და სტრუქტურული მოდელები

ქოქიაური ნინო
აკ. წერეთლის სახელობის ქუთაისის უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

შრომაში გაშუქებულია სამეცნიერო – ტექნიკური და ინოვაციური სფეროს განვითარების ერთ – ერთი მნიშვნელოვანი საკითხი – ინოვაციური საკითხის პროგნოზირება, მისი პრინციპები, პროგნოზის შედგენის ეტაპები და სტრუქტურული მოდელები. ახლებურადაა დაყენებული ინოვაციების სოციალური და ეკოლოგიური შედეგების პროგნოზირების პრობლემა.ყველა განვითარებული ქვეყნის მთავრობა ინოვაციური პოლიტიკის პრიორიტეტების საფუძველზე ამუშავებს და ამტკიცებს ინოვაციურ პროგრამებს.გარდა ამისა, ამ ქვეყნებში შემუშავებულია ინოვაციური საქმიანობის შესახებ კანონები, რომლებშიც შეტანილია ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო მხარდაჭერის ღონისძიებები (ფორმები).

საკვანძო სიტყვები: *პროგნოზირება, ინოვაციები, ინოვაციური ეკონომიკა, პროგნოზირების პრინციპები, პროგნოზის სქემა, პროგნოზის შედგენის ეტაპები.*

ძირითადი ტექსტი:

საინვესტიციო რესურსების დეფიციტის პირობებში მნიშვნელოვანი ფაქტორი არის სამამულო მრეწველობის განვითარების საქმეში სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური პოტენციალის აქტიური გამოყენება. ცნობილია, რომ ტექნიკური პროგრესის ფაქტორი განსაზღვრავს წარმოების გადიდებას არსებული სამუშაო ძალისა და სიმძლავრეების (ფონდების) პირობებში.

სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური განვითარების (ტექნიკური პროგრესის) ფაქტორის ასახვის ერთ-ერთი შედარებით გავრცელებული ინსტრუმენტია ე.წ. საწარმოო ფუნქციები. ამ პროცესის მოდელირებისას საწარმოო ფუნქციის აპარატის საფუძველზე ტექნიკურ პროგრესს უწოდებენ „ნეიტრალურს“, თუკი იგი გარკვეული პერიოდის განმავლობაში არ ცვლის დამოკიდებულებას ისეთ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, როგორებიცაა:

- წარმოების მოცულობა, სამუშაო ძალისა და კაპიტალის ღირებულება — თუკი კაპიტალით სამუშაო ძალის შეცვლა არ იწვევს წარმოების გადიდებას. ამ შემთხვევაში, „ჰიკსის“ მიხედვით, ტექნიკური პროგრესი ნეიტრალურია. ეს იმას ნიშნავს, რომ ტექნიკამ მიაღწია ზღვრულ მწარმოებლურობას და ამ ფაქტორების ზრდა განაპირობებს წარმოების მოცულობის ექსტენსიურ გადიდებას;
- კაპიტალუკუგება და პროცენტის ნორმა — თუკი პროცენტის ნორმას და კაპიტალტევადობას აქვს უცვლელი ხასიათი, მაშინ ტექნიკური პროგრესი, „ჰაროდის“ მიხედვით ნეიტრალურია. ეს იმას ნიშნავს, რომ კაპიტალის მწარმოებლურობა ზღვრული გახდა, ე.ი. მიაღწია პროცენტის ნორმის დონეს და ამ ფაქტორების ზრდა გამოიწვევს შრომის მაჩვენებლის ექსტენსიურ ზრდას;
- შრომის მწარმოებლურობა და ხელფასის დონე — თუკი მათ შორის დამოკიდებულება დარჩება უცვლელი, მაშინ ტექნიკური პროგრესი, „სოლოუს“ მიხედვით, ნეიტრალურია. ეს იმას ნიშნავს, რომ შრომის მწარმოებლურობა ზღვრული გახდა; ტექნიკური პროგრესის ზრდა გამოიწვევს კაპიტალის მოცულობის ექსტენსიურ ზრდას. წარმოებაზე ტექნიკური პროგრესის ზემოქმედების კვლევისას, ავტონომიური ფაქტორის როლში (წარმოების სხვა ფაქტორების ცვლილების გათვალისწინების გარეშე), შრომისა და კაპიტალის უცვლელი დონის შემთხვევაში იგი განისაზღვრება, როგორც წარმოების ზრდა. „სოლოუს“ მიხედვით, განსაზღვრული ტექნიკური პროგრესი ნივთდება კაპიტალში, რომლის ზრდას უწოდებენ ახალ ტექნიკაში ინვესტირებას (ე.ი. ეს არის მეცნიერებატევადი ინვესტიციები, რომლებიც განაპირობებენ კაპიტალის მწარმოებლურობის ცვლილებას).

„სოლოუსეული“ მიდგომის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ტექნიკური პროგრესი პერიოდში განისაზღვრება გასულ პერიოდში შექმნილი ტექნიკის დონით. ამასთან, კაპიტალური დაბანდებები გაითვალისწინება არა წმინდა მოცულობით, არამედ ტექნიკური პროგრესის ტემპში ასახული მათი ხარისხის მაჩვენებლის გათვალისწინებით. მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ პერსპექტივაში მხოლოდ შრომითი რესურსების რეზერვები და ხარისხი არ შეიძლება იყოს ეკონომიკური ზრდის ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორი. აუცილებლად არის გასათვალისწინებელი ინვესტიციებისა და ძირითადი კაპიტალის ხარისხთან დაკავშირებული ტექნიკური პროგრესის ასპექტები. მათ განსაზღვრავს ინტენსიური ინვესტიციები და ინტენსიური საინვესტიციო პროცესი. განხილული სისტემის ჩარჩოებში სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური სფეროს განვითარების პროგნოზის შემუშავებისას, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია შემდეგი ძირითადი მეთოდოლოგიური პრინციპების გათვალისწინება;

- ამოსავალ საინფორმაციო მაჩვენებლებად უნდა გამოიყენონ ის მაჩვენებლები, რომლებიც ყველაზე მეტად ახდენენ გავლენას საპროგნოზო სიდიდეზე;
- პროგნოზების შემუშავებისას მიზნებით, ამოცანებითა და რესურსული უზრუნველყოფით განსხვავებული სოციალ-ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური განვითარების ალტერნატიული გზების განხილვა;
- პროგნოზირების მოდელების გამოყენებადი ხასიათი მონაცემთა შერჩევის პირობაში, შერჩევაში შემთხვევითი და გამოტოვებული მონაცემების არსებობის გათვალისწინებით, რომლებიც ზუსტად არ ასახავენ რეალურ ტენდენციებს;
- პროგნოზირების პროცესში სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური სფეროს მაჩვენებლების, როგორც სამეცნიერო, სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური საქმიანობის პროგნოზის ურთიერთშეთანხმებული და ერთიმეორესთან დაკავშირებული მახასიათებლების განხილვა;
- პროგნოზირების მოდელების ადაპტაციურობა და სისრულე (პროგნოზირების მოდელების თვითმაკორექტირებელი სისტემის შექმნა, რომელსაც შეუძლია პროგნოზის შედეგების გათვალისწინებით ოპერატიულად მოახდინოს რეაგირება მონაცემთა დინამიკის ხასიათის ცვლილებაზე);
- გადაწყვეტილების მიმღებ პირთა აქტიური როლი იმ მონაცემთა შერჩევაში, რომელთა მიხედვით კეთდება პროგნოზი და პროგნოზირების მოდელების ადაპტაციური სისტემის ჩამოყალიბება (ამა თუ იმ ამოსავალი მონაცემების შერჩევაში შესაძლებლობების გათვალისწინება და პრიორიტეტულობის ვარირება იმ პირებისა, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებებს, პროგნოზირების შერჩეული მოდელების გათვალისწინებისა და ვარირების შესაძლებლობისას).

საანალიზო სფეროს განვითარების პროგნოზის გათვლის მოდელებისა და ინსტრუმენტარიუმის შერჩევისა და რეალიზაციისას უნდა გაითვალისწინონ გადასაწყვეტი ამოცანების თავისებურებები, ამოსავალი ინფორმაციის სპეციფიკა და ფაქტორების შემდეგი ჯგუფი:

1. საგარეო-ეკონომიკური მოვლენების შედეგები. აქ საუბარია ქვეყანაში ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიტუაციაზე, სხვადასხვა სახის საგარეო-ეკონომიკური და სხვა ფაქტორების გავლენის გათვალისწინების მიზანშეწონილობაზე. ეკონომიკის განვითარების ტემპების მსოფლიო მნიშვნელობის რყევები და პოლიტიკური კონიუქტურის ცვლილებები ქმნიან იმ ფონს, რომელიც უნდა გაითვალისწინონ სამეცნიერო-ტექნიკური სფეროს განვითარების პროგნოზების შემუშავებისას.

2. სიტუაცია ქვეყანაში. ქვეყნის შიგნით სამეცნიერო-ტექნიკური სფეროს განვითარების მოკლევადიანი და საშუალოვადიანი პროგნოზირების დროს მიზანშეწონილია გაითვალისწინონ ორი ძირითადი ასპექტი: პროგნოზი უნდა ითვალისწინებდეს როგორც თვით სამეცნიერო-ტექნიკური სფეროს, ასევე მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის შიდა მოთხოვნებსა და შესაძლებლობებს. გარდა ამისა, იგი უნდა ეყრდნობოდეს საანალიზო მაჩვენებლების ჩამოყალიბებული დინამიკის წინასწარ ანალიზს. სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური სფეროს განვითარების პროგნოზის შედგენისას მხედველობაში უნდა მიიღონ და გაითვალისწინონ შემდეგი ფაქტორები: მეცნიერებისა

და განათლების პრიორიტეტულ მიმართულებებზე რესურსების კონცენტრაციის აუცილებლობა; სამამულო ეკონომიკის ჩამოყალიბებული ტექნოლოგიური სტრუქტურა და ტექნოლოგიური ფაქტორების

წამყვანი როლი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემების გადაჭრაში; ტექნოლოგიური განვითარების სამამულო რესურსების მდგომარეობა; შრომითი პოტენციალის მდგომარეობა და ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების მთელი სფეროს სტრუქტურული რეორგანიზაციის აუცილებლობა.

3. მაკროეკონომიკური განვითარების ვარიანტები. პროგნოზული გათვლები აუცილებელია აიგოს სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროსთან მიმართებაში რიგი, გარე პარამეტრების საფუძველზე. მაგალითად, სამეცნიერო-ტექნიკური სფეროს დაფინანსების პროგნოზი ემყარება ისეთი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების პროგნოზებს, როგორებიცაა მთლიანი შიდა პროდუქტის ოდენობა, სამრეწველო წარმოების მოცულობა, ინფლაციის დონე და სხვა. მეცნიერების სფეროში დასაქმების პროგნოზი, ერთის მხრივ, არ შეიძლება არ ითვალისწინებდეს მოცემულ სფეროში ფინანსურ მდგომარეობას და მეორეს მხრივ, მასში უნდა გაითვალისწინონ ქვეყანაში დემოგრაფიული სიტუაციის პერსპექტივების მახასიათებელი მონაცემები.

სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური სფეროს განვითარების პროგნოზი ჩამოყალიბებული ტენდენციების ექსტრაპოლიაციის ტრადიციული მეთოდების საფუძველზე, ცალკეული მაჩვენებლის რეტროსპექტივის არასაკმარისი სიღრმის გამო, შეიძლება შეიმუშაონ მხოლოდ ეკონომიკური სიტუაციის განვითარების ინერციული სცენარისათვის, თანაც ერთობ პირობითად. ქვეყანაში ეკონომიური სიტუაციის არასტაბილურობა და უკანასკნელ ათწლეულში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებები არ იძლევა საშუალებას, პირდაპირ გამოიყენონ 1991 წლამდე პერიოდში საპროგნოზო მაჩვენებლების დინამიკის ამსახველი სახელმწიფო სტატისტიკური ანგარიშგების არსებული ფორმები. ცალკეული მაჩვენებლების მიხედვით, რეპრეზენტაციული მონაცემების უქონლობის გამო, სახელმწიფო სტატისტიკურ ანგარიშგებაში ატარებენ ერთდროულ გამოკვლევებს. ამ პროცესის უპირატესობაა ის, რომ შედარებით სრულად ხდება კვლევის ობიექტის ასახვა კვლევის წინაშე დასმული მიზნების შესაბამისად. თუმცა ამ გამოკვლევების ჩატარება, ჩვეულებრივ, პირველადი მონაცემების დამუშავებისას გარკვეულ სირთულესთანაა დაკავშირებული, რაც განაპირობებს შეფერხებებს კვლევების შედეგების გამოქვეყნებისას. ნებისმიერ შემთხვევაში, სახელმწიფო სტატისტიკური ანგარიშგებისა (თუნდაც არასრულის, მაგრამ თავისდროულად და რეგულარულად შემოსულის) და ჩატარებულ გამოკვლევების მონაცემებს შორის საჭირო და აუცილებელია გონივრული კომპრომისი.

ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკური სფეროს განვითარების პროგნოზის შედგენა განსაზღვრულ ლოგიკურ თანმიმდევრობას მოითხოვს; ეკონომიკურ ლიტერატურაში სამეცნიერო-ტექნოლოგიური სფეროს განვითარების პროგნოზის შემდეგ ეტაპებს განიხილავენ:

1. კვლევებისა და დამუშავებების დაფინანსების სიდიდის პროგნოზი;
2. კვლევებსა და დამუშავებებზე გაწეული დანახარჯების სიდიდის პროგნოზი ერთ მუშაკზე გაანგარიშებით);
3. მეცნიერული კვლევებისა და დამუშავებების შესრულებაზე დასაქმებული პერსონალის რიცხვოვნობის პროგნოზი;
4. მეცნიერული კვლევებისა და დამუშავებების შესრულებაზე დასაქმებული პერსონალის საშუალო ხელფასის პროგნოზი;
5. მეცნიერების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მაჩვენებლების პროგნოზი;
6. საპატენტო აქტივობის მაჩვენებლების პროგნოზი.

ინოვაციური საქმიანობის მართვის სისტემა ითვალისწინებს საგანგებო გაანგარიშებების ჩატარებას, რომლებიც დაკავშირებულია სამეცნიერო-ტექნიკურ პროგნოზებთან.

ინოვაციურს განეკუთვნება შემდეგი სახის საქმიანობები:

- სამეცნიერო-კვლევითი, საცდელ-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური სამუშაოების შესრულება.

- მარკეტინგული კვლევების ჩატარება და ინოვაციური პროდუქციის გასაღების ბაზრის ორგანიზება;
- ტექნოლოგიური ხელახალი აღჭურვის განხორციელება და წარმოების მომზადება;
- ახალი პროცესების, პროდუქციისა და ნაკეთობათა გამოცდის, სერტიფიკაციისა და სტანდარტიზაციის განხორციელება;
- ინოვაციური ინფრასტრუქტურის შექმნა და განვითარება;
- ინოვაციური საქმიანობისათვის საჭირო კადრების მომზადება და გადამზადება;
- ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებსა და კონფიდენციალურ სამეცნიეროტექნიკურ და ტექნოლოგიურ ინფორმაციაზე უფლებების დაცვა, გადაცემა და შეძენა;

ინოვაციური საქმიანობის დაფინანსება ინოვაციურ პროგრამებსა და პროექტებში ინვესტიციების განხორციელების ჩათვლით და სხვა სახის სამუშაოები, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან ქვეყნის კანონმდებლობას.

ყველა განვითარებული ქვეყნის მთავრობა ინოვაციური პოლიტიკის პრიორიტეტების საფუძველზე ამუშავებს და ამტკიცებს ინოვაციურ პროგრამებს.გარდა ამისა, ამ ქვეყნებში შემუშავებულია ინოვაციური საქმიანობის შესახებ კანონები, რომლებშიც შეტანილია ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო მხარდაჭერის ღონისძიებები (ფორმები).

ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო მხარდაჭერა ხორციელდება შემდეგი ძირითადი მიმართულებით:

ა) ინოვაციურ საქმიანობასთან დაკავშირებული სამეცნიერო-კვლევითი, საცდელ-საკონსტრუქ-ტორო და ტექნოლოგიური სამუშაოების დაფინანსება;

ბ) ინოვაციური პროგრამებისა და პროექტების ინოვაციური საქმიანობის უზრუნველმყოფი ღონისძიებების, ასევე, ინოვაციური საქმიანობის ინფრასტრუქტურის, სუბიექტების, სამუშაოების დაფინანსება;

გ) საზღვარგარეთ გამოგონებებისა და სამრეწველო ნიმუშების დაპატენტების დაფინანსება, რომლებიც შედიან საექსპორტო პროდუქციის შემადგენლობაში ან ექსპორტირებისათვის გამიზნულ სამამულო პროდუქციაში;

დ) ინოვაციური საქმიანობის ინფრასტრუქტურის სუბიექტების შექმნასა და განვითარებაში სახსრების ინვესტირება;

ე) ინოვაციური საქმიანობის შედეგად შექმნილი პროდუქციის შესყიდვაზე სახელმწიფო შეკვეთის განთავსება;

ვ) ცალკეული საინოვაციო პროექტების და მათი განმახორციელებელი ღონისძიებების რეალიზაციაზე სუბსიდიების გაცემა;

ზ) ქვეყნის თავდებობა უცხოეთის კრედიტორებსა და ინვესტორებთან ინოვაციური საქმიანობის სუბიექტების და ინოვაციური საქმიანობის ინფრასტრუქტურის სუბიექტების ვალდებულებების შესრულებაზე;

თ) ქვეყნის მეწარმეების მიერ წარმოებული მაღალტექნოლოგიური პროდუქციის კონკუ-რენტუნარიანობის სატარიფო და არასატარიფო რეგულირება იმ ანალოგებთან მიმართებაში, რომლებიც სუბსიდირდებიან უცხოური მეწარმეების პროდუქციით და მათ სახელმწიფოები ახორციელებენ;

ი) შეღავათების გაწევა ინოვაციური საქმიანობის სუბიექტებისა და ინოვაციური საქმიანობის ინფრასტრუქტურის სუბიექტების მიმართ, ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად;

კ) სახელმწიფოსათვის კუთვნილი ქონების გამოყენებაზე, მათ შორის ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების გამოყენებაზე უფლების გაცემა.

ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო მხარდაჭერა ხორციელდება მხოლოდ ამ საქმიანობის განხორციელების პერიოდში. ინოვაციური პროექტის სახელმწიფო მხარდაჭერა ზოგიერთ ქვეყანაში ხორციელდება გამოსყიდვის ნორმატიული ვადის პერიოდში, მაგრამ წარმოების დაწყების მომენტიდან სხვადასხვა პერიოდებია დადგენილი. ინოვაციური საქმიანობის ინფრასტრუქტურის

სუბიექტებს, რომლებიც კომერციულ საწყისებზე არიან შექმნილი, სახელმწიფო მხარდაჭერის მიღება შეუძლიათ ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სახელმწიფო ორგანიზაციებს უფლება აქვთ ინოვაციური საქმიანობის განმახორციელებელ მცირე ინოვაციურ საწარმოებს არენდით გადასცენ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართობი ან ქონება, შესაბამისი შეღავათების გათვალისწინებით.

ინოვაციური საქმიანობის დაფინანსება ხორციელდება:

- ინოვაციური საქმიანობის სუბიექტების სახსრების ხარჯზე და• გარედან მოზიდული სახსრების ხარჯზე;
- ცენტრალური ბიუჯეტის, ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრების ხარჯზე;
- ინოვაციურ პროცესში მონაწილე სახელმწიფო არასაბიუჯეტო ფონდების და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციების სახსრების ხარჯზე;
- უცხოელი ინვესტორების, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და ფონდების სახსრების ხარჯზე.
- ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო დაფინანსება ხორციელდება:
- ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მიერ, მთავრობის მიერ დადგენილი ნორმატივების ფარგლებში;
- აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების სუბიექტების მიერ მათი უფლებამოსილების ფარგლებში;
- სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ, რომლებიც ახორციელებენ ინოვაციური საქმიანობის სუბიექტებისათვის სახელმწიფო მხარდაჭერას.

ლიტერატურა

1. აბრალავა ა., გვაჯაია ლ., ქუთათელაძე რ., 2009. საინოვაციო მენეჯმენტი. თბ.: სტუ.
2. ბარათაშვილი ე., დათაშვილი ვ., ნაკაიძე გ., ქუთათელაძე რ., 2008. ინოვაციური მენეჯმენტი. თბ.: გამომცემლობა ,,ევროპული უნივერსიტეტი''.
3. ქოქიაური ლ., ქოქიაური ნ., 2015. ინოვაციები. თბ.: სტუ გამომცემლობა.
4. ჩიქავა ლ., 2006. ინოვაციური ეკონომიკა. თბ.: საგამომცემლო ,,სიახლე''.
5. ჯოლია გ., სეხნიაშვილი დ., 2010. ცოდნის ეკონომიკა და მართვა. თბ.: სტუ.
6. Давтян М., Щербакова Т., Карзанова И., 2014. Экономика инновационной деятелъности предприятия. М.: ГУДН.
7. Peter F Drucker., 2015. Innovation and Enterpreneurship. Practice and Principles. With a foreword by Joseph Maciariello. Harperkolin. London and New York.
8. Khargadon E., 2007. Management of Innovations. Experience of Leading Companies. M.: Williams.
9. Лемерлъ П., 1994. Инновационная теория: истоки и перспективы развития. Пер. с франц. Киев: Арена – Пресс. с.119.
10. Lundvall B., 1992. National Sistems of Innovation: Towards a Theory of Innovation and Interactive Learning. London: Printer Publishers.
11. Qoqiauri L., 2016. For Further Perfecting of Innovation Policy in Georgia. International Journal of latest research in Science and Technology. (IJLRST). Volume 5. Issue 3. Pp 11-21.
12. Qoqiauri L., 2017. From the History of Forming and Development the Concept of the National Innovative System.2017. World Wide Journal of Multidisciplinary Research and Development. 51. September. Volume 3. Issue 9. Pp. 234 – 239. https://www.wwjmrd.com/index.php (Im. F.)
13. Qoqiauri L., Qoqiauri N., 2017. Theoretical Aspects of Innovative Economics. SC-Media Media Group. Baku. Vol. 4. Pp. 3 – 18. (Im. F.)

Prognosis of Scientific- Technological Development: Constructing Stages and Structural Models.

Qoqiauri Nino

Summary

The work highlights the main methodological principles of constructing prognosis of structural prognosis of scientific- technological development, peculiarities of decisive tasks in the process of considering models of prognosis, choosing instrumentation and fulfillment. The work presents a scheme and main stages of elaboration of prognosis of development of scientific-technological sphere in a modern way. The article characterizes in logical succession six stages of prognosis of development of scientific –technological sphere existing today in economic literature. It also states the main directions of the state support in the direction of creation and usage of innovative prognosis and innovative infrastructure in general. All developed country governments are based on innovative policy priorities and are adopting innovative programs. In addition, the laws on innovative activities have been developed in which the state support measures of innovative activities are included

Key words: Prognosis innovations, Innovative economics, Pronciples of prognosis, Scheme of prognosis, Constructing stages prognosis.

ხელმომჭირნე წარმოება, როგორც პროდუქციის ხარისხისა და საწარმოო დანახარჯების ეფექტიანობის ამაღლების მექანიზმი

ჩეჩელაშვილი მაია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ყურაშვილი გუგული
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ბოლქვაძე ანა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია იაპონური მენეჯმენტის ტექნოლოგიის, ბიზნესის წარმართვის ორგანიზაციისა და ფილოსოფიის, „Lean Production" (ხელმომჭირნე წარმოების) კონცეფციის თეორიული და პრაქტიკული მხარეები, რომლებიც მოიცავს საწარმოს სამეურნეო და ფინანსური საქმიანობის თითქმის ყველა მხარეს. ავტორი აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში მსოფლიო პრაქტიკაში შექმნილია მენეჯმენტის უამრავი ახალი კონცეფცია და მეთოდი: ბიზნეს–პროცესების რეინჟინირიგნი (BPR), ხარისხის ტოტალური მენეჯმენტი (TQM), მაჩვენებელთა დაბალანსებული სისტემა (BSC), პროცესების სტატისტიკური მართვა (SPC), ქოუჩინგი, სტანდარტების საერთაშორისო მოდელები ISO 9000, ISO 14000, „ხუთი S", „ექვსი სიგმა", HACCP[1] და მრავალი სხვა, რომელთაგან, სამწუხაროდ, საქართველოში არც ერთია დანერგილი. გარდა ამისა, ავტორი აღნიშნავს, რომ საქართველოში არ არის შემუშავებული ამ მიმართულების საკუთარი მოდელები, არ არსებობს ტრადიციები, სკოლები, წინამორბედთა გამოცდილება. ამდენად, ქართველ მენეჯერებსა და მმართველებს ჯერ კიდევ წინ აქვთ საკუთარი გამოცდილების დაგროვების, უცხოურის მოსინჯვისა და დანერგვის გრძელი, სირთულეებით აღსავსე გზა.

საკვანძო სიტყვები: კონცეფცია Lean Production, მენეჯმენტის ტექნოლოგია, ხარისხის ამაღლება, დანახარჯების შემცირება.

ძირითადი ტექსტი

უკანასკნელ წლებში მსოფლიო პრაქტიკაში შექმნილია მენეჯმენტის უამრავი ახალი კონცეფცია და მეთოდი: ბიზნეს–პროცესების რეინჟინირიგნი (BPR), ხარისხის ტოტალური მენეჯმენტი (TQM), მაჩვენებელთა დაბალანსებული სისტემა (BSC), პროცესების სტატისტიკური მართვა (SPC), ქოუჩინგი, სტანდარტების საერთაშორისო მოდელები ISO 9000, ISO 14000, „ხუთი S", „ექვსი სიგმა", HACCP[2] და მრავალი სხვა.

სამწუხაროდ, საქართველოში არ არის შემუშავებული ამ მიმართულების საკუთარი მოდელები. არ არსებობს ტრადიციები, სკოლები, წინამორბედთა გამოცდილება. ამდენად, ქართველ მენეჯერებსა და მმართველებს ჯერ კიდევ წინ აქვთ საკუთარი გამოცდილების დაგროვების, უცხოურის მოსინჯვისა და დანერგვის გრძელი, სირთულეებით აღსავსე გზა.

„ხელმომჭირნე წარმოებისა და აზროვნების" (Lean Thinking and Manufacturing) წარმოადგენს მსოფლიო მენეჯმენტის გამოცდილების ყველაზე უფრო თვალსაჩინო კონცეფციას. მაგრამ ქართული კულტურა ძალიან შორს დგას ცნებისგან „ხელმომჭირნეობა". გავიხსენოთ: საქართველოში ღობე გაკეთებულია მასიური ხისგან, ავეჯი – დაპრესილი ნახერხისგან (უარეს შემთხვევაში ხის მასალა იყიდება მიზერულ ფასად, ხოლო ნახერხისგან დამზადებულ ავეჯს ვყიდულობთ ძვირადღირებულ იმპორტულ ფასად); წარმოების ნარჩენები ინახება სპეციალურ საწყობებში, მზა პროდუქცია (ცემენტი, ბლოკები, არმატურა, სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალები, სასუქები და სხვა

[1] HACCP (Hazard Analysis and Critical Control Points) — რისკების ანალიზი და კრიტიკული საკონტროლო პუნქტები (წერტილები) – კონცეფცია, რომელიც ითვალისწინებს საშიში ფაქტორების სისტემატურ იდენტიფიკაციას, შეფასებასა და მართვას, რაც არსებითად ზემოქმედებს პროდუქციის უსაფრთხოებაზე.

[2] HACCP (Hazard Analysis and Critical Control Points) — რისკების ანალიზი და კრიტიკული საკონტროლო პუნქტები (წერტილები) – კონცეფცია, რომელიც ითვალისწინებს საშიში ფაქტორების სისტემატურ იდენტიფიკაციას, შეფასებასა და მართვას, რაც არსებითად ზემოქმედებს პროდუქციის უსაფრთხოებაზე.

მრავალი) კვირების განმავლობაში დევს ღია ცის ქვეშ; ერთი ქარხნის ერთ საწარმოო ციკლში ჩართული მონათესავე საამქროები დიდი მანძილითაა დაშორებული ერთმანეთისგან და მრავალი სხვა. საჭიროა იმის აღქმა და გათავისება, რომ ქართული საწარმოების კონკურენტული უპირატესობა შიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ პროდუქციის მაღალი ხარისხითა და წარმოების დანახარჯების მინიმიზაციით. ამდენად, დღეს საჭიროა წარმოების ორგანიზაციის სრული რევიზირება (გადახედვა) იმისთვის, რომ წარმოების ჯაჭვის ყოველ რგოლში გამოირიცხოს ნებისმიერი დანაკარგი. კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ აუცილებლად მიგვაჩნია ინტეგრირებული მიდგომა, რომელიც მოიცავს ხელმომჭირნე წარმოების კონცეფციას, ხარისხს, მეთოდებსა და ინსტრუმენტებს ერთობლიობაში. ქართული საწარმოების ფუნქციონირების პრობლემებიდან გამომდინარე ვთვლით, რომ ხელმომჭირნე წარმოების კონცეფციის დანერგვა და მისი მეთოდების გამოყენება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ფაქტორს საწარმოო სისტემის თითოეული რგოლის საქმიანობის გაუმჯობესებისათვის.

„ხელმომჭირნე წარმოება“ არის მენეჯმენტის იაპონურ ტექნოლოგია, წარმოდგეს ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის ფილოსოფიური სისტემას, რომელიც მოიცავს წარმოების საქმიანობის პრაქტიკულად ყველა ასპექტს. მისი დამფუძნებელია ტაიიტი ონო, რომელმაც თავისი საქმიანობა დაიწყო 1943 წელს, კომპანიაში Toyota Motor Corporation, სადაც თავმოყრილია და ინტეგრირებული მსოფლიოს საუკეთესო გამოცდილება. გასული საუკუნის 50-იან წლებში მან კომპანიაში დანერგა წარმოებისა და ორგანიზაციის სისტემა TPS (Toyota Production System), რომელიც დასავლეთში ატარებს „ხელმომჭირნეობის“ სახელს (Lean production, Lean manufacturing, ან უბრალოდ – Lean).

სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს, რომ ხელმომჭირნეობის იდეა ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში, ჰენრი ფორდის მიერ იქნა გამოთქმული, მაგრამ ვინაიდან ფორდის იდეები ბევრად უსწრებდა დროს, საზოგადოებამ ის ვერ მიიღო. მივაქციოთ ყურადღება იმ ფაქტს, რომ თავდაპირველად ხელმომჭირნეობის იდეა დისკრეტული წამოების ციკლის მქონე კომპანიებში – მანქანათმშენებლობაში გამოითქვა. შემდეგში ეს კონცეფცია ადაპტირებულ იქნა უწყვეტი წარმოების იდეასთან, ამის შემდეგ კი დაინერგა ვაჭრობაში, მომსახურების სფეროში, ჯანდაცვაში, სახელმწიფო სექტორსა და სხვა. თანდათან Lean–იდეამ დატოვა წარმოების ჩარჩოები და ახლა იგი მოიცავს მომხმარებლებს, მიმწოდებლებსა და სხვა კონტრაჰენტებსაც.

ბევრ ქვეყანაში Lean–იდეის გავრცელებას სახელმწიფო მხარდაჭერა გააჩნია. ამ კონცეფციის მიზანს წარმოდაგენს ყველა სახის დანაკარგისგან თავის დაღწევა და რესურსების მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენება. „ხელმომჭირნე წარმოების“ კონცეფციის თავისებურება ვლინდება ყველა ბიზნეს–პროცესის მუდმივ გაუმჯობესებაში, რაც მიმართულია კლიენტების სრული დაკმაყოფილებისკენ. ამ კონცეფციით ხელმძღვანელობა გამოიხატება ორგანიზაციისა ან საწარმოს ფუნქციონირების პროცესში საღი აზრით ხელმძღვანელობაში, ხოლო მისი მთავარი იდეა მდგომარეობს შემდეგში: თუ რომელიმე ქმედება, ოპერაცია ან პროცესი არ ამატებს პროდუქციას ფასეულობას (სამომხმარებლო ღირებულებას) კლიენტის თვალსაზრისიდან გამომდინარე, მაშინ ეს ქმედება, ოპერაცია თუ პროცესი განიხილება, როგორც დანაკარგი, ანუ კომპანიისათვის ზარალის მომტანი.

კონცეფციაში ყველა დანაკარგი იყოფა ორ კატეგორიად: პირველი რიგის დანაკარგები, რომელსაც გვერდს ვერ ავუხვევთ, მაგალითად: ხელფასების გადახდა კომპანიის თანამშრომელთათვის. კლიენტის თვალსაზრისიდან გამომდინარე, ეს არ მატებს პროდუქციას რაიმე ღირებულებას, მაგრამ ამის გარეშე არ ხერხდება კომპანიის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება. ანუ ამ დანახარჯის გაუქმება არ შეიძლება, შესაძლოა მხოლოდ მისი ოპტიმიზირება; მეორე რიგის დანაკარგები – ეს დანაკარგები დაძლევადია.

მაგალითად, კომპანიაში «Toyota» ისინი კლასიფიცირებულია შემდეგი სახით:

- ზეწარმოება – ეს არის მმართველთა აზროვნების შედეგი, რომელთათვისაც მნიშვნელოვან პრიორიტეტს ყველა საწარმოო სიმძლავრისა და მთელი პერსონალის სრული დატვირთვით მუშაობა წარმოადგენს;
- ჭარბი მარაგები – ნედლეული და მასალები, მზა და დაუმთავრებელი პროდუქცია, დასაწყობებული სათადარიგო და სარემონტო მასალები დანადგარებისა და შენობებისათვის, ანუ ყოველივე ის, რაც კლიენტის თვალსაზრისიდან გამომდინარე არ სძენს პროდუქციას მეტ ფასეულობას. შედარებისათვის: საქართველოში ჭარბი მარაგები განიხილება ინფლაციისგან დაცვისა და უწყვეტი წარმოების ერთერთ გარანტიად, ამდენად (დღევანდელი ეკონომიკისა

და ბაზრის კონიუნქტურის პირობებიდან გამომდინარე) მარაგების გარეშე მიმდინარე საწარმოო პროცესის არსებობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. პრობლემა შემოიფარგლება იმის განსაზღვრით, თუ რამდენი და რა ნედლეულის/მასალის მარაგი წარმოადგენს ოპტიმალურს. ოპტიმალური, ანუ წონასწორობის წერტილის პოვნა წარმოების ტემპსა და მარაგების მოცულობას შორის ავტომატურად იწვევს მარაგების მოცულობის შემცირებას;

- წუნი – აშკარა დანაკარგები, რომელზეც დაიხარჯა ადამიანური და მატერიალური რესურსი. Lean–ფილოსოფიაში საუბარია იმაზე, რომ აგებულ უნდა იქნას სისტემა, რომელშიც ნორმიდან ნებისიერი გადახრა თვალშისაცემია;
- სამუშაო ადგილზე ზედმეტი ოპერაციები და გადაადგილება – თუ თანამშრომელი საჭირო დოკუმენტის, ან ინსტრუმენტის ასაღებად გადაადგილდება სამუშაო ადგილიდან რამდენიმე მეტრით დაშორებული ადგილისაკენ, ეს ასევე არ ამატებს ფასეულობას მის მიერ შექმნილ პროდუქციას, ანუ განიხილება, როგორც ზარალი. ამის თავიდან აცილება შესაძლებელია სამუშაო ადილის რაციონალური ორგანიზებით.
- ზედმეტი დამუშავება – დამკვეთის სპეციფიკაციით გათვალისწინებულზე მეტი და უფრო ხისტი ჩარჩოების დაწესება, რაც მოითხოვს პროდუქციის ზედმეტი დროის მანძილზე, ანდა უფრო ძვირადღირებული მასალებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით დამუშავებას, ანდა დამმუშავებლის უფრო მაღალ კვალიფიკაციას. გარადა ამისა, წარმოების ჯაჭვის ანალიზის დროს ირკვევა, რომ მასში ბევრი ოპერაცია სრულიად ზედმეტია.
- დროის გაცდენა – წარმოების ჯაჭვის სხვადასხვა რგოლში წინა რგოლის მიერ შესრულებული სამუშაოს შედეგების მოლოდინი. ეს შეიძლება მოხდეს წინა რგოლის მიერ დროის არასწორი დაგეგმვის, ანდა რაიმე საწარმოო ავარიის შედეგად. მოკლევადიან პერიოდში მსგავსი სიტუაციიდან გამოსავალს წარმოდგენს დაუსრულებელი პროდუქციის მარაგი, გრძელვადიან პერიოდში – საწარმოო მანქანა–დანადგარების ავარიების პრევენცია;
- ზედმეტი გადაადგილება – ტრანსპორტირება და ზოგადად გადაადგილება არ ამატებს პროდუქციას რაიმე ფასეულობას კლიენტის თვალში, მაგრამ განიხილება, როგორც აუცილებელი დანახარჯი;
- თანამშრომლების მიერ კრეატიული მიდგომის დაკარგვა – ძალზე სერიოზული დანაკარგია, რომელიც ზემოქმედებს კომპანიის საერთო მდგომარეობაზე. თუ ადამიანისთვის სულ ერთია, რას აკეთებს, მისგან არ შეიძლება ველოდეთ პასუხისმგებლობის გრძნობის გამოვლენა, შესრულებული სამუშაოს ხარსხსე კი ლაპარაკიც ზედმეტია.

ხელმომჭირნე წარმოების ტექნოლოგია შეიძლება დაყვანილ იქნას ხუთი ნაბიჯის თანმიმდევრული რეალიზების სქემაზე, რომლებიც, ერთი შეხედვით, ზედმეტად მარტივადაც კი გამოიყურება:

- ფასეულობის განსაზღვრა, რომლის მიღებას ელოდება კლიენტი;
- ამ ფასეულობის შექმნის პროცესის შექმნა;
- ამ პროცესის უწყვეტი მოძრაობის ორგანიზება;
- პრიციპის push[1] პრინციპით pull[2] ჩანაცვლება;
- სისტემის ყველა ელემენტის უწყვეტი სრულყოფა.

პრაქტიკაში ყველა ეს ნაბიჯი არც თუ მარტივი შესასრულებელია. პირველხარისხოვან ამოცანას აქ ფასეულობათა განსაზღვრა წარმოადგენს. ნ. კანოს პრინციპის[3] თანახმად, კლიენტს გააჩნია ფასეულობათა სამი დონე: პირველი დონე – ეს არის მახასიათებლები, მოთხოვნები და შესაძლებლობები, რომლებიც თავისთავად იგულისხმება. კლიენტი თვლის, რომ ისინი აპრიორი უნდა არსებობდეს. მაგრამ მიმწოდებელს ხომ თავისი წარმოდგენები აქვს იმის შესახებ, რა იგულისხმება თავისთავად?

[1] პრინციპი push – მმართველობითი ინფორმაციის ნაკადი იმავე მიმართულებისაა, რაც პროდუქცია.

[2] პრინციპი pull - ჯაჭვის მომდევნო რგოლი აკეთებს მოთხოვნას ინფორმაციაზე, რომელიც განკუთნილია წინა რგოლისათვის, წინა რგოლი რეაგირებს შეკვეთის შექმნით, რომელიც მოიცავს შიდა ოპერაციებს და შეკვეთის შესრულებისთანავე ივსება.

[3] კანოს პრინციპი – მეთოდი, რომელიც გამოიყენება პროდუქციის სხვადასხვა მახასიათებელზე მომხმარებლის ემოციური რეაქციის შეფასებისთვის. მისი მეშვეობით მიღებული შედეგები იძლევა მომხმარებელთა დაკმაყოფილებისა და ლოიალობის მართვის საშუალებას.

ეს პირველი სირთულეა; მეორე დონე – გაზომვადი ფასეულობები. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს რომელიმე პროდუქტის მახასიათებელი, ვთქვათ, ავტომობილის სიჩქარე. გაზომვადი ფასეულობა თავდაპირველად რამენაირად უნდა გაიზომოს, ამისათვის კი საჭიროა კონკრეტული ზომის ერთეულები, გაზომვის საშუალებები და მეთოდები, ეტალონების დადგენა (თუკი ეს შესაძლებელია), მეტროლოგიური მახასიათებლების განსაზღვრა და სხვა; ამ ეტაპზე მთავარ ამოცანას ფასეულობის შექმნის პროცესის შემუშავება წარმოდგენს, რომლის დროსაც თავი უნდა ავარიდოთ ისეთ პროცესებს, რომელიც პროდუქტს არ ამატებს ფასეულობას კლიენტების თვალსაზრისიდან გამომდინარე; მესამე დონე – ფასეულობები, რომელთა შესახებ კლიენტმა ჯერ არაფერი იცის. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მას ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს იმ თვისებების შესახებ, რომელიც უნდა, რომ გააჩნდეს პროდუქტს. ხშირ შემთხვევაში მომხმარებელს ჯერ არ აქვს განსაზღვრული საკუთარი მოთხოვნები, ამიტომ არც მას, არც მწარმოებელს არ შეუძლიათ იმ თვისებების ჩამოყალიბება, რომელნიც ბაზარზე მეტ ფასეულობას შესძენს პროდუქტს. მიუხედავად ამისა, მესამე დონის მოთხოვნები მწარმოებლისთვის საკვანძოს წარმოდგენს.

ზემოთ აღწერილ პროცესებში, ჩვეულებრივ, გამოიყოფა ხუთი დაინტერესებული მხარე: მომხმარებელი, მესაკუთრე, მიმწოდებელი, საზოგადოება, თანამშრომელი. უმთავრეს საკვანძო მომენტს აქ წარმოადგენს კონფრონტაციისგან თავის დაღწევა და ისეთი მენეჯმენტის შექმნა, რომელიც ეყრდნობა დაინტერესებულ მხარეთა შეთანხმებასა და მათ შორის ჰარმონიის დამყარებას.

ფასეულობის შექმნის პროცესი (პირველი პუნქტი) იწყება წესრიგის დამყარებიდან და ჭარბი მარაგების მიერ შექმნილი უხერხულობის დემონსტრირებით. ამისათვის აუცილებელია 5S კონცეფციის[1] დანერგვა, რათა ყველა დასამქებულმა იგრძნოს თვითორგანიზაციისა და გონიერი მინიმუმის რაიმე გადაჭარბების ზედმეტობა. პარალელურად უნდა ჩატარდეს სტრატეგიული მიზნების ქვედა რგოლებამდე ჩაშლის სამუშაო, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სამუშაოთა ნაწილის დელეგირება მართვის ზედა რგოლებიდან მუშებამდე (მეორე პუნქტი), მათი კვალიფიკაციისა და შესაძლებლობების შესაბამისად. მესამე პუნქტი არის პროდუქციის შექმნის პროცესის დანრგვა, რომლის ნებისმიერ რგოლში შეფერხება ნიშნავს აუცილებელ დანაკარგს შემოსავლებში. ამდენად, აუცილებელია პროცესის უწყვეტობის უზრუნველყოფა. შიდა და გარე მოხმარების ჯაჭვი უნდა იქცეს თანმიმდევრულ პროცესებად, რაც იძლევა ფასეულობათა ნაკადის შექმნის შესაძლებლობას როგორც შიდა, ასევე და გარე მოხმარებისათვის. ამდენად, იქმნება სისტემა, რომელსაც შეგვიძლია ვუწოდოთ „ზუსტი ვადისთვის შექმნა“. ვინაიდან ასეთი შეთანხმებული ქმედებების უზრუნველყოფა ძალზე რთულია, არსებობს მეოთხე ეტაპი (პუნქტი), რომლის დროსაც ინერგება Pull-მეთოდის გამოყენება. ეს იმას ნიშნავს, რომ ჯაჭვის ყოველ წინამორბედ რგოლში არავითარი ქმედება არ იწყება მანამ, სანამ შემდგომი რგოლი არ დაადასტურებს მზაობას წინა რგოლში შექმნილი პროდუქტის გამოყენების შესახებ. ამის შედეგად კლებულობს მარაგების, აგრეთვე დაუსრულებელი ნაწარმის წარმოქმნისა და შენახვის აუცილებლობა.

ხელმომჭირნე წარმოების ღონისძიებები დღეს ხორციელდება დანახარჯების შემცირებისა და ხარისხის ამაღლების ტოტალური ინიციატივების საფუძველზე, ხოლო მათი გადამისამართება ნაკადების უწყვეტობისკენ – TPM ტექნოლოგიის[2] გამოყენებით.

მეხუთე პუნქტი თავისთავად მუდმივია – ესაა მუდმივი სრულყოფა. თუ მეწარმის მთავარ მიზანს წარმოადგენს მომხმარებელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, მაშინ მან მუდმივად უნდა სრულყოს თავისი წარმოების სისტემა.

[1] 5S — არის ხელმომჭირნე წარმოების ერთერთი ინსტრუმენტი, სამუშაო ადგილის რაციონალიზაციისა და ორგანიზაციის სისტემა. შემუშავებულ იქნა იაპონიაში, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ. სახელწოდება გულისხმობს ხუთი იაპონური სიტყვის საწყის ასოებს, რომელნიც გამოხატავენ რაციონალიზაციის ხუთ ნაბიჯს: 1) სეირი (整理) – „დახარისხება“, ანუ არსებული საგნების მკაფიო დაყოფა საჭირო და არასაჭირო ჯგუფად, შემდეგ არასაჭირო საგნებისგან გათავისუფლება; 2)სეიტონი (整頓) – „წესრიგის შენარჩუნება“, ანუ საჭირო საგნების ისეთი ორგანიზება და შენახვა, რომელიც იძლევა მათი სწრაფი პოვნის საშუალებას; 3)სეისო (清掃) – „დალაგება“, ანუ სამუშაო ადგილის სისუფთავეზე და ზრუნვა; 4) სეიკეცუ (清潔) – „სტანდარტიზაცია“, ანუ წესრიგის შენარჩუნება, რომელიც აუცილებელია პირველი სამი წესის შესრულებისთვის; 5) სიცუკე (躾) – „სრულყოფა“, ანუ წესების, პროცედურებისა და ტექნოლოგიური ოპერაციების ზუსტად და დადგენილი ნორმების მიხედვით შესრულება.

2 TPM (Trusted Platform Module) წარმოდგენს მაკონტროლებელ რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხოების ძირითად ფუნქციას. ჩეპი დგება კომპიუტერის დედა–პლატაზე და ახორციელებს ურთიერთქმედებას სისტემის დანარჩენ კომპონენტებთან. კონცეფცია „პლატფორმის სანდო მოდული“ (სწორედ ასე ითარგმნება აბრევიატურა TPM) ეკუთნის კონსორციუმს Trusted Computing Group (TCG), რომელიც არსებობს 2004 წლიდან.

ხუთივე ეტაპის დასრულების შემდეგ შეიძლება ჩაითვალოს, რომ საწარმოში დაინერგა ხელმომჭირნე წარმოება, ეს კი ნიშნავს, რომ გამოთავისუფლებულია ყველა სახის რესურსის ნახევარზე არანაკლები, რომელიც ადრე იგივე მიზნისათვის იყო განკუთნილი. სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სისტემის დანერგვას ესაჭიროება ორი წლის დაუღალავი და მიზანმიმართული შრომა, რომელსაც ავტომატურად მოყვება ხარისხის ტოტალური უზრუნველყოფის სისტემის ამოქმედება, ხოლო წარმოება კი აღწევს ეფექტიანი ბიზნესის უმაღლეს დონეს. ცხადია, ეს არა მხოლოდ სამრეწველო პროდუქციის წარმოების, არამედ სხვა სფეროებსაც ეხება – მშენებლობას, განათლებას, ჯანდაცვას, სოფლის მეორნეობასა და სხვა.

ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ სისტემის წარმატებულ დანრგვასა და ფუნქციონირებას კომპანიის ხელმძღვანელები მთელი სერიოზულობით უნდა მოეკიდნონ, ამისათვის კი ფართოდ უნდა იქნას შესწავლილი უცხოური გამოცდილება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ტაიიტი ონო. ტოიოტას საწარმოო სისტემა: მასიური წარმოებიდან დაშორება. ონლაინ–გამოცემა ხელმისაწვდომია: http://www.koob.ru/ohno/
2. James P. Womack, Daniel T. Jones; Lean Thinking: Banish Waste and Create Wealth in Your Corporation, Revised and Updated; Pennsylvania, USA, 2014
3. Introduction to Lean Manufacturing, http://shinkamanagement.com/introduction-to-lean-manufacturing/
4. Вумек Джеймс П., Джонс Даниел Т. Бережливое производство. Как избавиться от потерь и добиться процветания вашей компании. — М.,: «Альпина Паблишер», 2011.
5. სიგეო სინგო. ტოიოტას საწარმოო სისტემის შესწავლა წარმოების ორგანიზაციის თვალსაზრისით. ონლაინ–რეჟიმში ხელმისაწვდომია: http://gtu.ge/Agro-Lib/[Sigeo_Singo]_Izuchenie_proizvodstvennoi_sistemue_(BookFi.or.pdf
6. პასკალ დენი, სირტაკი იაპონურად: ტოიოტას საწარმოო სისტემის შესახებ და არა მარტო.— მოსკოვი, გამომცემლობა იკსი, 2017,
7. იასუხირო მოდენი, ტოიოტას მენეჯმენტის სისტემა, ონლაინ–რეჟიმში ხელმისაწვდომია: http://cabinet.bi-group.org/files/Lean/Books/Система%20менеджмента%20Тойота.pdf

Lean Production as a Product Quality and Productivity Expenditure Mechanism

Chechelashvili Maia
Georgian Technical University, Associate Professor
Kurashvili Guguli
Georgian Technical University, Associate Professor
Bolkvadze Ana
Georgian Technical University, Associate Professor

Summery

The article deals with the theoretical and practical sides of the concept of Japanese management technology, business management organization and philosophy, “Lean Production”, which includes almost all sides of the enterprise’s financial and financial activities. The author points out that in recent years, a number of new concepts and methods are: Management of Business Processes (BPR), Quality Total Management (TQM), Balance of Benefits (BSC), Statistical Management of Processes (SPC), Coaching, International Models of Standards ISO 9000, ISO 14000, “Five S”, “Six Sigma”, HACCP and many others, out of which Tsukharod, Georgia no one is implemented. In addition, the author notes that there are no models of this direction in Georgia, there are no traditions, schools, predecessors experience. Thus, Georgian managers and governors still have a long way to accumulate their experience, long-term learning and introduction.

Keywords: concept of lean production, management technology, quality improvement, cost reduction.

A Comparison of Economic Development of The EU's Eastern Partnership Countries: Armenia, Azerbaijan, Belarus, Georgia, Moldova, and Ukraine

Chaikovska Ivanna
Ph.D. candidate
Jagiellonian University in Krakow (Poland)

Abstract

The paper presents characteristics of The EU's Eastern Partnership Countries. This is in total 6 countries: Armenia, Azerbaijan, Belarus, Georgia, Moldova, and Ukraine. These countries are presented in the context of their economic development. In particular, this paper analyzes diversity of the basic macroeconomic parameters characterizing economic development of the researched countries such as GBP, GBP per capita and pace of GBP growth. As well this research presents the labor market with special attention to the unemployment rate, employment and level of wages. It is pointed that the rate of employment growth is a growing function to the GDP growth rate, on the other hand, the increase in unemployment rate is decreasing function to the GDP growth rate. Also, this text presents theoretical grounds for diversity of labor effectiveness in the context of economic growth. This paper contains the characteristics of the financial markets in those countries and determinants of the Foreign Direct Investments (FDI).

In particular, this paper focuses on:

- determinants of economic development - theoretical aspect;
- diversity of the basic macroeconomic parameters such as GDP, GDP per capita - empirical analysis;
- diversification of labor markets (unemployment and employment);
- specifics of financial markets in selected countries - analysis of statistical data;
- determinants, direction and dynamics of Direct Foreign Investments;
- prospects for cooperation between The EU's Eastern Partnership Countries.

The question this paper tries to answer is: what level of countries' economic development is and how their macroeconomic situation varies. The analysis is based on statistic date of United Nations Economic Commission for Europe (UNECE) and World Bank.

Key words: *EU Eastern Partnership, economic development, labor market, financial market, Direct Foreign Investments.*

In our time, the spectacular gap exists between the world's rich and poor nations in economic development. The level of economic development of the country depends on determinants of economic growth, which directly influence the rate of economic development (e.g. increase in real GDP of an economy). According to Dani Rodrik, all determinants of economic growth can be divided into two groups: shallow and deep determinants[1]. The shallow determinants of development include physical and human capital accumulation and technological change. Furthermore, deep determinants of economic growth are institutions, geography and openness to trade[2].

In order to determine the level of economic diversification between The EU's Eastern Partnership Countries, we use the following macroeconomic parameters: Gross Domestic Product (GDP) and GDP per capita. In this paper, we analyze following The EU's Eastern Partnership Countries: Armenia, Azerbaijan, Belarus, Georgia, Moldova, and Ukraine. Suppose that the table nr 1 represents the data of the GDP and GDP **per capita.**

[1] D. Rodrik, *Institutions, integration, and geography: In search of the deep determinants of economic growth*, in: Modern Economic Growth: Analytical Country Studies, 2002, https://www.sss.ias.edu/files/pdfs/Rodrik/Research/institutions-integration-geography.pdf.

[2] D. Rodrik, *Institutions, integration, and geography: In search of the deep determinants of economic growth*, in: Modern Economic Growth: Analytical Country Studies, 2002, https://www.sss.ias.edu/files/pdfs/Rodrik/Research/institutions-integration-geography.pdf.

Table 1. GDP and GDP *per capita* in The EU's Eastern Partnership Countries: Armenia, Azerbaijan, Belarus, Georgia, Moldova, and Ukraine (thousand USD)

Countries	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
	Gross Domestic Product (GDP) at current prices and PPPs																
Armenia	7,12	7,97	9,16	10,66	12,10	14,22	16,59	19,37	21,12	18,27	18,90	20,19	22,05	23,14	24,40	25,46	25,85
Azerbaijan	28,45	31,98	35,91	40,73	46,11	60,16	83,40	107,07	120,93	133,32	141,50	144,51	150,41	161,70	167,89	171,56	168,43
Belarus	59,82	64,08	68,34	74,62	85,45	96,49	109,40	121,97	137,04	143,04	150,96	162,62	168,49	172,96	179,09	174,09	172,85
Georgia	11,43	12,25	13,12	14,86	16,17	18,29	20,62	23,78	24,81	24,08	25,90	28,35	30,70	32,25	34,35	35,72	37,30
Moldova	6,70	7,27	7,95	8,65	9,54	10,59	11,44	12,09	13,29	12,59	13,65	14,88	15,05	16,73	17,84	17,96	19,01
Ukraine	193,65	215,99	231,31	258,24	297,04	314,86	349,02	388,03	405,89	345,71	351,66	378,53	386,43	392,56	373,41	340,54	352,98
	GDP *per capita* at current prices and PPPs																
Armenia	2,21	2,48	2,86	3,35	3,82	4,52	5,31	6,24	6,84	5,96	6,21	6,67	7,29	7,66	8,10	8,48	8,64
Azerbaijan	3,52	3,92	4,36	4,90	5,49	7,08	9,69	12,28	13,68	14,90	15,63	15,76	16,18	17,17	17,61	17,78	17,26
Belarus	6,01	6,48	6,96	7,65	8,81	10,01	11,40	12,76	14,39	15,05	15,91	17,14	17,75	18,21	18,85	18,35	18,23
Georgia	2,59	2,79	3,01	3,43	3,74	4,19	4,69	5,42	5,66	5,46	5,82	6,32	6,84	7,19	8,37	9,61	10,03
Moldova	1,84	2,00	2,20	2,39	2,65	2,95	3,19	3,38	3,72	3,53	3,83	4,18	4,23	4,70	5,02	5,05	5,35
Ukraine	3,95	4,46	4,82	5,42	6,27	6,68	7,46	8,34	8,78	7,51	7,67	8,28	8,48	8,63	8,45	7,95	8,27

Source: own elaboration based on The United Nations Economic Commission for Europe (UNECE) https://www.unece.org/stats/stats_h.html.

As we can see from table nr 1, The EU's Eastern Partnership Countries are characterized by a high level of economic diversification, shown in GDP and GDP per capita over 2000-2016 years. A common feature is that the global financial crisis 2007-2009 had a major impact on economic development in almost all countries (except Azerbaijan and Belarus). The most affected by this crisis were Armenia and Ukraine, in which, respectively, GDP declined in 2009 to 18, 27 and 345,71 thousand USD, and GDP per capita fell to 5,96 and 7,51 thousand USD (see table nr 1).

The highest level in GDP per capita in 2016 had Belarus, and the lowest – Moldova, which turns out to be the poorest country in Europe[1]. In the analyzed countries during 2000-2016 years, in the average GDP per capita annually increase by approximately 470 USD.

In order to determine the degree of diversification of labor markets, the following parameters will be analyzed: unemployment rate and gross average monthly wages (see table nr 2).

As we can see from table nr 2, the highest level of unemployment is characterized for Armenia (in 2016 – 18%), and the lowest – Belarus (in 2016 – 0,8%). In the middle are Moldova (4,2%), Azerbaijan (5,0%) and Ukraine (9,4%). This is a confirmation that the unemployment rate differs significantly in the labor markets in analyzed countries. Between the country with the highest unemployment rate and the lowest is located a gap of 17,2%. Almost in all countries (except Georgia) during 2000-2016 years, the level of unemployment rate drops significantly (on average by 40%).

Similarly to the unemployment rate, the gross average monthly wages are characterized by high level of diversity (the coefficient of variation is around 46,1%)[2]. The gross average monthly wages are around 677 USD. It is important to note that in all analyzed countries average monthly wages had increasing, and in additional the average wage growth rate was around 249,6%.

On the basis of the analysis, it can be concluded that countries are developing gradually, but the level of the gap between them is still very high. However, with the assumption of maintaining the indicated trends, it could be possible to equalize the level of wages in the EU's Eastern Partnership Countries. Also, it is important to mention that low unemployment in the EU's Eastern Partnership Countries compared to European countries (in which the average unemployment rate is around 9 %), may be caused by hidden unemployment (e.g. in agriculture) and low productivity at work[3].

[1] Nowosad A., *Diversity of development in contemporary Europe*, edit. Rafal Wisla, Publishing house Jagiellonian University, Krakow 2016, p.188.

[2] Nowosad A., *Diversity of development in contemporary Europe*, edit. Rafal Wisla, Publishing house Jagiellonian University, Krakow 2016, p.194.

[3] Nowosad A., *Diversity of development in contemporary Europe*, edit. Rafal Wisla, Publishing house Jagiellonian University, Krakow 2016, p.197.

Table 2. Unemployment Rate and Gross Average Monthly Wages in The EU's Eastern Partnership Countries: Armenia, Azerbaijan, Belarus, Georgia, Moldova, and Ukraine

Countries	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
	Unemployment Rate																
Armenia	28,0	38.4	35.3	31.2	31.6	31.2	27.8	28.7	16.4	18.7	19.0	18.4	17.3	16.2	17.6	18.5	18.0
Azerbaijan	11.8	10.9	10.0	9.2	8.0	7.3	6.6	6.3	5.9	5.7	5.6	5.4	5.2	5.0	4.9	5.0	5.0
Belarus	2.1	2.3	2.9	3.1	1.9	1.5	1.1	1.0	0.8	0.9	0.7	0.6	0.5	0.5	0.5	1.0	0.8
Georgia	10.3	11.1	12.6	11.5	12.6	13.8	13.6	13.3	16.5	16.9	16.3	15.1	15.0	14.6	12.4	12.0	11.8
Moldova	8.5	7.3	6.8	8.0	8.2	7.3	7.6	5.1	4.0	6.4	7.4	6.8	5.6	5.2	4.0	5.0	4.2
Ukraine	11.6	10.9	9.6	9.1	8.6	7.2	6.8	6.4	6.4	8.8	8.2	8.0	7.6	7.3	9.3	9.1	9.4
	Gross Average Monthly Wages (USD)																
Armenia	42.1	44.1	47.7	60.1	81.4	113.8	149.7	217.0	285.7	264.3	274.7	290.2	350.3	357.7	381.3	359.1	393.0
Azerbaijan	49.5	55.8	64.9	78.8	101.2	130.7	166.8	251.5	334.0	370.8	413.0	461.2	507.1	541.8	566.7	455.7	313.2
Belarus	67.2	88.5	105.7	122.2	160.9	215.3	271.5	323.4	406.4	351.4	408.7	381.9	440.9	570.0	592.0	421.6	-
Georgia	36.6	45.6	51.7	58.7	81.7	112.6	156.1	220.4	358.8	333.3	335.3	377.1	431.5	464.8	463.3	396.8	-
Moldova	32.8	42.3	51.0	63.9	89.5	104.7	129.2	170.1	243.5	247.4	240.3	259.1	279.6	291.9	291.4	241.2	-
Ukraine	42.3	57.9	70.6	86.6	110.9	157.3	206.1	267.5	342.9	244.6	282.1	330.5	378.7	408.5	292.8	192.0	202.8

Source: own elaboration based on The United Nations Economic Commission for Europe (UNECE) https://www.unece.org/stats/stats_h.html.

The countries are most diverse in terms of size, geographic location, natural resources and the industry structure. All the above have a decisive influence on the investment policy of each country. All analyzed countries attract Foreign Direct Investments (FDI), from both Europe and other countries around the world.

The main attraction factors of Foreign Direct Investments (FDI) are[1]:

- fast rate of economic growth;
- natural resources stocks;
- industry structure;
- cheap workforce;
- privatization processes.

On the other hand, the biggest tide barriers of FDI to the EU's Eastern Partnership Countries are[2]:

- lack of investment climate (e.g. high corruption and bureaucracy, unfavorable laws and rules);
- lack of transport infrastructure (e.g. Azerbaijan);
- implementation of reforms and political instability (e.g. Ukraine).

The financial sphere is also characterized by a large variety, both in terms of the adopted model of financial market organization, supervision over them and the level of their development. A common feature of the EU's Eastern Partnership Countries is that the banking sector still dominates in them, and the capital market plays a small and additional role.

In reference to what, from the analyzes made, the conclusion is drawn that in 2000-2016 years the EU's Eastern Partnership Countries were developing dynamically. Which means that there is a pro-development trends and opportunities to strengthen cooperation between them and other countries around the world.

[1] *Recent Trends in FDI Activity in Europe*, Deutsche Bank, 2014.
[2] *Reform Driven Economic Success Provides Sustainable FDI Inflows*, „Investment in Georgia", June 2012.

Bibliography

1. Nowosad A., Diversity of development in contemporary Europe, edit. Rafal Wisla, Publishing house Jagiellonian University, Krakow 2016.
2. Recent Trends in FDI Activity in Europe, Deutsche Bank, 2014.
3. Reform Driven Economic Success Provides Sustainable FDI Inflows, „Investment in Georgia", June 2012.
4. Rodrik D., Institutions, integration, and geography: In search of the deep determinants of economic growth, in: Modern Economic Growth: Analytical Country Studies, 2002, https://www.sss.ias.edu/files/pdfs/Rodrik/Research/institutions-integration-geography.pdf.

A Comparison of Economic Development of The EU's Eastern Partnership Countries: Armenia, Azerbaijan, Belarus, Georgia, Moldova, and Ukraine

Chaikovska Ivanna
Ph.D. candidate
Jagiellonian University in Krakow (Poland)

Summary

The paper presents characteristics of The EU's Eastern Partnership Countries. This is in total 6 countries: Armenia, Azerbaijan, Belarus, Georgia, Moldova, and Ukraine. These countries are presented in the context of their economic development. In particular, this paper analyzes diversity of the basic macroeconomic parameters characterizing economic development of the researched countries, presents the labor market with special attention to the unemployment rate, employment and level of wages and theoretical grounds for diversity of labor effectiveness in the context of economic growth. This paper contains the characteristics of the financial markets in those countries and determinants of the Foreign Direct Investments (FDI). The question this paper tries to answer is: what level of countries' economic development is and how their macroeconomic situation varies.

სექცია IV
საჯარო და ელექტრონული მმართველობის თანამედროვე გამოწვევები

მუნიციპალური მართვის ხარისხის პოლიტიკის შემუშავებისა და რეალიზაციის გზები

აბრალავა ანზორ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

კერესელიძე ლევან
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

მუნიციპალური მართვის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის უმნიშვნელოვანესი ელემენტია მისი პოლიტიკა ხარისხის სფეროში, რომელიც ეფუძნება მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის დებულებებს და ორიენტირებულია საზოგადოებრივი განვითარების მიზნების მიღწევაზე.

ხარისხის პოლიტიკა, როგორც ადგილობრივ დონეზე მართვის ხარისხის მექანიზმის უმნიშვნელოვანესი ელემენტი, ორიენტირებული უნდა იყოს საზოგადოებრივი სიკეთეების მომხმარებელზე; მომსახურებათა ხარისხზე შესასრულებელი ფუნქციების შედეგიანობისა და ეფექტიანობის საფუძველზე (ადმინისტრირების ხარისხი); საზოგადოებრივი განვითარების მიზნით (საჯარო მმართველობის ხარისხი) ადგილობრივ თანამეგობრობასთან (ბიზნესსა და მოსახლეობასთან) ურთიერთქმედებაზე ადგილობრივი ხელისუფლების, ბიზნესისა და მოსახლეობის პარტნიორობის საფუძველზე.

ხარისხის პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მიზნები შეიძლება იყოს: მოსახლეობის ცხოვრების, როგორც საზოგადოების სოციალური სტაბილურობის საფუძვლის ხარისხის ამაღლება; მუნიციპალური მართვის ხარისხის ამაღლება მუნიციპალური საქონლის, მომსახურებებისა და ფუნქციების ხარისხის ამაღლების საფუძველზე; ტერიტორიის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა მდგრადი განვითარების მიღწევით.

შემოთავაზებულია მუნიციპალური მართვის ხარისხის პოლიტიკის მიზნების სტრუქტურა;

ჩამოყალიბებულია მუნიციპალური წარმონაქმნის კონკურენტული უპირატესობები მუნიციპალური მართვის ხარისხის ამაღლების საფუძველზე ;

საკვანძო სიტყვები: *მუნიციპალური მართვა, მდგრადი განვითარება, შემოსავლების დონე, მოსახლეობის დასაქმება, საინვესტიციო მიმზიდველობა, კონკურენტუნარიანობა, ხარისხის პოლიტიკა, სტრატეგიული მიზანი, ინდიკატორები.*

ძირითადი ტექსტი

„მუნიციპალური მართვის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის უმნიშვნელოვანესი ელემენტია მისი პოლიტიკა ხარისხის სფეროში, რომელიც ეფუძნება მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის დებულებებს და ორიენტირებულია საზოგადოებრივი განვითარების მიზნების მიღწევაზე. დღემდე არსებული სამეცნიერო კვლევები ხარისხის პოლიტიკის სფეროში ეხება მხოლოდ ქვეყნის დონეს და აქცენტს აკეთებს წარმოებული პროდუქციისა და გაწეული მომსახურებების ხარისხზე“.

მუნიციპალურ დონეზე ამ დროისათვის პოლიტიკა ხარისხის სფეროში მხოლოდ მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციების სერტიფიცირებული ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ელემენტად

განიხილება. ასეთ პირობებში აქტუალურია მუნიციპალური მართვის ხარისხის პოლიტიკის გაცნიეგბიერების, აღწერისა და შემუშავების პრობლემა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ადგილობრივი თვითმმართველობის ამოცანებს.

ხარისხის პოლიტიკა, როგორც ადგილობრივ დონეზე მართვის ხარისხის მექანიზმის უმნიშნელოვანესი მექანიზმი, ორიენტირებული უნდა იყოს საზოგადოებრივი სიკეთეების მომხმარებელზე; მომსახურებათა ხარისხზე შესასრულებელი ფუნქციების შედეგიანობისა და ეფექტიანობის საფუძველზე (ადმინისტრირების ხარისხი); საზოგადოებრივი განვითარების მიზნით (საჯარო მმართველობის ხარისხი) ადგილობრივ თანამეგობრობასთან (ბიზნესსა და მოსახლეობასთან) ურთიერთქმედებაზე ადგილობრივი ხელისუფლების, ბიზნესისა და მოსახლეობის პარტნიორობის საფუძველზე.

მუნიციპალური მართვის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის ფუნქციონირებამ უნდა უზრუნველყოს მუნიციპალურ წარმონაქმნში ოფიციალურად მიღებული პოლიტიკის შემუშავება და რეალიზაცია მუნიციპალური მართვის ხარისხის სფეროში, რაც ქმნის მუნციპალიტეტის საზოგადოებრივი განვითარების სტრატეგიული მიზნების მიღწევის შესაძლებლობას (ნახ. 1).



ნახ. 1 - მუნიციპალური მართვის ხარისხის პოლიტიკის მიზნების სტრუქტურა

მუნიციპალური მართვის ხარისხის პოლიტიკა (შემდგომ - ხარისხის პოლიტიკა), წარმოადგენს კონკრეტულ საკითხებზე ოფიციალური შეხედულებების სისტემას, სახელდობრ: მუნიციპალური მართვის ხარისხის სფეროს მიზნებზე; ლოკალური საზოგადოებრივი სიკეთეების ხარისხის როლზე საზოგადოებრივი ინტერესების რეალიზაციაში; ხარისხის პოლიტიკის რეალიზაციის ძირითად მიმართულებებზე.

ავტორის აზრით, ხარისხის პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მიზნები შეიძლება იყოს: მოსახლეობის ცხოვრების, როგორც საზოგადოების სოციალური სტაბილურობის საფუძვლის ხარისხის ამაღლება; მუნიციპალური მართვის ხარისხის ამაღლება მუნიციპალური საქონლის, მომსახურებებისა და ფუნქციების ხარისხის ამაღლების საფუძველზე; ტერიტორიის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა მდგრადი განვითარების მიღწევით.

მუნიციპალური მოსახურებების ხარისხი უშუალო გავლენას ახდენს სოციალური სფეროს მთავარი ამოცანის გადაწყვეტაზე - მოქალაქეთა ცხოვრების ხარისხის უზრუნველყოფაზე. ხარისხიანი მომსახურების მიღებით ისინი აღწევენ თავიანთი ფიზიკური, კულტურული და სხვა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. მეორე მხრივ, მუნიციპალური მართვის მაღალი ხარისხი წინასწარ განსაზღვრავს ეკონომიკის აღმავლობას და ზრდის მოსახლეობის დასაქმებას, ხელს უწყობს მოსახლეობის შემოსავლების, სოციალური უზრუნველყოფისა და გადახდისუნარიანი მოთხოვნის გადიდებას.

თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ხარისხის მენეჯმენტის მეთოდების დანერგვაზე ორიენტირებული ხარისხის ეფექტიანი სისტემების შექმნა მუნიციპალური წარმონაქმნის კონკურენტუნარიანი მდგომარეობის საწინდარია. მუნიციპალური მართვის ხარისხის პოლიტიკის შემუშავების მნიშვნელობა განპირობებულია იმით, რომ იგი წარმოადგენს მუნიციპალური პროდუქტის უმნიშვნელოვანეს ელემენტს. მუნიციპალური მართვის ხარისხის უზრუნველყოფის საფუძველზე ჩამოყალიბებულ ძირითად კონკურენტულ უპირატესობებს წარმოადგენს შემდეგი: (ნახ. 2).



ნახ.2-მუნიციპალური წარმონაქმნის კონკურენტული უპირატესობების ჩამოყალიბება მუნიციპალური მართვის ხარისხის ამაღლების საფუძველზე (საავტორო ნამუშევარი).

მუნიციპალური წარმონაქმნები იღებენ საკუთარი თავის, თავიანთი ტერიტორიული პროდუქტის პოზიციონირების შესაძლებლობას და აქვთ შესაძლებლობა დაადასტურონ ხარისხის სფეროში თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობა და ამგვარად აამაღლონ საკუთარი ინვესტიციური მიმზიდველობა.

ხარისხის პოლიტიკის მიზნების რეალიზაციის საფუძველზე მიიღწევა: 1) მუნიციპალური მართვის ხარისხით მოსახლეობის დაკმაყოფილების ზრდა; 2) პროცედურული საკითხების დამუშავების მაღალი ხარისხი; 3) ადმინისტრაციული პროცესების შეთანხმებულობა; 4) მმართველობითი ციკლის ხანგრძლივობის შემცირება; 5) ქვედანაყოფებს შორის ურთიერთქმედების გაუმჯობესება; 6) ყურადღების კონცენტრირება შეცდომების აღკვეთაზე; 7) მართვის ხარჯების რეგულირება (ხარჯების კონტროლი); 8) დანახარჯების შემცირება; 9) აუტსორსერების შერჩევა, შეფასება და კონტროლი; 10) საიმედოობის გარანტია მომხმარებელთათვის; 11) მუნიციპალიტეტის კონკურენტუნარიანობის მუდმივი ამაღლება; 12) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საზოგადოებრივი შეფასების როლის ამაღლება; 13) გარემოს ცვალებად პირობებზე ეფექტიანი რეაგირება და სხვ.

ხარისხის პოლიტიკა გულისხმობს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ ორგანიზაციულ-მმართველობითი რესურსების გამოყენებას, რომლებიც ხელს უწყობენ მუნიციპალური მართვის ხარისხის უზრუნველყოფას. ხარისხის პოლიტიკის რეალიზაციამ ხელი უნდა შეუწყოს საგანმანათლებლო და საკონსულტაციო საქმიანობის სფეროებში ღონისძიებათა სისტემების, ასევე მუნიციპალური მართვის ხარისხის უზრუნველყოფის მოტივაციის ღონისძიებათა შემუშავება.

ხარისხის პოლიტიკა გულისხმობს ინფორმაციული ინფრასტრუქტურისა და ინფორმაციული მომსახურებების განვითარებას. ამ პრობლემის გადაჭრის მიზნით უზრუნველყოფილი უნდა იქნას: მუნიციპალური საქონლის მომსახურებებისა და ფუნქციების ხარისხისადმი საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული მოთხოვნების შესახებ მონაცემთა ბაზების შექმნა; ამ ბაზებთან მოქალაქეებისა და ორგანიზაციების წვდომის უზრუნველყოფა (კომერციულ ან არაკომერციულ საფუძველზე); თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება (GALS ტექნოლოგიების ჩათვლით), რომელიც უზრუნველყოფს პროექტირების კომპიუტერული, დოკუმენტაციის გაფორმებისა და

გადაცემის პროგრესული ელექტრონული მეთოდების გამოყენების, ინფორმაციული რესურსების ჩამოყალიბებისა და გადაცემის შესაძლებლობას.

ხარისხის პოლიტიკა გულისხმობს არაკეთილთვისებიანი მუნიციპალური საქონლის მომსახურებებისა და ფუნქციების გადაცემისგან თავდაცვას. ხარისხის პოლიტიკის ფაგრლებში არაკეთილთვისებიანად მიიჩნევა მუნიციპალური საქონელი, მომსახურებები და ფუნქციები, რომელთა ხარისხი არ შეესაბამება მათ მიმართ წაყენებულ სავალდებულო მოთხოვნებს და/ან არ შეესაბამება ინფორმაციასა და ნორმატიულ დოკუმენტაციაში - ადმინისტრაციულ რეგლამენტსა თუ ხარისხისა და მისაწვდომობის სტანდარტში მითითებულ ხარისხს. მომხმარებელთა დაცვის მექანიზმის ჩამოყალიბება ეყრდნობა შემსრულებლის პასუხისმგებლობის დადგომის შეუქცევადობას.

საჭიროა მუნიციპალური და საზოგადოებრივი აუდიტის ქმედითი კოორდინირებული სისტემის ორგანიზაცია, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს დროულად გამოვავლინოთ არაკეთილთვისებიანი მომსახურება. უნდა მოქმედებდეს მომხმარებელთა საჩივრების განხილვის ოპერატიული არაბიუროკრატიული პროცედურა. ხარისხზე შემსრულებლის პასუხისმგებლობის შეუქცევადობის პრინციპის რეალიზაცია და ამ პასუხისმგებლობის გადაცემა დამნაშავე ორგანიზაციისთვის მუდმივად გამოაფხიზლებს ჯაჭვში „შემსრულებელი - მომხმარებელი“ მყოფ სუბიექტებს დაამყარონ მჭიდრო კავშირები საიმედო თანაშემსრულებლებთან და მოითხოვონ მომსახურების კეთილთვისებიანობის დადასტურება.

ამრიგად, მუნიციპალური მართვის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის შექმნა და ეფექტიანი ფუნქციონირება, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოებრივი განვითარების მიზნების მიღწევას, უნდა ეფუძნებოდეს ბიზნესის, ადგილობრივი ხელისუფლებისა და მოსახლეობის თანამშრომლობას, მუნიციპალური საქონლის მომსახურებებისა და ფუნქციების ხარისხითა და მისაწვდომობით მომხმარებელთა (მოსახლეობისა და სამეწარმეო სექტორის) დაკმაყოფილების ხარისხის ამაღლებას სოციალური და ინსტიტუციონალური ეფექტიანობის, როგორც ადგილობრივი თანამეგობრობის რეალურ მოთხოვნილებებთან დადგენილი მიზნებისა და ნორმების შესაბამისობის ხარისხის მიღწევის ხარჯზე.

მუნიციპალური წარმონაქმნის ადმინისტრაციაში მუნიციპალური მართვის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის აპრობაციის შედეგებმა შესაძლებლობა მოგვცა გაგვკეთებინა დასკვნა ლოკალური საზოგადოებრივი სიკეთეების მიწოდების ხარისხის ზრდის საფუძველზე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის ხარისხის ამაღლების შესახებ.

მუნიციპალური მართვის ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტიანი მექანიზმის უმნიშვნელოვანესი მდგენელი უდავოდ არის არა მხოლოდ ადმინისტრირების, არამედ მთლიანად მართვის ხარისხის დონის შეფასება, რომელიც განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის ხარისხის მდგომარეობასა და დონეს, ასევე განაპირობებს ისეთი შეფასების მეთოდიკის გამოყენებას, რომელიც შეიცავს ინდიკატორებისა და მაჩვენებლების შესაბამის სისტემას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. www.governement.gov.ge საქართველოს მთავრობის ოფიციალური ვებ-გვერდი.
2. www.geostat.ge- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდი.
3. საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
4. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429
5. Гранберг, А. Г. Основы региональной экономики / А. Г. Гранберг. -М.: Высшая школа экономики, 2001. - 492 с.
6. Ефремов, Г. Г. Формы и направления организационной деятельности представительных органов местного самоуправления / Г. Г. Ефремов. -Новосибирск: Наука, 2015. -216 с.
7. Романчук И.Г., Проблемы муниципальных образований на современном этапе [Текст] / И.Г.

Романчук // сборник научных трудов «Социально экономические преобразования в России»(4-й выпуск) Кемеровский государственный университет (экономический факультет) 2017. (0,25 п.л.)
8. http://www.rels.obninsk.com информационно-аналитический сайт по проблемам муниципальной экономики и управления муниципальным хозяйством.

Ways of elaborating and realizing municipal management quality policies

Abralava Anzor
Georgian Technical University, Professor
Kereselidze Levan
Georgian Technical University, PhD student

Summary

The most important element of the municipal management quality assurance mechanism is its policy in quality sphere, based on the provisions of the socio-economic development strategy of the municipality and is focused on achieving the public development goals.

The quality policy, as a key element of management quality mechanism at the local level, should be focused on the public good of customers; on the basis of efficiency and effectiveness of the functions performed on the quality of services (quality of administration); for the purpose of community development (business administration quality) on local community (business and population) on the basis of local government, business and population partnership.

The most important goals of quality policy can be: raising the quality of life population as the basis for social stability of the population; improvement of the quality of municipal management on the basis of improving the quality of municipal goods, services and functions; ensuring competitiveness of the area by achieving the sustainable development.

The structure of the goals of municipal management quality policy is proposed;

The competitive advantages of municipal formation are based on the improvement of municipal management quality;

Keywords: municipal management, sustainable development, income level, population employment, investment attractiveness, competitiveness, quality policy, strategic objectives, indicators.

ელექტრონული კომერციის გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე

ბაქანიძე მაგდა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

ბაქანიძე თეონა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

გლობალიზაციის პირობებში განსაკუთრებული განვითარება ჰპოვა მსოფლიოში ელექტრონულმა კომერციამ. მისგან მიღებულმა შემოსავალმა მნიშვნელოვანი აღმასვლა მოუტანა შესაბამისი ქვეყნის ეკონომიკას. როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, აღნიშნული სახის ვაჭრობით მიღებული შემოსავლები 20-30 წლის შემდეგ კოლოსალურ მასშტაბებს მიაღწევს. ელექტრონული კომერცია არის კომპანიების საქმიანობა, რომელიც ციფრულ ტექნოლოგიებს, მათ უპირატესობებს ემყარება და მოგების მისაღებად ხორციელდება.

საკვანძო სიტყვები: *ელექტრონული კომერცია, ელექტრონული გარიგებები, სოციალური კრიტერიუმები,ტექნოლოგიური კრიტერიუმები, საგადასახადო ურთიერთობები.*

ძირითადი ტექსტი

გლობალიზაციის პირობებში საინფორმაციო ტექნოლოგიები და ინტერნეტი წარმოადგენს ინოვაციების, ეკონომიკური ზრდის და სოციალური გარდაქმნების მთავარ მამოძრავებელ ძალას. ინტერნეტი მსოფლიო მასშტაბის ელექტრონული ბაზარია, რომელშიც ეკონომიკურ ურთიერთობათა მთელი სპექტრია წარმოდგენილი. განსაკუთრებით სწრაფი ტემპებით ვითარდება ელექტრონული კომერცია (Electronic Commerce - „E-Commerce“). მე-20 საუკუნის დასასრულსა და 21-ე საუკუნის დასაწყისში განსაკუთრებული განვითარება ჰპოვა ინტერნეტ ვაჭრობის აღნიშნულმა ფორმამ. მისგან მიღებულმა შემოსავალმა მნიშვნელოვანი აღმასვლა მოუტანა შესაბამისი ქვეყნის ეკონომიკას. ევროკავშირის კომისიის მონაცემებით, ჯერ კიდევ 2000 წლისთვის ელექტრონული ვაჭრობიდან მიღებულმა შემოსავლებმა ევროკავშირის ტერიტორიაზე 200 მილიარდ ევროს გადააჭარბა. როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, აღნიშნული სახის ვაჭრობით მიღებული შემოსავლები 20-30 წლის შემდეგ კოლოსალურ მასშტაბებს მიაღწევს.

ელექტრონული კომერციისათვის ქვეყნის მზადყოფნის შესაფასებლად სხვადასხვა კრიტერიუმები გამოიყენება, კერძოდ:

- სოციალური კრიტერიუმები (ელექტრონული გარიგებების მარეგულირებელი კანონმდებლობის სრულყოფის დონე, მოსახლეობის განათლების დონე და ა.შ.);
- ტექნოლოგიური კრიტერიუმები (ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა, ერთ სულ მოსახლეზე ტელეფონების რაოდენობა და ა.შ.).

ანალიტიკოსების აზრით, ამ პარამეტრით ყველაზე განვითარებული და მდიდარი ქვეყნები, ხშირად, პირველ ადგილზე ვერ ხვდებიან. მაგ., სკანდინავიის ქვეყნებს რეიტინგში საკმაოდ მაღალი ადგილები უკავია, ხოლო იაპონია მხოლოდ მეთვრამეტე ადგილზეა.

ელექტრონული კომერციის განვითარების დონე სხვადასხვა მაჩვენებლით ფასდება, კერძოდ:

- შრომის მწარმოებლურობის ზრდით. ახალ ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ დარგებში შრომის მწარმოებლურობის მაჩვენებელი იზრდება, რაც კომპიუტერებზე ფასებს ამცირებს. შინა მეურნეობებში კომპიუტერების უფრო იაფი ეგზემპლარების შესყიდვა და, შესაბამისად, ახალი ტექნოლოგიებით განპირობებული უპირატესობებით აქტიური სარგებლობა, გრძელდება;
- ინტერნეტის ქსელში ჩართვის ალტერნატიული ვარიანტების გამოჩენით. ელექტრონული კომერციის განვითარების მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორია ქსელში მოდემის გარეშე ჩართვის ალტერნატიული ვარიანტების (მაგალითად, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კავშირები) გამოჩენა და გავრცელება.

არსებობს ელექტრონული კომერციის სხვადასხვა ტიპი. ბიზნესის ელექტრონული კომპანია (B2B) მარტივად განიმარტება, რაც კომპანიებს შორის ბიზნესს გულისხმობს. ეს არის ელექტრონული კომერციის ტიპი, რომელიც ბიზნეს კომპანიებს შორის ურთიერთობებითა და საქმიანობებით გამოისახება. ელექტრონული კომერციის დაახლოებით 80% ამ ტიპისაა და უმრავლესობა ექსპერტებისა თვლის, რომ ეს ტიპი უფრო და უფრო სწრაფად გაიზრდება ვიდრე „ბიზნესი მომხმარებლისათვის" (B2C) სეგმენტი. B2B – ს გააჩნია ორი ძირითადი კომპონენტი: ელექტრონული ინფრასტრუქტურა (e-infrastructure) და ელექტრონული ბაზარი (e-markets).

როგორც ავღნიშნეთ, ელექტრონულ კომერციაში B2B სეგმენტი დომინირებს: შემდგარი გარიგებების ღირებულების მიხედვით, დღეს ეს სეგმენტი, დაახლოებით, 6-ჯერ აღემატება B2C სეგმენტს. სხვადასხვა შეფასებით, ეს ციფრი შეიძლება გაორმაგდეს კიდეც, ანუ B2B შეუძლია 12-ჯერ გადააჭარბოს B2C სეგმენტის ღირებულებას.

უნდა აღინიშნის, რომ ელექტრონულ კომერციას გააჩნია, როგორც უარყოფითი, ისე დადებითი ზეგავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე.

კერძოდ, ინფორმაციის გავრცელების და მონაცემთა გადაცემის ახალი თანამედროვე საშუალებების გამოყენებამ შეიძლება შექმნას მნიშვნელოვანი პრობლემები მრავალი სახელმწიფოს საგადამხდელო სისტემაში. ამერიკელი მეცნიერების კვლევებით საგადასახადო დანაკარგები ელექტრონული კომერციის გამო 2016 წელს შეადგენს 11,66 მილიარდ დოლარს. ელექტრონული ხელშეკრულებების სამართლებრივი რეგულირების აქტუალურობა და პრობლემატიკა ძირითადად საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების დროს იკვეთება. ინტერნეტის განვითარებამ მნიშვნელოვანად შეცვალა არსებული მდგომარეობა ამ თვალსაზრისით, მისცა საშუალება უცხო ქვეყანაში მომუშავე კომპანიებს თანამედროვე მარტივი საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით სხვა ქვეყნებში ეწარმოებინათ შესყიდვები, შეკვეთები თუ მსგავსი ოპერაციები, დაედოთ მრავალი ტიპის ხელშეკრულებები, ოფისიდან ან სულაც საკუთარი ბინიდან გაუსვლელად.

გაცვლის ელექტრონული ფორმების სწრაფმა განვითარებამ შეიძლება საგადასახადო ბაზის უზუსტობაც გამოიწვიოს. გადასახადი ყოველ ცალკეულ ქვეყანაში კანონმდებლობის შესაბამისად ამოიღება, ხოლო ელექტრონულ კომერციაში ეროვნული საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენება შეუძლებელია. თუ განვიხილავთ დღგ-ს შეიძლება ისეთი სიტუაცია წარმოიშვას, რომ მომწოდებელმა (მომხმარებლიდან გადასახადის შეკრებაზე პასუხისმგებელი) ვერ განსაზღვროს მომხმარებლის ადგილმდებარეობა. მომწოდებელი ასევე შესაძლოა იმ ქვეყნის ფისკალურ იურისდიქციაში აღმოჩნდეს, სადაც მოხმარება ხორციელდება. სახელმწიფო ორგანოებმა ეს საკითხებიც უნდა გადაწყვიტონ. თუმცა, წმინდა ტექნოლოგიური თვალსაზრისით, ინტერნეტი გადასახადებისა და მათი შეგროვების შესახებ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას ამარტივებს.

საერთაშორისო საგადასახადო სამართალის ერთი–ერთი ფუნდამენტური პრინციპი არის ტერიტორიულობის პრინციპი. ამ პრინციპის თანახმად, სახელმწიფოს აქვს უფლება გადასახადი აკრიბოს არარეზიდენტი პირისგან მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მას გააჩნია დაბეგვრის ობიექტი სახელმწიფოს ფარგლებში ან მის ფარგლებს გარეთ, თუ მისი საქმიანობა ხორციელდება მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებში. ინტერნეტი არ არის მიბმული რომელიმე ცენტრალურ კომპიუტერზე ან მართვის ადგილზე, არ გააჩნია რაიმე ფიზიკური ადგილმდებარეობა და შესაბამისად გეოგრაფიული საზღვრები. მომხმარებლისთვის არ აქვს მიშვნელობა ელექტრონული მაღაზიის ადგილმდებარეობას განსხვავებით საგადასახადო ორგანოებისა რომლებისთვისაც ძალზე მნიშვნელოვანია დაბეგვრის მიზნით სამეწარმეო საქმიანობის ადგილმდებარეობის დადგენა.

ზოგიერთ ეკონომისტს მიაჩნია, რომ ელექტრონული გარიგებების მიმართ ტრადიციული ეკონომიკის საგადასახადო პრაქტიკა უნდა იქნას გამოყენებული. მაგრამ კვლევები ადასტურებს, რომ ასეთ შემთხვევაში ონ-ლაინური მყიდველების რაოდენობა 20-25%-ით შემცირდება, ხოლო ონ-ლაინური ხარჯები – 25-30%-ით გაიზრდება . რამდენადაც ელექტრონული კომერცია საბიუჯეტო შემოსავლებში გადამწყვეტ როლს ჯერჯერობით არ თამაშობს, საგადასახადო განაკვეთების დაწესებაც სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამის მუხლებზე რეალურ გავლენას ვერ მოახდენს, ხოლო

ელექტრონული კომერციის განვითარებას კი, მკვეთრად დაამუხრუჭებს.

ელექტრონული კომერცია არ საჭიროებს დიდი რაოდენობის შუამავლებს პროდუქციის მწარმოებლებსა და პროდუქციის მყიდველებს შორის. ეს განაპირობებს დანახარჯების მნიშვნელოვან შემცირებას, რაც ელექტრონულ კომერციას მნიშვნელოვან კონკურენტულ უპირატესობას ანიჭებს ბიზნესის არაელექტრონული სახით წარმართვასთან შედარებით. სახელმწიფოსთვის კი ეს ნიშნავს, საგადასახადო ბაზის დაკარგვას სააგენტო, საკომისიო და საბროკერო გადასახადების და ჰონორარის სახით. გლობალური ელექტრონული კომერცია იწვევს სახელმწიფოებს შორის საზღვრების მოშლას და მნიშვნელოვნად აფერხებს ნაციონალური საგადამხდელო იურისდიქციის განხორციელებას და ხელს უწყობს დაბეგვრიდან თავის აცილებას. რაც განაპირობებს არსებული საგადამხდელო სისტემების მოდერნიზაციის აუცილებლობას. აქედან გამომდინარე, ამ მიმართულებით აქტიური საქმიანობა წარმოებს როგორც ნაციონალურ ასევე საერთაშორისო დონეზე.

ელექტრონული კომერციის სფეროში საგადასახადო ურთიერთობის რაიმე სახის პრაქტიკა არ არსებობს. მოცემულ სფეროში საგადასახადო თეორია ჯერ არ დამუშავებულა. ამიტომ, მთავარ იდეად მაინც ელექტრონული ბიზნესისადმი იმ პრინციპებისა და დებულებების მისადაგება რჩება, რომლებიც ტრადიციული ეკონომიკისათვის დამახასიათებელია. ასეთივე პოზიცია გააჩნია საერთაშორისო საგადასახადო ასოციაციას (Internationl Fiscal Association-IFA), რომელიც ელექტრონული საგადასახადო კანონმდებლობის საკითხებზე აქტიურად მუშაობს.

ელექტრონულ კომერაციას გააჩნია რიგი უპირატესობებიც. **ბიზნეს კომპანიებისთვის ელექტ რონული ბაზარი ერთობ მიმზიდველი სფეროა ვაჭრობისთვის,რადგან დროისა და ხარჯების მაქსიმა ლური ეკონომიის ფონზე, მათ შეუძლიათ სარფიანი გარიგება დადონ სხვა საწარმოებთან მისი მოთხ ოვნილების დასაკმაყოფილებლად.**

ელექტრონული ვაჭრობა მყიდველისათვის საჭირო საქონლის ძებნისა და ყიდვის დროს მნიშვნელოვნად ზოგავს. გამყიდველისათვის კი იგი მყიდველთა დიდ რაოდენობას იზიდავს.

ინტერნეტის ტექნიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე ელექტრონული კომერციის მონაწილეებს შეუძლიათ იყვნენ ანონიმური არა მარტო ერთმანეთის მიმართ, არამედ საგადამხდელო ორგანოებთან მიმართებაშიც. ინტერნეტ მისამართში დომენური სახელი მიუთითებს მხოლოდ ელექტრონულ გარიგებაში მონაწილე იურიდიული და ფიზიკური პირების/ პირის სახელმწიფო ადგილმდებარეობაზე მაგრამ არ იძლევა მისი იდენტიფიკაციის საშუალებას.

ინტერნეტი სავაჭრო და სხვა გარიგებების ხარჯებს ამცირებს. ამიტომ მომხმარებლებმა თავიანთი მონაცემები ციფრულ ფორმაში გადაიყვანეს. ოპერატიული ციფრული ინფორმაცია კომპიუტერულ ქსელებში ბიზნესის შესაძლებლობებს მნიშვნელოვნად აფართოებს. ნებისმიერი ინფორმაცია შეიძლება ბიტების ჯაჭვის სახით იქნას წარმოდგენილი და შენახული.

ელექტრონული კომერცია სავაჭრო საწარმოების ორგანიზაციის ახალ ფორმას _ ვირტუალურ მაღაზიებს ქმნის და კონკურენციის გავლენით, მომხმარებლებს ახალ საქონელსა და მომსახურებას უწყვეტად სთავაზობს. მაგ., ფირმა AMAZON-ს(ქ. სიეტლი, აშშ) ტრადიციული მაღაზიები არა აქვს და საქონლის გამყიდველსა და მომხმარებელს შორის მიწოდების კოორდინირებას ახდენს.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ელექტრონული კომერციის ინფრასტრუქტურა, სისტემები, ტექნოლოგიები და მოდელები, აგრეთვე მათი გამოყენების თავისებურებები და პროდუქციისა თუ სერვისის ინტერნეტით ყიდვა-გაყიდვის პროცესი საკმაოდ აქტუალურია დღევანდელ მსოფლიოში. მისი როლი უფრო და უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჯოლია გ., სეხნიაშვილი დ. „ელექტრონული კომერცია“, თბ. 2012 წ.
2. ნოზაძე ც. „ელექტრონული კომერციის ინფორმაციული ტექნოლოგიები“, გორი, 2010 წ.
3. მ. გიგოლაშვილი „საგადამხდელო საქმიანობა ელექტრონულ კომეციაში“, ქუთაისი (ბოლოს ნანახია 08.03.2018)
4. “US Online Retail Forecast, 2011 To 2016” by Sucharita Milpuru. 27 Feb 2012
5. ttp://www.forrester.com/US+Online+Retail+Forecast+2011+To+2016/fulltext/-/E-RES60672
6. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0periodika--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-en-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=per-&cl=CL4.4&d=HASHb28082b2ef60e6bd07b85b.13.1#HASHb28082b2ef60e6bd07b85b.13.1

Impact of Electronic commerce on the country's economic growth

Bakanidze Magda
Georgian Technical University, Assistant Professor
Bakanidze Teona
Georgian Technical University, Associate Professor

Summary

Electronic commerce has been developed greatly in the world under globalization. The income of e-commerce brought a significant rise in the economy of the country. According to the experts, the revenue generated by this trade will reach colossal scales after 20-30 years. E-commerce is the activities of companies, which are based on digital technologies and their advantages and are made to gain profit.

Key words: Electronic commerce, electronic transactions, social criteria, technological criteria, tax relations.

სამართლებრივი სახელმწიფო

ბოცვაძე გიორგი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებელი

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატია ეძღვნება ძალზედ აქტუალურ საკითხს, რომლის მიზანს წარმოადგენს, წარმოჩენილი იქნეს სამართლებრივი სახელმწიფოს დანიშნულება.

ხშირ შემთხვევებში, სამართლებრივი სახელმწიფო არ არის დემოკრატიული, ხოლო დემოკ-რატიული - სამართლებრივი.

დემოკრატიული სახელმწიფოსთვის ნიშანდობლივია: კანონის უზენაესობა, ხელისუფლების დანაწილება, ადამიანის უფლებების დაცვა, ხოლო სამართლებრივ სახელმწიფოში სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კანონის საფუძველზე და კანონის ჩარჩოებში, კანონისა და სასამარ-თლოს წინაშე ყველას თანასწორობის პრინციპის დაცვით, სადაც კანონის მოთხოვნები თანაბრად სავალდებულოა სახელმწიფო ორგანოების, თანამდებობის პირებისა და მოქალაქეებისათვის, რა დროსაც უმაღლეს სოციალურ ღირებულებად მიჩნეული უნდა იყოს ადამიანი, მისი ღირსება, უფლებები და თავისუფლებები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქვეყანა საჭიროებს იმგვარ განვითარებას, სადაც დაცული იქნება ბალანსი სამართლებრივ სახელმწიფოსა და დემოკრატიულობას შორის, სადაც დაცული იქნება თითოეული ადამიანის უფლებები, მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, უზრუნველყოფილი იქნება კანონის წინაშე ყველა სუბიექტის თანასწორობა.

ამ სტატიის წაკითხვისას მკითხველმა უნდა გაიაზროს განსახილველი საკითხების აქტუალობა. როგორ სახელმწიფოში გვაქვს სურვილი რომ ვიცხოვროთ? როგორ სახელმწიფოში შევძლებთ ვიგრძნოთ თავი საზოგადოების ღირსეულ წევრად? ჩვენ მთავარ ამოცანას და მისწრაფებას ისეთი თანამედროვე ქართული სახელმწიფოს მშენებლობა უნდა წარმოადგენდეს, სადაც სამოქალაქო საზოგადოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის ხელშეწყობით, ქვეყნის თანამედ-როვე, მდგრადი და სტაბილური განვითარებით, დემოკრატიის, საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის ცივილური ურთიერთობების ჩამოყალიბებით, სახელმწიფოს მიერ გარანტირებული იქნება ეკონომიკური და სოციალური უფლებები, სადაც ჩვენ ქვეყნაში თითოეულ მაცხოვრებელს მიეცემა ღირსეული ცხოვრების შესაძლებლობა.

საკვანძო სიტყვები: *სამართლებრივი, დემოკრატიული, ადამიანის უფლებები, კანონის უზენაესობა.*

ძირითადი ტექსტი

თანამედროვე სამართლებრივი სახელმწიფო სამ პრინციპს უნდა ეფუძნებოდეს. პირველი - კანონის უზენაესობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში; მეორე - ადამიანის უფლებების დაცვა და თითოეული მოქალაქის თავისუფალი განვითარება; მესამე - სახელმწიფოსა და პიროვნების ორმხრივი პასუხისმგებლობა.

უფრო დაწვრილებით თუ განვმარტავთ, სამართლებრივი სახელმწიფოს პირველი ნიშანი გულისხმობს კონსტიტუციური წესრიგის დაცვას სახელმწიფოს მიერ, კანონმდებლობის დაცვას მოქალაქეების მიერ და სამართლის განხორციელებას მხოლოდ და მხოლოდ დამოუკიდებელი სასამართლოების მიერ.

მეორე ნიშანი გულისხმობს თითოეული მოქალაქის თანასწორობას და პიროვნების უნარების განვითარებისთვის შესაბამისი, თანაბარი პირობების შექმნას.

მესამე ნიშანი კი შეგვახსენებს, რომ სახელმწიფოს მიერ პიროვნების თავისუფლების დაცვა არ არის პიროვნების ცალმხრივი პრივილეგია; რომ ერთი მოქალაქის უფლებები მთავრდება იქ, სადაც მეორის უფლებები იწყება - რასაც სახელმწიფო უზრუნველყოფს. ეს ნიშანი მოიცავს, მაგალითად,

გადასახადების გადახდის აუცილებლობას მოქალაქის მხრიდან და შესაბამისი პირობების შექმნას სახელმწიფოს მიერ (1).

სამართლებრივი სახელმწიფოს ცნება ადამიანის უფლებათა სფეროში ერთ-ერთი საკვანძო ცნებაა. სამართლებრივია ისეთი სახელმწიფო, რომელშიც ადამიანსა და ხელისუფლებას შორის არსებობს მკაფიო, სტაბილური და ყველასათვის ცნობილი თამაშის წესები. ესაა ის სახელმწიფო, სადაც სახელმწიფო შეზღუდულია ადამიანის უფლებებით და მოქმედი სამართლით და ადამიანს შეუძლია საკმაოდ ზუსტად გამოიცნოს ხელისუფლების რეაქცია მის ქმედებაზე, ვინაიდან ამ სახელმწიფოს მართავენ არა თავნება მოხელეები და თანამდებობის პირები, არამედ მკაფიო კანონები.

სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობა შეუთავსებელია უსამართლობასთან, თვითნებურ მმართველობასა და დიქტატურასთან, პოლიტიკაში სუბიექტივიზმსა და თვითნებობასთან, რაც ავტორიტარული და ტოტალიტარული რეჟიმებისათვის არის დამახასიათებელი, დანაშაულებრიობის თარეშთან და კორუფციასთან, ფარულ პოლიტიკურ ინტრიგებსა და კლანურობასთან და სხვ. ასეთი სახელმწიფოს სოციალურ საფუძველს სამოქალაქო საზოგადოება წარმოადგენს, რომლის ცნობის გარეშე არც სახელმწიფო და არც კანონი ლეგიტიმურად არ ითვლება. სწორედ სახელმწიფო და სამართლებრივი ნორმების ლეგიტიმურობა იძლევა სამოქალაქო საზოგადოებაში კანონიერებისა და სამართალწესრიგის დაცვის უმნიშვნელოვანეს გარანტიას.

სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფცია სახელმწიფოსა და საზოგადოების გაუცხოებისა და მათი ურთიერთდაპირისპირების წინააღმდეგ გამოდის, ამასთან ერთად, სამართლებრივ საფუძველზე მათი ჰარმონიური ურთიერთობის აუცილებლობას აღიარებს. მის უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს ხელისფლების სამი ძირითადი რგოლის – წარმომადგენლობითის (საკანონმდებლო) აღმასრულებისა და სასამართლოს რეალური დანაწილება, ურთიერთქმედება და ურთიერთკონტროლი სასამართლო ხელისუფლების განსაკუთრებული როლით, რომელიც კანონიერებისა და კანონის დაცვის გარანტად გამოდის.

ხელისუფლებათა განაწილებისას მთავარია არა ის, რომ ხელისუფლება განაწილებულია ან ის, რომ ხელისუფლებას ახორციელებს სხვადასხვა ორგანო, არამედ ის, რომ თითოეული ამ ხელისუფლების მფლობელი თანასწორია თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ე.ი. ისინი სრულიად დამოუკიდებელი არიან და ერთმანეთის მიმართ ანგარიშვალდებული არ არიან, თუმცა მჭიდრო ურთიერთკავშირში იმყოფებიან (4).

დემოკრატია ბერძნული სიტყვაა: დემოს ნიშნავს ხალხს, ხოლო კრატოს – ძალაუფლებას. შესაბამისად, დემოკრატიას ხშირად განსაზღვრავენ როგორც „ხალხის ბატონობას“. ეს არის სისტემა, სადაც ხალხი აწესებს წესებს და ემორჩილება მათ.

თანამედროვე მსოფლიოში ხალხებისა და ქვეყნების უმეტესობას მიაჩნია, რომ ხელისუფლების ერთადერთი მოქმედი და სიცოცხლისუნარიანი სისტემა დემოკრატია უნდა იყოს. მაშასადამე, დემოკრატიის არსებითი ელემენტი ხალხის ნების უზენაესობაა.

თანამედროვე დემოკრატია, ფართო გაგებით, გულისხმობს არსებითად სამი, ერთმანეთისაგან მეტნაკლებად დამოუკიდებელი პრინციპის თანაარსებობას: ხალხის ნების უზენაესობა (ხელი-სუფლების არჩევითობა), კონსტიტუციონალიზმი და პიროვნების უფლებები.

დემოკრატიაში სუვერენული ხელისუფლების მქონე ხალხი თვითონ უნდა აკეთებდეს ყველაფერს, რისი გაკეთებაც მას კარგად შეუძლია, ხოლო იმას, რისი გაკეთებაც მის შესაძლებლობას აღემატება, თავისი ნდობით აღჭურვილი პირების მეშვეობით უნდა ახორციელებდეს. დემოკრატი-ული მმართველობის ძირითადი პრინციპი ისაა, რომ ხალხი თანამდებობის პირებს თავად უნდა ასახელებდეს. თავისუფალ სახელმწიფოში ყოველი ადამიანი თვითონ უნდა აკეთებდეს საკუთარ თავისუფალ არჩევანს, ყოველგვარი ძალდატანების და გადაბირების მექანიზმების გამოყენების გარეშე.

თავისუფლება ადამიანის ბუნებიდან მომდინარეობს „თავისუფლებაზე უარის თქმა საკუთარ ადამიანურ ღირსებაზე, ადამიანურ უფლებებზე, თვით მოვალეობებზე უარის თქმის ტოლფასია“.

თავისუფლება, ძირითადად, არის ის, რომ ადამიანი არ აიძულო მოიმოქმედოს ისეთი რამ, რასაც

კანონი არ ითვალისწინებს. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ ადამიანებს სამოქალაქო კანონები განაგებენ. მაშასადამე, თავისუფლება იმის კეთების უფლებაა, რაც კანონით დასაშვებია. სადაც ძალაუფლება კანონს არ ემორჩილება, იქ პიროვნების უფლებათა დაცვის შანსები მცირეა.(1)

ადამიანის უფლებები - ეს არის თავისუფლების კონკრეტულ-ისტორიული საფეხურების ყველაზე დახვეწილი სამართლებრივი ფორმა. ყველა ადამიანი ფლობს თანდაყოლილ განუსხვისებელ უფლებას მატერიალურ თუ სულიერ სიკეთეთა განსაზღვრულ მოცულობაზე, რომელთა უზრუნველყოფასაც ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოებამ და სახელმწიფომ. ამ სიკეთეთა მოცულობა ყოველთვის განისაზღვრებოდა ინდივიდის მდგომარეობით საზოგადოების კლასობრივ სტრუქტურაში და მატერიალურ წარმოებაში.

ადამიანის უფლებები პოლიტიკური ნორმებია, რომლებიც განსაზღვრავენ, თუ როგორ უნდა ეპყრობოდნენ მთავრობები და ინსტიტუტები ადამიანებს. ისინი ჩვეულებრივი ზნეობრივი ნორმები არ არის, რომლებიც მხოლოდ პიროვნებათაშორის ქცევას შეეხება (როგორებიცაა ტყუილისა და ძალადობის აკრძალვა). ისინი უკრძალავენ მთავრობებს დისკრიმინაციას მოქმედებებისა და პოლიტიკის განხორციელების პროცესში და ავალებენ მათ, აღკვეთონ დისკრიმინაციის როგორც კერძო, ისე საჯარო ფორმები.

ხალხთა უფლებებიდან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია თვითგამორკვევის უფლება. ყველა ერს აქვს თვითგამორკვევის უფლება. ამ უფლების ძალით ისინი თავისუფლად ადგენენ თავიან პოლიტიკურ სტატუსს და თავისუფლად უზრუნველყოფენ თავიანთ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას. ერთი ერის თვითგამორკვევამ არ უნდა მიაყენოს ზიანი სხვა ხალხთა უფლებებს. ეს უფლება უნდა განხორციელდეს საერთაშორისო სამართლის სხვა საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების დაცვით, მათ შორის სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დაცვით. ამიტომ თვითგამორკვევის უფლება არ უნდა განიმარტოს მხოლოდ, როგორც ერის უფლება, შექმნას თავისი საკუთარი სახელმწიფო.

თვითგამორკვევის ფორმები შეიძლება მრავალგვარი იყოს - ნაციონალურ-კულტურული ავტონომიიდან ფედერალიზმის სხვადასხვა ფორმებამდე.

ასევე მნიშნელოვანია პოზიტიური უფლებები, ანუ მეორე თაობის უფლებები (სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებები), რომელიც ავალდებულებს სახელმწიფოს, ადამიანებისათვის უზრუნველყოს ღირსეული ცხოვრების პირობები. ეს უფლებები ეხება ადამიანების თანაცხოვრებას და თანამშრომლობას და ბაზისურ სასიცოცხლო მოთხოვნებს. ამან ბუნებრივად მიგვიყვანა ახალ მოთხოვნებამდე და ახალ იდეებამდე ღირსეული ცხოვრების შესახებ. ხალხმა გააცნობიერა, რომ ადამიანის ღირსება იმაზე მეტს მოითხოვდა, ვიდრე უბრალოდ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით გარანტირებული ჩაურევლობა. მეორე თაობის უფლებები არის ის უფლებები ან პრივილეგიები, რომლებიც მინიჭებული აქვს თითოეულ ადამიანს და დაცულია ხელისუფლებისა თუ სხვა პიროვნებების მხრიდან ხელყოფისაგან. ეს უფლებები აცხადებენ, რა უნდა გააკეთოს ან უზრუნველყოს ხელისუფლებამ. მაგალითად, განათლების მიღების უფლება ხელისუფლებას იმ სკოლების შექმნის ვალდებულებას აკისრებს, რომლებშიც ყველას შეეძლება სწავლა.

ბოლო პერიოდში ქართული საზოგადოების ძირითადი პრობლემად გვევლინება სოციალური, ეკონომიკური და მატერიალური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რომელიც არ არის მიჩნეული ადამიანის ერთ-ერთ ფუნდამენტურ თავისუფლებად. ეს კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ ტერმინი „ადამიანის უფლებები“ არ არის მართებულად გაგებული და მძიმე სოციო-ეკონომიკური სიტუაცია აიძულებს ადამიანებს პრიორიტეტი სხვა ღირებულებებს მიანიჭონ. ნიშანდობლივია, რომ სოციალური პრობლემების აღმოფხვრაზე მიმართულ ეკონომიკურ აქტივობებს, ექნებათ პოზიტიური გავლენა, დისკრიმინაციისგან თავისუფალი საზოგადოების ფორმირებაზე (3).

საბოლოო ჯამში, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები დაცულ უნდა იქნეს ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ნაციონალური ან სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადების ან სხვა გარემოებების მიუხედავად.

რა თქმა უნდა თანამედროვე საზოგადოება შედგება უაღრესად მრავალფეროვანი და

მრავალრიცხოვანი სოციალური ფენებისა და ჯგუფებისაგან, რომელთაც ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული მიზნები და ინტერესები გააჩნიათ. ბუნებრივია, მიზნებისა და ინტერესების განსხვავებულობა მათი მიღწევის ხერხებისა და საშუალებების მრავალფეროვნებასაც განაპირობებს. ასეთ ვითარებაში ადამიანის უფლებების დაცვისა და კეთილდღეობის შექმნის კეთილშობილური მიზანი სრულებითაც არ არის საკმარისი. ეს კი იმით აიხსნება, რომ სახელმწიფო მმართველობა სოციალური მართვის სახესხვაობაა, რომელიც განსაკუთრებული სირთულით გამოირჩევა მართვის სხვა სახეებს შორის. ამ სირთულეს განაპირობებს ის სუბიექტური ფაქტორები, რომელთა მეშვეობითაც ადამიანისა და საზოგადოების მართვა თვით ადამიანის მიერ ხდება. მაშასადამე, ხელისუფლების არსებობა ზემოაღნიშნული მიზნებით არ არის საკმარისი პირობა ადამიანთა კეთილდღეობის მიღწევისათვის. ამიტომაც სწორედ ადამიანის, მისი ბუნების რეალისტური ხედვა უდევს საფუძვლად იმ მექანიზმს, რომელიც ხელისუფლების განხორციელებისას ემყარება ხელისუფლებათა განაწილების პრინციპს და განხორციელდებოდა გაწონასწორებისა და ურთიერთკონტროლის ფორმით. სწორედ ადამიანის ბუნებიდან გამომდინარე ამბობდა მედისონი „...რა არის მთავრობა, თუ არა უდიდესი ჩრდილი ადამიანის ბუნებაზე. ადამიანები, რომ ანგელოზები იყვნენ, არც გარე და არც შიდა კონტროლის დაწესება მთავრობაზე არ გახდებოდა საჭირო. მთავრობის ჩამოყალიბებაში, რომელიც ადამიანების მიერ სხვა ადამიანებზე მაღლა დგომის პრინციპია, მთავარი სიძნელე შემდეგში მდგომარეობს: ჯერ მთავრობას უნდა მისცეთ საშუალება გააკონტროლოს ისინი, ვისაც მართავს და მხოლოდ ამის შემდეგ დაავალოთ მას გააკონტროლოს თავისი თავი“ (2).

თავისი არსით, კანონის უზენაესობა გულისხმობს, რომ მოქალაქეები და ისინი, ვინც მათ მართავენ, უნდა დაემორჩილონ კანონს. კანონის უზენაესობა მიიჩნევა ეროვნული პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემების საყრდენად. კანონის მიერ მონიჭებული თანასწორობა საჯარო უფლებაა, ერთნაირად კუთვნილი ყველასი და მაშასადამე, ერთნაირად ძვირფასი ყველასათვის. ამიტომაც თანასწორობა ერთნაირად გასაფრთხილებელია, ერთნაირად საქომაგებელი, ერთნაირად დასაცველი.

ბევრ, თუ არა ყველა, სახელმწიფოში, ხელისუფლებას თავის მოქალქეებზე უზარმაზარი ძალაუფლება გააჩნია. მას გააჩნია ძალაუფლება დასაჯოს ან სხვა სახის ნეგატიური სანქციები გამოიყენოს მოქალაქეების წინააღმდეგ. თუ ოფიციალური პირები ვალდებულნი არიან იმოქმედონ კანონის დაცვითა და შესაბამისად, მაშინ ძალაუფლების გამოყენება კანონის გარკვეულ საზღვრებშია მოქცეული. კანონის უზენაესობა ზღუდავს მოქმედების თავისუფლებას და ხელს უშლის ძალაუფლების არამართებულ გამოყენებას, სხვა სიტყვებით, ხელს უშლის ძალაუფლების საკუთარ ნებაზე, თვითნებობაზე, ცრურწმენაზე, ახირებასა და მიკერძოებულობაზე დაფუძნებულ აღსრულებას. სწორედ ეს არის კანონის უზენაესობის აუცილებლობის უპირველესი მიზეზი.

რა თქმა უნდა, აუცილებელია შემუშავდეს სართლებრივი სახლმწიფოს მოწყობის ძირითადი, უმთავრესი ქმედითი მექანიზმები, სადაც პირველ რიგში კონსტიტუცია გვევლინება, როგორ ქვეყნის უზენაესი კანონი, რომელიც სახელმწიფოებრივი მოწყობის მნიშვნელოვანი საშუალებაა და ის არ უნდა იქცეს მკვდარ დოკუმენტად.

ფრანგი გამოჩენილი მწერალი, ადვოკატი და ფილოსოფოსი შარლ ლუი დე მონტესკიე აღნიშნავდა: „როცა მე ქვეყანაში ჩავდივარ, ვინტერესდები არა იმით, არის თუ არა იქ კარგი კანონები, არამედ იმით, სრულდება თუ არა ისინი, რომლებიც არის, ვინაიდან კარგი კანონები ყველგან არსებობს“. ასეთ დროს არსებითია სამოქალაქო საზოგადოების არსებობა, რომელიც ზნეობრივ მეთოდებზე დაყრდნობით უზრუნველყოფს საზოგადოების მთლიანობას, განახორციელებს მოქნილ კონტროლს კანონისა და სამართლის საფუძველზე და აქედან გამომდინარე, ადამიანის სამსახურში აყენებს სახელმწიფოს მთელ შემოქმედებით პოტენციალს (5).

დასკვნა

როდესაც ვსაუბრობთ სახელმწიფოს მხრიდან ვალდებულებების კეთილსინდისიერად შესრულებაზე, მნიშვნელოვანია ჩვენი მოვალეობები. პირადი ინტერესების დაცვა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სხვათა ინტერესებს, ჩვენი უფლებები დაცულია მანამ სანამ სხვის უფლებებს

დავარღვევთ, უფლება სხვა არაფერია თუ არა გარკვეულ ფარგლებში მოქმედების თავისუფლება. სახელმწიფო და ინდივიდი უნდა იმყოფებოდეს მოვალეობების გამიჯვნა - განაწილების რეჟიმში. ჩვენ უნდა ავიმაღლოთ სამართლებრივი კულტურა, თვითშეგნება, ხოლო ჩვენი შეცდომების აღმოფხვრის საშუალებას გვაძლევს სამართალი, როგორც სიკეთის, სამართლიანობის ხელოვნება. თითოელი ჩვენგანი უნდა ჩაებას პროცესში, რომ შედგეს სახელმწიფო, როგორც სამართლებრივი, დემოკრატიული, რომელიც მოქალაქეს საზოგადოების ღირსეულ წევრად აღიარებს და უნდა გვახსოვდეს, რომ მსოფლიოში მშვიდობას, უსაფრთხოებას დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფო უზრუნველყოფს. ჩვენ კი ამას მივაღწევთ პირველ რიგში მონდომებით, წესრიგის გათავისებით, კანონის უზენაესობითა და მათდამი მორჩილებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ფრიდონ საყვარელიძე, სამოქალაქო განათლების ლექსიკონი, თბილისი 1999;
2. გივი ლობჟანიძე, ადამიანის უფლებათა სამართალი, თბილისი 2005;
3. კუბლაშვილი კ. ძირითადი უფლებები, თბილისი 2008;
4. https://www.radiotavisupleba.ge/a/1525260.html;
5. ვალერიან მეტრეველი, გიორგი დავითაშვილი, პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია, თბილისი 2015.

Constitutional State

Botsvadze Giorgi
Georgian Technical University
The faculty of Law and International Relations
Specialist of Criminal Law

Summary

This article is dedicated to very actual issue, aim of which is demonstration of significance of constitutional state.

In frequent cases, constitutional state is not democratic and democratic – constitutional.

The following is characteristic to democratic state: supremacy of law, dividing of power, protection of human rights, state power is executed based on law and in the framework of law in constitutional state, protecting principle of equality before the court, where demands of the law are equally obligatory for state bodies, officials and citizens, when a human being, his/her honor, rights and liberties, is to be considered as the highest social value.

Stipulating above mentioned, the country needs such development, where the balance between constitutional state and democracy will be observed, where rights of each person will be protected, stipulating their best interests, equality of all subjects will be ensured before the law.

Reader of this article has to make sense of actuality of the issues to be discussed, in what kind of a state we desire to live? In what kind of a state we will feel ourselves as worthy member of the society? Our main task and aspiration is construction of such modern state where (by promoting construction of civil society and constitutional state, by modern, durable and stable development of the country, by founding of democracy, civilian relations between the society and the state) economic and social rights will be guaranteed by the state, where each citizen of our country will have possibility of worthy life.

Key words: constitutional, democratic, human rights, supremacy of law.

საქართველოს აგრომეურნეობების ფინანსური უზრუნველყოფის სისტემის ანალიზი

გოგიაშვილი დავით
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსრაქტი

აგრობიზნესს ახასიათებს სპეციფიური მხარეები, რომელიც გამოიხატებ მის თავისებურებებში: წარმოების ციკლურ ბუნებასა და ფასების არამდგრადობაში. პროდუქციის მრავალი მწარმოებელი ინდივიდუალურად მუშაობის დროს არ აწარმოებს საქონლის იმ რაოდენობას,რომელიც საკმარისი იქნება პროდუქტის საბაზრო ფასებზე გავლენის მოსახდენად.ამასთან,მოცემული ფირმების მიერ წარმოებული პროდუქცია სხვა ფირმების მიერ წარმოებული პროდუქციის მაჩვენებლების, ან ბაზარ-ზე არსებული სტანდარტების ანალოგიურია.ასევე, არსებულ ბაზარზე შეღწევის ბარიერები საკმაოდ უმნიშვნელოა და მეწარმეს ნებისმიერ დროს შეუძლია, შეუცვალოს პროფილი თავის საწარმოს ან წამოიწყოს ახალი და უფრო მომგებიანი საქმე.სოფლის მეურნეობაში ფიქსირებული დანახარჯების მაღალი მაჩვენებლები ხშირად აფერხებს წარმოების მოცულობის შემცირების პროცესს, მიუხედავად იმისა, რომ ფასები აშკარად მიუთითებენ ამგვარი ცვლილების აუცილებლობაზე. პროდუქციის შესადარი ფასი გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობის პროდუქტის მომხმარებელთა სავაჭრო ჩვევებზეც. სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის გაცემული სასხები პრიორიტეტული უნდა იყოს იმ მოტივაციით, რომ იგი მოიცავდეს აგრარული რეფორმის ისეთ აუცილებელ სეგმენტებს, როგორიცაა: სასოფლო-სამეურნეო სამმართველოების რეორგანიზაცია, ფერმერული მეურნეობების კოოპერირება, აგროსერვის ცენტრების და სასაწყობე მეურნეობების შექმნა, კომპიუტერული საკონსულტაციო-საინფორმაციო ცენტრების ჩამოყალიბება, სანერგე, სათესლე და საჯიშე მეურნეობების განვითარება. ფერმელური მეურნეობის მხარდამჭერი სხვადსხვა ფინანსური გეგმის განხორციელება საშუალებას მისცემს აგროსექტორს სრულად გამოიყენოს მიწის ნაკვეთები, აიმაღლოს მწარმოებლურობა და მინიმუმზე დაიყვანოს დანახარჯები.

საკვანძო სიტყვები: *აგრობიზნესის დაფინანსების გეგმა, ექსპორტის სუბსიდია, იმპორტის ქვოტა, ტარიფი, შეღავთიანი აგროკრედიტი, შეღავათიანი აგროლიზინგი, კვლევის ობიექტის სპეციფიური მხარეები.*

ძირითადი ტექსტი

აგრობიზნესის ეკონომიკური არსის, როგორც კონცეპტუალური ბაზისის გასაანალიზებლად უნდა გამოიყოს კვების ობიექტის შემდეგი თავისებურება: ნებისმიერ შემთხვევაში აგრარულ წარმოებას ფიზიკური საფუძველი აქვს; თითოეული ტიპის პროდუქტს აქვს თავისი მახასიათებლები; ნიადაგურ-კლიმატური პირობები გავლენას ახდენს სამომხმარებლო საქონლის წარმოებასა და გავრცელებაზე. აგრარულ წარმოებას, ეკონომიკის ძირითადი სფეროების სხვა დარგებისაგან ორი ძირითადი ნიშანი გამოარჩევს. ერთი მდგომარეობს წარმოების ციკლურ ბუნებაში და განპირობებულია ფიზიკური და ბიოლოგიური ფაქტორებით. მეორე ნიშანი კი ფასების არამდგრადობას უკავშირდება. საქმე ის არის, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასი დამოკიდებულია ერთის მხრივ, თავად პროდუქციის ფიზიკურ მდგომარეობაზე და მეორეს მხრივ, იმ ცვლილებებზე, რომლებიც ამა თუ იმ კონკრეტულ მომენტში სოფლის მეურნეობის პროდუქციის ბაზარს ახასიათებს.

წარმოების ციკლური ბუნების თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანთ ვენახის მაგალითს: საკმაოდ დიდი დროა საჭირო იმისათვის, რომ სავენახე მეურნეობამ წარმოების პროცესში მიღებული გადაწყვეტილებიდან მიიღოს რეალური სარგებელი. თითქმის ოთხი წელიწადია საჭირო, ვიდრე ახალი ნერგი მოგვცემს მოსავალს, რომლის სრულყოფილად დატვირთვას, თავის მხრივ, ორი წელი მაინც სჭირდება. მხოლოდ ამ დროის გასვლის შემდეგ არის შესაძლებელი მოსავლის მიღება და ბაზარზე გატანა.

პროდუქციის ფასსა და მეწარმის შემოსავლებზე და შესაბამისად, წარმოებაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა დაავადებები, მავნებლები და კლიმატური პირობები.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასზე ასევე გავლენას ახდენს მეწარმეთა გადაწყვეტილებანი, რომლებსაც ისინი იღებენ ძირითად სასოფლო-სამეურნეო კულტურებთან და პირუტყვთან მიმართებაში.

მნიშვნელოვანი დანახარჯების გაწევაა იმისათვის, რომ ნიადაგი მომზადდეს სხადასხვა კულტურების მოსაყვანად, თუმცა მოგების მიღება შესაძლებელია ერთ წელიწადში და ზოგჯერ უფრო ადრეც კი. მიწათმოქმედებიდან მეცხოველეობაზე გადასვლა შედარებით მეტ დროს მოითხოვს. სათიბებიდან გარკვეული პროდუქციის მიღება პირველსავე წელს არის შესაძლებელი, მაგრამ რამდენიმე წელია საჭირო იმისათვის, რომ სათესი მიწები სათანადო ბალახის საფარით დაიფაროს და მოგება მოიტანოს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, პირუტყვის ხორცზე შედარებითი ფასის არც თუ უმნიშვნელო ზრდა არის საჭირო იმისათვის, რომ მეცხოველეობის მწარმოებლურობა ასეთი მიწიდან რეალურად გაიზარდოს.

ბაზრის ზოგიერთი მახასიათებელიც ახდენს ფასებზე გავლენას. სოფლის მეურნეობა წარმოების კონკურენტულ პირობებს გულისხმობს, მით უფრო, თუ საქმე ეხება მესაქონლეობისა და ღორის ხორცის, საკვები და საფურაჟე მარცვლეულის წარმოებას. ასეთი კონკურენცია გამოწვეულია იმით, რომ ერთი და იგივე პროდუქციის მრავალი მწარმოებელი ინდივიდუალურად მუშაობის დროს არ აწარმოებს საქონლის იმ რაოდენობას, რომელიც საკმარისი იქნება პროდუქტის საბაზრო ფასებზე გავლენის მოსახდენად. ამასთან, მოცემული ფირმების მიერ წარმოებული პროდუქცია სხვა ფირმების მიერ წარმოებული პროდუქციის მაჩვენებლების, ან ბაზარზე არსებული სტანდარტების ანალოგიურია. აქვე დავძენთ, რომ არსებულ ბაზარზე შეღწევის ბარიერები საკმაოდ უმნიშვნელოა და მეწარმეს ნებისმიერ დროს შეუძლია, შეუცვალოს პროფილი თავის საწარმოს ან წამოიწყოს ახალი და უფრო მომგებიანი საქმე.

ზემოჩამოთვლილი პირობების გამო მთლიანი მოთხოვნა-მიწოდება ამა თუ იმ პროდუქციაზე გავლენას ახდენს მის ფასზე . სოფლის მეურნეობაში ფიქსირებული დანახარჯების მაღალი მაჩვენებელი ხშირად აფერხებს წარმოების მოცულობის შემცირების პროცესს, მიუხედავად იმისა, რომ ფასები აშკარად მიუთითებენ ამგვარი ცვლილების აუცილებლობაზე. პროდუქციის შესადარისი ფასი გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობის პროდუქტის მომხმარებელთა სავაჭრო ჩვევებზეც.

ჩვენს მიერ განხილული ფაქტორები იწვევს სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ფასების მერყეობას, რაც, როგორც წესი, აისახება აგრობიზნესის შემოსავლების მკვეთრ ზრდაში ან დაცემაში. იმის გამო, რომ სახელმწიფოს აგროსექტორის დამოუკიდებლად დაფინანსება არ შეუძლია, რესურსების ფორმირების ძირითადი წყარო დონორი ქვეყნებისაგან მოზიდული თანხები უნდა გახდეს, ხოლო საქართველოს მასშტაბით ამ თანხების ეფექტური განაწილების კოორდინაცია თვით სახელმწიფოს უნდა მოახდინოს. სოფლის მეურნეობის სამინისტროში, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების ხელშეწყობით უნდა შეიქმნას კრედიტების მართვის და კოორდინაციის ერთიანი ორგანო, რომლის სტრუქტურა მნიშვნელოვანწილად ბანკის საკრედიტო დეპარტამენტის სტრუქტურის იდენტური იქნება. თუმცა, აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ამ ორგანოს ამოცანებიც (ინვესტიციების მოზიდვა, საპროცენტო განაკვეთის დადგენა, გრძელვადიანი კრედიტების გაცემის პირობების შემუშავება, საკრედიტო შეღავათების სისტემის შემუშავება, დაფინანსების პრიორიტეტული მიმართულებების დადგენა) იდენტურია. სოფლის მეურნეობის დაკრედიტების შეღავათიანი სისტემა კერძო და სახელმწიფო მმართველობის ეფექტურ შერწყმას უნდა ეფუძნებოდეს, მაგრამ ყველა შემთხვევაში ფერმერთა გარკვეული კატეგორიისათვის სესხის გაცემისა და დაფარვის დამატებითი შეღავათების გაწევის საკითხი, სწორედ სახელმწიფო ორგანოს პრეროგატივას უნდა წარმოადგენდეს. ფერმერთა დაკრედიტება შემდეგი პირობების დაცვით უნდა განისაზღვროს: *სესხის ვადა – მაქსიმუმ 10 წელი, საშუალოდ 3-5 წელი; *სესხის სარგებელი – 3-6% წელიწადში;* სესხის ოდენობა: - სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისათვის – არა უმეტეს 50 ათასი აშშ დოლარი; - სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავებისათვის – არა უმეტეს 300 ათასი აშშ დოლარი; - სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის განვითრებისათვის – არა უმეტეს 150 ათასი აშშ დოლარი. კრედიტის უზრუნველსაყოფად გირაოს საერთო ღირებულება უნდა იყოს მოთხოვნილი სესხის 150-200%. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე

კრედიტები უნდა გაიცეს როგორც საბრუნავი საშუალებების შესავსებად, ასევე კაპიტალური დაბანდებებისათვისაც. ამასთან აუცილებელია მსესხებელი ფერმერის მონაწილეობა პროექტით გათვალისწინებულ საქმიანობაში საკუთარი სახსრებით, ან უკიდურეს შემთხვევაში სხვადასხვა სასოფლო- სამეურნეო სამუშაოების ჩატარებით. როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების, გადამუშავების და სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის სესხის ოდენობის დიფერენციაციიდან ჩანს, რადგან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების დიდი უმრავლესობა საჭიროებს ტექნიკურ გადაიარაღებას, მათი დაკრედიტება ყველაზე დიდ თანხებს მოითხოვს. სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის გაცემული სესხები ასევე პრიორიტეტული უნდა იყოს იმ მოტივაციით, რომ იგი მოიცავს აგრარული რეფორმის ისეთ აუცილებელ სეგმენტებს, როგორიცაა: სასოფლო- სამეურნეო სამმართველოების რეორგანიზაციას, ფერმერული მეურნეობების კოოპერირებას, აგროსერვის ცენტრების და სასაწყობე მეურნეობების შექმნას, კომპიუტერული საკონსულტაციო-საინფორმაციო ცენტრების ჩამოყალიბებას, სანერგე, სათესლე და საჯიშე მეურნეობების განვითარებას. როგორც კვლევამ გვიჩვენა, აგრარულ სექტორში სახეზეა მწვავე საფინანსო და საკრედიტო დეფიციტი. როგორც სახელმწიფო, ისე მოზიდული ინვესტიციების მოცულობა ძალზე მცირეა, ამდენად, ფერმერთა ფუნქციონირება მხოლოდ მათი დანაზოგების რეინვესტირებით წარმოებს. აქედან გამომდინარე, ფერმერული მეურნეობების განვითარების ძირითად ფაქტორად საქართველოში სოფლის მეურნეობის საფინანსო-საკრედიტო ბაზრის ფორმირება მიგვაჩნია. ამასთან, გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს აგრეთვე სასოფლ-სამეურნეო კრედიტების და აგრარული წარმოების დაზღვევის სისტემის ფორმირებაც, რომლის გარეშეც ფერმერული მეურნეობების ეფექტიანი ფუნციონირება წარმოუდგენელია. საბაზრო ურთიერთობების ფორმირების მოცემულ ეტაპზე გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს მარცვლეულის გარანტირებული შესყიდვის მექანიზმის შემუშავებამ და მისმა სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერამ. ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესო გამოცდილებაა დაგროვილი საზღვარგარეთის განვითარებულ ქვეყნებში, განსაკუთრებით ხორბლის გარანტირებული შესყიდვის სფეროში. აღნიშნული სისტემის უნარიან გამოყენებაზე იქნება დამოკიდებული მარცვლეულის წარმოების გადიდების გამოუყენებელი რეზერვების ამოქმედება. ხორბლის გარანტირებული შესყიდვის მექანიზმის მთავარ პრინციპს კომერციული ბანკებისა და სადაზღვევო კომპანიების მონაწილეობით ფინანსური რესურსების მობილიზება და რაც მთავარია გლეხური (ფერმერული) მეურნეობებისა და წისქვილკომბინატებს შორის, სახელშეკრულებო ურთიერთობების საფუძველზე, ვერტიკალური და ჰორიზონტალური კოოპერაციული საზოგადოებების ჩამოყალიბება წარმოადგენს. აღნიშნული პროექტის განხორციელებაში მონაწილეობას მიიღებენ ფერმერული (გლეხური) მეურნეობები, რომლებსაც კომპაქტურად გაადგილებულ მცირე ნაკვეთებზე მოჰყავთ ხორბალი. პარალელურად შეირჩევა ნათესებთან ყველაზე ახლოს გაადგილებული წისქვილკომბინატი. სწორედ მათი ურთიერთობით იწყება ვერტიკალური ინტეგრაციის პროცესი, რომელიც ხელშეკრულების საფუძველზე ხორციელდება. ხელშეკრულებაში ფიქსირდება ხორბლის ჩაბარების დრო, ჩასაბარებელი რაოდენობა, მისი ხარისხობრივი მაჩვენებლები, ერთეული პროდუქციის შესყიდვის ფასი, შესყიდული პროდუქციის ანაზღაურების ფორმა, ჩაბარებული პროდუქციის შენახვის ხარჯები, მისი გაყიდვიდან ამოღებული თანხების განაწილების პირობები და სხვა. მაგრამ თუ ასეთი ხასიათის ურთიერთობა გლეხის სურვილით არ შედგა, მაშინ ისმება საკითხი მათი ჰორიზონტალური კოოპერაციული ინტეგრაციის შესახებ. პროექტის განხორციელების პირველ წელს გლეხებს უგროვდებათ გარკვეული ფინანსური რესურსები, რაც საშუალებას აძლევს მათ ხორბალი აწარმოონ ინტენსიური მეთოდების გამოყენებით, კერძოდ, შეიძინონ მაღალი ხარისხის თესლი, სასუქები და პესტიციდები, დაიქირაონ მაღალი წარმადობის ტექნიკა, ფულადი შემოსავლების გაზრდის მიზნით, მეტი რაოდენობის მარცვლეული ჩააბარონ წისქვილკომბინატს და ა.შ. ხორბლის ჩაბარების ქვითარი გლეხების მიერ გამოყენებული იქნება, როგორც ლიკვიდური საგირავნო ქონება კომერციული ბანკებისაგან კრედიტის ასაღებად, იგივე შეიძლება გააკეთოს წისქვილკომბინატმაც იმ მოცულობის ქონებაზე, რასაც ჩაბარებული ხორბლის ღირებულება შეადგენს. მას შემდეგ, პროცესში ჩაერთვება

სადაზღვევო კომპანიები, მათ მიერ კრედიტის მისაღებ საგირავნო ქონებად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ურთიერთშორის დადებული ხელშეკრულებები .

ამრიგად ფერმელური მეურნეობის მხარდამჭერი სხვადასხვა ფინანსური გეგმის განხორციელება საშუალებას მისცემს აგროსექტორს სრულად გამოიყენოს მიწის ნაკვეთები, მათი მიზნების შესაბამისად, აგრეთვე იმ ხერხების გამოყენებით, რომლებიც ზიანს არ მიაყენებს, როგორც ბუნებრივ, ისე სამეურნეო ობიექტებს; გაზარდონ ნიადაგის ნაყოფიერება, განახორციელონ მიწების გამოყენების და დაცვის ღონისძიებანი, დაიცვან ბუნების ობიექტებით სარგებლობის წესები, არ დაუშვან გარემოს რაიმე ზიანის მომტანი მოვლენა და გაზარდონ საერთო დოვლთი ქვეყანაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს „ერთიანი აგროპროექტი“ აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USID)/საქართველოს სასოფლო-სამეურნეო
2. წარმოების ეფექტიანობის აღდგენის პროექტი
3. ტურაბელიძე ნ. საადგილმამულო ურთიერთობათა საფუძვლები თბ. 2009.
4. პოლ კრუგმანი, მაურიუს ოფსვილდი „საერთაშორისო ეკონომიკა თეორია და პოლიტიკა“
5. მენქიუ გ. ეკონომიკის პრინციპები
6. ბარათაშვილი ე., ჯოლია გ., გრძელიშვილი ნ., მამალაძე ი., სეხნიაშვილი დ., ჩახვაშვილი დ. – „ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება”

Analysis of the private security system of Georgian agriculture

Gogiashvili Davit

Summary

Specific Parties of Research Object: To analyze the economic essence of agribusiness as the conceptual base, the following feature should be divided: in any case, Agrarian production has physical basis; each type of product has its own features; Soil-climatic conditions affect the production and distribution of consumer goods. Agrarian production is distinguished by two main signals from other areas of economic sphere. One is in the cyclical nature of production and is due to physical and biological factors. The second sign is related to the uncertainty of prices. The point is that the price of agricultural products depends on the physical condition of the products on the one hand and on the other, the changes that are characteristic of the agricultural products market at a certain point.

Some features of the market influence the prices. Agriculture means competing conditions of production, especially if it concerns the production of livestock and pork meat, food and fodder grain. Such competition is caused by the fact that many manufacturers of the same products do not produce individually the amount of goods that will be sufficient to influence the market price of the product. In addition, the products produced by the firms are similar to the figures or the standards existing on the market produced by other firms. Hereby, barriers to accessing the existing market are quite insignificant and the entrepreneur can at any time change the profile of its enterprise or start a new and more profitable business.

Thus, the implementation of various financial plans supporting farming farms will enable the Agro-sector to fully utilize land plots according to their aims, also using the techniques that do not harm both natural and agricultural facilities; Increase soil fertility, implement use and protection measures of lands, observe the rules of use of nature objects, do not allow harmful event for any environmental damage and increase the overall downturn in the country.

მუნიციპალური ეკონომიკური სისტემის განვითარების მეთოდური საფუძვლები

გორგოძე ვალერიან
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

დათაშვილი ვახტანგ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია მუნიციპალური სამართლებრივ-ეკონომიკური სისტემის პოტენციალი, რათა შეასრულოს მმართველობითი სუბიექტის როლი, განსაზღვროს და შემოიფარგლოს შესაძლებლობით, აღიქვას და ანალიზი გაუკეთოს გარედან შემოსულ ინფორმაციას.

სტატიაში აგრეთვე განხილულია სტრატეგიული მართვის ახალი მიდგომები, რომელიც საშუალებას გვაძლევს ძირითადი ყურადღება მივაქციოთ მიზნებისა და ამოცანების დასახვას, მათი მიღწევის ინსტრუმენტების შემუშავებას, შედეგების ანალიზს და მონიტორინგს, მუნიციპალური ეკონომიკური სისტემის განვითარების სტრატეგიული მართვის საქმიანობის ეფექტურობის განსაზღვრას. განხილულია აგრეთვე მუნიციპალური ეკონომიკური სისტემის განვითარების სტრატეგიული მართვის მთავარი პირობა, რომელიც წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობისა და მუნიციპალური საზოგადოების ერთობლივი მუშაობის საფუძვლებს.

საკვანძო სიტყვები: *მუნიციპალური, სტრატეგიული, მართვა, სამართებლივ-ეკონომიკური სისტემა, ადგილობრივი თვითმართველობა.*

ძირითადი ტექსტი

მუნიციპალური ეკონომიკური სისტემის სტრატეგიული მართვის ამოცანების და დასახული მიზნების წარმატებულად განხორციელების მთავარ პირობას, ჩვენი აზრით, წარმოადგენს გავლენის შიდა და გარე ფაქტორების ზედმიწევნით ღრმა ანალიზი, რომელიც განსაზღვრავს ტერიტორიის ეკონომიკური განვითარების მიმართულებას. მეცნიერები გარე ფაქტორების რიცხვს მიაკუთვნებენ ისეთებს, როგორიცაა მუნიციპალური წარმონაქმნის გეოპოლიტიკური მდგომარეობა, მისი დამოკიდებულება რეგიონულ ცენტრთან, შრომის ტერიტორიული დაყოფის სისტემაში მისი ადგილი და როლი, შექმნილი ტერიტორიული კავშირების განვითარებისა და ეფექტურობის დონე და სხვ.

შიდა გარემო გულისხმობს საერთო გარემოს ნაწილს, რომელიც მუნიციპალური წარმონაქმნის ტერიტორიის საზღვრებში იმყოფება. ის ახდენს მუდმივ და უშუალო ზემოქმედებას მთელი სისტემის ფუნქციონირებაზე. შიდა გარემოს ძირითად ფაქტორებს მიეკუთვნება:

- რესურსები (მატერიალური-ფინანსური, შრომითი), გარკვეული წესითაა ორგანიზებული და დალაგებული;
- შრომის განაწილება, ანუ იმ სხვადასხვა ტიპის საქმიანობის ხარისხობრივი განსხვავება და იზოლაცია, რომლებიც ენიჭება სუბიექტებს, რომელთაც შეუძლიათ მათი წარმატებით განახორციელება; ორგანიზაციული წესრიგი, ანუ მოქმედი სოციალური კავშირებისა და ნორმების ერთობლიობა, ორგანიზაციის მონაწილეებს შორის ურთიერთობა, რომელიც თავისი შინაარსით შეიძლება იყოს ან საქმიანი, ან ემოციური, ხოლო ფორმის მიხედვით -ძალის.

ცნებაში „ეკონომიკური პოტენციალი“ ჩვენ ვგულისხმობთ სისტემის უნარს აწარმოოს საქონელი, პროდუქტები, მოემსახუროს და დააკმაყოფილოს საზოგადოების მოთხოვნები და ინტერესები, უზრუნველყოს მოთხოვნები და განვითარება. ეკონომიკური პოტენციალი განისაზღვრება, როგორც სოციალური კატეგორია, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული მოსახლეობის უზრუნველყოფასა და კეთილდღეობასთან. ის დამოკიდებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საწარმოების მწარმოებლურ შესაძლებლობებზე: მიღწევებზე, მეცნიერებასა და ტექნიკაში, საწარმოების წარმოების შესაძლებლობების მოცულობაზე, სამშენებლო და სხვა ორგანიზაციებზე, ბუნებრივ რესურსებსა და სასარგებლო წიაღისეულზე, არასაწარმოოს სფეროს დარგების განვითარებაზე, სატრანსპორტო

სტრუქტურაზე, ფინანსურ ინფრასტრუქტურაზე, შრომითი რესურსების რაოდენობასა და ხარისხზე, მათ კვალიფიკაციასა და პროფესიულ მომზადებაზე.

მუნიციპალური ეკონომიკური სისტემის სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალი, ჩვენი გაგებით განისაზღვრება, როგორც რესურსული და მწარმოებლური შესაძლებლობების ერთობლიობა, რომელიც გამოყენებული უნდა იყოს მუნიციპალური წარმონაქმნის სტრატეგიული განვითარების პარიტეტული მიზნის მისაღწევად.

თუმცა, იმისთვის, რომ განისაზღვროს მუნიციპალიტეტების განვითარების სპეციფიკა საქართველოში, განსახილველი მაჩვენებელი უნდა იქნეს გამოყენებული ადგილობრივი პირობების ფუნქციონირების გათვალისწინებით. ზოგიერთი მკვლევარი გვთავაზობს მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის სრულფასოვან შეფასებას დამატებითი მაჩვენებლებით, როგორიცაა სოციალური დაცვის დონე, სამედიცინო მომსახურების დონე, დანაშაულის დონე და ა.შ.

ჩვენი აზრით, მუნიციპალური წარმონაქმნის პოტენციალის ანალიზისას მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ინდექსის განსაზღვრა უნდა მოხდეს კრიტერიუმების შეფასების დადგენით და ამ მაჩვენებელთა განსაკუთრებული თვისებებით, რომლებიც წარმოადგენენ სტატისტიკურ მონაცემთა ერთობლიობას, რომლებიც შედარებით სრულად ახასიათებენ მუნიციპალური ეკონომიკური სისტემის ქვესისტემებს. ამიტომაა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობა ითხოვს ფორმირების საერთო ინსტრუმენტს, რომელიც სხვადასხვა მუნიციპალურ ეკონომიკურ სისტემებში მოსახლეობის ცხოვრების დონის ადეკვატურად შედარებისა და შეფასების, მოცემული მაჩვენებლის დინამიკის კონტროლის, ამ სფეროში ნეგატიური და პოზიტიური ცვლილებების ფაქტორული ანალიზის ჩატარების საშუალებას იძლევა.

მუნიციპალური ეკონომიკური სისტემის სტრატეგიული განვითარება შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც ეკონომიკური პოტენციალის განვითარების მუდმივი პროცესი, რომლის საშუალებითაც ადგილობრივი საზოგადოება გადადის მატერიალური კეთილდღეობის გაცილებით მაღალ ხარისხზე.

ბოლო ხანებში გაიზარდა პუბლიკაციების რაოდენობა, რომლებიც განსაზღვრავენ კონცეფციის სხვადასხვა ასპექტს. უმეტეს კვლევებში, განისაზღვრება პოტენციური შეფასების საკითხების შესწავლის მნიშვნელობა და აღინიშნება, რომ არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები თვით ცნებაში "პოტენციალი", მის კომპონენტებში, არსსა და სხვა კატეგორიებთან ურთიერთობებში.

გამოვყავით ეკონომიკური პოტენციალის არსის სამი მიდგომა:

1. პროდუქციის წარმოების შესაძლებლობა;
2. არსებული რესურსების ერთობლიობა;
3. სისტემის სუბიექტების სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობები და სამეურნეო საქმისნობის შედეგები.

ჩვენი აზრით, პოტენციალი არ შეიძლება არსებობდეს მისი გამოყენების გარკვეული მიზნის გარეშე. პოტენციალის განხილვისას, პირველ ყოვლისა, აუცილებელია იმ საკითხის გამოკვლევა, თუ რისთვისაა საჭირო შესაძლებლობები და რესურსები.

- ობიექტური - მატერიალური, შრომითი, ბუნებრივი, არამატერიალური რესურსების ერთობლიობა, რომლებიც იღებენ ან რაღაც მიზეზების გამო, არ იღებენ მონაწილეობას საწარმოო პროცესებში, მაგრამ ნამდვილად ფლობენ მასში მონაწილეობის შესაძლებლობას;

- სუბიექტური - რიგი მუშაკებისა და მათი კოლექტივების უნარი გამოიყენონ არსებული რესურსები და შექმნან მატერიალური და არამატერიალური საქონლისა და მომსახურების მაქსიმალური რაოდენობა, არსებული პოტენციალის საუკეთესოდ გამოყენების თვალსაზრისით.

„ეკონომიკური პოტენციალის" ცნების განსაზღვრისათვის ჩვენდამი წარმოდგენილი მიდგომები იძლევიან მსჯელობის მრავალ საგანს მისი არსისა და სტრუქტურის გაგებისათვის. მრავალი მკვლევარი აანალიზებს პოტენციალის ფუნქციებს. ასე, მაგალითად, „ეკონომიკური პოტენციალი უნდა განვიხილოთ, როგორც ქვეყნის ეროვნული შემოსავლისა და ეკონომიკური ძალის ზრდის წყარო; საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარების შედეგი; დარგის, საწარმოების, ორგანიზაციების, რესურსების საწარმოოს შესაძლებლობების მაქსიმალური, მაჩვენებელი; საზოგადოების მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალება; ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის

ზრდის უმთავრესი ფაქტორი; მატერიალური სიმდიდრის წარმოების გეგმების ოპტიმალურობის კრიტერიუმი, რესურსებისა და ეროვნული სიმდიდრის გამოყენებით.

ზოგიერთი მეცნიერი იყენებს ტერმინს „საწარმოო პოტენციალი“ „ეკონომიკური პოტენციალის“ ნაცვლად. საწარმოო პოტენციალი - „ეს არის ეკონომიკური ურთიერთობების სისტემა, რომელიც წარმოიქმნება საწარმოო სუბიექტებს შორის მაკრო და მიკრო დონეებზე, მაქსიმალურად შესაძლებელი საწარმოო შედეგის მისაღწევად“. ისინი ასევე მიჯნავენ ეროვნული ეკონომიკის საწარმოო პოტენციალსა და კონკრეტული საწარმოს საწარმოო პოტენციალს. პირველ შემთხვევაში საწარმოო ურთიერთობები ყალიბდებიან დამოუკიდებელ საწარმოო სუბიექტებს შორის, რომლებიც ერთიანდებიან ეროვნული ეკონომიკის საერთო ჩარჩოებში და შემოსავლის მიღების საერთო ინტერესებით, ასევე ცდილობენ შეამცირონ რესურსები საკუთარი პროდუქციის ბაზარზე დივიდენდების მისაღებად.

საწარმოო პოტენციალი კი, მათი აზრით, ეს არის საწარმოს პერსონალის ურთიერთდამოკიდებულება მიზნის მისაღწევად, რომელიც შეიძლება იქნეს მიღწეული საწარმოო რესურსების მაქსიმალური გამოყენებით, არსებული ტექნოლოგიური დონის, საწარმოს მართვის წამყვანი ფორმების შესაბამისად, მიუხედავად გარე ბუნებრივი პირობებისა. ამ ურთიერთობების რთული ხასიათი განპირობებულია უშუალოდ საწარმოს შიდა პირობებით. საწარმოო პოტენციალი დამოკიდებულია თვითგანვითარების შიდა წყაროების მოძიებასა და რეალიზაციაზე.

მართლაც, „პოტენციალის“ ქვეშ ყველაზე ხშირად გულისხმობენ არსებულ წყაროს, რომელსაც შეუძლია შეასრულოს გარკვეული ქმედება ან შესაძლებელია მისი გამოყენება დაგეგმილი მიზნების მისაღწევად. სპეციალისტების აზრებში ყველაზე მეტი განსხვავება პოტენციალის სტრუქტურამ გამოიწვია. ჩვენი აზრით, პოტენციალის ასეთი „რესურსული“ გაგება ვერ მოიცავს ამ საკმაოდ რთული ეკონომიკური კატეგორიის ყველა ასპექტს, მაგრამ შეუძლია ჩასწვდეს მის არსებით ფაქტორებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები სახელმძღვანელო. თსუ ადმინის-ტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამოცემები. ტომი 3. თბილისი, 2016.
2. ვ. დათაშვილი - გლობალიზაცია და ტექნოკრატია, თბილისი, 2006 წ. გვ 568
3. ვანო ხუხუნაიშვილის სახ. ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის კვლევების შედეგები. წვდომის რეჟიმი: http://www.lsg.gov.ge
4. ვ. მანია - ადგილობრივი დემოკრატია: სამოქალაქო აქტივობის გაზრდის პრობლემები თანამედროვე საქართველოში. სამეცნიერო ჟურნალი - „ხელისუფლება“

Methodical fundaments of development of municipal economic system

Gorgodze Valerian
Datahsvili Vakhtang

Summary

The article considers potential of municipal legal-economic system, in regard to fulfillment of role of the governmental subject, definition and confinement of their abilities, perception and analyzing of outside information.

The article also considers new approaches to strategic management, that give chance to pay major attention to defining of business and tasks, working out of instruments for their achievement, analysis and monitoring of results, outlining of effectiveness of activities of strategic management of municipal economic system development.

There is also considered the main condition of strategic management of municipal economic system development, namely the fundaments of joint work of local self-administration and municipal society.

პროფესიული განვითარების მართვის რეგულაციები საჯარო სექტორში

ზაზაშვილი ლია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

ტაბატაძე მარინა
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

სწორი და ეფექტიანი სახელმწიფო მართვა ხელს უწყობს დემოკრატიული სახელმწიფოს ფორმირებას. საქართველოს სამთავრობო პროგრამის თანახმად, საჯარო სამსახურის რეფორმა ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პირობად განიხილება. ამ რეფორმის ამოცანას სახელმწიფო ორგანოების მაღალკვალიფიციური ისეთი სპეციალისტებით უზრუნველყოფა წარმოადგენს, რომელთაც შეეძლებათ საკუთარი უნარების ოპტიმალური გამოყენება, პროფესიულ-კვალიფიკაციური განვითარება და თანამდებობრივი ზრდის სტიმულირება. საჯარო სამსახურში პერსონალის მართვასთან დაკავშირებულ კომპლექსურ პრობლემებს „საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფცია“ ასახავს, რომელიც პროფესიული საჯარო მოხელის ინსტიტუტის დანერგვას, სამართლიანი კარიერული ზრდის სისტემის ფორმირებას და შესაბამისი სახელმწიფო რეგულაციების შემოღებას ისახავს მიზნად.

სტატიაში გაანალიზებულია საჯარო სექტორში პროფესიული განვითარების მართვის ორგანიზაციული და საკანონმდებლო ასპექტები, საჯარო სამსახურში პერსონალის მართვის თავისებურებები და მისი პროფესიული განვითარების სამართლებრივი რეგულაციები. საქართველოში მოხელის პროფესიული განვითარების ახალი სისტემა ორიენტირებულია საჯარო ინსტიტუტის ორგანიზაციულ განვითარებაზე, პროფესიული საჯარო მოხელის, როგორც მისი ძირითადი რგოლის, კვალიფიკაციის ამაღლებაზე. ეს ხელს შეუწყობს ადმინისტრაციული კულტურის განვითარებას და სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირებას. ამ საკითხის ძირითადი თეორიული და საკანონმდებლო ასპექტებია განხილული მოცემულ სტატიაში.

საკვანძო სიტყვები: *საჯარო სექტორი; პროფესიული საჯარო მოხელე; პერსონალის მართვა; კარიერული წინსვლა; პროფესიული განვითარება.*

ძირითადი ტექსტი

სახელმწიფო მართვა სამართლებრივი სახელმწიფოს ფუძემდებლური პრინციპების და ადამიანის უფლებების დაცვის იდეას ემყარება, მისი სრულყოფილი ფუნქციონირება და განვითარება საჯარო სექტორის ეფექტური მართვით ხორციელდება. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი დეკლარირებული სამართლებრივი მექანიზმებით, ევროკავშირის მიერ შემუშავებულ მმართველობის პრინციპებს აღიარებს და ქართული რეალობის გათვალისწინებით, თანამედროვე საჯარო სამსახურის სტანდარტებს ამკვიდრებს.

კანონის თანახმად, საჯარო სამსახური არის „სახელმწიფო სექტორში, მუნიციპალიტეტის ორგანოებში და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში საქმიანობა“ [3]. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, სახელისუფლებო მართვა დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით ხორციელდება, კერძოდ, სახელმწიფო ორგანოებს შორის მოქმედებს ურთიერთკონტროლისა და ურთიერთდაბალანსების სისტემა, რომლის სტრუქტურის ორგანიზაციული ელემენტებია საქართველოს პარლამენტი, საქართველოს მთავრობა და საერთო სასამართლოები. სახელმწიფო ხელისუფლების სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქართველოს პრეზიდენტს და საკონსტიტუციო სასამართლოს, რომლებიც კონსტიტუციური სისტემის გარანტად გამოდიან [4. მუხლი5].

საჯარო მმართველობის ეფექტიანობა სახელმწიფო ორგანოების კომპეტენციების სწორ განსაზღვრასა და უფლებამოსილებათა ოპტიმალურ დელეგირებაზე, აპარატის რაციონალური სტრუქტურის შექმნასა და შესაბამის საკადრო უზრუნველყოფაზე, ურთიერთობების მართვასა და

მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებასზეა დამოკიდებული. ადამიანური რესურსების მართვა სახელმწიფო მმართველობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც ორგანიზაციულ, სოციალურ-ეკონომიურ, ფსიქოლოგიურ, ზნეობრივ და სამართლებრივ სისტემას აერთიანებს. მისი მიზანია ადამიანური შესაძლებლობების ეფექტური რეალიზაციის უზრუნველყოფა რაოდენობრივი და თვისობრივი ცვლილებების გზით. საჯარო სექტორის პერსონალის მართვის ძირითად სუბიექტებს სახელმწიფო სამსახურის ხელმძღვანელობა, როგორც მთავარი სუბიექტი და ამ ორგანოს საკადრო სამსახური, როგორც ფუნქციონალურ - პროფესიული მმართველობითი სტრუქტურა წარმოადგენს. სახელმწიფო ორგანოს ხელმძღვანელობა განსაზღვრავს საკადრო პოლიტიკას და უზრუნველოფს მისი რეალიზაციის მექანიზმის ფუნქციონირებას [7].

რეალურად მოქმედი ორგანიზაცია წარმოდგება კონკრეტული პერსონალის შემადგენლობით, მისი სოციალური და პროფესიული კვალიფიკაციის სტრუქტურით. კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საჯარო დაწესებულებებში ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის არსებობას ითვალისწინებს, რომლის ძირითადი ფუნქცია შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება და მისი ადმინისტრირებაა. ამ ერთეულის საქმიანობის კოორდინაციასა და მეთოდურ დახმარებას საჯარო სამსახურის ბიურო ახდენს [3. მუხლი24].

პერსონალის მართვა უწყვეტი ციკლია, რომელიც ურთიერთმონაცვლე სხვადასხვა მიმართულებას მოიცავს, მათ შორის ძირითადია სამუშაოს მართვა, ეს არის ორგანიზაციის ეფექტიანობის ამაღლებაზე მიმართული პროცესი, რომელიც კომპლექსური და სისტემური ხასიათის სხვადასხვა აქტივობებს აერთიანებს - დაგეგმვა, მონიტორინგი, განვითარება, შეფასება, მოტივაცია. თანამედროვე მუდმივად ცვალებადი გარემო ახალი პირობებისა და მოთხოვნებისადმი ადაპტირებულ საჯა-რო მოხელეთა პროფესიულ განვითარებას მოითხოვს, მმართველობითმა ერთეულებმა შესაბამისი მოტივაციებით, საკადრო პოტენციალის განვითარებას, ორგანიზაციის და თანამშრომლების შესაძლებლობების ზრდას უნდა შეუწყოს ხელი [5].

ადამიანური რესურსების მართვის თანამედროვე კონცეფციებში პერსონალის უწყვეტი სწავლების და განვითარების აუცილებლობაა აქცენტირებული, მნიშვნელოვანია ორგანიზაციის მხრიდან მომუშავეთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, შესაბამისი სამუშაო გარემოს და ორგანიზაციული კულტურის შექმნის გზით. სამუშაო ამოცანები იმგვარად უნდა შედგეს, რომ მუშაკებმა საკუთარი შესაძლებლობების სრულად რეალიზაციით, მაღალი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება შეძლონ, ასეთ მოთხოვნილებებად მასლოუს მუშაკთა პოტენციური შესაძლებლობების რეალიზაცია და მათი პიროვნული ზრდის სურვილი მიაჩნია, ალდერფერის მიხედვით კი, განვითარების ანუ პიროვნული სრულყოფისა და ზრდისაკენ სწრაფვის მოთხოვნილებაა ძირითადი, ჰერცბერგი განმსაზღვრელად პიროვნების თვითგამოხატვის ისეთ მოთხოვნილებებს მიიჩნევს, როგორიცაა, კვალიფიკაციის ამაღლების, წარმატების აღიარების, სამსახურეობრივი წინსვლის და პროფესიული ზრდის მოთხოვნილებები. პიროვნული რესურსის ეფექტური მართვა მისი მოტივაციის აღქმას ემყარება. იმის ცოდნა, თუ რა ამოძრავებს ადამიანს, რა განაპირობებს მის ეფექტურ მუშაობას, რა მოტივები უდევს საფუძვლად მის ქცევას, ორგანიზაციაში პიროვნული რესურსის მართვის ქმედითი სისტემის და მეთოდების შემუშავებას მოითხოვს. შულცის «სოციალური კაპიტალის» თეორიაში ყურადღება გამახვილებულია სამუშაო ძალის შესაძლებლობებზე და ორგანიზაციის ეკონომიკურ განვითარებაში მისი როლის სიდიდეზე. ამ თვალსაზრისით, მენეჯერების წინაშე დგას პერსონალის ინტენსიური განვითარების სრულიად ახალი ამოცანები. სოციალური კაპიტალის ფორმირება ხანგრძლივი, მიზანმიმართული პროცესია, რაც აუცილებლად მოითხოვს კომპლექსური მმართველობითი მექანიზმის არსებობას, პერსონალის მართვის სისტემის სახით, ამ თვალსაზრისით, „ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვის თეორიის“ წარმომადგენლები (მ. ბირი, პ. ბოქსალი და სხვ.) მიიჩნევენ, რომ ორგანიზაციაში ადამიანთა მიმართ უნდა არსებობდეს განსაკუთრებული მიდგომა, რომელიც გათვლილი იქნება ხანგრძლივ პერსპექტივაზე [1; 2].

საჯარო სამსახურში პერსონალის მართვის თანამედროვე სისტემა **ემყარება პროფესიული საჯა-რო მოხელის ინსტიტუტის დანერგვას, შესაბამისი რეგულაციებით და მექანიზმებით.** საქართველოს

კანონმდებლობის მიხედვით, **პროფესიული საჯარო მოხელე** არის პირი, რომელიც უვადოდ ინიშნება ან ირჩევა საჯარო მმართველობის სტრუქტურულ ერთეულებში. მოხელე პროფესიულ საქმიანობას საჯარო სამსახურის ქვედა საფეხურზე იწყებს და კარიერულ წინსვლას აღწევს პროფესიული ცოდნის, გამოცდილებისა და შეფასების შედეგების კვალობაზე [3. მუხლი49]. პროფესიული საჯარო მოხელის ინსტიტუტი დაფუძნებულია კარიერულ პრინციპებზე, აღნიშნული სტატუსის მქონე მოხელეები დაცული არიან სახელმწიფო თანამდებობის პირების პოლიტიკური ზეგავლენისაგან. ახალი კანონი მთელ რიგ სამართლებრივ რეგულაციებს აწესებს პროფესიული კარიერის მართვის, საჯარო მოხელის კარიერული განვითარების, მასზე დროებითი ფუნქციის დაკისრების საკითხებზე, მობილობის წესებსა და პირობებზე [3. თავი6]. კანონის თანახმად, მოხელის ყოველი თანამდებობა შეესაბამება თითო კარიერულ საფეხურს და ნაწილდება შემდეგ იერარქიულ რანგებში: მაღალი მმართველობითი დონე; საშუალო მმართველობითი დონე; უფროსი სპეციალისტის დონე; უმცროსი სპეციალისტის დონე. რანგებში თანამდებობათა განაწილება ხდება შესაბამისი პასუხისმგებლობის ხარისხის, მოვალეობათა განხორციელების სირთულის, კომპეტენციების, აუცილებელი კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების გათვალისწინებით. რანგების გარდა, მოხელეს პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების ხარისხის მიხედვით, შესაძლებელია ასევე მიენიჭოს კლასი /12 დონე/, კლასის მინიჭების მიზანია მოხელის მოტივაციის ზრდა, მისი მატერიალური კეთილდღეობის ხელშეწყობა და, საბოლოო ჯამში, საჯარო სამსახურის სტაბილურობის უზრუნველყოფა [3. თავი4].

პროფესიული განვითარება განსაკუთრებულ როლს თამაშობს კარიერულ წინსვლაში. იერარქიულ საფეხურებზე მოხელის გადაადგილება დამოკიდებულია მის მიერ საკუთარი შესაძლებლობებისა და უნარების განვითარებაზე, პროფესიულ გამოცდილებასა და კომპეტენციებზე. მოხელის მიერ მასზე დაკისრებული ფუნქციების ეფექტური შესრულება და შედეგების გაუმჯობესება ხელს უწყობს მოქალაქეებისათვის საჯარო სამსახურის მიერ კვალიფიციური მომსახურების მიწოდებას.

პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ნორმები ემსახურება მოხელის ინდივიდუალურ ცოდნა-კომპეტენციაში გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრას. ამ მიზნით, საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოხელეს შესთავაზოს პროფესიული განვითარების სავალდებულო პროგრამები და უზრუნველყოს ამ პროგრამებში მისი მონაწილეობა. ამასთან, საჯარო მოხელე ვალდებულია, განავითაროს საკუთარი პროფესიული შესაძლებლობები და მონაწილეობა მიიღოს შეთავაზებულ სავალდებულო პროგრამებში. გარდა ამისა, მოხელე იღებს ვალდებულებას, თვითონ იზრუნოს საჯარო სამსახურის სისტემის გარეთ არსებულ პროგრამებში მონაწილეობაზე, საჯარო დაწესებულება კი ვალდებულია ხელი შეუწყოს მისი ამ ინიციატივას სპეციალური შვებულებით სარგებლობის უფლების შეუზღუდავად. კანონის მიხედვით, წლის დასაწყისში განისაზღვრება მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებები, რომელიც ეფუძნება როგორც ცალკეული იერარქიული რანგის თანამდებობისათვის დადგენილ მოთხოვნებს ისე, თითოეული მოხელის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების შედეგებს, რაც აუცილებლად შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს საჯარო დაწესებულების სტრატეგიულ მიზნებთან და საჭიროებებთან [3. მუხლი 54].

საჯარო დაწესებულებებში პროფესიული განვითარების საჭიროებების დაგეგმვის პროცესი ერთიანი სტანდარტით მიმდინარეობს ყოველწლიური გეგმის ფორმით. განვითარების პროგრამების გავლა შესაძლებელია როგორც ელექტრონული კურსის, ისე აუდიტორული მეცადინეობისა და მასტერკლასების საშუალებით. პროფესიული განვითარების პროგრამები შესაძლებელია იყოს საბაზისო და დამატებითი სახის, საბაზისო პროგრამა სავალდებულოა კონკურსის წესით არჩეული ყველა მოხელისათვის, თანამდებობაზე დანიშვნიდან ერთი წლის განმავლობაში. საბაზისო პროგრამა მე-4 და მე-3 რანგის მოხელეებისათვის წარმოადგენს პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების, მეორე და პირველი რანგის მოხელეებისათვის კი მათი მენეჯერული უნარების განვითარების სასწავლო კურსს.

სასწავლო საბაზისო პროგრამების მიზანია დროის კონკრეტულ პერიოდში მოხელეთათვის იმ აუცილებელი მინიმალური ცოდნის მიწოდება, რომელიც დაეხმარება მათ საჯარო სამსახურში საკუთარი უფლებამოსილებების უკეთ განხორციელებაში და საჯარო სტრუქტურის კონკრეტული

ფუნქციების სრულყოფილად შესრულებისათვის საჭირო განსაკუთრებული უნარების ათვისებაში. ყოველი წლის ბოლოს საჯარო დაწესებულება საჯარო სამსახურის ბიუროს მიაწვდის ინფორმაციას მოხელეების მიერ სასწავლო პროგრამის შეფასების შედეგების შესახებ. აღნიშნული შეფასებების განზოგადების საფუძველზე ბიურო ელექტრონულ ვებ-გვერდზე განათავსებს ინფორმაციას სასწავლო დაწესებულებების /პროგრამების/ რეიტინგების შესახებ. პროფესიული განვითარების სისტემის დაგეგმვა, საბაზისო სასწავლო პროგრამების შინაარსის სტანდარტიზება და ამ პროგრამების შესწავლის პროცესის კონტროლი სწორად დაგეგმილ და სისტემატიზებულ სწავლებას უზრუნველყოფს. საქართველოში საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების ახალი სისტემა მათი პროფესიონალიზმის დონის ამაღლებას, საჯარო დაწესებულებების ორგანიზაციულ განვითარებას და საზოგადოებისათვის კვალიფიციური საჯარო სერვისების შეთავაზებას უწყობს ხელს [6].

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარათაშვილი ე., თაკალანძე ლ., მენეჯმენტის საფუძვლები. თბილისი, 2011;
2. ტაბატაძე მ., ცანავა ნ., ანტიკრიზისული მენეჯმენტი. სტუ გამომცემლობა, თბილისი 2017;
3. საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, საქართველოს პარლამენტის საკანონმდებლო მაცნე, თბილისი, 2015, http://www.matsne.gov.ge
4. საქართველოს კონსტიტუცია. http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/ constitution-of-georgia-68
5. საჯარო დაწესებულებებში ადამიანური რესურსების მართვის სახელმძღვანელო. ნაწილი II, საჯარო სამსახურის ბიურო, თბილისი, 2014;
6. საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების განახლებული სისტემა. საჯარო სამსახურის ბიურო. თბილისი, 2015
7. Управление персоналом: Учебник. Изд. 2-е, доп. и перераб. / Под общ. ред. А.И. Турчинова. - М.: Изд-во РАГС, 2008.

Professional development management regulations in the public sector

Zazashvili Lia

Tabatadze Marina

Summary

In the process of reform of the state management system, it is important to provide staffing of public structures, optimal use of civil servants' skills and capacity, to stimulate their professional development and job growth. Continuous training of personnel by the modern concepts of human resource management, continuous training of staff, facilitating professional development of workers by the state institution, the formation of the appropriate working environment and organizational culture are recognized. The complex issues related to managing staff in public service refer to the concept of «Public Service Reform», which envisages introduction of the Institute of Professional Public Officials and introduce legal regulation of career growth.

The Institute of Professional Public Officials is based on career principles and the law sets out a number of mechanisms for career management and professional development of public servants. The hierarchical advancement of the employer depends on the development, skills and competences of its capabilities and skills. Officials of the public authority and the structure of the functions necessary for the implementation of professional development knowledge of special programs are being developed, it focused on the professional level of the organizational structure of the institutions and the public what the public qualified in public services to contribute.

არასამთავრობო ორგანიზაციის სოციალური საქმიანობის სტრუქტურული ძვრები და ფორმები

იაშვილი გენადი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ებრალიძე გია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

სტატია შეეხება პოსტინდუსტრიული, ინფორმაციული ცივილიზაციის კონცეპტუალურ მახასიათებლებს, ამ ტერმინის ფართო გაგებით. ავტორებს მიაჩნიათ, რომ სოციალურ სფეროს მზარდი ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა გააჩნია, ცივილიზებული განვითარების სტრატეგიული პარადიგმების ორიენტაციის შეცვლის პირობებში (საინფორმაციო, მაღალტექნოლოგიური, ინოვაციური ტექნოლოგიები). ავტორები ასკვნიან, რომ დღეს საქართველოში ყალიბდება ხარისხობრივად ახალი მიდგომა ადამიანური კაპიტალის დონის მიმართ.

სტატიაში ხაზგასმულია აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის სამოქალაქო კონტროლისა და საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმების განვითარების მნიშვნელობა მათ შორის შემდეგი „სექტორული“ მიმართულებებით: სამართალდამცავი, სასამართლო და პენიტენციალური სისტემა, ინტერნატის ტიპის სოციალური დაწესებულებები, სახელმწიფო და მუნიციპალური შესყიდვების სისტემა, სახელმწიფო მომსახურება, ანტიკორუფციული პოლიტიკის რეალიზება (მათ შორის საქართველოს ადმინისტრაციული რეფორმის ფარგლებში).

სტატიაში განხილულია არასამთავრობო ორგანიზაციის სოციალური საქმიანობის სტრუქტურული ძვრები და ფორმები.

საკვანძო სიტყვები: *სოციალური სფერო; განვითარების სტრატეგიული პარადიგმები; ინფორმაციული ცივილაზაცია; ეკონომიკური ზრდა*

ძირითადი ტექსტი

პოსტინდუსტრიული, ინფორმაციული ცივილიზაციის კონცეპტუალური მახასიათებელი, ამ ტერმინის ფართო გაგებით, სოციალური სფეროს მზარდ ეკონომიკურ და პოლიტიკურ მნიშვნელობას წარმოადგენს, ცივილიზებული განვითარების სტრატეგიული პარადიგმების ორიენტაციის შეცვლის პირობებში (საინფორმაციო, მაღალტექნოლოგიური, ინოვაციური ტექნოლოგიები), ყალიბდება ხარისხობრივად ახალი მიდგომა ადამიანისეული კაპიტალის დონეს მიმართ, პირველ რიგში, მუშაკის პროფესიული, სულიერ-ზნეობრივი, მისი ჯანმრთელობის, შრომის პირობების და ყოფის დონეს მიმართ. გაძლიერდა ყურადღება სოციალური სფეროს სტრუქტურისა და განვითარების დონის მიმართ.

სოციალური პრობლემების გადაწყვეტა, როგორც ეკონომიკის გადაუდებელი ამოცანა:

საქართველოსთვის ასეთი მასშტაბური, სტრატეგიული მიზნის რეალიზება გულისხმობს ინტეგრირებულ, ურთიერთდამოკიდებული სოციალურ-ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური, სოციალურ-ზნეობრივი და სულიერი პრობლემების გადაწყვეტას, საზოგადოების ყველა ინსტიტუტების და სოციალური სტრუქტურების საქმიანობაში სოციალური ორიენტაციის უზრუნველყოფას. [1]

თანამედროვე საქართველოსთვის ამგვარად აქტუალური და გადაუდებელი ამოცანა მოიცავს ორ ურთიერთდამოკიდებულ მიმართულებას:

1. ინერტული განუვითარებლობის, ჩამორჩენის და სოციალური სფეროს დეფორმაციის გადალახვა მისი თანმიმდევრული მოდერნიზაციის საფუძველზე;
2. ამ პროცესში სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტების, ქართული საზოგადოების ფართო სპექტრის ჩართვა.

სოციალური სფეროს ეფექტიანი განვითარება ნებისმიერი მნიშვნელოვანი ეკონომიკური და

პოლიტიკური გარდაქმნების მთავარი მიზანი და აუცილებელი პირობა გახდა. ასეთი მასშტაბური და ძალზე რთული ამოცანა არსებითად ახდენს სოციალური ურთიერთობების პოლიტიზირებას, გადაყავს ისინი საჯარო პოლიტიკის განზომილებაში.

ჩვენი აზრით, ეს გულისხმობს:

- სახელმწიფო ძალაუფლების ორგანოების საქმიანობაში მკაფიოდ გამოხატულ რეალურ სოციალურ ორიენტაციას;
- მათ უშუალო პასუხისმგებლობას სოციალური სფეროს შედეგიან და მეცნიერულად დასაბუთებული განვითარებისთის;
- სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების აქტიურ საქმიანობას, პირველ რიგში, სოციალური პრობლემების გადაწყვეტის სფეროში მოქმედ არასამთავრობო არაკომერციული ორგანიზაციების, კორპორაციების, ქვეყნის და კონკრეტული რეგიონის საერთო ინტერესებთან შერწყმას, საზოგადოების სოციალური პოტენციალის მობილიზაციას;
- მეწარმეობის სოციალურ პასუხისმგებლობის და საქველმოქმედო მსხვილ სოციალურ პროექტებში მის სისტემატურ მონაწილეობას სახელმწიფოსთან და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებთან ერთად;
- სოციალური სფეროს განვითარებისა და სოციალური პრობლემების გადაწყვეტის პროცესში სახელმწიფოს, არასამთავრობო ორგანიზაციები–(აო)-სა და მეწარმეებს შორის წარმოქმნილ ურთიერთობებში სოციალური პარტნიორობის პრინციპების ფართო და თანმიმდევრულ გამოყენებას. [2]

სოციალური ურთიერთობების მდგრადი ტენდენციები, სტრუქტურული ძვრები სოციალურ სფეროში, მისი გადაუწყვეტელი პრობლემები და მიღწეული შედეგები მკაფიოდ ვლინდება საქართველოს სოციალური სფეროს განვითარების მაგალითზე. შეიძლება ითქვას, რომ კონცენტრირებული სახით იგი მოიცავს ხვალინდელი დღის საქართველოს მოდერნიზაციის პრობლემებს. ამჟამად საქართველო, მისი მოსახლეობა, განიცდის თავისი განვითარების დინამიურ, თუმცა არც ისე მარტივ ეტაპს. ქვეყნის მთავრობის წინაშე დგას ამოცანა - უზრუნველყოს ეკონომიკური ზრდა აქტუალური სოციალური პრობლემების ერთდროულ გადაწყვეტასთან ერთად. ამავე ამოცანის დასახვის სხვა რაკურსია: გადაწყდეს აქტუალური სოციალური პრობლემები ეკონომიკური ზრდის საფუძველზე.

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების განვითარების მხარდამჭერი სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტებს უნდა მივაკუთვნოთ აო-ს საქმიანობის შემდეგი ძირითადი მიმართულებები:

1. საზოგადოებრივი სახელმწიფო კონსულტაციების მექანიზმების განვითარება, რომლებიც მიმართულია აო-ს მონაწილეობის გაფართოებაზე ნორმატიული სამართლებრივი აქტების, ყველა დონის ბიუჯეტების პროექტების, საბიუჯეტო დაგეგმვის სუბიექტების საქმიანობის ძირითადი მიმართულებების და შედეგების შესახებ მოხსენებების, საბიუჯეტო მიზნობრივი პროგრამების, საზოგადოებრივი და აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებასთან არსებული ექსპერტული საბჭოების საქმიანობის შემუშავებაში.
2. აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის სამოქალაქო კონტროლისა და საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმების განვითარება, მათ შორის შემდეგი „სექტორული“ მიმართულებებით: სამართალდამცავი, სასამართლო და პენიტენციალური სისტემა, ინტერნატის ტიპის სოციალური დაწესებულებები, სახელმწიფო და მუნიციპალური შესყიდვების სისტემა, სახელმწიფო მომსახურება, ანტიკორუფციული პოლიტიკის რეალიზება (მათ შორის საქართველოს ადმინისტრაციული რეფორმის ფარგლებში).
3. აო-ს მიერ განხორციელებული მომსახურების ხარისხის ამაღლების და მოცულობის გაფართოების ხელშეწყობა შემდეგი ‘სექტორული“ მიმართულებებით: ობლობის, არასრულწლოვანთა უმეთვალყურეობის და სამართალდარღვევების პროფილაქტიკა; სკოლამდელი აღზრდის სხვადასხვა ფორმების განვითარება, აღდგენითი მართლმსაჯულების განვითარება, პენიტენციალური სისტემის ჰუმანიზაციის და ყოფილი პატიმრების სო-

ციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობა; ინვალიდებისთვის და ხანდაზმულებისთვის სოციალური მომსახურების აღმოჩენა, სოციალური დაავადებების, ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის პროფილაქტიკა; ეკოლოგიური მიმართულება; მიგრანტების და იძულებით გადაადგილებული პირების სოციალურ-კულტურული ინტეგრაციის მხარდაჭერა; მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მხარდაჭერა; საზოგადოებრივი ტელემაუწყებლობის და რადიოს განვითარება, საგანმანათლებლო დაწესებულებებში აო-ს მხარდაჭერა (სამეურვეო საბჭოები, საგანმანათლებლო პოლიტიკის საბჭოები); მომხმარებელთა საზოგადოებების, ამახანაგობების, მესაკუთრეების და სხვათა მხარდაჭერა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემების მიხედვით ქვეყანაში უკვე 80-ზე მეტი საზოგადოებრივი ორგანიზაციაა. დარეგისტრირებული აო-ს რაოდენობის ასეთი ზრდა მიგვითითებს შემდეგ დადებით ტრენდებზე: [3]

- საქართველოს მაცხოვრებლების სამოქალაქო აქტიურობის ზრდა, რომელიც გამოწვეულია ხელსაყრელი პირობების შექმნით;
- ხელისუფლების ორგანოებისა და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების შორის სოციალური პარტნიორობის პრინციპებზე აგებულ დიალოგის არსებობა;
- მთელი სექტორის აქტიური ინსტიტუნალიზაცია;
- ახალი ტექნოლოგიების დანერგვა;
- საქართველოს კანონმდებლობის იმ ნაწილში სრულყოფა, რომელიც არეგულირებს აო-ს საქმიანობას და მათ ურთიერთქმედებას აღმასრულებელ ხელისუფლებასთან და
- ადგილობრივი თვითმართველოების ორგანოებთან. [4]

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საქართველოში ყოველწლიურად რეგისტრირდება 2-5 ორგანიზაციაზე მეტი. დღეს აო-ს რიცხვის ზრდის ტემპი აღემატება როგორც მეზობელი ქვეყნების (სომხეთი, აზერბაიჯანი), ასევე პოსტსაბჭოთა ქვეყნების მაჩვენებელს (რუსეთის გამოკლებით, სადაც არასამთავრობო ორგანიზაციების რიცხვი რამოედენიმე ათეულ ათასს აღწევს). ჩამონათვალში შედიან არასამთავრობო დაწესებულები, საერთაშორისო და ქართული საზოგადოებრივი ორგანიზაციები; ორგანიზაციები, რომლებსაც გააჩნია „არაკომერციული პარტნიორობის“ სტატუსი, პოლიტიკური საზოგადოებრივი გაერთიანებები, პოლიტიკური პარტიები, პროფკავშირები და რელიგიური ორგანიზაციები. მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ საშუალოდ ერთი საზოგადოებრივი ორგანიზაციის არსებობის ხანგრძლივობა შეადგენს 2-3 წელიწადს, ასეთი „გადინება“ აიხსნება რამოდენიმე მიზეზით. მათ შორის:

1. არასაკმარისი მატერიალური უზრუნველყოფა;
2. ასეთი საქმიანობისთვის მოუმზადებლობა;
3. გადასაწყვეტი ამოცანების დროებითი ხასიათი. [5]

კიდევ ერთი მაჩვენებელი, რომელიც ასახავს ცვალებად ტენდენციებს საზოგადოებრივ სექტორში, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფორმირების და ფუნქციონირების პრინციპებია. დღეს საქართველოს საზოგადოებრივი ორგანიზაციების საერთო რიცხვიდან 12% ჩამოყალიბებულია და მუშაობს ინდივიდუალური წევრობის, ხოლო 11% - კორპორატიული წევრობის პირობებით, ამასთან უკანასკნელთა რაოდენობა მუდმივად იზრდება.

ამრიგად, არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის მრავალწლიანი არსებობიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე, შეიძლება ჩამოყალიბდეს ამ სფეროში საქმიანობის შეფასების ხარისხობრივი კრიტერიუმები. ჩვენი აზრით, ისინი ატარებენ კომპლექსურ ხასიათს და მოიცავენ რამდენიმე რთულ შემადგენელ ნაწილს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აქუბარდია თ, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება და ეკონომიკური პოლიტიკა. თბ., 2005;
2. Arndt, Sven W. and Henryk Kierzkowski, eds. Fragmentation: New Production Patterns in the World Economy (Oxford: Oxford University Press), 2011.
3. საქსტატი. www.geostat.ge. უკანასკნელად გადამოწმებული იქნა: 28.03.2018
4. Czech Export Bank. Annual Report, 2010-2015.
5. EBRD Annual Report, 2014-2015.

Structural Changes in the Organization of Social Activities and Forms

Iashvili Genadi
Georgian Technical University, Professor
Ebralidze Gia
PhD Student of Georgian Technical University

Summary

The article is devoted to post-industrial, information civilization conceptual characteristics, in the broad sense. Authors believes that the growing economic and political importance of the social sphere, the civilized development of the strategic orientation of the paradigm change in the conditions (for information, high-tech, innovative technologies).

In the article is discussed the Importance of Development of civil control and public monitoring mechanisms of the executive branch activities, including the following sectors: law; judiciary and peniten system, boarding-type social institutions, state and municipal procurement system, state services, anti-corruption Realization of policies (including within the administrative reform of Georgia).

The article discusses Structural Changes in the Organization of Social Activities and Forms.

Keywords: Social Sector; Development of Strategic Paradigms; Information Civilazation; Economic Growth.

მმართველობთი გადაწყვეტილების ძირითადი პრინციპები
და კლასიფიკაცია

იაშვილი გენადი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

წვერავა ზაზა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

მმართველობითი გადაწყვეტილების შემუშავება მმართველობითი პროცესების ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია. მმართველობითი პროცესები შეიძლება გადაწყვეტილების მიღების უწყვეტ პროცესად განვიხილოთ. იმისათვის, რომ მმართველობთი გადაწყვეტილებები საზოგადოებრივი ცხოვრების თანამედროვე აქტუალური საკითხების ეფექტიან მართვას უწყობდნენ ხელს, მნიშვნელოვანია მმართველობითი გადაწყვეტილებები იყოს მეცნიერულად დასაბუთებული, კომპეტენტური და დროული. მართვის პროცესში გადაწყვეტილების მიღების პროცესს 4 ძირითადი პრინციპი გააჩნია, რომელთა იგნორირებამ შეიძლება არასწორი გადაწყვეტილების მიღებისათან მიგვიყვანოს, რაც, საბოლოოდ შესაძლებელია, რომ არასასურველი შედეგების გამომწვევი გახდეს. აღნიშნული პრინციპების დაცვა კი საშუალებას იძლევა მიღებული იქნას სწორი და ხარისხიანი გადაწყვეტილებები ორგანიზაციის ყველა დონეზე.

სტატიაში ხაზგასმულია, რომ მმართველობითი გადაწყვეტილებების კლასიფიკაცია აუცილებელია რათა განისაზღვროს ზოგადი და კონკრეტულ-სპეციფიკური მოდგომები მათი შემუშავებისათვის, რეალიზაციისა და შეფასებისათვის.

სტატიაში განხილულია მმართველობთი გადაწყვეტილების ძირითადი პრინციპები და კლასიფიკაცია.

საკვანძო სიტყვები: *გადაწყვეტილების მიღება, ორგანიზაცია, მმართველობითი გადაწყვეტილებები, ძირითადი პრინციპები, კლასიფიკაცია.*

ძირითადი ტექსტი

ორგანიზაციის მართვის პროცესში გადაწყვეტილების მიღების პროცესს 4 ძირითადი პრინციპი გააჩნია, რომელთა იგნორირებამ შეიძლება არასწორი გადაწყვეტილების მიღებისათან მიგვიყვანოს, რაც, საბოლოოდ, შესაძლებელია, რომ არასასურველი შედეგების გამომწვევი გახდეს. ამ პრინციპების დაცვა კი საშუალებას იძლევა, რომ ორგანიზაციის ყველა დონეზე მიღებული იქნეს სწორი და ხარისხიანი გადაწყვეტილებები. განვიხილოთ თითოეული პრინციპი:

პირველი პრინციპი - ორგანიზაციული შესაბამისობის პრინციპი. ორგანიზაციის ფორმა უწყვეტი კავშირების არსებობას უნდა ემყარებოდეს, რაც აიოლებს როგორც გადაწყვეტილების მიღების პროცესს, ასევე კონტროლს მისი შესრულებაზე. არ შეიძლება არ გათვალისწინდეს ის ფაქტიც, რომ უფლებამოსილებები და პასუხისმგებლობა „ხელიდან ხელში“ გადადის. გადაწყვეტილებების შედეგებზე პასუხისმგებლობის მხოლოდ მენეჯერებზე გადატანით ხელს ვუწყობთ კარგი ხელმძღვანელების ჩამოყალიბებას.

მეორე პრინციპი - პოლიტიკა, სტრატეგია და მიზნები იმდენად მკაფიოდ უნდა იყოს ფორმულირებული, რომ მათი დახმარებით მიღებული იქნეს ზოგადი გადაწყვეტილებები, რომლებიც შეეხება საქმიანობის ახალ სახეობებს.

მესამე პრინციპი - ცვალებად მდგომარეობაზე საიმედო მონაცემების ფლობას მოითხოვს, რაც აუცილებელია მაღალი დონის მენეჯერებსა და ორგანიზაციის შედარებით დაბალი დონეების ფუნქციონირებად ქვეგანყოფილებებს შორის ეფექტიანი კავშირების შენარჩუნებისათვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მონაცემების იმგვარად შერჩევა, რომ მაღალი დონის მენეჯერების განკარგულებაში მხოლოდ ისეთი ფაქტები იყოს, რომლებიც ნამდვილად იქნება მათთვის საჭირო და არ იყოს გადატვირთული იმ მასალით რომელიც არ შეეხება მათ საქმიანობას.

მეოთხე პრინციპი - ითვალისწინებს მოქნილობას, რომლის გარეშეც ვერ მოხერხდება არსებული უამრავი შესაძლებლობის გამოყენება. მუდმივად არსებობს მოთხოვნა კვლიფიცირებულ მენეჯერებზე, რომლებიც ორგანიზაციის მღვაწეობის ოპტიმალურ მიმართულებებს განსაზღვრავენ. დასახელებული პრინციპები ბუნებით უნივერსალურია და აუცილებელია მათი დაცვა მმართველობით და სამეწარმეო საქმიანობაში.

უნდა აღინიშნოს, რომ მენეჯერების მერ მიღებული გადაწყვეტილებები განსაზღვრულ ვალდებულებებს და მათ განხორციელებას უკავშირდება. ძნელია მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა. გადაწყვეტილებების მიღებისათვის ალტერნატივების ანალიზის პროცედურა განსხვავდება მიზეზ-შედეგობრივი ანალიზის პროცედურისაგან.

ყველაზე მეტად არის გავრცელებული სტანდარტული გადაწყვეტილების ტიპი. მისი მიღებისათვის აუცილებელი ანალიტიკური ნაბიჯები ასევე დანარჩენი ტიპის გადაწყვეტილებებისათვის არის გამოყენებადი. ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღების საწყის ეტაპზე ერთვება მენეჯერი. როგორც წესი, მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების წარმატებით განსახორციელებისათვის მენეჯერმა უნდა გაიაროს გადაწყვეტილების მიღების პროცესის რამდენიმე სტადია. [1]

პირველ სტადიაზე მთავარი ამოცანა გადაწყვეტილების მიღების დროს მიზნის სწორად განსაზღვრაში მდგომარეობს. გადაწყვეტილების მიღების ნებისმიერი პროცესი მისი მიღების აუცილებლობის გაცნობიერებით უნდა დაიწყოს.

მეორე სტადიაზე, მნიშვნელოვანია, უპირველესად დაისვას საკითხი არჩევანის შესახებ, რომელიც უნდა გაკეთდეს. რაც სამი ამოცანის შესრულებას ეხმარება: გადაწყვეტილების კავშირის ჩვენება არჩევანის გაკეთების აუცილებლობასთან; ალტერნატივების მოძებნისათვის მიმართულების მიცემა; დასახული მიზანთან კავშირის არმქონე ალტერნატივების გამორიცხვა.

მესამე სტადიაზე მენეჯერი კრიტერიუმებს ორგანიზაციისათვის მათი მნიშვნელობის პრინციპით ყოფს. კრიტერიუმებს განსხვავებული მნიშვნელობები აქვთ. მაგალითად, ზოგიერთი კრიტერიუმი სავალდებულო შეზღუდვას წარმოადგენს, მაშინ როცა სხვა კრიტერიუმები აფიქსირებენ სასურველ მახასიათებლებს. იმისათვის საკმარისად ეფექტური გადაწყვეტილება იქნას მიღებული, კრიტერიუმები უნდა დაიყოს მკაცრად შემზღუდავ კრიტერიუმებად და სასურველი მახასიათებ-ლების მქონე კრიტერიუმებად, რომელთა გარეშეც შეიძლებოდა გადაწყვეტილების მიღება. შემდეგ ხდება სასურველ კრიტერიუმებს მიკუთვნებული კრიტერიუმების რანჟირება.

მეოთხე სტადიაზე შემუშავდება ალტერნატივები.

მეხუთე სტადია შემუშავებული ალტერნატივების შედარებისათვის გამოიყენება. კვალიფი-ცირებული გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა ალტენატივათა მთელი რიგის დამუშავება, მათი შედარება და საუკეთესოს არჩევა.

არასაკმარისი მონაცემების პირობებში ვერ განხორციელდება ალტერნატივების ერთმანეთთან შედარება. შეგროვილი ინფორმაცია ეხმარება თითოეული კრიტერიუმის მიხედვით მოთხოვნის დაკმაყოფილების ხარისხის გაზომვას. მონაცემთა შეგროვება დაგეგმითი პროცესია. მას შემდეგ, როგორც კი მენეჯერი მკაფიოდ განსაზღვრავს ალტერნატივებს, დაისმის კითხვა: „როგორ უნდა სისტემატიზირდეს და შედარდეს ერთმანეთს მონაცემები?“ ამ შემთხვევაში აუცილებელია დავეყრდნოთ შემდეგ ძირითად პრინციპს: გადაწყვეტილების ვარიანტები ყოველთვის უნდა შედარდეს კრიტერიუმებს, არასოდეს არ უნდა შედარდეს ერთი ვარიანტი მეორეს. ეფექტიანი გადაწყვეტილების ძიებისას ამ სტადიაზე არასასურველია, როდესაც თვითმიზნად იქცევა ალტერნატივებზე ინფორმაციის მოძიება. გადაწყვეტილების მიღება - საუკეთესო ვარიანტის არჩევის პროცესია, რომელიც საუკეთესო და ხელმისაწვდომ ინფორმაციებს ეყრდნობა. კრიტერიუმების მიხედვით ალტერნატივების შედარების პროცესი გადაწყვეტილების მიმღები პირისათვის დამხმარე პროცესია. შეცდომის თავიდან აცილება შეიძლება მხოლოდ კრიტერიუმებზე და არა ალტერნატივებზე ყურადღების კონცენტრაციით. სხვადასხვა ვარიანტების შედეგების შეფასების კრიტერიუმებს ჩვეულებრივ გადაწყვეტილებების მიზანი განსაზღვრავს. ამ დროს უნდა გაიზომოს იმ ხარისხის აუცილებლობა, რომლის დონეზეც განსაზღვრული მოვლენა ხელს უწყობს მიზნის მიღწევას. [2]

მეექვსე სტადიაზე უნდა განისაზღვროს იმ რისკის დონე, რომელიც შეიძლება ჰქონდეს ორგანიზაციას კონკრეტული ალტერნატივის არჩევის შემთხვევაში.

მეშვიდე სტადიაზე ფასდება მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული რისკი. რისკის გათვალისწინება მნიშვნელოვანია, მაგრამ არა საკმარისი. აუცილებელია განისაზღვროს მისი მნიშვნელობა. რისკის შეფასების დროს გათვალისწინდება ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ვარაუდი და რეალობა. ვარაუდის ფაქტორის გამოყენებით მიმდინარეობს განხილვა იმისა, რომ ნამდვილად მოხდება ესა თუ ის მოვლენა.

მერვე სტადიაზე მიიღება გადაწყვეტილება. რისკის ხარისხის რაოდენობრივი მაჩვენებლები ეხმარებიან დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებას. ამ მონაცემების მიხედვით ხდება ალტერნატივების ეფექტურობის მაჩვენებლების შედარება. უნდა აღინიშნოს, რომ რისკის ხარისხის მაჩვენებლები ერთმანეთთან პირდაპირ კავშირში არ არიან, ვიდრე არ არსებობს ფორმულა, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნებოდა მათი შედარება.

მმართველობითი გადაწყვეტილებების კლასიფიკაცია: აუცილებელია, რომ განისაზღვროს ზოგადი და კონკრეტულ-სპეციფიკური მიდგომები მათი შემუშავებისათვის, რეალიზაციისა და შეფასებისათვის, რაც მათი ხარისხის, ეფექტურობისა და თანმიმდევრულობის ამაღლების საშუალებას იძლევა. მმართველობითი გადაწყვეტილებების კლასიფიცირება შეიძლება მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით. მეტად გავრცელებულია კლასიფიცირების შემდეგი პრინციპები: [3]

- ფუნქციონალური შინაარსის მიხედვით;
- გადასაწყვეტი ამოცანების ბუნებით (სამოქმედო სფერო);
- მართვის იერარქიის მიხედვით;
- შემუშავების ორგანიზაციის ბუნებით;
- მიზნების მიხედვით;
- წარმოქმნის მიზეზების მიხედვით;
- შემუშავების მეთოდების მიხედვით;
- ორგანიზაციული გაფორმების მიხედვით.

მმართველობითი გადაწყვეტილებები შეიძლება კლასიფიცირდეს ფუნქციონალური შინაარსის მიხედვით, კერძოდ:

- გადაწყვეტილებები გეგემიურია;
- ორგანიზაციული;
- მაკონტროლებელი;
- მაპროგნოზირებელი;

ჩვეულებრივ გადაწყვეტილებებს ამა თუ იმ ხარისხით შეხება აქვთ მართვის ყველა ფუნქციასთან, მაგრამ თითოეულ მათგანში შეიძლება გამოიყოს რომელიმე ძირითად ფუნქციასთან დაკავშირებული ძირითადი ბირთვი. კალასიფიკაციის შემდეგი პრინციპი გადასაწყვეტი ამოცანების ბუნებას უკავშირდება:

- ეკონომიკურს;
- ორგანიზაციულს;
- ტექნოლოგიურს;
- ტექნიკურს;
- ეკოლოგიურს და სხვ.

მმართველობით გადაწყვეტილებებს კომპლექსური ბუნება აქვს, რადგან მისი გადაწყვეტა არა ერთ, არამედ ამოცანების რიგს უკავშირდება. გადაწყვეტილების შემუშავების ორგანიზაციაზე დამოკიდებულებით გამოიყოფა ერთჯერადი კოლეგიალური და კოლექტიური მმართველობითი გადაწყვეტილებები. რომელიმე მეთოდისათვის უპირატესობის მიცემა დამოკიდებულია ხელმძღვანელის კომპეტენტურობაზე, კოლექტივის კლასიფიკაციის დონეზე, ამოცანების ხასიათზე, რესურსებზე და ა.შ.აღსანიშნავია, რომ მენეჯერების გარკვეული პიროვნული თვისებები გადაწყვეტილებების ბუნებაზეც ისახება. ამასთან დაკავშირებით განასხვავებენ გაწონასწორებულ, იმპულსურ, ინერტულ, რისკის შემცველ და ფრთხილ გადაწყვეტილებებს.

ამრიგად, ჩვენს მიერ გაანალიზებული გადაწყვეტილებების სახეობები მიიღება პერსონალის

მართვის პროცესში. ნებისმიერი სისტემის სტრატეგიული და ტაქტიკური მართვისათვის რაციონალური გადაწყვეტილებები მიიღება ეკონომიკურ ანალიზზე დაყრდნობით, დასაბუთებისა და ოპტიმიზაციის მეთოდებზე დაფუძნებით. სწორი გადაწყვეტილების მიღება მმართველობითი ხელოვნების სფეროს წარმოადგენს. ეს უნარები ხელმძღვანელებს მთელი ცხოვრების მანძილზე მიღებული გამოცდილების საფუძველზე უვითარდებათ, რაც ნებისმიერი ხელმძღვანელი პირის კომპეტენტურობის ხარისხს განაპირობებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Caroline Wang – "Managerial Decision Making Leadership: The Essential Pocket Strategy Book". USA. 2011.
2. Гончарова Елена Вячеславовна, Старовойтов Михаил Карпович, Медведева Людмила Николаевна - «Управленческиерешения в современных организациях: теория и практика». Волгоградский государственный технический университет. Волгоград. 2014.
3. Илюшин Антон Викторович - «Информатизация процесса принятия управленского решения". Москва 2003.

The basic principles of the managerial decisions and classification

Iashvili Genadi
TechnologiesGeorgian Technical University, Professor
Tsverava Zaza
PhD Student of Georgian Technical University

Summary

Developing of a managerial decision is one of the main elements of the management processes. Managerial processes can be considered as a continuous process of decision-making. In order to make managerial decisions efficient with modern current issues of social life, managerial decisions are scientifically well-grounded, competent and timely. Decision-making process has 4 basic principles in the management process which ignore which can lead to wrong decision making which can ultimately result in unwanted consequences. The protection of these principles allows for the right and quality decisions at all levels of the organization.

In the article is discussed, that the classification of the managerial decisions is necessary in order to define general and specific requirements for their elaboration, realization and evaluation.

The article discusses the basic principles of the managerial decisions and classification.

Keywords: Decision making, organization, managerial decisions, basic principles, classification.

საჯარო მოხელეების მობილობის ზოგიერთი თავისებურება

კახიანი რევაზ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

სახელმწიფო საჯარო მოხელეების პროფესიული მობილობა სტატიაში განიხილება როგორც ინდივიდის მიერ პროფესიულ-სტატუსური მდგომარეობის ცვლილება. პრობლემის კვლევისადმი ასეთი მიდგომა კარნახობს ავტორებს პროფესიული მობილობის, როგორც ეფექტიანი ბიუროკრატიის ერთ-ერთი ფაქტორის შესწავლას. სტატიაში ჩამოყალიბებულია აზრი იმის შესახებ, რომ სახელმწიფო საჯარო სამსახური წარმოადგენს ბიუროკრატიული ორგანიზაციის კლასიკურ ტიპს.

ბიუროკრატიულ მართვაში პროფესიული მობილობის თავისებურებანი გაანალიზირებულია ავტორის მიერ სოციოლოგიის კლასიკოსის, მ. ვებერის, შრომების მიხედვით. განხილულია რა ბიუროკრატიული ორგანიზაციის თავისებურებები, სტატიაში აღნიშნულია ჩინოვნიკის პროფესიული სტატუსით თანამდებობის განპირობებულობა. ავტორის აზრით, თანამდებობაზე დანიშვნას და მის დაწინაურებას განსაზღვრავს ვერტიკალური მობილობის დამოკიდებულება ადამიანის დამსახურებებზე. ამასთანავე, ავტორი თვლის, რომ ბიუროკრატია გამოყოფილია პოლიტიკური ხელისუფლებისგან. ადმინისტრაციულ ბიუროკრატიულ სისტემას ეკუთნის აღმასრულებელი ორგანოს მოკრძალებული ადგილი უმაღლეს ხელისუფლებაში. ავტორი აღნიშნავს, რომ სახელმწიფო მოხელეების პროფესიული საქმიანობა დაკავშირებულია სახელმწიფო ადმინისტრირების ცნებასთან, რომელიც განისაზღვრება, როგორც საქმიანობის ტიპი, რომელიც მიმართულია მთავრობის გადაწყვეტილებების განხორციელებაზე.

საკვანძო სიტყვები: *ბიუროკრატია, საჯარო მართვა, თავისებურება, ვერტიკალური მობილობა.*

ძირითადი ტექსტი

სახელმწიფო საჯარო მოხელეების პროფესიული მობილობა განიხილება მართვის ბიუროკრატიულ სტრუქტურაში როგორც ინდივიდის მიერ პროფესიულ-სტატუსური მდგომარეობის ცვლილება. პრობლემის კვლევისადმი ასეთი მიდგომა გვკარნახობს პროფესიული მობილობის როგორც ეფექტიანი ბიუროკრატიის ერთ-ერთი ფაქტორის შესწავლას. სახელმწიფო საჯარო სამსახური წარმოადგენს ბიუროკრატიული ორგანიზაციის კლასიკურ ტიპს.

ბიუროკრატიულ მართვაში პროფესიული მობილობის განმასხვავებელი თვისებები გაანალიზირებულია სოციოლოგიის კლასიკოს მ.ვებერის მიერ. განიხილავდა რა ბიუროკრატიული ორგანიზაციის თავისებურებებს, მეცნიერი აღნიშნავდა ჩინოვნიკის პროფესიული სტატუსით თანამდებობის განპირობებულობას. თანამდებობაზე დანიშვნას და მის დაწინაურებას განსაზღვრავდა როგორც ვერტიკალური მობილობის დამოკიდებულებას ადამიანის დამსახურებიდან გამომდინარე. ამასთანავე, ბიუროკრატია გამოყოფილია პოლიტიკური ხელისუფლებისგან. ადმინისტრაციულ ბიუროკრატიულ სისტემას ეკუთვნის აღმასრულებელი ორგანოს მორიდებული ადგილი უმაღლესი ხელისუფლების დროს. ამ მნიშვნელობით - სახელმწიფო მოხელეების პროფესიული საქმიანობა დაკავშირებულია სახელმწიფო ადმინისტრირების ცნებასთან, რომელიც განისაზღვრება როგორც საქმიანობის ტიპი, რომელიც მიმართულია მთავრობის გადაწყვეტილებების განხორციელებაზე.

ბიუროკრატიის ფენომენის სისტემური ანალიზი კულტურული სისტემების ზოგად თეორიაში წარმოდგენილია ფრანგი სოციოლოგის მ.კროზიეს შრომებში. მ.კროზიე აღწერს თანამედროვე საზოგადოებაში ბიუროკრატიის სამ მნიშვნელობას. ტრადიციული მნიშვნელობა დაიყვანება სახელმწიფო აპარატის განსაზღვრამდე, რომელიც შედგება დანიშნული, და არა არჩევითი მოხელეებისგან, რომლებიც ორგანიზებულია იერარქიულად და დამოკუდებულები არიან უმაღლეს ხელისუფლებაზე. მეორე მნიშვნელობა გააზრებულია მ.ვებერის ტრადიციაში და გულისხმობს ყველა ტიპის კოლექტიური საქმიანობის რაციონალიზაციას, რომელიც გამოიხატება ყველა ორგანიზაციების კონცენტრაციაში და მათ შიგნით უპირო წესების განვითარებაში. მესამე მნიშვნელობა შეესაბამება

მის ჩვეულებრივ გამოყენებას; მისი დახმარებით აღწერილია სიდინჯე, რუტინა, პროცედურების გართულება, ბიუროკრატიული ორგანიზაციების შეუგუებლობა საზოგადოების მოთხოვნებისადმი, რომლებსაც ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ. თუმცა, წარმოდგენილ ყველა კონცეფციაში ბიუროკ-რატიის კვლევის ცენტრში არის ხელისუფლება და მისი განაწილება, რომელიც გამოიყენება ინდივიდების და ჯგუფების მიმართ. მართვის ეფექტიანობის მზარდი დამოკიდებულება მას-ში მონაწილე ადამიანური რესურსებისგან ქმნის ხელისუფლების სტრუქტურების აქტიური რეალიზაციის პირობებს.

ბიუროკრატიულ სისტემაში რეალური მობილობა ასახულია ტ.პარსონსის და რ.მერტონის არაფორმალური ორგანიზაციის თეორიაში, რომლებმაც მისი ანალიზისთვის გამოიყენეს დის-ფუნქციის ცნება. რ.მერტონმა განმარტა დისფუნქციის განსაზღვრა, როგორც მოვლენები და პროცესები, რომლებიც მიზნის მიღწევას ხელს უშლიან, ამასთანავე დისფუნქცია წარმოადგენს ორგანიზაციის რეალურ ატრიბუტს. სოციალური სისტემის ფუნქციური ერთიანობა ეწინააღმდეგება მის რეალურ მდგომარეობას, სოციალური სისტემის მთლიანობის რეკვიზიტი, ახდენს სხვადასხვა სოციოკულტურული ქვედანაყოფების რთულ ურთიერთქმედებას. მათ მიერ გამოვლენილია ორგანიზაციის ლატენტური ფუნქციები და მათი დუსფუნქციური შედეგები ზოგადსაორგანიზაციო მიზნების განხორციელებისათვის. რ. მერტონმა აღნიშნა ბიუროკრატიული ორგანიზაციის ყველაზე გავრცელებული დისფუნქცია, რომლის არსიც არის - სახელმწიფო აპარატის მოხელეების მიერ აქცენტის გადატანა ორგანიზაციის მიზნებიდან მის სახსრებზე.

სახელმწიფო სამსხურის სტრუქტურაში მობილობის წარმოდგენილი თეორიული ანალიზი იძლევა დასკვნის საშუალებას, რომ ჯ.სედლერის აზრით, ბიუროკრატია საზოგადოების ცხოვრებაში თამაშობს ორმაგ როლს: ერთი მხრივ, ბიუროკრატია ეს არის - უპირო რაციონალური მანქანა, რომელიც გათვალისწინებულია მართველობითი გადაწყვეტილებების შესასრულებლად, მეორე მხრივ, - ეს არის განსაკუთრებული აქტიურ-საქმიანი ინსტიტუტი. საზოგადოებაში ბიუროკრატიის ორმაგი როლი ჩამოყალიბდა მართვის ევოლუციის განმავლობაში და გამომდინარეობს მის მიერ შესრულებული მრავალნაირი ფუნქციებიდან.

ზუსტად ამ პოზიციებიდან გამომდინარე, ბიუროკრატიულ ორგანიზაციაში პროფესიული მობილობა გაანალიზებულია რიგი მკვლევრის მიერ, მათ შორის ამერიკელი მეცნიერების პ.ევანსის და ჯ.როჩის მიერ. ამ მიდგომას საფუძვლად უდევს მართვის ორი ტიპი: მერიტოკრატიული (კომპეტენტური მართვა) და პატრიომონიალური (მართვა ლოიალობის საფუძველზე).

ავტორები სახელმწიფო საჯარო მოხელეების პროფესიული მობილობის კვლევის საფუძვლად იღებენ ინტეგრირებულ მიდგომას, რომელიც აერთიანებს მობილობის მერიტოკრატიულ და პატრიომონიალურ პრინციპებს. შემუშავებული მიდგომა შეიძლება ნაყოფიერად იქნას გამოყენებულ სახელმწიფო საჯარო მოხელეების ვერტიკალური პროფესიული მობილობის ანალიზისათვის.

ჩვენს ძირითად ინტერესს წარმოადგენს სახელმწიფო საჯარო მოხელეების აღმავალი პროფესიული მობილობა. სახელმწიფო საჯარო სამსახურის სისტემაში პროფესიული მობილობის პრობლემის განხილვისას, აუცილებელია კომერციულ ორგანიზაციაში პროფესიული მობილობისგან მისი ძირფესვიანი განსხვავებების გაანალიზება.

ბიუროკრატიულ სისტემაში სახელმწიფო საჯარო მოხელეების პროფესიული მობილობის ერთ-ერთი განმასხვავებელი თავისებურებაა მისი რეგლამენტაცია კანონმდებლობის მეშვეობით.

პირველ რიგში, კანონის მიერ განსაზღვრულია საჯარო მოხელის სოციალურ-სამართლებრივი სტატუსი. საჯარო მოხელის სოციალურ-სამართლებრივი სტატუსის ქვეშ იგულისხმება სახელ-მწიფო-სამსახურებრივი ურთიერთობების სფეროში სახელმწიფოს მიერ მოხელის დადგენილი და გარანტირებული აუცილებელი და შესაძლო ქცევა. მის საფუძველს შეადგენენ სახელმწიფო სამსახურებრივი ნორმები, რომლებიც განსაზღვრავენ უფლებებს, ვალდებულებებს, შეზღუდვებს, აკრძალვებს, მოთხოვნებს, პასუხისმგებლობას, სოციალურ დაცვას და გარანტიებს.

მეორე, პროფესიული მობილობა ჩაიწერება კანონმდებლობით განსაზღვრულ თანანმდებობრივ იერარქიაში, მკაცრი საკვალიფიკაციო მოთხოვნები კონკრეტული თანანმდებობის მიმართ განსაზ-

ღვრავენ თანანმდებობრივი ზრდის და პროფესიული განვითარების პრინციპებს. ყველაფერი ეს არ არის კომერციულ ორგანიზაციაში. როგორც წესი, სახელმწიფო საჯარო მოხელემ უნდა გაიაროს სამსახურებრივი კიბის რამდენიმე საფეხური, რათა ავიდეს ზევით. კომერციულ ორგანიზაციაში თანანმდებობრივი სტატუსის შეცვლა შესაძლებელია ამ ყველა საფეხურის გავლის გარეშეც. სახელმწიფო საჯარო სამსხურში მიღებას უზრუნველყოფენ საკონკურსო პროცედურები, რაც არ არის აუცილებელი კომერციული ორგანიზაციისათვის. შესადარებელ სტრუქტურებში მობილობის პრინციპიალური განსხვავებაა სახელმწიფო საჯარო მოხელეებისთვის თანანმდებობის გარდა წოდების ან რანგის არსებობა, რომელიც ადასტურებს სახელმწიფო ორგანოების უფლებამოსილებას, სახელმწიფო საჯარო მოხელეები ასრულებენ სახელმწიფო ამოცანებს, ახორციელებენ სახელმწიფო ფუნქციებს, უწევენ მოსახლეობას სახელმწიფო მომსახურებას, გამოდიან რა ამ მომსახურების ერთადერთ მიმწოდებლებად, ამასთანავე მომსახურების ბაზარზე კომერციული სტრუქტურისგან განსხავებით არ არის კონკურენცია.

სახელმწიფო საჯარო მოხელეების მობილობა ლატენტურია, მისი გაზომვა ძნელია, იგი ხანგრძლივია დროის მიხედვით. კომერციულ ორგანიზაციაში თანამშრომელთა საქმიანობა ემორჩილება ბაზრის მოთხოვნებს, გამოიყენება სისტემაში შესვლის სხვა არხებიც, კარიერა ატარებს მოკლევადიან ხასიათს, არ არსებობს ხისტი აკრძალვების და შეზღუდვების სისტემა, თანამშრომლები მუშაობენ შრომითი ხელშეკრულების, და არა სამსახურებრივი კონტრაქტის საფუძველზე.

ქვეყანაში გასატარებელი ადმინისტრაციული რეფორმის პირობებში სახელმწიფო საჯარო მოხელეების პროფესიული მობილობის თავისებურებები დამოკიდებულია სახელმწიფო საჯარო სამსახურის კანონმდებლობით განსაზღვრულ ცნებაზე და არსზე.

საქართველოს კანონმდებლობაში სახელმწიფო საჯარო სამსახური განისაზღვრება და ყალიბდება შემდეგნაირად: „საქართველოს სახელმწიფო საჯარო სამსახური - ეს არის სახელმწიფო სამსახურის სახეობა, რომელიც წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეების პროფესიულ სამსახურებრივი საქმიანობას სახელმწიფო ორგანოების უფლებამოსილების შესრულების უზრუნველსაყოფად.“

სახელმწიფო საჯარო მოხელეების პროფესიული ორიენტაცია განისაზღვრება ნორმატიულ-სამართლებრივი რეგულირების სპეციფიკით, ე.ი. საორგანიზაციო მართვის ფუნქციით, პროფესიული საქმიანობის წესებით, რომლებიც ახდენენ ორგანიზაციისა და მუშაკების ურთიერთობების რეგლამენტირებას, შრომითი პროცესის სოციალური და ეკონომიკური პრინციპებით.

წარმოადგენს რა სოციალური დიფერენციაციის ერთ-ერთ ობიექტურ საფუძველს, პროფესიული შემადგენელი განსაზღვრავს საზოგადოებაში იერარქიულ უთანასწორობას. პროფესია ახდენს ზეგავლენას არა მარტო პრესტიჟზე, შემოსავლებზე და ძალაუფლებაზე, რომლებიც შეიძლება აღმოჩნდეს პროფესიონალის ან ჯგუფის ხელში, არამედ ადამიანის ქცევის თავისებურებებზე, ფასეულობებზე, ცხოვრებისეულ ორიენტაციებზე, მართვის საორგანიზაციო სტრუქტურაში განსაზღვრავს პროფესიონალის სოციალურ როლს.

ჩვენი აზრით, სახელმწიფო საჯარო სამსახურის სტრუქტურაში მობილობის თანამედროვე განსაზღრა კავშირშია სახელმწიფო საჯარო სამსახურის გავლის თანმიმდევრულ პროცედურებთან, ვინაიდან: 1) არსებობს ბიუროკრატიულ სისტემაში შესვლის განსაზღვრული არხები; 2) კარიერული ზრდა ხორციელდება ბიუროკრატიული საფეხურების მეშვეობით ბიუროკრატიული ორგანიზაციების შიგნით ორგანიზებული წინსვლის განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე; 3) მობილობა შემდგომი წინსვლით სახელმწიფო მართვის სისტემაში დაკავშირებულია კარიერულ კიბესთან და ზუსტად პროფესიონალიზმი წარმოადგენს კარიერული ზრდის საფუძველს.

თითოეულ კონკრეტულ ორგანიზაციაში არსებობს განსაკუთრებული კარიერული „ლიფტები“, თუმცა ისინი დაკავშირებულია მართვის ორ ძირითად პრინციპებთან: მერიტოკრატიულთან და პატრიმონიულთან. არსებული „ლიფტები“ უზრუნველყოფს შიდაორგანიზაციულ მობილობას და იწყებს მოქმედებას პროფესიონალიზმის ამაღლების შემთხვევაში. მოხელეების საქმიანობა ხდება ეფექტიანი და მოტივირებული იმ შემთხვევაში, როდესაც სოციალური ლიფტები ხელს უწყობს კარიერულ ზრდას.

ერთ-ერთი ასეთი ლიფტია პროფესიული კომპეტენტურობის ზრდა. პროფესიული კომპეტენტურობის ქვეშ იგულისხმება ცოდნის და უნარების სისტემა, რომელიც აუცილებელია მაღალი კვალიფიკაციის მისაღწევად.

სახელმწიფო საჯარო სამსახურის თანამედროვე სისტემის შესაბამისად, სახელმწიფო საჯარო მოხელეების მობილობის თავისებურებები განპირობებულია პერსონიფიკაციით, ბიუროკრატიული აპარატის წევრების შემოქმედებითი ინიციატივით, ხოლო არსებული დებულებების განხორციელების პირველ პირობას წარმოადგენს სახელმწიფო მართვის ხარისხის ამაღლება და პროფესიული მობილობის პროცესი, როგორც ინდივიდის მიერ პროფესიული საქმიანობის შეცვლა.

სხვა კატეგორიის მუშაკების მობილობისგან განსხვავებით, სახელმწიფო საჯარო მოხელეების მობილობის კიდევ ერთ განმასხვავებელ თვისებას წარმოადგენს ის, რომ თანამედროვე პირობებში სახელმწიფო საჯარო სამსახური ასრულებს სოციალურ-სერვისულ ფუნქციას. სოციალურ სტრატაში ეს სახელმწიფო საჯარო მოხელეებს აქცევს ახალი ეროვნული სუბიექტურობის, ანუ განსაკუთრებული წოდების პოტენციურ მატარებლებად, რომელიც წინაამდეგობაშია როგორც ბიზნეს-ჯგუფებთან, ასევე პოლიტიკურ ელიტასთან. ამ ფუნქციის შესრულებას მიყავს სახელმწიფო საჯარო მოხელეები საკუთარი მდგომარეობისა და ადმინისტრაციული რეფორმის ადეკვატურ პერსპექტივების გააზრებისკენ, იგი უფრო მეტადაა ჩამოყალიბებული სახელმწიფო საჯარო მოხელეებში, ვიდრე სხვა სოციალურ ჯგუფებში.

მაშასადამე, სახელმწიფო საჯარო სამსახური - ეს არის პროფესიული საქმიანობის არა მარტო სახე და პიროვნების თვითრეალიზაციის სფერო, არამედ საზოგადოებისთვის და სახელმწიფოსთვის გაწეული სამსახური, რომელიც, პირველ რიგში, მოითხოვს სახელმწიფო მოხელეებისგან სამოქალაქო შეგნებას, ზნეობრივი და მოქალაქეობრივი თვისებების არსებობას. ასეთი თვისებების შორის შეიძლება მოვიხსენიოთ დემოკრატიული ორიენტაცია, როგორც მოქალაქეების ინტერესთა დაცვის აუცილებლობის აღიარება, და არა რაიმე აბსტრაქტული „უმაღლესი ინტერესებისა“ და პიროვნული თუ კორპორატიული ინტერესების სამსახურს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Crosier M. L'enterprise a l'ecoute. Apprendre le management postindustriale.-Paris, 1991.
2. Rauch J., Evans P. Bureaucracy Structure and Bureaucratic Performance in Less Development Countries. // Jounal of Public Economics. 2000. № 75. P. 49 -71.
3. Steward, A., Prandy, K., Blackburn, R. Social Stratification and Occupations, London, Macmillian. 1980. P. 153, 197-198.
4. Tenbruck F. H. Das Work M. Weber.// Kolner Ztschr. Soziol UndSoZialsychol. -1975.
5. Evans P., Rauch J. Bureaucracy and growth: A cross national analysis of the effect of «Weberian» state structure on economic growth.// American Sociological Review. Oct. 1999. Vol.64. №5.
6. Tenbruck F. H. Das Work M. Weber.// Kolner Ztschr. Soziol UndSoZialsychol. -1975.
7. Shills E., Parsons T. Working Papers in the theory of Action. N.Y.: Free Press. - 1953, p. 9-12.
8. Weber M. Economy and Society / Ed. By G. Roth and Wittich. Vol. 2. University of California Press. 1978.
9. საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, http://forestry.gov.ge/files/%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A2%E1%83%9D/kanoni%20sajaro%20samsaxuris%20shesaxeb.pdf
10. საქართველოს კანონი „საქართველოს საჯარო სამსახურის შესახებ“ (კონსოლიდირებული ვერსია მოქმედებაში შევიდა 2017 წლის 1 ინავრიდან), პარლამენტის უწყებანი, 45, 21/11/1997, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/28312
11. საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, ვებგვერდი, 19/02/2014, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429

12. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) ბიულეტენი № 5, 2012-2013 წწ, ხელმისაწვდომია:http://www.osgf.ge/files/2013/publikaciebi%202013/Geo-2013_angarishi_opendata.pdf
13. საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, ხელმისაწვდომია: http://forestry.gov.ge/files/%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A2%E1%83%9D/kanoni%20sajaro%20samsaxuris%20shesaxeb.pdf

Some Features of Mobility of Public Servants

Kakhiani Revaz
Doctoral Student of Georgian Technical University

Summary

Professional mobility of state public servants in the article is considered as the change of professional status of an individual. Such approach to problem research dictates the authors of studying one of the factors of professional mobility as an effective bureaucracy. In the article, there is a sense that the State Public Service is the classical type of bureaucratic organization.

The peculiarity of professional mobility in bureaucratic management is analyzed by the author of the sociology classical, m.weer, by the author. Considering the peculiarities of the bureaucratic organization, the article states that the official position of the official status of the official is stated. In the opinion of the author, appointment and promotion of the position determines the dependence of the vertical mobility of human merits. In addition, the author believes that the bureaucracy is separated from the political authorities. The administrative bureaucracy system is a modest place for the executive body in the highest power. The author points out that the professional activities of public servants are related to the concept of state administration, which is defined as the type of activity aimed at implementing government decisions.

Keywords: bureaucracy, public management, peculiarity, vertical mobility

„ქალები პოლიტიკაში კვოტირებით თუ მის გარეშე“

მეგრელიშვილი თამთა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

იაშვილი თინათინი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

დღეს საქართველო,ქალების რაოდენობით პარლამენტში,მსოფლიოს 193 ქვეყანას შორის 120 ადგილს იკავებს.გლობალური ინდექსის მიხედვით, პოლიტიკურ,ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში ქალთა ჩართულობით საქართველო,144 ქვეყანას შორის 90-ე ადგილზეა. ქალთა უშუალო პოლიტიკური მონაწილეობისა და წარმომადგენლობით ორგანოებში ქალთა საერთო რაოდენობით საქართველო 114 ადგილზეა. 2012-2016 წლების პარლამენტში სულ 18 ქალი იყო,რაც პარლამენტის სრული შემადგენლობის 12 პროცენტია.2016 წლის არჩევნების შედეგად,საპარლამენტო მანდატი 24-მა ქალმა მიიღო,რაც პარლამენტის სრული შემადგენლობის 16 პროცენტია.მთავრობის ფორმირებისა და ზოგიერთი ქალი კანდიდატის მიერ საკუთარ მანდატზე უარის თქმის შემდეგ,ეს რიცხვი ერთით შემცირდა.2014 წლის თვითმმართველობის არჩევნების შედეგებით,მთელი საქართველოს მასშტაბით,თვითმმართველი ერთეულების საკრებულოებში არჩეული დეპუტატების მხოლოდ 11,6 პროცენტია ქალი.არსებობს მუნიციპალიტეტეტბი(თელავი,მცხეთა,წალკა,ასპინძა,ფოთი),სად აც თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოში ქალი დეპუტატები არ არიან.საქართველოს 15 მინისტრიდან მხოლოდ ორია ქალი. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ გამოწვევების ფონზე სახელმწიფოს აღარ ააქვს “ღრმა ძილით ძილის დრო” და დროა ჩვენც გავითვალისწინოთ სხვა,წამყვანი ქვეყნების პრაქტიკა. გთავაზობთ გენდერული კვოტირებას როგორც ერთ-ერთ მექანიზმს სურვილით, აღნიშნული პრაქტიკა დაინერგოს საქართველოს რეალობაში.

საკვანძო სიტყვები: *გენდერი,გენდერული კვოტირება;საკანონმდებლო კვოტები, ნებაყოფლობითი კვოტები*

ძირითადი ტექსტი

გენდერული კვოტა აპრობირებული მეთოდია ქალთა ჩართულობის გასაზრდელად პოლიტიკურ ინსტიტუციებსა თუ საკანომდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში და მოიაზრებს ქალთა დაცვას პოლიტიკური იზოლაციისგან ქალისა და მამაკაცის წარმომადგენლობის დაკანონებული დონით.

2001 წ. 18 იანვრის ევროპარლამენტის რეზოლუციით დადგინდა რომ გენდერული თანასწორობისათვის აუცილებელია რომ ერთი სქესის წარმომადგენელი პარლამენტში არ იყოს 60%-ზე მეტით და 40%-ზე ნაკლებით წარმოდგენილი

გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან დღემდე, ქალთა წარმომადგენლობა მსოფლიოს ქვეყნების პარლამენტებში მუდმივად იზრდება. 1960 წ. იგი საშუალოდ შეადგენდა 4.9%, 1970 წ. – 5,4%, 1980 წ. – 8,7%, 1990 წ. – 9,1%, 2000წ. – 11,9%, 2005 წ. 16,3%. 2008 წ. – 18,6%. 2010 წ. - 19,3.[1.“More women in Government: time for gender quotas”, Democratic]

2008 წლისათვის ევროპის საბჭოს მხოლოდ სამმა ქვეყანამ:ნიდერლანდებმა, ფინეთმა და შვედეთმა შეძლო გადაებიჯებინა 40% ზღვრისთვის. ამ პერიოდისათვის 30%-იან ზღვარს გადააბიჯა ევროპის საბჭოს 7 ქვეყანამ: მაკედონიამ, გერმანიამ, დანიამ, ისლანდიამ, ესპანეთმა და ნორვეგიამ. 20-დან 30%-მდე ფარგლებში აღმოჩნდნენ ავსტრია, ანდორა, ბულგარეთი, ესტონეთი, იტალია, ლატვია, ლიხტენშტეინი, ლუქსემბურგი, მოლდოვა, მონაკო, პოლონეთი, პორტუგალია, სერბეთი, ხორვატია, და შვეიცარია. 10-დან 20%-მდე ზღვრებშია: აზერბაიჯანი, ბოსნია და ჰერცოგოვინა, დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, კიპროსი, ლიტვა, რუსეთი, რუმინეთი, უნგრეთი, საბერძნეთი, სან-მარინო, სლოვაკეთი, სლოვენია, საფრანგეთი, ჩერნოგორია და ჩეხეთი.სიის ბოლოში მოექცნენ ქვეყნები,

სადაც ქალთა წარმომადგენლობა 10%-ზე ნაკლები აღმოჩნდა: ალბანეთი, სომხეთი, საქართველო, მალტა, თურქეთი და უკრაინა. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქალების ფორმალური პოლიტიკური აქტივობა განპირობებულია სოციალურ-ეკონომიკური, ეთნიკური და რელიგიური დისბალანსით, ასევე პოლიტიკური სისტემების სხვადასხვაობით.

კანადაში საინტერესო პრაქტიკაა, ხდება ქალი კანდიდატის ფინანსური უზრუნველყოფა კანადის საარჩევნო აქტით ჯერ კიდევ 1974 წლიდან საარჩევნო კანდიდატს უნაზღაურდება ბავშვის მოვლის ხარჯები წინასაარჩევნო კამპანიის დროს.პანამის საარჩევნო კოდექსის მე-60 მუხლი პირდაპირ ადგენს რომ პარტიებმა მატი საჯარო დანახარჯების მინიმუმ 25% უნდა მიმართონ შესაძლებ-ლობების გაძლიერებისკენ და აქედან მინიმუმ 10% უნდა გამოიყოს ქალი კანდიდატებისათვის. შვედეთში ძიძები უფასოა საჯარო და კერძო სექტორებში მომუშავე დედებისათვის ფინანსდება სახელმწიფო გრანტებით, მშობლების შემწეობით.გენდერული კვოტები მათი ვალდებულებითი ხასიათის მიხედვით იყოფა ორ ჯგუფად სავალდებულო ხასიათის კვოტები, რომელიც წარმოად-გენს კანონით დადგენილ კვოტას და მათი შესრულება სავალდებულოა და ნებაყოფლობითი კვოტები - ასეთი კვოტები შეიძლება იყოს როგორც კანონით დადგენილი, ასევე პოლიტიკური პარტიების მიერ აღიარებული, რომელთა დაცვა და შესრულება დამოკიდებულია პოლიტიკური პარტიების ნებაზე.სავალდებულო ხასიათის კვოტები დგინდება კანონით. ასეთი კვოტები ორი ფორმისაა:რეზერვირებული ადგილები და საკანონმდებლო კვოტები.რეზერვირებული ადგილები, როგორც წესი, დგინდება ქვეყნის კონსტიტუციით,ცალკეულ შემთხვევებში კი საარჩევნო კანონით. რეზერვირებული ადგილები გულისხმობს ქვეყნის პარლამენტში გარკვეული რაოდენობის ადგილების წინასწარ გამოყოფას მხოლოდ ქალებისათვის.ასეთი სისტემა იძლევა პარლამენტში ქალთა გარანტირებულ წარმომადგენლობას (გამოყოფილ ადგილზე შეიძლება მხოლოდ ქალი კანდიდატების არჩევა) და შესაძლებელია ერთბაშად მოხდეს ქალთა წარმომადგენლობის მკვეთრი გაზრდა. რეზერვირებული ადგილების სისტემა გარკვეულად აწესებს ქალთა წარმომადგენლობის ზედა ზღვარს.ამიტომ, ამ სისტემას არ იყენებს ევროპის არც ერთი ქვეყანა.სავალდებულო კვოტირება რეზერვირებული ადგილების სახით გამოიყენება ავღანეთში, ბურუნდიში,რუანდაში,ტანზანიაში და სხვა.

საკანონმდებლო კვოტები, დგინდება საარჩევნო კანონით, იშვიათ შემთხვევებში კონსტიტუ-ციით.საკანონმდებლო კვოტის შესრულება სავალდებულოა არჩევნებში მონაწილე ყველა პო-ლიტიკური პარტიისთვის და ავალდებულებს არჩევნებში მონაწილე პარტიებს საარჩევნო სიებში შეიყვანონ არანაკლებ კანონით დადგენილი რაოდენობის ქალი კანდიდატები.დღევანდელი მდგო-მარეობით ევროპის საბჭოს 10-ზე მეტ ქვეყანას შემოღებული აქვს საკანონმდებლო კვოტების სისტემა.მათგან პირველი იყო ბელგია, რომელმაც 1994 და 2002 წ.წ. მიიღო ორი კანონი კვოტირების შემოღებასთან დაკავშირებით. ევროპის საბჭოს ქვეყნებს შორისაც, რომელთაც შემოიღეს კვოტირების სისტემა, საკმაო განსხვავებაა დადგენილ პროცენტებს შორის.50%-იანი კვოტა დადგენილი აქვს მხოლოდ ბელგიას და საფრანგეთს. განსხვავებულია კანონის ნორმები, რომლებიც ითვალისწინებენ კანდიდატთა სიის რიგითობას.მაგალითად, სერბეთში ეს არის ყოველი მე-4 ადგილი, ხოლო სომხეთში - ყოველი მე-10.

ნებაყოფლობითი კვოტები წარმოადგენს პარტიების მიერ ნებაყოფლობით დადგენილ კვო-ტას, ასეთი კვოტები შეიძლება იყოს აღიარებული პარტიების მიერ ზოგად ვალდებულებად ან გათვალისწინებული იქნეს პარტიის წესდებით. სახელმწიფოს მიერ საკანონმდებლო დონეზე პარტიების მიერ ასეთი კვოტების შემოღების ვალდებულება არ ხდება, მაგრამ ასეთი კვოტების შემოღება შეიძლება იქნეს წახალისებული (მაგალითად, გაეზარდოს პარტიას სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსება).„ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კონვენ-ციით“ საქართველომ აიღო ვალდებულება, რომ სერიოზულ ზომებს გაატარებს დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, დაიცავს და ხელს შეუწყობს მათ თანასწორობას ყველა დონეზე მათ შორის საჯარო ინსტიტუტების დონეზე ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი დოკუმენტია „ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კონვენციის მე-4 მუხლი „სახელმწიფომ უნდა გაატაროს

დროებითი ღონისძიებები რათა დააჩქაროს ქალების თანასწორი მონაწილეობა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სამოქალაქო სფეროში.

მართალია საქართველოს კანონმდებლობა არ აწესებს სავალდებულო ნორმას გენდერულ კვოტებთან დაკავშირებით მაგრამ „დამატებით დაფინანსებას“ წამახალისებელი ზომის სახით მაინც გვთავაზობს.თავდაპირველი რედაქციით პარტიას სახელმწიფოსგან, გაეზრდებოდა დაფი-ნანსება დამატებით 10%, დღეს უკვე 30%-ით.პარლამენტში გენდერული კვოტირების შესახებ კანონპროექტის განხილვა დაიწყო და ეროვნული და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევითი ორგანოებისათ-ვის სავალდებულო გენდერული კვოტირების შემოღებას ითვალისწინებს. საკანონმდებლო ინიცი-ატივის ფარგლებში საარჩევნო სუბიექტის მიერ წარდგენილ სიაში ყოველი მეორე ქალი უნდა იყოს და თუ დეპუტატი დატოვებს პარლამენტს,ის უნდა ჩანაცვლდეს პარტიული სიიდან იმავე სქესის ადამიანით.თუ პარტიის მიერ წარდგენილ პოპორციულ სიაში ყოველი მეორე ქალი არ იქნება, ხარ-ვეზის აღმოსაფხვრელად,ცენტრალური საარჩევნო კომისია პარტიას სიას უკნან დაუბრუნებს. ხარვე-ზის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში,პოლიტიკური პარტია რეგისტრაციას ვერ გაივლის. ჩვენ აღნიშ-ნულ კანონპროექტში პოზიტიური დისკრიმინაციის ელემენტებს ვხედავთ. ქალს თვითრეალიზაციის საშუალება უნდა ჰქონდეს და თავისი კვალიფიკაციით შეეძლოს პოლიტიკური ცხოვრება.სერიო-ზული პრობლემაა ასვე ის რომ მოცემული კანონპროექტი მაჟორიტარულ საარჩევნო სისტემაზე არ ვრცელდება.ამ მიდგომით მაჟორიტარულ სისტემაში კაცების კოალიციას მივიღებთ და გამოდის რომ ქალებს მხოლოდ რეგიონებში მოვიაზრებთ.ასევე მიგვაჩნია რომ აუცილებელია: კორექტივები სახელმწიფო იდეოლოგიის დონეზე.უპრიანია კვოტირების მექანიზმის დანერგვა და გამოყენება როგორც კანდიდატი ქალების პოლიტიკაში მოსვლის წინაპირობა. კანონმდებლობის “გაცოცხლება” რომელიც უზრუნველყოფს სქესთა თანაფარდობას პარტიებში, (დაფინანსების მექანიზმი და სხვა.)საჭიროა პოტენციურ ქალ კანდიდატთა ბაზის შექმნა და ქალ კანდიდატთა სიებში შეყვანის შემდეგ მონიტორინგი რომ მათ უკანა პლანზე არ გადაინაცვლონ. გვჭირდება სპეციალური მოქმედი სტრუქტურა,გენდერული ექსპერტიზის დეპარტამენტის ფორმით რომლის მთავარი მიზანი იქნება არსებული სურათის შესწავლა,სტატისტიკის წარმოება, სამოქმედო გეგმის შემუშავება,დამტკიცება,საჭიროა კოორდინირებული მუშაობა დარგობრივ სამინისტროებთან და ადგილობრივ თვითმმართველობებთან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. “More women in Government: time for gender quotas”, Democratic Audit
2. “The UN Convention on the Elimination of All Forms of Discrimination Against Women”, A Commentary, Edited by Marsha A. Freeman, Christine Chinkin, Beate Rudolf, Oxford University Press, 24 მარტი, 2012 წელი, გვ. 210. ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <http://bit.ly/2sxOhQX> [ბოლო წვდომა განხორციელდა: 16.02.2018.
3. European Parliament resolution on the Commission report on the implementation of Council Recommendation 96/694 of 2 December 1996 on the balanced participation of women and men in the decision-making process (COM(2000) 120 - C5-0210/2000 - 2000/2117(COS)), ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <http://bit.ly/2F8mclE> [ბოლო წვდომა განხორციელდა: 16.02.2018.
4. Equal Participation of Women and Men in Decision-Making Processes, with Particular Emphasis on Political Participation and Leadership Report of the Expert Group Meeting Addis-Ababa, Ethiopia 24 – 27
5. GENDER PERCEPTIONS IN SOUTHEAST ASIAN COUNTRIES: FINDINGS FROM JICA-RI VALUE SURVEYS Yoshida, WORLD DEVELOPMENT REPORT 2012 GENDER EQUALITY AND DEVELOPMENT, Kohei, 2011 წელი, ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <http://bit.ly/2ExgA3s> [ბოლო წვდომა განხორციელდა: 16.02.2018.
6. Gender Equality in East Asia: Progress, and the Challenges of Economic Growth and Political Change”, East Asia Update, ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <http://bit.ly/2F6PL7b> [ბოლო წვდომა განხორციელდა: 16.02.2018.

“Quota arrangement - positive discrimination or irreversible indispensability”

Megrelishvili Tamta
PhD Student of Georgian Technical University
Iashvili Tinatin
Professor of Georgian Technical University

Summary

Currently Georgia ranks 120th place among 193 countries in representation of women in national parliaments. According to global index, Georgia takes 90th place among 144 countries in women engagement in political, economic and social life. Georgia is on 114th place in entire number of women in direct political participation and number of women in representative institutions. In 2012-2016 parliament there were 18 women in total, which is 12% of overall composition of the parliament. Resulting from 2016 parliamentary elections, 24 women received the parliamentary mandate, which constitute 16% of overall composition of the parliament. After the formation of the Government and refusal of some women candidates about their parliamentary mandate, this number has been reduced by one. According to results of local self-government elections held in 2014, only 11,6% of elected officials are women in local self-government councils throughout Georgia.

There are no women delegates in representative authorities of self-government in some municipalities (Telavi, Mtskheta, Tsalka, Aspindza, Poti). Only two women occupy the post of the Minister out of 15 Ministers of Georgia. We believe that the state has “no time for the sleep” against these challenges and it is time to consider the practice of other leading countries. We offer gender quotas as one of the methods and wish to implement the mentioned practice in Georgian reality.

Keywords: gender,discrimination; democracy; Universal Declaration of Human Rights (UDHR) Gender quotes; Women participation in political life;Resolution of European Parliament; Covnention on Political Rights of Women.

იბეჭდება ავტორთა მიერ წარმოდგენილი სახით

გადაეცა წარმოებას 28.05.2018. ხელმოწერილია დასაბეჭდად 08.06.2018. ქაღალდის ზომა 60X84 1/8. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 20,6. ტირაჟი 90 ეგზ.

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, კოსტავას 77

Verba volant,
scripta manent